

დავის ალტერნატიული  
გადაწყვეტა



ALTERNATIVE DISPUTE  
RESOLUTION

წელიწადი  
Yearbook

2014

**წ ე ლ ი ნ ღ ე უ ლ ი**

2014

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

# Alternative Dispute Resolution

Yearbook

2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწიეულ

2014



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

**Chief Editor**

Irakli Burduli (Prof., TSU)

**სარედაქციოკოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეტი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

გიორგი ცერცვაძე (ასოც. პროფ., თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასისტ. პროფ., თსუ)

ლევან ჯანაშია (ასისტ. პროფ., თსუ)

**Editorial Board:**

Catherine G. Burnett (Prof., South Texas College of Law, USA)

James J. Alfini (Prof., South Texas College of Law, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof., South Texas College of Law, USA)

Giorgi Tsertsvadze (Assoc. Prof., TSU)

Natia Chitashvili (Assis. Prof., TSU)

Levan Janashia (Assis. Prof., TSU)

**პასუხისმგებელი რედაქტორი**

ნათია ჩიტაშვილი

**Responsible Editor**

Natia Chitashvili

*ნელინდეულის გამოცემა ამერიკელი ხალხის გულისხმიერების შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. უურნალო გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ისა და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.*

**Publication of the yearbook is enabled by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).**

**The contents are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.**

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board



მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლობა, 2016

ISSN 1987-9199

ს ა რ ჩ ე ვ ი

გურანდა ბურსულაია  
სასკოლო მედიაციბ: რისკი თუ ეპრიკა? ..... 7  
GURANDA BURSULAIA  
SCHOOL MEDIATION: RISK OR HEUREKA? ..... 15

თეო კვირიკაშვილი  
მე-არბ/არბ-მედი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში..... 22  
TEO KVIRIKASHVILI  
MED-ARB/ARB – MED AND THE PROSPECTS OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA ..... 30

ლევან ჟორჯოლიანი  
გოლიში და პატიება მედიაციბის პროცესში..... 37  
LEVAN ZHORZHOLIANI  
APOLOGY AND FORGIVENESS IN THE MEDIATION PROCESS ..... 43

სიმონ ტაკაშვილი  
მედიაციბის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმის, მნიშვნელოზა  
კოლექტიური შრომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში..... 48  
SIMON TAKASHVILI  
THE IMPORTANCE OF MEDIATION AS A FORM OF ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION  
IN THE PROCESS OF COLLECTIVE LABOR DISPUTE DISCUSSION AND SETTLEMENT ..... 56

გიორგი ნარმანია  
პარტი-აპოინტედი არბიტრატორები: პასტ, პრეზენტი ანდ ფუტურე..... 72  
GIORGI NARMANIA  
PARTY-APPOINTED ARBITRATORS: PAST, PRESENT AND FUTURE..... 72

ჯეიმს ჯ. ალფინი  
ბიორგი ნარმანია  
მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრირი: წარსული, აწმყო, მომავალი ..... 76  
JAMES J. ALFINI  
MEDIATION AS A CALLING: ADDRESSING THE DISCONNECT BETWEEN MEDIATION ETHICS AND  
THE PRACTICES OF LAWYER MEDIATORS ..... 84

ალექს აზაროვი  
ჯეიმს ჯ. ალფინი  
მედიაციბა როგორც გამონკვევა: მედიაციბის ეთიკასა და ადვოკატ მედიატორების  
პრაქტიკას შორის კავშირის ნკვეტის სპასუნოდ ..... 90  
ALEX AZAROV  
MEDIATION FOR LAWYERS..... 98

ალექს აზაროვი  
მედიაციბა ადვოკატებისათვის ..... 105  
ALEX AZAROV  
SPEEDIATION: THE CHALLENGES OF RESOLVING A DISPUTE IN AN HOUR ..... 114

ალექს აზაროვი  
პროცესების დარბარება: გამონკვევები დავის მოკლე დროში გადასაწყვეტად ..... 124  
ALEX AZAROV  
SPEEDIATION: THE CHALLENGES OF RESOLVING A DISPUTE IN AN HOUR ..... 114

ალექს აზაროვი  
პროცესების დარბარება: გამონკვევები დავის მოკლე დროში გადასაწყვეტად ..... 124  
ALEX AZAROV  
SPEEDIATION: THE CHALLENGES OF RESOLVING A DISPUTE IN AN HOUR ..... 114

დებრა ბერმანი, ჯეიმს ალფინი  
ლავერ კოლონიზაციბი ფამილი მედიაციბი: კონსეკენსის ანდ იმპლიკაციბს ..... 135  
DEBRA BERMAN, JAMES ALFINI  
LAWYER COLONIZATION OF FAMILY MEDIATION: CONSEQUENCES AND IMPLICATIONS ..... 135

დეზრა ბერმანი, ჯეიმს ალფინი  
ადვოკატის ჩართულობა ოჯახური დავის მოგვარებაში: მისი მნიშვნელობა და შედეგები ..... 158

CATHERINE BURNETT  
ADVISING CLIENTS ABOUT ADR: A PRACTICAL GUIDE TO HAVING DIFFICULT CONVERSATIONS  
ABOUT SELECTING OPTIONS..... 187

ქეთრინ ბ. ბარნეტი  
კლიენტების კონსულტირება დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდის შესახებ  
(ADR): პრაქტიკული სახელმძღვანელო ვარიანტების შერჩევის შესახებ  
რთული დიალოგის წარმოების დროს ..... 199

ALEXANDRA CRAMPTON, MICHAEL TSUR  
NEGOTIATION STANDS ALONE ..... 214  
ალექსანდრა ქრემფტონი, მაიკლ ცური  
მოლაპარაკება განცალკევებით დგას..... 226

YOSHIHISA HAYAKAWA  
ARBITRATION AS A TOOL FOR HEDGING RISKS OF DISPUTE RESOLUTION IN INVESTMENT:  
A BRAND-NEW STRATEGY WITH INVESTMENT TREATY ARBITRATION ..... 242  
იოშიჰისა ჰანიაკავა  
ინვესტიციებში სადავო საკითხების მოგვარებისას არბიტრაჟის,  
როგორც ერთ-ერთი მქანის გამომყენება რისკების შემცირების მიზნით –  
საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის უახლესი სტრატეგია ..... 252

KIMBERLEE K. KOVACH  
THE LAWYER'S DUTIES AND RESPONSIBILITIES IN DISPUTE RESOLUTION GOOD FAITH IN MEDIATION –  
REQUESTED, RECOMMENDED, OR REQUIRED? A NEW ETHIC ..... 265  
კიმბერლი კოვაჩი  
ადვოკატთა მოვალეობები და კანუნიკობა დავის გადაწყვეტისას,  
კეთილსინდისიერება შედისაში – თხოვნის, რეკომენდაციის თუ მოთხოვნის სახით  
დადგენილი? ახალი ეთიკა..... 294

YASUHEI TANIGUCHI  
ADR (MEDIATION) IN JAPAN AND IN THE UNITED STATES ..... 334  
იასუჰეი ტანიგუჩი  
დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (შუამდგომლობა) იაპონიასა და  
შეერთებულ შტატებში ..... 341

MICHAEL TSUR  
ADR – APPROPRIATE DISASTER RECOVERY ..... 350  
მიქაელ ცური  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – კატასტროფის შედეგების სათანადო ლიკვიდაცია .... 355

TASHA WILLIS  
ONLINE DISPUTE RESOLUTION FOR BUSINESS TO CONSUMER E-COMMERCE DISPUTES ..... 362  
თაშა ვილისი  
ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ელექტრონული ვაჭრობის სფეროში არსებული  
დავების ონლაინ გადაწყვეტა..... 379

## სასკოლო მედიაცია: რისკი თუ ეფრიკა?

*„როცა ადამიანები ფიქრობენ, რომ შენ კვდები,  
ისინი გულისყურით გისმენენ და არა...  
და არა უბრალოდ ელოდებიან როდის  
გაჩუმდები, რათა თქვან თავისი სათქმელი.“*

ჩაკ პალანიკი

### 1. შესავალი

სასკოლო მედიაციით დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სასკოლო ასაკი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ბავშვი ყველაზე მეტად არის გახსნილი ინფორმაციისთვის და ამ ასაკში გამომუშავებული უნარ-ჩვევები მთელი ცხოვრება მიჰყვება მას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი კი არის სწორედ კონფლიქტის მოგვარების უნარი.

პირადად გამოცდილებამ, როგორც მოსწავლისა თუ მასწავლებლის, ახლობლებისაგან მოსმენილმა ამბებმა დამარწმუნა იმაში, რომ დღესდღეობით ქართულ სკოლებში დავების გადაწყვეტა ხდება უმეტესად არაჯანსაღი ფორმით: ზედაპირული და ხშირად ტენდენციური „გამოძიებით“, რომლის დროსაც ხდება „დამნაშავის“ გამოვლენა და მისი დასჯა. ამით შემთხვევა ამონურულია, ე.ი. არ ხდება არავითარი მუშაობა ფსიქოლოგთან, კონფლიქტის ნამდვილი მიზეზების გამორკვევასთან. არ არის მცდელობა აღმოიფხვრას დავის პირველწყარო. შედეგიც არ აყოვნებს: მოსწავლეების ჩაკეტილობა, სწავლაზე გულის აცრუება, უფრო მეტი კონფლიქტის წარმოშობა.

6-18 წლამდე ასაკი არის ყველაზე მეტად მგრძობიარე და საჭიროებს კარგ შუამავალს, რომელიც იქნება ორიენტირებული სამომავლო ურთიერთობებზე და მოარიგებს მხარეებს. სწორი მიმართულება უთანხმოების გამოკვლევაში ბევრად გააადვილებს წყენის დავიწყებას და შეთანხმების მიღწევას. ამავდროულად, ჰორიზონტალური ურთიერთობები (მედიატორიც ხომ მოდავე მხარეების თანატოლია) ხელს შეუწყობს უშუალო, მეგობრული გარემოს შექმნას.

წინამდებარე სტატიაში განიხილება სასკოლო მედიაციის უპირატესობები და მისი იმპლემენტაციის გზები ქართულ რეალობაში.

### 2. სასკოლო მედიაციის განმარტება

სასკოლო მედიაცია არის პროცესი, რომელშიც მოსწავლეები, მედიატორები, ეხმარებიან სხვა მოსწავლეებს კონფლიქტების მოგვარებაში, როცა არის დავა მოსწავლესა და მოსწავლეს ან მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მედიატორები გვევლინებიან ნეიტრალურ მესამე პირებად და მუშაობენ მხარეებთან კონფლიქტის მოგვარებისთვის.<sup>1</sup>

**სად უნდა მიმდინარეობდეს სასკოლო მედიაცია?** სასკოლო მედიაციის ჩატარების ადგილი არის სკოლაშივე ამ მიზნებისთვის საგანგებოდ გამოყოფილი კლასი, რომელიც იქნება მედიაციის მიზნებიდან გამომდინარე მონყობილი. ძალიან ბევრი აზრი გამოითქვა იმასთან დაკავშირებით თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მიკრო გარემო (ანუ უშუალოდ ოთახი, სადაც მიმ-

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი.

<sup>1</sup> Student Mediators' Step in when Trouble Brews, American News Service, November, 2000, <<http://www.mediate.com/articles/studentmed.cfm>>, [18.01.2014].



დინარეობს მედია(ცია), როგორი ავეჯი უნდა იდგას, რა ფრად უნდა იყოს შეღებილი კედლები, უნდა იდოს თუ არა ტკბილეული მაგიდაზე, რა განლაგება უნდა ჰქონდეთ საგნებს, რა სიდიდის უნდა იყოს ოთახი და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია დავიცვათ ოქროს შუალედი და მაქსიმალურად ნეიტრალური, არა გამაღიზიანებელი ნივთები თუ ფერები შევარჩიოთ. ყველაფერი უნდა იყოს მიმართული მხარისთვის კომფორტის შექმნისთვის, რათა ის იყოს დამშვიდებული, მოშვებული და მზად თავის პრობლემაზე სასაუბროდ.

**როდის უნდა ჩატარდეს სასკოლო მედია(ცია)?** სასკოლო მედია(ცია) უმჯობესია მიმდინარეობდეს გაკვეთილების შემდეგ. არ იქნება მართებული სასწავლო პროცესს მოწყდნენ მოდავე მხარეები, მედიატორი, მასწავლებელი. თუმცა, ალბათ, შეიძლება გამონაკლისების დაშვებაც, როცა კონფლიქტმა მიაღწია კულმინაციას და აუცილებელია მისი დაუყოვნებლივი მოგვარება. ეს ინსტიტუტი უნდა შეიქმნას სწორედ იმისათვის, რომ უზრუნველყოს მშვიდობიანი გარემო სკოლაში, რაც ხელს შეუწყობს აკადემიურ მოსწრებას. და თუ ამისათვის საჭიროა გადაუდებელი მოქმედება, უმჯობესია შესაბამისი ზომების მიღება. ზოგადად კი პრობლემების მოგვარების მცდელობა უკეთესია არ ხდებოდეს გაკვეთილების ხარჯზე.

### 3. ვინ არის მედიატორი?

მედიატორი, ანუ შუამავალი არის მიუკერძოებელი, მხარეების ნდობით აღჭურვილი მესამე პირი, რომელიც ეხმარება მხარეებს დავის გადაწყვეტისთვის გამოსავლის პოვნის ძიებაში.

მარტივი მისახვედრია, რომ დაუსრულებლად შეიძლება მსჯელობა თუ რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს მედიატორი, როგორი უნდა იყოს მისი გარეგნობა, განათლება. კონსტანტინ-ადი გავრილამ (კრაიოვას მედიაციის ცენტრში მედიატორმა) გააკეთა 212 თვისების ჩამონათვალი, რომელთა მატარებელიც უნდა იყოს მედიატორი.<sup>2</sup>

საქმეს ორმაგად ართულებს სასკოლო მედიაციისთვის მედიატორის შერჩევა. ამ ასაკში ბავშვები არ არიან თავის თავში დარწმუნებულები, ჩამოყალიბებულნი. სამართებლის პირზე გასვლას ემსგავსება სწორი პიროვნების არჩევა. ილიას სიტყვები „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა“ ძალიან აქტუალურია ამ შემთხვევაში. საბედნიეროდ, 90-იან წლებში ფართოდ გავრცელებული მიდგომა სწავლასთან დაკავშირებით სასიკეთოდ შეიცვალა, თუმცა კვლავ ხშირია დაცინვა „შკოლნიკობის“ გამო. ნათელია, რომ არც ყველაზე ცუდი მოსწავლე იქნება შესაფერისი.

უდავოა, რომ ავტორიტეტიანი, სანდო პიროვნება უნდა აირჩეს. თანაც, მედიაციის პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური და მხარეებს უნდა სურდეთ გული გადაუშალონ მედიატორს და დარწმუნებულნი იყვნენ რომ ის ამას საიდუმლოდ შეინახავს.

### 4. კონფლიქტის წარმოშობა

სკოლაში კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მოსწავლეებს შორის ან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს|ადმინისტრაციას შორის. როგორც წარმოშობის გზები, ისე მოგვარების საშუალებები არის სხვადასხვა.

#### 4.1. კონფლიქტის წარმოშობა მოსწავლეებს შორის

- ჯემალ, სკრიპკა!
- იანგული, ლანირაკო!
- ჯემალ, ქამო!
- იანგული, ნუნკო ბერძენო!

<sup>2</sup> Gavrilă C.A., 212 Qualities of a Good Mediator, 2012, <<http://kluwermediationblog.com/2012/02/19/212-qualities-of-a-good-mediator/>>, [18.01.2014].

- ჯემალ, წირპლიანო!
- პატარების ყოჩო!
- ვირისთავო!
- ვირის მწყემსო!
- გოგოების მაჩალკა!
- ხულიგანო!
- თბილისელო ჰარიფო!
- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

*ნოდარ დუმბაძის* მიერ აღწერილი ეს დიალოგი ძალიან რეალური და ცხოვრებისეულია. სკოლაში კონფლიქტების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული წყაროა გარეგნობაზე დაცინვა: „ოთხთვალა“ = „შურიკა“, დიდცხვირა, „ჩებურაშკა“, მსუქანა... – არის ყველაზე ხშირი ეპითეტები, რომლებითაც ბავშვები გულუხვად ამკობენ ერთმანეთს. ამას ემატება „დებილი“, „ჭკუასუსტი“, „უტვინო“... მოსწავლეების ფანტაზია ამ მხრივ უღევია და უამრავი კერძო შემთხვევის მოყვანა შიძლება. დაცინვა ეროვნებაზე, რელიგიაზე, ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე ნაკლებად რელევანტურად უნდა ჩაითვალოს ქართულ რეალობაში. ამის მაგალითები ნამდვილად იშვიათია.

## 4.2. კონფლიქტის წარმოშობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის

დავის წარმოშობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს: მოსწავლის ცუდი აკადემიური მოსწრებით, ცუდი ყოფაქცევით, ერთის ან მეორის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენებით მეორე მხარისთვის, მასწავლებლის სუბიექტურობით. ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლები ხაზს გადაუსვამენ ბავშვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცუდად სწავლობს ან იქცევა და თავს არაფერს იწუხებს იმაზე, რომ გამოიკვლიოს რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი. ამის გამო ეტიკეტმიკერებული ბავშვი ხდება დისკრედიტირებული თანატოლების მიერ. რა თქმა უნდა, ეს არის მისთვის დემოტივატორი, რომ შეეცადოს იყოს უკეთესი (იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბავშვები იკეტებიან თავის თავში, ხდებიან აგრესიულები. „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმა“ მათი დევიზი ხდება).

სკოლაში მომუშავე პერსონალი, სამწუხაროდ, უგულვებელყოფს მასლოუს პირამიდას. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული მცირე ანაზღაურებით, რომლის გამოც მასწავლებლებს არ სურთ ბოლომდე დახარჯვა, ან მასწავლებლის პირადი პრობლემებით, თუმცა ეს არ არის გამამართლებელი მიზეზი და არც ამ სტატიის განხილვის მიზანი. *აბრაჰამ მასლოუ* თავის ნაშრომში „მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია“ მსჯელობს იმაზე, რომ თუ არ არის დაკმაყოფილებული ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, ადამიანი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, ადამიანს აკლია მზრუნველობა და ყურადღება, მას პატივს არ სცემენ, მაშინ ადამიანი ვერ ახდენს თვითრეალიზაციას. შედეგად, თავდაცვის ინსტიქტიდან გამომდინარე, ადამიანი ან ირგებს მახინჯი იხვის ჭუკის როლს და ჩაკეტილობის ხარჯზე მზადაა შეურიგდეს ბედს; ან თავად დაჩაგრული ხდება სხვების მჩაგვრელი.

ექსპერტები, ფსიქოლოგები ერთსულოვნად თანხმდებიან, რომ აგრესიას, რომელსაც ხედავს ან განიცდის პირი, ის შემდეგ მიმართავს თავისზე სუსტის დაჩაგრვისკენ. სოფო ტაბაღუა, რომელიც არის კავშირ „საფარის“ სამედიცინო დირექტორი, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ხშირად ბავშვები, რომლებიც სხვის მიმართ ავლენენ აგრესიას, უფრო მეტად არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, თავად აქვთ სადღაც ნანახი ბევრი აგრესია, ან ოდესღაც მათ მიმართ იძალადა ვინმემ და დღეს უკვე მათ შეუძლიათ სხვაზე განავრცონ იგივე. მსხვერპლი

კი არის ხოლმე ის, ვინც რაიმე ნიშნით სუსტია ან გამორჩეულია გარეგნული სისუსტით ან ავადმყოფობით და ა.შ.“<sup>3</sup>

## 5. კონფლიქტის მოგვარება

### 5.1. კონფლიქტის მოგვარება თანატოლებს შორის

სკოლის ასაკის ბიჭების უმეტესობა სკეპტიკურად უყურებს სიტყვის სიძლიერის საკითხს. მათი აზრით მუშტები, აი რა არის „უებარი ნამალი“ კონფლიქტის მოსაგვარებლად. შესაძლოა, დავა კონკრეტულ მოსწავლეებს შორის არ იყოს ძალიან მწვავე, მაგრამ ერთ-ერთი მაინც გადავიდეს ფიზიკური ძალის საშუალებით „საქმის მოგვარებაზე“. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ბავშვში დაგროვებული აგრესია, წყენა, რომელმაც პიკს მიაღწია და გამოვლინდა კონკრეტულ მომენტში. აქაც სიტბოს, მზრუნველობის ნაკლებობაზე შეიძლება საუბარი.<sup>4</sup>

გოგოებში კონფლიქტის მოგვარება უმეტესად სიტყვიერად წარმოებს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მოდავეები ერთმანეთში კი არ ლაპარაკობენ, არამედ ჭორაობით ცუდად მოიხსენიებენ ერთმანეთს, რაც ადრესატამდეც მიდის, ამას მოჰყვება ახალი კონფლიქტი და ასე დაუსრულებლად. პირისპირ საუბარი კი ყვირილში, შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებაში გადადის. ამან შეიძლება გამოიწვიოს მცირე კონფლიქტის ნიადაგზე მტრობის წარმოშობა.

რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ყველა უთანხმოება არ არის უმართავი და ყველა ბავშვი არ არის მიდრეკილი ჩხუბისკენ. თუმცა, ზემოთ აღწერილი სცენარით კონფლიქტების განვითარება ძალზე ხშირი და, ალბათ, ბუნებრივიცაა (არა იმ გაგებით, რომ კარგი ან მისაღებია, არამედ იმიტომ რომ გავრცელებული და ტიპურია).

### 5.2. კონფლიქტის მოგვარება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის

უფრო რთულად არის საქმე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კონფლიქტის დროს. უმეტესად, ამგვარი დავა იღებს სისტემატურ ხასიათს, ვლინდება დაუსრულებელ ურთიერთუპატივცემულობაში, ურთიერთათვალწინებაში, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართვაში. დამტკიცებას არ საჭიროებს ის, რომ ადამიანებს შეცდომის აღიარება არ უყვართ და კამათში თავი სულ მართალი ჰგონიათ. ამას ემატება დედობრივი ინსტინქტი და კოლეგიალური სოლიდარობა. შედეგად, ორივე მხარე თავისკენ ექაჩება და არ უსმენს მეორეს. თუმცა უბედურების დატრიალების შემთხვევაში კი ყველა ერთმანეთს ადანაშაულებს: მშობლები ფიქრობენ, რომ მასწავლებლებმა დააკლეს მის შვილს ყურადღება, მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ მშობლებმა ვერ მიხედეს. ბუნებრივია, ეს პინგპონგი არც შედეგს შველის და არც მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების ინსტრუმენტად გამოდგება. მრგვალი მაგიდა და მშვიდი, გულწრფელი საუბარი კი ნამდვილად წაადგებოდა სიტუაციას.

აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს თაობათა შორის დაპირისპირება, ოღონდ სხვა კუთხით: უფროსებისთვის არ არის ავტორიტეტი მოსწავლე-მედიატორი, მიუხედავად იმისა, რომ ის მოსამართლე არ არის, გადანყვეტილებას არ იღებს, მხოლოდ წარმართავს პროცესს. მედიატორის ელემენტარული მონოდებაც: „გთხოვთ, მოვუსმინოთ ერთმანეთს“, შეიძლება იყოს უგულებელყოფილი. ჩემი აზრით, აღმზრდელობითი საქმიანობით დაკავებული პიროვნებებისთვის ორმაგად რთული იქნება „მორჩილება“. ამას ხომ აღსაზრდელებისგან ელიან.

ამის გათვალისწინებით, სასკოლო მედიაცია არ უნდა ვრცელდებოდეს მსგავს შემთხვევებზე. ყოველ შემთხვევაში არა დღეს და არა საქართველოში, სადაც კვლავ ხშირად გაიგონებთ: „ამ ღლაპმა რა უნდა მასწავლოს“ და მსგავს ფრაზებს. ქართული საზოგადოება ჯერ არ

<sup>3</sup> ქევანიშვილი ე., ბულინგი – სასკოლო ოინი თუ ნორმად ქცეული ძალადობა?, რადიო თავისუფლება, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

<sup>4</sup> Смирнова А., Почему Дерутся Дети?, <<http://deti.psynavigator.ru/articles.php?code=129>>, [18.01.2014].

არის მზად ასაკით უმცროსის ავტორიტეტულობა მიიღოს. თუმცა, ახლო მომავლში მარტივი შესაძლებელია სასკოლო მედიაციისთვის სახარბიელო გარემო შეიქმნას უფროს-უმცროსის კონფლიქტშიც. იქამდე კი რამე სხვა ქმედითი ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს. ასეთებად შეიძლება წარმოვიდგინოთ მშობლებისა და მასწავლებლების დატრენინგება, მათვის ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიის საფუძვლების გაცნობა.

### 5.3. მანდატური როგორც კონფლიქტის მომგვარებელი

2010 წლის 12 აპრილიდან შემოიტანეს მანდატურის ინსტიტუტი, რომელიც დღესდღეობით საქართველოს ყველა სკოლაში ფუნქციონირებს. მანდატურების უმთავრესი ფუნქცია სკოლაში წესრიგის და მშვიდობიანი გარემოს უზრუნველყოფაა. პირადად ჩემში სიტყვა მანდატური თავიდანვე იწვევდა უარყოფით ასოციაციებს და ძალიან მიხაროდა, რომ სკოლა უკვე 2 წლის დამთავრებული მქონდა. ჩემთვის მანდატური იყო პოლიციელის, ციხეში ზედამხედველის, დაკუნთული მცველის, ერთი სიტყვით ყველაფრის ხატება, გარდა „მოსწავლის უფროსი მეგობრისა“.<sup>5</sup> არადა საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ 48<sup>3</sup> მუხლის, რომელიც მანდატურის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, პირველი პუნქტის, ზ ქვეპუნქტი მანდატურის ერთ-ერთ ფუნქციად ასახელებს: დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულებას, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენასა და კონფლიქტის მოგვარებას. კანონში განხორციელებული ამ ცვლილების გამო არის საუბარი მანდატურის სახელის შეცვლაზეც. ალტერნატივად განიხილება ბავშვთა დაცვის ოფიცერი. კანონში დამატებასთან დაკავშირებით ამერიკელმა ექსპერტებმა 40 მანდატურს ჩაუტარეს ტრენინგები, სადაც განიხილავდნენ ბულინგის<sup>6</sup> იდენტიფიკაციისა და მსხვერპლთან მუშაობის ტექნიკას.<sup>7</sup>

ბუნებრივია, იმის კითხვა, თუ კი ასეთი მოკლე პერიოდის განმავლობაში თითოეულ სკოლაში 2 მამაკაცმა და ერთმა ქალბატონმა შეძლეს მეტ-ნალეზად კარგი სახელის დამკვიდრება საზოგადოებაში, მაშინ რატომ არ უნდა მივცეთ მათ შესაძლებლობა შეითავსონ მედიატორის ფუნქციები? რისთვის უნდა დაიხარჯოს დამატებითი რესურსები? საუკეთესო პასუხის მისაღებად უნდა გადავინაცვლოთ წარსულში და ჩვენი თავი გავიხსენოთ სკოლაში ან თუნდაც ახლა უფროსებთან მიმართებაში. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ვერტიკალურ ურთიერთობებზე უფრო პროდუქტიული არის ჰორიზონტალური ურთიერთობები. მოსწავლისთვის ყველაზე მეგობრული მასწავლებელიც, მანდატურიც არის უფროსი, რომელიც თავისი მორიგი სენტენციებითა თუ მორალით „კვებავს“ მოსწავლეს. კატა ლეოპოლდივით მოუწოდებს ბავშვებს იყვნენ კეთილები, მეგობრულები, დამთმობები. შედეგად, მაინც დავის ზედპირულ მოგვარებას ვიღებთ: მოდავეები უფროსების დაჟინებული მოთხოვნით ერთმანეთს ართმევენ ხელს, ნეკა თითების გადაჯვარედინებით ადასტურებენ, რომ უთანხმოება დამთავრდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ეს არის მხოლოდ მომაბეზრებელი უფროსებისგან და უხერხული სიტუაციიდან დაძვრენისთვის გათამაშებული სპექტაკლი. რაც ყველაზე სავალალოა, ეს კონფლიქტი შეიძლება ქუჩაში გაგრძელდეს და აბსოლუტურად უმართავი გახდეს. ამის დასტურია ტელევიზორით არაერთხელ მოსმენილი უამრავი ძალადობის ფაქტი ახალგაზრდებს შორის.

ამიტომ როცა მოჰყავთ მანდატურების ინსტიტუტის შემოღების შემდეგ ძალადობის შემცირების სტატისტიკა: 95% აღმოიფხვრა ფულის გამოძალვის ფაქტები. 80% შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები. 90% შემცირდა საჯარო ვანდალიზმის (სასკო-

<sup>5</sup> იხ. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, <[http://mandaturi.gov.ge/index.php?inside\\_page=3&lang=geo](http://mandaturi.gov.ge/index.php?inside_page=3&lang=geo)>, [18.01.2014].

<sup>6</sup> bull – ძალიან აგრესიული პიროვნება, იხ. <<http://www.wordreference.com/definition/bulling>>.

<sup>7</sup> ქევანიშვილი ე., ბულინგი – სასკოლო ოინი თუ ნორმად ქცეული ძალადობა?, რადიო თავისუფლება, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

ლო ქონების დაზიანების) ფაქტები,<sup>8</sup> გასათვალისწინებელია, რომ ეს სტატისტიკა მხოლოდ სკოლის კედლებში დანაშაულებებზე საუბრობს. გასაგებია, რომ შეუძლებელია თითოეული მოსწავლის გაკონტროლება სკოლაში და სკოლის ფარგლებს გარეთ, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა ხშირად უშუალოდ ოჯახიდან მოდის აგრესია. ამასთანავე, ბავშვები უყურებენ ძალადობას ინტერნეტში, ტელევიზორში, თამაშობენ თამაშებს, სადაც ვირტუალურად უნდა მოკლან ან სცემონ მოწინააღმდეგე. ასევე არსებობენ გამოგონილი პერსონაჟები, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებულნი ინტერნეტ სივრცეში და მუდმივი დაცინვის ობიექტები არიან. ერთ-ერთი მაგალითი არის ბიჭუნა, რომელსაც არ აქვს კიდურები, არის ძალიან მახინჯი, მას ემართება ყველა უბედურება და ინტერნეტ ჯგუფში გაერთიანებული წევრები კოლექტიურად დასცინიან მას. ამას კიბერბულინგი ჰქვია და ფსიქოლოგების განმარტებით ის ტრადიციულ ბულინგზე მეტადაც კი უწყობს ხელს ძალადობისა და ჩაგვრის გავრცელებას, რადგან ანონიმურობისა და დაუსჯელობის ფაქტი კიდევ უფრო სასტიკად აქცევთ ახალგაზრდებს, რაც მომავალში ადამიანებთან ურთიერთობაში იჩენს თავს.<sup>9</sup>

რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ მოსწავლე-მედიატორი იქნება პანაცეა, რომელიც ყველა პრობლემას ერთი ხელის მოსმით მოაგვარებს ყველა პრობლემას, აღმოფხვრის ძალადობას, მითუმეტეს ამ მხრივ საქართველოში მიძიმე ფონია. ამ პროექტის რისკებზე ქვემოთ ვისაუბრებ, აქ კი მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ თაობათა შორის ომი მითი არ არის და თანატოლები შეუწყობენ კონფლიქტის მოგვარებას ხელს უფრო უმტკივნეულოდ, იმგვარად, რომ მოდავეებს შორის მომავალშიც გაგრძელდეს მეგობრობა, ანუ ორიენტირებულნი იქნებიან გაბზარული ხიდის აღდგენაზე, რასაც რესტიტუციული მედიაციის სახედ მოიხსენიებენ.<sup>10</sup>

## 6. მედიატორი: მოსწავლე თუ პერსონალი?

თუ კი შევთანხმდებით, რომ მედიატორებად კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან, მაშინ პირველი რისკიც სახეზეა: მოსწავლე-მედიატორის მწირი ცხოვრებისეული, ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება, განათლება, არასაკმარისი სიბრძნე და უნარები იყოს შუამავალი, ანუ ყველაფერი ის, რაც პიროვნებას აქცევს კარგ მედიატორად. ჩემი აზრით, მედიატორობა სწორედ ისაა, რასაც მარტო წვრთნა არ შევლის და ბუნებაც უნდა დაეხმაროს საქმეს, თუმცა თავის თავზე მუშაობაზე და პრაქტიკაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. დაფუძრუნდეთ მოსწავლე-მედიატორს, რომელიც უფრო კერძო შემთხვევაა და არ არის აუცილებელი კლასიკური მედიატორის ყველა თვისების მატარებელი იყოს.

წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ იქნა ნახსენები თაობათა შორის გაუცხოება და კიდევ ერთხელ უნდა დავეყრდნოთ მას. მაგალითისთვის ავიღოთ ზრდასრული მედიატორი, რომელიც არის წარმატებული თავის საქმეში, ცნობილი მომრიგებელი, შეიწყვანოთ სკოლაში და უცებ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მედიაციას შედეგი არ აქვს. უფრო რომ დავკონკრეტდეთ: მოდავეები მორიგდნენ, მაგრამ აღარ უნდათ ერთმანეთის დანახვა. მე ამას დავარქმევდი პასიურ კონფლიქტს, რომელიც არავინ იცის როდის აფეთქდება. ისმის კითხვა, რატომ? პასუხის მისაღებად მოვიშველიოთ პარალელები: საუკეთესო ქირურგი ვერ უმკურნალებს ბავშვს ისე კარგად, როგორც ამას პედიატრი გააკეთებს; ეჭვი მეპარება მ. ჯავახიშვილს, დოსტოვესკის, ბალზაკს კარგი ზღაპრის დანერა მოეხერხებინათ. სასკოლო მედიაციაც იგივე პრინციპს ეფუძნება: მედიატორის სახით გვჭირდება არა ჭირ-ვარამ გადახდენილი, გამოცდილი, დამრიგებლური ტონით მოსაუბრე ბიძია ან დეიდა, არამედ მოდავეების ჭკუით მოაზროვნე, მათთვის საინტერესო და რელევანტური ცოდნით აღჭურვილი, ლალი, კომუნიკაბელური, უკონფლიქტო

<sup>8</sup> იხ. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, <[http://mandaturi.gov.ge/index.php?inside\\_page=3&lang=geo](http://mandaturi.gov.ge/index.php?inside_page=3&lang=geo)>, [18.01.2014].

<sup>9</sup> ქვეანიშვილი ე., ბულინგი – სასკოლო ოინი თუ ნორმად ქცეული ძალადობა?, რადიო თავისუფლება, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

<sup>10</sup> Noll D., Restorative Mediation, 2002, <<http://www.mediate.com/articles/noll6.cfm>>, [18.01.2014].

მოსწავლე, რომელსაც დადებითად შეუძლია თანატოლებზე ზემოქმედება. ესქილე ამბობდა „ბრძენი ის არის ვინც იცის საჭირო, ბევრი კი არა“. ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტუალურია სასკოლო მედიაციისთვის.

უშუალოდ, შესაძლებლობა აირიდო ყველანაირი ფორმალობა, მათ შორის ისეთი ელემენტალურიც, რომელიც სკოლაში სპეციალურად მედიაციისთვის განკუთვნილ კლასში დიალოგს გულისხმობს, თანაბარი სტატუსი, ერთმანეთის უკეთ ცოდნა, აი რა უნდა იყოს მაგნიტი, რომელიც მიიზიდავს სასკოლო მედიაციას და წარმატებულს გახდის მას. როდესაც ფორმალობების არიდებაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ თანატოლების შესაძლებლობას სკოლის შემდეგ, შაბათ-კვირას განიხილონ დავა რომელიმესთან სახლში ან სხვა ადგილას, ბუნებრივია მოსწავლე-მედიატორის მონაწილეობით. ანუ აქაც არ არის რალაც მკაცრი შეზღუდვა დროსა თუ ადგილში. დაგეგმილი აქტივობა: სპორტი, მუსიკა, ხატვა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს მოსწავლისთვის, ვიდრე კონფლიქტი თანაკლასელთან, შესაბამისად უშუალოდ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მედიაცია არ იყოს მისთვის ხელსაყრელი, შესაბამისად, არც შედეგის მომტანი.

## 7. სასკოლო მედიაციის იმპლემენტაციის გზები საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ერთ-ერთ კლინიკად არის შემოთავაზებული პრაქტიკული სამართლის კლინიკა, რომლის ფარგლებშიც შერჩეული მაგისტრანტი სტუდენტები თბილისის სკოლებში ატარებენ კლასგარეშე სამართლის გაკვეთილებს, რომელთაც ტრენინგის სახე აქვთ. შესაძლებელია, ამ კლინიკის გაფართოება და სტუდენტების მომზადება იმისათვის, რომ სკოლებში პოტენციურ მედიატორებს მათ ჩაუტარონ ტრენინგები და შემდგომ შეხვედრები უკვე მოქმედ მოსწავლე--მედიატორებთან, რათა განიხილონ საქმეების მიმდინარეობა, გასცენ მათ კითხვებს პასუხი ან თავის ტრენინგებს ჰკითხოთ რჩევა. ზოგადად, პრაქტიკული სამართლის კლინიკა არის 1-სემესტრიანი, თუმცა სასკოლო მედიაციის მიზნებისთვის შეიძლება მისი 1 წლამდე გაზრდა კრედიტების მომატების ხარჯზე. ამის საჭიროება არის გამოწვეული იმ შრომატევადი წინა მომზადებით, რომელიც უნდა გაიარონ მაგისტრანტმა სტუდენტებმა და რომელიც მოითხოვს დროსა და მალალ დაინტერესებას ამ სფეროთი. კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია სასკოლო ასაკის მგრძობელობა და აუცილებლობა პროექტისადმი მალალი პასუხისმგებლობის გამოვლენა.

რა თქმა უნდა, დღეს უნივერსიტეტს ასეთი სტუდენტების ბაზა არ აქვს, თუმცა მისი შექმნა რეალურია, რადგან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით შემოთავაზებულია მედიაციის საგანი, ამასთანავე არსებობს მედიაციის კლინიკა. რეგისტრაციის დაწყებიდან წამში შევსებული ადგილები ამ საგნებზე მონაწილეს ინტერესის არსებობას, ხოლო დამატებითი სემინარების ჩატარება და ფოკუსირება სასკოლო მედიაციაზე არ იქნება პრობლემა.

შემდეგი ეტაპი არის უშუალოდ მედიატორების არჩევა კონკრეტულ სკოლებში. ბუნებრივია, ყველა ვერ იქნება მედიატორი. მათ შესარჩევად საუკეთესო გზად მერყენება ანონიმური კენჭისყრის საფუძველზე კლასიდან 2-3 პიროვნების არჩევა, რომლებიც შემდეგ გაივლიან ტრენინგებს, ფსიქოლოგებთან გასაუბრებებს, სხვაგვარ გამოცდებს და საბოლოოდ შეირჩევა 10-15-20 (სკოლის სიდიდედან გამომდინარე) მედიატორი. ვფიქრობ, შუამავლების აქედანვე დათრგუნვა არ იქნება სწორი, ანუ გამოსაცდელი ეტაპი არ უნდა იყოს სტრესული. ამასთანავე უმნიშვნელოვანესია ყველაფერი ნებაყოფლობითობის პრინციპზე იყოს დაფუძნებული. უკვე არჩეული მედიატორები უნდა გადიოდნენ გადამზადებებს, პერიოდულად იხილავდნენ სტუდენტ-მედიატორებთან პრეცედენტებს. შესაბამისად, მზად უნდა იყვნენ მუდმივად იმუშავონ სამედიატორო უნარ-ჩვევების სრულყოფილებაზე. ყველა სკოლას ჰყავს თავისი ფსიქოლოგი, უმჯობესია მედიატორები სარგებლობდნენ მისი მომსახურებით, რადგან პროფესიონალ მედიატორებსაც კი უჭირთ მოდავეებიდან მომდინარე უარყოფით ენერგიასთან გამკლავება, არათუ ბავშვებს.

## 8. სასკოლო მედიაციის დადებითი შედეგები

სასკოლო მედიაციის იმპლემენტაციით მოგებული რჩება როგორც კონკრეტული პიროვნება, ისე მთლიანად საზოგადოება. **მოსწავლე-მედიატორი** იღრმავებს ლიდერულ უნარებს, სწავლობს კონფლიქტის მოგვარების ტექნიკებს, ემატება თავდაჯერებულობა. **მოდავეები და ზოგადად, სკოლის მოსწავლეები** ხდებიან უფრო დამოუკიდებელნი, იაზრებენ, რომ ყველაფერში უფროსების დახმარება არ არის საჭირო. სწავლობენ კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით და დადებით ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. **მასწავლებლებს** ექნებათ უფრო მეტი დრო დაუთმონ უშუალოდ სასწავლო პროცესს და არა დისციპლინარულ საკითხებს. **მშობლები** იქნებიან უფრო მშვიდად, რადგან სასკოლო კლიმატი იქნება ჯანსაღი.<sup>11</sup>

## 9. დასკვნა

ადამიანი იწყებს ჩამოყალიბებას სკოლის მერხიდან. ძალიან ბევრი არის დამოკიდებული ამ ასაკში ჩანერგილ ღირებულებებზე. აბსოლუტურად მართალია ავტორი, როდესაც ამბობს, რომ კონფლიქტების მოგვარების უნარების სწავლება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათემატიკა, წერა და კითხვა.<sup>12</sup> როგორი უკონფლიქტოც არ უნდა იყოს პიროვნება, ცხოვრებაში მაინც უამრავ უთანხმოებას აწყდება, შესაბამისად, მათი გადაწყვეტის გზების ცოდნა მისთვის გამოსადეგი იქნება.

ამ პროექტის პლუსი მის საყოველთაობაშია, ანუ ნელ-ნელა მისი დანერგვა საქართველოს ყველა სკოლაში უნდა მოხდეს. შესაბამისად, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა მოსწავლის შეგნება უნდა და ამაღლდეს იმ დონემდე, რომ ბრალდებულის გარეშე კონფლიქტის მიზეზების გამორკვევა, ერთმანეთის მოსმენა და საკუთარი თავის დაყენება მოსაუბრის ადგილას არის საუკეთესო გზა დავის აღმოსაფხვრელად. საბოლოო ჯამში მივიღებთ განონასწორებულ, მშვიდობიან გარემოს და თანამშრომლობაზე, ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებულ საზოგადოებას. ეს გაზრდის ქვეყანაში კულტურის დონესა და პროფესიონალთა რიცხვს.

არცერთი რეფორმა არ არის მარტივი განსახორციელებელი. თუმცა, ამ პროექტის სიძნელების გადალახვა აუცილებელია! ეს ემსახურება მოქალაქეთა მშვიდ თანაცხოვრებას, ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებას, ძალადობისა და აგრესიის, ფსიქოლოგიური პრობლემების შემცირებას.

<sup>11</sup> იხ. <<http://www.fairfieldcenter.org/peer-mediation-in-schools/>>, [18.01.2014].

<sup>12</sup> Jamestown Area Labor-Management Committee, Peer Mediation in Chautauqua County, N.Y. Schools, 2013, <<http://www.mediate.com/articles/jalmc.cfm>>, [18.01.2014].

## School Mediation: Risk or HEUREKA?

*“If people thought you were dying, they gave you their full attention.  
If this might be the last time they saw you, they really saw you.  
People listened instead of just waiting for their turn to speak.”*

*Chuck Palahniuk*

### 1. Introduction

The strong interest towards school mediation was caused by the fact that the school age is particularly important for the formation of an individual. During this period children are open for absorbing information and earning the skills which become a habit for them for the rest of their lives. One of the most significant skills appears to be dispute management (settlement).

Based on my personal experience, I can say that currently in Georgian schools most of the disputes are settled by using a wrong methodology: without a detailed investigation of the dispute the so-called ‘guilty person’ is unveiled and punished. This means that the psychological approach to the topic is totally rejected for revealing the real reason of the dispute. There is no attempt to eradicate the primary source of the dispute. Thus, all these lead to the following: the students become locked in themselves, they no longer care about studies, skip classes and, consequently, more conflicts arise.

It is important to underline that the age between 6 and 18 is transitional and the most sensitive period that requires a good mediator oriented on future relationships and good at settling disputes between the sides. From the very beginning, a fair way for dispute settlement will neutralize the revenge desire and guarantee the agreement to be achieved.

At the same time, the so-called horizontal relationships (when the mediator is equal to the conflict sides) will facilitate the creation of a friendly environment.

The following article covers the advantages of school mediation as well as the ways for its implementation in the Georgian reality.

### 2. Definition of School Mediation

School mediation is a process in which students, mediators, assist other students to resolve disputes, when there is a dispute between students or students and teachers. Mediators are impartial, the so-called third persons who work with the sides to settle the existing dispute.<sup>1</sup>

**Where should school mediation take place?** The best place for school mediation is the school itself, a specially allotted classroom accommodated considering the mediation goals. There exist multiple views on what the ideal micro environment should look like (i.e. the room where the mediation takes place), how should it be furnished, what color should the walls be, should the sweets/candies be on the table or not, how the objects should be arranged, what size should the room be, etc. I think that it is vital to adhere to a Golden Mean and furnish the room with maximally neutral, non-irritating items or colors.

---

\* Master Student, TSU Faculty of Law.

<sup>1</sup> Student Mediators’ Step in when Trouble Brews, American News Service, November, 2000, <<http://www.mediate.com/articles/studentmed.cfm>>, [18.01.2014].



Maximal comfort should be created for the sides as they should feel comfortable to start talking about their problems openly.

**When should school mediation take place?** It would be better if school mediation took place after lessons. It will not be beneficial for the conflicting sides, the teacher or the mediator to quit the education process because of the mediation. Though some exceptions can be made, when the conflict is escalated and it needs to be settled immediately. The abovementioned institute should be created to provide a peaceful environment in schools and high academic performance as well. Thus, if an instant action is needed to achieve all these, it is better to take appropriate measures. Generally, it is better to solve the problems after lessons.

### 3. Who is the Mediator?

A mediator is an unbiased, confident, third person who assists the sides to settle the disputes and achieve an agreement.

There can be millions of opinions regarding the best mediator's characteristics including: how should he/she look like, what kind of education should he/she have, etc. *Constantin-Adi Gavrilă* (a mediator of the Craiova Mediation Center Association) listed 212 characteristics that a mediator should possess.<sup>2</sup>

Selecting a mediator for school mediation is not easy. At school age children are not self-confident or formed enough. Choosing the right person as a mediator is like walking on a razor's edge. In this respect, the words of an outstanding Georgian writer *Iliia Chavchavadze* – "Illiteracy is devastating, though only education cannot cure – are extremely actual". Fortunately, the negative approach towards education widely spread in the early 1990's, has changed, though it still exists (in certain circumstances, when hard-working students are cynically treated).

It is doubtless that a mediator should be highly respected, trustful person. Besides this, the mediation process must be confidential, the sides should have a desire to speak openly about their problems and be sure that the mediator will keep everything a secret.

### 4. Conflict Takeoff

At school a conflict can start between the students or between the students and the teachers/administration. Thus both the conflicts takeoff and the ways for their settlement vary.

#### 4.1. Conflict takeoff between the students

- Jemal, you - violin!
- Ianguli, you - pipsqueak!
- Jemal, you – kamo!
- Ianguli, you – mean Greek!
- Jemal, you – gummy eyes!
- You bully!
- Donkeyhead!
- Donkey herder!
- Girls' Sponge!
- Hooligan!
- Coward from Tbilisi!

---

<sup>2</sup> *Gavrilă C.A.*, 212 Qualities of a Good Mediator, 2012, <<http://kluwermediationblog.com/2012/02/19/212-qualities-of-a-good-mediator/>>, [18.01.2014].

- F\*\*\* you Ianguli!
- (the same words in Greek) Jemal!

The abovementioned dialogue written by a famous Georgian novelist *Nodar Dumbadze* is very realistic and live. Insulting a student by negatively indicating on his/her appearance is one of the widely spread cases for escalating a dispute. The insults include: “You four-eyed monster” (if the student is wearing glasses), “big aquiline nose”, “fat”. Similar kinds of epithets are frequently said to each other by the students. Besides these the epithets also include: idiot, narrow-minded, brainless etc. The students’ imagination regarding the issue is borderless and many specific cases can be named. Insulting expressions regarding the nationality, religious viewpoints, financial or family condition are pretty much rare in Georgian reality.

## **4.2. Conflict takeoff between a student and a teacher**

The reason of the dispute escalation between a student and a teacher can differ: bad academic report of the student, his/her bad behaviour, biased teacher, insulting words etc. In frequent cases the teachers underline the fact that the student is disobedient, his/her academic report is below zero, though no one attempts to investigate the reason of such misbehaviour. Because of this, the student gets humiliated by others. Of course, this demotivates him/her to be better and be a decent student in the future (only in a very rare case there exist certain exceptions. Normally children get locked in themselves and are very aggressive. “Attacking is the best way for self-defence” is their motto).

Unfortunately, the school staff disagrees with *Maslow* pyramid. This can be caused by a low salary, because of which teachers do not want to share the best of their experience with the children, or by their personal problems, etc. Though, it is a very lame excuse and is not discussed in this article, either. *Abraham Maslow* in his work “Hierarchy of Needs”, that is a theory of psychological health, predicating on the fulfillment of innate human needs in priority, culminating in self-actualization, describes that if a human being’s physiological needs are not fulfilled, he/she does not feel secure, he/she lacks care and attention, and is not respected – thus he/she is not fully self-recognized and respected. As a result of this, considering the so-called self-defense instinct either a person appears to be an Ugly Duckling and gets self-locked or starts to oppress others.

Experts and philologists agree that if a person is aggressively treated, he/she starts to be aggressive towards others (they start dominating over weaker ones). In one of the interviews, *Sophie Tabaghua*, Medical Director of the Union “Sapara” said: “In frequent cases, the children who are aggressive towards others are the victims of domestic violence; probably they witnessed the case of violence by themselves or someone oppressed them. Thus, now they have an opportunity to persecute others. It is noteworthy to stress that those who are weak compared with others are always victims, etc.”<sup>3</sup>

## **5. Conflict Settlement**

### **5.1. Conflict settlement between coevals**

The majority of schoolboys are skeptical regarding the power of speech (power of words). According to them, fighting (fists) is the only ‘cure’ for conflict resolution. Perhaps the dispute between the sides (students) is not much swelling, though one of the sides may still start physical revenge. The reason for this can be the aggression, anger that the kid keeps in himself, then all these reach the top and the conflict escalates. Thus, the lack of care and respect can be the reasons over and over.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup> *Kevanishvili E.*, Bulling – School Tricks or ‘Normal’ Violence? Radio Liberty, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

<sup>4</sup> *Смирнова А.*, Почему Дерутся Дети? <<http://deti.psynavigator.ru/articles.php?code=129>>, [18.01.2014].

The conflict between girls is resolved just using words and not strength. Though in frequent cases this is called gossiping, which appears to be a reason for a new dispute again. Sometimes a Tet-A-Tet dialogue finishes with yelling, insulting, etc. All these can cause a huge vendetta between the sides.

It is also a fact that all disputes can be settled and not all children are eager to be involved in combat. Though it is 100% truth that the conflict escalation, as a result of the above-mentioned reasons, is not baseless.

## **5.2. Conflict resolution between a student and a teacher**

The conflict between students and teachers is pretty much complicated to resolve. A similar kind of dispute seems to be permanent as disrespect between the sides rises and finally parents and school administration also get actively involved. It is doubtless that normally people do not like to confess their mistakes and during the dispute they permanently try to prove their innocence. In frequent cases parents and school administration express their solidarity that negatively influences the tense situation. Thus, this becomes the reason for confusion and unfair results. Though, if the situation finishes with tragic outcomes, the sides accuse each other: parents think that teachers were not attentive enough towards their kids; the teachers reckon on the contrary and assure that the parents were pretty much negligent. It is obvious that such bilateral but baseless accusations will change neither the result nor will be an effective instrument for getting rid of similar kinds of cases in the future. It should be highlighted that round-table negotiations would assist the dispute resolution and neutralize the tense situation. This is a classic sample of conflict escalation between generations, though it is shown in a different way: despite the fact that the so-called student-mediator is neither a judge nor a decision-maker, he/she is only conducting a process, still he/she is not authoritative for adults. The mediator's even simple address for the situation regulation such as "Please, let's listen to each other!" can be rejected. I think that for a person working in the education field it is pretty much complicated to be "obedient", as they expect the kids to be obedient and not the teachers.

Considering all these, school mediation should not be spread on similar kinds of cases, especially in Georgia (at least now). The Georgian society is not ready to feel authoritative towards a younger person (in this case the school student-mediators are meant). Though, probably the situation will change in the near future. But before the situation changes other kinds of actions should be conducted, including parent and teacher trainings, introducing the children physiology to them, etc.

## **5.3. Recourse officer as a conflict arranger**

Since April 12, 2010 the Resource Officer Institute has been introduced and functioning in all schools of Georgia. The key function of the Resource Officer is to provide calm and secure surrounding in schools. For me, personally, the word "Resource Officer" caused pretty much negative associations and I was very happy and lucky that I was not a school student any more (I finished school 2 years before the Resource Officer Institute introduction). For me the Resource Officer was equal to the police officer, jailer etc; everyone but not "students elder friend" in school.<sup>5</sup>

It is also obvious that according to Article 48<sup>3</sup> of the Georgian Law on Education, which defines a Resource Officer's job description, one of his/her functions includes: mediation in the conflict between students/teachers, unveiling the dispute and settling it. Because of this amendment in the abovementioned law, the replacement/change of the name 'Resource Officer' is being discussed. The alternative name is – Children's Security Officer. Due to the amendment mentioned above, the US experts trained 40 Resource Officers and considered the following issues: bullying<sup>6</sup>, identification and working with the victim technique.<sup>7</sup>

---

<sup>5</sup> See the official webpage of the Resource Officers in Georgia, <[http://mandaturi.gov.ge/index.php?inside\\_page=3&lang=geo](http://mandaturi.gov.ge/index.php?inside_page=3&lang=geo)>, [18.01.2014].

<sup>6</sup> bully – very aggressive person, See <<http://www.wordreference.com/definition/bullying>>. .

<sup>7</sup> *Kevanishvili E.*, Bullying – School Tricks or 'Normal' Violence? Radio Liberty, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

Thus a question is asked: If in a short period of time, 2 men and a woman managed to gain a positive image in society, why should not they be able to become mediators as well? Why should additional expenses be spent on this? For receiving the best answer we would go back to the past and remember ourselves during the school period and now – our relationships with adults. Thus, I want to say that the so-called horizontal relationship is more effective compared with the vertical one. For a student, both a friendly teacher and a Resource Officer are older people who indicate to school kids how to behave correctly, how to be kind, friendly and malleable (like Cat Leopold does in a famous Russian cartoon).

Though as a result of this, the dispute origin is still not investigated and a pseudo agreement is reached: the dispute sides are obliged to shake hands as adults order them to do so (this is like a play performed to get rid of ‘annoying’ teachers or mediators). The most dangerous fact is that probably the conflict will continue in the street and become just uncontrollable. This can be easily proved by numerous cases of violence between youngsters shown on TV.

As a result of Resource Officer Institute introduction in schools, violence minimization statistics is introduced, including: the reduction of money extortion cases by 95%, decrease of conflicts between students by 80% etc.<sup>8</sup> However, it must be considered that the abovementioned statistics are calculated according to the cases happening inside the school building and not in the streets.

Obviously it is impossible to control the kids in and out the school, nonetheless in frequent cases the aggression comes from the family itself. At the same time, the kids watch violence via the Internet, TV and play games where they should virtually kill or attack the rival, etc. Besides this, there exists a virtual personage who is widely spread on the Internet and is the object of permanent abuse. For example: there is a boy on the Internet who is limbless, ugly and very unlucky – thus the kids who are members of a special group permanently insult and abuse the poor boy. This is called a cyber-bullying and according to psychologists it promotes violence and oppression (the action is more influential than traditional bullying). The so-called cyber-bullying is worse than traditional bullying because the fact of anonymity and impunity makes the youngster crueler. All these are revealed in casual relationships in the future.<sup>9</sup>

Of course, I do not affirm that a student-mediator will be a cure-all who will be able to resolve all disputes or totally eradicate violence in schools, especially in the current situation existing in Georgia. The possible risks of this project will be discussed below.

So, I just want to highlight that a battle between generations is not a myth but reality and the coevals will manage to regulate the situation better than anybody else in schools.<sup>10</sup>

## 6. Mediator: Student or Professional?

If we agree that people are not born to be mediators but they become mediators later, we come across the first risk: a student-mediator lacks life experience, relationship experience, wisdom or skills to be a mediator – thus he/she is devoid of everything that makes a man/woman a good mediator. I think that only training is not enough to become a good mediator but certain experience and practice are really significant for this. Let’s get back to a student-mediator which is a more private case and it is not vital for him/her to possess all the characteristics that a classic mediator should have in general.

The aforementioned document will underline the fact of alienation between generations for several times and it should become a base for further steps. For example, we can take a grown-up mediator, who is successful and experienced at school, though suddenly we discover that the mediation conducted by him/her is ineffective. To be more precise: the dispute sides agreed, though they no longer want to see each other. I would call it a passive conflict which no one knows when escalates. Here is a question: why? To

---

<sup>8</sup> See the official webpage of the Resource Officers in Georgia, <[http://mandaturi.gov.ge/index.php?inside\\_page=3&lang=geo](http://mandaturi.gov.ge/index.php?inside_page=3&lang=geo)>, [18.01.2014].

<sup>9</sup> *Kevanishvili E.*, Bullying – School Tricks or ‘Normal’ Violence? Radio Liberty, 2013, <<http://www.radiotavisupleba.ge/content/normad-kceuli-dzaladoba/25154835.html>>, [18.01.2014].

<sup>10</sup> *Noll D.*, Restorative Mediation, 2002, <<http://www.mediate.com/articles/noll6.cfm>>, [18.01.2014].

get the answer let's discuss the parallels: even the best surgeon will fail to treat a kid as appropriately as an ordinary pediatrician does; I doubt that *M. Javakhishvili*, *Dostoevsky* or *Balzac* were good fairytale writers. School mediation is based on a similar principle: an experienced and strict mediator will be less effective compared with his young and outgoing coeval. A famous ancient Greek tragedian Aeschylus used to say: **“Wise is the person who knows useful things, not the one who knows a lot”**. These words are particularly important for school mediation.

Honesty, a possibility to get rid of all formalities including a dialogue in a classroom specially allotted for mediation, the equal status, better knowing each other – all these can guarantee a successful mediation. When talking about getting rid of formalities, I mean the possibility to discuss the dispute somewhere else, but not at school, on Saturday or on Sunday, of course with the participation of the student-mediator (there are no limitations regarding the place and time).

Planned activity: maybe sport, music, art are more significant for the student than a conflict/dispute with a schoolmate. Thus, mediation after the lessons can be less effective for him/her.

## 7. School Mediation Implementation Options in Georgia

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University* MA program offers Practical Justice Clinic as one of case studies. In the frames of this MA program students are selected and they conduct training-like justice/law lessons at a Tbilisi school. It is possible to widen this circle and prepare students to conduct trainings to potential mediators and then organize meetings with acting student-mediators. This is essential for discussing the ongoing cases, answering questions or asking for advice.

Generally, Practical Justice Clinic covers one semester, though considering school mediation viewpoints the term can be increased to one year. This can be done on the account of increasing credits. All this is caused by the overloaded preparation process that MA students should go through; besides this, it demands time and high interest towards the field itself. The sensitive age of the school students as well as high responsibility towards the project must be underlined over and over.

Currently universities do not own such kind of student database, though its creation is pretty much realistic, because BA and MA programs are offering mediation as a subject and the so-called Mediation Clinic exists. Quick registration for this subject proves the fact that interest towards it is very high. Thus, conducting additional seminars and focusing on school mediation will not be a problem.

The next stage is selecting mediators in concrete schools. Obviously not everyone can become a mediator. I think that anonymous polling is the best way for selecting a mediator – 2-3 students from each class. Afterwards the selected students will be trained, interviewed by a psychologist and take other exams as a result of which totally 10-15-20 (considering the number of students in school) mediators will be selected. I also think that mediators must be highly motivated and the probation period must be less stressful. Besides this, voluntary principles must be one of the key factors in mediation. The selected mediators must be trained and must periodically discuss certain cases together with other student-mediators. Thus, they must be ready to work hard to improve the existing mediation skills. Every school has a psychologist in the staff and it is very important for mediators to be in a close touch with them as even professional mediators find it difficult to cope with negative energy and aura.

## 8. Positive Results of School Mediation

Implementing school mediation can be beneficial for both particular people and for the whole society. A **student-mediator** deepens leadership skills, learns conflict resolution technique and feels more self-confident. **Dispute sides and school teachers in general** become more independent and realize that adults' assistance in everything is needless. They learn the dispute peaceful settlement and positively influence each other. **Teachers** will have an opportunity to pay more attention to the educational process

and not to disciplinary issues. **Parents** will feel peaceful as the situation at school will be more than healthy.<sup>11</sup>

## 9. Conclusion

An individual's formation process launches from school. This period is particularly important considering the life values. The author is right when underlining the fact that teaching conflict resolution technique is as important as teaching math, writing, reading, etc.<sup>12</sup> It does not matter whether an individual is ill-tempered or not, he/she still comes across numerous disputes/conflicts in life, thus knowing the ways of settling them is vitally important.

The biggest advantage of this project is in its commonness – little by little it must be introduced and established in schools all over Georgia. Thus, step by step every school student's awareness regarding the fact that the conflict can be resolved without baseless accusations and blaming each other, must be risen. They must realize that mediation is the best way for conflict resolution.

Finally, as a result of all the abovementioned, balanced, peaceful, respectful and cooperation-oriented society is guaranteed. This will increase the number of professionals and raise the cultural level in the country as well.

None of the reforms are easy to implement. However, it is vitally important to overcome the difficulties of this project! It serves for peaceful cooperation and living of the citizens, stability establishment in the country, minimizing violence, aggression and psychological problems as well.

---

<sup>11</sup> <<http://www.fairfieldcenter.org/peer-mediation-in-schools/>>, [18.01.2014].

<sup>12</sup> Jamestown Area Labor-Management Committee, Peer Mediation in Chautauqua County, N.Y. Schools, 2013, <<http://www.mediate.com/articles/jalmc.cfm>>, [18.01.2014].

## მედ-არბი/არბ-მედი და მისი ბანკითარების პერსპექტივები საქართველოში

### 1. შესავალი

მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესების კომბინაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი ინოვაციური სახეა, რომელიც ცნობილია, როგორც მედ-არბი და არბ-მედი. სახელწოდება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პროცესი იწყება პირველად. არბიტრაჟი ბოლო პერიოდის განმავლობაში სასამართლო პროცესადაა მიჩნეული, ამიტომ, დავის გადაწყვეტისათვის აღნიშნულის მეშვეობით მხარეებს მეტი შესაძლებლობა და არჩევანის საშუალება მიეცემათ. განსაკუთრებით, მედ-არბი და არბ-მედი იმ მოდავე მხარეთათვისაა სასურველი, რომლებიც სავალდებულო სასამართლო პროცედურების თავის არიდებისაკენ მიისწრაფვიან.<sup>1</sup>

### 2. მედ-არბი

#### 2.1. მედ-არბის პროცესი

მედ-არბი, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი ფორმა მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაციაა. მედ-არბის პროცესი იწყება მედიაციის სტანდარტული წესებით, შეჯიბრებითობის, შუამდგომლობების, სასამართლო უწყისებისა და სხვა ფორმალობების გარეშე, რაც არბიტრაჟის პროცესის მსგავსია. მედიატორს შეუძლია ისაუბროს მედიაციის მონაწილეებთან ერთდროულად ან განცალკევებით, თუ მედიატორი მიიჩნევს რომ ეს უკანასკნელი უფრო შესაფერისი იქნება პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის. მედიაციის პროცესისას მხარეები წარადგენენ დავის შინაარსს იმ იმედით, რომ ისინი მიაღწევენ შეთანხმებას. მედიატორის დახმარებით, მოდავე მხარეები მიისწრაფვიან, რომ გაიგონ ერთმანეთის პოზიციები და დამოკიდებულება საქმის საბოლოო გადაწყვეტასთან, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და თანაბარზომიერი ორივე მხარისთვის. მედიატორი და მხარეები, როდესაც მიიჩნევენ, რომ მათ მიაღწიეს შეთანხმებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელი იყო მედიაციის საშუალებით, მედიატორი დაეხმარება მხარეებს მედიაციის შეთანხმების შესრულებასა და ხელმოწერაში იმისათვის, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ის საკითხები, რომლებზეც მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას. მედ-არბის პროცესი დაიხურება თუ ყველა შესათანხმებელი საკითხი წარმატებით გადაწყდა. გადაუწყვეტელი საკითხების არსებობისას, მას შემდეგ რაც მედიაციის პროცესი დასრულდება, მხარეები გადაინაცვლებენ არბიტრაჟის პროცესში მედ-არბის შეთანხმების შესაბამისად. შეუთანხმებელი საკითხები რომლებიც მედიაციის შედეგად ვერ მოგვარდა გადაწყდება არბიტრაჟის მეშვეობით.

#### 2.2. მედ-არბის სახეები

არსებობს მედ-არბის ორი სახე. პირველი ფორმა გამოიყენება როგორც მედიატორის, ასევე არბიტრის მიერ, რაც მედიატორს ნებას რთავს, გადაავადოს მედიაციის პროცესი და საქმე აწარმოოს არბიტრაჟის პროცესის საშუალებით. აღნიშნული გამოიყენება ნებისმიერი დამატებითი საქმის გამოკვლევისათვის, რომელიც არ იყო წარმოდგენილი მედიაციის პროცე-

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი.

<sup>1</sup> Med-Arb, <<http://www.mediation-1st.co.uk/?p=medarb>>.

სისას ან მხარეთა მიერ ნებისმიერი სხვა ინფორმაციის ერთმანეთისთვის წარდგენის მიზნით, რათა დამტკიცდეს მხარეთა დავა დარჩენილ გადაუწყვეტელ საკითხებთან მიმართებით.

მედ-არბის ამ ფორმის გამოყენებისას უპირატესი არის ის, რომ მედიაციის კონტრაქტი დგება შეთანხმებულ საკითხებზე, სადაც არ არის მითითება იმასთან დაკავშირებით, მედიატორს/არბიტრს როგორი დამოკიდებულება აქვს გადაუწყვეტელ საკითხებთან დაკავშირებით. მედიაციის კონტრაქტის შედგენა წინ უსწრებს საარბიტრაჟო პროცესის დაწყებას, რადგან არსებობს ყოველთვის იმის შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთი მხარე შესაძლებელია იყოს უკმაყოფილო არბიტრის გადაწყვეტილებით ან თავად საარბიტრაჟო პროცესით. მათ შესაძლებელია მიატოვონ მედიაციის/არბიტრაჟის პროცესი მედიაციის შეთანხმების ხელმოწერის გარეშე, რაც უარყოფითად აისახება შეთანხმებულ საკითხებზე. მედიაციის კონტრაქტი არის ლეგალური შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ და აღსრულებადი ხელშეკრულებაა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლოში. მეორე და მედ-არბის უფრო მეტად მიღებული ფორმა არის სრული მედიაციის პროცესი, რომელსაც მოჰყვება არბიტრაჟის პროცესი, იმ შემთხვევაში თუ მედიაცია არ იქნება წარმატებული ყველა სადავო საკითხთან მიმართებით. მედიატორი და არბიტრი წინასწარ აირჩევიან მხარეების მიერ ან მხარეები მოიცდიან, რომ აირჩიონ არბიტრი სპეციალიზაციის მიხედვით, რათა იგი ფლობდეს და იგებდეს იმ საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება განსახილველად არბიტრაჟის პროცესზე.<sup>2</sup>

### 2.3. ნეიტრალური მხარე მედ-არბის პროცესში

ნეიტრალური მხარე, რომელიც მედ-არბის მედიაციის ფაზაში იქცევა როგორც მედიატორი, მისი თანხმობისას და მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, უფლებამოსილია, შეასრულოს არბიტრის მოვალეობა საარბიტრაჟო განხილვის დროს. მიუხედავად ამისა, ერთი და იმავე ადამიანის მოქმედება მედიატორისა და არბიტრის სახით, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მედიაციის პროცესის საშუალებით, არ არის რეკომენდებული. აღნიშნულის დასაბუთებლად არსებობს ორი ძირითადი მიზეზი: პირველი, მხარემ, შესაძლებელია, მედიატორს კონფიდენციალური ან მაპრივილეგირებული ინფორმაცია მედიაციის ფაზაში არ გაამხილოს. მედიატორი ვალდებულია არ გაუმჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია სხვა მხარეს იმ პირის ნებართვის გარეშე, რომელმაც ასეთი ინფორმაცია გამოაშკარავა. მედიატორმა არბიტრაჟის ფაზაში კეთილსინდისიერად უნდა იმოქმედოს. ის შეიძლება ფლობდეს ისეთ ინფორმაციას, რაც მეორე მხარეს არ მისცემს შესაძლებლობას, რომ ახსნა-განმარტება წარადგინოს ან მოწინააღმდეგე მოიგერიოს. თუ არბიტრზე ასეთი ინფორმაციის ფლობა ზეგავლენას მოახდენს თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, ის დაარღვევს სამართლის პრინციპებს.

მეორე, შესაძლებელია მხარე მედიაციის პროცესისას იყოს ნაკლებად გახსნილი მედიატორთან, როცა მედიატორი იკისრებს არბიტრად მოქმედების ვალდებულებას არბიტრაჟის ფაზაში. ამან შესაძლებელია ძირი გამოუთხაროს მედ-არბის მედიაციის პროცესს.<sup>3</sup>

ზოგადად, მედ-არბისას მედიატორად მედიაციის პროცესისთვის და არბიტრად საარბიტრაჟო პროცესისთვის უნდა დაინიშნოს სხვადასხვა პირი. გამონაკლისი დასაშვებია, თუ მედიატორი დაასაბუთებს (გამამართლებელი საფუძველი), რომ რაიმე კონფიდენციალურ ან მაპრივილეგირებულ ინფორმაციას, რომელსაც ერთ-ერთი მხარე გაამჟღავნებს მასთან და რომელიც არ არის გაზიარებული მეორე მხარესთან, არ ექნება არანაირი გავლენა მის გადაწყვეტილებაზე არბიტრად ყოფნისას.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ზოგიერთი წესი და პროცედურა ნებას რთავს მხარეებს შეთანხმდნენ, რომ მედიატორი იყოს არბიტრი იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეებს მანამდე არჩეული ჰყავდათ სხვა არბიტრად. ხშირად, მხარეები თავს არ იკავებენ, არბიტრად იგივე პირი დანიშნონ, მიუხედავად იმისა, რომ ის მათ ინფორმაციას ფლობს, რადგან მიიჩნევენ, რომ მედიატორს შეუძლია იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი არბიტრი. მხარეებზე, ხშირად, ზეგავლენას ახდენს მედიატორის ნეიტრალობა, შეფასების უნარი და პროფესიონალიზმი. იმავე პირის და-

<sup>2</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>3</sup> What is Med-Arb?, <<http://www.mediation.com.sg/index.php?option=comcontent&view=article&id=50&Itemid=22>>.



ნიშნა არბიტრად მხარეებს შესაძლებლობას ანიჭებს დაზოგონ დრო და ძალისხმევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვინცო საკითხთა წრე არის გადასაჭრელი. თუ მხარეები გადანყვეტენ, რომ დანიშნონ მედიატორი არბიტრად, მოდავეებს დასჭირდებათ, რომ აღასრულონ და ხელი მოაწერონ მედიატორის მედ-არბის შეთანხმებას. ეს ზრდის იმის საფრთხეს, რომ მედიატორი მედიაციის პროცესის განმავლობაში, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება კონფიდენციალურ, პირად ან მაპრივილეგირებელ ინფორმაციას დაეუფლოს. აღნიშნული ინფორმაცია კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არბიტრის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას.

თუ მხარეები მედიაციის შემდგომ საარბიტრაჟო პროცესს გააგრძელებენ და თუ მხარეებს არ ჰყავთ ადვოკატი, რეკომენდებულია, რომ თითოეულმა მხარემ ისარგებლოს ვექილის მომსახურებით. ეს აიხსნება იმით, რომ სახელმწიფოთა უმეტესობა აღიარებს მხოლოდ ისეთ საარბიტრაჟო პროცესს, რომელიც პროცესის ძირითად პროცედურებს მოიცავს: შეჯიბრებითობა, მტკიცებულებათა გამოკვლევა, ჩვენების მიცემა, საქმის მოსმენა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. უმეტეს შემთხვევებში, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება 30 დღის განმავლობაში.<sup>4</sup>

## 2.4. სამართლებრივი დოკუმენტაცია

მედ-არბის პროცესის დასასრულს, მხარეები ადგენენ მედიაციის ხელშეკრულებას. აღნიშნული იმ საკითხებს ასახავს, რომლებიც გადანყდა და შეთანხმებულ იქნა მხარეების მიერ მედიაციისა და საარბიტრაჟო პროცესისას და რომლებიც არბიტრის საბოლოო გადაწყვეტილებაში აისახა.

თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადია და თუ ერთ-ერთი მხარე არ ემორჩილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პირობებს, ადვოკატმა უნდა მიმართოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე კომპეტენტურ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.<sup>4</sup> თუ შეთანხმება არ არის მიღწეული მედიაციის პროცესში, მხარეები ხელს სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებას აწერენ. ან შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ნეიტრალურმა პირმა, როგორც არბიტრმა, მხარეთა მიერ გაფორმებული განზრახულობათა შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად აქციოს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტისას, რომ პროცესი ოფიციალურად დაიწყოს როგორც არბიტრაჟი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არ იქნება დავა და, შესაბამისად, ამ პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება სავალდებულოდ აღსრულებადი. თუ მედიაციის პროცესის შედეგად ყველა სადავო საკითხი არ გადაწდა, მაშინ მედიატორი ხდება არბიტრი, რომელიც წყვეტს დარჩენილ საკითხებს. გადაწყვეტილება შეიძლება იყოს სავალდებულო ან არასავალდებულო, ეს დამოკიდებულია მხარეთა მიერ გაფორმებულ შეთანხმებაზე.<sup>5</sup>

## 2.5. მედ-არბის უპირატესობები

მედიაციისა და არბიტრაჟის დაკავშირებას აქვს შემდეგი ძირითადი უპირატესობები: არბიტრისთვის ცნობილია საქმის ვითარება, მხარეები და მათი წარმომადგენლები, ამგვარად უფრო მოსახერხებელია სადავო საკითხების მოგვარება; მედ-არბის მეშვეობით შესაძლებელია ადრეული შეთანხმების მიღწევა, დაკითხვისა და სხვა მნიშვნელოვანი ლეგალური გადასახადების გარეშე. აგრეთვე, „ხელშეწყობითი“ მედიაციის მეშვეობით მხარეები უახლოვდებიან ერთმანეთს.

ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიიღწევა მედ-არბის პროცესის განმავლობაში შესაძლებელია გაფორმდეს ტრიბუნალის მიერ, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომ ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად აღსრულებადი.

<sup>4</sup> Mediation - Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>5</sup> Limbury A.L., Med-Arb: Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20%20getting%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

ხელშეწყობითი მედიაცია განსაკუთრებით გამოსადეგია, როდესაც არსებობს მიმდინარე ბიზნესურთიერთობა, რომელიც მხარეებს სურთ რომ შეინარჩუნონ. მედიაციის პროცესის მეშვეობით, შესაძლებელია, გადანყდეს თავდაპირველად განსაზღვრული საკითხები, ამასთანავე, შესაძლებელია დადებითი გამოსავლის პოვნა იმისათვის, რათა მხარეთა ურთიერთობამ პროგრესი განიცადოს.

## 2.6. მედ-არბის უარყოფითი მხარეები

მედიაციისა და არბიტრაჟის დაკავშირების რამდენიმე ძირითადი უარყოფითი მხარე შესაძლებელია გამოიყოს:

არსებობს იმის რისკი, რომ „ხელშეწყობითმა“ მედიაციამ არბიტრის მიუკერძოებლობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. არბიტრისთვის რთულია, არ შეაფასოს ის განცხადებები და შეთავაზებები, რომლებიც მხარეთა მიერ მედიაციის პროცესში, საარბიტრაჟო გადანყვეტილების გამოტანისას განხორციელდა.

ანალოგიურად, მხარე შეიძლება არ იყოს მონდომებული, რომ თავისი პოზიცია მედიატორთან ღიად დააფიქსიროს იმ შემთხვევაში, თუ იგივე პირი იქნება არბიტრი.

მნიშვნელოვანია, ამონშებს თუ არა არბიტრი (გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონმდებლობის მიხედვით) თავის უფლებამოსილებას, რომ საარბიტრაჟო პროცესისას მეორე მხარეს ის კონფიდენციალური ინფორმაცია გაუმხილოს, რომელიც მან მედიაციის პროცესის მიმდინარობისას მიიღო.

შეფასებითი მედიაციისას, რომელიც არ არის მიმართული დავის მოგვარებაზე, იმის საფრთხე იქმნება, რომ მხარეები მედიატორის იმ შეფასებებს გამოიყენებენ, რომლებიც მხარეების პოზიციების სიძლიერესა და სისუსტეებს ეხება. ეს მისცემს მათ შესაძლებლობას გაამყარონ თავიანთი არგუმენტები და მოიპოვონ უპირატესობა, რომელიც სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ.

თუ მედიაცია არ იქნება მიმართული მოგვარებისკენ, შესაძლებელია, მხარემ უარყოს საარბიტრაჟო გადანყვეტილება საჯარო წესრიგის საფუძველზე, გამოცხადებული წესების და უცვლელობის ან მედიაციის არასათანადო პროცესის გამო.<sup>6</sup>

## 3. არბ-მედი

### 3.1. არბ-მედის პროცესი

არბ-მედი არის არბიტრაჟისა და მედიაციის კომბინაცია. მხარეები არბიტრს და მედიატორს წინასწარ ირჩევენ. დიდი მოცულობის საქმეებზე, მონაწილეებმა შესაძლოა სამი წევრისგან შემდგარი არბიტრაჟი აირჩიონ.

არბ-მედის პროცესი სტანდარტული საარბიტრაჟო პროცესის მიხედვით იწყება. საარბიტრაჟო პროცესზე დაკითხვის შემდეგ, მხარეები წინასწარ არჩეულ მედიატორს ხვდებიან, რომლის ხელმძღვანელობითაც სრული მედიაციის პროცესი იმართება. აღნიშნულ ეტაპზე განიხილება იგივე საკითხები, რომლებიც განიხილეს საარბიტრაჟო პროცესზე. აღნიშნულ მედიაციაში განსხვავება ის არის, რომ მხარეები საარბიტრაჟო განხილვის დროს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების დასამტკიცებლად ძალისხმევას ზოგავენ.

მას შემდეგ, რაც მხარეები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს სრულყოფილად მოისმენენ, მათ ექნებათ მეტი შესაძლებლობა, რომ გამოცდილი მედიატორის დახმარებით სადავო საკითხებზე შეთანხმდნენ. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მედიაციის საშუალებით მორიგების რეალური მოლოდინი უნდა არსებობდეს.

არბიტრი ყველა შეთანხმებულ საკითხთან დაკავშირებით მედიატორის მიერ წერილობით ინფორმირებული უნდა იყოს. შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გადანყდეს დავა მედიაციის მეშვეობით, საარბიტრაჟო პროცესის ნაწილი არ არის. მედიაციის

<sup>6</sup> *Smith H.*, Med-Arb – An Alternative Dispute Resolution Practice, Med-Arb, February 2012, <<http://www.herbertsmithfreehills.com/-/media/HS/T29021246%202.pdf>>.

პროცესზე გაფორმებული ხელშეკრულება არავითარ ზეგავლენას უნდა ახდენდეს არბიტრის გადაწყვეტილებაზე. მას შემდეგ, რაც მედიაციის პროცესი დასრულდება, არბიტრი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მიიღებს, რათა გადაწყდეს ყველა ის საკითხი, რომლებიც ვერ მოგვარდა მედიაციის საშუალებით. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, არბიტრი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას იღებს მედიაციის პროცესის დასრულების შემდგომ.

იშვიათია, როცა მედიატორი საარბიტრაჟო პროცესს ესწრება იმისათვის, რათა საქმის ვითარების შესახებ უფრო მეტად იყოს ინფორმირებული. აღნიშნული ხელსაყრელია, რადგან მედიატორი საქმის ვითარებაში უფრო მეტად იქნება გათვითცნობიერებული და მედიაციის პროცესისას უფრო მეტად კომპეტენტური იქნება.

### **3.2. რა შემთხვევაში გამოიყენება არბ-მედი**

არბ-მედის პროცესი უფრო მეტად მაშინ გამოიყენება, როდესაც მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს მესამე მხარის ნეიტრალურობის მიმართ არ აქვს რწმენა. ამგვარად, საბოლოო და სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებას იღებს არბიტრი. თავდაპირველად, არბიტრაჟის პროცესის დაწყებით, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, იხილონ, თუ როგორ იცავს მეორე მხარე თავის პოზიციას. მხარეებს ასევე აქვთ საშუალება, დამცველთა მოსაზრებებს გაეცნონ. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრი ნეიტრალური და დამოუკიდებელია, მხარეთათვის შეიძლება ნათელი შეიქმნას არბიტრის პოზიცია, თუ ვის სასარგებლოდ გამოიტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

საარბიტრაჟო პროცესის დასრულების შემდგომ, ორივე მხარეს აქვთ შესაძლებლობა, კვლავ შეაფასონ თავიანთი პოზიციები და იყვნენ მეტად გახსნილი მოლაპარაკებისას. ტიპური არბ-მედი მედიაციის ფაზაში დავის მოგვარებასთან მიმართებით საკმაოდ წარმატებულია.

არბიტრს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ გადახედოს მედიაციის კონტრაქტს, რადგან ის საარბიტრაჟო პროცესის ნაწილს არ წარმოადგენს და არბიტრის გადაწყვეტილებაზე მან ზეგავლენა არ უნდა იქონიოს.<sup>7</sup>

### **4. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების დაკანონება და გაზრდილი ინტერესი მედ-არბის მიმართ**

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების დაკანონების საკითხი ფართოდ განიხილება. არბიტრაჟისა და მედიაციის დაკანონება მამოძრავებელი ძალაა იმისა, რომ სამოქალაქო დავებში მედ-არბის მიმართ ინტერესი გაიზარდოს. არბიტრაჟი რაც უფრო მეტად ემსგავსება სასამართლო დავას, არბიტრაჟის მხარდამჭერები ცდილობენ, რომ დაწერონ არბიტრაჟის პროცესში უფრო მეტი მედიაციისთვის დამახასიათებელი არაფორმალური უპირატესობები. მსგავსად, მედიაციაც რაც უფრო მეტად ხდება ფორმალიზებული და უახლოვდება არბიტრაჟს, იგივე მომხრეები ხელს უწყობენ მედ-არბის გამოყენებას.

მედ-არბის მხარდამჭერები ასაბუთებენ, რომ არბიტრაჟის სავალდებულობა აქეზებს მედიაციის პროცესის მხარეებს, რომ მორიდდნენ მედიაციის საშუალებით. მედიაციის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ ითვლება ის, რომ მედიატორს არ აქვს უფლებამოსილება, მიიღოს სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილება. მაგრამ განსახილველია უქმნის თუ არა აღნიშნული მედიაციას პრობლემას. გაზრდილი ინტერესი მედ-არბის მიმართ აიხსნება არბიტრაჟის კანონიერებით და მისი მსგავსებით სასამართლო დავასთან. შესაძლებელია მედიაციის აქტუალობის ორი მიზეზი გამოიყოს: არბიტრაჟის მიმართ შიში და შესაძლებლობა მედ-არბის ადვოკატებისთვის, რომ ჰიბრიდული პრობლემა გახადონ ამკარა მედიაციის ლეგალიზაციის საშუალებით და არბიტრაჟის მსგავსი შედეგით. ამგვარად, მედ-არბის საშუალებით გვარდება ისეთი პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია თითოეულისთვის.

<sup>7</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

მედ-არბის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მედიაციისთვის დამახასიათებელი არასავალდებულობაა. მედ-არბის მომხრეები ასაბუთებენ, რომ მხარეთა და ადვოკატთა ქცევა არის მეტად სრულყოფილი მედ-არბის დროს. ასევე, აღნიშნავენ, რომ ადვოკატთა დასწრება მოლაპარაკების პროცესს დამაპირისპირებელ ელფერს სძენს და ართულებს კონფლიქტს. მედიაციის დაკანონება ნიშნავს „ახალი არბიტრაჟის“ ჩამოყალიბებას. ამის თავიდან ასაცილებლად მედ-არბი არის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მედიაციისა და არბიტრაჟის სისუსტეების დასაძლევად ბალანსის შენარჩუნება. მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ არის. როგორც არბიტრაჟი გახდა ფორმალიზებული და დაკანონებული, ისევე მედიაციასაც ახასიათებს აღნიშნულის ნიშნები. მედიაციის პროცესზე შეფასება სასამართლო პროცესზე საქმის განხილვას ემსგავსება. ადვოკატი მედიატორები უფრო მეტად იმისკენ მიისწრაფვიან, რომ შეფასებითი მედიაცია გამოიყენონ, მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებულნი უნდა იყვნენ ხელშეწყობითი მედიაციის გამოყენებისათვის.

მედიაციასა და არბიტრაჟს შორის ზღვრის ნაშლა ინვევს მედიაციის მთავარი ღირებულებების დაკარგვას, მხარეთა ჩართულობასა და იმის შესაძლებლობას, რომ მათ თავად განსაზღვრონ თავიანთი ბედი და გათავისუფლდნენ ფორმალური და მკაცრი კანონებისგან. ადვოკატები მედიაციას ასევე იმისთვის იყენებენ, რომ სირთულეების გარეშე გამოიკვლიონ ფაქტები. მედ-არბის გამოყენება კი ანაცვლებს მსგავს არახელსაყრელ მეთოდებს.<sup>8</sup>

## 5. მედ-არბის/არბ-მედის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოშიც იცვლება დავის განხილვის კლიმატი. მთავარი მიზანი ის არის, რომ დავა სწრაფად და ნაკლები დანახარჯით მოგვარდეს. სასამართლოები პროცედურებს აჩქარებენ და ამარტივებენ, ამიტომ თუ არბიტრები არ მიისწრაფვიან დავის მოგვარების ხელშეწყობისაკენ, არბიტრაჟი ნაკლებად მიმზიდველი გახდება. ერთი არჩევანი არის შესაბამისი შემთხვევებისთვის ჰიბრიდული პროცესის შერჩევა.

მედ-არბს, მხოლოდ მედიაციისა და მხოლოდ არბიტრაჟისგან განსხვავებით, ის უბირატესობა აქვს, რომ მხარეებს ორი შესაძლებლობა ენიჭებათ: მათ შეუძლიათ თავად მიაღწიონ შეთანხმებას და ასეთი შეთანხმების არქონის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტას უზრუნველყოფს არბიტრაჟი.<sup>9</sup>

მედიაცია და არბიტრაჟი საქართველოში თანდათანაბით ვითარდება. საზოგადოების მიმართვიანობას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებისადმი ამცირებს მათი ნაკლებ ინფორმირებულობა აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მედ-არბი/არბ-მედის პროცესი მოდავე მხარეთა ინტერესებს ეფექტურად მოერგება, რადგან ქართული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქალაქეები წვრილმან დავებზე სასამართლოებს მიმართავენ, რაც სასამართლოს გადატვირთვასა და ზედმეტი პროცედურებისგან მხარეთა მოცდენას ინვევს.<sup>10</sup>

არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარება მხოლოდ მედიაციის საშუალებით შეუძლებელია და ასევე ცალკეული საკითხების გადაწყვეტისთვის სასურველია სავალდებულო ძალის მინიჭება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მეშვეობით მხარეებს იმის გარანტია აქვთ, რომ სადავო საკითხები შესრულდება, რომელიც ეროვნული სასამართლო მხარის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცლის წარდგენის საფუძველზე აღსრულების იძულებასაც უზრუნველყოფს. ეს უკანასკნელი მედიაციას არ ახასია-

<sup>8</sup> Pappas B.A., Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution Accepted for Publication, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, 2015.

<sup>9</sup> Limbury A.L., Med-Arb: - Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

<sup>10</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 121.

თებს, რადგან მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულება საკანონმდებლო დონეზე არ წესრიგდება. მიღწეული შეთანხმების აღსრულებით მხარეები მეტად უზრუნველყოფილნი რომ იყვნენ და მხოლოდ ერთმანეთის ნდობაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი, ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები მედიაციის მეშვეობით გადაეწყვიტათ, ხოლო ძირითადი, სარისკო საკითხები — მედ-არბის არბიტრაჟის ფაზაში.<sup>11</sup>

მედ-არბის უპირატესობა, დროისა და ეკონომიურობის გარდა, ისაა, რომ აღნიშნული პროცესის შედეგად დავა ყველა შემთხვევაში გადაწყდება. საქართველოში მოქალაქეები მედიაციის პროცესის მიმართ ნდობით განწყობილნი არ არიან, რაც მედიაციის მიმართ მათ გულგრილობას იწვევს. ორი დაპირისპირებული მხარის მხოლოდ ერთმანეთთან მოლაპარაკების გზითა და მესამე ნეიტრალური პირის ჩართულობით მორიგება წარმოუდგენლად მიაჩნიათ. ამიტომ, მედ-არბის შეთავაზება მხარეთათვის გაცილებით მეტი გარანტიის მიმცემი იქნება, რადგან ისინი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათ შორის არსებული დავა აუცილებლად გადაწყდება.

უპირველესად, საქართველოში მედ-არბის/არბ-მედის განვითარების დაწყება მხარეთა ინფორმირებულობითაა შესაძლებელი. მაგალითად, როდესაც მედიატორი/არბიტრი მედიაციის/საარბიტრაჟო პროცესს იწყებს, მან მხარეებს უნდა მოახსენოს, რომ არსებობს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები, როგორცაა მედ-არბი და არბ-მედი, რომლის შესახებაც თავად მედიატორი ან არბიტრი განუმარტავს. თუ მხარეები მოინდომებენ შესაძლებელია, რომ მედიაცია არბიტრაჟში ან არბიტრაჟი მედიაციაში გადაიზარდოს.

მედ-არბი/არბ-მედის გავრცელების ხელშეწყობა ერთდროულად უნდა მოხდეს, რადგან თუ ჯერ ორიენტირებულები ვიქნებით მხოლოდ მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარებაზე, მაშინ აღნიშნული ინსტიტუტების გავრცელება საქართველოში შორეული პერსპექტივა იქნება. ამიტომ, უმჯობესია, მათი დანერგვა პარალელურ რეჟიმში მოხდეს, ანუ მედიაციისა და არბიტრაჟის ხელშეწყობასთან ერთად.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ არბიტრი და მედიატორი მედ-არბის პროცესისას ერთი და იგივე პირი იყვნენ — თავდაპირველადვე უნდა გამოირიცხოს. საქართველოში მედიატორების დატრენინგება მათი პროფესიონალიზმის ასამაღლებლად მიმდინარეობს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი, არბიტრაჟთან შედარებით, გაცილებით ახალია, მედიატორები არბიტრის ფუნქციას ვერ შეითავსებენ. ეს, შესაბამისად, მედ-არბის/არბ-მედის ინსტიტუტის განვითარებას დააბრკოლებს, რადგან დავის განმხილველი პირები თავიანთ საქმეში არ იქნებიან პროფესიონალები.

ამას გარდა, საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს საკითხი, რომ არბიტრთა ვალდებულებას საკუთარი კომპეტენციის შემოწმება წარმოადგენდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრი ერთ-ერთი მხარისათვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებას გამოიტანს, მან, შესაძლოა, უარყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მისი გაუქმება სასამართლოში მოითხოვოს. თუკი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადი არ იქნება, მაშინ, რა თქმა უნდა, მთელი საარბიტრაჟო პროცესი აზრს დაკარგავს.<sup>12</sup>

საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ საკანონმდებლო დონეზე მედ-არბის/არბ-მედის განხილვის საკითხები და მისი პროცედურა მონესრიგდება, რომელიც 2010 წლის კომერციული არბიტრაჟის აქტის დამატებითი 27D ნაწილს შეესაბამება, რომელიც მედ-არბთან დაკავშირებულ პროცედურებს შეეხება.<sup>13</sup> ამის განხორციელების შემთხვევაში, მეტი შანსი იქნება იმისა, რომ მედ-არბი/არბ-მედი საქართველოში დაინერგოს, რადგან საკანონმდებლო მონესრიგება

<sup>11</sup> *Limbury L.A.*, Med-Arb: Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20%20getting%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

<sup>12</sup> *Mediation-Arbitration*, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>13</sup> *Angyal S.C.R.*, Med-Arb – Past, Present and Potential, 13 August 2011, <[http://www.nswbar.asn.au/docs/professional/adr/documents/angyal\\_082011.pdf](http://www.nswbar.asn.au/docs/professional/adr/documents/angyal_082011.pdf)>.

მოდვე მხარეებზე გავლენას მოახდენს და ამ ინსტიტუტის ძირითადი არსი მათთვის უფრო ნათელი იქნება.

ასევე, შესაძლებელია როგორც სავალდებულო სასამართლო მედიაციის საქართველოში დანერგვა, ისე მედ-არბის მსგავსი დანაწესის სასამართლო სისტემაში შემუშავება. მთავარი განსხვავება შემდეგია: როდესაც სავალდებულო სასამართლო მედიაცია დასრულდება და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ყველა სადავო საკითხზე, მაშინ სასამართლო არბიტრის ფუნქციას შეითავსებს და ყველა დარჩენილ საკითხს გადაწყვეტს. რა თქმა უნდა, არბიტრაჟისათვის დამახასიათებელი ნორმები არ იმოქმედებს, მაგალითად, როგორცაა, გამოსაყენებელ მატერიალურ ან საპროცესო ნორმებზე მითითება.

## 6. დასკვნა

მედ-არბის პროცესის საშუალებით მხარეებს იმის გარანტია ეძლევათ, რომ პროცესის დასასრულს ყველა სადავო საკითხი გადაწყდება. თუ ყველა საკითხი მხოლოდ არბიტრაჟის მეშვეობით მოწესრიგდება, მხარეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებები სრულად და ღიად გამოხატონ. ეს უკანასკნელი კი გამოცდილი ნეიტრალური მესამე პირის თანდასწრებით მედიაციის პროცესის საშუალებით მიღწევადია. აღიარებულია, რომ სადავო საკითხები, რომელიც თავად მხარეთა მიერ გვარდება, მეტ კმაყოფილებას მათ ანიჭებს, რადგან მხარეები, ზოგჯერ, არბიტრის მოულოდნელ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ისმენენ. არბიტრმა შესაძლოა, მხარეთა პოზიციებსა და მათ მიერ გამოვლენილ ემოციებს არასწორი ან სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს. აღნიშნული ზეგავლენას მის მიერ მისაღებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე მოახდენს და მიიჩნევს, რომ მისი გადაწყვეტილება სამართლიანი და თანაზომიერია.

არბ-მედი/მედ-არბი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ხერხების ინოვაციური კომბინაცია გახლავთ, რომელიც მხარეებს სთავაზობს, არბიტრაჟს ან სასამართლოს დავის მოსაგვარებლად არ მიმართონ. არბ-მედი/მედ-არბი დავის გადაწყვეტის ეფექტურ და სანდო მეთოდად მიიჩნევა.<sup>14</sup>

საქართველოში მედ-არბისა და არბ-მედის განვითარება რეალურია იმდენად, რამდენადაც ბოლო პერიოდის განმავლობაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და ინიციატივები განხორციელდა. შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუტებიც ინტერესის სფეროს უნდა წამოადგენდეს, რადგან მედიაციისა და არბიტრაჟის კომბინაცია დავის ალტერნატიულ გადაწყვეტის საშუალებებს კიდევ უფრო ეფექტურს გახდის.

---

<sup>14</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

## **Med-Arb/Arb – Med and the Prospects of its Development in Georgia**

### **1. Introduction**

Combination of mediation and arbitration processes is one of the innovative forms for the alternative dispute resolution, which is known as Med-Arb and Arb-Med. The title is determined depending on which process is implemented at first. During the recent period arbitration has been considered as a court process, therefore the parties are provided with more opportunities and choices in case of resolution of the dispute using the above mentioned approach. Med-Arb and Arb-Med are especially favourable for the parties, who are trying to avoid mandatory court procedures.<sup>1</sup>

### **2. Med-Arb**

#### **2.1. Med-Arb process**

Med-Arb as one of the forms for the dispute resolution is the combination of mediation and arbitration. The Med-Arb process starts with the standard rules of mediation, without competitiveness, intermediation, court notifications and other formalities – which is similar to the arbitrage process. A mediator can talk with the parties to mediation together or separately, if the mediator deems the latter more appropriate for the effective management of the process. In the process of mediation, the parties to the process present the contents of the dispute with the hope to achieve agreement. With the assistance of a mediator the disputing parties are driven with the desire to understand the position and attitude of the other party towards the final resolution of a dispute, which must be fair and proportionate for both parties. When the mediator and the parties are of the view that the agreement was achieved on the issue which could be resolved via mediation, then the mediator will assist the parties in the execution and signing of agreement, in order to finalise the issues upon which the agreement was reached. The Med – Arb process will be closed if all issues to be agreed are successfully resolved. In the event of the remaining unsolved issues, following the completion of the mediation process, the parties will move to the arbitration process in accordance with the Med-Arb agreement. The issues not resolved at the mediation stage will be solved via the arbitrage.

#### **2.2. Forms of med-arb**

There are two forms of Med-Arb. The first form is used by a mediator as well as by an arbiter, and the mediator is allowed to postpone the mediation process and process the case via the arbitration process. The above form is used for the investigation of any additional events, which were not presented during the mediation process or for the presentation of any other information by the parties to each other with the objective to achieve the agreement of parties regarding the remaining unresolved issues.

In case of using this form of Med-Arb, the main idea is that a mediation contract is concluded on the agreed issues, and it does not indicate the position of a mediator/arbiter regarding the unresolved issues. Drafting the mediation contract precedes the arbitration process, as there always is a possibility that one of the parties is not happy with the decision of the arbiter or with the arbitration process itself. They may leave the mediation/arbitration process without signing the mediation agreement, having a negative impact over

---

\* Master Student, TSU Faculty of Law.

<sup>1</sup> Med-Arb, <<http://www.mediation-1st.co.uk/?p=medarb>>.

the already agreed issues. A mediation contract is a legal agreement, which must be signed by both parties and such an agreement is executable under the court with relevant competences. The second and more accepted form of Med-Arb is a full mediation process, which is followed by the arbitration process, if the mediation is not successful for all disputable issues. The mediator and the Arbiter are preliminarily selected by the parties or the parties would prefer to select the arbiter with the relevant specialisation, in order to use the arbiter fully aware of the issues to be presented at the arbitration process for the discussion.<sup>2</sup>

### **2.3. The neutral party of the med-arb process**

The neutral party, who at the mediation phase of Med-Arb process acts as a mediator, in the event of his/her consent and agreement of the parties, is authorised to fulfil the duties of arbiter during the arbitration review process. Despite the above mentioned, it is not recommended to have one person in the role of both mediator and arbiter if the parties can't achieve agreement via the mediation process. To justify the above there are two main reasons: first – the party may disclose the confidential information or information giving privilege to the mediator during the mediation process. The mediator is liable to keep such information undisclosed for the other party without a prior consent from the party providing such information. A mediator shall act consciously during the arbitration phase. He/she might possess the information which will not allow the other party to present the explanation or defence against the rival. If possessing such information influences the justification of the decision made by the arbiter, then the arbiter violates the principle of fairness.

Second – the party may be less open to the mediator during the mediation process, if the mediator undertakes the liability to act as an arbiter during the arbitration phase. The above may ruin the mediation process under the Med-Arb approach.<sup>34</sup>

Generally, different persons shall be appointed as mediators for the mediation process and as arbiters for the arbitration process. Exceptions are acceptable, if the mediator justifies (justifying basis) that any confidential or privileging information disclosed by one of the parties and not shared with the other party, will not influence his/her decisions in the process of fulfilling the duties of the arbiter.

In the process of alternative resolution of a dispute some rules and procedures allow the parties to agree to have the mediator fulfilling the duties of an arbiter even if the other arbiter has been selected by the parties before. Often the parties abstain from appointing the same person as an arbiter despite the fact that he/she possesses their information, as are of the view that mediator can be an unbiased and fair arbiter. The neutrality, capability to evaluate and professionalism of the mediator often influence the parties. Appointing the same person as an arbiter allows the parties to save the time and efforts involved. This is especially true when the issues to be resolved are of quite a limited nature. If the parties make a decision to appoint the mediator as an arbiter, then the disputing parties have to sign and execute the Med-Arb agreement drafted by the mediator. The above increases the danger that the mediator during the mediation process may become aware of personal, confidential or privileging information along with other issues. The above information can be then used by the arbiter in the process of making the arbitration decision.

If the parties following the mediation process continue with the arbitration process and if the parties do not have lawyers, it is recommended for both parties to use a solicitor. The above can be explained by the fact that most of the states only acknowledge the arbitration processes which cover the main procedures of the process: competitiveness, investigation of evidences, testimony evidence, case hearing and making the final decision. For most cases, the final decisions are made during the 30 days' period.<sup>4</sup>

---

<sup>2</sup> Mediation - Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>3</sup> What is Med-Arb?, <<http://www.mediation.com.sg/index.php?option=comcontent&view=article&id=50&Itemid=22>>.



## 2.4. Legal documents

At the end of the Med-Arb process, parties draft a mediation agreement. The agreement covers the issues which were resolved and agreed by the parties during the mediation and arbitration processes and were reflected in the final decision made by the arbiter.

If the arbitration decision is executable and if one of the parties does not obey the conditions of the arbitration decision, the lawyer shall apply to the competent court under the relevant jurisdiction for the execution of the decision.<sup>5</sup>

If an agreement is not reached during the mediation process, the parties sign the agreement which has a mandatory power. There is also a possibility that in the event of consent from the parties the neutral person as an arbiter transforms the agreement of the parties on their intentions into the arbitration decision. The above is particularly important for the resolution of international commercial disputes in order to start the process officially at the arbitrage. Otherwise, this is not considered as a dispute and, accordingly, the decision made as a result of such process will not be mandatory for execution. If not all the issues are resolved during the mediation process, then the mediator becomes the arbiter and solves the remaining issues. The decisions may be mandatory or non-mandatory, the above depends on the agreement concluded between the parties.<sup>6</sup>

## 2.5. Advantages of med-arb

The connection of mediation and arbitration has the following main advantages: an arbiter has knowledge about the case details, parties and their representatives, and therefore it is more convenient for the resolution of issues under dispute; it is possible to achieve the early agreement without interrogation and avoiding other significant legal fees via the Med-Arb. Moreover, via the “supportive” mediation the parties get closer to each other.

Any agreement reached during the Med-Arb process can be concluded by the tribunal as the final decision, which will be later executed in accordance with the New-York convention.

Supportive mediation is especially useful if there is a current business relationship and the parties would like to retain such relationships. Using the mediation process, the initially determined issues may be resolved; moreover, it is possible to find a positive solution in order to ensure the progress in the relationship between the parties.

## 2.6. Disadvantages of med-arb

We can distinguish the following main disadvantages related to mediation and arbitration:

There is a risk that “supportive” mediation has a negative impact over the unbiased approach of the arbiter. It is difficult for the arbiter to evaluate the statements and offers provided by the parties during the mediation process and in the process of making the arbitration decision.

Similarly, a party may not be willing to openly state his/her position in front of the mediator if the same person is appointed as an arbiter.

It is important that the arbiter checks (in accordance with the arbitration rules to be applied or legislation valid for the location where the arbitration process takes place) his/her authority to disclose the confidential information obtained during the mediation process to the other party.

In case of evaluation type mediation, which is not directed towards the dispute resolution, there is a risk that the parties use the assessment of the mediator which concerns the strengths and weaknesses of the

---

<sup>5</sup> Mediation - Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>6</sup> *Limbury A. L.*, Med-Arb: Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20%20getting%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

position of the parties. The above will enable them to reinforce their arguments and get the advantage which would not be achievable in other cases.

If the mediation is not directed towards dispute resolution, it is possible that the party declines the decision made by the arbiter based on the public ruling, due to the non-adherence to the announced rules or inappropriate mediation process.<sup>7</sup>

### **3. Arb-Med**

#### **3.1. Arb-med process**

Arb-Med is the combination of arbitration and mediation. The parties select an arbiter and a mediator prior to the process. For the high volume cases, the parties may select the arbitrage consisting of three members.

The Arb-Med process starts in accordance with the standard arbitrage process. Following the interrogation in the arbitration phase, the parties meet the preliminarily selected mediator, under the guidance of whom the whole mediation process is implemented. At the mentioned stage, the same issues are discussed as have already been discussed in the arbitration phase. The difference of the mentioned mediation process is that parties save the efforts required for proving the issues related to the factual circumstances.

After the parties listen to the factual circumstances of the case in full, they have more opportunities to achieve the agreement over the dispute issues with the assistance provided by the experienced mediator. There must be an expectation for the real resolution of disputes related to each issue.

The mediator shall provide information in the written form about all the agreed issues to the arbiter. The agreement which determines the ways for the resolution of the dispute via mediation is not part of the arbitration process. The agreement concluded for the mediation process does no influence the decision made by the arbiter. Following the completion of the mediation process, the arbiter makes the arbitration decision in order to resolve all the issues which were not resolved via mediation. According to the general practice, the arbiter makes the arbitration decision following the completion of the mediation process.

It is not common to have the mediator attending the arbitration process with the aim to get more information on the details related to the case. The above mentioned is convenient, as the mediator becomes more aware of the case details and therefore is more competent during the mediation process.

#### **3.2. When is arb-med used?**

The Arb-Med process is mostly used in cases when the parties or one of the parties doubt the neutrality of the third party. Hence, the arbiter makes a final decision having the mandatory power. Starting with the arbitration process, the parties have an opportunity to see how the other party defends his/her position. The parties are also able to get familiar with the position of defenders. Moreover, despite the fact that the arbiter is neutral and independent, the parties may understand the position of the arbiter – in favour of which party will the arbitration decision be made.

Following the completion of the arbitration process, both parties have an opportunity to once more evaluate their positions and be more open for negotiations. Typical Arb-Med in the mediation phase is quite successful in terms of dispute resolution.

The arbiter does not have the authority to review the mediation contract, as it is not part of the arbitration process and it should not influence the decision made by the arbiter.<sup>8</sup>

---

<sup>7</sup> *Smith H.*, Med-Arb – An Alternative Dispute Resolution Practice, Med-Arb, February 2012, <<http://www.herbertsmithfreehills.com/-/media/HS/T29021246%202.pdf>>.

<sup>8</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

#### **4. Legalisation of the Alternative Forms of Dispute Resolution and Increased Interest towards Med-Arb**

The issue of legalisation of the Alternative Forms of dispute resolution is widely discussed. The legalisation of arbitration and mediation drives the increased interest towards Med-Arb for civil disputes. The more the arbitration is similar to the court dispute the more the supporters of arbitration try to establish informal advantages characteristic to the mediation in the arbitration process. Similarly, the more formalised and close is mediation to the arbitration, the more is support provided to Med-Arb utilisation by the same supporters.

Supporters of Med-Arb argue that the mandatory nature of arbitration encourages the parties to the mediation process to reach an agreement via mediation. One of the disadvantages of mediation – the mediator does not have the authority to make a decision with the mandatory execution power. However, we have to discuss whether the above mentioned creates problems for mediation. The increased interest towards Med-Arb can be explained by the legality of arbitration and its similarity to the court dispute. One can distinguish two reasons for the popularity of mediation: fear towards the arbitration and a possibility for the Med-Arb lawyers to make evident the hybrid problem via the legalisation of mediation and similar to arbitration results. In order to avoid the above problem, the Med-Arb is means by which it is possible to maintain balance for the overcoming of weaknesses of mediation and arbitration. However the problem is not that simple. As arbitration has become formalised and legalised, the mediation is also characterised with some features of the above. Assessment during the mediation process is becoming similar to the case hearing at the court. The mediation lawyers are striving to use assessment type mediation despite the fact that they should be striving to use the supportive mediation.

Erasing the boundaries between the mediation and arbitration causes the loss of main value of mediation, which is involvement of parties and possibility for them to themselves determine their fate and liberate from formal and strict laws. The lawyers also use mediation to investigate the facts without difficulties. Application of Med-Arb replaces such unfavourable methods.<sup>9</sup>

#### **5. Prospects for the Development of Med-Arb / Arb-Med in Georgia**

Similar to other countries, the climate for dispute review in Georgia is also changing. The main objective is to resolve the disputes promptly and with lower costs. Courts accelerate and simplify the procedures; therefore, if arbiters do not strive towards supporting dispute resolution, arbitrages become less attractive. One option is to select hybrid processes for similar cases.

Med-Arb, unlike mediation on its own and arbitration on its own - has the advantage of parties having two options: they can reach an agreement themselves and in case of the absence of such agreement dispute resolution can be ensured by arbitration.<sup>10</sup>

Mediation and arbitration are gradually developing in Georgia. The number of applications for alternative dispute resolution forms is low due to the lack of awareness about such possibilities.

In the Georgian reality, Med-Arb/ Arb-Med processes will effectively fit the interests of disputing parties, as Georgian court practice shows that citizens approach the courts for trivial disputes, causing the overloading of courts and wasting of time of parties on the excessive procedures.<sup>11</sup>

---

<sup>9</sup> *Pappas B.A.*, Med-Arb and the Legalization of Alternative Dispute Resolution Accepted for publication, Harvard Negotiation Law Review, Vol. 20, Spring 2015, <file:///C:/Users/user/Downloads/SSRN-id2332726%20.pdf>.

<sup>10</sup> *Limbury A.L.*, Med-Arb: Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20%20getting%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

<sup>11</sup> *Tsertsvadze G.*, Mediation, Tb., 2010, 121.

There are issues which cannot be resolved solely via mediation and for specific issues it is desirable to assign the mandatory power. The arbitration decision provides the parties with the guarantee that the disputable issues will be resolved; the above also ensures the forcing of execution via the application of execution paper by the national court party. The latter is not characteristic to mediation, as the execution of the agreement reached via the mediation process is not regulated at the legislative level. In order to achieve ensuring the execution of the reached agreement for the parties and not to be dependent on each-other's trust, it would be beneficial to resolve less important issues via mediation, as for the basic, risk related issues – to resolve them in the Med-Arb phase.<sup>12</sup>

In addition to the time and cost saving, the advantage of Med-Arb is that as the result of the above mentioned process the dispute will be resolved by all means. In Georgia citizens do not trust the mediation process, causing their indifference towards mediation. Citizens deem it impossible to reach an agreement only via negotiations between the opposing parties and involvement of a third neutral party. Therefore, offering Med-Arb to the parties would contain more guarantees, as they will be sure that the dispute between them will be by all means resolved.

First of all, starting the development of Med-Arb / Arb-Med in Georgia is possible via the increased awareness of parties. For example, when the mediator/ arbiter starts the mediation / arbitration process he/she shall inform the parties that there are alternative ways for dispute resolution, such as Med-Arb and Arb-Med, and the mediator or arbiter shall give the relevant clarifications of the processes. If the parties express their will, it is possible to transfer mediation to arbitration or arbitration to mediation.

Support to Med-Arb / Arb-Med expansion shall be made simultaneously, as if we are first focused on the development of mediation and arbitration alone, then the spreading of the above institutes in Georgia will be a long-term perspective. Therefore, it is more expedient to introduce them in parallel, in other words, in parallel with the support to mediation and arbitration.

As for the issue related to the appointment of the same person as an arbiter and mediator of the Med-Arb process – this shall be excluded from the beginning. Trainings of mediators for the improvement of their qualification are being implemented in Georgia. Based on the fact that the mediation institute is quite new compared with the arbitration institute, mediators will not be able to perform the functions of an arbiter. This would hinder the development of Med-Arb / Arb-Med processes, as the persons reviewing the disputes will not be professionals of the area.

Moreover, the obligation of arbiters to check their competence shall be regulated at the legislative level. In the event when the arbiter makes a decision not favourable for one of the parties, he/she may reject the arbitration decision and request its annulment at the court. If the arbitration decision is not executable, then the whole arbitration process loses its meaning.<sup>13</sup>

The best way out would be to regulate the issues discussed at Med-Arb / Arb-Med and their procedures at the legislative level; the above is in accordance with the additional 27D section of the commercial arbitration act of 2010, which covers the procedures related to Med-Arb.<sup>14</sup> In the event of implementation, there will be higher chances to introduce Med-Arb / Arb-Med in Georgia as the legislative regulation will influence the disputing parties and the main essence of this institute will become more clear for citizens.

It is also possible to introduce the mandatory court mediation in Georgia as well as to develop provisions similar to Med-Arb in the Georgian court system. The main difference is as follows: when the mandatory court mediation is completed and the parties cannot reach an agreement on all the issues under dispute, then the court will take the function of an arbiter and make a decision on all the remaining issues.

---

<sup>12</sup> *Limbury A.L.*, Med-Arb: Getting the Best of Both Worlds, <<http://www.strategic-resolution.com/documents/Med-Arb%20getting%20the%20best%20of%20both%20worlds%202010.pdf>>.

<sup>13</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

<sup>14</sup> *Angyal S.C.R.*, Med-arb – Past, Present and Potential, 13 August 2011, <[http://www.nswbar.asn.au/docs/professional/adr/documents/angyal\\_082011.pdf](http://www.nswbar.asn.au/docs/professional/adr/documents/angyal_082011.pdf)>.

By all means, the norms characteristic to arbitration, such as reference to the material or processual norms, will not be valid.

## **6. Conclusion**

Via the Med-Arb process the parties are provided with the guarantee that at the end of the process all the issues under dispute will be resolved. If all the issues are resolved via arbitration, the parties will not have a possibility to express their positions fully and openly. The latter is achievable in presence of a third neutral person via the mediation process. It is acknowledged that disputable issues which are resolved by the parties themselves cause more satisfaction to the parties, as the parties sometimes have to listen to the unexpected arbitration decision of the arbiter. The arbiter may interpret the positions of the parties and demonstrate emotions incorrectly or differently. The above will influence the decision to be made by the arbiter; and the arbiter will be of the view that his/her decision is fair and proportionate.

Arb-Med / Med-Arb are the innovative combinations of means for the alternative resolution of disputes, which offer to the parties not to approach the arbitrage or court for dispute resolution. Arb-Med / Med-Arb are considered as effective and reliable methods for dispute resolution.<sup>15</sup>

It is realistic to develop Med-Arb and Arb-Med in Georgia, as during the recent period significant legislative changes and initiatives have been implemented in the area of alternative dispute resolution. Accordingly, the above mentioned institutes shall be in the area of interest, as the combination of mediation and arbitration makes the alternative dispute resolution methods even more effective.

---

<sup>15</sup> Mediation-Arbitration, <<http://www.constructiondisputes-cdrs.com/about%20MEDIATION-ARBITRATION.htm>>.

## ბოლიში და პატიება მედიაციის პროცესში

### 1. კონფლიქტი

დავა/კონფლიქტი მხარეებს შორის წარმოიშვება ყოველდღიურად, ეს შეიძლება გამოწვეული იქნეს ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა: ინტერესთა კონფლიქტი, ილუზია იმის შესახებ, რომ არსებობს კონფლიქტი ან იყოს უბრალოდ ახირება. შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ ერთსა და იმავე საგნებს ან მოვლენებს, ან სხვადასხვანაირად გადმოსცემენ ერთსა და იმავე ფაქტს – ეს შეიძლება გახდეს ძირითადი ფაქტორი იმისა, რომ მხარეებს შორის წარმოიშვას კონფლიქტი. თუ საქმე გვაქვს არა ახირებასთან, არამედ რეალურ ინტერესთა შეუთავსებლობასა ან განსხვავებულ აზრთან, ან ილუზიასთან იმის შესახებ, რომ არსებობს კონფლიქტი, მაშინ მხარეებს შორის დიდ როლს თამაშობს ემოციური მუხტი. ემოციური მუხტი დამოკიდებულია აზრისა და ემოციის ჯამზე. რამდენადაც დიდია ემოცია მით მეტი შანსია კონფლიქტის მხარეებმა სასწრაფოდ დაწვან დამაკავშირებელი ხიდები და ამ დროს საღად განსჯის უნარი იმის შესახებ, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი გაფუჭებული ურთიერთობის აღდგენა, დაქვეითებულია. კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ყოველთვის არაა რეალური, თუმცა ყველა შემთხვევაში ადამიანთა ქცევა იდენტურია – ისინი ცდილობენ ერთმანეთი დაარწმუნონ საკუთარი შეხედულებების სისწორეში, შემდეგ იღებენ ირაციონალურ გადაწყვეტილებებს ან უბრალოდ ღიზიანდებიან, ამის შემდეგ იწყება კონფლიქტის ყველაზე აქტიური, თუმცა ფატალური ეტაპი, ეს არის მხარეებს შორის დამაკავშირებელი ყველა რგოლის წყვეტა.

კონფლიქტის ყველაზე ცხელი და ემოციური ეტაპის გასვლის შემდეგ მხარეები ფიქრობენ თუ როგორ დაამთავრონ ან/და მოაგვარონ კონფლიქტი. დავა ყოველთვის ასოცირდება არასასიამოვნო შეგრძნებებთან, დისკომფორტთან, შესაბამისად, მისი მოგვარება მოდავე მხარეების ინტერესებში შედის. დავა/კონფლიქტი შეიძლება წამოიშვას როგორც ინდივიდებს, ასევე სოციალურ ჯგუფებს შორის, შესაძლებელია მხარეებად გამოვიდნენ ინდივიდი და სოციალური ჯგუფიც. კონფლიქტი ყოველდღიურია და ადამიანები მას თავად ქმნიან. კონფლიქტს არ ქმნის რელიგია ან რასა, სოციალური მდგომარეობა ან პოლიტიკური შეხედულებები, ეთნიკური წარმომავლობა ან სექსუალური ორიენტაცია. არცერთი რელიგია, რასა, ეთნოსი არ ქადაგებს კონფლიქტს, ადამიანების ინტერპრეტირება ამა თუ იმ საკითხისა წარმოშობს კონფლიქტს, ამას ემატება ადამიანთა განცდა იმისა, რომ თითოეულის აზრი ჭეშმარიტებაა. ეს განცდა გაცილებით ძლიერია კონფლიქტის არსებობისას.

როდესაც მოდავე მხარეები გამოდიან ან არ გამოდიან ემოციური ფონიდან ყველა შემთხვევაში იწყება დავის მოგვარების გზების ძიება და ყველაზე ხშირად მიმართავენ მოლაპარაკებას. მოლაპარაკების გზა არის ჯერჯერობით ყველაზე ცივილური მონაპოვარი კაცობრიობისა, გადაიჭრას კონფლიქტი. ფსიქოლოგიის მიხედვით ყველა კონფლიქტს აქვს გადაკვეთის წერტილები, სწორედ ეს ეხმარება მხარეებს უბრალოდ დაინყონ დიალოგი და თუ მხარე ნათლად ხედავს გადაკვეთის წერტილებს იგი მიყვება მას და ცდილობს სწორად აღიქვას რა უნდა მეორე მხარეს. მოლაპარაკებისას ყველაზე მნიშვნელოვანი არის სწორედ ეს – გაიგო რა უნდა მონინააღმდეგეს. ამის შემდეგ წინა პლანზე გადმოდის ემპათია<sup>1</sup>. თანაგრძნობის უნარი ყველა ადამიანშია, ამ დროს მოდავე მხარე ცდილობს ჩადგეს მეორე მხარის პოზიციაში, გქონ-

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი.

<sup>1</sup> ადამიანის უნარი თანაუგრძნოს სხვებს და გაიგოს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, (რედ. მ. ჩიტაშვილი), თბ., 2004, 351.

დეს ემპათია კონფლიქტის მხარის მიმართ გმირობადაც კი აღიქმება ხოლმე. ზემოთ აღნიშნული გზა არის იდეალურად დახატული, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ ემპათიას ვერ მოთხოვთ ადამიანს იმპერატიულად და ვერც კონფლიქტების გადაკვეთის ნერტილების მონახვას ვერ დაავალებთ მას. მეტიც, უფრო ხშირად მხარეები იყენებენ ფასეულობათა სისტემას, რომელიც ყველაზე ცუდი ალტერნატივაა კონფლიქტის მოგვარებისთვის. რაციონალიზაცია გადანყვეტილების მიღების შედეგად მისი ლოგიკური დასაბუთების კონსტრუირების პროცესია. ეს არის დაცვითი მექანიზმი და ხასიათდება საკუთარი პოზიციის გამართლებით. ვერც რაციონალიზაცია მიიყვანს მხარეებს კონფლიქტის მოგვარებისკენ. შეფასებითი კატეგორიები საფრთხეს უქმნის დიალოგს (განსჯა იმისა ვინაა მტყუანი ან მართალი). დიალოგის დროს მთავარია სურვილი იმისა, რომ რეალურად შედგეს მოლაპარაკება, და ამისთვის საჭირო განწყობა. განწყობა არის ქცევისადმი როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური მზაობა. დამატებით, მხარეებს ესაჭიროებათ გარემო, ინსტრუმენტი იმისთვის, რომ შედგეს დიალოგი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიალოგის საწარმოებლად უმნიშვნელოვანესია განწყობა, განწყობის შემადგენელი ყველა ელემენტი: გარემო და შესაფერისი სიტუაცია. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფსიქიკური თუ ფიზიკური ფაქტორის შექმნა რთული და შეუძლებელიც კია კონფლიქტის მხარის მიერ, შესაბამისად, რაციონალური გამოსავალია დაინყო მოლაპარაკება და რეალურად მოაგვარო კონფლიქტი, მიმართო პროფესიონალ შუამავალს, მომლაპარაკებელს, მედიატორს, რომელიც დაეხმარება მხარეებს განახორციელონ სწორი კომუნიკაცია და გადაჭრან კონფლიქტი, აღადგინონ ადამიანური ურთიერთობა, რომელიც ყველაზე რელევანტური და სენსიტიური ფაქტორია.

## 2. მედიაცია

კონფლიქტის/დავის მოგვარების რამდენიმე გზა არსებობს. ეს შეიძლება დაიყოს ფორმალურ და არაფორმალურ გზებად. ფორმალური გზაა სასამართლო, რომლის მიმართვის შემდეგ პროცესი ხდება არაკონტროლირებადი, ჩნდება ზედმეტი ხარჯები, მხარემ სულ მცირე წელიწადნახევარი შეიძლება იაროს სასამართლოში, დახარჯოს ენერჯია და დრო. სასამართლო პროცესით არ გვარდება ადამიანური ურთიერთობის საკითხები. სტატისტიკურად, მხარეები სასამართლოში ან საარბიტრაჟო განხილვის დროს, ხშირ შემთხვევაში, ვერ იღებენ იმას რისი მოთხოვნაც ჰქონდათ თავდაპირველად.

ბიზნესმენისთვის ისევე, როგორც ყველა რაციონალური ადამიანისთვის კონფლიქტის მოგვარება კომფორტულია სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით. არაფორმალური გზებია: მედიაცია, მოლაპარაკება, თვითდახმარება, თავის არიდება. მედიაცია არის მოლაპარაკების ერთ-ერთი სახე და მის გარეშე მედიაციის პროცესი წარმოუდგენელია. თვითდახმარების დროს მხარე ცდილობს დავა მოაგვაროს სხვა მესამე პირთა ჩარევის გარეშე, ხოლო თავის არიდებისას მხარე გაურბის კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი გზას და ცდილობს დაივიწყოს კონფლიქტის ფაქტი, რაც შეიძლება შევადაროთ ნელი მოქმედების ბომბს და ამაზე დეტალურად ბოდიშისა და პატიების განხილვისას იქნება საუბარი. მედიაცია ეს არის არაფორმალური, მხარისგან სრულად კონტროლირებადი, იაფი და სწრაფი პროცესი, რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს. მედიაციის უამრავი განმარტება არსებობს და, მისი არაფორმალურობიდან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვანაირად განმარტავენ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია ეს არის ერთი-ერთი სახე მოლაპარაკებისა, რომელსაც მხარეები მიმართავენ თუ არ სურთ ურთიერთობის განწყვეტა, რადგან მათთვის ეს მნიშვნელოვანია და მათ ესმით, რომ დავა შეიძლება მოლაპარაკებით დამთავრდეს. მხარეები თავად წყვეტენ თუ როგორ დასრულდება დავა, რა შედეგი ექნება მოლაპარაკებას. კომუნიკაციას კი უზრუნველყოფს პროფესიონალი მედიატორი, რომელიც ეცდება მოდავეებს დაანახოს არსებული სიტუაცია, მათი რეალური მდგომარეობა და მხარეთა ინტერეს-

თა გათვალისწინებით მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც არა თუ მოაგვარებს დავას არამედ გადაჭრის ადამიანური ურთიერთობის პრობლემასაც.

საგულისხმოა, რომ მედიაციის პროცესში მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დატოვოს პროცესი და უარი თქვას მოლაპარაკებაზე, მედიაციის ეს თვისება შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. მხარეები თავისუფალნი არიან პროცესის დროს, რაც შეიძლება გახდეს მოლაპარაკების კრახით დასრულების მიზეზი, თუმცა მოლაპარაკება თავისუფლების გარეშე კარგავს თავის რეალურ არსს.

### 3. ბოდიში და პატიება

„ერთ-ერთი ყველაზე ბრძნული, ღრმა ადამიანური ურთიერთქმედება არის შესთავაზო და მიიღო ბოდიში“<sup>2</sup> ასე იწყებს *აარონ ლაზარი*, ფსიქიატრიის პროფესორი და მასაჩუსეტის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი თავის წიგნს *On Apology*. ბოდიშს აქვს უნარი განკურნოს ადამიანების შიში, უკმაყოფილება, დისკომფორტი, შეურაცხყოფა. ბოდიშს შეუძლია ხელი ააღებინოს მხარეს შურისძიებაზე, მოიპოვოს პატიება დაჩაგრულის მხრიდან<sup>3</sup>. როდესაც ამ წიგნს ეცნობი ნელ-ნელა გიყალიბდება განცდა, რომ ბევრმა საზოგადოებაში არ იცის, თუ როგორ მოიხადოს სწორად ბოდიში. უამრავი ადამიანისთვის, რომელიც დაინტერესებულია მედიაციით, შესაძლოა ბოდიშის როლი მოლაპარაკებისას არ იყოს ისეთი რელევანტური, როგორც მედიატორის ტაქტიკა, ავტორიტეტის მოპოვება მხარეებში და ა.შ. სინამდვილე კი ისაა, რომ ბოდიშისა და მიტევების საკითხს ვერ გავექცევით დავის მოგვარებისას. ყოველი ადამიანი კონფლიქტის დროს აცნობიერებს ვის როლშია იგი, ჩაგრულის თუ მჩაგვრელის. მჩაგვრელში გამომუშავდება შიში სამაგიეროს მიზღვისა და ეს ილექება გონებაში იმდენად მყარად, რომ ამის იგნორირება რთულია და, ფაქტობრივად, შეუძლებელიც.

უამრავი შემთხვევაა, როდესაც ბოდიშზე თავის შეკავებამ დაანგრია ოჯახები, მეგობრობა, სხვა მნიშვნელოვანი ურთიერთობები, თუნდაც ბიზნეს ურთიერთობები. ადამიანებს სწყინთ ბევრი რამ და ამის განსაზღვრა ან წინასწარ გამოთვლა რთულია, ვინაიდან ეს უბრალოდ ადამიანურ გონებას ალემატება, თუმცა ეფექტურ ბოდიშს შეუძლია პრევენცია მოახდინოს „ფატალური“ შედეგებისა. დაგვიანებულ ბოდიშსაც კი შეუძლია ჰქონდეს შედეგი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მთავარი არის მისი ფორმა, დრო და ადგილი, ასევე კონფლიქტების განხილვისას ნახსენები განწყობა. დაგვიანებულ, თუ დროში კარგად შერჩეულ ბოდიშს ახასიათებთ საერთო თვისებები, ესენია: ემოციური ტკივილი, თავდაპირველი თავშეკავება ბოდიშის მოხდისგან, დანაშაულის გრძნობა, სიმარტივე და გენიალურობა ბოდიშის მოხდისა, სპონტანური კეთილშობილების გამოჩენა დაჩაგრულის მიერ, პატიება, ადამიანური ურთიერთობების აღდგენა. ბოდიშის მოხდა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და რაც მეტი მნიშვნელობა მიენიჭება მას მით მეტ სარგებელს მიიღებენ ადამიანები ურთიერთობისას.

აღსანიშნავია, რომ ბოდიშს მხოლოდ ინდივიდები არ იხდიან, ბოდიშს იხდიან სახელმწიფოები, პოლიტიკოსები, ორგანიზაციები და ა.შ. სახელმწიფოთა მიერ ნათქვამი „ვწუხვარ“-ის გულწრფელობის დიაპაზონი ყველაზე მარტივად მისახვედრია. ბოდიშის ფენომენი პოპულარული გახდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ დიალოგითა და თუნდაც დანაშაულის ადეკვატური აღიარებით შეიძლება მიიღონ გაცილებით დიდი მოგება, ვიდრე საომარი მოქმედებების შედეგად მიიღებდნენ. აარონ ლაზარს მოჰყავს ფაქტი, რომ ჩინეთში მუშაობს ბოდიშის მოხდის კომპანია *Tianjis Apology and Gift Center*, სადაც დასაქმებულნი არიან შუა ხნის განათლებული ადამიანები, ძირითადად იურისტები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები, ექიმები, სოციალური მუშაკები, რომლებიც შესაბამისი მიმართვის შემდეგ სხვის მაგივრად იხდიან ბოდიშს, წერენ წერილებს, აგზავნიან საჩუქრებს და ა.შ. მათი მუშაობა ეფექტურად აისახა უამრავი ოჯახისა, თუ ბიზნესპარტნიორთა ურთიერთობაზე.

<sup>2</sup> Lazare A., *On Apology*, Oxford University Press, USA, 2005, 1.

<sup>3</sup> იქვე, 1.



ბავშვობიდან ყველას ასწავლიან რომ თუ რამეს დააშავებენ ბოდიში უნდა მოიხადონ მყისიერად, იმიტომ რომ სხვა შემთხვევაში ეს არაეთიკურია და, თუ ბოდიშს მოუხდის ვინმე, მათ ყველა შემთხვევაში უნდა აპატიონ, აარონ ლაზარი მსგავს ბოდიშებს უწოდებს *Just talk apology*<sup>4</sup> -ის. საქართველოში აღდგომის მარხვის პერიოდში მართლმადიდებელი ქრისტიანები აღნიშნავენ „შენდობის კვირას“. შინაარსობრივად ეს რასაკვირველია, შესანიშნავია, თუმცა იბადება შეკითხვა სოციალური ქსელებით გავრცელებული „შემინდეთ თუ ოდესმე რამე დამიშავებია ვინმესთვის“ არის თუ არა გულწრფელი ბოდიში და მიემართება თუ არა იგი რეალურად იმ ადამიანის გულისკენ ვისაც ნამდვილად აწყენინეს. ბოდიში ინტიმურია და, შესაბამისად, მისი მოხდა პირადად თქვენივე სახელით უნდა მოხდეს, მთავარია „დაჩაგრულმა“ იგრძნოს, რომ დანაშაულის გრძნობა გტანჯავთ და გინდათ ამისგან გათავისუფლდეთ. „დაჩაგრული“ უნდა ხვდებოდეს, რომ ნანობთ და იგივე აღარ განმეორდება, ყველა შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება პატიების პროცესი. „პატიება უნდა დაიმსახურო, მოიპოვო, მას ვერ მოიპარავ. ამისთვის საჭიროა, პატიოსნება, სულგრძელობა, თავმდაბლობა, ვალდებულების გრძნობა, სიმამაცე, თავის განიერვა“.<sup>5</sup>

უმთავრესია აღი ნიშნოს, რომ „მჩაგვრელს“ გაცილებით მეტად ესაჭიროება ბოდიში და პატიება ვიდრე „დაჩაგრულს“. აღსანიშნავია, რომ ბოდიშის მოხდა უნდა იყოს დროში სწორად შერჩეული, არ უნდა დაგვიანდეს, რადგან, ადამიანური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, მხარეები დროის გასვლასთან ერთად სხვადასხვანაირად იხსენებენ ფაქტებს და სხვანაირად აფასებენ მას. ასევე რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრე-ბოდიში<sup>6</sup> არაა გულწრფელი და ნამდვილი, არ შეიძლება მოიხადო ბოდიში და განიცადო ის რაც არ მომხდარა, ასევე არაეფექტურია ბოდიშის მოხდა მანამდე, სანამ მეორე მხარე მიხვდება თუ რა შეემთხვა საერთოდ. ამ შემთხვევას აარონ ლაზარი უწოდებს *Get off easy apology*<sup>7</sup> -ის.

მოლაპარაკების პროცესში, როდესაც მხარე მედიატორს ესაუბრება „Caucus“-ზე, მედიატორი ვალდებულია აუხსნას ყოველივე ზემოთ აღნიშნული ბოდიშის შესახებ მას, როდესაც უმარტავს თუ რა არის *Negotiation dance*<sup>8</sup> (მოლაპარაკების ცეკვა). მედიატორი პროცესის ამ ეტაპზე ვალდებულია განუმარტოს მხარეს, რომ სწორი ბოდიში ეს არის ურთიერთობის მოგვარებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი, თუ კი მედიატორი ხედავს, რომ მხარე თავს იკავებს ბოდიშისგან და ცალსახაა, რომ შერიგება სხვა მხრივ არ დადგება, ვალდებულია გააცნოს მხარეს მისი რეალური მდგომარეობა და დაეხმაროს მას გაიაზროს თუ რა როლი ეკისრება მის ბოდიშს კონფლიქტის მოგვარებაში. მედიატორი მხარეს ანახებს მის შეცდომებს ისე, რომ მხარე თავად მიდის პასუხებამდე. იგი ივსება დანაშაულის გრძნობით და ცდილობს ისწავლოს თუ როგორ მოიხადოს ბოდიში სწორად. საგულისხმოა, რომ ბოდიში შეიძლება მანიპულაციის საშუალებად იქცეს და მედიატორის ვალია მხარეს დაანახოს ბოდიშისა და პატიების დადებითი მხარეები და არა ის, რომელიც ადამიანთა ფსიქიკაზე ზემოქმედებას ემსახურება.

მედიატორისთვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ცოდნა და დანახვა რის გამოც იკავებენ მხარეები ბოდიშის მოხდისგან თავს. ამ ფაქტორების რაოდენობა საკმაოდ დიდია, თუმცა მათი მცირე ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- ა. სირცხვილი;
- ბ. საკუთარი თავის დამცირების შიში;
- გ. სასჯელის შიში;
- დ. ნაკლები ინფორმაციულობა იმის შესახებ მოიქცა თუ არა მხარე ცუდად;
- ე. *self – centred persons* – ადამიანები, რომლებიც თავს თვლიან სამყაროს ცენტრად და ასევე თვლიან რომ უბრალოდ შეცდომას არ უშვებენ;

<sup>4</sup> Lazare A., *On Apology*, Oxford University Press, USA, 2005, 8.

<sup>5</sup> იქვე, 6.

<sup>6</sup> იქვე, 171.

<sup>7</sup> იქვე, 174.

<sup>8</sup> Schlie H. E., Young A. M., *The Rhythm of the Deal: Negotiation as a Dance*, ESMT, 2008, 1.

ვ. თავის არიდება „სასჯელისგან“;

ზ. განცალკევების საშუალება – მიაყენო ტკივილი ადამიანს და ამით განყვიტო კავშირი. ბოდიშის მოხდისგან თავის არიდება საუკეთესო საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად<sup>9</sup>.

პატიების პროცესი იწყება გულში და მთავრდება გონებაში, გულში ამ პროცესის დაწყება შეიძლება დაუკავშირდეს მრავალ ფაქტორს, მათ შორის სწორად მოხდის ბოდიშს, რადგან ეს ემოციური პროცესია. გონებაში კი ადამიანი ხარშავს მისთვის საჭირო ინფორმაციას. იმისთვის, რომ აპატიოს, იგი ამუშავებს მხარისგან მიღებულ პასუხებს თავის შეკითხვებზე. მხარისათვის აუცილებელია „მჩაგვრელისგან“ დანაშაულის დადასტურება, სინანული, მიზეზების გაგება თუ რამ გამოიწვია „მჩაგვრელის“ საქციელი და ყველაზე მნიშვნელოვანი მხარემ უნდა მიიღოს გარანტია იმისა, რომ ასეთი რამ მეორედ არ განმეორდება და ეს შეპირება უნდა იყოს გულწრფელი.

„დაჩაგრული“ ისევე, როგორც „მჩაგვრელი“ ყოველთვის აცნობიერებენ თავიანთ როლებს კონფლიქტის დროს. „დაჩაგრულები“ ირჩევენ რამდენიმე გზას კონფლიქტის მოსაგვარებლად:

1) წყენაზე თვალის დახუჭვა – ეს არის მდგომარეობა მხარისა, როდესაც პირი დგება სრული ამნეზიის პოზიციაში, მისთვის მთავარია დააჯეროს თავისი თავი, რომ არაფერი მომხდარა, თუმცა დავინწყება ფაქტისა არ არსებობს. „ამნეზიის გზის“ არჩევა მოითხოვს ენერჯიას და ნერვებს. შეინარჩუნო ეს პოზიცია რთულია და ოდესღაც, აუცილებლად ამოხეთქავს ვულკანივით შეურაცხყოფის გრძნობა, რომელსაც პირი შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში მალავდეს.

2) მსხვერპლის როლში შესვლა – ეს არის ყველაზე არაადეკვატური, თუმცა საკმაოდ პოპულარული გზა მოაგვარო კონფლიქტი (თავის არიდება). ამ დროს „დაჩაგრულს“ უყვარდება საკუთარი თავი, სიამოვნებს ის თუ როგორ საუბრობს ყველა რამდენად ცუდი ადამიანია „მჩაგვრელი“. ასეთი ადამიანები არიან დამღლელები და ხშირად გამაღიზიანებლად მოქმედებენ სოციუმზე. „მსხვერპლები“ რჩებიან ამ როლში მთელი თავისი სიცოცხლე და ჩვევაში გადასდით იყვნენ მუდამ ცხოვრებისაგან და სხვებისგან დაჩაგრულნი.

3) საუკეთესო გამოსავალია დაიწყო პატიების პროცესი. ამისათვის საჭიროა ადამიანი დადგე საკუთარ თავზე მაღლა და გამოხვიდე მსხვერპლის მდგომარეობიდან, იმის მიუხედავად, რომ ეს პოზიცია საკმაოდ ტკბილი და საამოა ბევრი ადამიანისთვის. პატიების პროცესი უნდა იწყებოდეს ადეკვატური, ეფექტური და გულწრფელი ბოდიშის შემდეგ. პატიება არ ნიშნავს დავინწყებას, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მორალური ქცევა, საკმაოდ ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი. პატიებისათვის უმნიშვნელოვანესია „მჩაგვრელმა“ გასცეს ყველა მის წინაშე დასმულ შეკითხვას პასუხი, ახსნას მიზეზები მისი ქცევისა, გამოხატოს სინანული და შინაგანი „ტანჯვა“ იმისა, რომ დანაშაულის გრძნობა ანუხებს. პატიება, როგორც აღინიშნა, არაა დავინწყება ფაქტისა, ის არ არის გადაყლაპვა წყენისა და შეურაცხყოფისა, ის არც კაპიტულაციაა. პატიების დროს არ უნდა გქონდეს დამარცხებულის შეგრძნება. მედიატორი, როგორც შუამავალი, უხსნის მხარეს თუ რას ნიშნავს რეალური პატიება, რა დადებითი თვისებები აქვს მას. აუცილებელია განმარტოს უპატიებლობის საშინელი შედეგები და მხარეს უნდა დაანახოს, რომ კონფლიქტის ჩაყლაპვა ან მსხვერპლის მდგომარეობაში შესვლა ძლიერი ადამიანებისთვის არაა. პატიებას ადამიანები აღწევენ, როდესაც დისკომფორტს აღარ იგრძნობენ მეორე მხარესთან ურთიერთობის დროს, თუმცა კვლაცავე უნდა აღინიშნოს, რომ მიტევება დავინწყება, ამნეზია არაა. მიტევების დროს ვპატიობთ ადამიანს და არა ქცევას.

<sup>9</sup> Lazare A., On Apology, Oxford University Press, USA, 2005, 160, 161, 162.

#### 4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოდიშის და პატიების როლი განუზომელია მედიაციის პროცესში. კარგი მედიატორი გაითვალისწინებს ამ ორი ფენომენის მნიშვნელობას და დაანახებს ამას მხარეებს. გულწრფელი ბოდიშის მოხდა და პატიება მოლაპარაკების წარმატებით დასრულების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. როგორც აღვნიშნე, მედიაციას თანხმდებიან მხარეები, რომლებსაც კონფლიქტისას ყველა დამაკავშირებელი ძაფი არ გაუნყვეტიათ, მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა და მისი მომავალი, ისინი ხვდებიან, რომ კონფლიქტის მოგვარების ეფექტური, იაფი, სწრაფი და კონტროლირებადი გზა მედიაციაა, მათ კარგად იციან, რომ მოლაპარაკების დროს თავად განსაზღვრავენ თავის ბედს (რაც სასამართლო პროცესის დროს წარმოუდგენელია), შესაბამისად, არაფორმალურ პროცესში ნებისმიერი სახის ურთიერთობების მოსაგვარებლად „შესთავაზო და მიიღო ბოდიში“<sup>10</sup> საუკეთესო საშუალებაა მიაღწიო მედიაციის უმთავრეს დანიშნულებას, მოგვარდეს რეალური ადამიანური ურთიერთობა.

---

<sup>10</sup> Lazare A., *On Apology*, Oxford University Press, USA, 2005, 1.

## **Apology and Forgiveness in the Mediation Process**

### **1. Conflict**

A dispute/conflict arises between the parties on a daily basis, it can be caused by such factors as the conflict of interests, the illusion that there is a conflict or just a whim. We can say that when people perceive the same things or events differently or narrate the same facts in different ways - it can become a major factor for the emergence of a conflict between the parties. If the case is not a whim, but the real incompatibility of interests or with the dissenting opinion or the illusion that there is a conflict, then in the parties an important role is played by an emotional charge. The Emotional charge depends on the sum of thought and emotion. As far as the emotions are great, it is more likely to quickly burn bridges linking the two parties and, at the same time, the ability of healthy judgment as to whether it will be possible to restore a broken relationship is reduced. The reason for the emergence of the conflict is not always real, but in all cases people's behavior is identical – they are trying to convince one another that their views are correct, then they make irrational decisions or just get irritated; this is followed by the most active, albeit the fatal stage, i.e. breaking all the links between the two parties.

After the hottest and most emotional stage of the conflict is over, the parties think about how to finish and/or resolve it. An argument/dispute has always been associated with unpleasant sensations, discomfort, accordingly, its resolution is in the interests of the parties. Not only may a dispute/conflict arise between individuals, but also between social groups, parties may be represented by individuals and by social groups as well. A conflict takes place daily and people create it themselves. A conflict is not created by a religion or race, social status or political beliefs, ethnicity or sexual orientation. None of the religions, races or ethnoses preaches a conflict; humans' interpretation of any given issue creates a conflict, plus a feeling that each opinion is the truth. This feeling is much stronger during the conflict period.

No matter whether the parties to the dispute get rid of or do not get rid of the emotional background, in any case they start looking for the ways of conflict resolution and most often they refer to negotiations. Negotiation is still the most civilized achievement of humanity among those that are used to resolve the conflict. According to psychology, all conflicts have points of intersection. It helps the parties to start a dialogue and if the party clearly sees the points of intersection, it (party) just follows them and tries to guess what the other side/party needs. During talks, the most important thing is – to find out what the opponent wants. Empathy<sup>1</sup> then breaks into the foreground. The empathetic ability is in every person, at the same time, the opposite side is always trying to hold the stagnant position of the other party, having empathy towards a party to the conflict is like heroism. The above-mentioned ways are perfectly drawn, but it must be admitted that empathy cannot be imperatively demanded from a person, and it cannot be forced to find any crossing points of the conflict, either. Moreover, the parties more often use the system of values, which is the worst alternative for conflict resolution. Streamline the decision-making process as a result of its design rationale. This is a protective mechanism and is characterized by its position in an acquittal. Not even rationalization can lead to the resolution of the conflict. The evaluative categories constitute a threat to the dialogue (the point to be wrong or right). During a dialogue, the main thing is the desire to actually negotiate and the required mood for this. Mood is both mental and physical readiness for the behavior. In addition, the parties need an environment, a tool to begin a dialogue. In conclusion, it can be said that for

---

\* Master Student, TSU Faculty of Law.

<sup>1</sup> Human Ability to Express Sympathy to Others and Understand their Psychological Condition. Glossary of the Social and Political Terms, ed.: *M. Chitashvili*, Tb., 2004, 351.

the dialogue mood is essential, the mood with all its constituent elements: an environment and a suitable situation. For a conflicting party it is difficult or even impossible to create all the above listed mental or physical factors, accordingly, a rational solution to start negotiations and actually resolve the conflict is to resort to a professional mediator, negotiator, the mediator who will help the parties to implement the right to communicate and resolve the conflict, restore human relationships, which is the most relevant and sensitive factor.

## 2. Mediation

There are several ways of resolving a conflict/dispute. They can be divided into formal and informal. A formal way is the court, after addressing, the process becomes uncontrollable, extra costs arise, a party may have to go to court for at least a year and a half and spend energy and time. Through trials human relations issues are not resolved. Statistically, at court or during arbitration proceedings parties often do not receive what they had originally requested.

For a businessman, as well as for all rational people, it is more comfortable to resolve a conflict quickly and at a lower cost. Informal ways are: mediation, negotiation, self-help and avoidance. Mediation is one of the forms of negotiation and without it the mediation process is unimaginable. During self-assistance, the other side is trying to resolve the dispute without the intervention of the third party and while avoiding it the party is trying to abstain from any way of resolving the dispute and to forget the fact of the conflict, which may be compared to a slow-acting bomb; it will be discussed in detail in Apology and Forgiveness. Mediation is an informal, fully controllable by a party, inexpensive and quick process, In the case of its failure the parties may apply to the court or arbitration at any time. There are lots of definitions of mediation and following from its informality it is not surprising that various countries define it differently. To illustration, it can be said that mediation is one of the forms of negotiation the parties appeal to if they do not wish to break off relations, because for them it is important as they understand that the conflict may end up with negotiations. The parties themselves decide how to end a dispute and what outcome negotiations will have. Communication will be provided by a professional mediator who will try to show the plaintiffs the current situation, the real condition they are in, and taking into account the interests of the parties help them to reach an agreement, which will not only resolve the dispute but also solve the problem of human relationships.

It is noteworthy that during the mediation process a party can leave the process at any time and abandon negotiations. This feature of mediation contains both positive and negative sides. The parties are free during the process, which may be a reason for the failure of negotiations; however, negotiations without freedom lose their real essence.

## 3. Apology and Forgiveness

“One of the most profound, deep human interactions is to propose and adopt apology,”<sup>2</sup> these are the words with which *Aaron Lazar*, professor of psychiatry at the University of Massachusetts, Dean of the Medical School, starts his book *"On Apology"*. Apology has an ability to cure people's fears, dissatisfaction, discomfort and outrage. Apology may persuade a party to deny revenge and to gain forgiveness from the oppressed side.<sup>3</sup> When you get acquainted with this book, little by little you start feeling that many people in the society do not know how to apologize properly. For a large number of people who are interested in mediation the role of apology might not be as relevant as a mediator's tactics or gaining authority among the parties, etc. The truth is that we cannot escape the issues of apology and forgiveness in dispute resolution. During the conflict every person acknowledges his/her own role, whether

---

<sup>2</sup> *Lazar A.*, *On apology*, Oxford University Press, USA, 2005, 1.

<sup>3</sup> *Id.*, 1.

he/she is an oppressed or an oppressor. In the oppressed person is formed a fear of being reattributed, which accumulates in mind so steadily that it is difficult and, in fact, impossible to ignore it.

There are numerous cases when abstaining from apologizing has destroyed families, friendships, and other important relationships, even business relationships. People become upset about many things, and it is difficult to define or calculate it in advance, because it exceeds the capabilities of the human mind, but an effective apology can prevent "fatal" consequences. Even a late apology can give a result, but it should be noted that the most important factors are its form, time and place, as well as the mood which accompanies the discussion. A delayed or timely well-selected apology is characterized by common features such as emotional pain, the initial restraint from apology, feeling of guilt, simplicity and genius of rendering an apology, expressing spontaneous nobility towards the oppressed, forgiveness, restoration of human relations. Apologizing is a part of everyday life and the more importance will be given to it the more benefit people will receive in relations.

It should be noted that not only individuals make an apology, governments apologize, politicians, organizations, etc. The range of sincerity of "We are sorry" said by Governments/States is the easiest to guess. The phenomenon of apologizing became popular after the Cold War, when states realized that through dialogue or even adequate recognition of the offense they could get a much bigger profit than via military action.

Aaron Lazar cited the fact that in China there is a company working on apologizing "*Tianjis Apology and Gift Center*", where the employees are middle-aged educated people - mostly lawyers, psychologists, teachers, doctors, social workers – who, following a proper request, apologize for the applicants, write letters, send gifts, etc. Their work has effectively reflected on the relations of many families or business partners.

Everyone is taught from childhood that if anything goes wrong, they should apologize instantly because otherwise it is not ethical, and if one is rendered an apology by someone, he/she must forgive by all means. Aaron Lazar calls such kind of apologies "*Just talk apology*"<sup>4</sup> - In Georgia, during Lent Orthodox Christians celebrate "Forgiveness Sunday". This idea, of course, is perfect, but a question arises whether the phrase spread in social networks "forgive me if I ever ever did anything wrong to anyone" is a sincere apology and whether and it is actually directed to the heart of the person who has really been hurt. Apology is intimate and it should be rendered on your behalf, as it is important for the "oppressed" to feel that you suffer from the feeling of guilt and that you want to get rid of it. The "oppressed" should see that you regret and that the same thing will never happen again; all the questions should be answered and only after that starts the process of forgiveness. Forgiveness is to be gained by winning, it cannot be stolen. For that it would require honesty, generosity, humility, a sense of commitment, courage and sacrifice.<sup>5</sup>

It is important to note that the "oppressors" are much more in need of apology and forgiveness than the "afflicted." It should be mentioned that the time for an apology must be properly selected, it should not be delayed; because, due to human psychology, as time goes by the parties recall and evaluate the facts differently. Also in the form of recommendation can be said that the pre-apology<sup>6</sup> is not sincere and genuine, it is impossible to apologize and experience the case that has not happened; it is also ineffective to render an apology before the other party understands what has happened. In this case, Aaron Lazar calls such a case "*Get off easy apology*".<sup>7</sup>

During negotiations, when a party is talking to a mediator about "Caucus" - the mediator is required to explain all the above-mentioned about apology when describing what "*Negotiation dance*" is.<sup>8</sup> At this stage the mediator shall explain to the party that the right apology is a huge step forward towards arranging

---

<sup>4</sup> Id. 8.

<sup>5</sup> Id. 10.

<sup>6</sup> Id. 171

<sup>7</sup> Id. 174.

<sup>8</sup> *Schlie H. E., Young A. M., The Rhythm Of The Deal: Negotiation as a Dance, ESMT, 2008, 1.*

the relations, if the mediator finds that a party has been reluctant to apologize and if it is clear that reconciliation will not be achieved otherwise, he/she shall inform the party about the real condition and help him understand what role an apology has in conflict resolution. The mediator shows a party's mistakes so that the party finds the answers itself. It is filled with feeling of guilt and is trying to learn how to apologize properly. It is noteworthy that an apology can become a means of manipulation and the mediator's duty is to show the party the positive aspects of apology and forgiveness and not those that affect the human psyche.

For the mediator is important to know those factors and see why the parties abstain from apology. These number of such factors is quite big, but the short list is as follows:

- A. Shame
- B. Fear of self- humiliation.
- C. Fear of punishment.
- D. Less informativeness about whether or not the parties have behaved badly.
- E. Self-centered persons - people who consider themselves the center of the universe, and believe that they do not make mistakes.
- F. Avoiding "punishment."
- G. Means of separation - harm a person and thus cut the relations, abstaining from apology is the best way to achieve this goal.<sup>9</sup>

The process of forgiveness starts in the heart and ends in the mind. The beginning of this process in the heart may be connected to many factors including proper apologies, because it is an emotional process. In his mind a human processes the necessary information. In order to forgive, he considers the other party's responses to his questions. For the party in order to forgive it is necessary to get the confession of the offence and the confirmation of regret from the "oppressor"; the party should also understand the reasons which caused the "oppressor's" behavior and, what is most important, the party should receive a guarantee that such thing will never happen again and this promise should be sincere. The "Oppressed" as well as the "oppressor" always acknowledge their roles in the conflict. The "disadvantaged" choose several ways to resolve the conflict:

1. Resentment turns a blind eye - it is a condition of the party when a person places himself/herself in the full amnesia position, for him/her it is important to convince himself/herself that nothing has happened, though it is impossible to forget the fact. Choosing the "amnesia way" requires energy and nerves. This position is difficult to maintain and once the feeling of insult, which the person has been hiding for many years, will erupt like a volcano.

2. Being in the capacity of the victim - this is the most inappropriate, but rather a popular way to solve the conflict (avoidance). In such case the "afflicted" falls in love with himself/herself and is pleased to hear everybody saying how bad the "oppressor" is. Such people are often tiresome and they often irritate society. "Victims" remain in this role throughout their lives and for them being always oppressed by life in general and by others becomes a habit.

3. The best solution is to start the process of forgiveness. For this a human must stand superior to himself and come out of the victim's condition, despite the fact that this position is very sweet and pleasant for a lot of people. Forgiveness process should begin after an adequate, efficient and sincere apology. Forgiveness does not mean forgetting, it is one of the most moral behaviors, a step rather hard to take. For forgiveness it is essential that the "oppressor" answer all the questions, explain the reasons for his behavior, express remorse and inward "suffering", acknowledge his guilt. As noted, forgiveness is not forgetting the fact; it is neither pocketing an offence or resentment nor capitulation. During forgiveness, you must not have a sense of failure. The mediator explains to a party the meaning and positive qualities of the real forgiveness. It is necessary to interpret the terrible results of un-forgiveness and show the party that swallowing the conflict or being in the victim's condition is not a strong man's trait. People reach

---

<sup>9</sup> Lazar A., On apology, Oxford University Press, USA, 2005, 160-162.

forgiveness when they no longer feel discomfort in the relationship with the other party, but still it should be noted that forgiveness, forgetting is not amnesia. When forgiving, we forgive a person and not his behavior.

#### **4. Conclusion**

In conclusion, it can be said that apology and forgiveness have an invaluable role in the mediation process. A good mediator will take into account the importance of these two phenomena, and show it to the parties. A sincere apology and forgiveness are the crucial factors for the successful completion of negotiations. As I have mentioned, mediation is accepted by the conflicting parties if not all the connecting threads are destroyed; for them relationship and its future are important, they realize that mediation is an effective, inexpensive, fast and controlled way for conflict resolution, they are well aware that during negotiations they determine their fate themselves (it is impossible to imagine it during the trial); accordingly, in an informal process, in order to settle any kind of relationship conflicts, *"offering and accepting an apology"*<sup>10</sup> is the best way to achieve the main purpose of mediation, establishing a real human relationship.

---

<sup>10</sup> Lazare A., On apology, Oxford University Press, USA, 2005, 1.



## მედიაციის, როგორც ღირსი ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმის, მნიშვნელობა კოლექტიური შრომითი ღირსი განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში

### 1. შესავალი

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის მზარდი განვითარების პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება შრომითი ურთიერთობების საკანონმდებლო მონესრიგების საკითხი. ხშირად შრომითსამართლებრივი ურთიერთობის პირობებში, ე.წ. სუბორდინაციული ურთიერთობისას,<sup>1</sup> ერთ-ერთი მხარის ინტერესების უპირატესი დაცვის ხარჯზე მეორე მხარის პიროვნული ინტერესები ილახება. ეს კი განსაკუთრებით ხშირია იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფართო სპექტრს ბოროტად იყენებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შრომითი ურთიერთობებისას წარმოშობილი დავის გადაწყვეტის წესი. შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი დავა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები,<sup>2</sup> რომლებიც საქართველოს შრომის კოდექსში (შემდგომში – სშკ) აისახა. აღნიშნული ცვლილებებით მნიშვნელოვნად მონესრიგდა შრომითი ურთიერთობებისას წარმოშობილი კოლექტიური დავისა და მისი განხილვის წესი. ამდენად, ქართულ შრომის სამართალში დავის ალტერნატიული ფორმის – მედიაციის შემოტანით, სშკ დემოკრატიული და სოციალური კანონმდებლობის გზას დაადგა, რაც, უპირატესად, ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებასა და მათი ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს. სტატიის უმთავრეს მიზანს სწორედ სშკ-ში კოლექტიური დავის მიმართ განხორციელებული ცვლილების ანალიზი წარმოადგენს. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი იქნება ის საკანონმდებლო რეკომენდაციები, რომელებიც სასურველია სშკ-ში აისახოს.

### 2. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების არსი

#### 2.1. ზოგადად შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ

ზოგადად, შრომის სამართალი კერძო სამართლის მონესრიგების ფარგლებში იმიტომ თავსდება, რომ შრომითი ურთიერთობა თანასწორობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა.<sup>3</sup> შრომითი შეთანხმება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომელიც საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს.<sup>4</sup> თანამედროვე დოქტრინაში, ქვემდებარეობის პრინციპი შრომითი ხელშეკრულების ძირითად მახა-

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი.

<sup>1</sup> *ქარდავა ე.*, შრომისა და წარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, „სამართლის ჟურნალი“, 2009, 1, 220.

<sup>2</sup> 2013 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით ძირეულად შეიცვალა საქართველოს შრომის კოდექსის ნორმები. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, მთელი რიგი საკითხები კვლავ პრობლემურია და პრაქტიკული თვალსაზრისით მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს.

<sup>3</sup> *ზოდუ ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005, 178.

<sup>4</sup> *Marlize V.J.*, The Validity of a Restraint of Trade Clause in South Africa as a Contractual Term in an Employment Contract, Texas Wesleyan Law Review, Vol. 10, 2003-2004, 173, იბ. <[http://heinonline.org/HOL/Page?men\\_tab=srchresults&handle=hein.journals/twlr10&id=3&size=2&collection=journals&terms=CONTRACT|EMPLOYMENT|Contract|Employment&termtype=phrase&set\\_as\\_cursor=2#178](http://heinonline.org/HOL/Page?men_tab=srchresults&handle=hein.journals/twlr10&id=3&size=2&collection=journals&terms=CONTRACT|EMPLOYMENT|Contract|Employment&termtype=phrase&set_as_cursor=2#178)>, [20.01.2014].

სიათებელ ნიშნად უდავოდ არის მიჩნეული.<sup>5</sup> აღნიშნული დასაქმებულის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ შრომის სამართალში კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი უფლებებისა და თავისუფლებების შენარჩუნება ხდება. მაგალითად, უცვლელი სახითაა წარმოდგენილი ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი.<sup>6</sup> ამდენად, შრომის სამართლი კერძოსამართლებრივი ხასიათის მატარებელია<sup>7</sup> და შრომითი ხელშეკრულება კერძო სამართლით მონესრიგებული ინსტიტუტია.<sup>8</sup>

## 2.2. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების სამართლებრივი მონესრიგება სშკ-ში

სშკ-ის მე-3 კარი კოლექტიურ შრომით ხელშეკრულების მონესრიგებას ეხება. კოდექსისეული განმარტებით, კოლექტიური ხელშეკრულება იდება ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის.<sup>9</sup> ამასთან, კოლექტიური ხელშეკრულება ნამდვილობისთვის სავალდებულო წერილობით ფორმას მოითხოვს. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება შესაძლოა როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით დაიდოს. ზოგადად, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების დადების დროს დამსაქმებელი და დასაქმებულთა ჯგუფი წინასახელშეკრულებო ეტაპზე თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე, მათ შორის, განსაზღვრავენ ანაზღაურების, შესვენების, შვებულების და სხვა პირობებს.<sup>10</sup> ამდენად, კოლექტიური ხელშეკრულება, ძირითადად, ეფუძნება იმავე პრინციპებს, რომლებსაც ინდივიდუალური ხელშეკრულება იმ განსხვავებით, რომ კოლექტიური ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ასეთი ხელშეკრულების დადებისას დასაქმებულთა გაერთიანება მოქმედებს წარმომადგენელთა მეშვეობით და წარმომადგენლობის დადასტურება წერილობითი მინდობილობით ხდება.

## 3. კოლექტიური დავა და მედიაცია

### 3.1. კოლექტიური დავის არსი

სშკ-ის 47-ე მუხლის მე-6<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, კოლექტიური შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი დავა შესაძლოა გადაწყდეს შემათანხმებელი პროცედურებით. შემათანხმებელი პროცედურების სამართლებრივი მონესრიგება კი კოდექსის 48<sup>1</sup>-ე მუხლშია მოცემული. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ მოლაპარაკებასა და მედიაციის პროცედურას, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმართვის საფუძველზე იწყება. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს დავის წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ მინისტრს მედიაციის დაწყების მიზნით და წარმოშობილ დავაზე მედიატორის, როგორც დამოუკიდებელი და ნეიტრალური პირის, დანიშვნა მოითხოვონ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა, შეიძლება ითქვას, რომ ინტერესთა ღირებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად, შესაბამისი შემათანხმებელი პროცედურების კანონში რეგლამენტირებით, მხარეთა შორის სოციალური ურთიერთობის შენარჩუნებისკენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

<sup>5</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 113.

<sup>6</sup> ამირანაშვილი გ., დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), თბ., 2011, 143.

<sup>7</sup> ძამუკაშვილი დ., შრომის სამართალი, (მე-2 გადაამუშავებული გამოცემა), თბ., 2009, 16.

<sup>8</sup> ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების მოქმედება შრომის კოდექსთან მიმართებით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, 1-2 (3-4), 2012, 17.

<sup>9</sup> იხ. საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>10</sup> იხ. <<http://www.dummies.com/how-to/content/collective-bargaining-basics-labor-unions-negotiat.html>>, [20.01.2014].

### 3.2. მედიაციის არსი ზოგადად

ადამიანთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, უძველესი ხერხი მედიაციაა. მედიაციის გზით შესაძლებელია არსებული კონფლიქტის მხარეთა ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტა ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას სამართლის უმთავრესი მიზნებიც. სამართლის ამოცანა ხომ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტების სამართლიანად მონესრიგებაა.<sup>11</sup> მედიაცია დავის გადაწყვეტის ეფექტური და ინოვაციური მექანიზმია. ის მოიაზრებს მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებას მესამე ნეიტრალური მონაწილის მეშვეობით.<sup>12</sup> მედიაცია ეს არის დამოუკიდებელი სხვა მესამე პირის დახმარებით ისეთი აღმოცენებული და პრობლემური საკითხის გადაწყვეტა, რომლის გადაჭრაც დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ ვერ მოხდებოდა დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე.<sup>13</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ მედიაციის პროცესში მხარეები ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოთხოვნებსა და წინადადებებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.<sup>14</sup>

### 3.3. მედიაციის როლი კოლექტიური დავის გადაწყვეტაში

როგორც აღინიშნა, სშკ-ში კოლექტიური დავის გადაწყვეტისას კანონმდებელმა მედიაციის ინსტიტუტი შემოიტანა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მედიაციის, როგორც გარკვეული პროცესის, დაწყებისა და მიმდინარეობის ეტაპები. აღნიშნული საკითხის მონესრიგება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის 301 „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურების განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით (შემდგომში დადგენილება) მოხდა. აღნიშნული დადგენილება მედიატორის არჩევის, დანიშვნისა და მიმდინარეობის პროცედურებს დეტალურად აწესრიგებს.

#### 3.3.1. სახელმწიფო სტრუქტურის (მინისტრის) როლი მედიაციის პროცესში

დადგენილების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მოლაპარაკების ნებისმიერ სტადიაზე, შეთანხმების მისაღწევად კოლექტიური დავის მხარეს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს მინისტრს მედიაციის დაწყების მიზნით, კოლექტიურ დავაზე მედიატორის დანიშვნის თაობაზე, რის შესახებაც იმავე დღეს წერილობით აცნობებს კოლექტიური დავის მონაწილე მეორე მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მედიაციის პროცესი, განსხვავებით შემათანხმებელი პროცედურისგან (პირდაპირი მოლაპარაკებისგან), არასავალდებულოა და მთლიანად მხარის ინიციატივაზეა დაფუძნებული.

მნიშვნელოვანია სშკ-ის 48<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და დადგენილების ე.წ. საგამონაკლისო დანაწესი, რომლის თანახმადაც, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მინისტრს შეუძლია მხარის მიმართვის გარეშე საკუთარი ინიციატივით დანიშნოს მედიატორი.<sup>15</sup> მინისტრის მიერ კოლექტიურ დავაზე მედიატორის დანიშვნის მომენტიდან მედიაციის პროცესი დაწყებულად მიიჩნევა. მედიატორებს ხშირად ზეგავლენის მოხდენა შეუძ-

<sup>11</sup> *ციბელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 13.

<sup>12</sup> *ირემაშვილი ე.*, მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური, თბ., 2012, 7.

<sup>13</sup> მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის კვლევა, (რედ. გ. ცერცვაძე), თბ., 2013.

<sup>14</sup> *Moore W. C.*, *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 221.

<sup>15</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის 301 „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურების განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი.

ლიათ მხარეებზე მათი პიროვნების, პირადი თვისებებისა და იმ ურთიერთობის გამო, რომელიც მათ აქვთ დამყარებული მოდავე მხარეებთან.<sup>16</sup> ჩატარებული კვლევის თანახმად, პოზიტიური დამოკიდებულების მონონება და სურვილი იმ პირისა თუ ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც მათ მიერ არის მონონებული, დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.<sup>17</sup> სწორედ აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონლად უნდა იქნას მიჩნეული მედიატორის მინისტრის მიერ დანიშვნა და ამ პროცესში მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვა. აღნიშნული იმპერატიული ნორმა თითქოს მედიაციის პროცესს წარუმატებლად დასრულებისაკენ უბიძგებს.

მნიშვნელოვანია, რომ მხარეები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ დავის მედიატორის მონაწილეობით წარმართულ პროცესში. მედიაცია ნებაყოფლობითი პროცედურაა და სავალდებულო მედიაცია მედიაციის ბუნებისათვის სრულიად შეუსაბამოდ მიიჩნევა, ხოლო ამ ერთმნიშვნელოვნად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არ უნდა არსებობდეს მხარეთათვის დაკისრებული ვალდებულება დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ.<sup>18</sup> სშკ-ის 48<sup>1</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დავის ნებისმიერ სტადიაზე მინისტრს უფლება აქვს შემათანხმებელი პროცედურები შეწყვიტოს. მედიაციის ნებაყოფლობის ხაზგასასმელად ევროპის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში, დადგენილია, რომ სწორედ მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესის ნებისმიერ დროს შეწყვეტა.<sup>19</sup>

დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მედიატორის შერჩევა საორგანიზაციო სამსახურის მიერ ხდება ერთიანი რეესტრიდან, რომელშიც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები არიან აღრიცხულნი. მედიატორებს მათი კონკრეტულ სფეროში მოლაპარაკების ცოდნის გამო შეუძლიათ მოდავე მხარეებზე ზეგავლენის მოხდენა.<sup>20</sup> აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ რეესტრიდან მედიატორის შერჩევა დავის სფეციფიკისა და მედიატორის ცოდნის გათვალისწინებით მოხდეს. ამასთან, სასურველია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მედიატორთა ახალ და მომავალ ტრენინგების განხორციელებას, რათა მედიაციის პროცესი მხარეთათვის ეფექტურად, მიუკერძოებლად და კომპეტენტურად წარიმართოს.<sup>21</sup> ქართული საკანონმდებლო მონესრიგებით შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა ნება და, შესაბამისად, ნების ავტონომიურობის საწყისებზე დაფუძნებული მედიაციის პროცესის ფუძემდებლური პრინციპები ილახება. ცნობილია, რომ მედიაციის პროცესში და მის დაწყებამდეც მხოლოდ მხარეები არიან უფლებამოსილნი მედიატორი აირჩიონ. ამდენად, ზემოაღნიშნული მომნესრიგებელი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის მედიაციის ზოგად პრინციპებთან.

მნიშვნელოვანია მითითებული მუხლის მე-3 და შემდგომი პუნქტები, რომლებიც მედიატორის მიუკერძოებლობასა და ინტერესთა კონფლიქტს ეხება. გარდა ამისა, სშკ-ის 48<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი მხარეთა მედიაციის პროცესში სავალდებულო მონაწილეობის შესახებ ასევე სადავო და ჩვეულებრივი მედიაციის პროცესისათვის საკმაოდ შეუსაბამო დანაწესს შეიცავს. ცნობილია, რომ მხარეს მედიაციის პროცესში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ მას აღარ სურს მედიაციის პროცესში მონაწილეობა.<sup>22</sup> მიუხედავად ამისა, ქართველი კანონმდებელი ე.წ. სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტს განამტკიცებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები წარმოიშვას, რას მედიაციის პროცესს და მის განვითარებას აუცილებლად შეაფერხებს.

<sup>16</sup> Moore W.C., *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 387-388.

<sup>17</sup> იქვე, 388.

<sup>18</sup> Palo G., *Trevor M.B.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford, 2012, 140.

<sup>19</sup> იქვე, 141.

<sup>20</sup> Moore W. C., *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, Updated and Revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 388.

<sup>21</sup> Palo G., *Trevor M.B.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford, 2012, 142.

<sup>22</sup> *ჯერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 264.

### 3.3.2. მედიატორის მომსახურების ანაზღაურების წესი

მედიატორის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ მნიშვნელოვანია დადგენილების მე-6 მუხლი, რომლის თანახმადაც, კოლექტიურ დავაზე დანიშნული მედიატორის მომსახურებისა და მასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს სამინისტრო. ამასთან, აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მედიაციის დღიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 60 ლარს. მნიშვნელოვანია გაირკვეს, რამდენადაა გამართლებული მედიაციის დღიური ღირებულების კონკრეტული თანხით დადგენა. გავრცელებული შეხედულების თანახმად, მედიატორის მიმართ მომსახურების გადახდა უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებული იქნება მედიაციის პროცესის ხანგრძლივობა, დახარჯული დრო, საქმის სირთულე და სხვა გარემოებები. რაც მთავარია, ყველა შემთხვევაში მედიაციის პროცესის საერთო ღირებულება სასამართლოში საქმის წარმოების ღირებულებაზე ნაკლები უნდა იყოს.<sup>23</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის დღიური მომსახურების ერთმნიშვნელოვნად დადგენა მთლად გამართლებულადაც არ უნდა იქნას მიჩნეული.

### 3.3.3. მედიატორის ძირითადი მოვალეობები

მედიატორის უფლება-მოვალეობების განსაზღვრას ეხება დადგენილების მე-7 მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მედიატორი ვალდებულია განიხილოს მედიაციის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები მიუკერძოებლად, კოლექტიური დავის გარემოებათა ობიექტურად შესწავლის საფუძველზე. აღნიშნულ ნორმაში ერთი შეხედვით უცნაური არაფერია, თუმცა საჭიროა მისი დეტალური სამართლებრივი ანალიზი. მითითებული ქვეპუნქტის შინაარსი არსობრივად მედიატორის მოვალეობებს კი არა, უფრო მოსამართლის ვალდებულებებს ჰგავს. ფორმულირება – მედიატორი „ვალდებულია განიხილოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები მიუკერძოებლად“ ნიშნავს იმას, რომ მედიატორი არა მოლაპარაკების და მედიაციის წამმართველი, არამედ ჩვეულებრივი არბიტრია, რომელიც განსახილველ დავაში არკვევს, ვისი მოთხოვნა უფრო მეტადაა არგუმენტირებული. საქმის განხილვისას მედიატორი ხელს უწყობს დავის მორიგებით დასრულებას და ამ თვალსაზრისით, იგი მეტად ფრთხილად ეკიდება მის მოვალეობას. ის არ მოითხოვს, რომ მხარეები მის მიერ გაყვრებულ მოსაზრებას სრულად დაეთანხმონ და არც მოლაპარაკებებს აკონტორლებს, პირიქით, იგი ცდილობს ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის დაზუსტებასა და მხარეთა კომუნიკაციის ხელშეწყობას ემსახურება.<sup>24</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჩანაწერი, გარკვეულწილად, მედიატორს წარმოაჩენს ისე, როგორც მოსამართლეს, რაც მედიაციის პროცედურისა და, ზოგადად, მხარეთათვის უარყოფით მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული.

დადგენილების მე-7 მუხლი მედიატორის კიდევ რამდენიმე მოვალეობას განამტკიცებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც კონფიდენციალურობის პრინციპია, რომელიც მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტშია მოცემული. კონფიდენციალურობის პრინციპს ეხება სშკ-ის 48<sup>1</sup>-ე მუხლის მე-9 პუნქტიც, რომლის თანახმადაც, დავის მედიატორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია ან დოკუმენტი, მისთვის, როგორც დავის მედიატორისთვის გახდა ცნობილი.<sup>25</sup> გარდა მედიატორისა, კონფიდენციალურობის ვალდებულება მოდავე მხარეებსაც ეკისრებათ. სამწუხაროა, რომ ამის შესახებ არც სშკ-სა და არც დადგენილებაში მომწესრიგებელი ნორმა არ არის. ამდენად, სამართლებრივი თვალსაზრისით, შეიძლება გარკვეული პრობლემე-

<sup>23</sup> იხ. <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>>, [21.01.2014].

<sup>24</sup> Roberts S., Palmer M., Dispute Processes, ADR and the Primary Forms of Decision-Making, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 2005, 171.

<sup>25</sup> შეად. Palo G., Trevor M. B., EU Mediation Law and Practice, Oxford, 2012, 142.

ბი წარმოიშვას, თუ მხარე დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და მეორე მხარე შეეცდება ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

ზოგადად, კონფიდენციალურობა მედიატორს ეხმარება ნდობის მოპოვებაში. მედიაციის ინსტიტუტის მიმართ ნდობის ფაქტორის გაზრდის მიზნით, კანონმა დეტალურად უნდა განსაზღვროს მედიაციის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის გამოყენების პირობები: მედიაციაში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, ასევე, პირებს, რომელთათვისაც, საქმიანობიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესში ცნობილი გახდა ესა თუ ის ინფორმაცია ანდა გარემოება, უფლება არ უნდა ჰქონდეთ გაამჟღავნონ ან ჩვენება მისცენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში ან არბიტრაჟზე. კანონმა უნდა აუკრძალოს მედიატორს წარმოადგინოს მოხსენება მედიაციის პროცესთან დაკავშირებით სასამართლოზე ან სხვა სახის წარმობაში.<sup>26</sup> ესპანეთში მხარეებს, თუ მედიაციის გზით შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ერთმევათ საშუალება მედიაციის პროცესის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოიყენონ.<sup>27</sup> ამავე დროს, უნდა განისაზღვროს ის საკითხებიც, რომელთა გამჟღავნების უფლებაც მედიატორს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლება.<sup>28</sup> თუ მხარე ან მედიატორი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა,<sup>29</sup> დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, მას სამოქალაქო ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. აშშ-ში მხარეს არ აქვს უფლება თვითონ მოითხოვოს სასამართლოში მედიაციის კონფიდენციალურობის დაცვა, თუ მანამდე ეს ვალდებულება თვითონ დაარღვია.<sup>30</sup> როგორც წესი, მედიაციის დაწყებამდე მხარეები, უმეტეს შემთხვევაში, ხელს აწერენ შეთანხმებას კონფიდენციალურობის შესახებ, რომელიც შემდგომში წარმოადგენს ერთგვარ გარანტს, რათა მათი ინფორმაცია არ იქნას გამოყენებული საქმის სასამართლო წესით განხილვაში.<sup>31</sup>

### 3.3.4. მედიატორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები

დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი მედიატორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად წესს განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია „სშკ“-ის 48<sup>1</sup>-ე მუხლის მე-9 პუნქტიც, რომელიც მედიატორს ავალდებულებს, რომ მედიაციის პროცესში მიწოდებული ინფორმაცია არ გაამჟღავნოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონში არაფერია ნათქვამი მედიატორის პასუხისმგებლობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიატორის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმის მთავრობის დადგენილებაში და არა კანონში არსებობა მთლად მიზანშეწონილადაც არ უნდა იქნას მიჩნეული. ზოგადად, მედიატორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები დეტალურად უნდა იყოს კანონმდებლობით განერილი, რათა დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეს თავისი დარღვეული უფლების დაცვის რეალური სამართლებრივი საფუძვლები ჰქონდეს. მნიშვნელოვანია დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმადაც, მედიატორის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით

<sup>26</sup> *მერებაშვილი ა.*, მედიაციის სამართლებრივი საფუძვლები (ზოგადი მიმოხილვა), თსუ, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2011, 19.

<sup>27</sup> იხ., <<http://www.spanish-law.net/mediation.asp>>, [18.01.2014].

<sup>28</sup> იხ., Uniform Mediation Act (last revised or amended in 2003 with prefatory note and comments), National Conference of Commissioners on Uniform State Laws, 10.12.2003., art. 7.

<sup>29</sup> ევროკავშირის დირექტივის მე-7 მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამართლებულია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა ინტერესთა ღირებულებების შესაბამისად მხარეთა ან/და მედიატორის მიერ, იხ. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, of 21 May, 2008, on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

<sup>30</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 53.

<sup>31</sup> *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია – სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თბ., 2012, 31.

განისაზღვრება. ამდენად, თუ სახეზეა მედიატორის მიერ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა, მხარეს საერთო საფუძვლებით შეუძლია მას ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს. ამ შემთხვევაში მოსთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული საკითხია გადასაწყვეტი. ამასთან, მედიატორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია მედიატორს დაეკისროს პასუხისმგებლობა მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულები-სათვის.<sup>32</sup> აღნიშნულ საკითხზე ყურადღება ქართულ კანონმდებლობაში გამახვილებული არ არის. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია გაირკვეს, ზოგადად, მედიატორი, რომელიც მინისტრის მიერაა დანიშნული, წარმოადგენს თუ არა საჯარო თანამდებობის პირს და მის მიერ მიყენებულ ზიანზე ვრცელდება, თუ არა სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის მომწესრიგებელი ნორმები (მაგ. სსკ-ის 1005-ე მუხლი). აღნიშნულ საკითხზე სშკ-ში და დადგენილებაში არაფერია ნათქვამი.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა განისაზღვროს მედიატორის პასუხისმგებლობის (არა)-სახელშეკრულებოსამართლებრივი საფუძვლები. დოქტრინაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, მედიატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება შემდეგ გარემოებებზე უნდა გამახვილდეს: ა) აქვს თუ არა ადგილი მედიაციის შეთანხმებით და მედიატორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიატორის ვალდებულებების დარღვევას და კონკრეტულად რა მოქმედებასა თუ უმოქმედობაში გამოიხატა იგი; ბ) იკვეთება თუ არა მედიატორის ბრალი ამ დარღვევაში; გ) არის თუ არა სახეზე რაიმე სახის ზიანი; დ) არის თუ არა კავშირი ზიანსა და ხელშეკრულების დარღვევას შორის.<sup>33</sup> აღნიშნული სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს. თუ მედიატორსა და მხარეებს შორის ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა დადებული, ცალსახაა, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მოსთხოვნის საფუძველი სწორედ სახელშეკრულებო ნორმები იქნება.

სშკ-ისა და დადგენილების სამართლებრივი ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერაა დანიშნული, მოდავე მხარეებთან ხელშეკრულებას მედიაციის გამართვის შესახებ არ დებს. ასეთ შემთხვევაში, მხარეები მედიატორთან სახელშეკრულებოსამართლებრივი თვითობაჭვის რეჟიმში არ იმყოფებიან, შესაბამისად, თუ, მაგალითად, მედიატორი კონფიდენციალურობის პრინციპს დაარღვევს რთულია განისაზღვროს მედიატორის პასუხისმგებლობის საკითხი.

#### 4. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფაა შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ მედიატორის დანიშვნის წესი უმჯობესია შეიცვალოს და ეს პროცესი მთლიანად მხარეებზე იყოს დამოკიდებული. სწორედ მხარეები უნდა იყვნენ უფლებამოსილნი თავიანთი დავა მათთვის სასურველ მედიატორს დაუქვემდებარონ. ამასთან, მინისტრს არ უნდა ჰქონდეს უფლება ნებისმიერ ეტაპზე მედიაციის პროცესი შეწყვიტოს, რადგან მხოლოდ მხარეები არიან უფლებამოსილნი ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ. მნიშვნელოვანია, ასევე, მედიატორის ანაზღაურების გან-

<sup>32</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 264.

<sup>33</sup> *Gabriel S.*, Die Haftung des Mediators im schweizerischen Rechtssystem, "Stämpfli", Bern, 2008, 138. მითითებულია, *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 265.

საზღვრის საკითხიც. ამ შემთხვევაშიც უმჯობესია მედიატორის მიმართ მომსახურების გადახდა კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე მოხდეს.

მნიშვნელოვანია დადგენილების მე-7 მუხლიც. საჭიროა, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ფორმულირება შეიცვალოს და მედიატორი, როგორც დამოუკიდებელი პროცესის წამმართველი და შეთანხმებაზე ორიენტირებული პირი, ისე წარმოჩნდეს და არა, როგორც დღევანდელი ფორმულირებიდან გამომდინარე – მოსამართლე.

დეტალურ მონესრიგებას მოითხოვს კონფიდენციალურობის საკითხიც. სასურველია, რომ, გარდა მედიატორისა, კონფიდენციალურობის ვალდებულება მოდავე მხარეებზეც გავრცელდეს. ამასთან, კანონმა უნდა მოაწესრიგოს ამ პრინციპის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი.

აუცილებელია, განისაზღვროს მედიატორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლებიც. მედიატორის პასუხისმგებლობის მთავრობის დადგენილების დონეზე განსაზღვრა გაუმართლებლად უნდა იქნას მიჩნეული. საჭიროა მხარეს ჰქონდეს კანონისმიერი საფუძველი, რომ მედიატორისგან მისი დარღვეული უფლების აღდგენა მოითხოვოს. ამასთან, სასურველია განისაზღვროს მედიატორის სამართლებრივი სტატუსი, რათა დავის შემთხვევაში მხარეს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა შესაბამისი მომწესრიგებელი კანონის საფუძველზე მედიატორის მიმართ მოთხოვნა დააყენოს. წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სშკ-ში მედიაციის პროცედურის დანერგვა უმნიშვნელოვანესია თანამედროვე სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებისა და ურთიერთსასარგებლო შეთანხმების მიღებისათვის. მიუხედავად ამისა, კოლექტიური დავის განხილვისას, და შესაბამისად, მედიაციის, როგორც აბსოლუტურად პირთა ნებაზე დაფუძნებულ პროცესში, კანონმდებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ასეთი ფართო უფლებამოსილებები გაუმართლებელია. მინისტრის მიერ მედიატორის დანიშვნა მედიაციის არსს, მის პრინციპებს არსებითად ეწინააღმდეგება. მიუხედავად არსებული მონესრიგებისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებობს რეალური სამართლებრივი უზუსტობები, რაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, გარკვეულ პრობლემებს ქმნის. წინამდებარე სტატიაში წარმოჩენილი საკითხების გათვალისწინებით სასურველია მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების სშკ-სა და მთავრობის დადგენილებაში ასახვა. სწორედ შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაშია მედიაცია დავის გადანაცვების ალტერნატიული და რეალურად ეფექტური საშუალება.



## **The Importance of Mediation as a Form of Alternative Dispute Resolution in the Process of Collective Labor Dispute Discussion and Settlement**

### **1. Introduction**

In the conditions of rising development of civil flow, labor cooperation issue settlement on a legislative level is becoming more and more important. In frequent cases, during labor legal relationship, the so-called subordinate cooperation,<sup>1</sup> on the account of giving advantage to the protection of one of the side's interests, the other side's personal interests are deteriorated. Similar kinds of cases are pretty common when an employer misuses his/her power (or uses it for evil purposes). With this regard, a certain rule for settling the dispute, which arises during labor cooperation, is significant. Considering its characteristics, the dispute arising during labor cooperation is rather complicated. Recent legislative changes reflected in Georgian Labor Code regarding the issue are particularly attention-grabbing.<sup>2</sup> As a result of the abovementioned changes in the code, the rule for collective dispute settlement arising on the basis of labor cooperation has been improved. Thus, by introducing ADR – mediation, the Georgian Labor Code became equal to democratic and social legislation, which will support social relationships among the people to be maintained and disputes to be appropriately settled (considering the interests of both dispute sides). The key aim of the article is the analysis of the changes implemented in the Georgian Labor Code regarding collective dispute resolution. At the end of the document legislative recommendations, which are desirable to be made in the Georgian Labor Code, will be presented.

### **2. The Essence of Collective Labor Contract**

#### **2.1. About labor law in general**

Generally labor law can be discussed in the frames of the Common Law because labor cooperation is built on the basis of the contract signed by the sides without any violence (based on equality and their free will).<sup>3</sup> A labor contract is an agreement signed between an employer and an employed individual and includes liabilities which, in accordance with the legislative norms, should be fulfilled by the sides.<sup>4</sup>

In modern doctrine, subordination principle is meant to be the key characteristic of the labor contract.<sup>5</sup> This means the employed is under the subordination of the employer, though it is important that in Labor Law all the rights and characteristics of the Common Law are maintained. For instance, the principle of freedom

---

\* Master Student, TSU Faculty of Law.

<sup>1</sup> *Kardava E.*, Justice Magazine, Issue N1, 2009, 220.

<sup>2</sup> June 12, 2013 Legislative Amendments – Georgian Labor Code Regulations. Despite changes, certain issues still remain problematic and more details needs to be unveiled.

<sup>3</sup> *Zoidze B.*, European Private Justice Reception in Georgia, Tb., 2005, 178.

<sup>4</sup> *Marlize V. J.*, The Validity of a Restraint of Trade Clause in South Africa as a Contractual Term in an Employment Contract, Texas Wesleyan Law Review, Vol. 10, 2003-2004, 173, <[http://heinonline.org/HOL/Page?men\\_tab=srchresults&handle=hein.journals/twlr10&id=3&size=2&collection=journals&terms=CONTRACT|EMPLOYMENT|Contract|Employment&termtype=phrase&set\\_as\\_cursor=2#178](http://heinonline.org/HOL/Page?men_tab=srchresults&handle=hein.journals/twlr10&id=3&size=2&collection=journals&terms=CONTRACT|EMPLOYMENT|Contract|Employment&termtype=phrase&set_as_cursor=2#178)>, [20.01.2014].

<sup>5</sup> *Chachava S.*, Demands and Demand Base Competition, Tb., 2011, 113.

during contract signing is fully maintained.<sup>6</sup> Thus, Labor Law is influenced by Private Law<sup>7</sup> and the contract signing process is the same as considered by Private Law.<sup>8</sup>

## **2.2. Collective labor contract legal arrangement in the Georgian Labor Code**

Chapter 3 of the Georgian Labor Code is about arranging a Labor Contract. According to the code, a collective contract is formed between one or more employers, one or more entities of employers and one or more entities of employed individuals.<sup>9</sup> Besides this, to prove its authenticity a collective contract must be handwritten. A collective contract can be both permanent and temporary (by indicating the exact terms). Generally, before signing a collective labor contract, the employer and a group of employed individuals discuss and agree on contract conditions including salary, holidays, etc.<sup>10</sup> Thus, generally, a collective contract is based on the same principles according to which individual agreements are signed. The only difference is that a collective contract must be handwritten. While signing such a contract the entity of the employed individuals act via representatives and the representation must be proved on the basis of a letter of indemnity.

## **3. Collective Dispute and Mediation**

### **3.1. The essence of collective dispute**

According to the Georgian Labor Code Article 47, part 6<sup>1</sup>, the dispute raised as a result of collective labor cooperation can be resolved via agreeing procedures. Legal arranging of agreeing procedures is available in Article 48<sup>1</sup> in the Georgian Labor Code. The first paragraph of the abovementioned Article differentiates the procedures of direct negotiations and mediation, which is launched as a result of the statement made by the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia. It is noteworthy that in case of dispute the sides can address the minister for mediation and ask him to appoint an independent, impartial person as a mediator.

Thus, this means that by collating interest values and making appropriate amendments to the law, the legislator made a step forward for maintaining social relationships between the dispute sides.

### **3.2. The essence of mediation in general**

One of the most effective and ancient methods for dispute resolution is mediation. Mediation enables the conflict between the sides to be resolved by considering the interests of both sides without violating the law. The key aim of the regulation is to resolve the dispute between the sides fairly.<sup>11</sup>

Mediation is an effective and innovative mechanism of conflict resolution. It means that the negotiation between the dispute sides should be conducted with the participation of the third, impartial person.<sup>12</sup> Thus, mediation is needed when the dispute cannot be resolved by the employer or the employed independently and the third, impartial, independent individual's interference is inevitable to conduct the process and assist the

---

<sup>6</sup> *Amiranashvili G.*, *Discrimination Ban in Labor Cooperation*, Labor Justice (Articles), Tb., 2011, 143.

<sup>7</sup> *Dzamikashvili D.*, *Labor Justice*, 2<sup>nd</sup> ed., Tb., 2009, 16

<sup>8</sup> *Jorbenadze S.*, *Civil Code, Legal Institution's Action towards Labor Code*. Justice Magazine, "Sarchevi", #1-2(3-4), 2012, 17.

<sup>9</sup> *See*, Georgian Labor Code, Article 41, Para. 1.

<sup>10</sup> *See* <<http://www.dummies.com/how-to/content/collective-bargaining-basics-labor-unions-negotiat.html>>, [20.01.2014].

<sup>11</sup> *Cipelius R.*, *Legal Methodology Theory*, 10<sup>th</sup> Adapted ed., Munich, 2006, 13

<sup>12</sup> *Iremashvili K.*, *Integrating Mediation in Law School Teaching Program*, Alternative Dispute Resolution, Tb., 2012, 7

sides to achieve an agreement.<sup>13</sup> It is also noteworthy that in the process of mediation the sides openly talk about their demands and proposals regarding the issue discussed.<sup>14</sup>

### **3.3. The role of mediation in collective dispute resolution**

As it was mentioned above, for the collective dispute resolution, the legislator introduced a method of mediation in the Georgian Labor Code. It is significant for the stages of mediation to be defined. The issue was approved by the Georgian Government Act issued on November 25, 2013 “On Approving Discussion and Resolution of Collective Dispute Arranging Procedures”. This Act settles the procedures of the mediator’s selection, appointing and other procedures as well.

#### **3.3.1. The role of the state body (minister) in the mediation process**

According to Article 4, Paragraph 9 of the Act, on any stage of negotiation, in order to achieve an agreement the collective dispute side has a permission to send a written address to the minister to start mediation and allot a mediator to be involved in the dispute discussion process. On the same day the information is delivered to the other dispute side as well. Thus, it becomes obvious that, unlike the conciliation procedure (direct negotiation) the mediation process is not obligatory and is fully based on the side’s initiative.

According to the Georgian Labor Code Article 48<sup>1</sup>, Paragraph 4 and the so-called special ejection of the Act, in case of high interest from the public regarding the issue the minister can appoint a mediator without asking either of the dispute sides.<sup>15</sup>

As soon as the minister appoints a mediator to conduct the collective dispute mediation, the process is considered to be open. In frequent cases mediators can influence the dispute sides because of their personal characteristics and the relationships they have established with the dispute sides.<sup>16</sup> According to the research, positive relationship with any of the sides can be highly influential.<sup>17</sup> Considering this, the fact that the minister appoints a mediator must be considered as unreasonable. The above-mentioned imperative norm as if pushes the mediation process to failure. It is important to mention that the sides must participate in the dispute mediation process conducted by the mediator.

Mediation is a voluntary procedure and obligatory mediation is totally unacceptable, thus the sides must not be obliged to solve the dispute via mediation (if they do not have such desire).<sup>18</sup> According to the Georgian Labor Code Article 48<sup>1</sup>, paragraph 5, on any stage of the dispute the minister can quit the conciliation procedures. To underline the fact that mediation is voluntary, in European states, including Germany, only the dispute sides are able to quit the mediation process anytime if they think it is required.<sup>19</sup>

According to the Ordinance of the Government of Georgia Act Article 5, Paragraph 2, a mediator is selected by the administrative service from a special database, which includes the database of the persons with appropriate qualification. Having knowledge in a specific field of negotiations, mediators can be influential.<sup>20</sup> Thus, it is vitally important for a mediator to be appropriately selected from the abovementioned database. At

---

<sup>13</sup> Mediation Legal Regulation Prospects in Georgia, ADR National Research Center, ed.: *G. Tsertsvadze*, Tb., 2013.

<sup>14</sup> *Moore W. C.*, *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 221.

<sup>15</sup> Georgian Government Act N301, issued on November 25, 2013 – “On Proving a Rule of Discussing and Resolving Collective Disputes Agreement Procedures”, Article 4, Paragraph 10

<sup>16</sup> *Moore W.C.*, *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 387-388.

<sup>17</sup> *Id.*, 388.

<sup>18</sup> *Palo G., Trevor M. B.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford, 2012, 140.

<sup>19</sup> *Id.*, 141.

<sup>20</sup> *Moore W.C.*, *The Mediation Process, Practical Strategies for Resolving Conflict*, updated and revised 3<sup>rd</sup> ed., San-Francisco, 2003, 388.

the same time, it will be good if the state provides trainings for mediators in order to make the mediation process more effective, impartial and competent for the dispute sides in the future.<sup>21</sup> So, the Georgian legislation considering the issue is not acceptable, as the key conditions of the mediation process are violated. It is widely known that during the mediation process, as well as before it is launched, only the sides are authorized to choose a mediator. Thus, the so-called arranging/collating norm mentioned above is against the general principles of mediation. Paragraph 3 and the other following paragraphs of the abovementioned Article are also significant, especially those that are about impartiality of the mediator and interests conflict as well. Besides this, the Georgian Labor Code Article 47<sup>1</sup>, paragraph 6 (1<sup>st</sup> part/beginning) includes a pretty much objectionable ejection regarding the sides' obligatory participation in the mediation process. It is known that during mediation, a side is able to announce quitting its participation in the process anytime he/she wants.<sup>22</sup> Despite this the Georgian legislation reinforces the so-called obligatory mediation institute.

By considering all the above mentioned, certain difficulties regarding the mediation process itself will arise inevitably, which will by all means impede the mediation process and its development..

### **3.3.2. The rule for delivering a mediator's service fee**

Article 6 of the Act includes the information regarding the rule of delivering a mediator's service fee. According to the Act, the service fee for the mediator appointed as a collective dispute arranger is delivered by the ministry. Besides this, according to Paragraph "G" of the same Article, mediation per diem totals GEL 60. It is worth to make out whether it is fair or not to ascertain a concrete amount of money to be paid to a/the mediator daily. According to the widespread opinion, a mediator should be paid considering the complexity of the case. According to this method, mediation process duration, time spent, case complexity and other circumstances will be considered. In General, mediation expenses should be less compared with court charges.<sup>23</sup> Thus appointing concrete amount of money as mediation per diem is not fair.

### **3.3.3. Mediator key liabilities**

Article 7 of the Act defines the liabilities and duties of a mediator. According to paragraph 2 "A" subparagraph, in the frames of mediation a mediator must be impartial and unbiased while discussing the dispute issues. Before starting mediation, he/she must study the reason and details of the collective dispute. There is nothing abnormal in the regulation mentioned above, though a detailed legal analysis should be conducted. In the content of the subparagraph the liabilities and duties of a judge and a mediator are practically the same. The sentence – "A mediator must be impartial and unbiased while discussing the issue of his/her competence", means that a mediator is not just a conductor of negotiations and mediation, but an ordinary arbiter, who is busy making clear whose (which of the dispute sides) demand is more tenable. During the case discussion the mediator encourages the sides to achieve an agreement and, in this respect, he/she is extremely careful while fulfilling the duty. A mediator neither demands his/her opinions to be fully considered by the dispute sides nor controls the negotiation process but, on the contrary, he/she tries to provide mutual communication between the dispute sides and achieve the best result from conflict resolution viewpoint.<sup>24</sup> Thus, it can be said that the abovementioned subparagraph presents a mediator as a judge, which must be considered as a negative precedent in the mediation process and for the dispute sides as well.

Article 7 of the Act emphasizes some more liabilities and duties of a mediator. Of them the principle of privacy is the most significant (it is included in subparagraph "D" of paragraph 7). The Georgian Labor Code

---

<sup>21</sup> *Palo G., Trevor M. B.*, EU Mediation Law and Practice, Oxford, 2012, 142.

<sup>22</sup> *Tsertsvadze G.*, Mediation, ADR (General Review), TSU Faculty of Law, ADR Methodology and Scientific Research Institute, Tb., 2010, Catalogue 264.

<sup>23</sup> <<http://www.cdnq.org/en/businessPartner/Epart5.html>>, [21.01.2014].

<sup>24</sup> *Roberts S., Palmer M.*, Dispute Processes, ADR and the Primary Forms of Decision-Making, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 2005, 171.

Article 48<sup>1</sup> paragraph 9 is about the principle of privacy as well. According to it the dispute mediator must not unveil the information or document which became available to him/her.<sup>25</sup> Besides the mediator, the dispute sides must also protect the principle of privacy. Unfortunately, neither the Georgian Labor Code nor the Act includes regulations for this. So, from the legal viewpoint this can lead to certain problems – if one of the sides violates the principle of privacy and the other side demands the damage caused by it to be compensated.

Generally, privacy assists a mediator to gain trust. In order to increase trust towards mediation, the law should strictly define the conditions of using the information received during the mediation process: mediation participant sides, mediator, as well as the persons involved in the process must not have a right to reveal the information received during mediation in court or arbitration. The law should forbid a mediator to make a speech regarding the mediation process in court or in any other institution.<sup>26</sup> In Spain, if the sides fail to achieve an agreement via the mediation process, they are deprived of the right to unveil private information received during the mediation in court.<sup>27</sup> Besides this, the issues which can be freely unveiled by the mediator must be defined as well.<sup>28</sup> If one of the sides or a mediator violates the principle of privacy (except the cases considered by law<sup>29</sup>) he/she must be prosecuted. In the USA, a side is deprived of the right to demand mediation privacy protection in court if he/she has violated a similar liability before.<sup>30</sup> In frequent cases, as a rule, before mediation kicks off, the sides sign a privacy protection contract. This is a kind of guarantee that the information obtained during the mediation process will not be used in court.<sup>31</sup>

### 3.3.4. Legal basis of mediator responsibility

Article 7, paragraph 3 of the Act defines the general rule for the mediator's legal liabilities. The Georgian Labor Code Article 48<sup>1</sup> paragraph 9 is also important; it charges the mediator not to unveil the information obtained in the mediation process. It is also noteworthy that the law says nothing about the mediator's responsibility. Thus, the existence of the mediator's responsibility regulation in the government Act and not in the law cannot be reckoned as reasonable. The law should define the legal bases of the mediator's responsibility. This is important because if there is any dispute regarding the issue, the side should have real legal bases to protect his/her rights. The exigency of Article 7, paragraph 3 of the Act is important as according to it a mediator's responsibility is defined by the acting legislation. Thus, if a mediator violates the conditions of the contract signed by him/her, including the violation of the privacy principle, a side can demand a damage reimbursement from him/her.

In this particular case the issue connected with the demand's legal base needs to be solved. Besides this, considering a mediator's responsibility, if the mediation process fails, it is totally unacceptable to impose responsibility for this on the mediator.<sup>32</sup> Georgian legislation does not pay attention to this issue. Besides this, it is significant to explain whether the mediator, appointed by the minister, is a public employee or not, and whether the same damage settlement norms are applicable to him /her as in the case of state officials (example: Criminal Law, Article 1005). The Georgian Labor Code and the Act say nothing regarding the issue.

---

<sup>25</sup> Compare: *Palo G., Trevor M. B.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford, 2012, 142.

<sup>26</sup> *Merabishvili A.*, *Legal Bases of Mediation (General Review)*, TSU MA Thesis, Tb., 2011, 19.

<sup>27</sup> <<http://www.spanish-law.net/mediation.asp>>, [18.01.2014].

<sup>28</sup> *See*, Uniform Mediation Act (last revised or amended in 2003 with prefatory note and comments), National Conference of Commissioners on Uniform State Laws, 10.12.2003, Art. 7.

<sup>29</sup> EU directive Article 7 see: Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the council of 21 May, 2008, on certain aspects of mediation in civil and commercial matters.

<sup>30</sup> *Tsertsvadze G.*, *Mediation, ADR (General Review)*, TSU Faculty of Law, ADR Methodology and Scientific Research Institute, Tb., 2010, 53.

<sup>31</sup> *Okropiridze B.*, *Mediation – Novelty in Modern Georgian Law and its Implementation Prospects on the Base of International Experience*, ADR, Tb., Catalogue 2012, 31.

<sup>32</sup> *Tsertsvadze G.*, *Mediation, ADR (General Review)*, TSU Faculty of Law, ADR Methodology and Scientific Research Institute, Tb., 2010, Catalogue 264,

Thus, considering all this it is possible to define the legal bases for the mediator's responsibility. According to one of the opinions expressed in the doctrine, while defining a mediator's responsibility, the following things must be considered: a) Are the liabilities considered by a mediation contract violated and how is it expressed? b) Are there any traces of the mediator's fault in the violation? d) Are there any damages? e) Is there any connection between the damage and contract violation<sup>33</sup>. If there is an ordinary civil procedural contract formed between the mediator and the sides, it is obvious that in case of contract violation, a base for a demand will be the regulations included in the contract itself.

As a result of legal analysis of the Georgian Labor Code and the Act, it becomes obvious that a mediator, appointed by the Georgian Minister of Labor, Healthcare and Social Affairs, does not sign a contract with the dispute sides regarding mediation. Thus, in such case, if a mediator violates the privacy principle, it is difficult to define the issue of his/her liability.

#### 4. Conclusion

Considering the abovementioned practice several issues can be distinguished. First of all, one of the legislative recommendations must include that the rule of appointing a mediator by the Georgian Minister of Labor, Healthcare and Social Affairs should be changed and this process should be conducted by the sides. The sides must have a right to choose a mediator during the dispute resolution. Besides this, the minister must not have a right to quit the mediation process, as only the sides are able to make such a decision. Defining a mediator's service fee is also a significant issue. It is better for the mediation service fee to be paid considering the complexity of the case. Article 7 of the Act includes important information as well. Paragraph 2 subparagraph "A" of the Article should also be edited and it must say that - a mediator is an independent, agreement-oriented person who conducts the mediation process and not a judge (as the current version of the Article says).

The privacy issue needs to be regulated as well. It would be better if together with the mediator, dispute sides were also responsible for protecting privacy. Besides this, in case of privacy principle violation, the law should regulate the damage reimbursement issue.

It is necessary to define the legal basis for a mediator's responsibility as well. Defining a mediator's responsibility on the basis of the government act is unacceptable. It is important for a side to have a base for demanding his/her violated right to be restored by the mediator's assistance. Besides this, it is crucial to define the legal status of the mediator. This is significant because in case of a dispute a side must have a real chance to demand assistance from a mediator, which will be regulated by the appropriate mediation law.

Considering the abovementioned discussion, it is obvious that introducing the mediation procedure into the Georgian Labor Code is pretty much important for maintaining modern social relationships and achieving mutual agreement as well. Despite all this, the Minister's interference in the collective dispute discussion process is totally unacceptable. The appointment of a mediator by the minister is against the essence of the mediation itself. Besides the existing regulations there exist real legal mistakes, which create certain problems in the further process. Considering the abovementioned document it will be good to make changes in the Georgian Labor Code and the government act as well. Only in case of making changes mentioned above, mediation will appear effective and real for dispute resolution.

---

<sup>33</sup> *Gabriel S.*, Die Haftung des Mediators im schweizerischen Rechtssystem, "Stämpfli", Bern, 2008, 138. Indicated, *Tsertsvadze G.*, Mediation, ADR (General Review), TSU Faculty of Law, ADR Methodology and Scientific Research Institute, Tb., 2010, Catalogue 265.

## Party-Appointed Arbitrators: Past, Present and Future

### 1. Introduction

International arbitration is founded on the predominant principle of party-autonomy.<sup>1</sup> The role and importance of this principle in arbitration proceedings is very clearly exemplified by the parties' right to agree on the selection method of arbitral tribunal.<sup>2</sup> Several possible scenarios for the appointment of arbitrators can be employed, such as: random selection from a list of names; appointment made by the arbitral institution; joint and consensual decision of the parties; unilateral appointment by the parties, etc.<sup>3</sup> Mandatory legal provisions do not impose any significant restrictions on the appointment method. According to Articles 34 and 36 of UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration and Article V of the New York Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, the only regulation that needs to be observed is that the arbitration agreement shall give equal possibilities to the parties in the appointment process. There is a widely established and prevailing contemporary practice that the arbitral tribunal consists of three arbitrators, two of which are unilaterally selected by the disputing parties and a presiding arbitrator is appointed by the party-appointed arbitrators.

In the last few years, however, the existing practice of unilateral appointment has been challenged by several distinguished arbitration practitioners and became a very hot topic in the arbitration world. In 2010, Professor Jan Paulsson delivered his inaugural lecture at the University of Miami, School of Law entitled "*Moral Hazard in International Dispute Resolution*" and criticized the existing practice of unilateral appointment as creating "*moral hazard*" in arbitral proceedings.<sup>4</sup> This famous speech was soon followed by the contribution of Professor Albert Jan van den Berg, where he presented striking statistical data from investment arbitration that nearly all dissenting opinions were prepared by the arbitrator appointed by a losing party and the arbitrator has never dissented from the position of his/her appointer.<sup>5</sup> Therefore, Professor Paulsson suggested the appointment of each arbitrator by both parties or by a neutral body, while Professor van den Berg argued for the observance of the principle "*nemine dissentiente*" by party-appointed arbitrators. Later, the existing system was vigorously defended by a number of equally pre-eminent scholars and practitioners, including Judge Charles N. Brower, Johnny QC Veeder, Alexis Mourre etc. In 2012, the International Arbitration Survey was conducted by Queen Mary University of London and White & Case, which disclosed that significant majority of respondents (76%) prefer unilateral selection of

---

\* Master of Law.

<sup>1</sup> Redfern A., Hunter M., *Law and Practice of International Commercial Arbitration*, 3<sup>rd</sup> ed., London, 1999, 131-132.

<sup>2</sup> Mistelis L., Baltag C. M., Trends and Challenges in International Arbitration: Two Surveys of In-House Counsel of Major Corporations, 2 *World Arbitration and Mediation Review* 83, 2008, 94; Kapeliuk D., The Repeat Appointment Factor: Exploring Decision Patterns of Elite Investment Arbitrators, 96 *Cornell Law Review* 47, 2010, 60; Finizio S., Salas C., It's my party, *CDR Commercial Dispute Resolution*, <<http://www.cdr-news.com/categories/expert-views/its-my-party>>, [27.12. 2013] (hereinafter *Finizio/Salas*).

<sup>3</sup> Redfern A., Hunter M., Blackaby N., Partasides C., *Redfern & Hunter on International Arbitration*, Oxford University Press, USA, 5<sup>th</sup> ed., 2009, paras: 4.29-4.37, (hereinafter *Redfern/Hunter*).

მხარეთა უფლება, დანიშნოს არბიტრი, შემდგომში გათვალისწინებულ იქნა 1899 წლის ჰააგის კონვენციაში<sup>14</sup> და 1907 წლის ჰააგის კონვენციაში.<sup>15</sup> ამასთან, პირველი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, 1959 წლის გერმანია-პაკისტანის ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება და პირველი ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ინვესტორებისთვის უზრუნველყოფდა სახელმწიფო არბიტრაციას, 1963 წლის ნიდერლანდებისა და ტუნისის ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებდა არბიტრის მხარეთა მიერ დანიშვნას.<sup>16</sup>

დღესდღეობით, მხარის უფლებას ცალმხრივად დანიშნოს არბიტრი, ითვალისწინებს უმეტესი ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, ყველა ძირითადი საერთაშორისო საარბიტრაჟო წესი და უმეტესი ადგილობრივი საარბიტრაჟო კანონმდებლობა, მათ შორის, UNCITRAL-ის მოდელური კანონი.<sup>17</sup> ეს ვრცელი ისტორიული საფუძველი და არსებული პრაქტიკა

<sup>12</sup> *Veeder J. QC., A History of Party-Appointed Arbitrators “from Miami to Geneva”, Inaugural Charles N. Brower Lecture on International Dispute Resolution*, <<https://www.youtube.com/watch?v=BIgnALvoEIE> (მომხმარებელმა ვებგვერდი ბოლოს მოინახულა 2013 წლის 27 დეკემბერს); *Carter E., Inaugural Brower Lecture, Johnny Veeder Sets Out History Advantages of Party-Appointed Arbitrators, ASIL Cables, 7 April 2011*: <<http://69.195.124.65/~asilcabl/2013/04/07/in-inaugural-brower-lecture-johnny-veeder-sets-out-history-advantages-of-party-appointed-arbitrators/> (შემდგომში - *Carter*); *Sebastian P., Party appointments are “keystone” of arbitration, says Veeder, Global Arbitration Review, 2013* (შემდგომში - *Sebastian*).

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> 1899 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ (Convention for the Pacific Settlement of International Disputes) 1899 წლის 29 ივლისი, მუხლები 24, 32.

<sup>15</sup> 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ Convention for the Pacific Settlement of International Disputes, 1907 წლის 18 ოქტომბერი, მუხლები 45, 87.

<sup>16</sup> *Brower*, იხ. ზემოთ, 9, 2; პაკისტანსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის გაფორმებული შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ (Treaty for the Promotion and Protection of Investments between Pakistan and Federal republic of Germany), 1959 წლის 25 ნოემბერი, მუხლები 11(3) (b); ნიდერლანდებსა და ტუნისს შორის გაფორმებული შეთანხმება ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ (Treaty for the Promotion and Protection of Investments between Netherlands and Tunisia), მუხლი 8.

<sup>17</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, 2010, მუხლი 9v(1); UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, 1976, მუხლი 7 (1); სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესები (Rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce, მუხლი 13(3); საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესები (International Chamber of Commerce Arbitration Rules), 2012, მუხლი 12 (4); საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესები (International Chamber of Commerce Arbitration Rules), 1998, მუხლი 8 (4); დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Dispute Resolution) (ICDR) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 6; საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes) (ICSID) კონვენცია,

მიუთითებს, რომ მხარეთა უფლება დანიშნონ არბიტრი საერთაშორისო არბიტრაჟში დამკვიდრებული პრინციპია.<sup>18</sup>

### 3. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოვალეობა

საარბიტრაჟო წესებისა და სახელშეკრულებო სამართლის ნორმების თანახმად, არბიტრი უნდა იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.<sup>19</sup> აღნიშნული თვისებები მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო წარმოების და საარბიტრაჟო პროცესის შედეგის კანონიერებისათვის, რადგან არბიტრი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მხარესათვის შესასრულებლად სავალდებულოა და ექვემდებარება მხოლოდ მინიმალურ გადახედვას. მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ვალდებულების ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს არბიტრის მიერ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ეროვნული კანონმდებლობა და საარბიტრაჟო წესები ზოგადად და უზრუნველყოფს სპეციფიკურ შესაბამისობის სტანდარტს აღნიშნულ ვალდებულებასთან.<sup>20</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონის 12 (2) მუხლის თანახმად, არბიტრის აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი არ არის მიუკერძოებელი ან ობიექტური. ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი არ აწესებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის სტანდარტებს, რადგან აღნიშნული სტანდარტი განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციაში და დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტებზე.<sup>21</sup>

საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ყველა არბიტრი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მიუხედავად იმისა, რომ ისინი დანიშნულნი არიან მხარეთა მიერ. არბიტრებმა საარბიტრაჟო წარმოების პერიოდში უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპები ავალდებულებს არბიტრს უარი თქვას არბიტრად დანიშვნაზე ან თვითაცილება გააკეთოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს საქმის მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად განხილვას.<sup>22</sup> ამასთან, არბიტრი ვალდებულია დასაბუთებული ეჭვის არსებობისას გაამყლავ-

---

მუხლი 37 (2) (b); საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes) (ICSID) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 3 (1); UNCITRAL საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ მოდელური კანონი (Model Law on International Commercial Arbitration), 2006, მუხლი 11 (3).

<sup>18</sup> Brower, იხ. ზემოთ, 9, 11.

<sup>19</sup> საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes) (ICSID) კონვენცია, მუხლი 14(1); საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 7 (1) (International Chamber of Commerce Arbitration Rules), Article 7 (1); საერთაშორისო არბიტრაჟის ლონდონის სასამართლოს წესები London Court of International Arbitration (LCIA) Rules, 1998, მუხლი 5 (1); UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები 2010, მუხლი 9.

<sup>20</sup> UNCITRAL მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (Model Law on International Commercial Arbitration), 2006, მუხლი 12 (2); ფრანგული სამოქალაქო სამართლის კოდექსი (French Code of Civil Procedure), მუხლი 1456; ინგლისის არბიტრაჟის აქტი (English Arbitration Act) 1996, თავი 24(1)(a); შვეიცარიის კერძო საერთაშორისო სამართლის აქტი (Swiss Private International Law Act), მუხლი 180(1)(c); UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები (Arbitration Rules), 2010, მუხლი 11; საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესები (International Chamber of Commerce Arbitration Rules), 2012, მუხლი 11; საერთაშორისო არბიტრაჟის ლონდონის სასამართლოს წესები (London Court of International Arbitration (LCIA) Rules, 1998, მუხლი 5; შვეიცარიის საერთაშორისო არბიტრაჟის წესები (Swiss Rules of International Arbitration, 2012, მუხლი 9.

<sup>21</sup> Leeuwen M., Pride and Prejudice in the Debate on Arbitrator Independence, in Christoph Müller and Antonio Rigozzi (eds) New Developments in International Commercial Arbitration, 2013, 9 (შემდგომში - *Melanie van Leeuwen*).

<sup>22</sup> საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ (International Bar Association Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration), 22 მაისი 2004, ზოგადი სტანდარტები General Standard (2)(a).

ნოს გარემოება არბიტრის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ.<sup>23</sup> მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიუკერძოებლობის მოთხოვნა სუბიექტური სტანდარტია, რომელიც არბიტრს ავალდებულებს მოისმინოს და განიხილოს საქმე ნეიტრალურად, მიუკერძოებლად და სამართლიანად, არ დაუშვას სადავო საქმეზე წინასწარი აზრის შექმნა და ერთ-ერთი მოდავე მხარის მიმართ კეთილგანწყობის შექმნა.<sup>24</sup> მეორე მხრივ, დამოუკიდებლობა ეხება ობიექტურ სტანდარტს, რის მიხედვითაც დაუშვებელია საარბიტრაჟო წარმოების პერიოდში არბიტრებსა და მხარეებს ან ადვოკატებს შორის კავშირი.<sup>25</sup>

დადგენილი სტანდარტის თანახმად, თითოეულ არბიტრს, მიუხედავად იმისა, მხარის მიერ არის იგი დანიშნული თუ არა, თანაბრად აკისრია მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ვალდებულება.<sup>26</sup> მაგალითად, საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრის ICSID არბიტრაჟში, ტრიბუნალის ყველა წევრი ერთსა და იმავე ფიცს დებს. თუმცა, ივარაუდება, რომ არსებობს მკაფიო პრაქტიკული სხვაობა საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ დანიშნულ წევრებსა და სამი არბიტრისგან შემდგარი ტრიბუნალის წევრებს შორის, რომელიც შედგება ორი მხარის მიერ დანიშნული არბიტრისგან და პრეზიდენტისგან.<sup>27</sup> Queen Marry კვლევის შედეგები ამყარებს ზემოაღნიშნულ პრეზუმციას, რადგან კვლევის თანახმად, მხარეებს მეტი ნდობა და მოლოდინი აქვთ მათ მიერ ცალმხრივად დანიშნული არბიტრების მიმართ.<sup>28</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მხარეთა მიერ დანიშნულ არბიტრებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის იგივე ვალდებულებები აკისრიათ,<sup>29</sup> შეერთებულ შტატებში სხვა მიდგომაა დამკვიდრებული, კერძოდ, ისტორიულად, მრავალი სახელმწიფო კანონი და საარბიტრაჟო წესი უწოდებს მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების უფლება-მოვალეობებს „არანეიტრალურს“, ხოლო არბიტრაჟის თავმჯდომარეს, „ნეიტრალურს“. შეერთებული შტატების რამდენიმე შტატში განხორციელდა პარტიზანი/მომხრე არბიტრთა ინსტიტუციონალიზაცია და მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრებისათვის და არბიტრაჟის თავმჯდომარისათვის განისაზღვრა სხვადასხვა სტანდარტები.<sup>30</sup> ზოგიერთი ავტორი მხარეთა მიერ დანიშნულ არბიტრებს „მოსამართლეთა ადვოკატებსაც“ კი უწოდებდა, რაც ძირს უთხრიდა მათ მოჩვენე-

<sup>23</sup> საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ International Bar Association Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration, 22 მაისი 2004, ზოგადი სტანდარტების განმარტება Explanation to General Standard 2(b).

<sup>24</sup> *Melanie van Leeuwen*, შენიშვნა 21, 10; *Bishop D., Reed L.*, Practical Guidelines for Interviewing, Selecting and Challenging Party-Appointed Arbitrators in International Commercial Arbitration, Arbitration International, Vol. 14, Issue 4, 1998, 398-399 (შემდგომში - *Bishop/Reed*); *Lew J., Mistelis L., Kröll S.*, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 258-261; *Gaillard E., Savage J.* (eds), *Fouchard Gaillard Goldman* on International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 1999, 561-565; *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2009, 1473-1474; *Redfern/Hunter*, იბ.ზემოთ, 3, 326-328.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> International Bar Association Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration, 22 May 2004, General Standard 1; UNCITRAL Arbitration Rules, 2010, Article 11; International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID) Arbitration Rules, Article 6; International Chamber of Commerce Arbitration Rules, 2012, Article 11; London Court of International Arbitration (LCIA) Rules, 1998, Article 5; Swiss Rules of International Arbitration, 2012, Article 9.

<sup>27</sup> *Melanie van Leeuwen*, იბ.ზემოთ, 21, 2.

<sup>28</sup> იქვე; *Queen Marry Survey*, იბ.ზემოთ, 6.

<sup>29</sup> *Paulsson*, იბ.ზემოთ, 4, 13; *Brower Ch., Rosenberg Ch.*, The Death of the Two-Headed Nightingale: Why the Paulsson-van den Berg Presumption that Party-Appointed Arbitrators are Untrustworthy is Wrongheaded, Arbitration International, Vol. 29, Issue 1, 2013, 14 (შემდგომში - *Brower/Rosenberg*).

<sup>30</sup> *Davis K. C.*, Administrative Law Treatise, St. Paul, 1958, 157; *Arnold T.*, The Unacceptable Common Partiality of “Neutral” Party Appointed Arbitrators, 1996 Chartered Institute of Arbitrators’ conference, 5; *Farber E. I.*, The Role of the Neutral in Party-Appointed Arbitrations, Outside Counsel, 2002; *Del Monte Corp. v. Sunkist Growers, Inc.*, 10 F.3d 753, 11th Circuit 1993, 760.

ბით ნეიტრალობას.<sup>31</sup> აღნიშნული მიდგომა შეერთებულ შტატებში გაუქმდა. დღესდღეობით არბიტრთა ორივე ჯგუფისთვის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ერთი და იგივე მოთხოვნები მოქმედებს.<sup>32</sup> თუმცა შეერთებული შტატების მეცნიერებსა და პრაქტიკოს იურისტებს და დანარჩენ მსოფლიოს შორის კვლავ არსებობს განსხვავებული შეხედულებები მხარეთა მიერ დანიშნულ არბიტრებთან მიმართებაში.<sup>33</sup> უფრო მეტიც, საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ ერთ-ერთი წამყვანი სახელმძღვანელოს თანახმად, მხარის მიერ დანიშნული არბიტრისთვის შეუფერებელი არ არის იზრუნოს, რომ ტრიბუნალმა სათანადოდ გაიგოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები.<sup>34</sup> ამგვარი მაგალითები მიუთითებს, რომ თუმცა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ვალდებულება საყოველთაოდ მიღებულია, მაინც მიიჩნევა, რომ მხარის მიერ დანიშნული არბიტრის როლი განსხვავდება პანელის სხვა წევრების როლისაგან.

#### 4. ცალმხრივად დანიშვნის კრიტიკა

დროდადრო წამოიჭრება დავა მხარეთა მიერ დანიშნულ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ არბიტრებთან დაკავშირებით.<sup>35</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესორმა ჟან პაულსენმა გააცოცხლა დებატები 2010 წლის 29 აპრილს, მის მიერ მაიამის სამართლის სკოლის უნივერსიტეტში ჩატარებულ ლექციაზე, რომელიც შეეხებოდა საკითხს „მორალური რისკი საერთაშორისო დავების გადანაცვლებაში“, სადაც მან წამოაყენა ცალმხრივად არბიტრის დანიშვნის სისტემის მთლიანად გაუქმების წინადადება არბიტრთა ტენდენციურობის თავიდან ასაცილებლად. მან კითხვის ქვეშ დააყენა მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების მიუკერძოებლობის საკითხი და დაასაბუთა, რომ ამგვარი პრაქტიკა საფთხის ქვეშ აყენებს მთლიანად საარბიტრაჟო პროცესის მთლიანობას.<sup>36</sup> პროფესორი *პაულსენი* ამტკიცებდა, რომ არბიტრთა უმრავლესობა დახმარებას უწევს იმ მხარეს, რომელმაც იგი დანიშნა.<sup>37</sup> მან აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მოიყვანა მრავალი გასაოცარი მაგალითი. მან წარმოადგინა *Loewen*-ის მაგალითი, სადაც დავა მიმდინარეობდა კანადელ ინვესტორსა და შეერთებულ შტატებს შორის. შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა ტრიბუნალის წევრად ცალმხრივად დანიშნა ყოფილი ფედერალური მოსამართლე.<sup>38</sup> შეერთებულმა შტატებმა მოიგო პროცესი. რამდენიმე წლის შემდეგ აღნიშნული დავა განსჯის საგანი გახდა. სიმპოზიუმზე, შეერთებული

<sup>31</sup> *Garmisa S. P.*, Reexamining Built-In Bias of Party-Appointed Arbitrators, *Chicago Daily Law Bulletin*, 11 March 2002, 48; *Reisman M.*, International Decision: Eritrea-Yemen Arbitration (Award, Phase II: Maritime Delimitation), 94 *American Journal of International Law* 721, 2000, 736; *Simpson J. L., Fox H.*, *International Arbitration: Law and Practice*, Praeger, 1959, 88.

<sup>32</sup> ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი არბიტრებისთვის კომერციულ დავებში *American Bar Association Code of Ethics for Arbitrators in Commercial Disputes*, 2004.

<sup>33</sup> *Lieberman S. H.*, Something's Rotten in the State of Party-Appointed Arbitration: Healing ADR's Black Eye that is "Nonneutral Neutrals", *Cardozo Journal of Conflict Resolution*, Vol. 5:215, 2004, 243.

<sup>34</sup> *Redfern/Hunter*, *იბ.ზემოთ*, 2, 239.

<sup>35</sup> *Melanie van Leeuwen*, *იბ.ზემოთ*, 21, 4; *Scott R.A.*, On Integrity in Private Judging, *Arbitration International*, *Arbitration International*, Vol. 14, Issue 2, 1998; *Bishop/Reed*, *იბ.ზემოთ*, 24; *Mosk R., Ginsberg T.*, Dissenting Opinions in International Arbitration, in *Liber Amicorum Bengt Broms*, Finnish Branch of the International Law Association, Helsinki, 1999; *Redfern A.*, Dissenting Opinions in International Commercial Arbitration: The Good, the Bad and the Ugly, *Arbitration International*, Vol. 20, 2004 (შემდგომში - *Redfern*); *Kirby J.*, With Arbitrators, Less Can Be More: Why the Conventional Wisdom on the Benefits of Having Three Arbitrators May Be Overrated, *Journal of International Arbitration*, Vol. 26, Issue 3, 2009; *Rogers C. A.*, Regulating International Arbitrators: A Functional Approach to Developing Standards of Conduct, *Transnational Dispute Management*, Vol. 8, Issue 1, 2011.

<sup>36</sup> *Paulsson*, *იბ.ზემოთ*, 4, 3-4; *იბ.*, ასევე: *Paulsson J.*, Are Unilateral Appointments Defensible?, <<http://kluwerarbitrationblog.com/blog/2009/04/02/are-unilateral-appointments-defensible/>>, [27.12.2013].

<sup>37</sup> *Paulsson*, *იქვე*, 7.

<sup>38</sup> *The Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America*, ICSID (NAFTA), Case No. ARB(AF)98/3, Award on Merits, 26 June 2003.

შტატების მიერ დანიშნულმა არბიტრმა გაამჟღავნა, რომ იგი არბიტრად დანიშვნამდე შეხვდა სახელმწიფო ოფიციალურ პირებს. აღნიშნულ შეხვედრაზე მას უთხრეს, რომ „ამ პროცესის ნაგების შემთხვევაში ისინი ნააგებდნენ NAFTA-ს.“ არბიტრმა უპასუხა: „თუ თქვენ გსურთ ჩემზე ზენოლის მოხდენა, მოახდინეთ“. ამგვარი ზენოლის საფუძველზე, რომელიც გამჟღავნდა რამდენიმე წლის შემდეგ, პროფესორმა პაულსენმა დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ დავაზე გადწყვეტილება არ მიუღია მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ ტრიბუნალს.<sup>39</sup>

თავის სიტყვაში ჟან პაულსონმა მხარი დაუჭირა არბიტრის ცალმხრივად დანიშვნის პრაქტიკის აკრძალვას ან შემოგვთავაზა მისი სულ მცირე მკაცრად გაკონტროლება.<sup>40</sup> მისი მტკიცებით, მხარეთა მიერ არბიტრების ცალმხრივად დანიშვნის თავისუფლებამ განაპირობა „მორალური საფრთხე“, რადგან მხარის მიერ დანიშნული არბიტრი, თავისი პირადი, კომერციული ინტერესის გამო გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი დანიშნავი მხარის სასარგებლოდ და არა ობიექტურად.<sup>41</sup> პროფესორმა პაულსონმა შემოგვთავაზა არბიტრის დანიშვნის სამი ალტერნატიული მეთოდი: (i) ტრიბუნალის ყველა წევრი დანიშნოს მხარეთა მიერ ერთობლივად; (ii) ტრიბუნალის ყველა წევრი დანიშნოს საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ; ან (iii) მხარეებმა ცალმხრივად დანიშნონ არბიტრები საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ წინასწარ შედგენილი კვალიფიციური არბიტრების სიიდან.<sup>42</sup> ჟან პაულსონის ლექცია შემდგომი დებატების საფუძველი გახდა, რომელიც შეეხებოდა შემდეგ საკითხს, უნდა შეინარჩუნოს თუ არა მხარემ ტრიბუნალის წევრების ცალმხრივად შერჩევის უფლება. პროფესორს მხარი დაუჭირეს საარბიტრაჟო საზოგადოების გამოჩენილმა წევრებმა.<sup>43</sup>

პროფესორმა ვან დენ ბერგმა განაგრძო არბიტრების მხარეთა მიერ დანიშვნის კრიტიკა. მისი განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო ცალმხრივად დანიშნული ტრიბუნალის წევრის განსხვავებულ აზრზე. მან გააანალიზა 150 გასაჯაროებული გადაწყვეტილება საინვესტიციო არბიტრაჟის სფეროში. აღნიშნული საქმეებიდან 34 საქმეში მოიპოვება 34 განსხვავებული აზრი, რომელთაგან თითქმის ყველა მომზადებული იყო ნაგებული მოდავე მხარის მიერ დანიშნული არბიტრის მიერ.<sup>44</sup> ბატონმა ალან რედფერნმა 2003 წელს გამოაქვეყნა მსგავსი სტატისტიკური მონაცემები კომერციული არბიტრაჟის სფეროში, რომლის თანახმადაც, 2001 წელს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟებმა გამოსცეს 24 განსხვავებული აზრი, საიდანაც 22 განსხვავებული აზრი დანიშნავი მხარის სასარგებლოდ იყო შემუშავებული.<sup>45</sup>

პროფესორი ვან დენ ბერგის მტკიცებით, მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების მიერ შემუშავებული განსხვავებული აზრი ხელს უშლის არბიტრთა სათათბირო პროცესს, რადგან ტენდენციური არბიტრი არ ჩაერთვება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გამართულ დიალოგში, ტრიბუნალის სხვა წევრები კი ადვოკატი არბიტრის მოსაზრებას სერიოზულად არ მიიღებენ.<sup>46</sup> პროფესორის აზრით, პრობლემის არსს წარმოადგენს არბიტრების მხარეთა მიერ ცალმხრივად დანიშვნა, რაც არბიტრებს დამოკიდებულს ხდის მის დანიშნავ მხარეზე. ამდე-

<sup>39</sup> Paulsson, *იხ. ზემოთ*, 4, 9.

<sup>40</sup> Paulsson, *იქვე*, 11.

<sup>41</sup> Paulsson, *იქვე*, 10.

<sup>42</sup> Paulsson, *იქვე*, 16.

<sup>43</sup> Albert Jan van den Berg, *იხ. ზემოთ*, 5; Smit H., The Pernicious Institution of the Party-Appointed Arbitrator, Columbia FDI Perspectives, Perspectives on topical foreign direct investment issues by the Vale Columbia Center on Sustainable International Investment, No. 33, 2010 (შემდგომში - Smit); Nassib Z., L'étique et l'arbitrage en matière d'investissement: grandeur et misère de la fonction d'arbitre, *Revue de l'arbitrage*, 2012.

<sup>44</sup> Albert Jan van den Berg, *იხ. ზემოთ*, 5; 825; Franck S., Empirically Evaluating Claims About Investment Treaty Arbitration, 80 North Carolina Law Review 1, 2007, 77.

<sup>45</sup> Redfern, *იხ. ზემოთ*, 35, 223-242.

<sup>46</sup> Albert Jan van den Berg, *supra* note 5, 829; *იხ. ასევე*, Derains Y., La pratique du délibéré arbitral, in *Global Reflections on International Law, Commerce and Dispute Resolution: Liber Amicorum in Honour of Rober Briner* 221, 2005, 224.

ნად, იგი გვთავაზობს არბიტრის ცალმხრივად დანიშნვის სისტემის გაუქმებას ან შემდეგი პრინციპის დანერგვას: *nemine dissente*.<sup>47</sup>

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰანს სმიტმა მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრის კონცეფციას „საზიანო ინსტიტუტი“ უწოდა და შემოგვთავაზა მისი გაუქმება ან იმ ფაქტის აღიარება, რომ ასეთი არბიტრები წარმოადგენენ მხარეთა ადვოკატებს.<sup>48</sup> მისი მოსაზრებით, კლიენტისთვის საუკეთესო შედეგის მიღწევისთვის ვინმეს დანიშვნა წარმოადგენს ადვოკატის მოვალეობას, როცა არბიტრისთვის კლიენტისათვის სასარგებლო შედეგის მიღწევა წარმოადგენს მისი ხელახალი დასაქმების შესაძლებლობას. პროფესორმა სმიტმა ასევე განაცხადა, რომ არბიტრმა შეიძლება გამოიტანოს დამნიშნავი მხარის საწინააღმდეგო გადანყვეტილება ტრიბუნალის იმ წევრების კომპრომისის სანაცვლოდ, რომლებიც, როგორც წესი, დაინტერესებულნი არიან მიიღონ ერთსულოვანი გადანყვეტილება. ამგვარი შეთანხმება არ ემსახურება სამართლიანობის პრინციპს. პარტიზანი არბიტრის არსებობა პანელზე ჩვეულებრივ ხელს შეუშლის ტრიბუნალის წევრებს შორის იდეების გაცვლას. პროფესორმა სმიტმა განაცხადა, რომ მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების უმრავლესობა რეაგირებს პირად წახალისებაზე და, გარკვეულწილად, ხდება მხარის ადვოკატი სისტემაში, რომელიც მათგან ობიექტურ ქმედებას მოითხოვს.<sup>49</sup>

ზემოთ ხსენებული არგუმენტების თანახმად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, თუ რატომ მიაჩნიათ ავტორებს მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების სისტემა ნაკლოვანად და რატომ ქმნის აღნიშნული სისტემა ჟან პაულსენის სიტყვებით „მორალურ საფრთხეს“. ამიტომ, თუ საერთაშორისო არბიტრაჟი შემოგვთავაზებს სახელმწიფო სასამართლოს საიმედო ალტერნატივას, იგი უნდა აკმაყოფილებდეს იგივე სტანდარტებს, კერძოდ, უნდა უზრუნველყოფდეს არბიტრების მიერ მიუკერძოებელი გადანყვეტილების მიღებას და დავების გადანყვეტას მხოლოდ მათი შინაგანი რწმენის საფუძველზე.<sup>50</sup>

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახეზე არ გვაქვს არბიტრის აშკარა ტენდენციურობა, ცხადია, რომ იურისტები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეს ყოველთვის ეცდებიან დანიშნონ არბიტრი, რომელიც თანაუგრძობს მხარეს და უპასუხებს მხარის მიერ წამოყენებულ არგუმენტებს.<sup>51</sup> საინვესტიციო დავების გადანყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICSID) ერთ-ერთ საქმეში ნათლად იყო აღნიშნული არბიტრის განვევის შესახებ მისი აკადემიური ნაშრომის გამო: „გარკვეული ასაკის არცერთი არბიტრი და ზოგადად კი, არცერთი ადამიანი არ არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თითოეული ინდივიდი გადმოსცემს იდეებს და აზრებს მისი მორალური, კულტურული და პროფესიული განათლებისა და გამოცდილების შესაბამისად.“<sup>52</sup> იურისტები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან შეისწავლონ არბიტრების იდეები და მოსაზრებები და გამოიყენონ ეს თავიანთი კლიენტის სასარგებლოდ.

ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საარბიტრაჟო წარმოების მხარეები უფრო ხშირად ახდენენ მეორე მხარის მიერ დანიშნული არბიტრის აცილებას. საინვესტიციო დავების გადანყვეტის საერთაშორისო ცენტრის (ICSID) 26 გამოქვეყნებული გადანყვეტილებიდან 2007 წლიდან დღემდე 24 შეეხებოდა არბიტრთა აცილებას, ხოლო

<sup>47</sup> *Albert Jan van den Berg*, supra note 5, 831; იხ. ასევე: *Derains Y.*, The Deliberations of the Arbitral Tribunal — “Retour au délibéré arbitral”, in *The Resolution of the Dispute - from the Hearing to the Award: ASA Special Series*, No. 29, 2007, 16.

<sup>48</sup> *Smit*, იხ. ზემოთ, 43, 2.

<sup>49</sup> იქვე; *Slaoui F. Z.*, The Rising Issue of “Repeat Arbitrators”: a Call for Clarification, *Arbitration International*, Vol. 25, 2009, 103-119.

<sup>50</sup> *Mosk/Ginsburg*, Dissenting Opinions in International Arbitration, 15 *MEALEY'S International Arbitration Report* 6, 2000, 9.

<sup>51</sup> იქვე; *John Uff CBE QC*, Party-Appointed Arbitrators: What Is Their Proper Role?, <<http://www.mondaq.com/x/267544/Arbitration+Dispute+Resolution/PartyAppointed+Arbitrators+What+Is+Their+Proper+Role>>, [27.12.2013].

<sup>52</sup> *Urbaser S. A. v Argentina*, ICSID Case No. ARB/07/26, Decision on Claimants’ Challenge of Professor Campbell McLachlan, 2010, para. 40.



სამი საქმე შეეხებოდა სხვადასხვა საქმეში განთქმული არბიტრების თვითაცვლებას.<sup>53</sup> აცილებების მიზეზები განსხვავდებოდა. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მოვიყვანოთ „საკითხთან დაკავშირებული კონფლიქტი“, ანუ განცხადებები იმის თაობაზე, რომ არბიტრის მიერ ადრე დაკავებული პოზიცია გამოხატავს მის წინასწარ დამოკიდებულებას კონკრეტულ სადავო საკითხთან დაკავშირებით, ან მხარის ან მისი ადვოკატის მიერ არბიტრის რამდენჯერმე დანიშვნა.<sup>54</sup> აცილების ფაქტების მზარდი რაოდენობა ნათლად მიუთითებს მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების სისტემის ნაკლოვანებაზე და ამ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე.

## 5. არბიტრების ცალმხრივად დანიშვნის სისტემის მომხრეები

არბიტრების ცალმხრივად დანიშვნის არსებული პრაქტიკის გაუქმების წინადადებას კრიტიკით შეხვდნენ საარბიტრაჟო საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები.<sup>55</sup> მოსამართლე ჩარლზ ბროვერის ხელმძღვანელობით საარბიტრაჟო სფეროში გამორჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსები ენერგიულად იცავდნენ მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების პრაქტიკას და ეწინააღმდეგებოდნენ „ცვლილების იპოხონდრიას“<sup>56</sup> შეეცვალათ სისტემა.<sup>57</sup>

ჩარლზ ბროვერის და ჩარლზ როზენბერგის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, ავტორები ჟან პაულსენის წინადადებას უწოდებდნენ „wrongheaded“ და აცხადებენ, რომ სამართალწარმოების ალტერნატივად არბიტრის დანიშვნის ფუნდამენტური უფლება არბიტრაჟის ერთ-ერთი მიმზიდველი ასპექტია.<sup>58</sup> ავტორებმა განაცხადეს, რომ ასეთი უფლება წარმოადგენდა არბიტრაჟის ძირითად პრინციპს 1794 წელს სახელმწიფოთაშორის და ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში. ავტორებმა, ასევე, განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არბიტრი ტენდენციურია რომელიმე მხარის მიმართ, იგი უნდა გათავისუფლდეს საერთაშორისო საადვოკატო ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპების 2 (ა) მუხლის ძირითადი სტანდარტების თანახმად. ავტორები მისაღებ პრაქტიკად განიხილავდნენ არბიტრების შერჩევას მათი კონკრეტული სამართლებრივი ან პროფესიული გამოცდილების მიხედვით, რადგან მათ კონკრეტული საკითხის ანალიზის საფუძველზე კონკრეტული პოზიცია უჭირავთ შესაბამის საკითხთან დაკავშირებით.<sup>59</sup> ავტორებმა აღნიშნეს, რომ მხარეებს უნდა გააჩნდეთ ნდობა ტრიბუნალის მიმართ, როგორც კოლეგიალური ორგანოს მიმართ, რისი მიღწევაც შეუძლებელია, თუ მხარეები მონაწილეობას არ მიიღებენ ტრიბუნალის ფორმირების პროცესში.<sup>60</sup>

ჩარლზ ბროვერმა და ჩარლზ როზენბერგმა უპასუხეს პროფესორი ვან დენ ბერგის შემოთავაზებას განსხვავებული აზრის შესახებ და განაცხადეს, რომ განსხვავებული აზრი უკეთესი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების საფუძველია, იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ განსხვავებული აზრი ამტკიცებს უმრავლესობის გადაწყვეტილების სისუსტეს და ამით აიძულებს უმრავლესობას გამოასწოროს გადაწყვეტილების სუსტი მხარეები გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებში.<sup>61</sup> მათი მოსაზრებით, მხარეთა მიერ დანიშ-

<sup>53</sup> Finizio/Salas, იხ. ზემოთ, 2.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> Brower/Rosenberg, იხ. ზემოთ, 29; Mourre A., Are unilateral appointments defensible? On Jan Paulsson's moral hazard in international arbitration, Kluwer Arbitration Blog, 2010, <<http://kluwerarbitrationblog.com/blog/2010/10/05/are-unilateral-appointments-defensible-on-jan-paulsson%E2%80%99s-moralhazard-in-international-arbitration/>>, [27.12.2013] (შემდგომში - Mourre); Carter, იხ. ზემოთ, 12.

<sup>56</sup> Schneider, იხ. ზემოთ, 8, 273.

<sup>57</sup> Brower/Rosenberg, შენიშვნა 29; Matthews J.M., Difficult Transitions Do Not Always Require Major Adjustment – It's Not Time to Abandon Party-Nominated Arbitrations in Investment Arbitration, 25 ICSID Review 356, 2010; Branson D., Sympathetic Party-Appointed Arbitrators: Sophisticated Strangers and Governments Demand Them, 25 ICSID Review 367, 2010; Schneider, იხ. ზემოთ, 8; Mourre, იხ. ზემოთ, 55.

<sup>58</sup> Brower/Rosenberg, იხ. ზემოთ, 29, 8.

<sup>59</sup> იქვე, 17.

<sup>60</sup> იქვე, 14.

<sup>61</sup> იქვე, 34.

ნული არბიტრების განსხვავებული აზრი უნდა განვიხილოთ, როგორც მხარის პოზიციის ანა-რეკლი და არა როგორც დამოუკიდებლობის ან მხარისადმი გაუცხოების შიში. ამდენად, გა-კეთდა დასკვნა, რომ მხარის მიერ დანიშნული არბიტრი და მათი განსხვავებული აზრის გა-მოთქმის უნარი ამყარებს საარბიტრაჟო პროცესის აღქმულ ლეგიტიმურობას და ამ სტატუს-კვოს შეცვლა ხელს შეუშლის საარბიტრაჟო სფეროს შემდგომ განვითარებას.<sup>62</sup>

ბროვერის ზემოთ ხსენებულ ლექციაზე *ჯონი ქს ვედერმა* ასევე მხარი დაუჭირა მხარეთა მიერ არბიტრის დანიშვნისა და განსხვავებული აზრის არსებულ პრაქტიკას.<sup>63</sup> მან განაცხადა, რომ მხარეთა მიერ არბიტრის დანიშვნის სისტემა წარმოადგენს „საერთაშორისო არბიტრაჟის ქვაკუთხედს და რომ ჩვენ წინდახედულობა უნდა გამოვიჩინოთ უმიზეზოდ დამკვიდრებული ტრადიციის შეცვლისას“.<sup>64</sup>

ბატონმა *ვიდერმა* უპასუხა პროფესორ *ვან დენ ბერგის* მიერ გამოთქმულ არგუმენტებს განსხვავებული აზრის შესახებ და აღნიშნა, რომ კარგი განსხვავებული აზრი საარბიტრაჟო განხილვაში ჯანსაღი ინტელექტუალური ენერჯის ნიშანია და არა მხარეთა მიერ არბიტრების დანიშვნის სისტემის ფატალური ავადმყოფობის გამოვლინება.<sup>65</sup>

*იან პაულსონის* წინადადება გააკრიტიკა ფრანგმა იურისტმა *ალექსის მურემ კლუვერის* საარბიტრაჟო ბლოგში გამოქვეყნებულ სტატიაში.<sup>66</sup> ამ განთქმულმა პრაქტიკოსებმა შემ-დგომში აღნიშნული საკითხი განიხილეს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერე-ბების სკოლის მიერ ორგანიზებულ სპეციალისტების სემინარზე.<sup>67</sup> ბატონმა *მურმა* განაცხადა, რომ არბიტრების შერჩევა უზრუნველყოფს მხარეთათვის საარბიტრაჟო წარმოების პროცეს-ზე გარკვეული კონტროლის მექანიზმს.<sup>68</sup> მისი აზრით, მხარეები ირჩევენ არბიტრს მათი რეპუ-ტაციიდან გამომდინარე და ნებისმიერი შეუსაბამო ზეგავლენა საბოლოო ჯამში არ არის პრო-დუქტიული განხილვის პროცესისთვის, რადგან ტენდენციური არბიტრები აღმოჩნდებიან სა-არბიტრაჟო ტრიბუნალის წევრთა უმცირესობაში.<sup>69</sup>

პროფესორი *ჯიორჯიო საკერდოტი* მხარს უჭერდა მხარეთა მიერ არბიტრების დანიშ-ვნის არსებულ სისტემას და ამტკიცებდა, რომ ტრიბუნალის წევრების არჩევის უფლება განას-ხვავებდა საარბიტრაჟო წარმოებას სამართალწარმოებისაგან და საშუალებას აძლევდა მხა-რეს დაენიშნა არბიტრები, რომლებიც უპასუხებდნენ მხარის მოლოდინს ეროვნების, ენის, კულტურის, სამართლებრივი და ტექნიკური ცოდნის გათვალისწინებით.<sup>70</sup> იგი ამტკიცებდა, რომ არსებობს გარანტიები იმისათვის, რომ ცალმხრივად დანიშნულმა არბიტრებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი უფლებები. ეს გარანტიებია:

- აღიარება, რომ არბიტრები არ არიან მხარეთა წარმომადგენლები, არამედ ისინი არიან მეურვეები, რომლებმაც დავა უნდა გადაწყვიტონ სამართლიანად;
- საარბიტრაჟო პროცესში გათვალისწინებულია სასამართლოს უფლება გააკონტრო-ლოს სამართლებრივი პროცესის ძირითადი წესების დაცვა;
- არსებული საუკეთესო პრაქტიკა, მაგალითად, 1994 წლის საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო არბიტრაჟოში ინტერესთა კონ-ფლიქტის შესახებ მიღებული სტანდარტია.

<sup>62</sup> იქვე, 32.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> *Sebastian*, იხ. ზემოთ, 12, 4.

<sup>65</sup> *Carter*, იხ. ზემოთ, 12, 2.

<sup>66</sup> *Mourre*, იხ. ზემოთ, 55.

<sup>67</sup> “Unilaterally Appointed Arbitrators - A Good Idea?” Debate between Alexis Mourre (Castaldi Mourre Paris) and Professor Jan Paulsson (LSE), 24 November 2010, <<https://www.youtube.com/watch?v=DeTK-rUb6fU>>, [27.12.2013].

<sup>68</sup> *Mourre*, იხ. ზემოთ, 55.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> *Sacerdoti G.*, Is the Party-Appointed Arbitrator a “Pernicious Institution”? A reply to *Professor Hans Smit*, Perspectives on Topical Foreign Direct Investment Issues by the Vale Columbia Center on Sustainable International Investment, No. 35, 2011, 2.

პროფესორ *ჯიორჯიო საკერდოტმა* შემდგომში განაცხადა, რომ ამგვარი უფლება ამტკიცებს მხარეთა მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შანსს და გააკრიტიკა არბიტრის ცალმხრივი დანიშვნის ალტერნატიული გზები, კერძოდ, არბიტრების ინსტიტუტის მიერ დანიშვნის ალტერნატივა. მან განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი დაკარგავს მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თვისებას და გადაიქცევა საერთაშორისო კვაზი სამართლებრივ მექანიზმად.<sup>71</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ არბიტრების დანიშვნის მომხრეების მიერ წამოყენებულია ორი არგუმენტი: პირველი შეეხება მხარეთა უფლებას აქტიური მონაწილეობა მიიღონ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის პროცესში, მეორე არგუმენტი ხაზს უსვამს მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების მიერ საარბიტრაჟო პროცესში შეტანილ წვლილს.

## 6. მომავალი

მიღებულია, რომ საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს მიუკერძოებელი ტრიბუნალის უფლება უნდა გააჩნდეთ. დანიშვნის მეთოდი უნდა ემსახურებოდეს ძირითად მიზანს. მხარეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ტრიბუნალის ფორმირების პროცესში, კანონიერს ხდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და საარბიტრაჟოპროცესს დავის გადაწყვეტის უპირატეს მეთოდთან აქცევს.<sup>72</sup> თუმცა, ამავე დროს, ცალმხრივად დანიშნული არბიტრი არ უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი, იგი უნდა გრძნობდეს ვალდებულებას მისი დამნიშნავი მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად და ამით, მეორე მხარეს არ უნდა უზღუდავდეს მიუკერძოებელი ტრიბუნალის უფლებას. მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული ფაქტისა, რომ მხარის მიერ დანიშნული არბიტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რთულია ტენდენციურობის თავიდან აცილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონკრეტული საქმე წარმოადგენს არბიტრის საქმიანობის ძირითად საქმეს და მნიშვნელოვან შემოსავალთან არის დაკავშირებული.<sup>73</sup>

ამდენად, აუცილებელია არბიტრების დანიშვნის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც ორივე მხარისათვის უზრუნველყოფს ნდობას, რომ არბიტრი მიუკერძოებლად მოისმენს და გადაწყვეტს დავას. აღნიშნული მიზნის მიღწევის საუკეთესო გზას წარმოადგენს არტბიტრაჟის თითოეული წევრის ერთობლივად შერჩევა. მხარეები გამსჭვალული იქნებიან ტრიბუნალისადმი ნდობით, რადგან არბიტრები ვერ შეძლებენ დაადგინონ, თუ რომელი მხარის ინიციატივით მოხდა მათი შერჩევა და ამდენად, ორივე მხარის ერთგულნი დარჩებიან. მხარეებმა პოტენციური არბიტრების შერჩევის კონკურსი ერთობლივად უნდა ჩაატარონ არბიტრის კონკრეტულ სფეროში კვალიფიკაციის, ცოდნისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ამგვარი ერთობლივი კონკურსი არ უნდა ემსახურებოდეს არბიტრების კონკრეტულ საკითხზე სამართლებრივი შეხედულების გარკვევას, როგორც ეს ხდება არბიტრის ცალმხრივად შერჩევის შემთხვევაში.

არბიტრების ერთობლივი დანიშვნის სისტემა ითვალისწინებს არსებული სისტემის ყველა უპირატესობას და, ამავე დროს, გვთავაზობს სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში ჩართულები იქნებიან, როგორც ტრიბუნალის შემქმნელები და შეძლებენ გააკონტროლონ თითოეული არბიტრის კომპეტენციის დონე და გამოცდილება. მოცემული სისტემა უზრუნველყოფს მხარეების ნდობას მთლიანად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიმართ და არა მხოლოდ ტრიბუნალის ცალკეული წევრების მიმართ და ამით უგულვებელყოფილი იქნება აზრი, რომ მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არის ამ მხარის არ-

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> *Vetulli H.E.*, The Parties' Right to Appoint 'their' Arbitrator in an International Arbitration Proceeding, International Academy for Arbitration Law, Winning Essay, Laureate of the Academy Prize, 1 (შემდგომში *Ezequiel Héctor Vetulli*).

<sup>73</sup> *Melanie van Leeuwen*, იხ. ზემოთ, 21, 14.

ბიტრი.<sup>74</sup> წარმოდგენილი სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ზემოაღნიშნულ ცალმხრივად დანიშნულ არბიტრების გამოწვევასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. თუ მხარე ჩართული იქნება კონკრეტული არბიტრის შერჩევის პროცესში, შემდგომი პრობლემების რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სისტემა არ გამოიციხავს მხარეთა შესაძლებლობას დანიშნონ მათ მიერ შერჩეული არბიტრი. მოდავე მხარეებმა შეიძლება მოილაპარაკონ, რომ თითოეული მათგანი მხარს დაუჭერს მეორე მხარის მიერ შემოთავაზებულ არბიტრს. ამდენად, მოცემული სისტემა კვაზი ცალმხრივი დანიშვნის შანსს ტოვებს, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ღიად ეთანხმება და აქტიურად მონაწილეობს ამგვარ სცენარში.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილმა სისტემამ შესაძლოა აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებები, მისი განხორციელება ადვილი არ იქნება, რადგან შეთანხმება მიღწეული უნდა იქნეს მოდავე მხარეებს შორის. ამდენად, ასევე უნდა არსებობდეს არბიტრების დანიშვნის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც მხარეთა შორის არბიტრის დანიშვნაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს ტრიბუნალის დანიშვნას საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ.<sup>75</sup> იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა მხარეები ლეგიტიმურად არ ენდობოდნენ მათი ჩართულობის გარეშე საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ ტრიბუნალის წევრების შერჩევას, მათ მოლაპარაკებისა და გამოცდილი და კვალიფიციური არბიტრის შერჩევისთვის კეთილსინდისიერად ექნებათ დამატებითი სტიმული.

## 7. დასკვნა

ნათელია, რომ დავა მხარეთა მიერ დანიშნულ არბიტრებთან დაკავშირებით მომავალშიც გაგრძელდება და სახელგანთქმული არბიტრები დამატებით არგუმენტებს წარმოადგენენ თავიანთი შეხედულებების მხარდასაჭერად. როდესაც პროფესორმა პაულსონმა თავის ცნობილ სიტყვაში ცალმხრივად არბიტრის დანიშვნის ინსტიტუტის გაუქმებას დაუჭირა მხარი, აღნიშნა, რომ 2060 წლისთვის აღნიშნულ პოზიციას გაიზიარებს საარბიტრაჟო სფეროში ჩართული საზოგადოების წარმომადგენლების უმრავლესობა. მოდავე მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, აღნიშნულ საკითხზე ორმხრივი შეთანხმების მიღწევა მართლაც 2060 წლამდე გადავადდება.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს საარბიტრაჟო საზოგადოებისთვის მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრების შესახებ ორივე მხარის არგუმენტების წარმოჩენა. ამასთან, სტატია გვთავაზობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მხარეთა მიერ ერთობლივად დანიშვნას და შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადანყვეტილების მიღების პროცესში საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩართვას. ზემოთ აღნიშნული შეთავაზება საფუძვლად დაედება ახალი ინსტრუმენტების შემუშავებას არსებული გამოწვევების დასაძლევად და ცალმხრივად დანიშნულ არბიტრებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

<sup>74</sup> *Vetulli E. H*, იხ. ზემოთ, 72, 3.

<sup>75</sup> *Paulsson J.*, *The Idea of Arbitration*, Oxford University Press, 2013, 277.

## Mediation as a Calling: Addressing the Disconnect Between Mediation Ethics and the Practices of Lawyer Mediators

The purpose of this essay is to outline a problem that I believe we face in lawyer-mediated cases, speculate about the causes of the problem, and tentatively and cautiously suggest possible solutions. The problem is the apparent disconnect between mediation's core values as expressed in most, if not all, of the mediator standards of conduct, and the predominant practices of lawyer mediators.

Mediator ethics has become a subject of widespread attention.<sup>1</sup> Interest in developing appropriate standards of conduct for mediators has been fueled by the increasing popularity of court-sponsored mediation programs during the final decade of the twentieth century and into the twenty-first. Courts, both state and federal, in several jurisdictions, have promulgated mediator ethics rules to regulate the behavior of court-appointed mediators; these rules often borrow "language from standards of conduct for mediators that had been developed by professional organizations and ADR [Alternative Dispute Resolution] practitioners."<sup>2</sup> In some states, state bar associations or ADR organizations have published statewide standards.<sup>3</sup>

Let us look first at the two sets of standards that were developed by consortia of ADR organizations: the Model Standards of Conduct for Mediators (Joint Standards), developed and adopted by the American Arbitration Association, the American Bar Association (ABA), and the Association for Conflict Resolution (originally adopted in 1994 and revised in 2005),<sup>4</sup> and the Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation (Family Standards), developed through a symposium convened by the Association of Family and Conciliation Courts, the Family Law Section of the ABA, and the National Council of Dispute Resolution Organizations (adopted in 2000).<sup>5</sup> Many jurisdictions that have adopted mediator standards of conduct have used the Joint Standards as a model. The Joint Standards are also often used as a guide in states that have not adopted standards.<sup>6</sup>

My focus will largely be on the core values and principles of mediation as enunciated in the various standards. Party self-determination is the most fundamental principle of mediation and is regularly referenced in the standards.<sup>7</sup> To emphasize the goal of party self-determination, for example, both sets of national standards explicitly caution the mediator to avoid coercion.<sup>8</sup> The national standards and most sets

---

\* Professor of Law, Dean Emeritus, South Texas College of Law (Houston, Texas).

<sup>1</sup> See generally *Kovach K.K.*, Musings on Idea(l)s in the Ethical Regulation of Mediators: Honesty, Enforcement, and Education, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 21, 2005, 123 (discussing mediator ethics); *Pou C., Jr.*, "Embracing Limbo": Thinking About Rethinking Dispute Resolution Ethics, *Penn St. L. Rev.*, Vol. 108, 2003, 199 (presenting an overview of ethics in mediation); *Feerick J. D.*, Toward Uniform Standards of Conduct for Mediators, *S. Tex. L. Rev.*, Vol. 38, 1997, 455 (discussing the Model Standards of Conduct for Mediators); *Alfini J.J.*, Mediator Ethics, in *Dispute Resolution Ethics: A Comprehensive Guide 65* (*Bernard Ph. & Garth B. eds.*), 2002 (comparing different standards of conduct for mediators).

<sup>2</sup> *Alfini*, supra note 1, at 65.

<sup>3</sup> *Ibid*

<sup>4</sup> Model Standards Of Conduct for Mediators, 2005, <[http://www.abanet.org/dispute/documents/model\\_standards\\_conduct\\_april2007.pdf](http://www.abanet.org/dispute/documents/model_standards_conduct_april2007.pdf)>.

<sup>5</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000, <<http://www.afccnet.org/pdfs/modelstandards.pdf>>.

<sup>6</sup> See *Alfini*, supra note 1, 65–66.

<sup>7</sup> Model Standards of Conduct for Mediators pmb., Standard I, Standard VI; Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation Overview and Definitions, Standard I, Standard VI.

<sup>8</sup> Model Standards of Conduct for Mediators Standard I ("A mediator shall conduct a mediation based on the principle of party self-determination. Self-determination is the act of coming to a voluntary, uncoerced decision in which each party makes free and informed choices as to process and outcome."); Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation Standard I ("A family mediator shall recognize that mediation is based on the

of state standards also offer both general language and explicit guidance concerning process fairness, another core value.<sup>9</sup> Some have noted, however, that a mediator's ability to work toward process fairness, by ensuring that the disputants have sufficient information or power to make informed decisions, is problematic.<sup>10</sup> While the mediator may view certain information as essential to informed decision making, if the mediator provides this information, he or she may be viewed as giving an advantage to a party, thereby running the risk of compromising his or her impartiality, which is another core value of mediation.<sup>11</sup> Moreover, the information may be taken as a form of advice by the parties, thereby eroding the goal of party self-determination. Although these apparent dilemmas are real, all of the standards consistently promote the core values of party self-determination, process fairness, and impartiality.

Indeed, I believe there would be general agreement among mediators that party self-determination is mediation's guiding principle. It is the one value that distinguishes mediation from other dispute resolution processes. Arguably, then, everything a mediator does in mediation should be consistent with the principle or core value of party self-determination. A mediator's actions should be directed toward achieving the goal of party self-determination and, conversely, nothing a mediator does should compromise this core value.

On the other hand, a mediator also needs to be careful that he or she does not compromise the core value of mediator impartiality. Although impartiality is not unique to mediation – it is also a core value of adjudication and arbitration – I believe it goes hand-in-hand with party self-determination. These two core values – mediator impartiality and party self-determination – are essential to good mediation practice and are most threatened by current practices.

During the past two decades we have witnessed an explosion of interest in mediation among judges and lawyers. Many court-sponsored mediation programs have been put into place in both state and federal courts across the country and their efficacy is now being assessed.<sup>12</sup> With the advent of these institutionalized, court-sponsored mediation programs, we have also witnessed an increasing interest on the part of the legal community in not only representing parties in this alternative forum, but also in developing mediation skills and adding the role of the mediator to their legal practices. That is, lawyers have begun to colonize the mediation field. I would argue that with the increased use of lawyer mediators in court-sponsored mediation programs, we are now witnessing an erosion of the traditional model of mediation that requires a firm commitment to party self-determination.

The good news is that I believe we are prepared to take stock of this current situation and do something about it. In particular, I think we are entering a new era of ADR criticism. The old criticism of ADR and mediation, in particular, was very generalized and relatively uninformed. Scholars such as Owen Fiss and Judith Resnik worried that the increasing use of informal processes like mediation threatened to turn our justice system topsy-turvy, but they offered this criticism at a very abstract level.<sup>13</sup> The new criticism of mediation is much more informed because it is essentially self-criticism. We now have experienced mediators offering critiques of our current practices. One of the leading thinkers of this new

---

principle of self-determination by the participants. . . . The family mediator's commitment shall be to the participants and the process. Pressure from outside of the mediation process shall never influence the mediator to coerce participants to settle.”)

<sup>9</sup> See Model Standards of Conduct for Mediators Standard VI; Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation Standard VI (“A family mediator shall structure the mediation process so that the participants make decisions based on sufficient information and knowledge.”).

<sup>10</sup> See, e.g., *Riskin L. L.*, Understanding Mediators' Orientations, Strategies, and Techniques: A Grid for the Perplexed, *Harv. Negot. L. Rev.*, Vol. 1, 1996, 7, 44–45.

<sup>11</sup> Model Standards of Conduct for Mediators Standard II. (“Impartiality means freedom from favoritism, bias or prejudice.”); Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation Standard IV (“A family mediator shall conduct the mediation process in an impartial manner.”).

<sup>12</sup> See generally *Brazil W. D.*, Court ADR 25 Years After Pound: Have We Found a Better Way?, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 18, 2002, 93 (highlighting the need to preserve party self-determination to ensure process fairness).

<sup>13</sup> See, e.g., *Resnik J.*, Many Doors? Closing Doors? Alternative Dispute Resolution and Adjudication, *Ohio St. J. On Disp. Resol.*, Vol. 10, 1995, 211, 241–65 ; *Fiss O. M.*, Against Settlement, *Yale L.J.*, Vol. 93, 1984, 1073, 1082–83. But see *Menkel-Meadow C.*, Whose Dispute Is It Anyway?: A Philosophical and Democratic Defense of Settlement (In Some Cases), *Geo. L.J.*, Vol. 83, 1995, 2663, 2672–78.

era is Professor Nancy Welsh of the Dickinson School of Law at Pennsylvania State University.<sup>14</sup> In an earlier incarnation, Nancy was an experienced mediator, serving as the executive director of the Mediation Center in Minneapolis. Nancy offers an excellent critique of current mediation practices in her article, *Making Deals in Court-Connected Mediation: What's Justice Got to Do With It?*<sup>15</sup> In her article, Nancy considers how changes in the traditional, or classic, mediation model, due to its institutionalization in court-sponsored programs, may affect disputant perceptions of procedural justice. The changes that she identifies include (1) the reduced role for the parties in mediation, (2) the emerging preference for evaluative interventions, (3) the abandonment or marginalization of the joint session, and (4) the lack of creativity in the settlements that are produced.<sup>16</sup>

Let us take these one at a time. First is the reduced role in mediation for the parties. This, of course, goes to the heart of party self-determination. Nancy points out that the need for many parties to be present in a mediation has diminished because, in the context of civil, non-family cases, the “defendants do not control the funds that will be necessary to settle the case.”<sup>17</sup> The real party in interest is often an insurance company. So, in many of these cases it is the parties’ attorneys who attend the mediation sessions and negotiate on behalf of the parties. Even where the parties do possess settlement authority, there seems to be a trend toward having the agents of the parties, namely the attorneys, be the principal bargainers during a mediation.

Why? Because it is more efficient to do it that way. The attorneys have the necessary expertise, detachment, and even the flexibility to guide the process toward a settlement. There are negotiation theorists who would support this reduced role for the parties because it results in a more efficient bargaining process, but this reduced role for disputants is inconsistent with procedural justice (or process fairness) as most of us would define it – the opportunity to have a voice, and to have this voice considered and treated with dignity and respect. The problem I have with this reduced role of the parties is that it not only mutes the parties, but it moves us back toward an adjudicatory model that is more lawyer-centric than party-centric. This development is inconsistent with mediation’s core value of party self-determination.

<sup>51</sup> *Velikonja U.*, Making Peace and Making Money: Economic Analysis of the Market for Mediators in Private Practice, Alb. L. Rev., Vol. 72, 2009, 257, 286 (ადგილმდებარეობის მიხედვით მედიაციის საფასურის შესახებ).

<sup>52</sup> იქვე, 281 (იმის შესახებ, რომ ადვოკატი-მედიატორები მედიაციის წარმართვისას უფრო დაბალ ანაზღაურებას იღებენ ვიდრე სხვა საქმეების წარმოებისას, მათი კომპეტენციის ფარგლებში).

<sup>53</sup> იხ. *Mayer*, შენიშვნა 2, at 70; ასევე, იხ. *Velikonja*, შენიშვნა 51, 281 (იმის შესახებ, რომ სრულ განაკვეთზე მომუშავე მედიატორის უმრავლესობა არის პროფესიით ადვოკატი) ინტერვიუ *Bernard Mayer*, Ph.D., Resident Professor of Conflict, Werner Inst. of Negotiation and Disp. Resol., in Orlando, Fla., June 3, 2011. *Mayer*-ს სჯერა, რომ არა ადვოკატი-მედიატორებისათვის საკმაოდ ძნელია საქმე წარმართონ წარმატებით, განსაკუთრებით როცა ეს ოჯახურ მედიაციას ეხება. თუმცა ის ასევე გამოყოფს რამდენიმე სფეროს, როგორებიცაა გარემოსდაცვითი თუ საერთაშორისო მედიაცია, სადაც ადვოკატი-მედიატორების ჩართვა აუცილებელი არ არის.

გორც დავის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდი, „ამ სიახლეს ყველა დაცინვით შეხვდა“.<sup>54</sup> საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი ადვოკატი ამ მეთოდს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.<sup>55</sup> ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ამგვარი წინააღმდეგობისა ადვოკატების მხრიდან გახლდათ შემდეგი: მათ ეგონათ, რომ საკუთარ საქმიანობა დაკარგავდნენ.<sup>56</sup> თუმცა, სწორედ ისინი, ვინც ამ სიახლეს ეწინააღმდეგებოდა ჩაებნენ მედიაციის პროცესში და გახდნენ მედიატორები, რადგან მიხვდნენ, რომ მათი სკეპტიციზმი უსაფუძვლო იყო და მედიაციაც გახლდათ უკეთესი გზა კლიენტის დარჩენილიყო კმაყოფილი და ასევე ფინანსურადაც საკმაოდ შემოსავლიანი საქმე იყო.<sup>57</sup> მეორე ძირითადი ფაქტორი, რამაც ადვოკატების მედიაციაში ჩართვის სურვილი კიდევ უფრო გაამძაფრა იყო სტატუსის ოფიციალურად მინიჭება და მედიაციის წესების დაკანონება.<sup>58</sup> აღნიშნული წესების გამოქვეყნებას თან მედიაციის ასოციაციის მხარდაჭერის ზრდა მოჰყვა.<sup>59</sup> ასევე, მედიაცია, ადვოკატებისათვის დამატებით შემოსავლის წყაროდ იქცა, თან პროცესის მართვა გაცილებით ნაკლებად დაძაბულ გარემოში და მხარეების ნაკლები გაღიზიანების ხარჯზე იყო შესაძლებელი.<sup>60</sup> ამჟამად მედიაციაში პროფესიონალი ადვოკატების ჩართულობა ქარბობს იმიტომ, რომ საქმის წარმოებისას მათი კომპეტენცია უფრო მაღალია ხშირ შემთხვევაში (კანონების თვალსაზრისით) და მოსამართლეებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მათთან ურთიერთობას უფრო არჩევენ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>61</sup> ბერნარდ მეიერმა მოვლენათა ეს ჯაჭვი ასე შეაფასა: „სამართლის სფეროს მსახურებმა თავდაპირველად უარყვეს მედიაცია და შემდგომ კი აირჩიეს ის“.<sup>62</sup> აღნიშნული სტატია მოგვითხრობს 3 სხვადასხვა შტატში – ფლორიდაში, ილინოისსა და ტეხასში არსებული ტენდენციების შესახებ. ეს სამი შტატი არის კარგი მაგალითი იმისა, რომ განვიხილოთ ის ტენდენციები, რომლებიც ამ მიმართულებით იქ არსებობს და ასევე სამივეს აქვს განსხვავებული ისტორია. გარდა ამისა ავტორებმა მაგალითები კონკრეტული ინტერვიუების ჩანერის საფუძველზე განიხილეს.

## ბ. ტენდენციები სამ შტატში

### 1. ტეხასი

ტეხასი იყო მოწინავე შტატი, რომელმაც მიიღო და ტეხასის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარა დავის მოგვარების ალტერნატიული მეთოდი 1987 წელს.<sup>63</sup> კოდექსი გამოყოფს იმ პასუხისმგებლობებს, რომლებიც სასამართლოს აკისრია პროცესების მართვის დროს, რის მიხედვითაც მან პირველ პლანზე თავად შტატის პოლიტიკა უნდა დააყენოს.<sup>64</sup> ოჯახური დავების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტეხასის ოჯახის შესახებ კოდექსი მედიაციას ითვალისწინებს ორივე მხარის თანხმობის ან თავად სასამართლო ორდერის საფუძველზე.<sup>65</sup> საკითხის ტიპიდან გამომდინარე, საოჯახო საქმეების მედიაცია შეიძლება აწარმოოს ან კერძო მედიატორმა, ან დავების გადამწყვეტმა ცენტრმა (DRC), ან ოჯახური ურთიერთობების მომწესრიგებელმა ოფისმა (DRO).<sup>66</sup> აღნიშნული სერვისების სიმრავლე მხარეებს საშალებს

<sup>54</sup> ინტერვიუ *Bernard Mayer*, შენიშვნა 53.

<sup>55</sup> ინტერვიუ *Nancy Palmer*, *Family Lawyer and Mediator*, June 9, 2011.

<sup>56</sup> იქვე; *Velikonja*, შენიშვნა 51, 283.

<sup>57</sup> ინტერვიუ *Nancy Palmer*, შენიშვნა 55.

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> იხ. *Milne et al.*, შენიშვნა 6, 12.

<sup>60</sup> იხ. იქვე.

<sup>61</sup> იხ. *Mayer*, შენიშვნა 2, 69.

<sup>62</sup> ინტერვიუ *Bernard Mayer*, შენიშვნა 53.

<sup>63</sup> *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann.* § 154.002, West 2011.

<sup>64</sup> იქვე, § 154.003.

<sup>65</sup> *Tex. Fam. Code Ann.* § 6.602, West 2006.

<sup>66</sup> *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann.* § 152.002; ასევე, იხ. *Tex. Fam. Code Ann.* §§ 203.001–007 (აღწერს DRO's შექმნას ტეხასში).

უნდა აძლევდეს ფინანსურად მათთვის მისაღები ვარიანტი აირჩიონ.<sup>67</sup> ეს მრავალფეროვნება ტეხასის კანონმდებლობაში განპირობებულია იმით, რომ ოჯახური კონფლიქტები მშვიდობიანი და არა დაძაბული გზით გადაწყდეს, მაქსიმალურად გამოირიცხოს ყოველგვარი სასამართლო პროცესი. ზოგადად, ტეხასის სასამართლოები ოჯახური კონფლიქტების მოგვარებას უფრო მედიაციის დახმარებით ცდილობენ, სანამ საქმეს უშუალოდ სასამართლო პროცესის თარიღის დანიშვნამდე მიიტანენ. მრავალი ქვეყანა ოჯახური დავების საქმეში მედიაციის პროცესს აუცილებლად მოითხოვს, თუმცა სხვები მედიაციის უპირატესობას<sup>68</sup> მაშინ ხედავენ, როდესაც საქმის მოსმენისათვის უკვე თარიღია დათქმული.<sup>69</sup> იმისათვის, რომ მედიაციას ფასილიტაცია გაუწიონ, დიდი ქვეყნები ძირითადად, დავების გადამწყვეტ ცენტრსა (DRC) და ოჯახური ურთიერთობების მომწესრიგებელ ოფისს (DRO) იყენებენ, რათა ხარჯები ძალიან მაღალი არ იყოს.<sup>70</sup> ოლქის დავების გადამწყვეტი ცენტრები იყენებენ მოხალისე მედიატორებს, რომელთაც გავლილი აქვთ შტატის მიერ დანესებული შესაბამისი ტრენინგები<sup>71</sup>. მედიატორებს, რომელთაც სურთ, ტეხასის სასამართლოს სამუშაო გრაფიკში მოხვედრა, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი 40-საათიანი ტრენინგი დავის გადამწყვეტის ტექნიკის ფლობის შესახებ.<sup>72</sup> ოჯახური დავების მედიაციის წარსამართად დამატებით 24-საათიანი ტრენინგის გავლაა საჭირო, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: საოჯახო დინამიკა, ბავშვთა განვითარება და ოჯახური კანონმდებლობა<sup>73</sup>. დავების გადამწყვეტი ცენტრის (DRC) მედიატორები შეიძლება მრავალი სფეროს სპეციალისტებად ჩაითვალოს, რადგან მათ გავლილი აქვთ ზემოხსენებული სავალდებულო გადამზადების კურსები.<sup>74</sup> მათგან განსხვავებით, ოჯახური ურთიერთობების მომწესრიგებელი ოფისის (DRO) მედიატორები არიან ჩვეულებრივი შტატიანი თანამშრომლები, რომლებიც ხელფასს იღებენ,<sup>75</sup> ასევე მათი უმრავლესობა ფსიქიატრ-ფსიქოლოგები ან ადვოკატები არიან და მათ შეუძლიათ მართონ მედიაციის პროცესი იმ შემთხვევაში თუ საკითხი მშობლისა და ბავშვის ურთიერთობას ეხება.<sup>76</sup> თუმცა საჯარო სექტორის მედიაცია (ეს არის DRC და DRO) რაღაც დოზით მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან ტეხასის შტატში, გარდა ამისა საგულისხმოა რომ ოჯახური დავების გადამწყვეტისას კერძო მედიაცია მაინც დომინირებს. სხვა მრავალი შტატის მსგავსად, ტეხასში საოჯახო მედიაცია პოპულარული 1980-იანი წლებიდან გახდა. დასაწყისში, მედიატორები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები გახლდნენ თუმცა, ამჟამად ოჯახური დავების გადასაწყვეტად, კერძო მედიაციის პროცესში, ძირითადად, ყოფილი მოსამართლეები და გამოცდილი ადვოკატები არიან ჩაბმულნი.<sup>77</sup> ამგვარად, ტეხასში, კერძო მედიაციის მწარმოებელი მედიატორების უმრავლესობა მაინც ადვო-

<sup>67</sup> Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 152.006; ასევე, იხ. Tex. Fam. Code Ann. § 203.005, West 2008 (მომსახურების გადასახადი DRO-სთვის).

<sup>68</sup> Midland Cnty., Tex., R. 2.4(b); ასევე, იხ. Jefferson Cnty., Tex., R. 3(A), <[www.co.jefferson.tx.us/dclerk/rules.htm](http://www.co.jefferson.tx.us/dclerk/rules.htm)>; Lubbock Cnty., Tex., R. 4.45(B); Travis Cnty., Tex., R. 8.8(a).

<sup>69</sup> Harris Cnty., Tex., Fam. R. 3.2.2, <<http://www.justex.net/Courts/Family/LocalRules.aspx>>.

<sup>70</sup> ზოგიერთი დიდი ქვეყნის მაგალითები, რომელთაც აქვთ DRCs და DROs წარმოადგენს *Harris, Dallas, Tarrant, Bexar, Travis, El Paso*. მაგალითად, იხ. El Paso Cnty., Tex., R. 3.16(C), <<http://www.epcounty.com/councilofjudges/documents/part3.pdf>>, (ეხება შემდეგ საკითხს: DRC); Domestic Relations Office, Epcounrty.com, <<http://www.epcounty.com/DRO/>>, [11.04.2012].

<sup>71</sup> იხ. FAQ's (Frequently Asked Questions), Disp. Resol. Center, <<http://www.austindrc.org/information-resources/faqs.php>>, [14.03.2012].

<sup>72</sup> Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154.052.

<sup>73</sup> Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154.052.

<sup>74</sup> ჰარისის თემის დავების გადამწყვეტი ცენტრი (DRC) არის გამონაკლისი, რომელიც დაფინანსებულია ჰიუნსტონის სასამართლო ასოციაციის მიერ და აქვს თავისებური მოთხოვნები საოჯახო მედიატორებთან მიმართებაში. აღნიშნულ ცენტრში არაადვოკატი მედიატორები უფლებამოსილნი არ არიან მარტო აწარმოონ საოჯახო მედიაციის პროცესი. მათ პროცესი უნდა წარმართონ ადვოკატთან ერთად. სატელეფონო ინტერვიუ *Nick Hall*, Dir., Harris Cnty. Disp. Resol. Ctr., May 18, 2011.

<sup>75</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Duane Gallup*, ყოფილი Alt. Disp. Resol. კოორდინატორი, Dall. Cnty., Tex, July 6, 2011; ასევე, იხ. სატელეფონო ინტერვიუ *Ultis M.*, Intake Coordinator, Harris Cnty. Domestic Relations Office, July 8, 2011.

<sup>76</sup> ინტერვიუ *Megan Ultis*, შენიშვნა 75; იხ. Twx. Fam. Code Ann. § 203.004, West 2008.

<sup>77</sup> ინტერვიუ *Norma Trusch*, Mediator & Collaborative Att'y, Harris Cnty., in Houston, Tex. (May 16, 2011).

კატია და ძნელად თუ მოიძებნება სხვა, განსხვავებული პროფესიის ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ წარმატებული მედიაციის პროცესი უზრუნველყონ.<sup>78</sup> საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ზოგიერთი ადვოკატის განცხადებით, რომელთაც ანონიმურად დარჩენა არჩიეს, მათ არ ეგულებათ ოჯახის ადვოკატები, რომლებიც საოჯახო მედიაციის საჭიროების შემთხვევაში არა-ადვოკატი მედიატორის ჩართვას ემხრობოდნენ ან ამართლებდნენ (ისინი არასოდეს ურჩევდნენ ოჯახს აირჩიონ არაადვოკატი მედიატორი). უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახის ადვოკატები საოჯახო მედიაციის პროცესის წარმმართველად ასევე ადვოკატებს (პროფესიით ადვოკატებს) აირჩევდნენ. ძალიან იშვიათ შემთხვევებში, ოჯახის ადვოკატები მედიაციის წარსამართად საქმეს ფსიქიატრ-ფსიქოლოგებთან ამისამართებენ, ეს ისეთ შემთხვევებში ხდება, თუ კონფლიქტი ძალიან ემოციურ ფონს შეიცავს და ფსიქიატრ-ფსიქოლოგის ჩართვა აუცილებელია.<sup>79</sup> ტეხასში, სხვა მრავალი შტატის მსგავსად, ადვოკატებს და მხარეებს შეუძლიათ თავად აირჩიონ საკუთარი მედიატორი.<sup>80</sup> თუკი მხარეები ვერ ირჩევენ მედიატორს, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს მას. ტეხასში, მოსამართლეები, რა თქმა უნდა, მედიაციის პროცესის წარსამართად ადვოკატ-მედიატორებს ნიშნავენ, რათა მათ საქმე კანონის ფარგლებში სამართლიანად და ობიექტურად მიიყვანონ ბოლომდე.<sup>81</sup>

ჰიუსტონი არის ტეხასის შტატში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თემი, სადაც საოჯახო მედიაციის პროცესში ადვოკატ-მედიატორებს იყენებენ. ზოგიერთი ადვოკატი, რომელიც ანონიმურად დარჩენას არჩევს, არ არის უფლებამოსილი უფლებამოსილება შეუზღუდოს ან ეჭვი შეიტანოს არაადვოკატი მედიატორის საქმიანობაში, რომელიც მედიაციას კერძო პრაქტიკის საფუძველზე ახორციელებს, ან გამოთქვას რაიმე პრეტენზია სასამართლოს მიმართ, რომელიც მათ ნიშნავს მედიატორებად. ჰიუსტონის რადიკალური პოზიცია საოჯახო მედიაციასთან დაკავშირებით ეყრდნობა ჰარისის ოლქის დავების გადამწყვეტ ცენტრს (DRC), რომელიც უფასო მედიაციას სთავაზობს მსურველებს.<sup>82</sup> ზოგადად, არასამეწარმეო მედიაციის ცენტრების უმრავლესობა ირჩევს მოხალისე მედიატორებს, რომელთაც სხვადასხვა პროფესიული ბექგრაუნდი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ჰარისის ოლქის დავების გადამწყვეტი ცენტრის (DRC) მიერ წარმოებულ პროგრამაში ჩართული მედიატორების 85% არაადვოკატი მედიატორები არიან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგადად დავების გადამწყვეტი ცენტრის (DRC) მედიატორები სავალდებულოა, რომ იყვნენ ადვოკატები.<sup>83</sup> თითქმის გამორიცხულია ისეთი უფასო მედიატორ პროვაიდერის პოვნა, რომელსაც ოჯახური დავების პროცესის წარმმართველად მხოლოდ ადვოკატი მედიატორები ეყოლება. ჰიუსტონის დავების გადამწყვეტ ცენტრში (DRC), თუ არაადვოკატი მედიატორი ოჯახური მედიაციის საქმის წარმოებით არის დაინტერესებული, ის ვალდებულია ეს საქმე წარმართოს პროფესიონალ ადვოკატთან ერთად.<sup>84</sup> ჰიუსტონში ზოგიერთი ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული სფერო მთლიანად ადვოკატი-მედიატორებით არის დაკომპლექტებული და არაადვოკატი მედიატორები სასამართლოსაგან არც კი იღებენ შეთავაზებას მედიაციის პროცესის წარსამართად.<sup>85</sup> კვლევის მიხედვით, რომელიც სამხრეთ ტეხასის სამართლის კოლეჯმა ჩაატარა, რესპონდენტთა უმრავლესობამ გა-

<sup>78</sup> ინტერვიუ *Norma Trusch*, Mediator & Collaborative Att’y, Harris Cnty., in Houston, Tex. (May 16, 2011).

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> იხ., მაგ; El Paso Cnty., Tex., R. 3.16(C); Friend of the Ct. Bureau, State Ct. Admin. Office, Michigan Custody Guidelines 11; ასევე, იხ. 16<sup>th</sup> Jud. Cir. Ct. of Jasckson Cnty. R. 68.12 („მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთობლივად აირჩიონ მედიატორი, რომლებსაც აქვთ უფლება აწარმოოს მედიაცია წესი №88.05-ის გათვალისწინებით).“

<sup>81</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Norma Trusch*, შენიშვნა 77.

<sup>82</sup> Disp. Resol. Ctr. of Harris Cnty., <<http://www.co.harris.tx.us/drc/>>, [14.03.2012]. (1980, ნელს შეიქმნა დავების გადამწყვეტის ცენტრი, რომელიც არის არასამეწარმეო კორპორაცია და დაფინანსებულია ჰიუსტონის სასამართლო ასოციაციის მიერ, ჰარისის ოლქში).

<sup>83</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Nick Hall*, შენიშვნა 74.

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Carel Stith*, Att’y-Mediator, Carel L. Stith, P.C., in Hous., Tex., May 16, 2011, ასევე, იხ. ინტერვიუ *Hon. Bruce Wettman*, Dir., Mediation Clinic at S. Tex. Coll. of Law, in Hous., Tex., May 23, 2011.

ნაცხადა, რომ საოჯახო მედიაციაში ჩართულ მედიატორთა თითქმის 99% არიან ადვოკატები.<sup>86</sup> კითხვაზე თუ ვის აირჩევდნენ მედიატორად თავად რომ დასჭირვებოდათ, 75%-მა განაცხადა, რომ ისინი უპირატესობას მიანიჭებდნენ ადვოკატ-მედიატორებს.<sup>87</sup> ბარბარა სანდერლანდ მანუსო არის არის, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული არაადვოკატი მედიატორი ჰიუნსტონში, რომელთანაც მოხერხდა გასაუბრება. მანუსო, რომელიც არის კონფლიქტოლოგიის დოქტორი, ამბობს, რომ საოჯახო მედიაცია ჰიუნსტონში ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ადვოკატ-მედიატორის საქმე და დღემდე ასეთად რჩება.<sup>88</sup> მანუსო განმარტავს, რომ „მედიაციის წინამორბედი იყო კანონი, ანუ მედიაცია დაინყო კანონების საფუძველზე და, შესაბამისად, მედიატორთა უმრავლესობა ადვოკატებია“.<sup>89</sup> თავის გარდა, მანუსო კიდევ იცნობს რამდენიმე არაადვოკატ მედიატორს ჰიუნსტონში, რომელთაც შეძლეს ყოფილიყვნენ წარმატებული ამ სფეროში და გაეხადათ ის მათი შემოსავლის წყაროდ.<sup>90</sup> ჰიუნსტონში, ადგილი სადაც შესაძლოა მოიძიო ადვოკატი და არაადვოკატი მედიატორები არის ოჯახური ურთიერთობების მომწესრიგებელი ოფისი (DRO). აღნიშნულ ოფისს სულ ჰყავს 11 მედიატორი, რომელთაგანაც 2 არის სრულგანაკვეთიანი ადვოკატი-მედიატორი და 9 – არაადვოკატი.<sup>91</sup> მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ-მედიატორებს მიჰყავთ მედიაციის პროცესის დიდი ნაწილი, არაადვოკატი მედიატორების ჩართულობაც ძალიან მნიშვნელოვანია.<sup>92</sup> არაადვოკატ მედიატორთა ჩართულობის აუცილებლობის განსაზღვრა, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება. კერძოდ, ოჯახური ურთიერთობების მომწესრიგებელი ოფისი (DRO) წარმართავს ისეთ პროცესებს, რომლებშიც, ძირითადად, ბავშვთა საკითხებია ჩართული.<sup>93</sup>

სან ანტონიოში, ბექსარის ოლქის დავების გადამწყვეტი ცენტრი (DRC) ადვოკატ-მედიატორებს მიმართავს მაშინ, თუ ოჯახური დავა სასამართლო გარჩევამდე მიდის. კერძოდ, ის ოჯახურ დავებს 2 კატეგორიად ყოფს: სათემო დავა და სასამართლო დავა.<sup>94</sup> სასამართლო დავა მიეკუთვნება ისეთ საოჯახო დისპუტს, რომელიც უკვე სასამართლოსაა გადაცემული და განხილვას ელოდება. რაც შეეხება სათემო დავას, უმრავლეს შემთხვევაში, მედიატორები არ არიან ადვოკატები; მიუხედავად ამისა, სასამართლოში შეტანილი საოჯახო დავების გადასაწყვეტად, ბექსარის ოლქის დავების გადამწყვეტი ცენტრი (DRC) ერთ ადვოკატ-მედიატორს მაინც იყენებს პროცესში ჩასართავად. წარმოებული საქმიდან გამომდინარე, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ადვოკატ-მედიატორთა გარდა, საჭიროა ფსიქიატრ-ფსიქოლოგების ან სხვა სპეციალისტების ჩართვა.<sup>95</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დალასის დავების გადამწყვეტი ცენტრი (DRC) არ ითხოვს, რომ ოჯახური მედიაციის მწარმოებელი მოხალისე მედიატორები იყვნენ ადვოკატები, მათი უმრავლესობა მაინც ადვოკატია.<sup>96</sup> აღნიშნულ ცენტრში სულ 19 საოჯახო დავების მედიატორია, რო-

<sup>86</sup> S. Tex. Coll. of Law Frank Evans Ctr. for Disp. Resol., Family Mediation in Hous. Survey, May 6, 2011 (ავტორისეულ დოკუმენტებში).

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> სატელეფონო ინტერვიუ with *Barbara Sunderland Manouso*, მანუსოს დამფუძნებელი Mediation & Alt. Disp. Resol. (May 20, 2011).

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Megan Ultis*, შენიშვნა 75.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Nancy Oseasohn*, Intake Mediation Manager, Bexar Cnty. Disp. Resol. Ctr., July 7, 2011.

<sup>95</sup> იქვე. *Richard Orsinger*, სან ანტონიოს ოჯახის ადვოკატი აღნიშნავს, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში სან ანტონიო იყო პირველი, სადაც მედიაცია პოპულარული გახდა მხარეებს შორის – იხილეთ სატელეფონო ინტერვიუ – *Richard Orsinger*, Att’y, McCurley Orsinger McCurley Nelson & Downing L.L.P., June 18, 2011. დაპირისპირებული მხარეები მიდიოდნენ ადვოკატ-მედიატორებთან რჩევის საკითხავად. თუმცა ეს მეთოდი მალევე შეირაცხა, როგორც ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი და ამიტომ ახალი მოდელი იქნა შემოღებული, როდესაც მედიატორთან მისვლისას, მხარეებს მედიატორი არ აძლევდა რჩევებს და უბრალოდ, ისმენდა მათ არგუმენტებს.

<sup>96</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Kim Martinez*, Dir., Disp. Mediation Servs., Inc., June 21, 2011.



მელთაგანაც 5 არ არის ადვოკატი პროფესიით. ამ ხუთიდან 2 არის ფსიქიატრ-ფსიქოლოგი. ჰიუნსტონის მსგავსად, მოსამართლეები დალასშიც არჩევენ საოჯახო მედიაცია ადვოკატ-მედი-ატორებმა წარმართონ.<sup>97</sup> ლინელ ინგლინგი, რომელიც ფსიქიატრიის დოქტორია, განმარტავს მედიაციის ევოლუციის პროცესს რამდენიმე ათწლეულის პერიოდში. მისი თქმით, 1980-იან წლებში, მის მიერ ჩატარებული 40-საათიანი მედიაციის ტრენინგის დამსწრეების უმრავლესობა არაადვოკატები იყვნენ, ხოლო მის მიერ ჩატარებული საოჯახო მედიაციის ტრენინგის დამსწრეთა მხოლოდ ნახევარს შედაგნენდენ ადვოკატები.<sup>98</sup> ეს გარემოება დროთა განმავლობაში, საქმეების და სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიცვალა და უკვე ტრენინგის დამსწრეთა სიის უმრავლესობა ადვოკატები იყვნენ.<sup>99</sup> 1990-იანი წლებიდან ინგლინგმა შეამჩნია, რომ ადვოკატები კიდევ უფრო აქტიურად ერთვებოდნენ მედიაციის ფერხულში, რადგან უკვე სასამართლო ავალდებულებდა მათ ყოფილიყვნენ მედიაციის ნაწილი.<sup>100</sup> იმ გარემოებამ, რომ მედიაცია ფინანსურად მომგებიანი საქმე იყო, ადვოკატების ჩართულობა კიდევ უფრო აქტიური გახადა, რამაც გამოიწვია ის, რომ ინგლინგისა და სხვა ფსიქიატრ-ფსიქოლოგების, როგორც არაადვოკატი მედიატორების ჩართულობამ პროცესებში იკლო<sup>101</sup>.

გალვესტონის ოლქს, ტეხასში გააჩნია უპირატესობა მედიაციის სფეროში. დენ ამერსონი, რომელიც არის სასულიერი პირი და არის სამღვდელოების წევრი, წარმართავს მედიაციის პროცესებს გალვესტონის ოლქში ტეხასში. იმ მედიაციას უწევს ყველა სახის საქმეს თუმცა, ძირითადად, მაინც ფოკუსირებულია საოჯახო საქმეების კუთხით. ამერსონმა დაადასტურა, რომ საოჯახო მედიაცია, მაინც უფრო ადვოკატების ჩართულობას მოითხოვს ზემოაღნიშნულ ოლქში, ისევე, როგორც სხვა მრავალ შტატში.<sup>102</sup> უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მან დაასკვნა, რომ ადვოკატების დიდი ნაწილი მედიაციას მიჰყოფს ხელს, რადგან გარდა იმისა, რომ მათ ამას გარკვეულწილად სასამართლო ავალდებულებს, ეს დამატებითი შემოსავლის წყაროც არის.<sup>103</sup> გარდა ამისა, ტეხასში მაინც იგრძნობა მეტი მიჯაჭვულობა ადვოკატი-მედიატორების მიმართ, რადგან ამას თავად შტატში არსებული სიტუაცია განაპირობებს.<sup>104</sup>

ტრევისი არის ოლქი, რომელიც, ასევე, მოიცავს ოსტინს. ტეხასში და მისი დავების გადამწყვეტ ცენტრში (DRC) 59 საოჯახო დავის მედიატორიდან, მხოლოდ 20 არის ადვოკატი.<sup>105</sup>

რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რატომაც არის ტენდენცია, რომ ტეხასში საოჯახო მედიაციაში უმრავლესად ადვოკატები არიან ჩართულები. უპირველეს ყოვლისა, აქ სამოქალაქო საქმეების მედიაციის გავრცელება ძალიან სწრაფად მოხდა. სამოქალაქო საქმეებში მედიაცი-

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Lynelle Yingling*, Ph.D, J&L Human Sys. Dev., June 21, 2011.

<sup>99</sup> ტეხასის ოლქებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა არის 150,000 ან მეტი წელიწადში 2 აუცილებელია განიხილებოდეს, როგორც მორიგებისათვის განკუთვნილი. *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann.* § 155.001, West 2011. ამ კვირების განმავლობაში სასამართლომ უნდა გაუნოს ფასილიტაცია მორიგების პროცესს. *ib.* 155.003 *Id.* § 155.003.

<sup>100</sup> ინტერვიუ *Lynelle Yingling*, შენიშვნა 98.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Dan Amerson*, Mediator, Galveston Cnty., Tex., June 20, 2011.

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> იქვე. *ამერსონი* ემხრობა მის მოსაზრებებს საკითხთან მიმართებით. როდესაც მან 1999 წელს გაიარა 40-საათიანი გადამზადება, უთხრეს, რომ სულ ტყუილად დაკარგა დრო და ენერგია, ასევე ფული, რადგან მედიაციის წარმოების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ადვოკატებს. ამერსონმა მათ, რა თქმა უნდა, დაუმტკიცა, რომ ეს ასე არ არის.

<sup>105</sup> ტრევისის ოლქის დავების გადამწყვეტ ცენტრში (DRC), საზოგადოებას შეუძლია არჩევანის გაკეთება მედიაციის ორ მოდელს შორის, როდესაც საქმე საოჯახო მედიაციას ეხება: ე. წ. საზოგადოებრივი მედიაცია, როდესაც არ არის გარანტია იმისა, რომ მედიატორი აუცილებლად ადვოკატი იქნება პროფესიით, მეორე მოდელი იმას გულისხმობს, რომ მედიაციაში აუცილებლად ადვოკატი-მედიატორი იქნება ჩართული. პირველი მოდელის საფასური განისაზღვრება 50 დოლარით ხოლო მეორე – 200-ით. სატელეფონო ინტერვიუ *David Huang*, ტრევისის თემის საქმეთა მენეჯერი, June 21, 2011.

ამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინა საოჯახო მედიაციის წარმოებაზე.<sup>106</sup> ცნობილი საოჯახო დავების მედიატორი ჰიუნსტონში ამბობს, რომ ე.წ. „მაქოს დიპლომატიის“ მოდელმა (იგივეა რაც შუამოვლობა) დიდი პოპულარობით სარგებლობა დაიწყო საოჯახო მედიაციის კუთხით ვიდრე სამოქალაქო საქმეების მედიაციის მხრივ.<sup>107</sup> საოჯახო დავებში, იგი განმარტავს, რომ მხარეები იშვიათად ან საერთოდ არ ესწრებიან ერთობლივ სესიას, მედიაციის დასაწყისშიც კი.<sup>108</sup> მეორე გახლდათ ე.წ. სამოქალაქო სამართალდარღვევის რეფორმა. მესამე – რამდენიმე რესპოდენტმა განაცხადა, რომ კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი არის ის, რომ ტეხასი არის ერთადერთი შტატი, რომელიც უფლებას აძლევს ნაფიც მსაჯულებს განიხილონ საპატიმრო დავა.<sup>109</sup> საბოლოოდ, ტეხასის მასშტაბით ადვოკატები აცხადებენ, რომ მათ განაპირობეს ის ფაქტი, რომ სასამართლო მედიაციისას, სწორედ მათ დანიშვნას არჩევენ, რადგან სწორედ ისინი არიან ხალხი, რომელიც ეხმარება მოსამართლეებს იყენენ მეორედ გადარჩეულნი (ხმის უფლება აქვთ).

## 2. ფლორიდა

ფლორიდაში სასამართლო სისტემა მედიაციის მეთოდს რამდენიმე ათწლეულია იყენებს.<sup>110</sup> მას მერე რაც ფლორიდაში მედიაციის მეთოდი შემოვიდა, ის საკმაოდ პოპულარული გახდა, რადგან ფლორიდის საკანონმდებლო ორგანომ და სასამართლომ შექმნა ერთ-ერთი ძალზე მოქნილი და ყოვლისმომცველი მედიაციის პროგრამა, რომელიც სასამართლოსთან მჭიდრო კავშირშია.<sup>111</sup> „1987 წლამდე, ქვეყანაში მედიაციის პროგრამები და საოჯახო დავების შემთხვევები ძალაში შევიდა და საკანონმდებლო რეგულაციებზე მიბმული გახდა, სადაც მედიატორის გამოძახება ხდებოდა სასამართლოს წარდგინებით“.<sup>112</sup> სასამართლოზე დაფუძნებული მედიაციის პროგრამების რიცხვი 1988 წლიდან დღემდე 14-დან 48-მდე გაიზარდა.<sup>113</sup> „ფლორიდას სტატუსის გაფართოება 1987 წელს მოხდა, როდესაც მოსამართლეებს უფლება მოსილება მიენიჭათ არჩევანის უფლებისა რათა საქმის გადასაწყვეტად მედიაციის მეთოდიც გამოეყენებინათ (საქმე მედიაციისათვის გადაეცათ)“.<sup>114</sup> სასამართლო სესიის მიხედვით, რომელზეც საოჯახო მედიაციის პროგრამა ჩამოყალიბდა, „სასამართლოებმა მედიაციას უნდა მიმართონ და გადასცენ ისეთი საქმეებიც კი, როგორებიცაა: განქორწინება, მეურვეობა და სხვა ოჯახთან დაკავშირებული საკითხები“.<sup>115</sup>

ფლორიდაში, ყველა მედიატორს, ვისაც სურს, რომ სასამართლომ აირჩიოს და მედიაციის პროცესის წარმართვა ანდოს, უნდა ჰქონდეს ფლორიდის უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული სპეციალური სერტიფიკატი.<sup>116</sup> ერთ-ერთი რამ, რასაც ფლორიდას სხვა შტატებისაგან გამოარჩევს არის ის, რომ მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამა და საერთოდ სერტიფიკა-

<sup>106</sup> საჯარო ქეისების შესახებ წარმოებული განხილვებისათვის იხილეთ, მაგ: *Alfini J. J., Trashing, Bashing, and Hashing It Out: Is This the End of “Good Mediation”?*, Fla. St. U. L. Rev., Vol. 19, 1991, 47; *Riskin L. L., Understanding Mediators’ Orientations, Strategies, and Techniques: A Grid for the Perplexed*, Harv. Negot. L. Rev., Vol. 1, 1996, 7; *Welsh N. A., The Thinning Vision of Self-Determination in Court-Connected Mediation: The Inevitable Price of Institutionalization?*, Harv. Negot. L. Rev., Vol. 6, 2001, 1.

<sup>107</sup> ინტერვიუ Hon. Bruce Wettman, შენიშვნა 85.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> იხ. Tex. Fam. Code Ann. § 105.002, West 2008.

<sup>110</sup> იხილეთ მაგ: სატელეფონო ინტერვიუ Hon. Bruce Wettman, შენიშვნა 85; *Alternative Dispute Resolution*, Fla. State Cts., <[http://www.flcourts.org/gen\\_public/adr/adrintro.shtml](http://www.flcourts.org/gen_public/adr/adrintro.shtml)>, [14.03.2012].

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> Fla. Stat. Ann. §44.102(2)(c), West 2003.

<sup>116</sup> იხ. Fla. Stat. Ann. §10.100, West 2010.

ტის მიღება ქულობრივი სისტემიდან გამომდინარეობს.<sup>117</sup> იმისათვის, რომ მედიატორის კვალიფიკაცია მიენიჭოს პიროვნებას, მან სათანადო ქულები უნდა დააგროვოს, რათა სერტიფიკატი მიიღოს.<sup>118</sup> საოჯახო დავების პროცესის წარმმართველო მედიატორი ვალდებულია ჰქონდეს ბაკალავრის დიპლომი და მინიმუმ 100 სასერტიფიკატო ქულა, რომელიც ტრენინგების პროცესში უნდა დააგროვოს.<sup>119</sup> დავების გადამწყვეტ ცენტრს (DRC), რომელიც ბაზირებულია ფლორიდის უზენაესი სასამართლოს შენობაში, ჰყავს 2, 168 მედიატორი, რომელიც საოჯახო დისპუტებს წარმართავს. თითოეული მათგანი სერტიფიცირებულია ფლორიდის უზენაესი სასამართლოს მიერ.<sup>120</sup> აღნიშნული რაოდენობიდან 1, 127 არის არაადვოკატი მედიატორი და 1041 პროფესიით ადვოკატი მედიატორი.<sup>121</sup> დავების გადამწყვეტი ცენტრის (DRC) მედიატორთა რეპორტინგის სისტემა აჩვენებს, რომ არაადვოკატი მედიატორები პროფესიის მიხედვით შემდეგნაირად იყოფიან:

ფსიქოლოგ-ფსიქიატრი = 398; ბიზნესექსპერტი = 80; მასწავლებელი = 93; ბულალტერი = 63; ექიმი/სტომატოლოგი = 2; სახელმწიფო მოხელე = 93; სამხედრო = 8; სხვა = 123.<sup>122</sup>

დღემდე, ფლორიდაში ადვოკატი მედიატორები უფლებამოსილი იყვნენ (ჰქონდათ შესაბამისი სერტიფიკატი) წარემართათ სამოქალაქო საქმეები, მაშინ როდესაც არაადვოკატებს შეეძლოთ მედიაცია გაენიათ ოჯახური საქმეებისათვის.<sup>123</sup> გარდა ამისა, იმისათვის რომ გამხდარიყავი ოჯახის მედიატორი და სერტიფიკატი მოეცა ფლორიდას უზენაეს სასამართლოს, უნდა ყოფილიყავი ადვოკატი პროფესიით ან უნდა ყოფილიყავი სერტიფიცირებული ბულალტერი.<sup>124</sup>

ფლორიდაში ოჯახური სასამართლო მედიაციის პროგრამები ძირითადად, დაკომპლექტებულია შტატის მედიატორებით (რომლებიც სასამართლოში მუშაობენ), რომელთაც კონკრეტული საქმის არსებობის შემთხვევაში ეძახის სასამართლო.<sup>125</sup> სასამართლოების უმრავლესობა კონტრაქტით ქირაობენ მედიატორებს, რადგან ამგვარი მეთოდით მედიატორის მონვევა უფრო იაფი უჯდებათ ვიდრე მათი სრულ განაკვეთზე შტატში დანიშვნა. კონტრაქტით დაქირავებულ მედიატორებს ან ფიქსირებულ თანხას უხდიან ან საათობრივად, მათ მიერ განეული შრომის შესაბამისად, თუმცა ტენასის შტატში სიტუაცია განსხვავებულია, როდესაც მონვეული მედიატორები თავად ასახელებენ თანხის ოდენობას.<sup>126</sup>

სასამართლო მედიაცია ფლორიდაში, ძირითადად, მაინც რჩება ადვოკატი და არაადვოკატი მედიატორების „ნაკრებად“ (მიქსად), თუმცა ოლქების მიხედვით სიტუაცია მაინც განსხვავდება. პალმ ბიჩში მე-15 საოლქო სასამართლოს, დავის ალტერნატიული გადწყვეტის

<sup>117</sup> იქვე. §10.105.

<sup>118</sup> იქვე. §§10.100–10.105.

<sup>119</sup> იხ. §§ 10.100, 10.105.

<sup>120</sup> იხ. Dispute Resolution Center Mediator Reporting System, Fla. Statects., <[http://199.242.69.70/pls/drc/drc\\_main\\_screen](http://199.242.69.70/pls/drc/drc_main_screen)>, [3.02.2012]. ეს რიცხვები ეყრდნობა სხვადასხვა ტიპის მედიატორთა კვლევას.

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> იხ. Proposed Standards of Prof'l Conduct for Certified and Ct.- Appt'd Mediators, 604 So. 2d 764, Fla. 1992 (დადასტურებულია Fla. R. Certified & Ct.-Appt'd Mediators 10. 010, 1992) (codified as amended at Fla. Stat. Ann. §10.100)).

<sup>124</sup> *In re Amendments to the Fla. Rules for Certified & Ct.-Appt'd Mediators*, 762 So. 2d 441, 449, Fla. 2000; ასევე იხ. Sup. Ct. Offla., Annual Report 17, 2006.

<sup>125</sup> იხ. Sip. Ct. of Fla., Comm'n on Trial Ct. Performance & Accountability, Recommendations for dispute resolution services in Florida's Trial Courts, 43, 2008, [http://www.flcourts.org/gen\\_public/court-services/bin/ADRMedia tionReport08-2008.pdf](http://www.flcourts.org/gen_public/court-services/bin/ADRMedia tionReport08-2008.pdf).

<sup>126</sup> *Velikonja*, შენიშვნა 51, 267 (ზოგიერთ შტატს აქვს საკუთარი რეგულაცია მედიაციის გადასახადის დანესებასთან დაკავშირებით) ასევე, იხ. Fla. Disp. Resol. Ctr., Florida Mediation & Arbitration Programs: Acompendium, Sharon Press ed., 18<sup>th</sup> ed. 2005, 84–86 (ფლორიდის ოლქის სასამართლოს მიერ შემუშავებული გადასახდი მედიატორთათვის) ასევე, იხ. Harris Cnty., Tex., Civ. Ct. at Law, No. 4, Mediation Instructions, Harris Cnty., Tex., Civ. Ct. at Law No. 4, <[http://www.ccl.hctx.net/civil/4/ Mediation% 20Instru ctions%20for%20Case%20Parties.pdf](http://www.ccl.hctx.net/civil/4/ Mediation%20Instru ctions%20for%20Case%20Parties.pdf)>, [14.03.2012] (ჰარისის ოლქში, ტენასში მედიატორს მხარეებმა უნდა გადაუხადონ 400-400 დოლარი)

პროგრამაში (ADR) სრულ განაკვეთზე ირიცხება 4 მედიატორი,<sup>127</sup> რომელთაგანაც მხოლოდ 1 არის პროფესიით ადვოკატი და ასევე აქვს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება და ხარისხი.<sup>128</sup> გარდა ამისა იგივე, მე-15 საოლქო სასამართლოსჰყავს 30 კონტრაქტორი მედიატორი, რომელთაგანაც უმრავლესონა არის პროფესიით ადვოკატი.<sup>129</sup> კონტრაქტორ მედიატორებს 2-საათიანი სესიის ჩატარებაში დაახლოებით 125 აშშ დოლარს უხდიან.<sup>130</sup> ორლანდოში, მე-9 საოლქო სასამართლოში, ირიცხება 29 კონტრაქტორი მედიატორი, რომლებიც ოჯახური საქმეების მედიაციას აწარმოებენ, მათგან 19 არის ადვოკატი.<sup>131</sup> დანარჩენი კი სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან, მათ შორის ექიმებიც.<sup>132</sup> ზოგიერთ ოლქში, ადვოკატთა რაოდენობა, რომელსაც სასამართლო ქირაობს მედიაციისათვის ცოტაა. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ მათ ცოტას უხდიან.

თუმცა, ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც ადვოკატები მედიაციის საქმის წარმართვას თანხმდებიან, არის გამოცდილებ მოხვეჭა. ასევე საგულისხმოა, რომ მედიატორთა რაოდენობის კლება ფლორიდაში უფრო ინტერდისციპლინარულია ვიდრე იგივე სიტუაცია ტეხასში. ამგვარი კლების დაწყება ფლორიდაში საქმეში ადვოკატ-მედიატორთა ჩაბმამ განაპირობა. მელ რუბინი, რომელიც არის ცნობილი ადვოკატი-მედიატორი და მედიაციის ტრენერი მაიამიში, განმარტავს, რომ 30 წლის წინ, ფლორიდაში, სოჯახო მედიაციის წარმართველნი ძირითადად იყვნენ ექიმები (სხვადასხვა პროფილის).<sup>133</sup> ბილ მორენო, მე-15 საოლქო სასამართლოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროგრამის (ADR) დირექტორი, აცდახებს, რომ ფლორიდაში სიტუაცია ტეხასის მსგავსად წარმართა, სახელდობრ კი, ადვოკატი მედიატორები ნაკლებად მოტივირებულნი იყვნენ მედიაციის წარმართვისას ვიდრე ზემოხსენებული პროფესიით ექიმი მედიატორები.<sup>134</sup> ენთუზიაზმის ამგავრი ნაკლებობა სხვადასხვა გარემოებით იყო განპირობებული, თუმცა ერთ-ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი გარემოება ადვოკატი-მედიატორებისათვის გახლდათ ის, რომ მოლაპარაკებებისას მესამე მხარე უნდა ჩართულიყო. ეს იყო მანამ სანამ, ადვოკატებმა არ აღიარეს, რომ მესამე მხარის ჩართვა მედიაციაში განაპირობებდა იმას, რომ ისინი თავად ხდებოდნენ მედიაციით დაინტერესებულნი და ეს მათთვის საკმაოდ სერიოზული წამოწყება იყო.<sup>135</sup>

ადვოკატთა ცვლის რაოდენობა რიცხვებშია ასახული. ამჟამად, ფლორიდის უზენაესმა სასამართლომ სერტიფიკატი გასცა 398 მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტზე, როგორც მედიატორზე (ფსიქიატრი, ექიმი), თუმცა მთლიანი რაოდენობა სასამართლოში დასაქმებული მედიატორების უტოლდება 2,168 .<sup>136</sup> ეს არის მხოლოდ 18%, რაც საკმაოდ საკვირველია, რადგან ცოტა ხნის წინ პროფესიით ექიმი მედიატორები იყვნენ მმართველი ძალა მედიაციის პროცესში. მაშინ როდესაც არაადვოკატი მედიატორები ჩაბმულნი არიან ფლორიდის სასამართლო მედიაციის მროგრამებში, კერძო ოჯახური მედიაციის წარმართველებად გვევლინებიან ადვოკატები.<sup>137</sup> მედიაციის ექსპერტები ფლორიდის შემთხვევაში, რეგულაციურ ცვლილებებზე საუბრობენ თუმცა აღნიშნული ცვლილებები ტეხასთან შედარებით ნაკლებად

<sup>127</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Bill Moreno*, Alt. Disp. Resol. Dir., 15th Jud. Cir. Ct. of Fla., July 14, 2011.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იქვე.

<sup>131</sup> 2011 Family Mediators, Ninth Judicial Cir. Ct. Offla., <[http://www.ninthcircuit.org/programs-services/dispute-resolution-services/family\\_mediators.shtml](http://www.ninthcircuit.org/programs-services/dispute-resolution-services/family_mediators.shtml)>, [10.04.2012]; ასევე, იხ. სატელეფონო ინტერვიუ *Genie Williams*, Dir., 9<sup>th</sup> Jud. Cir. Ct. of Fla., Disp. Resol. Servs., July 14, 2011 (ვარდნის დადასტურება).

<sup>132</sup> Ninth Jud. Cir. Ct. Offla., შენიშვნა 131; ინტერვიუ *Genie Williams*, შენიშვნა 131.

<sup>133</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Mel Rubin*, Att’y-Mediator, Miami, Fla., May 20, 2011; ასევე, იხ. სატელეფონო ინტერვიუ *Charles Castagna*, Att’y-Mediator, Clearwater, Fla., July 27, 2011 (დასტური იმისა, რომ ადრე ექიმები სჭარბობდნენ მედიაციის პროცესში ადვოკატ-მედიატორებს).

<sup>134</sup> ინტერვიუ *Bill Moreno*, შენიშვნა 127.

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> იხ. Dispute Resolution Center Mediator Reporting System, შენიშვნა 120. ციფრები მონოდებულია კვლევის საფუძველზე, მედიატორთა ფუნქციის განსაზღვრის მიზნით.

<sup>137</sup> ინტერვიუ *Bill Moreno*, შენიშვნა 127.

ექსტრემალურია. მიუხედავად ამისა, ფლორიდაში თუ არაადვოკატ მედიატორებს სურთ მედიაციით ფული იშოვონ, მათ მრავალი მკაცრი გამოცდის გავლა უწევთ<sup>138</sup>. მედიატორთა უმრავლესობა, განსაკუთრებით არაადვოკატი მედიატორები „არავითარ შემთხვევაში არ ტოვებენ თავიანთ სამსახურებს“ ამბობს ადვოკატი-მედიატორი ჰელენ სტეინი, მაიამიდან, ფლორიდა<sup>139</sup>. ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ არიან არაადვოკატი მედიატორები, რომლებმაც თავადაც არ იციან შოულობენ თუ არა ფულს ამით.<sup>140</sup> სხვები კი ფიქრობენ, რომ არაადვოკატი მედიატორებისათვის ფულის შოვნა მხოლოდ მედიაციის პროცესის წარმართვით, ძალიან იშვიათად გამოწვევის წარმოადგენს.<sup>141</sup>

### 3. ილინოისი

ტეხასისა და ფლორიდას მსგავსად, ილინოისშიც საოჯახო მედიაცია უკანასკნელი 30 წლის მანძილზე აქტიურად გამოიყენებოდა.<sup>142</sup> თუმცა ილინოისში, ტეხასისა და ფლორიდასაგან განსხვავებით, საოჯახო მედიაცია არ იყო ისე ფართოდ გავრცელებული და არ ქონდა მოხვეჭილი ისეთი პოპულარობა, როგორც წინა ორი შტატის შემთხვევაში ვნახეთ. ეს საკითხი, ილინოისის ორ ცნობილ და გამოცდილ მედიატორთან გავნიხილეთ, რომელთაც ილინოისში ამგვარი ტენდენციის არსებობა, თავად შტატის სასამართლო ხელისუფლებისაგან საკითხის მიმართ უნდობლობით ახსნეს.<sup>143</sup> როდესაც ჩვენ განვუმარტეთ მათ, რომ, მართალია, ფლორიდაში სასამართლო ხელისუფლება საკმაოდ გავლენიანი იყო, თუმცა იმავეს თქმა ტეხასის შემთხვევაში არ შეიძლებოდა,<sup>144</sup> მათ გვითხრეს, რომ ილინოისი ეს იყო შტატი, სადაც სასამართლო ხელისუფლება ანტიპატიურად იყო განწყობილი თავად მედიაციის მეთოდისადმი, თუმცა ახლა ასე აღარ არის.<sup>145</sup> მიუხედავად იმისა, რომ ილინოისში პროფესიონალ მედიატორთა ჯგუფი – ილინოისის მედიაციის საბჭო, 1982 წლიდან არსებობდა, ერთ-ერთი გამოცდილი მედიატორის მტკიცებით „მედიაციის საზოგადოება ილინოისში ნამდვილად არ არის ძლიერი. ძალიან შეზღუდულია“.<sup>146</sup> ილინოისის შტატის, კუკის ოლქში, ჩიკაგოს საოლქო სასამართლოში, საოჯახო მედიაცია ფართოდ გამოიყენებოდა 1982 წლიდან.<sup>147</sup> კუკის ოლქის, საოლქო სასამართლოს ოჯახური ურთიერთობის განყოფილება, ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მეურვეობასთან და განქორწინების შემდგომ შვილის მონახულების პროცედურებთან გადასცემს ე.წ. ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურს (MFCS).<sup>148</sup> ეს არის უფასო სერ-

<sup>138</sup> ინტერვიუ *Mel Rubin*, შენიშვნა 133; ასევე, იხ. ინტერვიუ *Charles Castagna*, შენიშვნა 134. აღნიშნული ექსპერტები გამოკითხულ იქნენ რათა დაესახელებინათ არაადვოკატი მედიატორები, რომლებიც შემოსავალს მედიაციით იღებდნენ.

<sup>139</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Helen Stein*, Aug.1, 2011.

<sup>140</sup> იქვე.

<sup>141</sup> ინტერვიუ *Charles Castagna*, შენიშვნა 133.

<sup>142</sup> ილინოისის სასამართლო მედიაციის შესახებ მაგალითების განხილვისათვის ენციკლოპედიაში: Resolution Systems Institute, <<http://www.aboutrsi.org>>, [14.03.2012].

<sup>143</sup> ინტერვიუ *Corinne (Cookie) Levitz*, Bd. of Dir., Ass'n for Conflict Resol., Chi. Chapter, in Chi., Ill., July 7, 2011; ინტერვიუ *Susan Yates*, Exec. Dir., Resol. Sys. Inst., in Chi., Ill., June 28, 2011.

<sup>144</sup> მაშინ, როდესაც ტეხასის შტატის უზენაესმა სასამართლომ მედიაციის მეთოდის ფართოდ გავრცელებაში მონაწილეობა არ მიიღო, ამან სტიმული მისცა სასამართლო სისტემის სხვა წარმომადგენლებს ლიდერის პოზიცია დაემკვიდრებინათ. აღსანიშნავია, სააპელაციო სასამართლოს მთავარი მოსამართლე, *Frank Evans*, რომელიც ADR-ის მამამთავრად ითვლება ტეხასში.

<sup>145</sup> ინტერვიუ *Corinne (Cookie) Levitz*, შენიშვნა 143; ინტერვიუ *Susan Yates*, შენიშვნა 143.

<sup>146</sup> ინტერვიუ *Brigitte Bell*, ხელმძღვანელი და დამაარსებელი, *Bell B. S., P.C.*, in Chi., Ill., June 30, 2011.

<sup>147</sup> იხ. Illinois Court ADR Sourcebook, Rsi'sct. ADR Resource Ctr., <<http://courtdr.org/sourcebook/programs.php?ID=3&b1=proc&b2=65&menuID=69&menuanchor=anchor&submenuID=73&submenuanchor=anchor>>, [14.03.2012].

<sup>148</sup> MFCS პროგრამის განხილვისათვის იხ. *Zingery Sh., Levitz C. (Cookie), Royko D.*, Screening for Domestic Violence in Family Mediation Cases, in *Innovations in Court Services*, *Erickson C. A. ed.*, 2010, 41, 41–60; და Illinois Court ADR Sourcebook, შენიშვნა 147. განმარტება: MFCS-ის პროგრამა შედგენილია ამ წყაროებიდან და ასევე კონი (კუკი) ლევიტსთან ინტერვიუების საფუძველზე, შენიშვნა 143.

ვისი, რასაც სასამართლო სისტემა სთავაზობს მათ ვისაც სჭირდება და მისი რეალური ღირებულება წლიურად დაახლოებით 2, 400 დოლარია.<sup>149</sup> ე.წ. ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახური (MFCS), განქორწინების საქმის წარმოებისას არ იხილავს ფინანსურ საკითხებს.<sup>150</sup> მისი არსებობის ისტორიის მანძილზე, ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახური (MFCS) დაკომპლექტებული იყო, ძირითადად, პროფესიით ექიმი მედიატორებით (ფსიქიატრ-ფსიქოლოგებით)<sup>151</sup>. 1991 წელს კორინ (კუკი) ლევიტსი გახდა პირველი ადვოკატი-მედიატორი ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურში (MFCS).<sup>152</sup> ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურში (MFCS) არის დაახლოებით 19 შტატიანი მედიატორი, რომელთაგანაც 5 არის პროფესიით ადვოკატი და 14 სხვა პროფესიის წარმომადგენელი (ძირითადად, ფსიქიატრ-ფსიქოლოგები).<sup>153</sup> როდესაც ის დაიქირავეს, ლევიტსმა განაცხადა „ისე მიყურებდნენ თითქოს უცხოპლანეტელი ვიყავი. განსაკუთრებით ფსიქიატრ-ფსიქოლოგი მედიატორებისაგან ისეთი მუხტი მოდიოდა, რომ თითქოს საოჯახო მედიაცია მათი საკუთრება იყო, რადგან მათ ყველაზე კარგად ესმოდათ თუ რა სტრესთანაა დაკავშირებული ოჯახის დანგრევა“.<sup>154</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მას ეჭვის თვლით უყურებდნენ, ლევიტსის განმარტებით, დროთა განმავლობაში ეს ეჭვები გაქარწყლდა და ადვოკატი-მედიატორებიც საქმის წარმოებაში აქტიურად ჩაებნენ.<sup>155</sup>

ზოგადად, MFCS მედიატორი დღეში ორი მედიაციის პროცესს წარმართავს, რომლებიც 2-2 საათს გრძელდება.<sup>156</sup> მოლოდინი არის შემდეგი, რომ თითოეული საქმე შედგება ერთი საწყისი სესიისაგან და შემდეგ 2 დამატებითი მედიაციის პროცესისაგან (განხილვისაგან).<sup>157</sup> თუკი საჭიროა, მესამე სესიაც შეიძლება დაემატოს, მანამ სანამ სასამართლო მოსმენის თარიღი გახდება ცნობილი.<sup>158</sup> ლევიტსი განმარტავს: „ჩვენზე ზენოლა არ ხდება იმისათვის, რომ პროცესი დავაჩქაროთ“.<sup>159</sup> ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება საოჯახო მედიაციის პროცესში, რომელსაც რესპოდენტები ინტერვიუს მიმდინარეობისას ხაზს უსვამდნენ იყო ოჯახური ძალადობის შემთხვევების მიმართ მაღალი დელიკატურობა, განსაკუთრებით სასამართლო პროგრამებში. წარსულში, როდესაც გამოცდილ მედიატორთა უმრავლესობა ე.წ. „ჰაინეს მოდელის“<sup>160</sup> მიხედვით გადიოდა გადამზადებას, მათ ასწავლიდნენ, რომ მხარეები ერთად შეენარჩუნებინათ. ლევიტსი იხსენებს ინციდენტს, რომელიც ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქეისად შეიძლება მივიჩნიოთ:

1989 წელს, ჩიკაგოში AFCC კონფერენციაზე, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა ჯგუფმა გამართა აქცია, იმის მოთხოვნით, რომ ოჯახის მედიატორებმა და სხვებმა უნდა გაითვალისწინონ ოჯახური ძალადობის შემთხვევების ალბათობა, მანამ სანამ საოჯახო მედიაციის პროცესს მიჰყოფენ ხელს. შედეგად, ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურმა (MFCS) შექმნა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი. როდესაც მე მივედი ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურში (MFCS), ისინი აღნიშნულ საკითხს ძალიან სერიოზულად უყურებდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოჯახური ძალადობის

<sup>149</sup> Illinois Court ADR Sourcebook, შენიშვნა 147.

<sup>150</sup> ინტერვიუ Corinne (Cookie) Levitz, შენიშვნა 143.

<sup>151</sup> Illinois Court ADR Sourcebook, შენიშვნა 147.

<sup>152</sup> ინტერვიუ Corinne (Cookie) Levitz, შენიშვნა 143.

<sup>153</sup> Illinois Court ADR Sourcebook, შენიშვნა 147.

<sup>154</sup> ინტერვიუ Corinne (Cookie) Levitz, შენიშვნა 143.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> იქვე.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> John Michael Haynes ცნობილი იყო, როგორც განქორწინების თანამედროვე მედიაციის მამამთავარი. Haynes იყო საოჯახო მედიატორთა აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, რომელსაც გადამზადებული ჰყავს 20 000-ზე მეტი მედიატორი მსოფლიოს მასშტაბით. Young P. M., A Connecticut Mediator in a Kangaroo Court?: Successfully Communicating the “Authorized Practice of Mediation” Paradigm to “Unauthorized Practice of Law” Disciplinary Bodies, S.Tex. L. Rev., Vol. 49, 2008, 1047, 1055 n.17.

დამალვა (კონფიდენციალურობის ინტერესებიდან გამომდინარე) ძალიან მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა, თუმცა მგონია, რომ ზოგიერთი ადვოკატ-მედიატორი ამას არ აკეთებს, და ფსიქოლოგ-ფსიქიატრებიც კი არ არიან ამ თემის მიმართ სათანადოდ სენსიტიურები. ეს ნამდვილად, რომ მედიაციის პროცესის საქმეა. თუ შენ ამ კუთხით არ გაქვს სათანადო გადამზადება მიღებული, ეს არ უნდა აკეთო.<sup>161</sup>

ბრიჯიტ ბელი, კერძო ადვოკატ-მედიატორი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში, ლევიტის მსგავსად იგივე დამოკიდებულება დააფიქსირა ოჯახური ძალადობის საკითხის მიმართ სენსიტიურობასთან დაკავშირებით და მისეული განმარტებაც გააკეთა:

რაც უფრო მეტი ადვოკატი ცდილობს წარმართოს მედიაციის პროცესი, ეს იმას ნიშნავს, რომ უმთავრესი მიზანი მხოლოდ საკითხის გადაჭრაა და მეტი არაფერი, მაგრამ მათ მეტი ანალიზის გამოჩენა მართებთ. თუმცა ადვოკატები, რომლებიც საკუთარ თავს მედიატორებს უწოდებენ ხშირ შემთხვევაში, საკითხში ღრმად ჩახედულნი სრულებით არ არიან. მაგალითად, ისინი კონფიდენციალურობის დაცვას დიდ ყურადღებას არ ანიჭებენ და სრულებით ვერ ხედავენ პრობლემას ოჯახური ძალადობის ფაქტების ფართოდ გამოაშკარავებაში, რადგან ფიქრობენ, რომ ამ საკითხს მხოლოდ მედიაციით აღმოფხვრიან.<sup>162</sup>

ბელის თქმით, ადვოკატ-მედიატორთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა და თავად ტერმინი „მედიატორი“ უკვე ფართოდ იხმარება: „1985 წელს ადვოკატებს სულაც არ უნდოდათ ეწარმოებინათ მედიაციის პროცესი. ამჟამად კი, თუ ადვოკატი არის ე.წ. GAL (რაც ნიშნავს მცირეწლოვანთა ან იმ ადამიანთა ინტერესთა დამცველი, რომლებსაც სასამართლოზე საკუთარი ინტერესების დაცვა არ შეუძლია), მათი საქმიანობა კვალიფიცირდება, როგორც „მედიაცია“.<sup>163</sup>

კერძო ოჯახის მედიატორები, რომლებიც გამოვიკითხეთ აცხადებდნენ, რომ ილინოისის საოჯახო სასამართლო ძირითადად არ იყო მიმართული, რომ საქმის განხილვა მედიატორისათვის გადაეცა: „ოჯახის ადვოკატებს სურდათ ყველა საქმე თავად ეწარმოებინათ და ბოლომდე მიეყვანათ“.<sup>164</sup> ბელი განმარტავს: „საოჯახო სასამართლო დაინტერესებულია იმაში, რომ მოიპოვოს საკუთარი შემოსავალი, რათა იარსებოს. ისინი, იმ საქმეებს, რომლებიც მათთვის მომგებიანია არ გადასცემენ მედიაციას. ისინი მედიაციას გადასცემენ მხოლოდ იმ რთულ საკითხებს, რომელთა გადანყვეტაც თავად უჭირთ“.<sup>165</sup> ბელი ასევე ადასტურებს, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო, ის ოჯახის ადვოკატებისაგან ძალიან მცირე რაოდენობის საქმეს თუ მიიღებს სამუშაოდ. ის ძირითადად სამუშაოს ექიმებისაგან და უკვე კმაყოფილი კლიენტებისაგან იღებს. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ იმ ადვოკატთა რიცხვი, რომელთაც მედიატორობა სურთ, დღითიდღე იმატებს:

ისინი ხედავენ, იმისათვის რომ შემოსავალი ჰქონდეთ, გარდა არსებული პროფესიისა, კიდევ რაიმე „ინსტრუმენტი“ უნდა დაუმატონ საკუთარ „სამუშაო იარაღების კომპლექტს“. თუმცა, ოჯახის ადვოკატები, საქმეს მედიაციას არაფრით გადასცემენ, რადგან პროცესის მართვა თავადაც შეუძლიათ, რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. ასე რომ, ძალიან დიდი კონკურენციაა. თუმცა თუკი მსგავსი რამ მოხდა და საქმე სხვა ადვოკატს გადაეცა, ეს იმიტომ, რომ ისინიც იგივეს ელიან ამა თუ იმ კოლეგისაგან მომავალში<sup>166</sup>.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ილინოისის შტატში (განსაკუთრებით კუკის ოლქში) კერძო საოჯახო მედიაცია იზრდება, სასამართლოს მიმართვიანობა რათა საქმე გადაეცეს კერძო ოჯახის მედიატორებს, მაინც იშვიათობად რჩება.

თუმცა, ზოგადად, ის ეთანხმება ბელს და ამბობს, რომ კერძო მედიაცია განქორწინების პროცესის წარსამართად არ არის ძალიან გავრცელებული ილინოისში, კარენ შელდსი, კერძო

<sup>161</sup> ინტერვიუ *Corinne (Cookie) Levitz*, შენიშვნა 143.

<sup>162</sup> ინტერვიუ *Brigitte Bell*, შენიშვნა 146.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> იქვე.

<sup>165</sup> იქვე.

<sup>166</sup> იქვე.

მედიატორი, რომელსაც საოჯახო დავების სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება აქვს, ოპტიმიზმს გამოთქვამს, რომ ეს ტენდენცია იცვლება.<sup>167</sup> მან განმარტა, რომ ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურის (MFCS) მიერ შემუშავებულმა პროგრამებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა კერძო მედიაციის პოპულარიზაციის მიმართულებით და სერიოზული საფუძველი და განათლება მისცა მოსამართლეებს მედიაციის კუთხით. ის ასევე ეთანხმება ბელს იმ საკითხში, რომ მწვავე კონკურენცია არსებობს მედიაციასა და საოჯახო სასამართლოს შორის საქმეების განხილვის კუთხით: „განქორწინების საქმის წარმოების შემთხვევაში, რატომ დაუთმობს ოჯახის ადვოკატი აღნიშნულ საქმეს სხვა მედიაციისათვის?“<sup>168</sup> ამრიგად, მისი განცხადებით, განქორწინების პროცესის წარმართვაში საუკეთესო მედიატორები პროფესიით არ არიან ადვოკატები. შელდსის, როგორც კერძო საოჯახო მედიატორის წარმატება, იმითაც არის განპირობებული, რომ ის საოჯახო სასამართლოს აქტიური წევრი არ არის, თუმცა მისი მაღალი პრაქტიკა ე.წ. სასამართლო არბიტრაჟისა და მედიაციის სამსახურის (JAMS) წევრობის დამსახურებადაც შეიძლება ჩაითვალოს.<sup>169</sup>

ილინოსის შტატის სხვა ოლქებში, სადაც ასევე არის საოჯახო მედიაციის პროგრამები, ეს ნიშა მაინც ადვოკატების მიერაა დაკავებული ე.წ. „*lawyer colonization*.“ კუკის ოლქის ერთ-ერთმა კერძო მედიატორმა თქვა: „ლეიკის და დუპაჟის ოლქებს არ აქვთ ქორწინებისა და ოჯახის საკონსულტაციო სამსახურები (MFCS), თუმცა აქვთ წინასწარ დამტკიცებული სიები, საიდანაც ირჩევენ მედიატორებს“.<sup>170</sup>

ლინ გრაფინმა, რომელიც არის ცნობილი საოჯახო მედიატორი ლეიკის ოლქში, ილინოსში, უფრო დეტალური განმარტება გააკეთა იმისა თუ რა სიტუაციაა მედიაციის მხრივ შტატის ისეთ ოლქებში, როგორებიცაა ლაიკი, მაკჰენრი და დუპაჟი.<sup>171</sup> მისი თქმით აღნიშნულ ოლქებში განქორწინების საქმეების მედიაციისათვის გადაცემა 1980-იანი და 90-იანი წლების პერიოდში დაიწყო, რასაც სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა, რისთვისაც სასამართლო სისტემის ასოციაციას სპეციალური კანონპროექტის შექმნაც კი დაევალა.<sup>172</sup>

სასამართლო სისტემის ასოციაციამ, იმისათვის, რომ საკუთარი წევრებისათვის საქმეები არ მოეკლო, შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ადვოკატები ითვლებოდნენ კვალიფიციურ მედიატორებად. ზოგიერთმა ჩვენგანმა ამგვარი წესების წინააღმდეგ პრეტენზიები გამოთქვა. ჩვენ ყოველთვის გვნამდა, რომ საოჯახო მედიაცია დისციპლინათშორისი სფერო იყო და მის ადვოკატირებას ვახდენდით სასამართლოს წინაშე. მათთვის (სასამართლო სისტემისათვის) არაადვოკატ მედიატორთა ჩართულობა პროცესში პირიქით, მეტად კომფორტული უნდა ყოფილიყო, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მედიაციის პროცესის წარსამართლად ფსიქიატრ-ფსიქოლოგებს იყენებდნენ.<sup>173</sup>

ამჟამად ქვეყანაში სასამართლო სიები და საოჯახო მედიატორთა ჩამონათვალი დისციპლინათშორისია, თუმცა სასამართლოს მაინც უპირატესობა ენიჭება.

მოსამართლეებს უყვართ ისეთი ხალხის დანიშვნა ვინც უკვე იციან რასაც წარმოადგენს. ისინი იცნობენ ადვოკატებს და ნიშნავენ მათ, თუმცა ასევე შესაძლოა დანიშნონ არაადვოკატებიც, რომლების საქმიანობასაც ასევე კარგად იცნობენ. როდესაც საქმე სასამართლო განკარგულებით გადაეცემა მედიაციას და საკითხი საკმაოდ ცვალებადია, მაშინ მოსამართლე საჭიროდ მიიჩნევს საქმეში პროფესიით ფსიქოლოგი მედიატორის ჩართვას.<sup>174</sup>

<sup>167</sup> ინტერვიუ *Honorable Karen Shields*, Mediator, JAMS, in Chi., Ill., June 24, 2011.

<sup>168</sup> იქვე.

<sup>169</sup> JAMS, ყველაზე დიდი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) სერვის პროვაიდერი მსოფლიოში About Jams, Jams: The Resolution Experts, <[http://www.jamsadr.com/aboutus\\_overview](http://www.jamsadr.com/aboutus_overview)>, [14.03.2012].

<sup>170</sup> ინტერვიუ *Brigitte Bell*, შენიშვნა 146.

<sup>171</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Lynn Gaffigan*, Mediator, Lake Cnty., Ill., Oct. 14, 2011.

<sup>172</sup> იქვე. თუმცა, *Gaffigan*-მა ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, ექიმი-მედიატორები (ფსიქიატრები) ასევე ჩართული იყვნენ საკომისიო მოსმენებში, სადაც წესების შემუშავება/ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა.

<sup>173</sup> იქვე.

<sup>174</sup> იქვე.



სხვა ფაქტორები, რამაც ილინოისის შტატში მედიაციის პროცესში ჩაბმული ადვოკატების რაოდენობა გაზარდა, იყო ე.წ. უნიფიცირებული მედიაციის აქტი (IUMA) და, ასევე, სამთან დაკავშირებული საქმეები. ილინოისმა უნიფიცირებული მედიაციის აქტი (IUMA) 2002 წელს მიიღო.<sup>175</sup> აღნიშნული აქტის მე-10 პარაგრაფში წერია – „ადვოკატი ან სხვა ვინმე, ვისაც მხარე აირჩევს უფლებამოსილია მიჰყვეს თავად მხარეს და მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში“.<sup>176</sup> უნიფიცირებული მედიაციის აქტის (IUMA) თანახმად, ამჟამად ადვოკატები უფლებამოსილები არიან დაესწრონ მედიაციის პროცესს, რომელიც სასამართლო პროგრამის მიერ იმართება<sup>177</sup>, თუმცა საგულისხმოა, რომ ადრე მათ ამგვარი შესახლებლობა არ ჰქონდათ. გარდა ამისა, 1990-იან წლების შუაში, ილინოისის შტატის ოლქების ნახევარზე მეტმა მიიღო სასამართლოს მიერ დაწესებული მედიაციის პროგრამა, რომელიც, ძირითადად, სამოქალაქო ტიპის საქმეების განხილვისათვის იყო მიმართული.<sup>178</sup> ამ პროგრამების გავრცელების და გაპოპულარულების გამო, ადვოკატები მედიაციის პროცესში უფრო სიღრმისეულად გაერკვნენ და უკვე მხარეებს შორის მედიაციასაც თავისუფლად ახდენდნენ. ისინი სრულფასოვან მედიატორებად იქცნენ.

ილინოისის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შტატის ყველა ოლქში უნდა ვრცელდებოდეს ადგილობრივი კანონები სამეურვეო მედიაციასთან დაკავშირებით, თუმცა მოშორებით მდებარე ოლქებში ჩამოყალიბდა საოჯახო მედიატორთა დისციპლინათშორისი ერთობა.

ჩიკაგოს მაგალითზე ერთ-ერთი ცნობილი საოჯახო მედიატორი და ტრენერი შემდეგ მოსაზრებას სთავაზობს მკითხველს: „მოშორებით მდებარე ოლქებში, მოსამართლეების ნაცნობობაზე დამოკიდებული მედიაციის პროცესში ფსიქიატრები ჩაერთვებიან თუ პროფესიით ადვოკატები“.<sup>179</sup>

## გ. ნამოჭრილი თემები

ამ ნაწილში, განვიხილავთ და შემოგთავაზებთ ზოგიერთი ტენდენციის შესახებ განმარტებებს, რომლებიც კვლევის შედეგად ნამოჭრა. ჩვენ ისინი ხუთ ძირითად თემად დავაჯგუფეთ.

1. ზოგადად, განქორწინების პროცესი კანონით რეგულირდება.

მედიაციის როლი არის, საქმის განხილვის შედეგად მიღწეულ იქნას შეთანხმება. მაშასადამე, ზოგადად გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, იმისათვის, რომ მედიატორმა მედიაციის პროცესი წარმართოს, ის არ არის ვალდებული სიღმისეულად იცოდეს იმ სფეროს დეტალები, რა სფეროშიც იგი მედიაციის პროცესს აწარმოებს, მათ შორის არის სამართლებრივი სფეროც.<sup>180</sup> მიუხედავად ამისა, ეს ზოგადი მოსაზრება მედიატორთა შესახებ, საოჯახო სამართლის სფეროში დეტალურ განმარტებას მოითხოვს. ზოგიერთი დაკვირების მიხედვით, არსებობს სრულიად განსხვავებული ოჯახური დავები, რადგან მაგალითად განქორწინების საკითხის მედიაციისას, საჭიროა მედიატორმა პროცესში სამართლებრივი საკითხები ახსენოს<sup>181</sup>. ერთ-ერთი კომენტატორის მოსაზრების მიხედვით, განქორწინების საქმე, სამართლებრივი საკითხების ჩაურევლობის გარეშე ვერ გადაწყდება.<sup>182</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ განქორწინების მედიაციის საკითხები მხოლოდ მეურვეობისა და შვილის მონახულების საქმეებით შემოიფარგლება, ამ შემთხვევაშიც კი ვერ ავცდებით სამართლებრივ საკითხებს. ასე რომ, ამგვარი სა-

<sup>175</sup> იხ. Ill. Unif. Mediation Act, 710 ILL. COMP. STAT. 35/1–16, West 2007.

<sup>176</sup> 710 ILL. Comp. Stat. 35/10.

<sup>177</sup> იქვე.

<sup>178</sup> დამატებითი და დეტალური ინფორმაციისათვის იხ. *Schmitz S. J.*, A Critique of the Illinois Circuit Rules Concerning Court-Ordered Mediation, *Loy. U. Chi. L. J.*, Vol. 36, 2005, 783.

<sup>179</sup> ინტერვიუ *Lynn Gaffigan*, შენიშვნა 171.

<sup>180</sup> *Foster & Kelly*, შენიშვნა 17, 668.

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> *Schoenfeld N. M.*, Turf Battles and Professional Biases: An Analysis of Mediator Qualifications in Child Custody Disputes, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 11, 1996, 469, 481 (ციტირება: *Coombs R. M.*, Noncourt-Connected Mediation and Counseling in Child - Custody Disputes, *17 Fam. L. Q.*, 1984, 469, 493).

კითხების განხილვას, საბოლოო ჯამში, მაინც სამართლებრივ გარჩევამდე მივყავართ და საბოლოო განაჩენს მასთან მიმართებაში სასამართლო ლებულობს და ამონებებს. ასე რომ, სამართლებრივი სტრუქტურები საოჯახო კანონმდებლობის შემთხვევაში მაინც წამყვან ადგილს იკავებენ<sup>183</sup>. მნუკინისა და კორნჰაუსერის დაკვირვება გვარჩვენებს, რომ განქორწინების შემთხვევაში მხარეები ფინანსურ და მეურვეობის საკითხებზე დაობენ და ამ ყველაფერს კანონის ძალით გადაწყვეტის ელფერი დაჰკრავს.<sup>184</sup> იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სპეციალური წესები, რომლებიც განქორწინების საკითხებს არეგულირებს მედიაციისას (ფულთან, მეურვეობასთან, ბავშვის მზუნველობასთან დაკავშირებული საკითხები), მხარეები ძირითადად თანხმდებიან და ფიქრობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მომხდარიყო, თუ განქორწინების საქმე სასამართლოს გადაეცემოდა.<sup>185</sup>

მთლიანად განქორწინების პროცესის სამართლებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, როდესაც წყვილის ცხოვრებაში მსგავსი ეტაპი დგება, პირველი რასაც ისინი მოითხოვენ, ეს არის ადვოკატის საჭიროება. ეს სრულებითაც გასაგებია, რადგან განქორწინების პროცესს მრავალი სამართლებრივი პროცედურა ახლავს.<sup>186</sup> განქორწინების მსურველი წყვილები მოითხოვენ გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ პროცესის წარმართვაა.<sup>187</sup> ისინი მოითხოვენ, რომ ის, რაზეც ისინი თანხმდებიან, შესაბამისობაში მოდიოდეს სხვა მსგავსი ტიპის საქმეებთან/სიტუაციასთან (ანუ არ იყვნენ გამონაკლისები). განქორწინების მსურველი მხარეების გადაწყვეტილება, კიდევ ერთხელ უნდა გადამოწმდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ერთი მხარე არ არის წარმოდგენილი (გადამომწმების მიზნით მათ კიდევ ერთხელ ჰკითხავენ, თუ რამდენად მყარია მათი გადაწყვეტილება). მაშასადამე, მრავალი მხარე, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროცესზე, მოითხოვს, რომ ჰყავდეს ადვოკატი-მედიატორი, რომელმაც იცის კანონები, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი მხარე ესწრება პროცესს, ზოგიერთ მათგანს ასევე სურს ჰყავდეს ადვოკატი-მედიატორი, რათა ადვოკატთან ურთიერთობა გაუადვილდეთ.<sup>188</sup>

გამომდინარე იქედან, რომ განქორწინების შესახებ დადგენილების მომზადება, რომელიც სასამართლოში სარჩელის შესატანად ვარგისი იქნება, კიდევ უფრო ცხადს ხდის იმ ფაქტს, რომ ხშირ შემთხვევაში, პროცესში ადვოკატ-მედიატორების ჩართულობა მნიშვნელოვანია. თუკი რომელიმე მხარე დაარღვევს დადგენილებას, ის აღარ იქნება ვარგისი სასამართლო სარჩელის მოსამზადებლად<sup>189</sup>. მედიაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა შეიცავდეს რაიმე სახის დარღვევებს საოჯახო კოდექსის ფარგლებში.<sup>190</sup> ადვოკატი, რომელიც კვალიფიციურია სამართლებრივ საკითხებში, მინიმუმამდე ამცირებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მხარეებს შორის სავარაუდო გაუგებრობის წარმოშობის რისკს.<sup>191</sup>

სწორედ ამგვარი არგუმენტაცია, შესაძლოა გახდეს იმის მიზეზი, რომ არა-ადვოკატი მედიატორები ტოვებენ სფეროს და სხვა მიმართულებით აგრძელებენ მოღვაწეობას. პროფესორი ელინორ რობინი, მედიატორი, მედიაციის ტრენერი ბოკა რატონში, ფლორიდაში ამბობს: „ზოგიერთი არაადვოკატი მედიატორი გადამზადებას გადის იმისათვის, რომ მათ დიდი სურვილი აქვთ დაეხმარონ ოჯახებს კრიზისულ პერიოდში და სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი შესთავაზონ, თუმცა როგორც კი განქორწინების მედიაციისას, სამართლებრივ ასპექტებს აწყდებიან, მყისვე უკან იხევენ და ტოვებენ ამ სფეროს“.<sup>192</sup> ის ასევე განმარტავს, რომ არაად-

<sup>183</sup> Salem P., Improving Our Family Courts and Services: A Call fo Interdisciplinary Collaboration, Unified Fam. Ct. Connection, Winter, 2011, at 7, 7.

<sup>184</sup> Mnookin, Kornhauser, შენიშვნა 1, 968.

<sup>185</sup> იქვე.

<sup>186</sup> იხ. Mayer, შენიშვნა 2, 69-70.

<sup>187</sup> იხ. 70.

<sup>188</sup> ინტერვიუ Shepard A., შენიშვნა 30.

<sup>189</sup> ინტერვიუ Hon. Wettman B., შენიშვნა 85.

<sup>190</sup> ინტერვიუ Hall N., შენიშვნა 74.

<sup>191</sup> იხ. Capuzziello P. T., An Interdisciplinary Approach to Handling Divorce Cases, Unifies Fam. Ct. Connection, Winter, 2011, at 2, 4.

<sup>192</sup> ინტერვიუ Elinor Robin, პროფესორი/დოქტორი, მედიატორი და მედიაციის ტრენერი; ორლანდო, ფლორიდა, June 4, 2011.

ვოკატი მედიატორები, სამართლებრივი სფეროს არცოდნის გამო თავს დამარცხებულად გრძნობენ და შესაძლოა მათ მიერ წარმოებულ მედიაციის მიმართ პრეტენზიაც კი გამოთქვან.<sup>193</sup> სწორედ ამ მიზეზის გამო, ზოგიერთ შტატში, მაგალითად ფლორიდაში, საოჯახო მედიაციის ტრენინგი უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ფინანსური საკითხები, მეურვეობის შესახებ საკითხები და ა. შ., ანუ ყველაფერი ის, რაც განქორწინების პროცესის დროს აუცილებლად დგება ხოლმე.<sup>194</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგი შეიძლება მრავლისმომცველი იყოს, მრავალი არაადვოკატი მედიატორი მაინც თვლის, რომ განქორწინების საქმეებში თავს იჩენს მთელი რიგი სამართლებრივი საკითხები, რომელთა გადანყვეტა არაადვოკატი მედიატორისათვის რთულია და შესაძლოა ის არაკვალიფიციურადაც კი ჩაითვალოს.<sup>195</sup> მხარეთა გამოცხადების შემდეგ, არის ამგვარი ტენდენცია, რომ ადვოკატები თავად ირჩევენ ადვოკატ-მედიატორებს. მაშასადამე, მრავალი არა-ადვოკატი მედიატორი ისეთი საქმეების მედიატორად რჩება, სადაც სამართლებრივი საკითხები მინიმალურადაა<sup>196</sup> შესული (ნაკლებად არიან ჩართულები განქორწინების პროცესებში). რობინის აზრით, მედიატორს უნდა ძალუძდეს მიაღწიოს შეთანხმებას მედიაციის პროცესში, აქედან გამომდინარე საქმის წარმატებაც მის კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული.<sup>197</sup>

## 2. ადვოკატი ტერიტორიალიზმი

ისტორიულად, ადვოკატობა იყო პროფესია, რომელიც მედიაციაში საყოველთაოდ იყო ცნობილი, თუმცა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ერთვებოდნენ პროცესში. მრავალი ადვოკატი მედიაციას უფრთხოდა და მას კონკურენტად აღიქვამდა, ანუ ფიქრობდა, რომ ეს მათ ბიზნესს წაართმევდა და ერჩინათ ამ სფეროს სათოფეზე არ გაკარებოდნენ, თავი შორს დაეჭირათ. ასე რომ, ოჯახის ადვოკატები, რაც უფრო მეტად ჩაერთნენ კერძო მედიაციის პროცესში, გადანყვეტეს საქმე ადვოკატი-მედიატორებისთვის აღარ გადაეცათ და თავად ყოფილიყვნენ პროცესის მმართველნი. უფრო ზუსტად რომ განიმარტოს, საოჯახო დავების საქმეთა მომრიგებელი საზოგადოება (სამართლებრივი კუთხით) საკმაოდ ვიწრო ჯგუფია, რომელშიც ყველა ერთმანეთს იცნობს და, შესაბამისად, მედიაციის საჭიროების შემთხვევაშიც ერთ წრეში ტრიალებენ და უცხო მედიატორის მოძიება პრაქტიკულად არ ხდება.<sup>198</sup> ამგვარი ფენომენი ფართოდაა გავრცელებული: „ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია და არ არის უცხო, რადგან აღნიშნული ვიწრო ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს უფრო ენდობიან და სწორედ ამიტომ იყენებენ შიდა კონტაქტებს.“<sup>199</sup> მაგალითად, მედიატორები, რომლებიც არიან პროფესიით ფსიქოლოგ-ფსიქიატრები მედიაციის წარმოებისათვის შემოთავაზებას თავიანთი კოლეგებისაგან იღებენ, რომლებიც მუშაობენ წყვილებთან, რომლებიც გაყრას აპირებენ.<sup>200</sup> დროდადრო ადვოკატთა დიდი ნაწილი ერთვება დავის ალტერნატიული გადანყვეტის (ADR) სფეროში. იმის გამო, რომ ეს სფერო საკმაოდ მოთხოვნადია, უფრო და უფრო მეტი ადვოკატი გადის ტრენინგებს ამ მიმართულებით. დავის ალტერნატიული გადანყვეტის (ADR) მეთოდის

<sup>193</sup> ინტერვიუ *Elinor Robin*, პროფესორი/დოქტორი, მედიატორი და მედიაციის ტრენერი; ორლანდო, ფლორიდა, June 4, 2011.

<sup>194</sup> იხ. Fla. Disp. Resol. Ctr., ADR Resource HAND BOOK, July 2011, 139, 168, <[http://www.flcourts.org/gen\\_public/adr/bin/ResourceHandbook2011/2011ADRHandbookTab5MTSP.pdf](http://www.flcourts.org/gen_public/adr/bin/ResourceHandbook2011/2011ADRHandbookTab5MTSP.pdf)>.

<sup>195</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ადვოკატი-მედიატორი არ არის ვალდებული ღრმად იყოს ჩახედული საოჯახო კანონმდებლობაში.

<sup>196</sup> ინტერვიუ *Elinor Robin*, შენიშვნა 192.

<sup>197</sup> იქვე.

<sup>198</sup> იხ. *Velikonja*, შენიშვნა 51, 282 (იმის შესახებ, რომ ადვოკატები მედიაციის, როგორც ბიზნესის მთავარი წყარო არიან).

<sup>199</sup> ინტერვიუ *Peter Salem*, შენიშვნა 16.

<sup>200</sup> ფსიქოლოგ-ფსიქიატრი მედიატორები მედიაციის საქმეთა უფრო დიდ რაოდენობას წარმართავენ, მანამ სანამ მხარეები ადვოკატს არ დაიქირავენ, რომ საქმეს გადახედონ. ელექტრონული წერილი *Gregory Firestone*-გან, Ph.D., Dir., U. of S. Fla. Conflict Resol. Collaborative, to author, Nov. 16, 2011, (on file with authors).

სამართლის სკოლაში სწავლება საშუალებას ძლევს მომავალ ადვოკატებს უფრო მეტი იცოდნენ ამ სფეროს შესახებ, და სწორად განსაზღვრონ თუ რა პლიუსი აქვს მედიაციის გზით დავის მოგვარებას და თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს საკითხი სასამართლოს გვერდის ავლით. ასე რომ, სასამართლო ადვოკატებისათვის არის მათი საქმიანობის მოედანი, თუმცა საოჯახო მედიაცია ზოგადად მაინც დამოკიდებულია სწორედ სასამართლოს მოქმედებაზე (ანუ, როგორ ჩაითვლება საკითხის გადაწყვეტა სწორად, სასამართლოთი თუ მედიაციით?)<sup>201</sup> დამატებით, მრავალი გამოცდილი მოდავე მხარისათვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდი (ADR), სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, უფრო მსუბუქი პროცესია. მრავალმა ადვოკატმა ADR-ის დადებითი მხარეები დიდი ხანია აღიარა.<sup>202</sup>

არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ადვოკატები მედიაციის სისტემას გადაამონუმბენ ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეები არიან წარმოდგენილნი<sup>203</sup>. ზოგიერთი ადვოკატი, მედიატორის შერჩევის პროცესის გამაკონტროლებლადაც კი აღიქმება<sup>204</sup>. როდესაც მხარეები არიან წარმოდგენილნი, ადვოკატები თითქმის ყოველთვის ირჩევენ ადვოკატ-მედიატორებს.<sup>205</sup> ბიზნესის წარმოებისა და გაფართოებისათვის მრავალი ადვოკატი-მედიატორი ცდილობს დაუხლოვდეს ოჯახის ადვოკატების წრეს, რადგან სამომავლოდ მათგან საქმეები მიიღოს. რესპოდენტები, რომელთაგანაც აღნიშნული დოკუმენტის მომზადებისათვის ინტერვიუები იქნა აღებული, ხშირ შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ მრავალმა ოჯახის ადვოკატმა შეიმუშავა საოჯახო მედიაციისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა და სხვა ოჯახის ადვოკატებთან ერთად ცდილობენ ამის ფართოდ გავრცელება-განვითარებას.<sup>206</sup> უფრო დეტალურად კი, ეს არის შემთხვევა, როდესაც ადვოკატებს უნდათ ჰყავდეთ ადვოკატი-მედიატორები, რომელიც კლიენტის ყურამდე მიიტანს ცუდ ინფორმაციას და ასევე დაეხმარება და დაარწმუნებს მათ თუ როგორ დაგაწყვიტონ ის.<sup>207</sup> ადვოკატები, რომლებიც შეჭიდებულნი არიან რთულ საქმეებს ნამდვილად ეძებენ კარგ ადვოკატ-მედიატორებს, რათა მათ დაეხმარონ.<sup>208</sup>

### 3. გაყრა და გაყრის შესახებ განჩინება უფრო და უფრო გართულდა

ოჯახის საქმეები, რომლებიც მედიაციას გადაეცა, ყველა საკმაოდ რთული შინაარსის იყო. „1980-იანი წლების ოჯახურ დავებთან შედარებით, თანამედროვე ოჯახური დავები უფრო კომპლექსური და რთულია, რომელიც ერთბაშად მრავალ პრობლემას მოიცავს“.<sup>209</sup> გარდა

<sup>201</sup> იხ. ინტერვიუ *Lynn Gaffigan*, შენიშვნა 171.

<sup>202</sup> ინტერვიუ *Bill Moreno*, შენიშვნა 127.

<sup>203</sup> ინტერვიუ *Bernard Mayer*, შენიშვნა 53.

<sup>204</sup> *Velikonja*, შენიშვნა 51, 282.

<sup>205</sup> ინტერვიუ *Kim Martinez*, შენიშვნა 96.

<sup>206</sup> მაგალითად, ოჯახის ადვოკატმა, რომელიც ცდილობს მედიაციის პრაქტიკის განვითარებას, შესაძლოა სთხოვოს სხვა ოჯახის ადვოკატს მას გადასცეს მედიაციის საქმე, იმის სანაცვლოდ, რომ სამომავლოდ ისიც იგივეს იზამს.

<sup>207</sup> სატელეფონო ინტერვიუ *Perry Itkin*, Att’y-Mediator, in Fort Lauderdale, Fla., Aug. 3, 2011. *Itkin*-ის განცხადებით ის არ ეთანხმება ამ პრაქტიკას. „ამგვარი პრაქტიკა გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გახდეს, რადგან ოჯახის ადვოკატებს ჰგონიათ, ადვოკატ-მედიატორი შეძლებს მათ კლიენტებს მისცეს სამართლებრივი რჩევა ან პრობლემური საკითხები „კანონის ფარგლებში“ მოაგვაროს, ისე, რომ ზღვარს არ გადავიდეს“.

<sup>208</sup> თუმცა, სხვები ასკვნიან, რომ ოჯახის ადვოკატები რთულ საქმეებს გადასცემენ მედიატორებს მაშინ, როდესაც საქმე დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს ეხება და უმჯობესია პროცესში მედიატორი ჩაერთოს და განმუხტოს სიტუაცია. *Gregory Firestone* აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგ-ფსიქიატრ მედიატორებს შესწევთ ძალისხმევა ღირებული წვლილი და პოზიტიური გარდატეხა შეიტანონ მედიაციის პროცესში. მათ შეუძლიათ დაეხმარონ გაყრაზე მოტივირებულ წყვილებს, რომლებიც დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არიან. ელექტრონული წერილი *Gregory Firestone*-სგან, შენიშვნა.

<sup>209</sup> *Salem P.*, The Emergence of Triage in Family Court Services: The Beginning of the End for Mandatory Mediation?, *Fam. Ct. Rev.*, Vol. 47, 2009, 371, 377 (პერეფრაზი), ციტ.: *Saposnek D. T.*, Commentary: The Future of the History of Family Mediation Research, *Conflict Resol. Q.*, Fall–Winter 2004, 37, 38.

ამისა, ბოლო პერიოდში ე.წ. არატრადიციული ოჯახების სიმრავლემ სხვადასხვა საკითხების კიდევ უფრო მძაფრად წამოწევა განაპირობა, როგორებიცაა „ოჯახური ძალადობის ბრალდებები, ბავშვებზე ძალადობა და ა.შ.“<sup>210</sup> ე.წ. „no-fault“ (ამ შემთხვევაში განქორწინება შესაძლებელია ნებისმიერი დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე) სტატუსის შემოღებამ განქორწინების პროცედურები გაამარტივა,<sup>211</sup> თუმცა ქონების გაყოფასთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული სირთულეები უფრო და უფრო საჩოთირო გახდა. გარდა ამისა, ბავშვთა მეურვეობის საკითხი კიდევ უფრო გართულდა. მეურვეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების არშესრულებას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც დედა მიიღებდა მეურვეობის უფლებას და მერე საქმე აღარ განიხილებოდა<sup>212</sup>. მაგალითად, რიჩარდ ორზინგერის თქმით, მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილება ტეხასში, სრულდებოდა იმით, რომ მეურვეობის უფლება თანაბრად ნაწილდებოდა<sup>213</sup>. ეს შეიძლება ისე გამოიყურებოდეს, თითქოს ამგვარი გადაწყვეტილება გაცილებით მარტივი მისაღებია, რადგან ადვოკატებს უხდებოდა მინიმალურად ჩართვა პროცესში, რათა განსაზღვრონ თუ რომელი მშობელი იქნება მეურვე, თუმცა ამან შესაძლოა უფრო მოეტი სირთულე შექმნას<sup>214</sup>.

ოჯახური დავების შესახებ საქმეებში გართულებების განუხრელმა ზრდამ თავად განქორწინების შესახებ სასამართლოს განჩინების გართულება გამოიწვია.<sup>215</sup> იმის გამო, რომ განქორწინების შესახებ სასამართლო განჩინება გართულებულია და დროშიც იწელება სწორედ ადვოკატები ითვლებიან სასურველ მედიატორებად, რათა კანონის ფარგლებში მართონ და გადაწყვიტონ ეს გართულებული პროცესები. მაგალითად, ტეხასში განქორწინებისათვის საჭირო მოთხოვნები ძალიან დეტალური და სპეციფიკურია. ტეხასში, განქორწინების შესახებ განჩინება შეიძლება იყოს 50-გვერდიანი ან მეტიც კი.<sup>216</sup> გარდა იმისა, რომ განჩინება საკმაოდ ვრცელია, თავად ტექსტიც სპეციფიკური იურიდიული ენითაა ნაწერი.<sup>217</sup> მიუხედავად იმისა, რომ არაადვოკატი მედიატორები, რომელთაც სპეციალური ტრენინგები აქვთ გავლილი საქმეს თავს გაართმევენ, კლიენტს მაინც სურს, რომ ამგვარი ტექსტის პრობებში საქმე ადვოკატებთან ჰქონდეთ და არა მედიატორებთან.

#### 4. ე.წ. Prose (მხარის ინტერესების დაცვა სასამართლომდე) მხარეების და ქორწინებაში არმყოფი მშობლების რიცხვის ზრდა

დღესდღეობით საოჯახო სასამართლოების ტენდენცია ე.წ. რო შე მხარეების ზრდით ხასიათდება. ეკონომიკურმა დაღმასვლამ მიიყვანა საქმე აქამდე, რადგან განქორწინებისათვის წყვილები უფრო იაფიან და მარტივ გზას ეძებენ ვიდრე ადვოკატის დაქირავებაა, რადგან ამი-

<sup>210</sup> Pearson J., Court Services: Meeting the Needs of Twenty-First Century Families, 33 Fam. L. Q., 1999, 617, 618–19.

<sup>211</sup> Chanen J. S., And Then There Was None, A.B.A. J., Vol. 96, Nov. 2010, 12, 12 (დასტური იმის შესახებ, რომ ყველა შტატში არსებობს ე.წ. no-fault განქორწინება). მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ე.წ. no-fault განქორწინება მიღებულია, ზოგ შემთხვევაში, მომჩივანი მხარეებისაგან გამოთქმული პრეტენზიები საბოლოო ვერდიქტზე გავლენას ვერ ახდენს. Kazen B. A., Division of Property at the Time of Divorce, 49 Baylorl. Rev., Vol. 49, 1997, 417, 426.

<sup>212</sup> Shepard A. I., Children, Courts, and Custody: Interdisciplinary Models for Divorcing Families, 2004, 14-19.

<sup>213</sup> ინტერვიუ Richard Orsinger, შენიშვნა 95; ასევე, იხ. Tex. Fam. Code Ann. §153.131(b), West 2008 (ორივე მშობლის მეურვედ დანიშვნა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე საუკეთესო გადაწყვეტილება).

<sup>214</sup> Richard Orsinger განმარტებით, დავა გადაწყვეტილების მიმღები მხარის განსაზღვრის შესახებ ძნელად გადასაწყვეტია. Richard Orsinger, შენიშვნა 95. For example, Orsinger explained that [y]ou can require consent of both parties for a decision to be made, allow either parent to consent, allow either parent to veto, or require the parent with exclusive decision-making authority to consult before making the decision. If consent of both spouses is required, you can have a third party tie-breaker, such as having the child’s primary physician’s recommendation prevail if the parents disagree.

<sup>215</sup> ინტერვიუ Andrew Shepard, შენიშვნა 30.

<sup>216</sup> იხ. ინტერვიუ Carel Stith, შენიშვნა 85; ინტერვიუ Norma Trusch, შენიშვნა 216; იქვე, 77.

<sup>217</sup> იხ. ინტერვიუ Carel Stith, შენიშვნა 85; ინტერვიუ Norma Trusch, შენიშვნა 77.

სათვის სერიოზული თანხებია საჭირო.<sup>218</sup> ასევე, მრავალი წყვილი, რომელიც სასამართლოს იყენებს იმისათვის, რომ ბავშვზე მეურვეობის საკითხი გადაწყვიტოს, ქორწინებაში სულაც არ არის<sup>219</sup>. სწორედ აღნიშნული დაუქორწინებელი წყვილები წარმოადგენენ ხოლმე ე.წ. *pro se* მხარეების დიდ ნაწილს საოჯახო სასამართლოზე. ერთ-ერთი ფლორიდელი ადვოკატის თქმით, ამგვარ მხარეთა პროცენტული მაჩვენებელი ფლორიდაში 60-დან 80%-მდე მერყეობს.<sup>220</sup> მხარეთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ერთი ადვოკატ-მედიატორის ყოლა გაცილებით იაფი და უჯდებათ ვიდრე ცალ-ცალკე ადვოკატის დაქირავება.

გარდა ფინანსური მხარისა, მხარეებმა ადვოკატ-მედიატორი შესაძლოა საკუთარი კომფორტისთვისაც კი დაიქირაონ, რადგან ამ გზით პროცესის წარმოება გაცილებით მსუბუქია და დაძაბულობაც მინიმუმამდეა დაყვანილი. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ე.წ. *pro se* მხარეების მედიაციის პროცესის წარმართვისას, სწორედაც რომ ადვოკატ-მედიატორის ყოლა ყველაზე უპრიანი გამოსავალია, რადგან ის კარგად იცნობს იმ იურიდიულ პრინციპებს, რაც ამგვარი პროცესის სამართავადაა საჭირო. ადვოკატ-მედიატორებს ეკრძალებათ რაიმე სახის სამართლებრივი რჩევის მიცემა, თუმცა მათ შეუძლიათ ამ კუთხით ცოდნა აუმაღლონ მხარეებს. მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში, ადვოკატმა-მედიატორმა შეუძლია მხარეებს ინფორმაცია მიანოდოს კონკრეტულ შტატში არსებულ კანონებთან დაკავშირებით ქონების გაყოფასა თუ სხვა საკითხებზე, ან ასევე ჩააყენოს საქმის კურსში თუ რას ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს მოსამართლე მსგავსი საქმის განხილვისას<sup>221</sup>. ასე რომ, როგორც ერთ-ერთი კომპეტენტური ექსპერტი ამბობს – „ადვოკატ-მედიატორების უმთავრესი ვალდებულებაა მედიაციის პროცესში კანონის სპეციფიკის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც წარმოჩენა.“<sup>222</sup> ასე რომ, ადვოკატ-მედიატორი ეხმარება მხარეებს უმტკივნეულოდ მიაღწიონ სასურველ შედეგს, თუმცა კანონის დარღვევის გარეშე.<sup>223</sup> თანაც მათი მომსახურება, ადვოკატების ინდივიდუალურად დაქირავებასთან შედარებით, საკმაოდ იაფია.<sup>224</sup> მრავალ წყვილს კი უბრალოდ ზედმეტი დავიდარაბა და ხმაური არ სურს, სწორედ ამიტომ, მედიაცია მათთვის მისწრებაა.<sup>225</sup> ლენი იანგლინგის დაკვირვებით, წყვილები ფიქრობენ, რომ „ადვოკატები სიტუაციის და კონფლიქტის ესკალაციას უწყობენ ხელს.“<sup>226</sup> ასევე, ბერნარდ მეიერმაც აწარმოა დაკვირვება და დაასკვნა, რომ მხარეებს უბრალოდ არ სურთ პროცესი მართოს ადვოკატმა.<sup>227</sup> ადვოკატის მოდელის თავიდან არიდების სურვილი და *pro se* წარმართვა თაობათა შეხედულებების ცვლილებით იყო გამოწვეული.<sup>228</sup> ჰელენ სტეინის განმარტებით: „არასრულწლოვანი ბავშვები, მშობლების განქორწინებას მტკივნეულად აღიქვამენ, მითუმეტეს მაშინ, როდესაც პროცესს დაძაბულობა ახლავს, სწორედ ამიტომ მიმართავენ ხოლმე წყვილები მედიაციას.“<sup>229</sup>

<sup>218</sup> იხ. *Braz A.*, *Out of Joint: Replacing Joint Representation with Lawyer - Mediation in Friendly Divorces*, *Cal. L. Rev.*, Vol. 78S, 2004, 323, 361.

<sup>219</sup> იხ. U.S. Census Bureau, *Statistical Abstract of the United States: 2011*, 56, <<http://www.census.gov/prod/2011pubs/11statab/pop.pdf>>.

<sup>220</sup> ინტერვიუ *Elaine Silver*, Att’y-Mediator, in Orlando, Fla., June 3, 2011.

<sup>221</sup> *Braz*, შენიშვნა 218, 359.

<sup>222</sup> იქვე, 352.

<sup>223</sup> თუმცა, ადვოკატი-მედიატორი *Perry Itkin* მიიჩნევს, რომ მედიაციისას ადვოკატებს საკმაოდ სიფრთხილე მართებთ, რადგან რისკი იმისა, რომ მათ მიერ შემუშავებული (კონკრეტული საქმის შესახებ) გეგმა სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდეს, მაღალია. იხ. ინტერვიუ *Perry Itkin*, შენიშვნა 207.

<sup>224</sup> ინტერვიუ *Elaine Silver*, შენიშვნა 220.

<sup>225</sup> იქვე.

<sup>226</sup> ინტერვიუ *Lynelle Yingling*, შენიშვნა 98.

<sup>227</sup> ინტერვიუ *Bernard Mayer*, შენიშვნა 53.

<sup>228</sup> ინტერვიუ *Helen Stein*, შენიშვნა 139.

<sup>229</sup> იქვე.

## 5. ფისკალური შეზღუდვების შედეგად გამოწვეული ცვლილებები მედიაციის პროცესში (მედიაციის წესის ცვლილება)

მედიაციის მრავალი პროგრამა, რომელსაც სასამართლო აფინანსებდა ბოლო წლების განმავლობაში შეწყდა, არსებობა შეწყვიტა. ზოგადად, სასამართლო მომსახურების სააგენტოები მსურველებს მედიაციას ან უფასოდ სთავაზობენ ან საკმაოდ მისაღებ ფასად. ოჯახისა და მორიგების სასამართლო ასოციაციის (AFCC) მიერ, 1998-2004 წლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, ირკვევა, რომ სასამართლო მომსახურების სააგენტოების 92%-მა მოდავე მხარეებს მედიაციის სერვისი შესთავაზა.<sup>230</sup> საგულისხმოა ისიც, რომ დაფინანსების შეკვეცის გამო მედიაციის პროგრამებს არსებობა უჭირთ, თანამშრომლების რაოდენობა მინიმუმამდე დაყვანილი, ხოლო საქმეთა სიმრავლის გამო სერიოზული პრობლემები იქმნება<sup>231</sup>. იგივე კვლევის მიხედვით – საოჯახო სასამართლოების მომსახურების პროგრამის 48%-მა განაცხადა, რომ საქმეთა რაოდენობა გაუორმაგდა და პერსონალი არ ყოფნის, 39%-ს თანამშრომელთა რაოდენობა შეუმცირდა, 31% იძულებული შეიქნა ადმინისტრაციული პერსონალი დაეთხოვა, ხოლო 24% – კი გარდა ადმინისტრაციულისა, თავად მმართველი პერსონალის შემცირებაზე გადავიდა<sup>232</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სასამართლო პროგრამას ჰყავს მედიატორთა ჯგუფი, რომლებიც შტატიანი თანამშრომლები არიან, არსებობს პროგრამები, რომელთაც ფინანსური შეზღუდვების გამო არ შეუძლიათ სრულ შტატზე აიყვანონ მედიატორები და სულ ჰყავდეთ, შესაბამისად, მათთან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მართვა ძალიან ჭირს მათი სიმრავლის გამო. სწორედ ზემოაღნიშნულის გამო, სასამართლოები არჩევენ დაეკონტაქტონ ადგილობრივ მედიატორებს და მიიღონ მათი მომსახურება მინიმალური საფასურის გადახდის სანაცვლოდ. თუმცა, ზოგიერთი სასამართლო მედიაციის პროგრამა მთლიანად გადავიდა მედიატორების საჭიროების შემთხვევაში დაქირავების მოდელზე, რადგან ხარჯები შეემცირებინა. გარდა ამისა, თანხების სიმცირის გამო და იმის გამო, რომ მედიატორთა დასაქირავებლად ფული ვეღარ გამოიყოფოდა, მედიაციის წარსამართად ჩვეულებრივ სახელმწიფო მოხელეებს იყენებდნენ, რომელთაც საკმარისი არც დრო ჰქონდათ და არც გამოცდილება.<sup>233</sup>

ვინც არ უნდა იყოს მედიატორად არჩეულ/დანიშნული, თანხის დაზოგვის მიზნით მედიაციის წარმოების დროც შეზღუდულია, რამაც შესაძლოა არასასურველ გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს მხარეები.<sup>234</sup> ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით, სასამართლომ ბავშვთა მეურვეობის გადაწყვეტის საკითხი ერთ სესიამდე დაიყვანა, „არსებობს კიდევ უფრო მეტად რთული საქმეები და დროის სიმცირის გამო, შესაძლოა დავის მოგვარება სათანადოდ ვერ განხორციელდეს“.<sup>235</sup> შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პროცესის დროის შეზღუდვაც თანხების დაზოგვის მიზნით ხდება, შესაძლოა საქმის სირთულის გამო მედიაციის ერთი სესია საკმარისი არ იყოს და განმეორებითი სესია დაინიშნოს, რაც ასევე თანხებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, თანხებიც ორმაგდება. სასამართლოში შეტანილი საქმეების (იგულისხმება ოჯახური კონფლიქტები) ნახევარზე მეტი, წარმოადგენს ისეთ საქმეებს, რომლებიც შეიცავს კონფლიქტის უმაღლეს ხარისხს და მომჩივანი მხარეებისათვის მედიაციისათვის გამოყოფილი ლიმიტირებული დრო საკმარისი არ არის დავების მოსაგვარებლად, შესაბამისად, საქმის განხილვაც გაცილებით მეტ დროს მოითხოვს.<sup>236</sup>

<sup>230</sup> *Salem*, შენიშვნა 209, 373, 377, ციტი.: *Babb B. A., George Ferrick & Stephen R. Grant*, Presentation at the Annual Conference of the Association of Family and Conciliation Courts, Seattle, Wash.: AFCC Ct. Servs. Task Force Report, 2005.

<sup>231</sup> იქვე, 377.

<sup>232</sup> იქვე.

<sup>233</sup> ინტერვიუ *Susan Berg*, Fam. Ct. Manager, 5th Jud. Cir., in Orlando, Fla., June 3, 201 (განმარტება იმის შესახებ თუ როგორ ხდება ეს ფლორიდაში ზოგიერთ რაიონში).

<sup>234</sup> ფლორიდაში, სასამართლოს მიერ დაფინანსებული მედიაციის პროცესი ლიმიტირებულია და 2-დან 3 საათს შეადგენს. Sup. Ct. Offla., Comm'n on Trial Ct. Performance & Accountability, შენიშვნა 125, 6.

<sup>235</sup> *Salem*, შენიშვნა 209, 378, ციტი.: *Kelly J. B.*, Family Mediation Research: Is There Empirical Support for the Field?, Conflict Resol. Q., Vol. 22, 2004, 3, 29.

<sup>236</sup> იქვე, 381.

ასე რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, რაც მედიაციის პროცესის წარმართვისას დროის შეზღუდვას გულისხმობს, დიდი მოთხოვნაა ისეთ მედიატორებზე, რომლებიც გადანყვეტილების მიღებაში მხარეებს დაარწმუნებენ და ამ მხრივ ისინი სპეციალურ ტრენინგებსაც გადაიან<sup>237</sup>. იმისათვის, რომ მედიაციის პროცესის ლიმიტირებული დროის მიუხედავად, რაც შეიძლება მეტი საქმე განიხილოს და გადანყვედეს, მედიატორები იქცნენ ე.წ. მიმართულების მიმცემებად, რაც მათ ძალიან ეხმარება სასურველი შედეგის მიღებაში.<sup>238</sup> ეს არის ერთგვარი ზენოლა იმაზე, რომ გადანყვეტილება რაც შეიძლება შეზღუდულ დროში იქნეს მიღებული, რაც აღიქმება როგორც „ძალადობრივი მედიაცია“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმის მაგივრად, რომ მედიატორმა მხარეები გადანყვეტილების სისწორეში დაარწმუნოს, მათ აიძულებს ყველაფერი დროზე მოასწრონ.<sup>239</sup> „დახურულ კარს მიღმა, სასამართლოს მიერ დაქირავებული ბევრი მედიატორი ხვდება, რომ მათთვის ე.წ. ფასილიტატური მედიაციის პროცესის მართვა საკმაოდ რთულია.“<sup>240</sup> ისინი გამოთქვამენ პრეტენზიას, რადგან ისინი იძულებულნი არიან კლიენტს მიაწოდონ მაღალი ხარისხის სამუშაო საკმაოდ ლიმიტირებულ დროში რაც მათ ხელს უშლის საკუთარი საქმის ეფექტურად შესრულებაში<sup>241</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მათი სტატუსია – მედიატორი, ისინი თვლიან, რომ მათ მიერ ჩატარებული პროცესი მედიაციად ნაკლებად შეიძლება მიიჩნიონ.<sup>242</sup>

იმის გამო, რომ კერძო სექტორში საოჯახო მედიაცია, უმრავლეს რეგიონში იმართება ადვოკატების მიერ, გარდაუვალი ხდება ის ტენდენციაც, რომ ამ ტიპის მედიაცია უფრო შეფასებითი სახის გახდა,<sup>243</sup> იურისტ-მედიატორთან ერთად თავდაპირველად, დასაწყისშივე მხარეთა განცალკევებით.<sup>244</sup> ზემოაღნიშნული ტენდენციები კარგად ჩანს სხვადასხვა შტატში წარმართული საქმეების მაგალითზე. მაგალითად, იანგლინგმა დაასკვნა, რომ დალასში, კერძო ოჯახური საქმეების განხილვისას (მედიაციისას), მოდავე მშობლების მხოლოდ 10% ეჯახება ერთმანეთს პირისპირ.<sup>245</sup> კერძო მედიატორების მიერ საქმის წარმოების მიხედვით, ფლროიდა ძალიან ჰგავს ტეხასს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო მოთხოვნების წარმართვა გავრცელებულ პრაქტიკად იქცა, ახლა ხალხმა ამ პრაქტიკის გაპროტესტება დაიწყო.<sup>246</sup> ამგვარი პრაქტიკიდან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის ბევრი ადამიანის რწმენა, რომ საოჯახო მედიაცია, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მას კერძო ადვოკატ-მედიატორი წარმართავს, მოთხოვნებს უფრო გავს ვიდრე საკითხის მკაცრად გადაჭრას. მთავარი მიზეზია, რომ შეთანხმება იქნეს მიღებული, თუცა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციისას ეს უმთავრესი მიზეზი ხანდახან დარღვეულია.

<sup>237</sup> *interview Bernard Mayer*, შენიშვნა 53.

<sup>238</sup> იქვე.

<sup>239</sup> იქვე.

<sup>240</sup> *Salem*, შენიშვნა 209, 378.

<sup>241</sup> იქვე.

<sup>242</sup> იქვე (უცნობი მედიატორის მიერ ნათქვამის ციტირება).

<sup>243</sup> *ib. Guthrie Ch., The Lawyer's Philosophical Map and the Disputant's Perceptual Map: Impediments to Facilitative Mediation and Lawyering*, *Harv. Negot. L. Rev.*, Vol. 6, 2001, 145, 180 (ადვოკატები მოქმედებენ სტანდარტული ფილოსოფიური რუკის მიხედვით, რაც მათ უქმნის წინასწარ განწყობას მედიაცია მეტწილად ფასილიტატური ვიდრე ფასილიტატური) ასევე, *ib. ინტერვიუ Mel Rubin*, შენიშვნა 133. *Rubin*, ადვოკატ-მედიატორი მაიამიდან, მიიჩნევს, რომ ეთნიკური წარმომავლობა ასევე დიდ როლს თამაშობს მედიაციის პროცესში. მაგალითად, მას სჯერა, რომ ლათინური წარმოშობის მშობლები მედიატორებს ეხმარებიან იმაში, რომ პროცესი იყოს უფრო ფასილიტატური (სწორად წარმართული). ისინი ადვოკატ-მედიატორებს აღიქვამენ ექიმებად და მათ რჩევებს ისმენენ ისე, როგორც მოისმენდნენ ექიმისაგან, საჭიროების შემთხვევაში.

<sup>244</sup> *ინტერვიუ Hon. Bruce Wetman*, შენიშვნა 85.

<sup>245</sup> *ინტერვიუ Lynelle Yingling*, შენიშვნა 98. 1990-ის დასაწყისში, როდესაც ინგლინგმა მრავალი ადვოკატი გადაამზადა მედიაციაში, მან თავად ნახა, თუ რა წინააღმდეგობა შეიძლებოდა ადვოკატს შეექმნა მედიაციის პროცესისათვის. ტრენინგზე მას ხშირად ეუბნებოდნენ, რომ მას წარმოადგენდა არ ჰქონდა, როგორ უნდა ემართა მედიაციის პროცესი, რადგან მედიატორი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მომჩივანი მხარეები ერთ ოთახში ყოფილიყვნენ და არა განცალკევებულად.

<sup>246</sup> *ინტერვიუ Mel Rubin*, შენიშვნა 133.



მედიაში ადვოკატების აქტიურობა ჩართულობამ, თავად პროცესის წარმართვის სტილი შეცვალა. ადვოკატები, რომლებიც მხარეებს წარმოადგენენ, ფაქტობრივად, კარნახობენ იმ წესებს, რა წესებითაც მედიაში უნდა წარმოებოდეს. ადვოკატები თავს იკავებენ იმისგან, რომ მომჩივანი მხარეები ერთსა და იმავე ოთახში იყვნენ, ამიტომ თავიდანვე მოითხოვენ მედიატორებისაგან ისინი განაცალკევონ. გარდა ამისა, მედიატორების ღრმა რწმენით, ადვოკატებს სჭირდებათ მედიტორები, რათა პროცესის დაწყების დასაწყისში მათგან მიიღონ დამატებითი ინფორმაციები არსებული დავის შესახებ.<sup>247</sup> ზოგიერთი ადვოკატი, მედიაციის პროცესზე ცხადდება დოკუმენტების დასტით ხელში, თითქოს ისინი სასამართლოსათვის ემზადებიან.<sup>248</sup> ამგვარი ქმედებები მედიაციას გადააქცევს ჩვეულებრივ ტრიბუნალად, სამართალწარმოებად წესების გარეშე,<sup>249</sup> სადაც ადვოკატები იმის მაგივრად, რომ „მწვრთნელის“ ფუნქცია შეითავსონ, თავად ხდებიან მთავარი როლის შემსრულებლები.<sup>250</sup>

ერთ-ერთი მედიატორის თქმით, რომელმაც ანონიმურად დარჩენა არჩია „საოჯახო მედიაში უკვე აღარ აღიქმება კლიენტზე ორიენტირებულ პროცესად, ის უბრალოდ ადვოკატის მიერ მართულ პოლიგონად იქცა.“ კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მედიაციის, როგორც თავად პროცესის, ქცეკუთხედა, სრულიად დაიკარგა. შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო მედიაციამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა და უბრალო შემფასებლურ ფორუმად იქცა.

#### IV. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საოჯახო მედიაში არა კლიენტზე ორიენტირებული, არამედ ადვოკატების მიერ დომინირებული გახდა. განსაკუთრებით კერძო სექტორში, ადვოკატები მთლიანად აკონტროლებენ მედიაციის სფეროს. ადვოკატები და მოსამართლეები საქმეებს პირდაპირ გადასცემენ ადვოკატ-მედიატორებს და ამით სხვა პროფესიის მედიატორებს ჩაგრავენ. მოკლედ, ადვოკატების ზედმეტი ჩართულობა მედიაციის პროცესში მას კლიენტზე ნაკლებად ორიენტირებულს ხდის და განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში, წყვილებს ნაკლები შანსი აქვთ საკუთარი აზრის დაფიქსირების და ამიტომ სრულად მინდობილნი ხდებიან ადვოკატებზე თუ რა გადანყვეტილებას მიიღებენ ისინი. ასე რომ, დროთა განმავლობაში მედიაში ნაკლებად შეძლებს საკუთარი პოტენციალის ჩვენებას და გამოვლენას დავების გადანყვეტის პროცესში.<sup>251</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ მედიაციის სფერო კარგავს მისთვის მინიჭებულ თავისუფლებას, ის უკვე ნაკლებად განსხვავდება საჯარო სექტორში არსებული სხვა ალტერნატიული პროცესებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ დაფინანსებული სამეურვეო მედიაციის პროგრამები დაკომპლექტებული იქნება ფსიქოლოგ-ფსიქიატრი მედიატორებით, ფინანსურმა შეზღუდვებმა, შესაძლოა ამ პროგრამების ჯერ კლება და მერე სრულად დახურვა გამოიწვიოს. ასე რომ, მოთხოვნა მედიაციაზე საკმაო კლებას დაიწყებს.<sup>252</sup> უფრო მეტიც, მედიაში მთლიანად გახდება ადვოკატებზე ორიენტირებული, სადაც კლიენტი მთლიანად მინდობილი იქნება ადვოკატის ნება-სურვილზე.<sup>253</sup>

<sup>247</sup> ინტერვიუ *Norma Trusch*, შენიშვნა 77.

<sup>248</sup> იქვე.

<sup>249</sup> ინტერვიუ *Lynelle Yingling*, შენიშვნა 98.

<sup>250</sup> იხ. *Schepard, Introduction*, შენიშვნა 32, 24.

<sup>251</sup> მაგ., იხ. *Hinshaw A.*, *Mediators as Mandatory Reporters of Child Abuse: Preserving Mediation's Core Values*, Fla. St. U. L. Rev., Vol. 34, 2007, 271, 276 (ბავშვზე მეურვეობისა და განქორწინებისას მედიაციის გამოყენების ყველაზე დიდი პლიუსი გახლავთ ის, რომ მიახვედროს მხარეები, რომ ემოციურ ფონზე მიღებული გადაწყვეტილება არ არის სწორი და ყველაფერი ახლიდან დაიწყო.).

<sup>252</sup> იხ. *Salem*, შენიშვნა 209.

<sup>253</sup> სხვა შემთხვევაშიც კი, როდესაც მედიაციის შეთავაზება ხდება მხარეებისათვის, პროცესი ვერ იქნება წარმატებული თუკი თავად მედიაციის მოთხოვნა ზოგადად კლებადა.

ამრიგად, ადვოკატების მიერ მედიაციის სფეროს სრული კოლონიზაცია ნიშნავს იმას, რომ მედიაცა, როგორც დავის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური წესი თავის ფუნქციას კარგავს. ერთ დროს განქორწინებისა და კერძო საოჯახო დავების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური მეთოდი მეორეხარისხოვანი ხდება. თუკი საოჯახო მედიაცია უნდა აღიქმებოდეს, როგორც დავის მოგვარების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი, ადვოკატმა-მედიატორებმა მიდგომა უნდა შეცვალონ და კლიენტს შესთავაზონ რაიმე უფრო ქმედითი ვიდრე უბრალოდ სამართლებრივი განხილვა. სხვა შემთხვევაში, განქორწინების მსურველი წყვილები მიმართავენ ალტერნატიულ მეთოდებს, როგორებიცაა კოლაბორაციული კანონი, მშობელთა კოორდინაცია ან მოლაპარაკება პოზიტიური შედეგის მისაღწევად.<sup>254</sup>

მედიაციის მომავალი შესაძლოა მჭიდროდ იყოს დამოკიდებული თავად ადვოკატურის მომავალზე. საუბარი იმაზე, რომ მედიაციამ დაიბრუნოს თავისი უმთავრესი ფუნქცია, მაშინ იქნება უპრიანი, თუ მედიატორობის მსურველი პროფესიით ადვოკატები გადამზადდებიან და შეიძენენ იმ თვისებებს რაც პროფესიონალი მედიატორისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე კოორდინირებულად იმუშავენ სხვა პროფესიის მედიატორებთან.

## დანართი

### რესპოდენტების სია

დენ ამერსონი	გალვესტონი, ტეხასი
რობერტ ა. ბედგლეი	ჩიკაგო, ილინოისი
ბრიჯიტ ბელი	ევანსტონი, ილინოისი
სიუზან ბერგი	ტავარესი, ფლორიდა
ჩარლზ კასტაგნა	ტამპა, ფლორიდა
ჯენის ფლეიზერი	ტალაჰასსე, ფლორიდა
გერგორი ფაიერსთოუნი	ტამპა, ფლორიდა
ლინ გაფიგანი	ლეიკ ბლაფი, ილინოისი
დუანე გალოპი	დალასი, ტეხასი
ლონი მ. გრაბოსვიკი	ჰიუსტონი, ტეხასი
ნიკ ჰოლი	ჰიუსტონი, ტეხასი
დევიდ ჰოფმანი	ბოსტონი, მასაჩუსეტსი
დევიდ ჰუანგი	ოსტინი, ტეხასი
პერი იტკინი	ფორტ ლაუდერდეილი, ფლორიდა
კორინი(კუკი)ლევიტსი	ჩიკაგო, ილინოისი
კიმბერლი კოვანი	ოსტინი, ტეხასი
ბარბარა სანდერლენდ მანოუსო	ჰიუსტონი, ტეხასი
კიმ მარტინეზი	დალასი, ტეხასი
ბერნარდ მეიერი	ომაჰა, ნებრასკა
ბილ მორენო	პალმ ბიჩი, ფლორიდა
რიჩარდ ორსინგერი	სან ანტონიო, ტეხასი
ნენსი სოსისონი	სან ანტონიო, ტეხასი
ნენსი პალმერი	დეიტონა ბიჩი, ფლორიდა
შერონ პრესი	სან პაულუ, მინესოტა
კენეს რემპელი	შორთ ჰილი, ნიუ ჯერსი

<sup>254</sup> იხ., ზოგადად, *Salem*, *SeniSvna* 209 (identifying these and other alternatives in the divorce context, notably triage).

ელინორ რობინი  
მელ რუბინი  
პიტერ სალემი  
არნი შიენვოლდი  
ენდრიუ შეპარდი  
კარენ შილდსი  
ელაინ სილვერი  
კარელ სტიტი  
ჰელენ სტეინი  
ნორმა ტრუსჩი  
მეგან ულტისი  
ბრიუს ვეტმანი  
ჯენი ვილიამსი  
სიუზან იატესი  
ლინელ იანგლინგი

ბოკა რატონი, ფლორიდა  
მაიამი, ფლორიდა  
მედისონი, ვისკონსი  
ჰარისბურგი, პენსილვანია  
ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი  
ჩიკაგო, ილინოისი  
ლეიქ მერი, ფლორიდა  
ჰიუსტონი, ტეხასი  
მაიამი, ფლორიდა  
ჰიუსტონი, ტეხასი  
ჰიუსტონი, ტეხასი  
ჰიუსტონი, ტეხასი  
ორლანდო, ფლორიდა  
ჩიკაგო, ილინოისი  
დალასი, ტეხასი

## Advising Clients About ADR: A Practical Guide to Having Difficult Conversations About Selecting Options

Many jurisdictions recognize that advocates have an ethical obligation to inform their clients about available alternative dispute resolution processes.<sup>1</sup> Even when an ethical duty is not involved, there may be a moral obligation to do so if one operates on the assumption that clients should be given the power of self determination since it is the client who must live with the consequences. If appeals to professional duty, altruism and abstract morality are not persuasive, counsel still will want to advise their clients about alternative dispute resolution [ADR] processes as a strategic business decision — it is in the nature of a "best practice" and well-informed clients will increasingly grow to expect conversations of this type with counsel.<sup>2</sup> For any, or all, of these reasons, it appears that an advocate-client dialogue about ADR processes and their application to a specific dispute [or transaction] will take place.<sup>3</sup> If so, then what precisely should occur during that conversation. This essay addresses that query and provides specific templates for guiding clients towards making an informed ADR decision.

As a preliminary matter, clients need to be educated about the range of available ADR processes and what those options involve before counsel can segue into the more nuanced questions needed to determine which will better suit this client's needs at this time. While different jurisdictions offer a range of ADR processes, this essay will focus on the two more common: mediation and arbitration, and their contrast with trial resolution.

A description of mediation might highlight these attributes:

Mediation is an informal, but structured, process in which a neutral third party assists the parties in their settlement negotiations. The parties retain the power to decide whether and when to settle and under what terms. The mediator's role is a facilitator who assists people in conflict to arrive at a mutually agreeable solution. The mediator does this by helping the parties to negotiate effectively. Mediation focuses more on a party's interests than their positions or legal rights.

A description of arbitration might include the following salient points:

Arbitration can be either a binding or nonbinding process. In binding arbitration, a third party is the decision maker rather than the parties. One of the benefits of arbitration is that the decision maker can be a person with expertise in the subject matter of the dispute. Unlike mediation, the parties no longer have control about whether and how a dispute will be resolved. Arbitration is a form of private adjudication that more closely resembles a trial than assisted negotiation. Depending of the forum, arbitration has its own procedural rules and processes. With few exceptions, its decisions are typically final.

However, merely describing the processes does little to reach the counseling aspect of an advocate's obligation. Simply knowing what each process entails may do little to inform the client's decision about

---

\* BA, JD, The University of Texas; Associate Dean and Professor of Law, South Texas College of Law.

<sup>1</sup> Article 8, Georgian Code of Ethics. See also, American Bar Association, Model Rules of Professional Conduct: Duty on the part of lawyers to advise clients of ADR options in resolving disputes. Rule 2.1, Comment 5.

<sup>2</sup> In some jurisdictions, contemporary legal practice involves an aspect of "defensive" lawyering. The theory is that once a client's decision results in a negative outcome, the client may seek to blame counsel for that consequence. The client's claim is that counsel failed in the duty to identify key options and their attendant risks. As a result, critical decisions were ill-informed. The blame may be translated into malpractice litigation. *Mallen R.E., Smith J.M., Legal Malpractice*, 5<sup>th</sup> ed., 2000, 278-279.

<sup>3</sup> This essay centers on cases arising from disputes rather than on transactional representation during the planning phase. However many of the same considerations come in to play because the transactional client needs to know which process, or combination of processes, will best suit in the event of a future dispute.

which is preferable at any given time.<sup>4</sup> Typically, counsel's ADR conversation will explore more than the legal strengths and weaknesses of the dispute. It will expand the list of relevant items to include consideration of (1) time, (2) cost, (3) the client's need for specific types of resolution, (4) confidentiality, (5) future relationships, (6) risk aversion, and (7) existing impediments to resolution of the issue up to the point in time this counseling session takes place. Each of these categories, with specific examples, will be discussed in Section I.<sup>5</sup> Assessing the combined impact of these factors and assisting the client in selecting the optimal dispute resolution to satisfy the most critical needs is the focus of Section II.

## **I. Factors Influencing Selection**

The seven categories discussed in this section overlap in some cases. The lines between the categories are not always sharp or even clear. However, in a broad sense, they are emblematic of the types of concerns that clients should have when deciding how best to extricate themselves from an on-going, unresolved dispute.

### **A. Time considerations**

The time element has several different dimensions, each of which needs separate consideration. The first involves determining whether the client needs a speedy resolution to the dispute and how quick that resolution needs to be. This is the "when" question. The second involves considering the time that will need to be spent on resolving the dispute and its impact on activities that cannot be undertaken as a result of that investment. This is the "time spent" question. These distinct aspects of "timing" can be thought of as "when resolution will occur" and "how much time is required to reach final resolution."

#### **1. When will resolution be achieved**

At the heart of this factor is when the matter/dispute will be over, or when final resolution might be achieved. To gauge the importance of this factor to the client, counsel may ask questions such as,

- "How important is it to you that this dispute is resolved quickly?"

If the client's response is that speedy resolution is desirable, counsel would then probe further with questions such as,

- "Why is a prompt resolution important for you?" or
- "Do you have other activities presently on hold pending the outcome of this dispute?"

These follow up questions serve to highlight the relative importance of a quick resolution and the answers that follow will be unique to the client. The client's preference for quick resolution may be purely financial, such as limiting dispute-related expenditures or recovering from adverse dispute-related publicity

---

<sup>4</sup> In some instance, for example, court-ordered mediation, the parties will not have a choice about whether to attend mediation. That does not mean, however, that counsel is absolved from the responsibility to engage in a variation of this conversation. The focus will now shift from deciding which ADR process is preferable to preparing the client to take full advantage of the opportunities for resolution presented by this mandatory process. Similar considerations apply with a pre-existing contractual obligation specifies arbitration as the sole dispute resolution process available.

<sup>5</sup> For purposes of this essay, the following assumptions concerning timing and availability of the various processes applies: trial [court proceedings] is the most distant temporal option from the time of the attorney-client conversation, arbitration is less distant than trial but more distant than mediation, and mediation is relatively immediate. Other assumptions are that mediation will generally be limited to one day, with the possibility of a second day if needed. Arbitration will involve both the day of hearing, but also pre-arbitration submissions and the several month delay before a decision by the arbitral panel is rendered. Trial may also involve access to the appellate review system, thereby increasing the time for final resolution. To the extent that actual practice in a particular jurisdiction presents a differing timetable, those considerations need to be addressed in using the conversational guidelines outlined in this essay.

and the attendant revenue loss. Or the rationale may involve psychological needs such as the desire for closure or a preference to avoid prolonged confrontation. These follow up probes will prove useful later as the client assigns priorities and relative values to the various decision making factors that were identified in conversation with counsel. These relative weights will be pivotal in identifying the optimal dispute resolution mechanism.

As a preliminary matter, at this juncture in the counseling session, what have the client's answers revealed? If a speedy resolution is important, then the mediation alternative becomes the more attractive option rather than the slower moving adjudication choices of arbitration or trial. However, the ADR conversation does not stop at this juncture. Even when mediation has been identified as the preferred method of satisfying a client's interest (here, for example, to address time concerns), the advocate's job is not concluded. Rather, the advocate must keep in mind that typically no single factor is dispositive, or, if there is one decisive criterion, it may be a factor not as yet addressed by attorney and client.<sup>6</sup>

## **2. Time spent pending resolution**

The other aspect of time calculus is the time diverted from other activities in order to support resolution of the dispute. This consideration is closely related to resource investment concerns; it speaks to the "human capital" cost of an unresolved dispute. Depending on the nature of the conflict, counsel may ask questions about time and other resources redirected away from normal functions in order to support the conflict.

For example, in a dispute involving a business, counsel might ask,

- "How many departments are spending time on this dispute?"
- "On a weekly basis, what do you estimate to be the lost office hours, both by you, other executives and any relevant employees?"

The same considerations are relevant in nonbusiness disputes as well. All time that a party spends involved in handling the dispute is time that is not available for activities in which the party engaged before the dispute. This shift in how time is being spent is often overlooked by a party. Counsel might make awareness explicit by asking:

- "On weekly basis, how many hours do you estimate you spend thinking about this dispute, working on finding a solution?"
- "Are there activities that you have put 'on hold' or postponed while this dispute is going on?"

The goal of these questions is to make concrete the time drain being caused by the dispute's pending status.<sup>7</sup> That in turn can be a key factor in selecting the most appropriate dispute resolution mechanism; nonetheless in a nonbusiness dispute, it is often a factor that is overlooked by the client.

### **A. Financial interests**

A client's financial interest in the outcome can vary according to the dispute. Counsel should never assume that all clients share a primary goal of recovering damages. In some cases, the client's primary interest may be in securing a speedy recovery in order to contain or limit costs. That orientation suggests

---

<sup>6</sup> While each factor is addressed separately, at the conclusion of the counseling session, the advocate needs to assist the client in assigning priorities among these factors and selecting the appropriate dispute resolution device. For example, a speedy end to the dispute may be important to the client but the need for a public resolution may be more so. In that instance, trial would be preferable to a mediated settlement agreement even though such an agreement could be reached more quickly. Coaching the client in the decision making assessment of competing priorities is the focus of Section II.

<sup>7</sup> Later in the conversation, counsel may reprise this line of questioning by asking how next week would be different from this week if the dispute were resolved today. This is a technique often used by mediators in separate caucus. It can be successfully employed by counsel in efforts to assist the client's realistic assessment of the actual "costs" of a pending dispute.

mediation as the preferred mechanism. In other instances, the client's financial interest may be to contain or limit risk, in that instance a "public" decision might be preferable or, alternatively, a confidential resolution may be critical. There are not hard and fast rules. Counsel must have the flexibility to adapt to the individual client's needs.

### **3. Estimating costs to date**

This is an area which some practitioners and economists refer to as "sunk costs" — it represents the financial investment in the case/matter up to the point in time that this discussion is held. Clients may term these expenditures "actuals" or "expenses". The concept of "sunk costs" is meant to umbrella *all* costs to the client, thus it includes both time costs [hours diverted to the dispute and an estimate of that dollar value] as well as estimates of other non-labor costs. These other costs may involve expenses associated with resolving the dispute, such as fees paid to accountants or lawyers or experts.

#### **a. Hard Costs**

Typically this part of the calculation is relatively straightforward. The client has already indicated the number of hours spent on the case and by whom, so now it is simply a matter of assigning an hourly compensation rate by employee involved. It is important that not only the client's personal time be calculated but also that of all other impacted employees – for example, others in executive and management position as well as other personnel. This is linked back to the earlier questions concerning time spent "servicing the dispute".

This calculation also involves payments made to consultants and other non-employees such as attorneys and accountants. Once again, this is a relatively straightforward calculation of expenses paid out in connection with the dispute. For example,
წარმოშობისაა. შემდეგ კულტურათმორისი აღქმადობა მოითხოვს გულწრფელობას და ცნობისმოყვარეობას, ამ განსხვავებებთან, ამ განსხვავებების ცვალებად მნიშვნელობასთან და კულტურული ზეგავლენის დინამიკასთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესებში. მომლაპარაკებლები უნდა განეწყონ იმის მიმართ, თუ როგორ აყალიბებს კულტურა მოლაპარაკების ემოციურ და რაციონალურ საფუძველს, რომელიც შემოაქვს თითოეულ მხარეს, და როგორ ზემოქმედებს ახდენს ის ჯგუფის ურთიერთქმედების დინამიკაზე დროთა განმავლობაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხარეების იდენტიფიკაციის ან ურთიერთგაგების განუყოფელი განსხვავებების აღიარება.

## გენდერული დინამიკა

კულტურის მსგავსად გენდერი წარმოადგენს განზომილებას, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაკარგულია მოლაპარაკება 1.0-ში, მაგრამ მას შევხვდებით მოლაპარაკების მონინავე ტრენინგებში. მოლაპარაკებასთან, როგორ ბრძოლის ველთან მიდგომის ადრეული დღეების სტილი – მამაკაცური ტენდენცია – გადაიქცა რალაც უფრო მეტად, ვიდრე მხოლოდ მოკლევადიანი მიღწევებით დაკმაყოფილებაა. რაც შეეხება სხვა სფეროებს, როგორცაა განათლება, ბიზნესი და აგრეთვე, გართობა, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ქცევა, რომელიც ერთ დროს ითვლებოდა „ქალურად“, ხდება „მეინსტრიმი“ (ფართოდ გავრცელებული) და მოიცავს სულ უფრო მეტ მიმართულებებს. ისეთი ფაქტორები, როგორცაა: მოსმენა, თანამშრომლობა და გამომხატველობა (ექსპრესიულობა), ისეთი თვისებებია, რომლებიც სულ უფრო მკვეთრად გამოხატული და მისაღები ხდება „მამაკაცურ გარეგან მხარეში“ და, რა თქმა უნდა, „მამაკაცური სტილის“ მოლაპარაკებაში. თუმცა ეს ყველაფერი მართებულია მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე (*იხილეთ Tinsley et al. 2009; Schneider, Cheldelin, and Kolb 2010*).

გენდერული დინამიკა, აგრეთვე, მოიცავს ქალთა და მამაკაცთა როლს მოლაპარაკებაში. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადგილის და როლის აღქმის განხილვა, რომელსაც ქალები იკავებენ ან, რომლის დაკავების საშუალებაც მათ ეძლევათ (*იხილეთ, მაგ., Kolb and Williams 2006*) მოლაპარაკების პროცესში სხვადასხვა კულტურებში. იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას ქალები მოლაპარაკებებს აწარმოებენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ქალებთან, მაგალითად, ჰარედიმის თემში (ულტრარელიგიური ებრაული სექტა), სხვა ადგილებში, უბრალოდ, იმ საკითხის წამოყენება, თუ რა არის მისაღები ან მიუღებელი ქალებისთვის, შეიძლება უადგილოდ ან უცნაურად გამოიყურებოდეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი მოლაპარაკების კონტექსტში, ამ ბოლო დროის ამერიკული გენდერული განურჩევლობის მიუხედავად, მამაკაცი თუ ქალი მომლაპარაკებლის (ან ორივე მათგანის) სტრატეგიული არჩევანი შეიძლება გარდაუვალი იყოს. შინაარსიდან გამომდინარე, მოლაპარაკებამ შეიძლება უფრო ეფექტურად ჩაიაროს, თუ მას განახორციელებს მამაკაცი ან ქალი. ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სიტუაციამ შეიძლება მოითხოვოს ისეთი მამაკაცების მონაწილეობა, რომლებიც ადვილად აჩვენებენ ქალურ მახასიათებლებს თავისი მამაკაცურობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ან, პირიქით, ქალი, რომელიც თვალს არ დაახამხამებს ყველაზე მტრულად განწყობილი მამაკაცების გარემოცვაში თავისი „ქალური საიდუმლოების“ დაკარგვის გარეშე. იმ დროს, როდესაც განვიხილავთ სხვადასხვა კულტურულ გარემოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოლაპარაკებაში გენდერის გავლენა მივიღოთ როგორც ფაქტი და შევძლოთ მასში გარკვევა. ალბათ, არ არის საჭირო იმის ხაზგასმა, რომ ეს ეწინააღმდეგება ტიპური ამერიკული გავლენის მქონე და (სავარაუდოდ) არაგენდერული ძირითადი ინსტრუქციის მიმართულებას ამ სფეროში. არსებობს, აგრეთვე, კულტურები, სადაც მისი სრული გამოყენება სავარაუდოდ ეწინააღმდეგება კანონს.

## ემოციების როლი

უკვე ბევრი დაინერა მოლაპარაკება 1.0-ის, როგორც მოდელის შესახებ, რომელიც ცდილობს ემოციების იგნორირებას ან ჩახშობას (იხილეთ, მაგ., *Patera and Gamm2010*). თუმცა ემოციები მოლაპარაკების განუყოფელი ნაწილია მინიმუმ ხუთი თვალსაზრისით: მომლაპარაკებლების ემოციები, მხარეების ემოციები, რომლებიც ამოქმედდება სოციალური ზეგავლენების მეშვეობით; ემოციები, რომლებიც ჩნდება მოლაპარაკების პროცესში; უშუალოდ მოლაპარაკების ფარგლებს გარეთ მყოფი მხარეთა ემოციები, რომლებსაც მაინც შეუძლიათ პროცესზე და შედეგებზე გავლენის მოხდენა; და უფრო მსხვილი გარემოებებით გამოწვეული ემოციები, რომლებმაც შეიძლება მოახდინონ ზენოლა მოლაპარაკების მხარეებზე, პროცესზე ან შედეგებზე. რასაკვირველია, სხვადასხვა ადგილებსა და კულტურებში ემოციებთან მუშაობა და მათთან მუშაობის უნარის გამომუშავება შეიძლება მოიცავდეს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პრაქტიკულ უნარებს. ემოციური დინამიკის ინტენსიურობა და ცვალებადობა მოითხოვს იმას, რასაც *მელისა ლევი-ბოსკოვიჩი*, *Peace Child Israel*-ის დირექტორი უწოდებს „სამმაგი A-ს“ გამარტივების მიდგომას: გააზრება (*Aware*), დაშვება (*Allow*), დარეგულირება (*Address*). ეს ინსტრუმენტი მომლაპარაკებელს საშუალებას აძლევს, გაიაზროს ემოციური პალიტრა, პატივი სცეს და დაუშვას ემოციების ძალა და აქტუალურობა და აღიაროს და დაარეგულიროს ემოციები, როდესაც ისინი წარმოიშობა.

ემოციები წარმოადგენს სფეროს, რომელიც მოითხოვს მოკრძალებულობას და საკუთარი თავის კონტროლს. ეს მოიცავს მზადყოფნას, იყოთ ემოციურად დაუცველი და სიმშვიდის შენარჩუნების უნარს, თითოეული და ყველა მხარის ძლიერი ემოციური რეაქციების და, ასევე, ჯგუფური დინამიკის წინაშე.

## ურყევი საფუძვლები: რელიგია და ფასეულობები

კონფლიქტის ყველა ასპექტი ვერ გახდება მოლაპარაკების საგანი. მაგალითად, რელიგია და ფასეულობები უფრო ძლიერია, ვიდრე მოთხოვნილებები, უფრო ძლიერია, ვიდრე ემოციები და მათ არ გააჩნიათ ფასი. რელიგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც კულტურული სისტემა, რომელიც ქმნის ძლიერ და გრძელვადიან განზრახვას ისეთი სიმბოლოების შექმნის გზით, რომლებიც აკავშირებს კაცობრიობას რწმენასთან და ფასეულობებთან. ფასეულობები წარმოადგენს მნიშვნელოვან და მყარ რწმენას ან იდეალებს, რომლებსაც კულტურის წევრები იზიარებენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კარგი და სასურველი და რა – არა. ფასეულობებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა პიროვნების ქცევაზე და ისინი ასრულებს საერთო რეკომენდაციების ფუნქციას ყველა სიტუაციაში.

ხანდახან მოიაზრება, რომ რელიგიური ფასეულობები და ფუნდამენტალიზმი ხელს უწყობს წესრიგის და შინაგანი სიმშვიდის აღდგენას ამჟამინდელი დროის ქაოსში. ისინი უზარმაზარ ზეგავლენას ახდენენ ბევრ მოლაპარაკებაზე. ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ისინი შეიძლება გახდეს მთავარი პრობლემა ბრწყინვალე მომლაპარაკებლისთვისაც კი. ჩნდება დაუმუშავებელი ნახნაგები; შეუძლებელია სუბიექტური შეფასება; არსებობს მხოლოდ სწორი და არასწორი, რომელიც სხვადასხვაგვარად აღიქმება მხარეების მიერ. ეს არის არამდგრადობის პირობები და მათ შესაბამისად უნდა მივუდგეთ, განსაკუთრებით, როდესაც მხარეების რწმენის სისტემები განსხვავდება სხვა ჩართული მონაწილეების რწმენის სისტემისგან.

ზოგიერთ სიტუაციაში, შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ რელიგიური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან უშუალოდ ჩართულები, მაგრამ შეუძლიათ მოლაპარაკებებზე უფრო დიდი ზეგავლენის მოხდენა, ვიდრე ნებისმიერ სხვას. პროფესიონალმა მომლაპარაკებლებმა ხელი უნდა შეუწყონ მათ გამოვლენას და გააცნობიერონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ იყვნენ უფრო მეტი, ვიდრე ინფორმაციის წყარო; მათ აგრეთვე შეუძლიათ იყვნენ მოლაპარაკების მხარეებთან მიდგომის წყარო. მომლაპარაკებლის მოკრძალებულობა ძალიან



მნიშვნელოვანია ურყევ საფუძვლებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებაში. პროფესიონალი ემსახურება პროცესს მოლაპარაკების პარტნიორების რელიგიის და ფასეულობების პატივისცემით. ეს არ არის მარტივი ან უშუალოდ პროფესიონალიზმის სფერო, არამედ უფრო გვაჯილდოებს ცხოვრებისეული გამოცდილებით.

### კონფლიქტის ტრანსფორმაცია

მოლაპარაკება 1.0 გვაძლევს კონფლიქტის თავიდან აცილების ან შემცირების „რჩევებს“ დავის განსხვავებული პერსპექტივით წარმოეჩინა გზით. ის, რაც კონფლიქტს წარმოადგენდა, ახლა გაუგებრობაა, რომლის მოგვარებაც შეიძლება გაუმჯობესებული კომუნიკაციის ან საყოველთაო პრინციპების დაცვის მეშვეობით. თუმცა მოლაპარაკების პროცესში კონფლიქტის ასე ადვილად თავიდან მოშორება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ის, რასაც *პიტერ კოლმენი* (2012) უწოდებს „5%-ს“, შეიძლება გახდეს აქილევსის ქუსლი უმაღლესი ხელმძღვანელებისთვისაც კი, რომლებისთვისაც ასეთ შემთხვევაში პროფესიონალი მომლაპარაკებლის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. გაუმჯობესებული კომუნიკაციური უნარები, რომლებიც აუცილებელია ასეთი ტიპის კონფლიქტის მოგვარებისთვის, გამომდინარეობს, ისე და ისევე, თავდაჯერებულობის და მოკრძალებულობის კომბინაციიდან, რომელიც კონფლიქტის გადამუშავების და მართვის პროცესში გამჭვირვალობას გვაძლევს. ანალოგიურად, ასეთ პროფესიონალ მომლაპარაკებელს აგრეთვე უნდა შეეძლოს იმის შეფასება, თუ როდის არის საჭირო მესამე მხარის ჩარევა დავის მოსაგვარებლად, და როგორი მესამე მხარის მონაწილეობა იქნებოდა ყველაზე მომგებიანი.

### მოლაპარაკება მრავალი მხარის მონაწილეობით

მრავალი მხარის მონაწილეობით მოლაპარაკებას ხშირად ასწავლიან მოლაპარაკების კურსებზე, როგორც საბაზო უნარების გაუმჯობესების დამატებით და არჩევით საშუალებას. თუმცა მოლაპარაკება მრავალი მხარის მონაწილეობით უფრო ფართოდ გავრცელებული ხდება და ამიტომ უნდა გახდეს მოლაპარაკების სწავლების კანონზომიერი ნაწილი. ეს ნაწილობრივ, მსოფლიოში ურთიერთდაკავშირებულობის დონის ზრდის შედეგია, რაც იწვევს ჩვენგან ძალიან განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის (ხშირად, დროის დიდი რაოდენობის გარეშე) მზარდ აუცილებლობას და შედეგად, შიშის და ეჭვის უფრო მეტ შესაძლებლობებს. ცალკეული მომლაპარაკებლის მაგივრად გუნდის არჩევა გვთავაზობს ღირებულ მხარდაჭერას სამყაროში, რომელიც მოიაზრება, როგორც მუქართ სახსე. ან ინდივიდუალური მომლაპარაკებლის დანიშვნის ნაცვლად გუნდის ჩართვა შეიძლება კულტურულ ჩვევას წარმოადგენდეს. გამოცდილ მომლაპარაკებელს, რომელიც აღიქვამს გუნდურ მიდგომას, როგორც არააუცილებელ „ყავარჯენს“, შეიძლება დასჭირდეს პროფესიონალის ხელმძღვანელობა (იხილეთ *ელვინ კრასტის (Calvin Christie) განხილვა ბოსნიის შესახებ (Bosnia discussion) Gadlin, Matz, and Christie, Playing the Percentages in Wicked Problems*, ამ წიგნში). პროფესიონალი მომლაპარაკებლები აგრეთვე საჭირონი არიან, რათა გვირჩიონ, თუ როგორ განვსაზღვროთ კოალიციის პოტენციალი და როდის და როგორ შევქმნათ ან დავშალოთ კოალიციები. ცოდნის კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს იმის გაგება, თუ როგორი მერყევი შეიძლება იყოს ჯგუფური დინამიკა და იცვლებოდეს შეხვედრიდან შეხვედრამდე. ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე უნარია მხარეების მიერ მიღებული როლების განსაზღვრის ხელშეწყობა, როგორცაა ლიდერი, სიმშვიდის დამრღვევი, ხუმარა, პრობლემების მომგვარებელი, და ა.შ. „პრობლემის ჯგუფური განხილვის“ მიმართ მგრძობიარობა აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, მაშინაც, თუ ამ ჯგუფს ბევრი წარსული წარმატებების ისტორია აქვს.

მრავალი მხარის მონაწილეობით მოლაპარაკებების მომზადება, განსაკუთრებით გუნდის მომზადების დროს, მოიცავს მონაცემთა ორგანიზებას მონაწილეებზე, დროის სინქრონიზაციას, ატმოსფეროზე და ადგილზე ზეგავლენის მიზნით. ეს მოითხოვს მოლაპარაკების

დროს თანაგრძობის განხორციელებას თავდაჯერებულობასთან და ასევე, მგრძობიარობას პირდაპირი და არაპირდაპირი კომუნიკაციის მიმართ ჯგუფის დინამიკის ფარგლებში – ყველაფერი ეს გვაძლევს ხანგრძლივ გამოცდილებას. აგრეთვე, ჩვეულებრივ უფრო მეტი დროა საჭირო, ვიდრე მხარეების განკარგულებაშია, თუ მომლაპარაკებელს მართლაც შეუძლია გაუგებრობის და კომუნიკაციის დარღვევის შეზღუდვის ხელშეწყობა. მომლაპარაკებელი, რომელსაც მოუწევს მოქმედება ამ დროის, და შესაბამისად, ამ ძალისხმევისთვის განკუთვნილი უფრო მეტი რესურსების მოსაგებად, უპირატესობად ჩათვლის ავტორიტეტს, რომელიც გამომდინარეობს ხანგრძლივი და ნარმატიული წინა კარიერიდან.

## სექცია ორი: დამატებითი საკითხები

### ლიდერების მოლაპარაკება

ლიდერების მოლაპარაკება (ანუ მოლაპარაკება ლიდერების შესახებ, მათ მიერ ან მათ შორის) განსხვავდება დირექტორების და მენეჯერების მოლაპარაკებისგან. დირექტორი ფოკუსირებულია მიზნებზე და ამოცანებზე, რომლებიც ხშირად ასრულებს ფუნქციონალური მოდელების ფუნქციას. ლიდერი კი სავსეა კრეატიულობით და ხედვით. ლიდერს მოეთხოვება, ხედავდეს მეტს, ვიდრე ახლა და აქ არის. ეს ქმნის დინამიკას, რომელშიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორგანიზაციების ლიდერებმა კარგი რეაგირება მოახდინონ მომლაპარაკებლებზე, რომლებიც არ აღიქმებიან, როგორც შესაბამისი პროფესიონალური სიმალის მქონენი.

განსაკუთრებით ლიდერების მოლაპარაკების პროცესში არსებული პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით, როგორც არ უნდა იყოს ყველაზე აქტუალური თემა, ეს არის მოლაპარაკების ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმა. პროფესიონალი მომლაპარაკებლები ეცნობიან ლიდერების ოთხ სხვადასხვა ტიპს, ლიდერობის ოთხი სტილის საფუძველზე:

- 1) ქარიზმატული ლიდერობა, რომელიც უფრო მეტად ემყარება პიროვნებას, ვიდრე პროფესიონალურ კვალიფიკაციას;
- 2) სტატუსური ლიდერობა, რომელიც ემყარება კონკრეტულ მოვალეობებს;
- 3) გარემოებითი ლიდერობა, რომელიც ემყარება კონტექსტს და აქტუალურ მოვლენებს; და
- 4) ხელშეწყობი ლიდერობა, რომელიც გამოიყენება შესაძლებლობების გაფართოებისთვის და მხარდაჭერისთვის.

პროფესიონალი მომლაპარაკებლები ლიდერების მოლაპარაკების პროცესში ნათლად იაზრებენ გამჭვირვალობას, კონტროლირებადობას, პერსონალის კვალიფიკაციის გაზრდას, რისკის ზემოქმედებას და შიდა და გარე პოლიტიკის ცოდნას. ისინი უზრუნველყოფენ ამ პროფესიონალიზმს, როდესაც ეხმარებიან ლიდერებს მოლაპარაკების შედეგების გაუმჯობესებაში. ისევ და ისევ, ამ სახის პროფესიონალიზმი და მისგან გამომდინარე ავტორიტეტი რთული შესაძენია კარიერის დასაწყისში.

### მაღალრისკიანი და კრიზისული მოლაპარაკება

სტრესულ სიტუაციებში მოქმედებს გარეგანი ძალები და ჩვენ მიერ რეაქციების კონტროლი შეზღუდულია. გადანყვეტილებების მიღების უნარის ხარისხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ურთიერთობისთვის და მონაწილე მხარეებისთვის შეიძლება მძიმე ზარალის მიყენება. როდესაც ზენოლის ქვეშ ვიმყოფებით, ვამუშავებთ ტენდეციას შეცდომების დაშვებისკენ და გადანყვეტილებების მიღებისკენ „ოპტიმისტური მეტისმეტი თავდაჯერებულობის“ საფუძველზე (იხილეთ *Korobkin* და *Guthrie* 2006), ვფიქრობთ რა, რომ განკარგულებაში გვაქვს მთელი საჭირო ინფორმაცია და რომ შეგვიძლია დავეყრდნოთ წარსულ გამოცდილებას და სიატუაციის ჩვენ საკუთარ ინტერპრეტაციას. თუმცა, ხშირად, ეს არ ხდება, რადგან სტრესი როგორც წესი ზღუდავს რთული სიტუაციების ზუსტად ინტერპრეტირების უნარს. კერძოდ, სტრესი იწვევს ბრძოლა-გაქცევა-გაჩერების რეაქციების დომინირებას, რომელთაგან არცერთი არ არის სასარგებლო მოლაპარაკებისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ძირითადი რეაქციების

სრულად გაკონტროლება; მაგრამ სწავლებასთან და გამოცდილებასთან ერთად, შეგვიძლია გავაცნობიეროთ ეს რეაქციები და მათი გავლენა ჩვენი აზრების ნაკადზე. შემდგომ ეს გვეხმარება იმპულსების გაკონტროლებაში და დაუფიქრებელი ღონისძიებების თავიდან აცილებაში. პროფესიონალმა მომლაპარაკებლებმა იციან, რომ, ზოგადად, შესაძლებელია მოლაპარაკების წარმოება კონსტრუქტიული აზროვნებისთვის და კონსულტირებისთვის განკუთვნილი დროის<sup>5</sup> შესახებ. მაგრამ ფლობს ამ უნარებს ჩვეულებრივი მომლაპარაკებლების დიდი ნაწილი? ჩვენი აზრით, სავარაუდოდ არა.

არსებობს ათი კომპონენტი კრიზისულ სიტუაციებში მოლაპარაკებისთვის:

- 1) კრიზისული სიტუაციის შესაბამისი გუნდის ფორმირების გამოცდილება;
- 2) რისკის შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მხარეებს, წარსულ ქცევაზე დაყრდნობით;
- 3) დროის უპირატესობების და ნაკლოვანებების შეფასება, როგორცაა დროში შეზღუდვა;
- 4) კომუნიკაციის გაზრდილი აუცილებლობა და ინტენსიურობა, რაც მოიცავს მხარეებს შორის ფიზიკური დისტანციის განადგურებას ემოციური ინტენსიურობის გაზრდის პირობებში;
- 5) „მეორე წრის“ ზეგავლენა გარე მხარეებისგან, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა;<sup>6</sup>
- 6) ემოციური, ფიზიკური ან რაციონალური მოთხოვნილებების და დინამიკის მიმართ ყურადღების მეშვეობით მოპოვებული ბერკეტი;
- 7) შუამავლები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყვნენ;
- 8) დროებითი შეთანხმებები, რომლებიც ხელს უწყობენ ნდობის გაღრმავებას;
- 9) პროგრესის შენარჩუნება და მონიტორინგი მიღწევების შენარჩუნების გზით; და
- 10) სტრესის შემცირება მოლაპარაკებით მიღწეული შედეგების დასკვნითი სცენის შექმნის და გამოცხადების გზით.

ვსვამთ კითხვას, როგორ უნდა გახდეს კარიერის დასაწყის ეტაპზე მყოფი ან არასრული დატვირთვით მომუშავე მომლაპარაკებელი კომპეტენტური ამ სიაში? და როგორც ზევით არის აღნიშნული, ჩვენს „ბრტყელ სამყაროში“ ცხოვრების ქაოტურ რეალობაში კრიზისული და მაღალი რისკის მოლაპარაკებები უფრო ჩვეული მოვლენაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. აუცილებელი უნარები და ემოციური აღქმა უფრო და უფრო აქტუალური გახდება ბიზნესისთვის (Taylor and Donohue 2006) და სხვა გარემოებში, რომლებიც საკმაოდ სცდება ტრადიციულ კრიზისულ ატმოსფეროს.

<sup>5</sup> Jack Cambria, commanding officer of the hostage negotiation team of the New York City Police Department (NYPD) offers the following insight (Cambria et al., 2002, 338):

Bob Loudon [former chief hostage negotiator, NYPD] . . . was negotiating a rather difficult, very long and ongoing hostage situation. The chief of detectives said, ‘Hey Loudon, seems like you aren’t having any success here.’ Bob said, ‘I think we are.’ The chief says ‘What’s your definition of success then?’ Bob says ‘Lack of failure.’

<sup>6</sup> As noted by Maria Volpe and colleagues (2006), hostage negotiation is far from the only circumstance in which the person responsible for a negotiation must somehow report to difficult supervisors, who may try to micromanage a job and too often do not appreciate the intricacies, the need for patience and the time inevitably involved in making talk work. But in a police department, the hierarchy is overt and often insistent. There could easily be a district commander in the offing, saying “I don’t have any time for this, this guy is blocking traffic,” or resenting the fact that the case happened on their watch, because there is a meeting to go to, or theater tickets to be considered. Hostage takers, however, cannot be told to come back tomorrow. The role of the coordinator is therefore to handle all of the *external* negotiations that threaten to disrupt the all-important negotiation “at the door.” (When Hugh McGowan, one of the co-authors of the 2006 book chapter, was promoted to NYPD chief negotiator, he was informed that that did not mean that he got to negotiate any time he wanted. It meant he got to negotiate with the Chief – a significantly less desirable and more challenging honor.)

## პროფესიონალური მოლაპარაკების შემსწავლელთა გამოვლენა: რაც არ უნდა იყოს, ყველას არ შეუძლია მოლაპარაკება

ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკება წარმოადგენს შთამაგონებელ და ძლიერ მაგალითს მათთვის, ვინც ცდილობს კონფლიქტის თავიდან აცილებას ან ნეგატიურ გარიგებასთან (მოლაპარაკებასთან) დაბრუნებას. დამწყებ მოლაპარაკებლებს ნამდვილად შეუძლიათ შეისწავლონ ინტეგრირებული მოლაპარაკების ალტერნატივები მოკლე კურსების მეშვეობით, კლასიკური სიმულაციის გამოყენებით ვან საინტერესო სწავლებით და ამ წიგნებში შემუშავებული სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. თუმცა, პროფესიონალური მოლაპარაკების პროგრამების იდეალურ შემსწავლელებს არ ესაჭიროებათ ეს სწავლება ახლა, თუ საერთოდ როდესმე ესაჭიროებოდათ (შესაძლოა, მათ განსაზღვრული აქვთ შინაგანი თვისებები და მიდრეკილება მოლაპარაკებისკენ ადრეული ასაკიდან). დროთა განმავლობაში, ასე თუ ისე, მათ გამოიმუშავეს და აითვისეს ძირითადი პრინციპები, პიროვნებათშორისი ურთიერთობის უნარები და ინტუიცია მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, პირადი და პროფესიონალური გამოცდილების მეშვეობით. ეს სავარაუდოდ ნიშნავს იმას, რომ ისინი უფრო ასაკიანები არიან და აჩვენებს სიმნიფე ცხოვრების პრობლემების წარმატებულად მოგვარების მეშვეობით.<sup>7</sup>

იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ტექნოლოგიამ შემოიტანა შესანიშნავი მიღწევები, YouTube და Facebook ვერ განევენ ცხოვრებისეული გამოცდილების მაგივრობას. დრო, ადამიანური ურთიერთობების დონეზე, არის ბუნებრივი ძალა, რომელიც მაღალმა ტექნოლოგიამ ჯერ არ შეცვალა. მარტივად რომ ვთქვათ, ორმოცი წლის პროფესიონალ მოლაპარაკებელს ხელთ აქვს უნარების უფრო დიდი რეპერტუარი, ვიდრე მასზე ოცი წლით უმცროს მოლაპარაკებელს. პიროვნებათშორისი ურთიერთობების ზეგავლენა მოლაპარაკებაზე ძალზე მნიშვნელოვანია, და იმის მიუხედავად, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არიან „ასაკთან შედარებით ბრძენი“, ორმოცი წლის სპეციალისტების დიდი ნაწილი გამოიკვლევს და დააგროვებს უფრო მეტ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ვიდრე თითქმის ნებისმიერი ოცდახუთი წლის დამწყები სპეციალისტი იურიდიული ფაკულტეტიდან ან მაგისტრატურიდან. გარდა ამისა, პიროვნების ხასიათი გამდიდრებულია ცხოვრებისეული საკამათო თუ სხვა პრობლემების მოგვარებით. უფრო გამოცდილ მოლაპარაკებელს შეიძლება ჰქონდეს ხასიათის მრავალფეროვნება, რომელიც მისი ამ პლანეტაზე ყოფნის დროის პროპორციულია. პროფესიონალური მოლაპარაკება, მისი გაფართოებული პარამეტრებით და მოთხოვნებით, კიდევ უფრო ამყარებს სწავლების დაწყების აუცილებლობას, იმ დონეზე, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, გამოცდილი პროფესიონალების, და არა დამწყები მოლაპარაკებლების შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში პროფესიონალური მოლაპარაკების პროგრამა კი არ ცდილობს ინფორმაციის დამატებას სუფთა დაფაზე,<sup>8</sup> არამედ *არიგებს* გამოცდილ მოსწავლეებს, ორი გზით. პირველი გზაა მოლაპარაკების თეორიის, პრაქტიკის და ეთიკის სტანდარტების და ლექსიკონის უზრუნველყოფა. მეორე – თვითშეგნების და სიმნიფის კულტივირება, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია რთული და დაძაბული მოლაპარაკებების დროს. პირველი ნაწილის შინაარსი შედგება ანალიტიკური სამუშაოსგან, რომელიც უკვე გამოიმუშავებულია მოლაპარაკების დარგში, ამ თავში განხილულ დამატებით საკითხებთან ერთად. თითოეული პროფესია შედგება თეორიისგან, პრაქტიკისგან და ეთიკისგან, და რა თქმა უნდა, ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკება 1.0-ის საფუძვლები, რასაც მივყავართ ცოდნის მასისკენ, რომელსაც მოლაპარაკების ხელახალი გააზრების სწავლების (Rethinking Negotiation Teaching (RNT)) სერიაში მოხერხებულობისთვის ვუწოდებთ მოლაპარაკება 2.0-ს, ლოგიკურ საწყის წერტილს წარმოადგენს.

<sup>7</sup> This description is very similar to the “wise elder” described in anthropological research about dispute settlement in “traditional” societies (see, e.g., *Gibbs*, 1963). Although this wise elder concept was part of the early ADR movement in the United States (*Crampton*, 2005, 231-232), emphasis on identifying and training local leaders has generally been replaced by training professionals in other fields, or volunteers, who have no presumed prior experience or demonstrated expertise.

<sup>8</sup> Or to civilize Rousseau’s “noble savage.”

პროფესიონალურ მოლაპარაკებაში საერთო მნიშვნელად რჩება ის, რომ მოლაპარაკების პარტნიორები უნდა დაკმაყოფილდნენ იმდენად, რომ განაგრძონ ცხოვრება ამ შედეგით; წარმატება ნიშნავს იმას, რომ არც პროცესი და არც შედეგი არ იწვევს მნიშვნელოვან ნეგატიურ ნაღვეს ან ნარჩენ წყენას.<sup>9</sup>

თუმცა თეორიის, პრაქტიკის და ეთიკის სწავლების გარდა პროფესიონალური განათლება მოითხოვს პიროვნული ზრდის მეორე და პარალელურ პროცესს. ჩვენს სფეროში ბევრი დაინერა პირველის შესახებ, მაგრამ უკანასკნელს არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა. რთული მოლაპარაკებები, მაგალითად ისინი, რომლებიც უფრო მეტად „მწვავეა“, ვიდრე „მშვიდი“,<sup>10</sup> მოითხოვს არა მარტო აშკარა უნარებს, არამედ აგრეთვე სიმნიფეს და ეგოს სიმარტივეს, რაც დაბანდებული დროის, რთულად მოპოვებული გამოცდილების (რაც ერთი და იგივე არ არის) და მკაფიო ეთიკური კოდექსის შედეგია.

### მოლაპარაკების პროფესიონალური სწავლების კონტენტი

მოლაპარაკება არ არის ერთადერთი პროფესია, რომელიც მოითხოვს სწავლების სპეციფიკურ კონტენტს, არამედ აგრეთვე წინა გამოცდილებას, აშკარად გამოხატულ სიმნიფეს და პიროვნულ ეთიკას, პირად დაფიქრებას, და უწყვეტი პრაქტიკის შესაძლებლობებს. პროფესიონალური სამაგისტრო პროგრამები სხვა სფეროებში, როგორცაა ბიზნესი, ხშირად აფასებენ წინა სამუშაო გამოცდილებას. მისაღები კომისიები იურიდიულ, სამედიცინო და სოციალურ ფაკულტეტებზე აფასებენ თითოეული კანდიდატის ეთიკას და სიმნიფეს. დახმარების სფეროს პროფესიები, როგორცაა ფსიქოთერაპია, მოითხოვს პირად დაფიქრებას და თვითშეგნებას როგორც საგანმანათლებლო, ასევე სალიცენზიო ატესტაციაში. უწყვეტი პრაქტიკის შესაძლებლობები გავრცელებულია პროფესიონალურ განათლებაში, რომელსაც სთავაზობენ კლინიკები, ადგილებზე განაწილება, ინტერნატურები და სტაჟირებები. კულტურული ანთროპოლოგიის უფრო მეტად „საკუთარი თავის გადარჩენის“ (“sinkorswim”) მიდგომის თანახმად, სტუდენტები შეიძლება გააგზავნონ საცდელ ადგილზე ძალიან მცირე ინსტრუქციებით, ხოლო უფრო ტექნიკურ პროფესიებში, როგორცაა მედიცინა და მანქანათმშენებლობა, აუცილებელია კონტროლირებადი განაწილებები. ზუსტი სტრუქტურა შეიძლება გლობალურად ცვალებადობდეს უმაღლესის შემდგომი განათლების ეროვნული და რეგიონალური კონტექსტების თანახმად, სასწავლო საათების აუცილებელი რაოდენობის ნორმების ჩათვლით, პრაქტიკული გამოცდილების, მეთვალყურეობის და გააზრებისგან განსხვავებით, და პროფესიონალური პროგრამის მიერ პრაქტიკის შესაძლებლობების ფორმალურად ორგანიზების უნარის ჩათვლით (როგორცაა კლინიკები ან მოკლევადიანი კონტრაქტები), სტუდენტებისგან უფრო მეტი დამოუკიდებლობის მოთხოვნისგან განსხვავებით. მაგრამ აშკარაა, რომ ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, უფრო მეტად ხარისხით, ვიდრე სახეობით განსხვავდება რიგ სფეროებში არსებული პრაქტიკისგან.

პროცედურის თვალსაზრისით, პროფესიონალური მოლაპარაკების პროგრამები შეიძლება მოიცავდეს მაგისტრატურული სემინარის ტიპის განხილვის და პირადი გააზრების კომბინაციას პირდაპირ დაკვირვებასთან და პრაქტიკასთან. სემინარის მიზანი იქნება არა კონტენტის წარმოდგენა ისე, თითქოს მოლაპარაკება სტუდენტისთვის ახალ თემას წარმოადგენდეს, არამედ სტუდენტების ჩართვა, მოლაპარაკების ჩარჩოების და კონცეფციების დაუფლება

<sup>9</sup> This corresponds to common professional codes of ethics to “do no harm” as a first principle. For a longer treatment of hoped-for outcomes and some typical blockages, see *Wade and Honeyman, 2006*.

<sup>10</sup> See *supra* endnote 4 for description of “wicked” problems. “Tame” problems, as summarized by *Ritchey, 2005-2008*, I have relatively well-defined stable problem statements that belong to a similar class of problems, which can be solved in a similar manner; a definite stopping point, so all know when a solution is reached; and a solution that can be objectively evaluated as right or wrong. See also *Honeyman C., De Palo*, chapters 17-21 in *Venturing Beyond the Classroom, 2010*, 439-509 and in this volume.

და შემდეგ დემონტაჟი და მოდიფიკაცია. ეს დინამიკა ანალოგიურია ჯეინ დოჩერტის (Jayne Docherty) (2010) მიერ აღწერილის, რომელშიც წარმოდგენილია ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკება, და აგრეთვე ამ პროექტში შემუშავებული ზოგიერთი მასალაც კი, უფრო როგორც დიალოგის დასაწყისი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოერგოს შემდეგ ეს მოდელები ცალკეულ სტუდენტებს და კონკრეტული მოლაპარაკებების კონტექსტებს. ასეთ მოდელში ინსტრუქტორი არ არის ცოდნის ერთადერთი წყარო (შედეგმა შეიძლება ხელი შეუწყოს შემდგომ მიღწევებს მოლაპარაკების თეორიაში და პრაქტიკაში).<sup>11</sup> საკლასო განხილვა აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნას გამოკითხვისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის, უშუალო დაკვირვების და მოლაპარაკების პროცესებში მონაწილეობის შემდეგ.

იმის მიუხედავად, რომ სტუდენტს ხელი შეეწყობა, ვრომ გააზიაროს თავისი წინა გამოცდილება მეხსიერების საფუძველზე, კლინიკური ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ან რეზიდენტურის გარკვეული ფორმა იდეალური იქნებოდა. ფაქტიობრივად, პრაქტიკული გამოცდილება უნდა წარმოადგენდეს სწავლების მთავარ ნაწილს. ეს აგრეთვე საშუალებას მისცემდა შემსწავლელებს, რომლებიც ექსპერტები არიან ერთ სფეროში, გამოიმუშაონ გარკვეული ცოდნა სხვების სფეროების შესახებ. მაგალითად, სტუდენტი, რომელსაც გამოცდილება იურიდიულ ფორმაში ჰქონდა დაგროვილი, შეიძლება მოისურვოს განაწილება პოლიციის ძალებში, რათა შეისწავლოს განსხვავებული პროფესიის კულტურული კონტექსტი და როგორ ზემოქმედებს ახდენს ის მოლაპარაკების დინამიკაზე. იდეალური პროგრამა მოიზიდავდა რიგი სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების მქონე სტუდენტებს, მოლაპარაკების ცვალებადი დინამიკის, პროცესების და პოტენციური შედეგების გაგების გამდიდრების მიზნით.

მრავალი ლოგიკური კითხვიდან ერთ-ერთი იქნებოდა, თუ რამდენი საათი უშუალო დაკვირვება და რამდენი საათი კონტროლირებადი მოლაპარაკება იქნებოდა საჭირო პროფესიონალური მომზადების შესახებ საბუთის მისაღებად. მნიშვნელოვანი დრო არის საჭირო არა მარტო უნარების გამოიმუშავების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, არამედ აგრეთვე იმისთვის, რომ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ, გამოიმუშაონ საკუთარი, პირადი სტილი და მოქმედების მექანიზმი, სემინარული განხილვის, პრაქტიკული გამოკითხვის და პირადი გააზრების მეშვეობით. პროფესიონალურ მომლაპარაკებლად გადაქცევის საკმარის ბევრი რამ აქვს საერთო საკუთარ „მესთან“, ხოლო თვითმეფასების უნარი არ არის ისეთი მარტივი და ბუნებრივი, როგორც ეს შეიძლება ჟღერდეს. განსაკუთრებით მაღალი ფსონების სიტუაციაში, ეგო არის ისეთი ფაქტორი, რომელიც მოითხოვს ფორმირებას, მაგრამ აგრეთვე გაუმჯობესებული თვითკონტროლის გამოიმუშავებას, ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფდეს „მეორე დღეს“ (allow for a “day-after”), რომელიც საკმარისად დამაკმაყოფილებელი იქნება მოლაპარაკების ყველა მხარისთვის (ისეთი მომლაპარაკებლის ბიოგრაფიული აღწერის, როგორიცაა ან გარდაცვლილი რიჩარდ ჰოლბროუკი (Richard Holbrooke) – იხილეთ Cholett and Power 2011 – ნებისმიერი მკითხველი აღიარებს, რომ დიდი ნიჭის მქონე პრაქტიკოსისთვის ამის შესრულება არ არის ადვილი; რაღა თქმა უნდა, აზროვნების სისწრაფის და ტექნიკური უნარების გარკვეული დონის ზემოთ, ეს შეიძლება კიდევ უფრო რთული გახდეს).

როგორია ასეთი ძალისხმევის შედეგი? როგორც პროფესია, მოლაპარაკება შეიძლება იცავდეს მეოცე საუკუნის პროფესიების რიტუალებს და საორგანიზაციო ფორმებს ან ცდილობდეს უფრო მეტად ოცდამეერთე საუკუნის მიდგომის გამოყენებას სოციალურ ქსელებში ურთიერთობის მეშვეობით. ეს ვარიანტები განხილულია შემდეგ.

<sup>11</sup> Jayne Docherty, 2010 contrasts Paulo Freire’s description of a “banking model,” seen as typical in formal education, in which teachers deposit information directly into students as whole chunks of content, with the need for greater humility from the instructor and willingness to let students modify content according to their interests and expertise. This approach reflects changes in higher education pedagogy today known as “student-centered learning” – reflected in a number of writings in this series.

## მოლაპარაკების, როგორც პროფესიის აღიარება, ორგანიზება და მხარდაჭერა: ფორმალიზაცია თუ არაფორმალური ურთიერთობა?

ბევრი რამ იქნა დაწერილი და განხილული ფორმალიზებული პრაქტიკის ცალკეულ პროფესიებად გარდაქმნის და შეფასების შესახებ. დავების ალტერნატიული მეთოდებით მოგვარების (ADR) პიონერები, უთითებდნენ დიდ წარმატებაზე, რასაც ინსტიტუციონალიზაცია მოწმობს და ნანობდნენ ზოგიერთი თავდაპირველად მოსალოდნელი შედეგების დაკარგვის შესახებ (Honeyman and Schneider 2004; Menkel-Meadow 2006). პროფესიონალიზაციის პროცესი მოითხოვს თეორიის და ცოდნის გამორჩეული სუბიექტის, პრაქტიკული სპეციალიზაციის და ეთიკური კოდექსის აღიარებას და დანიშნულებას. ამ თავში, ძირითადად, განხილულია „თეორიის და პრაქტიკის“ ელემენტი, რაც მეტყველებს მოლაპარაკების საერთაშორისო პოფესიონალური გამოცდილების და კულტურული გამოცდილების ინტეგრაციის სასარგებლოდ მართლაც გლობალური პროფესიის განვითარებისთვის. აქ ეთიკას ნაკლები ადგილი ეთმობა, რადგან ეს განხილვა წინასწარია და განხილულია, პირველ რიგში, უწყვეტ ფასეულობებში განსხვავებების კონტექსტში, „ზიანის არმიყენების“ ფართო პრინციპთან ერთად. ერთ-ერთი რთული საკითხია, თუ როგორ უნდა გამოვიმუშაოთ ეთიკის გლობალური კოდექსი, რომელიც საკმაოდ ფართო იქნება მოლაპარაკებების მრავალფეროვანი კონტექსტებისთვის და არის თუ არა ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკების ეთიკური პრინციპები, უბრალოდ, მეტისმეტად ვინრო საწყისი წერტილი ამ ამოცანისთვის (იხილეთ Docherty and Lira, *Adapting to the Adaptive*, ამ ნიგნში; Pou 2003).

კიდევ ერთი საკითხია, მივყვეთ თუ არა მეოცე საუკუნის პროფესიონალიზაციის პრაქტიკას. ეს მოიცავს პროფესიონალური გაერთიანების ფორმირებას, რომელსაც მხარს უჭერენ მოსაკრებლის გადამხდელი წევრები, კონფერენციები და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალები, არაფორმალური თანამშრომლობის მიზნით, განათლებაზე და პროფესიონალური ნოდებების მატარებლების ატესტაციაზე კონტროლის დანესების მიზნით. თუმცა ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ, მოლაპარაკება, როგორც პროფესია გადააწყდებოდა იგივე ზენოლას, რომელმაც მიიყვანა მეცნიერები აზრამდე ამგვარი ფორმალიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც შედეგად მოაქვს ინოვაციის, ინსტიტუციონალიზაციის და „რუტინამდე“ კაპიტულაციის ციკლი (Honeyman, Ackerman and Welsh 2003) (ეს კონცეფცია მოიცავს რუტინიზაციის და ბიუროკრატიის როგორც საშიშროებებს, ასევე, შესაძლებლობებს). ამგვარ პროცესს ირონიულად შეუძლია მიიყვანოს მოლაპარაკება იქამდე, რომ უარი თქვას თავისი საკუთარი გამოცდილების განმასხვავებელ თვისებაზე – კრეატიულ რეაგირებაზე,ს ორაზროვნებაზე და კონფლიქტზე.

თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ჩნდება ახალი სოციალური ფორმები ახალი ტექნოლოგიების შედეგად. ინტერნეტი და მობილური ტელეფონები ხელს უწყობენ მუდმივ კონტაქტს და ინფორმაციის გაცვლის და გამოქვეყნების ადვილ ხელმისაწვდომობას. ეს ნიშნავს იმას, რომ გლობალური ქსელების მართვა და მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს წევრების მოთხოვნების მიერ, უფრო მეტად, ვიდრე ლიდერების მცირე ჯგუფის გარე კონტროლის მიერ. გარდა ამისა, ეს ტექნოლოგიები ცვლის ურთიერთობებს მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის, სთავაზობს და, რიგ შემთხვევებში, მოითხოვს რა მუდმივ დიალოგს, განსაზღვრული საქონლის განცალკევებული წარმოების მაგივრად. საინფორმაციო და გართობის ინდუსტრიები, მაგალითად, აღარ აკონტროლებენ ინფორმაციას და გართობას ისე, როგორც ამას მეოცე საუკუნეში აკეთებდნენ და ადაპტაციამ გამოიწვია გარკვეული კრეატიული შედეგები.<sup>12</sup> საერთაშორისო განვითარების და არაკომერციული საქმიანობის სფეროებში, სოციალური მენარმეები პოულობენ წარმატების მიღწევის გზებს ფორმალური ორგანიზაციების

<sup>12</sup> Here we are thinking of the paradoxical success of allowing consumers to comment on, and even contribute to, creative direction – in the past, few could produce music or mass media publications without the resources of the entertainment or news publishing industry. Now, content creators often follow the lead from consumers – and still maintain a sense of originality (and still make a lot of money).

ფარგლებს გარეთ როგორც დაფინანსების, ასევე, ორგანიზების თვალსაზრისით (იხილეთ Bornstein 2004). როგორც ოცდამეერთე საუკუნის პროფესიამ, გლობალურმა მოლაპარაკებამ შესაძლოა შეძლოს კაპიტულაციის საშიშროებების თავიდან აცილება, იმის შემოქმედებითი ძიების გათვალისწინებით, თუ როგორ შეუძლია ტექნოლოგიას ორგანიზების და მდგრადი განვითარების ახალი ფორმების ხელშეწყობა. გლობალური მოლაპარაკების, როგორც განცალკევებით მდგომი პრაქტიკის მხარდაჭერა შემდეგ თავად ხდება მოლაპარაკების კიდევ ერთი სფერო და არა არსებული პროფესიების იმიტაციის აშკარა პროცესი.

## დასკვნა

ამ თავის დიდი ნაწილი წარმოადგენს არგუმენტს იმის სასარგებლოდ, თუ რა უნდა შეიცვალოს მოლაპარაკების კონცეპტუალიზაციაში, სწავლებაში და პროფესიონალიზაციაში. თუმცა ჩვენ არ გთავაზობთ ალტერნატიული მეთოდებით მოგვარების (ADR) და მოლაპარაკების პიონერების მემკვიდრეობისგან სრულ გადახვევას. მაიკლის შემოთავაზება ეხება ევოლუციას და არა რევოლუციას: ეს მემკვიდრეობა დაიწყო მოლაპარაკების აღიარებით პრაქტიკის ცალკეულ სფეროდ. შემდეგ აქცენტი იქნა გაკეთებული ფართო აუდიტორიების სწავლებაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პრაქტიკის გაუმჯობესება როგორც ყოველდღიურ, ასევე პროფესიონალურ ცხოვრებაში. შემდეგი ნაბიჯი მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ მოლაპარაკება იმ ფორმით, როგორც მას ექსპერტები ახორციელებენ, აგრეთვე, სასარგებლოა ფართო აუდიტორიებისთვის, რომელთაც შეიძლება დაიქირაონ პროფესიონალები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან რთული საქმეებისთვის. ასეთ შემთხვევაში, ეს შეთავაზება ფოკუსირებულია არა იმაზე, თუ როგორ უნდა გავზარდოთ დამწყები მომლაპარაკებლის ინფორმირებულობა, არამედ იმაზე, თუ როგორ მოვამზადოთ პროფესიონალი მომლაპარაკებლები, რომლებიც შემდეგ შეძლებენ სხვების კონსულტირებას და ორიენტირებას მოლაპარაკების პროცესში. ამ როლს აქვს რალაც საერთო ბერნარდ მაიერის (Bernard Mayer) მოლაპარაკების ინსტრუქტორის კონცეპციასთან (Mayer 2004), თუმცა მეიერის ვერსია იწყება „პროფესიონალური ნეიტრალური მიდგომით“ (“professional neutral”).

ამ სერიაში კონტექსტზე და კულტურაზე ფოკუსის შესაბამისად, ალექსანდრა, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ამ ევოლუციის კიდევ ერთი აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიცვალოს ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტი, რომელმაც ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკება ასეთი ინოვაციური და მნიშვნელოვანი გახადა მსოფლიოში. როჯერ ფიშერი (Roger Fisher) ხშირად განმარტავდა, რომ მან დაწერა „*დაიხ*“ *პასუხის მიღება (Getting to Yes)*, როგორც II მსოფლიო ომის ვეტერანმა, რომელსაც სურდა ომის ალტერნატივის სწავლება. ცივი ომის ბინარულ კონტექსტში გლობალური ფოკუსი იყო ორ ქვეყანაზე, რომელთა მიდგომა მოლაპარაკებასთან დამყარებული იყო ორმხრივად გარანტირებული განადგურების მეტად მარტივი კონცეფციით. ამ კონტექსტში, თამაშების თეორიის მიერ კონკრეტიზირებული, ინტერესზე დამყარებული მოლაპარაკება გვთავაზობდა აუცილებელ საპასუხო დარტყმას ნეგატიურ გარიგებაზე (მოლაპარაკებაზე), რომელსაც შეეძლო ბირთვული ომის გამოწვევა.

დაახლოებით 1990 წლის შემდეგ, „მოლაპარაკება 1.0“-ს გლობალური წარმატება ჰქონდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დაფინანსებაში, დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების და ანტიტერორისტული ინიციატივებისთვის. „მოლაპარაკება 1.0“-ის მემკვიდრეობა გარკვეულწილად გრძელდება. იმის გამო, რომ ეკონომიკური, ტექნოლოგიური და დემოგრაფიული ტენდენციები აყალიბებენ სულ უფრო რთულ საერთაშორისო კონტექსტებს, ის, რაც ისწავლებოდა, როგორც საბაზო მოლაპარაკების ცვლადები, როგორცაა „ვინ არიან მხარეები“, „რა სურთ მათ“, და „როგორ უნდა შევაფასოთ წარმატება“, შესაძლოა თავად მოითხოვდეს უწყვეტ მოლაპარაკებას. ინოვაციის მუდმივი აუცილებლობა მოლაპარაკებაში და მისი, როგორც დარგის ზეგავლენა ახლა მოითხოვს მაღალ პროფესიონალურ დონეზე კონტექსტის და კულტურული სხვაობების შეტანას მოლაპარაკების კონცეფციებში, სწავლებაში და პრაქტიკაში. ეს შეთავაზება ერთ-ერთი ვარიანტია. მივესალმებით დიალოგს ამ და სხვა ვარიანტების შესახებ.



## წყაროები

- Bornstein D.*, How to change the world: Social entrepreneurs and the power of new ideas, New York, NY: Oxford University Press, 2004.
- Cambria J., DeFilippo R. J., Loudon R. J., McGowan H.*, Negotiation Under Extreme Pressure: The “Mouth Marines” and the Hostage Takers, *Negotiation Journal*, Vol. 18(4), 2002, 331-344.
- Chollet D., Power S.*, The Unquiet American: Richard Holbrooke in the World, Philadelphia, PA: Perseus Book Group, 2011.
- Coleman P.*, The five percent: Finding solutions to seemingly impossible conflicts, New York: Public Affairs, 2011.
- Coleman P.*, Getting Down to Basics: A Situated Model of conflict in social relations. *Negotiation Journal*, Vol. 28(1), 2012, 7-43.
- Crampton A.*, Addressing Questions of Culture and Power in the Globalization of ADR: Lessons from African Influence on American Mediation, *Hamline Journal of Public Law & Policy*, Vol. 27(2), 2005, 229-242.
- Crampton A.*, Teaching negotiation as cross-cultural work: An anthropological view. *Teaching Negotiation* 1(2), 2008, <<http://archive-contact.com/fs079/1101638633053/archive/1102183104329.html>>, [15.06.2012].
- Docherty J. S.*, “Adaptive” Negotiation: Practice and Teaching, In *Venturing Beyond the Classroom: Vol. 2 in the Rethinking Negotiation Teaching Series*, edited by *C. Honeyman, J. Coben, and G. De Palo*, St Paul, MN: DRI Press, 2010
- Fisher R., Ury W., Patton B.*, Getting to Yes, Negotiating Agreement without Giving in, 2<sup>nd</sup> ed., New York, Penguin, 1991.
- Gibbs J. L.*, The Kpelle Moot: A Therapeutic Model for the Informal Settlement of Disputes, *Africa: Journal of the International African Institute*, Vol. 33(1), 1963, 1-11.
- Compilation of 17 articles, Responding to the Broad Field Project/Penn State Dickinson Law School 2003 Conference on Threats to the Conflict Resolution Field, Special Issue, *Honeyman C., Ackerman R., Welsh N. A.*, (eds), *Penn State Law Review*, Vol. 108(1), 2003, 1-348.
- Venturing Beyond the Classroom, Vol. 2 in the Rethinking Negotiation Teaching Series*. St. Paul, MN: DRI Press, *Honeyman C., Coben J., De Palo G.*, (eds), 2010.
- Honeyman C., Schneider A. K.*, Catching Up with the Major-general: The Need for a “Canon of Negotiation”, *Marquette Law Review*, Vol. 87, 637-647.
- Knauff B.*, Genealogies for the present in cultural anthropology, New York, NY: Routledge, 1996.
- Kolb D., Williams J.*, The Shadow Negotiation: How Women Can Master the Hidden Agendas that Determine Bargaining Success, New York, Simon & Schuster, 2000.
- Korobkin R., Guthrie C.*, Heuristics and Biases at the Bargaining Table, In *The Negotiator’s Fieldbook: The Desk Reference for the Experienced Negotiator*, edited by *A. K. Schneider and C. Honeyman*, Washington, DC, American Bar Association, 2006.
- Mayer B.*, Beyond Neutrality: Confronting the Crisis in Conflict Resolution, San Francisco, Jossey-Bass, 2004.
- Menkel-Meadow C.*, Why Hasn’t the World Gotten to Yes? An Appreciation and Some Reflections, *Negotiation Journal*, Vol. 22(4), 2006, 485-503.
- Patera M., Gamm U.*, Emotions – a Blind Spot in Negotiation Training? In *Venturing Beyond the Classroom, Vol. 2 in the Rethinking Negotiation Teaching Series*, edited by *C. Honeyman, J. Coben and G. De Palo*. St Paul, MN: DRI Press, 2010.
- Patton B.*, On teaching negotiation. Program on Negotiation Working Paper, Harvard Law School 1984, updated in 2000 with commentary and included in *Teaching Negotiation: Ideas and Innovations*, edited by *M. Wheeler*, Cambridge, MA: PON Books.
- Pou C.*, “Embracing limbo”: Thinking About Rethinking Dispute Resolution Ethics, *Penn State Law Review*, Vol. 108(1), 2003, 199-225.
- Ritchey T.*, *Wicked problems: Structuring social messes with morphological analysis*. Swedish Morphological Society., 2005-2008, <[www.swemorph.com/wp.html](http://www.swemorph.com/wp.html)>, [15.06.2012].

- Schneider A. K., Cheldelin S., Kolb D., What travels: Teaching Gender in Cross-cultural Negotiation Classrooms, In Venturing Beyond the Vlassroom, Vol. 2 in the Rethinking Negotiation Teaching Series, edited by C. Honeyman, J. Coben, and G. De Palo, St Paul, MN: DRI Press, 2010*
- Taylor P. J., Donohue W., Hostage Negotiation Opens Up, in The Negotiator's Fieldbook: The Desk Reference for the Experienced Negotiator, edited by A. K. Schneider and C. Honeyman, Washington, DC: American Bar Association, 2006.*
- Tinsley C. H., Cheldelin S. I., Schneider A. K., Amanatullah E. T., Negotiating Your Public Identity: Women's Path to Power, in Rethinking negotiation teaching: Innovations for context and culture, edited by C. Honeyman, J. Coben and G. De Palo, St Paul, MN: DRI Press, 2009.*
- Volpe M., Cambria J. J., McGowan H., Honeyman C., Negotiating with the Unknown, in The negotiator's fieldbook: The desk reference for the experienced negotiator, edited by A. K. Schneider and C. Honeyman, Washington, DC: American Bar Association, 2006.*
- Wade J. H., Honeyman C., A lasting agreement, in The negotiator's fieldbook: The desk reference for the experienced negotiator, edited by A. K. Schneider and C. Honeyman, Washington, DC: American Bar Association, 2006.*

## **Arbitration as a Tool for hedging Risks of Dispute Resolution in Investment: A Brand-New Strategy with Investment Treaty Arbitration**

### **Introduction**

A specific feature of international arbitration in the last decade has been the emergence of a major increase in the utilization of investor-State arbitrations under investment treaties.<sup>1</sup> They are generally used between a corporation in a developed country (an investor) and a State itself in a developing country (a host country).<sup>2</sup> This type of arbitration enables a corporation to avoid defences based solely on the doctrine of sovereign immunity from suit from a developing country and to file for arbitration directly against a State itself. Moreover, it enables a corporation to change the existing order of international law in the field of international investment.

This paper first provides an overview of the rise of a form of international commercial arbitration I describe as “investment arbitration”. In these cases a corporation files for arbitration not against a State but against another business corporation; frequently this will involve a corporation in a developed country (an investor) bringing an arbitration against another business corporation in a developing country (a local corporation). My argument is that this type of arbitration is, in nature, as described below, different from traditional types of international commercial arbitration. Of course, this investment arbitration takes place not at the level of international law but at the level of national law. Nevertheless, it is important to analyse this phenomenon for the better understanding of business corporations’ behaviour on the level of international law.

The paper then goes on to explain why the investor-State arbitration model is now of particular importance for business corporations. In particular it notes that the investment arbitration model does not work if the other party to a dispute is the host State itself. The discussion also analyses how the “investor-State arbitration” model of arbitration is working in the contemporary world of international investment law and how it is changing the existing order of international law in a number of respects.

Third, this paper describes how business corporations can strategically create a new order of international law through investment treaty arbitration.

Finally, the paper raises issues about the future, including whether this type of strategy will emerge in other areas, and the range of possible response to the challenges to which this gives rise.

### **I. Strategic Use of Arbitration in Investment**

#### **1. Business corporations’ intent to use arbitration in investment**

The scene of international commercial arbitration has changed over the past decade. Precisely speaking, however, the scene of traditional “international commercial arbitration” has not drastically

---

\* The Author is a professor of law at Rikkyo University and a practicing Lawyer.

<sup>1</sup> For instance, the total number of the cases by year registered at the ICSID (International Centre for Settlement of Investment Disputes) has significantly increased over the past decade. Up until 1996, the number of cases registered each year was less than 5. From 1997 to 2002, the number of cases registered each year was more than 9 but less than 20. From 2002 to 2011, the total number by year was always more than 20, especially, more than 30 in 2003, 2007 and 2011. For more details, see, International Centre for Settlement of Investment Disputes, The ICSID Caseload – Statistics, Issue 2012-1, 2012, <<http://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=ICSIDDocRH&actionVal=CaseLoadStatistics>>.

<sup>2</sup> Exactly speaking, recently, there are many investment treaties between developing countries and “developing countries”. However, many of the “developing countries” have substantially been as powerful as developed countries. This type of “developing countries” should be considered as “developed countries” in this chapter.

change.<sup>3</sup> International commercial arbitration still enables business corporations to avoid unnecessary additional disputes on adjudicative jurisdictional matters and to obtain quick and persuasive decisions made by experienced and knowledgeable arbitrators. It has been widely used as an effective and sophisticated tool for cross-border dispute resolution between business corporations in different countries, especially in different developed countries.<sup>4</sup>

In contrast the landscape of “investment arbitration” – that is, arbitration between a business corporation based in a developed country (an investor) and another business corporation in a developing country (a local corporation) – has begun to develop significantly over the past decade.<sup>5</sup> The standard scenario is as follows. An investor tries to insert an arbitration clause into the investment agreement with a local corporation in the host country, out of concern that a local national court in the host country will not be neutral and impartial in disputes between the investor and the local corporation. By this means, the investor seeks to create a dispute resolution body, which is independent from the host country, by inserting an arbitration clause in the investment agreement.

The investor’s motivation for utilising arbitration for dispute resolution in such cases, in my experiences as a practicing lawyer, is thus significantly different from the reason why traditional international commercial arbitration is used. In the latter case, both parties consider it advantageous to use arbitration as a means to avoid unnecessary additional disputes over jurisdictional matters and to obtain prompt decisions made by expert arbitrators. In the former case, investors from developed countries prefer arbitration, in my experiences as a practicing lawyer, as it provides a way to avoid decisions being made by the local national courts in developing countries where the investor may have concerns about the impartiality of the courts in disputes between locals and foreigners. Utilizing arbitration is advantageous not for the local corporation but for the investor corporation. For local corporations, the local national court with judges of the same nationality seems more sympathetic to them. As a result, the investor attempts to insert an arbitration clause in their agreement, although the local corporation usually objects to the inclusion of such a provision.

In the usual course of events, however, the local corporation reluctantly accepts the arbitration clause in their agreement, for reasons explored in the next section.

## **2. Pressures to use arbitration in investment**

In most cases today, a local corporation in a developing country is under considerable pressure to accept an arbitration clause in their agreement with an investor. Sometimes, the local corporation has to accept an arbitration clause because of the imbalance of bargaining power between the investor and itself. If the proposal by the investor is enticing in substance and any other local competitor has an interest in the proposal, the local corporation has no choice but to accept the arbitration clause.

Additionally, many host countries have to establish their local arbitration systems, not out of desire, but out of necessity, because the host countries themselves are under strong pressure to do so. Many

---

<sup>3</sup> For instance, the International Court of Arbitration of the ICC (International Chamber of Commerce) has been one of the most significant arbitration institutions. The Arbitration Rules of the ICC were established in 1998 and were used world-widely since then. The ICC has recently revised its Arbitration Rules, with the new rules entering into force on 1 January 2012. However, the new rules do not include any major changes compared with the earlier rules. For more details, see, <<http://iccwbo.org/court/arbitration/index.html?id=42394>>.

<sup>4</sup> For instance, a huge number of cases have been registered to the ICC until now. The number of cases registered each year was more than 500 from 2000 to 2007 and more than 600 from 2008 to 2010. For more details including statistics of other arbitration institutions, see, <[http://www.siac.org.sg/index.php?option=com\\_content&view=article&id=339&Itemid=73#international\\_cases](http://www.siac.org.sg/index.php?option=com_content&view=article&id=339&Itemid=73#international_cases)>.

ვის არიდების საშუალებად მიიჩნევენ, ექსპერტი არბიტრების დახმარებით, სწორი გადაწყვეტილების მიღების გზაზე. წინა შემთხვევაში კი ინვესტორები განვითარებული ქვეყნებიდან ამჯობინებენ საკომერციო არბიტრაჟს იმდენად, რამდენადაც ის მათთვის ადგილობრივი (განვითარებადი) ქვეყნის მოსამართლეების გადაწყვეტილებებისაგან თავის არიდების საშუალებას იძლევა; აქ, ინვესტორს, შესაძლოა, გაუჩნდეს ეჭვი სასამართლო მიუკერძოებლობის მიმართ უცხოელებსა და ადგილობრივ მხარეებს შორის მიმდინარე დავის პირობებში. აღნიშნული არბიტრაჟის გამოყენება მომგებიანია ასევე არა მხოლოდ ადგილობრივი კორპორაციისთვის, არამედ ინვესტორი კორპორაციისთვისაც. ადგილობრივი კორპორაციებისთვის ადგილობრივი ეროვნული სასამართლო იმავე ეროვნების მოსამართლეებისთვის უფრო გულისხმიერად გამოიყურება. შედეგად, ინვესტორი შეეცდება საინვესტიციო ხელშეკრულებაში ჩადოს საინვესტიციო არბიტრაჟის სამართლებრივი შესაძლებლობის შესახებ პირობა მაშინ, როცა ადგილობრივი კორპორაცია ამას ზოგადად არ მიესალმება.

როგორც წესი, პრაქტიკაში ადგილობრივი კორპორაცია საკუთარი ნების წინააღმდეგ აღნიშნული პირობის შეტანას მაინც თანხმდება იმ მიზეზით, რომელიც შემდეგ თავშია მოყვანილი.

## 2. ზენოლა საინვესტიციო არბიტრაჟის გამოყენებასთან დაკავშირებით

დღეს, უმეტეს ქვეყნებში, ადგილობრივი კორპორაცია განვითარებად ქვეყანაში საინვესტიციო საარბიტრაჟო გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ არსებულ სამართლებრივი პირობის საინვესტიციო კონტრაქტში ჩართვასთან დაკავშირებით სერიოზული წნეხის ქვეშ ექცევა. ზოგჯერ, ადგილობრივ კორპორაციას ხსენებული პირობის მიღება მასსა და ინვესტორს შორის არსებული არათანაბარი სავაჭრო მოლაპარაკებების პირობებში უხდება. თუ ინვესტორის წინადადება არსებითად მომხიბვლელია და ამით შეიძლება რომელიმე სხვა ადგილობრივი კონკურენტი დაინტერესდეს, ადგილობრივ კორპორაციას სხვა გამოსავალი არ რჩება და იგი იძულებულია ხსენებული პირობაც საინვესტიციო კონტრაქტში ჩართოს.

გარდა ამისა, სხვადასხვა მასპინძელმა ქვეყანამ საკუთარი საარბიტრაჟო სისტემა ჩამოაყალიბა, არა საკუთარი სურვილით, არამედ აუცილებლობის გამო, რადგან მასპინძელი ქვეყნები თავად ამავე ზენოლის ქვეშ ექცევიან. სხვადასხვა განვითარებადი ქვეყანა ერთმანეთთან კონკურენციაშია, რათა საზღვარგარეთიდან ინვესტორები მოიზიდონ, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნებიდან. მასპინძელ ქვეყნებს ამით იმის გარანტირება უხდებათ, რომ საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო საკომერციო არბიტრაჟი ადგილობრივი სამართლის სივრცეში წარიმართება<sup>6</sup>. თანამედროვე და მოქნილი საარბიტრაჟო სისტემის არსებობა არის პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ინვესტორის მიერ გასათვალისწინებელი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას გადაწყვეტილების მიღება უწევს მასზედ, თუ სად განახორციელოს ინვესტიციების დაბანდება, კერძოდ, დააბანდოს თუ არა ინვესტიცია ამა თუ იმ ქვეყანაში<sup>7</sup>. შესაბამისად, თითოეულ მასპინძელ ქვეყანას არ რჩება გამოსავალი, გარდა ადგილობრივი საარბიტრაჟო სისტემის ჩამოყალიბებისა<sup>8</sup>.

<sup>6</sup> შესაძლებელია, არსებობდეს სხვა ვარიანტიც: აღნიშნულის დასამტკიცებლად მხარეები არიჩვენენ უცხოურ საარბიტრაჟო ფორუმს. ამ ორი ვარიანტის შედარებით, პირველს დავების მოგვარების საქმეში მეტი კონტროლის შესაძლებლობები გააჩნია.

<sup>7</sup> მაგალითად, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ეროვნული ბანკი სთავაზობს შეფასებას იმის დასადგენად შეესაბამება თუ არა განვითარებული ქვეყნების გარკვეული ნაწილი არბიტრაჟის საერთაშორისო ნაცად, აპრობირებულ პრაქტიკას. განვითარებადმა ქვეყნებმა აღნიშნული შეფასება უნდა მიიღონ იმისთვის, რომ სხვა ბაზრებიდან ინვესტორების მოზიდვა შეძლონ. მეტი ინფორმაციისთვის იხ. <[http://www.ebrd.com/pages/sector/legal/judicial\\_capacity/assessments.shtml](http://www.ebrd.com/pages/sector/legal/judicial_capacity/assessments.shtml)>.

<sup>8</sup> ისეთი მძლავრი განვითარებადი ქვეყანა, როგორიცაა ჩინეთი ერთგვარი წნეხის ქვეშ ექცევა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადრეულ ეტაპზე არბიტრაჟის სისტემა არ არსებობდა და ჩინეთში ინვესტორები ადგილობრივი სასამართლო გადაწყვეტილებების სუბიექტები გახლდნენ საკუთარი დავების გადასაწყვეტად. ძლიერი ზენოლის შედეგად განვითარებული ქვეყნების მხრიდან, ჩინეთმა

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს ადგილობრივი საარბიტრაჟო სისტემების ჩამოყალიბება უხდებათ, მათ მაინც არ სურთ აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ან არბიტრაჟით ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის ჩანაცვლება, სადაც იმავე ეროვნების მოსამართლეებია წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის საუკეთესო გამოსავალია ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც გარეგნულად გავს არბიტრაჟს, მაგრამ არსებითად მაინც განსხვავებულია. როცა ეს სისტემა ჩამოყალიბდება, ადგილობრივი კორპორაციისთვის საუკეთესო პრაქტიკაა მიმართოს ადგილზე შექმნილ საარბიტრაჟო სისტემას<sup>910</sup>.

### 3. წინააღმდეგობა და სამართლებრივი კონტრიერიში

როცა ქვეყანა ჩამოაყალიბებს საარბიტრაჟო სისტემას, ის აამოქმედებს საიმპლემენტაციო სამართლებრივ მექანიზმს და შესაბამისი წესით საარბიტრაჟო ინსტიტუტს ჩამოაყალიბებს. საარბიტრაჟო კანონი და წესები შეიძლება იყოს ვრცელი და ჩახლართული, ამრიგად, ისეთი პირობების ჩართვა, რომლებიც ადგილობრივი კორპორაციებისთვის იმუშავებს ადგილობრივ სამართლებრივ სივრცეში, ასევე შესაძლებელია<sup>11</sup>.

თუმცა ასეთი პირობის ჩარვა მარტივი არაა UNCITRAL მოდელის წყალობით საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის გათვალისწინებით<sup>12</sup> თავისივე საარბიტრაჟო წესებით. აღნიშნული მოდელი შეიქმნა მსოფლიოში საარბიტრაჟო კანონების ჰარმონიზაციის მიზნით ისე-

---

უცხოური საარბიტრაჟო სავაჭრო კომისია ჩამოაყალიბა, ჩინეთის საბჭოს დაქვემდებარებაში, რომელიც 1956 წელს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდასაჭერად დაფუძნდა საერთაშორისო ვაჭრობის საარბიტრაჟო ინსტიტუტის სახით. ეს ინსტიტუტი შემდგომში უცხოური ეკონომიკური და სავაჭრო საარბიტრაჟო კომისიის ორგანოდ გადაკეთდა (1980), ხოლო შემდეგ ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო არბიტრაჟის ორგანოდ (1988). მეტი ინფორმაციისთვის იხ. *Weigong Xu.*, Definition of Arbitration in China, 30 J L COM, Vol. 30, 2011, 107; *Liu H., Qiu Y., King & Wood*, Recent Development in Arbitration Practice in China, PLI/Lit, Vol. 876, 2012, 71.

<sup>9</sup> მაგალითად, 2012 წლის ცვლილებამდე, ჩინეთში ორი საარბიტრაჟო წესი არსებობდა: წესი საერთაშორისო საქმეებისთვის და წესი შიდა საქმეებზე. აქვე იყო წარმოდგენილი შესაძლო არბიტრების ექსკლუზიური სია: საერთაშორისო და საშინაო საქმეებისთვის. წინა სია მოიცავდა არბიტრებს ისევე, როგორც ჩინეთის მკვიდრ პიროვნებებს, მაგრამ მეორე მხოლოდ ჩინელ მოქალაქეებს მოითვლიდა. ჩინეთში უცხოელი ინვესტორებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სიის არბიტრებს ისინი საკუთარი დავების შემთხვევაში ვერ გამოიყენებდნენ, რადგან საქმე, რომელიც ადგილობრივ და უცხოური კომპანიის შვილობილ სუბიექტს ეხებოდა, საშინაო საქმის რანგში გადიოდა. ეს იმიტომ, რომ შვილობილი კომპანია სამართლებრივად „ჩინურ“ კომპანიად მოიაზრებოდა – მაშინაც კი, როცა ის მთლიანად უცხოელი ინვესტორის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს ნიშნავს იმას, რომ უცხოელი ინვესტორები ჩინეთში მხოლოდ მკვიდრ არბიტრებს მიმართავდნენ მათ ადგილობრივ კომპანიებსა და ჩინურ ბიზნეს კომპანიებს შორის წარმოქმნილი დავების მოსაგვარებლად.

<sup>10</sup> CIETAC არბიტრაჟის წესები სამი არბიტრის შერჩევის საქმეში ასევე უნიკალურ პირობას წარმოადგენდა. შესაბამისი პირობის მიხედვით, სხვა საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, მოსარჩელე და მოპასუხე ერთ არბიტრს შეარჩევენ და შემდეგ ორივე მხარის შეთანხმებით მოხდება ზედამხედველი არბიტრის შერჩევა, რომელიც ორივე მხარის არბიტრების მიერ დამტკიცდება. ხსენებული არბიტრაჟის 25-ე წესის თანახმად, მოსარჩელე და მოპასუხე შეარჩევენ ერთ არბიტრს, ხოლო მერე ზედამხედველი არბიტრი მხარეების მიერ დაინიშნება. ჩვეულებრივი ამბავია ის, რომ მოდავე მხარეები ზედამხედველი არბიტრის დანიშნვაზე ვერ თანხმდებიან და შემდეგ CIETAC-ის თავმჯდომარე, საბოლოოდ, მას თავად დაამტკიცებს. თავმჯდომარე, რამდენადაც მე ვიცი, ჩემი არბიტრაჟში მიღებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ძირითადად, ჩინეთის მკვიდრ ზედამხედველ არბიტრს აირჩევადა ხოლმე. შედეგად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის უმრავლესობა ჩინეთის მკვიდრ არბიტრებად კომპლექტდება მაშინაც კი, როცა უცხოური კორპორაცია საერთაშორისო საქმეებისთვის განკუთვნილ არბიტრების სიას მიმართავს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. <<http://www.cietac.org/index.cms>>.

<sup>11</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა 10.

<sup>12</sup> UNCITRAL-ის მოდელის სამართალი საერთაშორისო კომერციულ სამართალთან დაკავშირებით (1985), 2006 წელს მიღებული შესწორებების გათვალისწინებით იხ., <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html)>, ინფორმაცია იმ ქვეყნებზე, რომლებმაც აღნიშნული მოდელის გათვალისწინებით სამართლებრივი ბაზა შეიმუშავეს იხ., <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration_status.html)>.



ვე, როგორც განვითარებული ქვეყნებისთვის მზარდი დახმარების აღმოსაჩენად. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები<sup>13</sup> ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ მოხერხდეს შესაბამისი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა შემთხვევითი საარბიტრაჟო საქმეებისთვის. თუმცა ეს სამართლებრივი ტექსტები შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყანაში საარბიტრაჟო წესების გაანალიზებისთვის ისევე, როგორც იმ წესებისა, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის საარბიტრაჟო ინსტიტუტში მოქმედებს. ინვესტორს, შეუძლია, აღმოაჩინოს ერთი ან მეტი პირობა, რომელიც სტანდარტული საარბიტრაჟო წესებისგან განსხვავდება და ამრიგად, ეს განსხვავება ინვესტორზე დადებითად არ აისახება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინვესტორისთვის მარტივია, ამ სტანდარტული სამართლებრივი ტექსტის გათვალისწინებით, დაიანგარიშოს მასპინძელ ქვეყანაში სამართლებრივი რისკების წარმოქმნის ალბათობა დავის გადაწყვეტის პირობებში<sup>14</sup>.

თუმცა უცხოური საარბიტრო გადაწყვეტილებების სამართლებრივი აღსურლების აღიარების კონვენციის არსებობა (ნიუ-იორკის კონვენცია<sup>15</sup>) ქვეყანაში რისკის<sup>16</sup> დათვლის კიდევ ერთი საიმედო საშუალებაა. გარდა ამისა, სანიმუშო საარბიტრაჟო პირობის არსებობა UNICITRAL საარბიტრაჟო წესებში მასპინძელი ქვეყნისგან რაიმე უნიკალური საარბიტრაჟო პირობების წამოყენების საშუალებას გამოორიცხავს, რომელიც, თავის მხრივ, ინვესტორისთვის არასასიკეთოდ იმუშავებს<sup>17</sup>. არ უნდა დაგვავინწყდეს ის ფაქტი, რომ UNICITRAL უშუალოდ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ გამოიყენება (რომელიც განვითარებად ქვეყნებსაც მოიცავს), თუმცა რეგულირდება რიგი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება.

მაგრამ მაშინაც კი, როცა ხორციელდება „სტანდარტიზებული“ წესებისა და კანონების მიღება, წინააღმდეგობის გარკვეული ფორმები მაინც შეიმჩნევა. მაგალითად, არსებობს რიგი სამართლებრივი შემთხვევა, რომელშიც ადგილობრივი სასამართლოები საკუთარი გადაწყვეტილებებით ან აუქმებენ, ან ცდილობენ გააუქმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები<sup>18</sup>. ადგილობრივი სასამართლო, ზოგჯერ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რადგან მათი ხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ერთი ან რამდენიმე პროცედურული შეცდომების თანდართვით, ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესებს (პოლიტიკას) ეწინააღმდეგებოდა. თუმცა ინვესტორებს ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ ინვალიდაცია განცოცხლდა

<sup>13</sup> UNCITRAL-მა აღნიშნული პირველად 28 აპრილს 1976 წელს მიიღო, ხოლო 2010 წელს გადასინჯა. 2010 წლის წესები ძალაში 2010 წლის 15 აგვისტოს შევიდა.

<sup>14</sup> მაგალითად, მე-7 შენიშვნაში მოყვანილი შეფასებების მიზნით, EBRD UNCITRAL-ის წესებს იყენებს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სტანდარტული წესების სახით, რომელიც ხსენებული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობას ედრება. მეტი ინფორმაციისთვის იხ., <[http://www.ebrd.com/pages/sector/legal/judicial\\_capacity/assessments.shtml](http://www.ebrd.com/pages/sector/legal/judicial_capacity/assessments.shtml)>.

<sup>15</sup> 330 UNTS, 3.

<sup>16</sup> 2012 წლის 14 აპრილის მიხედვით, კონვენციამ 146 მხარე-ქვეყანა გაიერთიანა. იხ., <<http://treaties.un.org/Pages/ParticipationStatus.aspx>>. აღნიშნულ სიტუაციაში, ის ფაქტი, რომ შესაძლო მასპინძელი ქვეყანა ნიუ-იორკის კონვენციის წევრი არ არის ინვესტორისთვის სერიოზულ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. Multilateral Treaties Deposited with the Secretary-General, chapter XXII, <<http://treaties.un.org/Pages/ParticipationStatus.aspx>>[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention.html)>.

<sup>17</sup> სამოძღვრო არბიტრაჟის პირობა UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებში გვთავაზობს: „ნებისმიერი დავა, განაცხადი თუ წინააღმდეგობა, რომელიც კონტრაქტიდან მომდინარეობს (ან გარკვეული სამართლებრივი უზუსტობით), გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად უნდა გადაწყდეს (მიმდინარე მდგომარეობით). შენიშვნა – მხარეებმა შეიძლება იფიქრონ შემდეგ დამატებაზე: ა. დანიშნული პირი შეიძლება იყოს (პირის ან ორგანოს სახელი); ბ. არბიტრების რაოდენობა შეიძლება იყოს (ერთი ან სამი); გ. არბიტრაჟის ადგილი იქნება... (ქვეყანა ან ქალაქი), დ. სამართალწარმოების ენა იქნება...“

<sup>18</sup> ქრომალოის და ბეხტელის საქმე; იხილე შენიშვნები 20 და 21, ასეთი ინვალიდაციის კარგი მაგალითებია. დამატებით, არსებობს კიდევ რამდენიმე საქმე, სადაც ეროვნულ სასამართლოებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებები გაუუქმებიათ იქ, სადაც არბიტრაჟის სასამართლო არ ჩატარებულა; მაგალითად, იხ. *Karaha Bodas Co., L.L.C. v. Perusahaan Pertambangan Minyak Dan Gas Bumi Negara (Pertamina)*, 364 F.3d 274 (5th Cir. 2004) and 313 F.3d 70 (2nd Cir. 2002).

იმიტომ, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება ადგილობრივი კორპორაციისა თუ მასპინძელი ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამებოდა<sup>19</sup>.

იმისთვის, რომ ასეთი ტიპის წინააღმდეგობას ჯეროვანი პასუხი გაეცეს, რიგ შემთხვევებში, მხარეები შეეცადნენ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პირობები სხვა, არამასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ამოქმედებინათ. ქრომალოისა და ბენტელის საქმეები კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ წარმოებს ეს უკუშეტევა. ქრომალოის შემთხვევაში, უცხოურმა ბიზნეს კორპორაციამ ადგილობრივი ეგვიპტური იურიდიული პირის მიმართ საქმე აღძრა – თვითონ ეგვიპტეში არსებულ საარბიტრაჟო სასამართლოში. მოსარჩელე კორპორაციამ არბიტრაჟი მოიგო, თუმცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეგვიპტური ეროვნული სასამართლოს მიერ გაუქმებულად ცნო. აშშ-ის სასამართლომ საბოლოოდ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ამოქმედება აშშ-ის ტერიტორიაზე უზრუნველყო<sup>20</sup>. მსგავსად, ბენტელის შემთხვევაში, ერთ-ერთმა ბიზნესკორპორაციამ გაერთიანებული ემირატების ტერიტორიაზე არსებულ იურიდიული პირის მიმართ საქმე აღძრა საარბიტრაჟო სასამართლოში – დუბაიში. კორპორაციამ ეს საქმე მოიგო და გადაწყვეტილების აღსრულება საფრანგეთში განხორციელდა. საბოლოოდ, დუბაის სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოაცხადა იმ მიზეზით, რომ საარბიტრაჟო კოლეგია დუბაის სასამართლოს პროცედურულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა. შედეგად, მოპასუხემ საფრანგეთში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება გაასაჩივრა იმ მიზეზით, რომ თვითონ იგი უკვე ძალადაკარგულად გამოცხადდა. პარიზის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა<sup>21</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტორსა და მასპინძელ ქვეყნებში სამართლებრივი წინააღმდეგობისა და კონტრიერის მაგალითები მოვიყვანეთ, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების წრეში, კერძოდ, თუ როგორ იქმნება და ფუნქციონირებს საარბიტრაჟო სისტემა<sup>22</sup>.

## სახელმწიფო, როგორც მხარე და ინვესტორი ქვეყნის არბიტრაჟი

### 1. სახელმწიფო, როგორც საინვესტიციო პროექტის მხარე

ზემოთ აღწერილი მაგალითი წინააღმდეგობისა და სამართლებრივი კონტრიერის შესახებ ხშირად არ მოიცავს ინვესტორსა და უშუალოდ სახელმწიფოს ურთიერთობას. დღეს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებში, თვითონ სახელმწიფო საინვესტიციო პროექტის ერთ-

<sup>19</sup> საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟმა ჩამოაყალიბა ერთ-ერთი ქვეკომიტეტი 2008 წელს, რომელსაც მრავალ ქვეყანაში უნდა ჩაეტარებინა კვლევა არბიტრაჟის გადაწყვეტილებების მიღება-აღსრულების მხრივ ნიუ-იორკის კონვენციის წვერი ქვეყნების ფარგლებში. კვლევის პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო არბიტრაჟული გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულება ეროვნული სასამართლოების მხრიდან, განსაკუთრებით საბჭოს განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. კვლევის პროექტთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელიც სუბ-კომიტეტმა 2009 წელს გამოსხა, იხ. Guide to National Rules of Procedure for Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards pursuant to the New York Convention of 1958, Report from the ICC Commission on Arbitration, 2009, <<http://www.iccwbo.org/policy/arbitration/id15588/index.html>>.

<sup>20</sup> *Chromalloy Aeroservices Inc. v. Ministry of Defence of the Republic of Egypt*, 939 F. Supp. 907 (D.D.C.1996).

<sup>21</sup> *La Direction Générale de l'Aviation Civile de l'Émirat de Dubaï v Société Internationale Bechtel Co*, Paris Court of Appeal, Chamber 1C, 29 September, 2005, იხ. დისკუსია, <[http://www.whitecase.com/files/Publication/4ca80751-b790-4ece-8948-03548171b8bd/Presentation/PublicationAttachment/da4db4b0-513b-45a6-ab81-0681ca7e91dd/article\\_Arbitration\\_Polki\\_Ioann.pdf](http://www.whitecase.com/files/Publication/4ca80751-b790-4ece-8948-03548171b8bd/Presentation/PublicationAttachment/da4db4b0-513b-45a6-ab81-0681ca7e91dd/article_Arbitration_Polki_Ioann.pdf)>.

<sup>22</sup> ბუნებრივია, წინააღმდეგობისა და უკუიერიშის სინამდვილე განვითარებულსა და განვითარებადი ქვეყნებს შორის ბევრად უფრო კომპლექსურია. ეს არის ნაწილობრივ იმის გამო, რომ ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა, ისეთი როგორც ჩინეთი ან ინდოეთი გახდა ძლიერი ეკონომიკის მქონე და სხვა ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელება იწყო. ისინი, ზოგჯერ, მასპინძელი და ზოგჯერ – ინვესტორი ქვეყნის (მხარის) სახით წარმოჩინდებიან თანამედროვე ინვესტიციების სამყაროში. სინამდვილეში, 2011 წელს საინვესტიციო სახელმეკრულებო არბიტრაჟის 46 ახალი საქმე დარეგისტრირდა, მაგრამ 11 საქმე აქედან განვითარებადი ქვეყნის ინვესტორის ხვედრით წილზე მოვიდა. მეტი მასალისთვის იხ. "IIA Issue Note", No.1, 2012.

ერთი მხარე. სახელმწიფო სუვერენული იმუნიტეტით სარგებლობს (სანამ ასეთის გამოყენების საშუალება ეძლევა). ეს კი, ხშირ შემთხვევაში, ინვესტორს, როგორც კერძო კორპორაციას, სამართლებრივი დავის პირობებში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს<sup>23</sup>. გარდა ამისა, სახელმწიფო მოლაპარაკებებისას უკეთეს პოზიციაშია წარმოდგენილი ადგილობრივი საინვესტიციო პროექტთან მიმართებით. ეს სპეციფიკა, ხშირად, საშუალებას ართმევს ინვესტორს ხელშეკრულების ფარგლებში საქმის გადაწყვეტის თანაბარუფლებიანობის აღსრულების პირობა ჩადოს, ანუ საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის საშუალება მესამე ქვეყანაში, რაც საინვესტიციო ხელშეკრულებით გამყარდება<sup>24</sup>.

ეს მიუკერძოებლობა დავის გადაწყვეტის საქმეში, ძირითადად, კერძო ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული არათანაბარი მდგომარეობის არსებობის ფაქტს მიენერება. მაგრამ კერძო ბიზნეს კორპორაციებმა განვითარებულ ქვეყნებში დღეს უკვე მიაგნეს საშუალებას, რათა ეს არათანაბარუფლებიანობა დავის განხილვისას თავიდან იქნას აცილებული. როგორც ქვემოთაა აღწერილი, თუ მხარეებს სუვერენულობა არ გააჩნიათ, მათ საშუალება აქვთ გამოიყენონ სამართლებრივი ორგანო, რომელიც ასეთს ფლობს და მათ წარმოადგენს. თუ მხარეებს არ გააჩნიათ ხელსაყრელი პოზიცია მოლაპარაკების პროცესში, მაშინ მათ უნდა გამოიყენონ ხსენებული ორგანო, რომელსაც – როგორც მათ წარმომადგენელს, უფრო ძლიერი სამართლებრივ-მოლაპარაკებითი პოზიციები უკავია.

ბიზნესკორპორაციები გადასახადების სახით რიგ სახელმწიფოებს უზარმაზარ თანხებს უხდიან და მათ ლობირებას ახდენენ. დემოკრატიულობის მექანიზმი, ხშირად, ამ ლობირების ხელშემწყობიც კი არის<sup>25</sup>. შედეგად, სახელმწიფოები განვითარებად ქვეყნებში ინვესტორების სახით წარმოჩინდებიან და თავად საინვესტიციო ხელშეკრულების საარბიტრაჟო სასამართლოც აქედან იღებს სათავეს.

## 2. ინვესტორი სახელმწიფოს არბიტრაჟი, როგორც განვითარებადი სამართლებრივი იარაღი

ინვესტორი ქვეყნის არბიტრაჟი წარმოადგენს სისტემას, რომელიც ქოლგის ქვეშ ბიზნეს წარმომადგენელს შეუძლია საქმე სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრას დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ორგანოში მასპინძელ ქვეყანასა და ინვესტორის ქვეყანას შორის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულების პირობების საფუძველზე. მაშინ, როცა კერძო ინვესტორებს შესა-

<sup>23</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის იმუნიტეტი კომერციული ტრანსაქციების მიმართ მნიშვნელოვანწილად შემცირდა, (იხ. United Nations Convention on the Jurisdictional Immunities of States and Their Property, GA resolution A/59/38 of 2 December 2004) ეს პრივილეგია მაინც წარმატებით ნარჩუნდება, ხოლმე, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მხრიდან სხვა ქვეყნებთან კომერციული დავების გადაწყვეტისას. გარდა ამისა, სახელმწიფოს საკუთარი გავლენის განხორციელება, სამართლებრივად თუ უშუალოდ, იმ შემთხვევაშიც შეუძლია, თუ სასამართლო განხილვა მის სასამართლოებში ჩატარდა.

<sup>24</sup> მრავალ საინვესტიციო პროექტში კერძო ინვესტორსა და სახელმწიფო სააგენტოს შორის მასპინძელ ქვეყანაში, დავის გადაწყვეტილების შესახებ პირობა საინვესტიციო ხელშეკრულებაში, ძირითადად, ეხება მასპინძელ ქვეყანაში არსებულ არბიტრაჟულ სასამართლო განხილვას იქვე არსებული საარბიტრაჟო წესების გათვალისწინებით. ასევე იხ. შენიშვნა 8 და 9.

<sup>25</sup> ავტორმა მანამდე გააშუქა ნაშრომი, რომელიც იაპონიის კორპორატიულ სამართალში (რომელიც 2005 წელს იქნა მიღებული) სამხრეთი შერწყმის გაანალიზებას ეხებოდა, ისევე როგორც სამართალწარმოების პროცესს, რომელიც უცხო ქვეყნის ბიზნეს კორპორაციების ლობისტების ზეწოლით წარმოებდა ისევე როგორც იმ ქვეყნებით, რომელთაც, თავის მხრივ, ეს კომპანიები ლობირებდნენ. ამ პირობების მიხედვით, უცხოურ კორპორაციას საშუალება ეძლევა იაპონური კორპორაცია ბევრად უფრო მარტივად მთლიანად უცხოური კომპანიის შვილობილად გახადოს. წინააღმდეგობის სახით, იაპონიის ბიზნეს კორპორაციები აგრეთვე ლობირებენ იპონურ მთავრობას საკანონმდებლო პროცესის დროს მასზედ, რომ აღნიშნული პირობების ოპერირება შეიზღუდოს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. *Hayakawa Y., Gendai Kigyo no Kokusai Business Tenkai kara mita Ho to Kokka, Law and Sovereign States from the viewpoint of Global Business Transactions*, 106 (2) *Kokusaiho Gaikozasshi* 52, 2007.

ბამისი მოლაპარაკების ადეკვატური ბერკეტები არ გააჩნიათ უშუალოდ სახელმწიფოსთან მასზედ, რომ დავა დამოუკიდებელ არბიტრაჟში გადაწყდეს, მათ, ამავდროულად, საშუალება ეძლევათ დაარწმუნონ საკუთარი სახელმწიფო ჩაერთოს პროცესში, რომელიც საქმის განხილვას ინდივიდუალური ინვესტორების ინიცირებით დამოუკიდებელ არბიტრაჟში მოლაპარაკების დანყებისკენ უბიძგებს. ლობირების შედეგად, რიგი განვითარებული ქვეყნები, რომელთაც სუვერენულობაც და მოლაპარაკების მხვრივაც ძლიერი პოზიციები გააჩნიათ ინვესტორი ქვეყნის სახით რიგ განვითარებად ქვეყნებთან არბიტრაჟის ჩატარების პირობებს აქტიურად ათანხმებენ<sup>26</sup>. შედეგად, ბევრი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება დღეს ინვესტორი ქვეყნის მიერ ჩადებულ საინვესტიციო არბიტრაჟის წარმოების შესაძლებლობის შესახებ პირობის ჩართვას გაიზიარებს<sup>27</sup>.

ინვესტორი ქვეყნის საარბიტრაჟო სქემაში, ის უპირატესობა, რომელიც ქვეყანას სუვერენულობის იმუნიტეტი სთავაზობს, გამორიცხულია. სახელმწიფო აქ მხოლოდ მეორე მხარეა, რომელსაც კერძო ბიზნეს კორპორაციასთან გათანაბრებული სტატუსი გააჩნია. სახელმწიფო საარბიტრაჟო ტრიბუნალს უკვე ვერ გააკონტროლებს ან, ყოველ შემთხვევაში, ვერ გააკონტროლებს მეორე მხარის მიერ შერჩეულ არბიტრს, რომელიც ტრიბუნალის თავმჯდომარედ ინიშნება. საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან, ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნალის უმრავლესობა მხოლოდ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს განსაზღვრავს და მათ შესაბამის კანონს შეუფარდება. ამაზე დაყრდნობით, ისინი გადაწყვეტილებებს მიიღებენ: მაგალითად, თუ სახელმწიფომ დაარღვია კონტრაქტი, თავადვე განსაზღვრავენ, თუ რამდენს დააკისრებენ სახელმწიფოს ინვესტორის დასაკმაყოფილებლად მის მიერ განცდილი ზარალის ასანაზღაურებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საინვესტიციო ხელშეკრულების არბიტრაჟი არის სამართლებრივი იარაღი მასზედ, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის ბოლო დაცვითი ხაზი მოიხსნას.

ინვესტორებისა და განვითარებული ქვეყნების გადმოსახედიდან, სუვერენულობის უპირატესობის მოხსნა (ისევე როგორც მოლაპარაკებისას მომგებიანი პოზიციის განეიტრალება) განვითარებადი ქვეყნისთვის აუცილებელია, რათა დავის გადაწყვეტის პროცესში „სამართლიანი“ განხილვა წარიმართოს.

### 3. მკაფიო ჩრილოეთ-სამხრეთის პრობლემა

ერთმნიშვნელოვნად არსებობს დიდი სხვაობა მატერიალური დოვლათის მხვრივ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. იმისდა მიუხედავად, რომ რიგი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა შთამბეჭდავია, უთანასწორობის ჩრდილოეთ სამხრეთის პრობლემა მაინც აღსანიშნავია. ძალიან ბევრი განვითარებადი ბიზნესკორპორაცია განვითარებულ ქვეყნებში იყენებს განვითარებად ქვეყნებს სანარმოო საფუძვლის სახით, რადგან მათ გააჩნიათ იაფი მუშა ხელი და გასაღების ბაზარი წარმოებული პროდუქციისთვის. მაშინაც კი, როცა

<sup>26</sup> ერთ-ერთ ნაშრომში ავტორმა მიმოიხილა უცხოური ბიზნეს კორპორაციებისა და იმ მთავრობების საქმიანობა, რომელთაც ბიზნეს კორპორაციები ლიბირებდნენ ტაილანდში ინვესტიციების განსახორციელებლად. მშვიდობიანი შეთანხმებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ტაილანდსა და აშშ-ს შორის ისევე, როგორც ტაილანდსა და ავსტრალიას შორის გაფორმდა საშუალებას აძლევს აშშ-ის და ავსტრალიელ ბიზნესკორპორაციებს ტაილანდში შვილობილი კომპანიების ქსელი უფრო მარტივად გაშალონ. ინვესტიციების დაცვისა და ნახალისების შესახებ ხელშეკრულება ტაილანდს, გერმანიასა და ავსტრალიას შორის მოიცავს საარბიტრაჟო პირობას, რომელიც უცხოური ბიზნესკორპორაციებსა და ტაილანდის სახელმწიფოს შორის შესაძლოდ წარმოქმნილ დავებს აგვარებს. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენ. 25.

<sup>27</sup> იხ. UNCTAD Quantitative data on bilateral investment treaties and double taxation treaties, <<http://archive.unctad.org/templates/webflyer.asp?intItemID=3150&lang=1>>, [16.05.2012] (აღსანიშნავია ორხმრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მზარდი რიცხვი 385-დან 1989 ში, 2265-მდე 2003-სთვის, რამაც 176 ქვეყანა მოიცავს). იხ., ასევე, ემპირიული კვლევა საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სადაც საინვესტიციო არბიტრაჟის პირობა იყო ჩადებული... *Yackee J. W.*, Conceptual Difficulties in the Empirical Study of Bilateral Investment Treaties, 33 *Brook. J. Int'l L.*, 2007-2008, 405, 427, <<http://www.oecd.org/dataoecd/51/35/44375975.pdf>>.

განვითარებული ქვეყანა უზრუნველყოფს ოფიციალური განვითარების თანამშრომლობის დოკუმენტს (ODA) განვითარებად ქვეყანაში ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, ბიზნესკორპორაციები განვითარებულ ქვეყანაში, ზოგჯერ, იგივე ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში ძალიან დიდი მოგებას პოულობენ<sup>28</sup>.

ამ ფონის მიუხედავად, განვითარებული ქვეყნები, შესაძლოა, მოიხიბლონ იმავე ტაქტიკის გამოყენებით, იმისთვის, რომ სწრაფად დაენიონ განვითარებულ ქვეყნებს. ერთ-ერთი ასეთი ტაქტიკაა, მაგალითად, მოიზიდონ ინვესტიციები სხვა უცხოური ქვეყნებიდან მათთვის – მათი საინვესტიციო პროექტებისთვის პრივილიგიებული პირობების შეთავაზებით, შემდეგ კი – როცა ინვესტორი საკუთარ პროექტს დაასრულებს და მისი შესყიდვა გაცილებით ნაკლებ ფასად მოხერხდება, აღნიშნული პირობები შეცვალონ<sup>29</sup>. კიდევ ერთი ტაქტიკაა<sup>30</sup>, მაგალითად, მასპინძელ ქვეყანაში ეროვნული სასამართლოს გამოყენება მხოლოდ ადგილობრივი, ნაციონალური კომპანიების სასარგებლოდ თუკი რაიმე სადავო საკითხი წარმოიქმნება. ხსენებული ხერხები შესაძლებელი ხდება სახელმწიფო როგორც სასამართლო, ისე საკანონმდებლო მექანიზმების ერთობლივი ჩართულობით. სუვერენის ხელისუფლება, რომელიც თეორიულად როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ მოქმედებს, მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბერკეტია იმ წინააღმდეგობის საპირისპიროდ, რომელიც განვითარებადი ქვეყნებიდან მომდინარეობს.

### III. ბიზნესკორპორაციები, რომლებიც საერთაშორისო სამართალს ცვლიან

#### 1. საერთაშორისო სამართლის ორი, ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი პრინციპი

როცა საუბარია საჯარო საერთაშორისო სამართალზე, სუვერენულობა სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებული მახასიათებელია. თეორიულად, ნებისმიერ სახელმწიფოს თანაბარი სუვერენულობა გააჩნია. ამ მხრივ განვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებთან ერთად თანაბარ მდგომარეობაში არიან წარმოდგენილები.

საინვესტიციო ხელშეკრულების საარბიტრაჟო საქმეების მკვეთრმა მატებამ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არსებული სიტუაცია შეცვალა. მას მერე, რაც არსებული ხელშეკრულების ფარგლებში საინვესტიციო არბიტრაჟთან დაკავშირებული პირობა ჩაიდო, სახელმწიფოების შესაძლებლობა საკუთარი სუვერენულობის გავრცობასთან დაკავშირებით შეიზღუდა. არსებული საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, სუვერენულობა, შეიზღუდა სამართლებრივი ტაქტიკით, ხოლო მისი ეფექტი ავტორიზებულია არსებული საერთაშორისო სამართლის მეორე პრინციპით – ხელშეკრულებების ეფექტით.

რა დონეზე უნდა შეიზღუდოს სუვერენულობა ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ამავე ხელშეკრულებით სახელმწიფომ მიიღო? მაგალითად, BIT-ს მიხედვით, ბიზნეს კორპორაციას შეუძლია სახელმწიფოს მიმართ საარბიტრაჟო სარჩელი წამოჭრას, რომელშიაც იგი ფუნქციონირებს. ბიზნეს კორპორაცია არის, ამავდროულად, ასე პროცენტით მეორე კორპორაციის შვილობილი მესამე ქვეყანაში და დედა კორპორაცია მისი, ანუ შვილობილი კორპორაციის ყველა ასპექტს აკონტროლებს. ასეთ შემთხვევაში, ჩაითვლება თუ არა ბიზნეს კორპორა-

<sup>28</sup> შესაბამის პირობაზე დამყარებული დახმარების თანაფარდობა; იხ. *Clay E. J., Matthew Geddes and Luisa Natali, Untying Aid: Is it working? An Evaluation of the Implementation of the Paris Declaration and of the 2001 DAC Recommendation of Untying ODA to the LDCs, 2009, 8, <<http://www.oecd.org/dataoecd/51/35/44375975.pdf>>*.

<sup>29</sup> მაგალითად, იხ. *Siemens v. Argentina*, ICSID Case No. ARB/02/8; *Compañía de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal v. Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/97/3; *Saipem v. Bangladesh*, ICSID Case No. ARB/05/7, etc.

<sup>30</sup> იხ. *White Industries Australia v. India* (UNCITRAL Rules, 30 November 2011) and *GEA Group Aktiengesellschaft v. Ukraine*, ICSID Case No. ARB/08/16. (მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში ინვესტორი უპირატეს მხარეს არ წარმოადგენდა, ძირითადი საკითხი მდგომარეობდა იმაში, იყო თუ არა, რეალურად, არბიტრაჟის გადაწყვეტილების ადგილობრივი სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის ფაქტი BIT-ს ხელყოფა.)

ცია „ნაციონალურ კორპორაციად“ (მკვიდრად) კონტრაქტული სახელმწიფოს მიერ BIT-ის მიხედვით? გავლენიანი ICSID-ის მიხედვით, ფორმალური მიდგომა, კერძოდ, როცა კორპორაცია არის იმ სახელმწიფოს მკვიდრი, რომელშიაც იგი ფუნქციონირებს, არ აქვს მნიშვნელობა არის თუ არა იგი მესამე ქვეყნის შვილობილი კომპანია ან იმართება მის მიერ, არის სამართლებრივი მხარდაჭერის სუბიექტი<sup>31</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ BIT-ს ნაციონალობასთან დაკავშირებით რაიმე პირობა განსაზღვრული აქვს, რომელიც ამ ფორმალურ მიდგომას არ ეთანხმება, ამავე პირობის ფარგლებში განსაზღვრული ტესტის გამოყენება<sup>32</sup> მიზანშეწონილია. თუ BIT-ს ექსპრეს პირობა არ გააჩნია ან პირობა, რომელიც სახელმწიფოს ფარგლებში „არსებით კონტროლს“ ეხება, კორპორაცია ჩაითვლება მკვიდრად იმ სახელმწიფოში, რომელთანაც ინკორპორირდება<sup>33</sup>.

არსებობს არაერთი სამართლებრივი საკითხი, რომელიც განიხილებოდა საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის ფარგლებში, საბოლოოდ, აღნიშნულ საკითხში გამოიხატა: რა დონეზე უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო სუვერენიტეტი დადებული ხელშეკრულების საფუძველზე? ამ შეკითხვისთვის პასუხის გასახემად საარბიტრაჟო სასამართლოს არაერთი დადგენილება უფრო მეტად ხელშეკრულების ეფექტების სასარგებლოდ შემუშავდა, ვიდრე თავად სუვერენულობის დოქტრინის მიმართ<sup>34</sup>.

<sup>31</sup> *Tokios Tokelés v. Ukraine*, (2005) 20 ICSID Rev-FILJ 205.

<sup>32</sup> BIT-ს რიგი, ბრიტანული მოდელის ჩათვლით, ინკორპორირების მიდგომას იზიარებს, მაშინ როცა სახელმწიფო კორპორაციები არიან კორპორაციები, ფირმები და ინკორპორირებული ასოციაციები სახელმწიფოს ნებისმიერ კუთხეში სამართლებრივად განმტკიცებულნი; იხ., <<http://www.unctad.org/sections/dite/ia/docs/Compendium/en/69%20volume%203.pdf>> მეორე მხრივ, BIT-ს ნაწილი ერთ ან რადენიმე ტესტს საჭიროებს, აშშ-ის 2004 წლის BIT-ის მოდელის ჩათვლით <<http://italaw.com/documents/USmodelbitnov04.pdf>> ან კიდევ არსებითი ეკონომიკური საქმიანობის ადგილას სხდომის გამართვით, BIT-ში ლანკის მოდელი <<http://www.unctad.org/sections/dite/ia/docs/Compendium/en/136%20volume%205.pdf>>.

<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ იაპონიასა და ჩეხეთის რესპუბლიკას BIT არ აქვთ, იაპონიის კორპორაციამ შეძლო ჩეხეთის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელის შეტანა. იაპონურმა კორპორაციამ (Nomura Ssecurities) ჰოლანდიაში ჩამოაყალიბა შვილობილი კომპანია (Saluka Investments BV), ხოლო მან, თავის მხრივ, ინვესტიციები ჩეხეთში დააბანდა. მას მერე, რაც წარმოიქმნა დავა, შვილობილ კომპანიას ჩეხეთის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის უფლება მიეცა იმ BIT-ის საფუძველზე, რომელიც ჰოლანდიასა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის არსებობდა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. <<http://www.pca-cpa.org/upload/files/SAL-CZ%20Partial%20Award%20170306.pdf>>, განსაკუთრებით 229-230.

<sup>34</sup> ავტორი კვლევით პროექტში რიგ ექსპერტებთან ერთად ერთვება, მათ შორისაა მოქმედი იურისტები და ბიუროკრატები, სადაც ციფრებით მიმდინარე რეჟიმში ICSI-ს გადანყვეტილებათა გაანალიზება მიმდინარეობს ისევე, როგორც სხვა საარბიტრაჟო გადანყვეტილებების, ასევე ამ საქმეების გადახედვა რეგულარული რეჟიმით წარმოებს. იმისთვის, რომ იაპონიის ბიზნესკორპორაციები და მოქმედი იურისტები საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟით დაინტერესდნენ, საქმეების მიმოხილვა მათთვის იაპონურ ენაზე მოხსენებებში ყოველთვიურად წარმოებს (იურიდიული ჟურნალით), მეტი ინფორმაციისთვის იხ. *Hamamoto Sh., Victor Pey Casado and President Allende Foundation v. Republic of Chile*, (ICSID Case No. ARB/98/2, JCA Journal), Vol. 56 (10), 4, 2009; *Okuda Y., Plama Consortium Ltd v. Republic of Bulgaria* (ICSID Case No. ARB/03/24), JCA Journal, Vol. 56 (11), 10, 2009; *Araki I.*, “Continental Casualty Co v. Argentine Republic (ICSID Case No. ARB/03/09),” JCA Journal, Vol. 56 (12), 2, 2009; *Ogawa K.*, “Occidental Exploration and Production Co v. Republic of Ecuador (ICSID Case No. ARB/06/11),” JCA Journal, Vol. 57 (1), 36, 2010; *Yamamoto Sh.*, “Dredging International N.V. v. Arab Republic of Egypt (ICSID Case No. ARB/04/13),” JCA Journal, Vol. 57 (2), 8, 2010; *Iguchi N.*, “Societe General v. Dominican Republic (LCIA Case No. UN7927),” JCA Journal, Vol. 57 (3), 10, 2010; *Idei N.*, “Perenco Ecuador Ltd v. Republic of Ecuador (ICSID Case No. ARB/08/6),” JCA Journal, Vol. 57 (3), 19, 2010; *Nomiyama Y.*, “Malaysian Historical Salvors Sdn., Bhd. v. Malaysia (ICSID Case No. ARB/05/10),” JCA Journal, Vol. 57 (4), 26, 2010; *Hayakawa Y.*, “Sempra Energy International v. Argentine Republic (ICSID Case No. ARB/02/16),” JCA Journal, Vol. 57 (5), 19, 2010; *Hayakawa Sh.*, “L.E.S.I. S.p.A. & ASTALDI S.p.A. v. Algeria (ICSID Case No. ARB/05/3),” JCA Journal, Vol. 57 (6), 20, 2010; *Suzuki I.*, “Saipem S.p.A. v. People's Republic of Bangladesh (ICSID Case No. ARB/05/7),” JCA Journal, Vol. 57 (7), 18, 2010; *Nishimoto K.*, “Renta 4 SVSA, Ahorro Co v. Russia (SCC Case No. 24/2007),” JCA Journal, Vol. 57 (8), 18, 2010; *Ishikawa T.*, “Bayindir Insaat Turizm Ticaret ve Sanayi A.Ş. v. Islamic Republic of Pakistan (ICSID Case No. ARB/03/29),” JCA Journal, Vol. 57 (9), 26, 2010; *Yamamoto Sh.*, “Romak S.A. v. Uzbekistan (PCA Case No. AA280),” JCA Journal, Vol. 57 (10), 16, 2010; *Hamamoto Sh.*, “Sempra Energy International v. Argentine Republic (ICSID Case No. ARB/02/16),” JCA Journal, Vol. 57 (10),

## 2. საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გადაწყვეტილების მიმღები თანამეგობრობის სახეცვლილება

რა არის იმის მიზეზი, რომ მრავალი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საინვესტიციო ხელშეკრულების სასარგებლოდ იქნა მიღებული. ერთ-ერთი პასუხი არის საერთაშორისო სამართალში გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოს მიერ პოზიციის შეცვლა (მასში შემავალი ნევრების). ფაქტობრივად, საინვესტიციო არბიტრაჟის საქმეებზე მომუშავე მრავალი არბიტრი პროფესიონალია, სწორედ ის პირები, რომლებიც საზღვრის ორივე მხარეს არსებული კომპანიების ბიზნეს დავებზე<sup>35</sup> მუშაობდნენ. კერძო ბიზნეს სამყაროში ბიზნეს კონტრაქტის სავალდებულო პირობები ყველაზე ყურადსაღები (გასათვალისწინებელი) სინამდვილეა. თუ არბიტრი უცაბედად კერძო სამართალში „სალი აზრის“ პრინციპს დაეყრდნობა, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის პირობები კერძო კონტრაქტის სუბიექტებად ითარგმნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სალი აზრი“ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში საერთაშორისო სამართლის არსებულ წესრიგში ცვლილების მომტანი ფენომენად გვევლინება.

მაგრამ როგორ შეიძლება დაინახოთ ეს „შეჭრა“? რატომ გახდა კომერციული არბიტრაჟის არბიტრი ასეთი გავლენიანი ფიგურა საერთაშორისო სამართლის სივრცეში?

არაა რთული ავხსნათ, თუ რატომ გახდა არბიტრი, რომელიც მეტწილად საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მუშაობდა, აღნიშნულ სფეროში ასეთი გავლენიანი პირი. არბიტრაჟის სისტემაში, საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის მოსარჩელე პირი, მაგალითად, კერძო ბიზნეს კომპანია, თავად ირჩევს არბიტრს. კომპანია ცდილობს შეარჩიოს ისეთი არბიტრი, რომელსაც მნიშვნელოვანი რელევანტური გამოცდილება და ცოდნა გააჩნია, განსაკუთრებით საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, რომელსაც ბიზნეს კორპორაციები საზღვრის ორივე მხარეს წარმოქმნილი ბიზნეს დავების მოგვარების საშუალებად იყენებენ<sup>36</sup>. ბუ-

---

25, 2010; Suzuki I., “Giovanna A Beccara and Others v. Argentine Republic (ICSID Case No. ARB/07/5),” JCA Journal, Vol. 57 (11), 20, 2010; Araki I., “Merrill & Ring Forestry v. Canada (UNCITRAL Case),” JCA Journal, Vol. 57 (11), 29, 2010; Iguchi N., “Vito G. Gallo v. Canada (Permanent Court of Arbitration),” JCA Journal, Vol. 57 (12), 11, 2010; Ogawa K., “ATA Construction, Industrial and Trading Company v. The Hashemite Kingdom of Jordan (ICSID Case No. ARB/08/2),” JCA Journal, Vol. 57 (12), 18, 2010; Hayakawa Y., “Mobil Corporation and Others v. Republic of Venezuela (ICSID Case No. ARB/07/27),” JCA Journal, Vol. 58 (1), 28, 2011; Inose T., “Europe Cement Investment and Trade S.A. v. Republic of Turkey (ICSID Case No. ARB(AF)/07/2),” JCA Journal, Vol. 58 (2), 18, 2011; Ogawa K., “Rachel S. Grynberg, Stephen M. Grynberg, Miriam Z. Grynberg and RSM Production Corporation v. Grenada (ICSID Case No. ARB/10/6),” JCA Journal, Vol. 58 (3), 28, 2011; Ishikawa T., “Chemtura Corporation v. Canada (UNCITRAL Case),” JCA Journal, Vol. 58 (4), 28, 2011; Hamamoto Sh., “Malicorp Limited v. Republic of Egypt (CIRDI No. ARB/08/18),” JCA Journal, Vol. 58 (5), 27, 2011; Idei N., “Fraport AG Frankfurt Airport Service Worldwide v. Republic of the Philippines (ICSID Case No. ARB/03/25 (Annulment Procedure)),” JCA Journal, Vol. 58 (6), 30, 2011; Yamamoto Sh., “Grand River Enterprises Six Nations, Ltd., Jerry Montour, Arthur Montour, Kenneth Hill v. United States of America (UNCITRAL Rules),” JCA Journal, Vol. 58 (7), 32, 2011; Araki I., “Yury Bogdanov v. Republic of Moldova, SCC Arbitration No. V (114/2009),” JCA Journal, Vol. 58 (8), 46, 2011; Inose T., “Eureko B.V. v. The Slovak Republic, PCA Case No. 2008-13 (UNCITRAL Rules),” JCA Journal, Vol. 58 (9), 32, 2011; Suzuki I., “Joseph Charles Lemire v. Ukraine, ICSID Case No. ARB/06/18”, JCA Journal, Vol. 58(10), 34, 2011; Iguchi N., “GEA Group Aktiengesellschaft v. Ukraine, ICSID Case No. ARB/08/16”, JCA Journal, Vol. 58(11), 40, 2011; Koyama T., “Sergei Paushok, CJSC Golden East Company and CJSC Vostokneftegaz Company v. Mongolia (UNCITRAL Rules),” JCA Journal, Vol. 58(12), 46, 2011; Hamamoto Sh., “Italian Republic v. Republic of Cuba”, JCA Journal, Vol. 59(2), 22, 2012; Hayakawa Y., “Impregilo S.p.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/17”, JCA Journal, Vol. 59(3), 14, 2012; Ishido Sh., “Hochtief AG v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/31”, JCA Journal, Vol. 59(4), 22, 2012.

<sup>35</sup> არაა რთული, დაავადგინოთ, თუ ვინ იყო არბიტრი თითოეულ ICSID გახსნილ საქმეში; იხ. <<http://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&reqFrom=Main&actionVal=ViewAllCases>>.

<sup>36</sup> იმ მასალების გაცნობით, სადაც, რეალურად, დადგინდა, თუ ვინ იყო არბიტრი თითოეულ ICSID გახსნილ საქმეზე, ნათელია, რომ კონკრეტული არბიტრების რიცხვი, ხშირად, ინიშნებოდა მხოლოდ მოპასუხეების მიერ როგორც მხარის (მოპასუხის) მიერ დანიშნული არბიტრის სახით. მსგავსად, მოსარჩელე, ანუ კერძო ბიზნეს კორპორაცია ცდილობს დანიშნოს მოქმედი იურისტი, რომელიც აქტიურად მუშაობდა არბიტრის ან კოლეგიის წევრის სახით საერთაშორისო კომერციულ არბიტ-

ნებრივია, რომ ბიზნეს კორპორაციები შეეცდებიან დანიშნონ ისეთი არბიტრი, რომელსაც გააჩნია უნარი მარტივად გაიგოს საინვესტიციო პროექტის ფაქტობრივი ისტორია (ფონი), ბიზნესკორპორაციის რეალური ჩანაფიქრი აღნიშნული პროექტის ფარგლებში და თავად დავის წარმოშობის მიზეზი<sup>37</sup>.

გარდა ამისა, ტრიბუნალის თავმჯდომარეს უნდა გააჩნდეს უნარი და გამოცდილება სწორად წარმართოს საარბიტრაჟო პროცესის პროცედურები, რაც არაერთი საარბიტრაჟო პროცესის მოთხოვნას წარმოადგენს. ასეთი ადამიანური რესურსები შესაძლებელია მარტივად ვიპოვოთ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სფეროში, სადაც საქმეების საკმაოდ დიდი რაოდენობა იხილება.

ამგვარად, არბიტრების დანიშნვის პროცესი მხარეებს შორის არსებული დავის პირობებში, განსაკუთრებით ბიზნეს კორპორაციების ქცევა, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გადაწყვეტილების მიმღებთა კოლეგიის ხედვაში შესაბამის გავლენას ახდენს. ასევე, იცვლება მთელი გადაწყვეტილების მიმღები თანამეგობრობის პოზიციაც; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი პერსპექტივის შემოტანა და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის დაშვება საჯარო საერთაშორისო სამართლის სივრცეში ასევე ამ ცვლილების შედეგია.

### **3. სახელმწიფოები განვითარებულ ქვეყნებში, ასევე, ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან**

განვითარებულ ქვეყნებში სუვერენულობის გარკვეული გამოვლინების ტიპი ასევე შეზღუდულია საერთაშორისო სახელშეკრულებო საინვესტიციო რეჟიმის მიხედვით. ასეთი ტიპის არბიტრაჟი მუშაობს კერძო სამართლის ე. წ. „სალი აზრის“ შემოჭრით საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში.

გარდა ამისა, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ განვითარებული ქვეყნებიც კი კერძო ბიზნეს კორპორაციებისთვის დახმარების განწვევისათვის მიმართულ ზენოლას განიცდიან. თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს გარემოში, ბიზნესკორპორაცია მარტივად აფუძნებს შვილობილ კომპანიას უცხო ქვეყანაში, როგორც ერთგვარ პლატფორმას შემდგომი ინვესტირებისათვის – თუკი ის თვლის, რომ ეს ქვეყანა მისთვის საიმედო ბიზნეს გარემოს სთავაზობს<sup>38</sup>. აუცილებლობის შემთხვევაში, ბიზნესკორპორაციას შეუძლია სათაო ოფისი უცხო ქვეყანაში გადაიტანოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები ზოგჯერ ქვეყნიდან მსხვილი გადამხდელების გადინების რისკს განიცდიან და, შესაბამისად, იძულებულნი ხდებიან მათთან რიგ საკითხებზე ითანამშრომლონ. შესაბამისად, ინვესტიციების მოსაზიდად განვითარებული ქვეყნები ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან.

განვითარებულ ქვეყნებში კონკურენცია მიმდინარეობს, ისინი ცდილობენ კერძო ბიზნესკორპორაციების ზენოლით საერთაშორისო სამართლის კუთხით ახალი სამართლებრივი წესრიგი შექმნან.

### **ბოლო შენიშვნები**

საარბიტრაჟო სამუშაო ჯგუფის ბოლო საქმიანობის მახასიათებლებია (UNCITRAL) განსაკუთრებით 45 დან 52 სესიებამდე, იგივე ბაჰრეინში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის პროცესში არსებული ჩართულობა. ბაჰრეინის ოფიციალური დელეგატი თავად ამ ქვეყნის მკვიდრი არ იყო. ის ერთ-ერთი დიდი ბრიტანული იურიდიული ფირმის ტოპ პარტნიორი იყო, რო-

---

რაჟში – როგორც მოსარჩელე მხარის მიერ დანიშნული არბიტრი. მეტი მასალისთვის გადაამოწმეთ 35 შენიშვნით მოყვანილი მონაცემთა ბაზა (ვებგვერდზე).

<sup>37</sup> კოლეგიის მუშაობის სტანდარტული ნაწილია გამოიკვლიოს ის დეტალები პოტენციური არბიტრებისა, რომელიც მათ ისტორიას და საქმისადმი მიდგომას გულისხმობს და თუ ასეთებად შეირჩევიან – მათი ხედვის შესახებაც ინფორმაცია გაიღოს. იხ. *Hayakawa Y.*, JCA Journal, Vol. 58 (5), 2010, 5.

<sup>38</sup> იხ. შენიშვნა 26.



მელსაც მსოფლიო დონის პრაქტიკა გააჩნდა და სხვადასხვა დიდ ბიზნესკორპორაციებს წარმოადგენდა. არის, ამრიგად, ბაჰრეინის ჩართულობა გაეროს საკანონმდებლო პროცესში უშუალოდ ბაჰრეინის სახელმწიფოს ჩართულობის ტოლფასი? ან იქნებ სახელმწიფო ჩართულობა პირდაპირი მონაწილეობის მაჩვენებელია კერძო ბიზნეს სამართლის ფორმებისა თუ ბიზნეს კორპორაციების გაეროში საკანონმდებლო პროცესის მიმდინარეობისას<sup>39</sup>?

ეს მაგალითი ხაზს უსვამს იმას, რომ საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის გარშემო საერთაშორისო სამართალმა არსებული ცვლილებები განიცადა – არა მხოლოდ რეჟიმის გამოყენების თვალსაზრისით, არამედ უშუალოდ საკანონმდებლო მხრივაც. საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის გათვალისწინებით არსებული სამართლებრივი წესრიგი საერთაშორისო სამართალში წარმოადგენს გამონწვევას ბიზნეს კორპორაციებისთვის.

უნდა მოვეკიდოთ ამ ფენომენს, როგორც წინ გადადგმულ ნაბიჯს? თუ მივიჩნით იგი ქაოსად? ეს ფენომენი სხვა სფეროებზეც გავცელდება? როგორ უნდა შევხვდეთ ასეთი ტიპის გამონწვევებს?

---

<sup>39</sup> UNICITRAL-ის სამუშაო საარბიტრო ჯგუფი UNICITRAL-ის წესების გადახედვაზე მუშაობდა 45-ე სესიიდან მოყოლებული, სექტ. 11-15 2006 – 52 სესიამდე (2010 წლის 1-5 თებერვალი). აღნიშნული წესები, პროცედურული წესების სახით, სერიოზულ ვარიანტს წარმოადგენს საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის საქმეში. წესების გადახედვა კრიტიკული მნიშვნელობისაა მათთვის, ვინც საინვესტიციო სახელშეკრულებო არბიტრაჟის სფეროშია ჩართული. მეტი ინფორმაციისთვის იხ., <[http://www.uncitral.org/uncitral/en/commission/working\\_groups/2Arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/commission/working_groups/2Arbitration.html)>.

## The Lawyer's Duties and Responsibilities in Dispute Resolution Good Faith in Mediation – Requested, Recommended, or Required? A New Ethic

### I. Introductory Considerations

The use of alternative dispute resolution (ADR) and specifically mediation<sup>1</sup> has increased remarkably over the last 20 years.<sup>2</sup> While other ADR processes such as arbitration,<sup>3</sup> neutral case evaluation,<sup>4</sup> and the summary jury trial<sup>5</sup> have been used increasingly more often, particularly within the court system,<sup>6</sup> mediation has become the most widely used.<sup>7</sup> And although the use of mediation is not without criticism,<sup>8</sup> particularly within family law matters,<sup>9</sup> the mediation boom continues.<sup>10</sup> As a catalyst for, and a result of, the expanded use of mediation, a plethora of laws have been enacted, having increased from just over 500 pages of edited statutes in a primary text on the subject in 1989<sup>11</sup> to over 2000 statutes in 1995.<sup>12</sup> Integration of ADR processes within the justice system also has been a recent development, assisted by the enactment of court rules and orders mandating ADR use.<sup>13</sup>

---

\* Law Professor, ADR Expert, B.S. at Ohio State University, J.D. at Capital University School of Law in Columbus, Ohio.

<sup>1</sup> While much of the literature and therefore the references in this article are concerned with ADR generally, this paper's focus is primarily on the mediation process. Effort is made to be specific throughout this discourse since mediation is such a different and unique process as compared to the legal system. Although a good faith element probably would do no harm in the other ADR processes, its presence in mediation is paramount.

<sup>2</sup> See *Resnik J.*, Many Doors? Closing Doors? Alternative Dispute Resolution and Adjudication, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 10, 1995, 211, 218.

<sup>3</sup> Arbitration is an adversarial process by definition since the neutral makes a decision. See *Goldberg et al.*, *Dispute Resolution: Negotiation, Mediation and Other Processes*, 2<sup>nd</sup> ed., 1992, 199-200.

<sup>4</sup> See generally *Levine D. I.*, Early Neutral Evaluation: A Follow-up Report, *Judicature*, Vol. 70, 1987, 236 (assessing the Northern District of California's experimental program of early neutral evaluation); *Rosenberg J. D.*, *Folberg H. J.*, Alternative Dispute Resolution: An Empirical Analysis, *Stan. L. Rev.*, Vol. 46, 1994, 1487. (discussing the origins and development of early neutral evaluation).

<sup>5</sup> For general discussion and background of the summary trial process, see *Alfini J.*, Summary Jury Trials in State and Federal Courts: A Comparative Analysis of the Perceptions of Participating Lawyers, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 4, 1989, 213; *Posner R. A.*, The Summary Jury Trial and Other Methods of Alternative Dispute Resolution: Some Cautionary Observations, *U. Chi. L. Rev.*, Vol. 53, 1986, 366; and *Vidmar N.*, *Rice J.*, Jury-Determined Settlements and Summary Jury Trials: Observations about Alternative Dispute Resolution in an Adversary Culture, *Fla. St. U. L. Rev.*, Vol. 19, 1991, 89.

<sup>6</sup> See *Katz L. V.*, Compulsory Alternative Dispute Resolution and Volunteerism: Two-Headed Monster or Two Sides of the Coin?, *J. Disp. Resol.*, 1993, 1, 13; *Resnik*, supra note 2, at 218.

<sup>7</sup> See *Lande J.*, How Will Lawyering and Mediation Practices Transform Each Other?, *Fla. St. U. L. Rev.*, Vol. 24, 1997, 839; *Stempel J. W.*, Reflections on Judicial ADR and the Multi-Door Courthouse at Twenty: Fait Accompli, Failed Overture or Fledgling Adulthood?, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 11, 1996, 297, 352-53.

<sup>8</sup> See *Brinig M. F.*, Does Mediation Systematically Disadvantage Women?, *Wm. & Mary J. Women & L.*, Vol. 2, 1995, 1, 6; *Delgado R. et al.*, Fairness and Formality: Minimizing the Risk of Prejudice in Alternative Dispute Resolution, *Wis. L. Rev.*, 1985 1359, 1361; *Fiss O. M.*, Against Settlement, *Yale L. J.*, Vol. 93, 1984, 1073, 1075; *Grillo T.*, The Mediation Alternative: Process Dangers for Women, *Yale L. J.*, Vol. 100, 1991, 1545, 1549.

<sup>9</sup> See *Bryan P. E.*, Killing Us Softly: Divorce Mediation and the Politics of Power, *Buff. L. Rev.*, Vol. 40, 1992, 441, 443.

<sup>10</sup> States are continuing to enact statutes and implement new programs. See, e.g., N.C. Sup. Ct. R. 1991, 1-10 (amended 1996) (implementing mediated settlement conferences in superior court civil actions).

<sup>11</sup> See *Rogers N. H.*, *McEwen C. A.*, *Mediation: Law, Policy, & Practice*, 2<sup>nd</sup> ed., 1994, § 13:01.

<sup>12</sup> See *id.*

<sup>13</sup> See generally *Sherman E. F.*, Court-Mandated Alternative Dispute Resolution: What Form of Participation Should Be Required?, *SMU L. Rev.*, Vol. 46, 1993, 2079 (discussing the responsibilities of parties and their attorneys to participate in mandatory ADR).

With such an expansion of ADR, particularly within the court system, we have witnessed the initial development of the “law of ADR.” That is to say, as these ADR processes have become more common within courts, the influence of the court system on ADR has been seen and felt dramatically. This court influence is evidenced by a growth in rules, procedures, and regulation in ADR, which makes these alternative processes more closely resemble procedural aspects of litigation.<sup>14</sup> One scholar has even recently labeled this entire new culture “liti-mediation”<sup>15</sup> where lawyers see mediation as merely another step or means in the litigation process by which the cases are brought to conclusion.

ბისთვის მომზადება,<sup>31</sup> გაზარდეს იმ კურსების რაოდენობა, რომელიც ეძღვნება ADR-ის სა-  
კითხებს; მიუხედავად ამისა, ყურადღება მაინც მახვილდება ADR-ის ზოგად მიმოხილვაზე ან  
მედიატორის უნარების განვითარებაზე კლინიკურ კონტექსტში.<sup>32</sup> არცერთი კურსი ან სამარ-  
თლის სკოლის სხვა აქტივობა, ერთი გამონაკლისის გარდა,<sup>33</sup> არ არის კონცენტრირებული მე-  
დიაციის პროცესში ადვოკატის როლზე. მიუხედავად ამისა, სკოლის დამთავრებისა და ლიცენ-

---

დილემის კვლევა); *Menkel-Meadow C.*, *Whose Dispute Is It Anyway?: A Philosophical and Democratic Defense of Settlement (In Some Cases)*, *Geo. L. J.*, Vol. 83, 1995, 2663 (განხილვა – როგორ უნდა განვსაზღვროთ, როდის უნდა დაუჭიროთ მხარი ან შევეწინააღმდეგოთ მორიგებას).

<sup>28</sup> იხ. *McEwen C. A.*, *Maiman R. J.*, *Mediation in Small Claims Court: Achieving Compliance Through Consent*, *L. & Soc'y Rev.*, Vol. 18, 1984, 11, 11 (ასოცირდება იმის ალბათობასთან, რომ მხარეები უფრო დაცევენ შე-  
თანხმებას მედიაციის შემთხვევაში სასამართლო გადანყვეტილებასთან შედარებით); *Pearson J.*,  
*Thoennes N.*, *Divorce Mediation: Reflections on a Decade of Research*, in *Mediation Research: The Process and Effectiveness of Third-Party Intervention*, *Kenneth Kressel & Dean G. Pruitt eds.*, 1989, 9, 9-10 (ბავშვის მეურ-  
ვეობასთან დაკავშირებულ დავებში არაშეჯიბრებითი მიდგომების გამოყენების განხილვა); *Roehl J. A.*,  
*Cook R. F.*, *Mediation in Interpersonal Disputes: Effectiveness and Limitations*, in *Mediation Research: The Process and Effectiveness of Third-Party Intervention*, *Kenneth Kressel & Dean G. Pruitt eds.*, 1989, 31, 32 (კონფლიქტურ მხარეებს შორის დავების გადანყვეტის ეფექტურობის განხილვა).

<sup>29</sup> იხ. *Riskin L. L.*, *Toward New Standards for the Neutral Lawyer in Mediation*, *Ariz. L. Rev.*, Vol. 26, 1984, 329,  
329-30; *Riskin L. L.*, *Mediation and Lawyers*, *Ohio St. L. J.*, Vol. 43, 1982, 29, 29-30 [შემდგომში *Riskin, Me-  
diation and Lawyers*] (ადგენს მედიაციას, როგორც დავების გადანყვეტის ძირითად მეთოდს და ადვო-  
კატების მზარდ ჩართულობას დავების გადანყვეტის ამ მეთოდში); *Zerhusen K. A.*, *Reflections on the Role of the Neutral Lawyer: The Lawyer As Mediator*, *Ky. L.J.*, Vol. 81, 1992-93, 1165, 1166.

<sup>30</sup> ძალიან მცირე წერილობითი მასალა არსებობს, რომელიც მიემართება ადვოკატს, მაგრამ იხ. *Galton E. R.*, *Representing Clients in Mediation*, 1994, vii-xi (გვანვდის ინფორმაციას სასამართლო პროცესების შესახებ ადვოკატებთან მიმართებაში, რომლებიც მონაწილეობენ მედიაციის პროცესში); *Murray J. S.* et al., *Processes of Dispute Resolution*, 2<sup>nd</sup> ed. 1996 (აქცენტი კეთდება ადვოკატების როლზე სასამართლო საქმის წარმოების ალტერნატივებში, როგორცაა მოლაპარაკება, მედიაცია და არბიტრაჟი); *Plimpton D.*, *Mediation of Disputes: The Role of the Lawyer and How Best to Serve the Client's Interest*, *Me. B. J.*, Vol. 8, 1993, 38, 38, 40-44 (განხილავს ADR-ის მზარდ როლს და ADR-ის სხვადასხვა ფორმების მოკლე მიმო-  
ხილვა, რაც საშუალებას იძლევა ყურადღება გავამახვილოთ ადვოკატის როლზე მედიაციური დავების გადანყვეტაში).

<sup>31</sup> იხ. *Legal Education and Professional Development - An Educational Continuum*, Report of the Task Force on Law Schools and the Profession: Narrowing the Gap 233-72 ABA Sec. Legal Educ. & Admissions to B., 1992 (განხილულია სამართლის სკოლების როლი მომავალი ადვოკატების განათლებაში კონვენციური ად-  
ვოკატობის ალტერნატივების საკითხებში) [შემდგომში *MacCrate Report*].

<sup>32</sup> იხ. *Stark J. H.*, *Preliminary Reflections on the Establishment of a Mediation Clinic*, *Clin. L. Rev.*, Vol. 2, 1996, 457, 458. AALS-ის ანგარიში (Association of American Law Schools) Clinical Section მიუთითებს, რომ ზო-  
გიერთ სამართლის სკოლას გააჩნია მედიაციის კლინიკები, სადაც სტუდენტებს ეძლევათ საქმეების მედიაციის შესაძლებლობა. ამ სკოლების უდიდესი ნაწილი ასევე სთავაზობს სტუდენტებს ADR-ის მიმოხილვის კურსს წელიწადში ერთხელ მაინც სიხშირით (ინფორმაცია ინახება ავტორთან).

<sup>33</sup> მე პირადად, *Ed Sherman*-ის, ამჟამად ტულანის სამართლის სკოლის დეკანის შემოთავაზებისა და *Nancy Rogers*-ის, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული დეკანის თხოვნით, შევქმენი და მთელი შტატის მასშტაბით ჩავატარე „მედიაციის კონკურსი“, სხვა სასამართ-  
ლო აქტივობებთან ერთად, რაც საშუალებას აძლევს სამართლის სტუდენტებს პრაქტიკაში გამოს-  
ცადონ და გამოამყლავნონ უნარები, რომლებიც უკავშირდება კლიენტის წარმომადგენლობას მე-  
დიაციაში. კონკურსი, რომელიც სხვა კონკურსების მსგავსად ჩატარდა, აქცენტს არ აკეთებდა მე-  
დიატორზე, ყურადღება მახვილდებოდა ადვოკატსა და მის ეფექტურობაზე მედიაციის პროცესში. იმედია, რომ კონკურსი საბოლოოდ ეროვნულ სტატუსს მოიპოვებს და მისი დაფინანსება მოხდება ABA Law School Divisions-ის მიერ.

ზიის მიღების შემდეგ, მრავალი ახალი ადვოკატი, განსაკუთრებით ტეხასის, ფლორიდის, კალიფორნიის, ჩრდილოეთ კაროლინის და ვირჯინიის შტატებში, საკუთარ თავს მედიაციის პროცესში აღმოაჩენს. თუმცა ამ ტიპის პრაქტიკული განათლების უზრუნველყოფა ორგანიზებული ადვოკატთა ასოციაციებისა და შემდგომი იურიდიული განათლების (CLE) ინსტიტუტების პასუხისმგებლობაა,<sup>34</sup> ამის განხორციელება რთულია, რადგან მოცემული ტიპის ინსტიტუტები კარგად არ იცნობენ ზემოთ ხსენებულ პროცესს.

მედიაცია დავის გადაწყვეტის განსხვავებულ პარადიგმას მოიცავს – პარადიგმას, რომელიც გულისხმობს კოლაბორაციას, შემოქმედებითობას და ხშირად თანამშრომლობას.<sup>35</sup> მონაწილეები, და განსაკუთრებით კი წარმომადგენელი – ადვოკატები<sup>36</sup> აღმოაჩენენ, რომ ძველი ტიპის ქცევები აღარ არის სასარგებლო და ადეკვატური. უფრო მეტიც, ადრე ნასწავლი ტაქტიკის განხორციელებამ ხშირად, შესაძლოა, ზიანი მოუტანოს გადაწყვეტის პოტენციას.<sup>37</sup> ვალიარებ, რომ ადვოკატთა მიდგომისა და ქცევის შეცვლა ძალზე მოკლე ვადაში ყველაზე რთული ამოცანაა. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ მედიაციამ, როგორც ალტერნატიულმა მეთოდმა გააგრძელოს არსებობა და დააკმაყოფილოს მის მიმართ არსებული მოლოდინები, მიზნები და ამოცანები, რაც მოიცავს ხარჯისა და დროის დაზოგვას და დავის გადაწყვეტას და მათ აღსრულებადობას, უნდა მოხდეს პროცესისადმი მიდგომის შეცვლა. მონაწილეებს, მხარეებს და ადვოკატებს არ უნდა შეეძლოთ პროცესის პრივილეგირებული მდგომარეობის მისაღწევად გამოყენება, რაც მოახდენს მონინაალმდეგე მხარის განზრახ უარეს მდგომარეობაში ჩაყენებას. ეს ეწინააღმდეგება ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტის მიღწევის ამოცანას. მედიაციამ, თავად იურიდიული სისტემის ფარგლებშიც კი, უნდა შეინარჩუნოს გარკვეული თავისებურებები, თუ გვსურს მისი, როგორც სასამართლო წარმოებისაგან გამოყოფილი, სიცოცხლისუნარიანი ალტერნატიული პროცესის შენარჩუნება.

სხვა შემთხვევაში მედიაციისგან მივიღებთ საქმის წარმოების პროცესში, წინასწარი მოსმენის პროცედურულ მახეს. თუმცა სასამართლო საქმის წარმოება თავისთავად არაფერს უარყოფითს ან მცდარს არ შეიცავს,<sup>38</sup> მედიაცია ფართოდ სწორედ იმიტომ გამოიყენება, რომ იგი ძალზე განსხვავებულ ალტერნატივას გთავაზობს. სასამართლო საქმის წარმოების სისტემა, რომელიც ეფუძნება მოგება-ნაგების დიქტომიას, ახალისებს შეჯიბრებითობის მიდგომას. ამის საპირისპიროდ, მედიაცია ემყარება პრობლემის გადაწყვეტისადმი ინტერესზე დაფუძნებულ კოლაბორაციულ მიდგომას. ეს განსხვავებები შენარჩუნებულ უნდა იქნას და უფრო მეტიც, ხაზგასმულ უნდა იქნას, იმისათვის რომ თითოეულმა პროცესმა შეინარჩუნოს ინდივიდუალობა და არ მოხდეს ამ ორი პროცესის აღრევა ან შერწყმა. ამ შემთხვევაში თითოეული პროცესი მიაღწევს მის მიზანს, იქნება ეს გამარჯვებულის და დამარცხებულის გამოვლენა თუ ალტერნატიულად ორმხრივად დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევა. ამ შემთხვევაში დავის მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ ის პროცესი, რომელიც მათი თვალსაზრისით საუკეთესოა საკითხის გადასაჭრელად.<sup>39</sup>

<sup>34</sup> MacCrate Report, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 31, 273-317.

<sup>35</sup> ეს, რა თქმა უნდა, პროცესისადმი ფასილიტატიური და „ყველასთვის მომგებიანი“ მიდგომის დაშვებით, იხილეთ შენიშვნა 194-99 ქვემოთ და თანხმლები ტექსტი (მედიაციის პროცესში სხვადასხვა მხარეების ამოცანების განხილვა).

<sup>36</sup> „წარმომადგენელი-ადვოკატი“ არის ტერმინი, რომელსაც ვიყენებ იმ იურისტების მიმართ, რომლებიც მედიაციაში მონაწილეობენ როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლები. იურისტმა შეიძლება, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მედიაციაში მხარის როლში ან ხშირად შეასრულოს მედიატორის როლი. თუმცა აქ და მოცემულ ნაშრომში აქცენტი კეთდება წარმომადგენელ-ადვოკატზე – მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე.

<sup>37</sup> უნდა გავიაზროთ, რომ მედიაციაში დავის გადასაწყვეტად საჭიროა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი პირის თანხმობა.

<sup>38</sup> მაგრამ იხ. *Menkel-Meadow C.*, *The Trouble with the Adversary System in a Postmodern, Multicultural World*, *Wm. & Mary L. Rev.*, Vol. 38, 1996, 5, 6 (ამტკიცებს, რომ შეჯიბრებითობის ტიპის სისტემა არ არის ადეკვატური ნებისმიერი იურიდიული ან დავის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ამოცანების დასაკმაყოფილებლად).

<sup>39</sup> ზოგადი ინფორმაციისთვის იხილეთ: *Sander F. E. A., Goldberg S. B.*, *Fitting the Forum to the Fuss: A User-Friendly Guide to Selecting an ADR Procedure*, *Negotiation J.*, Vol. 10, 1994, 49 (დეტალურად აღწერს ADR-ის პროცესების საქმის კონკრეტულ მახასიათებლებთან შესაბამისობის მიღწევის მეთოდებს).

მედიაციის პროცესის მთლიანობის შესანარჩუნებლად, მისი მონაწილეების ქცევა უნდა შეესაბამებოდეს პროცესის ამოცანებსა და მიზნებს. უნდა გულისხმობდეს თუ არა მედიაციაში მონაწილეობა კონკრეტულად კეთილსინდისიერების დემონსტრირებას? არსებითად, მოსალოდნელი უნდა იყოს თუ არა მონაწილეებისაგან კეთილსინდისიერი მონაწილეობა? პროცესში კეთილსინდისიერების არსებობა მოახდენს თუ არა გავლენას მონაწილეთა მონაწილეობაზე? და თუ კი, უნდა მოხდეს თუ არა მისი უბრალოდ თხოვნის, რეკომენდაციის თუ მოთხოვნის სახით წარმოდგენა?

## II. სავალდებულო მედიაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები

### ა. კონცეპტუალური მონახაზი

მედიაციაში მონაწილეობის საკითხები და, განსაკუთრებით, კეთილსინდისიერი მონაწილეობა, გადახლართულია ADR-ში სავალდებულო ან ძალდატანებით მონაწილეობასთან.<sup>40</sup> სავალდებულო მედიაციის გამოყენების შემთხვევები იზრდება, მისი სადავო ხასიათის და ზოგი იურისდიქციის შემთხვევაში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობის მიუხედავად.<sup>41</sup> ამ სტატიის არ მოხდება სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი მედიაციის დადებითი მხარეების შედარებითი განხილვა, ჩვენ განვიხილავთ მხარეების ქცევას მედიაციის პროცესში. შეიძლება დავუშვათ, რომ თუ კეთილსინდისიერება აუცილებელია, მისი არსებობა აუცილებელი უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი მედიაციის კონტექსტში. კეთილსინდისიერი მონაწილეობის საკითხზე სხვა მსჯელობა შეეხება სასამართლოს გადანყვეტილებით მედიაციას,<sup>42</sup> რაც, ამკარა მიზეზების გამო, წარმოადგენს სიტუაციას, როდესაც კეთილსინდისიერი მონაწილეობა შეიძლება ძალდატანებით იქნას მიღწეული. განხილვა მხოლოდ ამ ტიპის სიტუაციებით არ უნდა შემოიფარგლოს. თუმცა ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ მედიაციის პროცესები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება მისი ჩატარება,<sup>43</sup> სხვა კომენტატორები ამტკიცებენ, რომ მედიაციის პროცესი უცვლელი უნდა იყოს კონტექსტის მიუხედავად.<sup>44</sup> მოხდა თუ არა დავის სასამართლოში გადატანა, ამან<sup>45</sup> არ უნდა გამოიწვიოს ცვლილებები პროცესის წარმართვაში. ამიტომ, თუმცა ქვემოთ წარმოდგენილი იდეები და არგუმენტები, ძირითადად, შეეხება სასამართლოს გადანყვეტილებით ჩატარებულ მედიაციას, რადგანაც სწორედ ამ ტიპის მედიაციას მოიცავს განხილული სასამართლო საქმეები და ამასთან სწორედ ამ ტიპის მედიაციას მოიცავს დებულებები და ამ კონტექსტში მოხდება სავარაუდოდ ადვოკატთა მონაწილეობა, იდეები და არგუმენტები უფრო ფართო გამოყენებისათვის არის გამიზნული.<sup>46</sup> მსგავსად ზემოთ ხსენებულისა, წინამდებარე ნაშრომი, ძირითადად, ემყარება დაშვებას, რომ მხარეები მედიაციას მიმართავენ მეტწილად სავალდებულო სქემის შემთხვევაში; მაგრამ, იგივე წინადადებები და დასკვნები შეიძლება იქნას გამოყენებული პროცესში, სადაც მხარეები მედიაციის პროცესში ნებაყოფლობით ერთვებიან.

<sup>40</sup> Katz, ზემოთ მითითებული წყარო 6, 1-2; *Nelle A.*, Making Mediation Mandatory: A Proposed Framework, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 7, 1992, 287, 304; *Resnik*, ზემოთ მითითებული წყარო 2, 218-19; *Sherman*, ზემოთ მითითებული წყარო 13, 2085-86; *Winston D. S.*, Comment, Participation Standards in Mandatory Mediation Statutes: "You Can Lead A Horse to Water...", *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 11, 1996, 187, 188.

<sup>41</sup> იხ. N.C. Gen. Stat. § 7A-38.1(f), 1995 (მხარეებისგან და მათი წარმომადგენლებისგან მოითხოვება სასამართლოს პროცესის წინა მედიატორული მორიგების სხდომაზე დასწრება).

<sup>42</sup> იხ. *Sherman*, ზემოთ მითითებული წყარო 13, 2081-84; *Winston*, ზემოთ მითითებული წყარო 40, 188.

<sup>43</sup> იხ. *Riskin L. L.*, Understanding Mediators' Orientations, Strategies, and Techniques: A Grid for the Perplexed, 1 *Harv. Negotiation L. Rev.* Vol. 1, 1996, 7, 844-57; *Lande*, ზემოთ მითითებული წყარო 7, 844-57. ორივე *Lande* და *Riskin* ემხრობიან მედიაციის პლურალისტულ კონცეფციას ყველა მიდგომის გათვალისწინებით.

<sup>44</sup> იხ. *Kovach K. K.*, *Love L. P.*, "Evaluative" Mediation Is an Oxymoron, *Alternatives to the High Cost of Litig.*, Vol. 14, 1996, 31, 31.

<sup>45</sup> დავის ლეგალიზაცია ტერმინია, რომელსაც ხშირად ვიყენებ იმის აღსაწერად, რა ხდება კონფლიქტთან დაკავშირებით, როდესაც მიმართავენ ადვოკატებს ან სასამართლო სისტემას.

<sup>46</sup> იხილეთ ქვემოთ ნაწილი VIII.E.1 (განიხილავს განსხვავებულ კონტექსტებში კეთილსინდისიერი მონაწილეობის უცვლელი განსაზღვრების დადგენის რაციონალურ საფუძვლებს).

რამდენიმე სტატია შეისწავლის შემდეგ საკითხს – რას ნიშნავს ADR-ში მონაწილეობის მიღება?<sup>47</sup> კეთილსინდისიერების კონცეფციის ჩათვლით,<sup>48</sup> ამასთან აქცენტი კეთდება სასამართლოს მიერ დანიშნულ მედიაციის პროცესზე. თუმცა ADR-თან დაკავშირებული პერიფერიული საკითხების განხილვა ზოგადად აუცილებელია წარმოდგენის შესაქმნელად, მე აქცენტს მხოლოდ მედიაციაზე და არა ADR-ის სხვა პროცესებზე გავაკეთებ; მრავალ ასეთ პროცესს ახასიათებს სასამართლო საქმის წარმოების მსგავსი ელემენტები. ყველაზე სუფთა, ანუ კლასიკური მედიაციის პროცესი,<sup>49</sup> სადაც მედიატორი ხელს უწყობს კომუნიკაციას, ურთიერთგაგებას და პრობლემის ერთობლივ შემოქმედებით გადაჭრას, და სადაც მედიატორი თავს იკავებს საქმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებისგან ადვოკატებისათვის ყველაზე ნაკლებ ცნობილი ADR-ის პროცესია. კეთილსინდისიერების პრინციპი სწორედ ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია, რადგან პროცესი განსხვავდება სხვა ადრე ნასწავლი დავის გადაწყვეტის მეთოდისგან, სადაც შეჯიბრებითობის პრინციპია გამოყენებული.<sup>50</sup>

## ბ. კეთილსინდისიერი მონაწილეობისგან განსხვავებული სხვა გამორჩეული საკითხები

არსებობს მრავალი პროცედურა, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტას მედიაციის საშუალებით.<sup>51</sup> ეს პროცედურები მოიცავს შემდეგს: მედიაციაზე სავალდებულო დასწრება;<sup>52</sup> მედიატორის გადასახადის გადახდა;<sup>53</sup> ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნა<sup>54</sup> და თვით ჯარიმის გადახდა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ვერ აღწევს მედიაციასთან შედარებით უკეთეს შედეგს სასამართლო პროცესზე.<sup>55</sup> მედიაციაზე დასწრება და ინფორმაციის გაცვლა განიხილება, როგორც კეთილსინდისიერი მონაწილეობის კრიტიკული ელემენტები.<sup>56</sup> თუმცა საზღაურის გადახდა ან ჯარიმის გადახდა შეთანხმების მიუღწევადობის შემთხვევაში არ წარმოადგენს ასეთ ელემენტებს და განიხილება, როგორც საკითხები, რომლებიც არ უკავშირდება კეთილსინდისიერი მონაწილეობის პრინციპს.

<sup>47</sup> იხ. *Sherman*, ზემოთ მითითებული წყარო 13, 2096; *Winston*, ზემოთ მითითებული წყარო 40, 197.

<sup>48</sup> იხ. *Alfini J. J.*, *Trashing, Bashing, and Hashing It Out: Is This the End of “Good Mediation”?*, Fla. St. U. L. Rev., Vol. 19, 1991, 47, 63; *Sherman* ზემოთ მითითებული წყარო 13, 2089; *Biller T.*, *Comment, Good Faith Mediation: Improving Efficiency, Cost, and Satisfaction in North Carolina's Pre-trial Process*, Campbell L. Rev., Vol. 18, 1996, 281, 292.

<sup>49</sup> საკითხი – რა არის მედიაცია ნაწილობრივ დეფინიციური ხასიათისა; პროცესი, რომელზეც ამ სტატიაში მივუთითებ მედიატორს განიხილავს, როგორც ფასილიტატორს, რომელიც დახმარებას უწევს მხარეებს პრობლემის გადაჭრაში. თუმცა, როგორც ეს შემდგომში აღნიშნული, კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა აუცილებელია პროცესის სხვაგვარი ხედვის შემთხვევაშიც. იხილეთ შენიშვნა ქვემოთ 244-65 და თანმხლები ტექსტი.

<sup>50</sup> ამიტომ, სხვადასხვა აქტივობის შემთხვევაში ტერმინის „მედიაცია“ გამოყენების დაშვება დაბნეულობას იწვევს. თუ ეს მიდგომა გაგრძელდა, ადვოკატები ვერასოდეს გაარჩევენ პროცესებს ერთმანეთისგან და მედიაცია დაკარგავს თავის პოტენციას, შექმნას დავების გადაწყვეტის განსხვავებული პარადიგმა.

<sup>51</sup> იხ. *Rogers&McEwen*, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 11, § 7:06.

<sup>52</sup> იხ. *Triad Mack Sales & Serv., Inc. v. Clement Bros. Co.*, 438 S.E.2d 485, 488, N.C. Ct. App. 1994 (ადასტურებს გადაწყვეტილებას სასამართლოს მიერ დადგენილ მედიატორული გარიგების პროცესზე არდასწრების შემთხვევაში); *Decker v. Lindsey*, 824 S.W.2d 247, 251, Tex. App. – Houston [1st Dist.] 1992, no writ (აიძულებს მხარეებს მონაწილეობა მიიღონ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურაში).

<sup>53</sup> იხ. *Rogers&McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 7:06; *Nelle*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40, at 303; *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, at 2089.

<sup>54</sup> იხ. *Rogers&McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 9; *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, at 2089.

<sup>55</sup> იხ. *Rogers&McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 7:04 (discussing “Michigan Mediation,” სადაც მხარემ, რომელიც ირჩევს სასამართლოში წასვლას თანხა სულ მცირე 10%-ით უნდა გააუმჯობესოს ან გადაიხადოს მეორე მხარის იურისტის ხარჯი).

<sup>56</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.D (განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება შეტანილი იქნას კეთილსინდისიერი მონაწილეობის დამავალდებულებელ წესში ან საკანონმდებლო აქტში).

საკითხის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული რიგი ქმედებები იძულებითი ხასიათისაა. იძულება ხშირად განიხილება როგორც ელემენტი, რომელიც შეუთავსებელია მედიაციასთან.<sup>57</sup> იძულება შეიძლება სასამართლოდან მომდინარეობდეს; ამ შემთხვევაში მხარეებს ევალუაბათ შეთანხმების მიღწევა ან უფრო ხელსაყრელი მიდგომის შემთხვევაში – ადვოკატებისთვის გადაკრული სიტყვით იმის მინიშნება, რომ მათ არ მოეწონებათ სასამართლოს შედეგები. იძულება შეიძლება მედიატორისგან მომდინარეობდეს. მაგალითად, მედიატორმა შეიძლება უფლება არ მისცეს მხარეებს დატოვონ მედიაციის პროცესი შეთანხმების მიღწევამდე.<sup>58</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობა არ უნდა იყოს იძულებითი. მაშინ, როცა კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა მოიცავს მედიაციის პროცესზე დარჩენას, მედიაციის პროცესზე დარჩენის ხანგრძლივობა კეთილგონივრული უნდა იყოს, მაგ., ორი ან სამი საათი და არა მთელი დღე და ღამე.

არჩევანის თავისუფლების თვითგანსაზღვრება, მედიაციის პროცესის დედააზრი, დაკავშირებულია კეთილსინდისიერების პრინციპთან ისევე, როგორც სამართლიანობის ცნება. თვითგამორკვევის მოთხოვნა შეიძლება პროცესისთვის დამახასიათებელ რეკვიზიტ კეთილსინდისიერებასთან შეუთავსებელი მოგვეჩვენოს. თუმცა თვითგამორკვევა გამოკვეთილად წარმოადგენს პროცესის საფუძველს,<sup>59</sup> ასევე აღიარებულია, რომ მრავალი მხარე არასკმარისად იცნობს მედიაციის პროცესს იმისათვის, რომ ესმოდეს ამ პროცესის ნიუანსები და ამ პროცესისთვის შესატყვისი კონკრეტული ქცევები. კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან ან მსგავს ელემენტებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები, ან თუნდაც მოთხოვნები ქმნის გარკვეულ ჩარჩო-მონახაზს, რის ფარგლებშიც შეუძლიათ შემდეგ მხარეებს მოქმედება. სამართლიანობა მედიაციის როგორც პროცესში, ისე შედეგებში არის ნაგულისხმევი. მიუხედავად ამისა, სამართლიანობა პრობლემური ტერმინია, რადგან მისი განმარტება დამოკიდებულია დამკვირვებლის შეხედულებაზე.<sup>60</sup> მედიაციამ ყველა მხარე უნდა უზრუნველყოს სამართლიანი პროცესით, ამასთან მხარეების გადასაწყვეტია ამ პროცესის შედეგები და მათი სამართლიანობა.

მედიაციას, ზოგ შემთხვევაში, განიხილავენ როგორც ფასილიტირებულ მოლაპარაკებას. კეთილსინდისიერი მონაწილეობის საკითხი პირდაპირ მოლაპარაკებებში – როგორც შრომის კონტექსტში, ისე ამ კონტექსტის გარეთ, შესწავლილია და ეს საკითხი შეტანილია განმარტებითი ხასიათის დიკუსიებში. და თუმცა კეთილსინდისიერი მონაწილეობა პირდაპირ მოლაპარაკებებში, განხორციელებული მისი მხარეების ან ადვოკატების მიერ, მაღალი ალბათობითაა სასარგებლო, არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის საგანს. განსხვავებული თავისებურების გამო – მესამე ნეიტრალური მხარის, მედიატორის არსებობა – პირდაპირი მოლაპარაკება გამორჩევადი პროცესია და, შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მისი გათვალისწინება წინამდებარე ანალიზში.

მედიატორის ქცევაც არ წარმოადგენს წინამდებარე შრომის საგანს. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის დაშვებულია, რომ მედიატორი არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს და ასრულებს არსებულ ეთიკურ ნორმებს,<sup>61</sup> რაც არ უნდა პრობლემატური იყოს ეს,<sup>62</sup> თუმცა მხარეების მხრიდან კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა ინვესტს მედიატორის როლის თავიდან განხილვის საჭიროებას, განსაკუთრებით არაკეთილსინდისიერი ქმედების მტკიცე-

<sup>57</sup> იხ. *Rogers&McEwen*, ზემოთ მითითებული წყარო 11, § 7:03; *Katz*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, at 41.

<sup>58</sup> თუმცა ძალა არ ყოფილა გამოყენებული, ტეხასის ზოგიერთი მედიაციის შემთხვევებში, რომლებიც შემდეგი დილის 7 საათამდე გრძელდებოდა, მხარეები აღნიშნავდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ პროცესის დატოვება.

<sup>59</sup> იხ. *Feerick J. et al.*, *Standards of Professional Conduct in Alternative Dispute Resolution*, *J. Disp. Resol.*, 1995, 95, 101; *Model Standards of Conduct for Mediators*, *supra* note 22, § I.

<sup>60</sup> იხ. *McEwen C. A. et al.*, *Bring in the Lawyers: Challenging the Dominant Approaches to Ensuring Fairness in Divorce Mediation*, 79 *Minn. L. Rev.*, Vol. 79, 1995, 1317, 1323 .

<sup>61</sup> იხ. *Feerick*, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 59, 95.

<sup>62</sup> იხ. *Menkel-Meadow C.*, *Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers From the Adversary Conception of Lawyers Responsibility*, *S. Tex. L. Rev.*, Vol. 38, 405, 442-46 (წარმოადგენს ADR-ში ეთიკური მითითებების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს).

ბის შემთხვევაში.<sup>63</sup> შესაძლოა, საჭირო გახდეს მედიატორის, როგორც მიუკერძოებელი პირის როლის, რომელიც მედიაციის შედეგებისადმი ნდობის განმაპირობებელია, გადახედვა, კომპრომისული ვარიანტის მოძიებისა და კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.<sup>64</sup> მოცემული საკითხი მოგვიანებით იქნება განხილული.<sup>65</sup>

### III. მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის დღევანდელი სტატუსი

თუმცა დავების გადაწყვეტის პროცედურებში კეთილსინდისიერი მონაწილეობის საკითხი სხვა ნაშრომებშიც არის განხილული,<sup>66</sup> კონფლიქტური პოზიციების დილემამ კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც ტეხასში წამოიჭრა,<sup>67</sup> დამატებით კვლევას დაუდო საფუძველი. შექმნილმა გაუგებრობამ ცხადყო კეთილსინდისიერი მონაწილეობის საკითხების ფართო გათვალისწინებისა და ამგვარი მოთხოვნის დაწესების პრაქტიკული შედეგების ანალიზის აუცილებლობა. ტეხასში მოცემული საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, მაშინ როცა სხვა შტატები და პროგრამები უკვე ითვალისწინებენ მოცემულ საკითხს.<sup>68</sup>

მედიაციის სფერო, რომელიც გასული ოცი წლის განმავლობაში განვითარდა,<sup>69</sup> ამ ეტაპზე განიხილება, როგორც ორი ფოკუსის მქონე – საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული<sup>70</sup> და სასამართლოს მიერ დადგენილი.<sup>71</sup> მაგრამ, ამგვარ განვითარებამდე, მედიაცია ფართოდ გამოიყენებოდა შრომით და კოლექტიური გარიგებების საქმეებში.<sup>72</sup> თუმცა მიმდინარე პრაქტიკის ჩამოყალიბება არ მომხდარა შრომით სფეროში არსებული პრაქტიკის დეტალური ადაპტაციის გზით, ანალოგია მოცემული სფეროდან შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტისას. შრომით, საზოგადოებრივ და სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციას გააჩნია მსგავსი ამოცანები, როგორცაა დავების სწრაფი გადაწყვეტა.<sup>73</sup> თუმცა საზოგადოებრივ და სასამართლოს მიერ დადგენილ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევადობა არ იწვევს პროცესის დატოვებას ან გაფიცვებს, დავის გადაწყვეტა ისეთივე სასარგებლო და სასურველი შეიძლება იყოს როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში. კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნები, ასევე მოქმედებს ფერმერ-მსესხებელს შორის განხორციელებულ და განქორწინების მედიაციის დებულებებშიც. ეს მაგალითები წარმოადგენს კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესწავლის საწყის ნიშნულს.

<sup>63</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.C. კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის არაკეთილსინდისიერი მონაწილეობით განსაზღვრისათვის და პირიქით, როდესაც კეთილსინდისიერი მონაწილეობის ნაკლებობის დემონსტრირება შეიძლება მოხდეს არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობით.

<sup>64</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VII.B (განიხილავს მედიატორის როლისთვის დამახასიათებელ შინაგან კონფლიქტს მხარეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობასა და კონფიდენციალობას შორის მხარის მიერ მედიაციის პროცესის დაუცველობისას.).

<sup>65</sup> იხ. იგივე.

<sup>66</sup> იხ. *Alfini*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 63-66; *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2089; *Biller*, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 48, 291.

<sup>67</sup> იხ. ქვემოთ შენიშვნა 101-06 და თანხმდები ტექსტი (განიხილავს კონფლიქტს შტატის საკანონმდებლო აქტსა და პრეცედენტულ სამართალს შორის საჭირო კეთილსინდისიერი მონაწილეობის კონტექსტში).

<sup>68</sup> იხ. *Alfini*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 63; *Winston*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40, 197-201; *Biller*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 297.

<sup>69</sup> იხ. *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 5:02

<sup>70</sup> იხ. *Duffey K. G.*, Introduction to Community Mediation Programs: Past, Present, and Future, in *Community Mediation: A Handbook for Practitioners and Researchers*, Karen Grover Duffey et al. eds., 1991, 26-27; ასევე, იხ. *Primm E. B.*, The Neighborhood Justice Center Movement, Ky. L.J., Vol. 81, 1992-93, 1067, 1075 (განიხილავს საზოგადოებაზე დაფუძნებული მოძრაობის ისტორიის მიმოხილვას).

<sup>71</sup> იხ. *Resnik*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 2, 218-19 (განიხილავს სასამართლოს მიერ დადგენილი ADR-ის განვითარებას).

<sup>72</sup> იხ. *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 5:01.

<sup>73</sup> იხ. *Dade J. M.*, Note, Negotiating in Good Faith: Management's Obligation to Maintain the Status Quo During Collective Bargaining Under the Railway Labor Act, J. Disp. Resol., Vol. 2, 1992, 395, 395.

შრომითი ხასიათის მოლაპარაკებებში, კოლექტიური მორიგების პროცესის ვალდებულებები მოიცავს გახსნილობას და საერთო საფუძვლების მიღწევის კეთილგონიერ მცდელობას, მაგრამ არ მოიცავს შეთანხმების მიღწევის ვალდებულებას.<sup>74</sup> დამსაქმებლის წარუმატებლობა მორიგების პროცესში განიხილება როგორც უსამართლო.<sup>75</sup> თუმცა, ხშირად, ეს პროცესი მოიხსენიება როგორც კეთილსინდისიერი მორიგების ვალდებულება, მოცემული ქცევა შეიძლება, ასევე, განვიხილოთ, როგორც მორიგების დადებითი პრაქტიკა.<sup>76</sup>

დამატებითი განსაზღვრებების წარმოდგენის შემდეგ, NLRB (შრომითი ურთიერთობების ეროვნული საბჭო) და სასამართლოები ამტკიცებდნენ, რომ კოლექტიური მორიგების შემთხვევაში შრომით მოლაპარაკებებში არ უნდა მომხდარიყო „მიიღე და დატოვე“ ტიპის მიდგომის გამოყენება.<sup>77</sup> ამის სანაცვლოდ, მოლაპარაკების მწარმოებლის ვალდებულებაა „დისკუსიაში აქტიური ჩართვა“ და წინადადებების მოსმენა ისევე, როგორც შეუთანხმებლობის საფუძვლების წარმოდგენა.<sup>78</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ კოლექტიური მორიგების საკითხისადმი საკუთარი მიდგომის დემონსტრირება გააკეთა შემდეგ განცხადებაში – არ უნდა მოხდეს „უნაყოფო მართონული დისკუსიების“ მხარდაჭერა, არამედ უნდა მოხდეს საკითხების განხილვა, და ამ გზით მხარეებმა „შესაძლოა მიაღწიონ ახლებურ კომპრომის საკითხთან დაკავშირებით, რაც აქამდე მუდმივად უკუგდებული იყო“.<sup>79</sup>

ახლო წარსულში მიღებული დებულებები მედიაციის სავალდებულო გამოყენების შესახებ, ასევე მიუთითებს კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე. ერთ-ერთ კონკრეტულ სფეროს წარმოადგენს ფერმერი-მსესხებელის დავები.<sup>80</sup> მაგალითად, მინესოტაში, ფერმერი-მსესხებელის საქმეებში არსებობს კეთილსინდისიერი მონაწილეობის ნათელი ვალდებულება.<sup>81</sup> დებულებები, რომელიც შემდეგი ყოვლისმომცველი ფრაზით სრულდება „სხვა მსგავსი ქცევა, რომელიც ადასტურებს მხარის კეთილსინდისიერი მონაწილეობის ნაკლებობას“, <sup>82</sup> განსაზღვრავს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მნიშვნელობას. კეთილსინდისიერი მონაწილეობის ელემენტები მოიცავს შემდეგს: მედიაციის პროცესზე დასწრება და მონაწილეობის მიღება; ფინანსებთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის მონოდება; დავის მოგვარების სრული უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა; წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენა ვალის რესტრუქტურის ალტერნატივებისა და ამგვარი ალტერნატივების გამოყენების მიუღებლობის მიზეზების შესახებ; და კრედიტორის მიერ აუცილებელი ხარჯების გაცემა.<sup>83</sup> უფრო მეტიც, მედიატორი არის პირი, რომელიც შერჩეული იქნა კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რამეთუ მან უნდა მოახდინოს აფიდავიტის დოკუმენტის საბუთებში ჩართვა, ამგვარი აფიდავიტი აცხადებს, რომ მხარის მონაწილეობა არ იყო კეთილსინდისიერი.<sup>84</sup> მაგრამ, სასამართლომ შეიძლება განიხილოს მედიატორის დასკვნები კეთილგონიერების პრინციპების დარღვევის შესახებ და მიიღოს შესაბამისი ზომები/ დაანესოს სანქციები ამგვარი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში.<sup>85</sup>

<sup>74</sup> იხ. *Cox A.*, *The Duty to Bargain in Good Faith*, *Harv. L. Rev.*, Vol. 71, 1958, 1401, 1405.

<sup>75</sup> იხ. იქვე, 1401.

<sup>76</sup> იხ. იქვე, 1403.

<sup>77</sup> იქვე, 1411; იხ. *NLRB v. General Elec. Co.*, 418 F.2d 736, 2d Cir. 1969 (განიხილავს დამქირავებლის მიერ მოლაპარაკებისას გამოყენებულ მიიღე-ან-დატოვე მიდგომას); იხ. ასევე: *Craver Ch. B.*, *Effective Legal Negotiation and Settlement*, 2<sup>nd</sup> ed., 1993, 173-75 (განიხილავს ბელვერაიზმის ტექნიკას); *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2092-93 (განიხილავს მიდგომას, რომელიც *Boulwarism*-ის სახელით არის ცნობილი).

<sup>78</sup> *Cox*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 74, 1411.

<sup>79</sup> იქვე, 1412 (ციტ.: *NLRB v. American Nat'l Ins. Co.*, 343 U.S. 395, 404, 1952).

<sup>80</sup> იხ. *Riskin L. L.*, *Two Concepts of Mediation in the FMHA's Farmer-Lender Mediation Program*, *Admin. L. Rev.*, Vol. 45, 1993, 21, 34.

<sup>81</sup> იხ. *Minn. Stat. Ann.* § 583.27(1)(a), West 1996.

<sup>82</sup> იქვე, § 583.27(1)(a)(6).

<sup>83</sup> იქვე § 583.27(1)(a).

<sup>84</sup> იქვე, § 83.27(2).

<sup>85</sup> იხ. იქვე § 583.27(6)(a),(ბ).



რაც შეეხება კეთილსინდისიერ მონაწილეობას სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციონის საქმებში, ტეხასის პირველი დონის სააპელაციო სასამართლომ პირველმა განიხილა ეს საკითხი დეკერი ლინდსეის წინააღმდეგ საქმეში (Decker v. Lindsey).<sup>86</sup> დეკერის საქმეში, სასამართლომ ხელი მოაწერა ბრძანების ფორმას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითხოვდა მხარეების მიერ მედიაციონის პროცესის გავლას და, ამასთან ერთად, „პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას“.<sup>87</sup> დეკერის სასამართლომ, აღიარებს რა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება დაადგინოს მხარეების მიერ მედიაციონის პროცესის დაწყება, ნათლად განაცხადა, რომ სასამართლო ვერ დაავალდებულებს მხარეებს კეთილსინდისიერი მონაწილეობა მიიღონ მათ შორის გამართულ მოლაპარაკებებში.<sup>88</sup>

სხვა შტატებშიც გვაქვს დეკერის საქმის მსგავსი მაგალითები. ფლორიდამ აღიარა ავრილი ცივილმარის წინააღმდეგ (Avril v. Civilmar) საქმეში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არარსებობა სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციაში.<sup>89</sup> ავრილის საქმეში, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასცა სანქცია მოპასუხეზე სასამართლოს მიერ დადგენილი მედიაციონის პროცესში გარიგების შეთავაზების გაკეთებაზე უარის განცხადების გამო. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა დადგენილება იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მედიაციონის დებულებების შესაბამისად სანქციების გაცემა არის დაშვებული მხოლოდ მედიაციაზე არგამოცხადების შემთხვევაში და არა მედიაციაში მონაწილეობის მიღებაზე ან მოლაპარაკებების წარმოებაზე უარის განცხადების შემთხვევაში.<sup>90</sup> ზემოთ განხილულის ანალოგიურად, კოლორადოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს არ გამოუვლენია არაკეთილსინდისიერება იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი წინასწარი მოსმენის სხდომაზე არ გამოამჟღავნა, რომ მოსარჩელესთვის შეთავაზებული მაქსიმალური თანხა იქნებოდა მხოლოდ 300 აშშ დოლარი.<sup>91</sup> სასამართლომ ამგვარი გადაწყვეტილება შემდეგნაირად დაასაბუთა — მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომელიც მოიცავდა მის პოზიციას და ზემოთ ხსენებულ მაქსიმალურ ზღვარს; არ უნდა მოხდეს მხარის იძულება მიაღწიოს გარიგებას ამგვარი ვალდებულების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში.<sup>92</sup> ანალოგიურად, ჯორჯიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტრანსპორტის დეპარტამენტი ატლანტის წინააღმდეგ საქმეში (Department of Transportation v. City of Atlanta),<sup>93</sup> თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეეძლო დაედგინა მხარეების მიერ მედიაციონის პროცესის განხორციელება, მას არ ქონდა ჯარიმის დანესების უფლებამოსილება მხარეების მიერ შეთანხმების მიუღწევადობის შემთხვევაში.<sup>94</sup> ანალოგიურად, აიოვას უმაღლესმა სასამართლომ გრეჰემი ბეიკერის წინააღმდეგ (Graham v. Baker) საქმეზე<sup>95</sup> მიუთითა, რომ თუმცა დებულება მოითხოვდა მხარეების მედიაციონის პროცესში მონაწილეობას, მონაწილეობა სრულდებოდა მათი დასწრებით მედიაციონის პროცესზე მაშინაც კი, თუ ერთადერთი განცხადება ამ პროცესზე მიუთითებდა იმაზე, რომ პოზიციებზე მოლაპარაკება შეუძლებელი იყო.<sup>96</sup>

თუმცა სხვა იურისდიქციებში, დეკერის, ავრილის და სხვა მაგალითებისგან განსხვავებით, არსებობს მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა და ამ მოთხოვნის გამოყენების სიხშირე მატულობს. მაგალითად, ინდიანას შტატის წესები ADR-ის წარმოების შესახებ შეიცავს როგორც დებულებას მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესა-

<sup>86</sup> 824 S.W.2d 247 (Tex. App. \_ Houston [1st Dist.] 1992, no writ).

<sup>87</sup> იქვე, 249.

<sup>88</sup> იხ. იქვე 251; ასევე, იხ. *McPheeters Ch. J.*, Note, Leading Horses to Water: May Courts Which Have the Power to Order Attendance at Mediation Also Require Good-Faith Negotiation?, *J. Disp. Resol.*, Vol. 2, 1992, 377, 380.

<sup>89</sup> 605 So. 2d 988, Fla. Dist. Ct. App. 1992.

<sup>90</sup> იხ. იქვე 989.

<sup>91</sup> იხ. *Halaby, McCrea, & Cross v. Hoffman*, 831 P.2d 902, 908, Colo. 1992 (en banc).

<sup>92</sup> იხ. იქვე.

<sup>93</sup> 380 S.E.2d 265 (Ga. 1989).

<sup>94</sup> იქვე, 268.

<sup>95</sup> 447 N.W.2d 397 (Iowa 1989).

<sup>96</sup> იქვე 401.

ხებ,<sup>97</sup> ასევე ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სანქციების შესახებ დებულებას.<sup>98</sup> კანონმდებელი მოითხოვს ადგილობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საქმეებზე მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას.<sup>99</sup> სასამართლომ შეიძლება სანქცია დაუნესოს მხარეს მედიაციის კეთილსინდისიერი მცდელობის არარსებობის შემთხვევაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ამასთან, სანქციები საკმაოდ დიდ ხარჯთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ვალდებულების შეუსრულებლობის სანქციისა და ადვოკატების საზღაურის ჩათვლით. დღევანდლამდე მხოლოდ ერთი საქმეა დაფიქსირებული, აქცენტი კეთდებოდა შეთანხმებაზე და არ ხდებოდა იმის მტკიცება, რომ კეთილსინდისიერ მონაწილეობას არ ჰქონდა ადგილი.<sup>100</sup> სხვა შტატების საკანონმდებლო აქტებით, როგორცაა ფლორიდის, კანზასისა და ვაშინგტონის აქტები, საოჯახო სამართლის სფეროში მედიაციის შემთხვევაშიც არის გათვალისწინებული კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა.<sup>101</sup>

საოჯახო სამართლის გარდა, მედიაციის სხვა სპეციალიზებული გამოყენებისას ხდება კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დანესება. ამის მაგალითებია, ვაშინგტონში მობილურ სახლებთან დაკავშირებული მედიაცია,<sup>102</sup> სადაზღვევო სარჩელები ფლორიდაში,<sup>103</sup> შრომით სფეროში განათლების საკითხებზე მედიაცია კანზასში.<sup>104</sup> კანზასის საკანონმდებლო აქტი ასევე განსაზღვრავს არაკეთილსინდისიერების ცნებას.<sup>105</sup> შესაძლოა, მედიაციის პროცესზე დასწრების მოთხოვნის დანესების შემდეგ<sup>106</sup> ახალი მოთხოვნა შეეხოს მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას.

არ არის გასაკვირი, რომ დეკერისა და შემდგომმა მსგავსმა საქმეებმა ტეხასში მედიაციის პროცესთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები გამოიწვია. თუმცა დეკერის საქმე კითხვის ქვეშ პირდაპირ არ დაყენებულა. ბოლო საკანონმდებლო სხდომაზე, ტეხასის კანონმდებლები შეეცადნენ დაეძლიათ დეკერის საქმის ზემოქმედება, ეს განსაკუთრებით შეეხება საოჯახო სამართლის სფეროს საქმეებს. ტეხასის საოჯახო სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, მხარეებს მოეთხოვებათ პირველ შუამდგომლობაში შეიტანონ დებულება, რომელიც შემდეგი სახისაა:

*ჩემთვის ცნობილია, რომ ტეხასის შტატის პოლიტიკა ხელს უწყობს იმ დავების შეთანხმებულ და არასასამართლო გზით გადაწყვეტას, რომლებიც ბავშვებსა და ოჯახებს ეხება. ჩემთვის ცნობილია დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდები მედიაციის ჩათვლით. ვაღიარებ რა, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წარმოადგენს ალტერნატიულ გზას და არ წარმოადგენს სასამართლო მოსმენის შემცველს და შესაძლოა მოცემული საქმე სასამართლოში იქნას განხილული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მე ვაცხადებ სასამართლოს წინაშე, რომ ვეცდები კეთილსინდისიერად გადავჭრა დავის საკითხები ამ შემთხვევაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზით სასამართლოს ჩარევის აუცილებლობის გარეშე.<sup>107</sup>*

ამასთან ერთად შუამდგომლობას ხელი უნდა მოანეროს მხარემ.<sup>108</sup>

<sup>97</sup> Ind. Code Ann. tit. 34, Appendix on ADR, წესი 2.1 (West 1996).

<sup>98</sup> იქვე, წესი 2.11. მაგრამ, ასევე, იხ. *State v. Carter*, 658 N.E.2d 618, 622, Ind. App. 1995 (არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის დადგენა).

<sup>99</sup> Me. Rev. Stat. Ann. tit. 19, § 214(4), West 1995.

<sup>100</sup> *Bennett v. Bennett*, 587 A.2d 463, 464, Me. 1991.

<sup>101</sup> Fla. Stat. Ann. § 627.745(დ), West 1996; Kan. Stat. Ann. § 72-5430(c)(4), 1992; Wash. Rev. Code § 59.20.080(2), 1996.

<sup>102</sup> Wash. Rev. Code § 59.20.080(2), 1996.

<sup>103</sup> Fla. Stat. Ann. § 627.745(დ), West, 1996.

<sup>104</sup> Kan. Stat. Ann. §§ 72-5427, 72-5430(c)(4), 1992.

<sup>105</sup> Id. § 72-5430, 1992.

<sup>106</sup> *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო, 11, § 7:06.

<sup>107</sup> თავდაპირველად, Tex. H.B. 433, 74th Leg., R.S., 1995, ამჟამად, Tex. Fam. Code Ann. § 3.522, Vernon Supp. 1997.

<sup>108</sup> Tex. Fam. Code Ann. § 3.522(ბ), Vernon Supp., 1997.

თუმცა საკანონმდებლო აქტში მოხსენიებულია „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, უმრავლეს შემთხვევაში მედიაცია არის პროცესი, რომელიც ტეხასის საოჯახო სასამართლოებში გამოიყენება. თუმცა გარკვეულ დონეზე ხდება არბიტრაჟის გამოყენებაც.<sup>109</sup> როგორ ახდენენ ტეხასის სასამართლოები მოცემული დებულებისა და დეკერის საქმის შეთავსებას? ეს ჯერ კიდევ სანახავია. კანონმდებლობას არ გააჩნია დეტალური საკანონმდებლო აქტის შექმნის ისტორია; თუმცა ამ ჩანაწერის ავტორთან ინტერვიუდან<sup>110</sup> ჩანს, რომ ზემოთ ხსენებული დებულების ძირითადი ამოცანა საგანმანათლებლო ხასიათისაა. კანონმდებლები იმედოვნებენ, რომ ინდივიდუალური კლიენტები, სასამართლო დავის რეალური მხარეები შეიტყობენ და გაითვალისწინებენ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდების არსებობას. კეთილსინდისიერი მონაწილეობის დებულების ჩართვის აუცილებლობა, სავარაუდოდ, მხოლოდ მხარეების სწორი მიდგომის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. თუმცა ზოგიერთი ამტკიცებენ, რომ ეს დებულება არ შეესაბამება სასამართლო საქმის წარმოების არსებულ პრაქტიკას,<sup>111</sup> სხვები, მეცნიერებისა და სასამართლოების ჩათვლით, აღიარებენ, რომ მონაწილეობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერი მონაწილეობის ჩათვლით, გარკვეული მოთხოვნის არარსებობის პირობებში, დავის გადაჭრის მცდელობა შეიძლება უნაყოფო აღმოჩნდეს.<sup>112</sup>

ზოგ სიტუაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა ნაგულისხმევია, როგორც მედიაციის პროცესის ნაწილი. მედიაციასთან დაკავშირებული ლიტერატურა შეიცავს ნათელ კომენტარს იმის შესახებ, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა პროცესის ნაწილია. თვით დინს შერმანი (Deans Sherman) და ალფინი (Alfini), და პრაქტიკოსი გალტონი (Galton), რომლებიც თავიანთ ნაშრომებში მიუთითებენ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე,<sup>113</sup> სხვა შემთხვევებში მიუთითებენ, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა მედიაციის ნაწილია.<sup>114</sup>

დაბოლოს, მრავალი შეთანხმება, რომელიც შეიცავს დებულებას მომავალი დავების მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ, მიუთითებს, რომ მედიაცია უნდა განხორციელდეს „კეთილსინდისიერი მონაწილეობით“.<sup>115</sup> აშკარაა, რომ ამ დებულების მიზანია დავის წამოჭრამდე პროცესის მიმართ პასუხისმგებელი დამოკიდებულების შექმნა. თუმცა, მოგვიანებით, შეიძლება წამოიჭრას კითხვები საკონტრაქტო შეთანხმებების მედიაციისას კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის აღსრულებადობის შესახებ.

<sup>109</sup> იხ., მაგალითად, Tex. Fam. Code Ann. §153.0071, Vernon, 1995 (დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურების ჩამონათვალი იმ საჩივრებში, რომელიც ეხება მშობელი-ბავშვს შორის ურთიერთობებს) *Gagnon S. W.*, Family Law Mediation Training Seminar, South Texas College of Law, Aug. 17, 1995 (ინახება ავტორის მასალებში).

<sup>110</sup> იხ. სატელეფონო ინტერვიუ ჩატარებული *Gretchen M. Umbeck*-ის მიერ დოკუმენტის ავტორთან, *Honorable John Montgomery* (ივნისი, 1995). დამატებითი დეტალებისათვის, იხ. *Umbeck G. M.*, Good Faith in Resolving Disputes in The Family Courts: What H.B. 433 May Mean to Mediation in Texas, 6 (განიხილავს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნას, რომელიც წარმოდგენილი იქნა HB 433-მით) (გამოუქვეყნებელი ნაშრომი, ინახება ავტორის მასალებში).

<sup>111</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2094, 2112.

<sup>112</sup> იხ. *Katz*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, 21; *McPheeters*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 88, 391.

<sup>113</sup> იხ. *Alfini*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 65-66; *Galton*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 30, 178; *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2089-94.

<sup>114</sup> იხ. *Alfini*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 66 (ანგარიში მიუთითებს, რომ თუმცა არსებობს კეთილსინდისიერი მონაწილეობის ელემენტის აღსრულებასთან დაკავშირებული სირთულეები მედიაციაში, ადვოკატების უმრავლესობა კვლევაში ფიქრობს, რომ ეს ელემენტი აუცილებელია.); *Murray et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 30, 370. ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. *Galton E. R.*, *Kovach K. K.*, Advanced Civil Trial Law Conf. at South Texas College of Law, Problem Areas in Alternative Dispute Resolution: A Practitioners List of Dos and Do Nots, Feb. 27, 1997 (ინახება სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლის შემდგომი განათლების დეპარტამენტის მასალებში).

<sup>115</sup> იხ. *Shade J.*, The Oil and Gas Lease and ADR: A Marriage Made in Heaven Waiting to Happen, Tulsa L.J., Vol. 30, 1995, 599, 645.

#### IV. კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები

კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და ამგვარი მოთხოვნის დაწესების მიზანშეწონილობის დადგენის შემდეგ, გათვალისწინებული უნდა იქნას კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის შემთხვევა. ახლო წარსულამდე მრავალი მედიაციის პროცესი ხორციელდებოდა იმის უბრალო დაშვებით, რომ კეთილსინდისიერ მონაწილეობას ადგილი ჰქონდა. მედიაციაზე შეთანხმება მოიცავს კეთილსინდისიერ მონაწილეობას და მედიაციის აღწერა აკადემიურ<sup>116</sup> თუ პრაქტიკაზე ორიენტირებულ<sup>117</sup> ლიტერატურაში მოიცავს კეთილსინდისიერ მონაწილეობას, როგორც პროცესის შემადგენელ ნაწილს. მიუხედავად ამისა, დეკერის გადანყვეტილების შემდეგ, ტეხასის ადვოკატებისთვის ცნობილი გახდა, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობა არ არის აუცილებელი, მედიაციისადმი დამოკიდებულებამ ხშირ შემთხვევაში მიიღო სასამართლო საქმის წარმოების მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურის სახე. მედიაციის ამგვარი განხილვა დროში ემთხვევა და, სავარაუდოდ, გამომწვეულია მედიაციის იურიდიულ სისტემაში ასიმილაციით.<sup>118</sup> თუმცა კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მედიაცია განსხვავებულ პროცესად აღიქმებოდა, ისეთ პროცესად, რომელიც უფრო შეესაბამება ადრეულ განსაზღვრებებს, როგორცაა – ორმხრივად დამაკმაყოფილებელი ან მისაღები გადანყვეტის მიღწევაში მხარეების დახმარება და ინდივიდუალური პირებისათვის დახმარების აღმოჩენა მათი ურთიერთობებისა და მიდგომების ახლებური აღქმის მიღწევაში.<sup>119</sup>

რა თქმა უნდა, სირთულეები წამოიჭრება ნებისმიერი ახალი პროცესის განხორციელებისას. მედიაციის შემთხვევაშიც არსებობს წინააღმდეგობები, რაც იმით არის განპირობებული, რომ მედიაცია განსხვავდება ადვოკატებისათვის ცნობილი სხვა პროცესებისგან. თუმცა სხვა ADR-ის პროცედურებიც, როგორცაა შეფასება ან არბიტრაჟი, გამორჩეულია ტრადიციული სასამართლო პროცესებისგან და, შესაბამისად, გამოიყენება განსხვავებული მიდგომა; მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ეს პროცესები ხასიათდება შეჯიბრებითობით. ADR-ის უპირატესობების განხილვისას ძირითადად აქცენტი კეთდება სარგებელზე სასამართლოებისთვის და კერძოდ მომრიგებელი სასამართლოების შემთხვევაში; მაგრამ დადგენილია ADR-ის დამატებითი ატრიბუტები, რომელთა დიდი ნაწილი დამახასიათებელია მედიაციისთვის და არა სხვა პროცესებისათვის. მხარდაჭერილი დიალოგი, კოლაბორაციული გზით (თანამშრომლობის ტიპის) პრობლემის გადაჭრა, რეალობის ტესტირება, უფლებამოსილების მინიჭება, მოქნილობა და სასარგებლო გადანყვეტები არის ზოგიერთი ასეთი თავისებურება, რომელიც ADR-ს ახასიათებს.<sup>120</sup> უფრო მეტიც, ADR-მა შეიძლება უზრუნველყოს უკეთესი შედეგი მხარეებისათვის, შეიძლება განამტკიცოს საჯარო სამართლის სისტემა და შესაძლოა შედეგად უფრო ცივილური საზოგადოება მოგვცეს.<sup>121</sup> შეიძლება თუ არა ამ ხერხებმა იარსებონ ისეთ გარემოში, სადაც არ არის წარმოდგენილი კეთილსინდისიერება? თუმცა ADR-ის სხვა კომპონენტები, როგორცაა შეფასება და გამოცდა, შეიძლება დაფიქსირდეს მხარეების მიერ კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე ვალდებულების აღების გარეშე, სხვა თავისებურებები, როგორცაა კოლაბორაცია და უფლებამოსილების მინიჭება, ვერ იარსებებენ. ამდენად, ADR-ის პოზიტიურმა ატრიბუტებმა, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად მედიაციაში გვხვდება, შეიძლება ვერ იარსებონ კეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობის გარეშე.

<sup>116</sup> Murray et al., იხ. ზემოთ მითითებული წყარო 30, § 36.01.

<sup>117</sup> ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. Kovach K. K., Mediation: Principles and Practice, West, 1994, 16-18.

<sup>118</sup> იხ. Lande, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 7, 3-4.

<sup>119</sup> იხ. Kovach, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 117, 16-18; Moore Ch. W., The Mediation Process, 2<sup>nd</sup> ed., 1996, 15; Fuller L. L., Mediation – Its Forms and Functions, S. Cal. L. Rev., Vol. 44, 1971, 305, 325.

<sup>120</sup> იხ. Sherman, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2082.

<sup>121</sup> იხ. McGovern F. E., What Are the Questions We Should Ask About Court-Annexed ADR?, Presentation at the ABA Civil Just Reform Act Implementation Conference, 1997 (ინახება ავტორის მასალებში).

მედიაცია ახდენს მოლაპარაკების შეფასებას;<sup>122</sup> შრომითი ხასიათის მოლაპარაკებების შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარეშე არანაირი გადაწყვეტის მიღწევა არ იქნება შესაძლებელი, რადგან თითოეულ მხარეს შეუძლია ეკონომიკური იარაღი გამოიყენოს.<sup>123</sup> ალბათ, ასეთ შემთხვევაში აზრს მოკლებული იქნებოდა მოლაპარაკებების დაწყება. მაგრამ თუკი მხარეები თავს შეიკავებენ სხვა მხარისთვის საზიანო ქცევისგან და შეინარჩუნებენ სტატუს ქვოს, გამოიყოფა დრო ორმხრივი და კონსტრუქციული გადაწყვეტისთვის.<sup>124</sup> იგივე დასაბუთება შეიძლება იქნას გამოყენებული ზოგადად დავების შემთხვევაში, თუმცა კეთილსინდისიერიება ან პატიოსნება იურიდიულ მოლაპარაკებებში კრიტიკის საგანია.<sup>125</sup> მაგალითად, თუ მედიაციის პროცესში ერთ-ერთი მხარე არ თანამშრომლობს, ვთქვათ ინფორმაციის დაფარვის გზით, მაშინ როგორ შეიძლება გვექონდეს მეორე მხარისგან თანამშრომლობის მოლოდინი? როდესაც მხარეები მედიაციის პროცესში ებმებიან შეჯიბრებითობის კონტექსტიდან, ხშირად გრძელდება იმ ტაქტიკების გამოყენება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს და აგრძელებს შეჯიბრებითობის ტიპის ქცევას.<sup>126</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში მთელი პროცედურა იქნება დარღვეული.

მორიგების პროცესში სასამართლოს მიერ იძულების წესის გამოყენების განხილვისას, აღიარებული იქნა, რომ მოპასუხეები, რომლებიც მოქმედებენ პროცესის გახანგრძლივების ტაქტიკით და მიზნად ისახავენ სტატუს ქვოს შენარჩუნებას, გარიგებაში არ მიიღებენ კეთილსინდისიერ მონაწილეობას.<sup>127</sup> ამ შემთხვევაში მედიაცია უშედეგო იქნება. როდესაც დისტრიბუციული ტიპის მოლაპარაკებებში არ არსებობს მორიგების სურვილი ან მორიგებისკენ მიმართული ძალისხმევა<sup>128</sup> და ერთი მხარე უარს აცხადებს გადადგას ნაბიჯი ან მეორე მხარისთვის შეურაცხმყოფელ მცირე ზომის ნაბიჯებს დგამს, არ არის მოსალოდნელი, რომ მეორე მხარე რაიმე ნაბიჯს გადადგამს, შესაბამისად მოლაპარაკებები წყდება.<sup>129</sup> თუმცა ამგვარი ტაქტიკა განიხილება როგორც მოლაპარაკების კონკრეტული სტრატეგია, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული,<sup>130</sup> სხვები კიტიკულად აფასებენ ამგვარ ქცევას და მოითხოვენ ცვლილებას ქცევაში,<sup>131</sup> მიმდინარე სასამართლო სარჩელის შემთხვევაში, ცვლილება შეიძლება უფ-

<sup>122</sup> იქვე, 2083.

<sup>123</sup> იხ. *Detroit & Toledo Shore Line R.R. v. United Transp. Union*, 396 U.S. 142, 155, 1969.

<sup>124</sup> იქვე, 150.

<sup>125</sup> იხ. *Hartwell S.*, Understanding and Dealing with Deception in Legal Negotiation, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 6, 1991, 171, 185, 194; cf. *Westlauffer G. B.*, The Ethics of Lying in Negotiation, *Iowa L. Rev.*, Vol. 76, 1990, 1219, 1272 (ტყუილი არის ზოგადად ადვოკატობისა და სამართლის მუდმივი და გავრცელებული ელემენტი); *White J. J.*, Machiavelli and the Bar: Ethical Limitations on Lying in Negotiation, *Am. B. Found. Res. J.*, Vol. 1980, 926, 926-27.

<sup>126</sup> ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. *Menkel-Meadow*, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 38 (განიხილავს ADR-ში შეჯიბრებითობის სისტემის არაადეკვატურობას).

<sup>127</sup> *Bedlin H., Nejeleski P.*, Unsettling Issues About Settling Civil Litigation: Examining “Doomsday Machines,” “Quick Looks” and Other Modest Proposals, *Judicature*, Vol. 68, 1984, 9, 12.

<sup>128</sup> ეს არის ნულოვანი ჯამისა და ფიქსირებული წილის მოლაპარაკება, რომელიც განსხვავდება მთლიანობით ან კოლაბორაციული მიდგომისგან. იხ. *Craver*, supra note 77, 153-59 (აცხადებს, რომ არცერთ მხარეს არ შეუძლია მიიღოს უფრო სასურველი შედეგი მეორე მხარის მიერ მიღებული საბოლოო დანაკარგის გარეშე, შეჯიბრებითი/ დისტრიბუციული ფაზის დასრულების შემდეგ); *Kovach*, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 117, 118-19.

<sup>129</sup> იხ. *NLRB v. Mar-len Cabinets, Inc.*, 659 F.2d 995, 999, 9th Cir. 1981 (არსებითად კეთილსინდისიერი მონაწილეობის ნაკლებობა დგინდება, როდესაც მხარე ძალზე მცირე შემოთავაზებას აკეთებს მოლაპარაკების დასრულების მიზნით).

<sup>130</sup> იხ. *Craver*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 77, 177, 180-81, 189-90.

<sup>131</sup> ასევე, იხ. *Wites M. A.*, The Franchisor as Predator: Encroachment and the Implied Covenant of Good Faith, *U. Fla. J.L. & Pub. Pol'y*, Vol. 7, 1996, 305. ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. *Palmieri N. W.*, Good Faith Disclosures Required During Precontractual Negotiations, *Seton Hall L. Rev.*, Vol. 24, 1993, 70, 76 (პოზიციის უარყოფა, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ინფორმაციის გაცემის მოვალეობა ბიზნეს ტრანზაქციებში და იმის დემონსტრირება, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნები განაპირობებენ ინფორმაციის გაცემის საჭიროებას).

რო რთული აღმოჩნდეს, რადგან დავა უკვე არსებობს. შედეგად, იმის ნაცვლად რომ ველოდოთ ცვლილებებს, შეიძლება საჭირო გახდეს ახალი წესის განხორციელება.

უფრო მეტიც, ხშირად, ადვოკატები ამწვავებენ პრობლემას,<sup>132</sup> კერძოდ, სასამართლო საქმის წარმოებისას.<sup>133</sup> მედიაციის დიდი ნაწილი ხორციელდება სასამართლო საქმის წარმოების კონტექსტში, შეჯიბრებითობის პირობებში.<sup>134</sup> თუკი არსებობს გაგრძელების ნებართვა, შედეგად მივიღებთ იმას, რაც ადრეც გვინახავს; მედიაციის მუტაცია შეჯიბრებითი ქცევის მოცვის მიზნით. ეს უკვე მრავალჯერ მომხდარა.<sup>135</sup> მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის განსხვავებული პარადიგმის ცნებას ადვოკატები აუფასურებენ; ისინი მედიაციას განიხილავენ, როგორც სასამართლო საქმის წარმოების ერთ-ერთ დამატებით იარაღს, რომელიც ბრძოლისთვის და არა რაიმე განზრახული მიზნისთვის უნდა იქნას გამოყენებული.<sup>136</sup> იმისათვის, რომ მედიაცია განხილული იქნას როგორც განსხვავებული პროცესი, გამოიყენება ტერმინი „ლიტი-მიტიგაცია“.<sup>137</sup> ზემოთ ხსენებულის კიდევ ერთი დასტურია ერთ-ერთი ადვოკატის მიერ მეორე ადვოკატისთვის ნათქვამი ფრაზა, რომ მან „მოიგო“ მედიაცია. თუ გაგრძელდება „შეჯიბრებითი ხასიათის მედიაციის“ განხორციელება, მაშინ მედიაცია დაკარგავს შესაძლებლობას შემოიტანოს ცვლილება პროცესში.

პროცესის დარღვევის ერთი კონკრეტული მაგალითია მედიაციის მოთხოვნა მხოლოდ ახალი გარემოებების აღმოჩენის მიზნით, რასაც მრავალ შემთხვევაში ჰქონია ადგილი. ანალოგიურად მედიაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სასამართლო მოსმენაზე მეორე მხარის პოტენციური ეფექტურობის შეფასების მიზნით. კიდევ ერთი ასეთი მიზანია მონიშნულ-მდეგე მხარის გადაღლა/გამოფიტვა, ეს ტაქტიკა მაშინ გამოიყენება, როდესაც ერთ-ერთი მხარე ფინანსურად უფრო ძლიერია მეორეზე. მედიაციის ჩანიშნვამ ან სასამართლოსთვის მორიგებაზე მიმართვამ მაშინ, როდესაც არ არსებობს მორიგების განზრახვა, და როდესაც ორივე მხარე თანაბრად ინანილებს ხარჯებს, შეიძლება გამოიწვიოს მეორე მხარის რესურსების ამოწურვა, შესაბამისად, ფინანსურად შეზღუდულმა მხარემ არჩევანი უნდა გააკეთოს მედიაციის საფასურის გადახდასა და ადვოკატისთვის თანხის გადახდას შორის.<sup>138</sup>

კიდევ ერთი პრობლემური სიტუაციაა, როდესაც ადგილი აქვს თალღითობას ან ფაქტების დამახინჯებას მედიაციის კონტექსტში, რაც ერთ მხარეს აიძულებს დადოს შეთანხმება, რომელზეც სხვა შემთხვევაში უარს იტყოდა. რომელიმე მხარემ შეიძლება ეს აღმოაჩინოს, სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება არ მოხდეს. თუმცა არსებობს ზარალის ანაზღაურების პრაქტიკა, გარდა დადებული ხელშეკრულების გაუქმებისა,<sup>139</sup> ეს პროცესი მაინც არის დაკავშირებული დროისა და თანხის ხარჯთან. და იმ შემთხვევაში, როდესაც მედიაციის შედეგად არ ხდება შეთანხმების მიღწევა, პროცესი ხშირად განიხილება როგორც დროის, თანხებისა და სხვა რესურსების ფუჭი ხარჯვა.

<sup>132</sup> იხ. *Gilson & Mnookin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 27, 511 (გულმოდგინე ადვოკატობა მხარს უჭერს დაურთულებელ და უაზრო ბრძოლებს, რაც ადვოკატებს კლიენტების ხარჯზე ამდიდრებს).

<sup>133</sup> იხ. *Reavley Th. M.*, *Rambo Litigators: Pitting Aggressive Tactics Against Legal Ethics*, 17 *Pepp. L. Rev.*, Vol. 17, 1990, 637, 637 (განიხილავს ადვოკატების მიდრეკილებას იყენენ არაპროფესიონალურები, თავნებანი და შეურაცხმყოფელნი); ასევე, იხ. *Kagan R. A.*, *Do Lawyers Cause Adversarial Legalism? A Preliminary Inquiry*, *L. & Soc'y Inquiry*, Vol. 19, 1994, 1.

<sup>134</sup> იხ. *Nolan-Haley J.*, *Court-Mediation and the Search for Justice Through Law*, *Wash. U. L.Q.*, Vol. 74, 1996, 47, 57-63; *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 16, 13-17.

<sup>135</sup> იხ. *Dzienkowski J. S.*, *Lawyering in a Hybrid Adversary System*, *Wm. & Mary L. Rev.*, Vol. 38, 1996, 45, 53; *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 16, 13-17.

<sup>136</sup> მიუხედავად იმისა რომ ამოცანები იცვლება, უბრალო მორიგებასაც კი ადგება ზიანი, როდესაც ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ მონაწილეობას ან მოტყუებას.

<sup>137</sup> *Lande*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 7, 4-11.

<sup>138</sup> ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. *Asher J. D.*, აქცენტი სამართლიანობაზე: როდესაც დაბალი შემოსავლების მქონე მომხმარებლები დგებიან Court-Mandated ADR-ის წინაშე, დიდ ხარჯიანი სასამართლო საქმის წარმოების 14 ალტერნატივა. 119 (1996) (განიხილივას ADR-თან დაკავშირებულ პრობლემებს დაბალ შემოსავლიანი მხარეების შემთხვევაში).

<sup>139</sup> მედიაციური ხელშეკრულებების დიდი ნაწილი განიხილება, როგორც კანონიერი სხვა ნებისმიერი კონტრაქტის მსგავსად. იხ. *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154.071, Vernon Supp. 1997*.

კიდევ უფრო სავალალო შედეგამდე მიყვავართ მედიაციის დროს და მედიაციის ნაწილში ტყუილის არსებობას. ტეხასის საქმეში, ციტირება შეუძლებელია კონფიდენციალობის გამო – ერთ-ერთი მხარის კითხვაზე, თუ ვინ იყო მედიაციაზე დამსწრე უცნობი პირი, მეორე მხარემ პასუხი გასცა, რომ ის გახლდათ მეორე მხარის ბიზნეს პარტნიორი, რომელიც ესწრებოდა მედიაციას და უნდა ემუშავა სხვა საკითხებზე მედიაციის ნაკლებად აქტიურ ფაზაში. რამდენიმე საათის შემდეგ შეკითხვის ავტორის ადვოკატებმა ტელეფონების ცნობარში აღმოაჩინეს, რომ პირი გახლდათ ნაფიც მსაჯულთა კონსულტანტი. პირდაპირი დაპირისპირებისას, პირმა აღიარა, რომ იგი მედიაციას ესწრებოდა სასამართლო მოსმენისთვის მხარის შესაფასებლად, მოსმენა შემდეგ რამდენიმე კვირაში უნდა დაწყებულიყო. ამკარაა, რომ მხარე მედიაციას ესწრებოდა მორიგების ყოველგვარი განზრახვის გარეშე, რეალურად, მხარის განზრახვა მედიაციის პროცესის სასამართლო პროცესში უპირატესობის მოპოვების მიზნით გამოყენება იყო.<sup>140</sup> ამ ტიპის ქცევა არ ასახავს მედიაციის შექმნის ამოცანებს, და მედიაცია ამ ტიპის მიზნების მისაღწევად არ უნდა იქნას გამოყენებული. არსებობს სასამართლო მოსმენის წინა სხვა პროცედურები, რომელთა ფარგლებშიც შეიძლება მოხდეს ამგვარი ტაქტიკისა და სტრატეგიების გამოყენება.

მედიაციის განვითარების პროცესში, ბევრს ამინებდა პროცესის ხელყოფა და ცვლილებები.<sup>141</sup> ზოგიერთი, როგორც ეს უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ტიპის დარღვევა დაფიქსირებული იყო წარსულში. შემამოფოთებელია იმის მოსმენა, რომ მხარეები დამახინჯებულად წარმოადგენენ ფაქტებს და იტყუებიან და მედიაციას მხოლოდ იმის გამო მიმართავენ, რომ ეს პროცესი ამ ტიპის მოტყუების საშუალებას აძლევს რომელიმე მხარეს.<sup>142</sup> ზოგიერთი იმის მტკიცებას შეეცდება, რომ დამახინჯებული ფაქტების წარმოდგენა და თაღლითობა იურიდიული მოლაპარაკების ნაწილია<sup>143</sup> და ზოგადად, მიღებული პრაქტიკაა; ამდენად, ამ ტიპის ხდომილებები მედიაციის პროცესში გასაკვირი არ არის. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კეთილსინდისიერი მონაწილეობის ნაკლებობა არ შეიძლება კარგი იყოს თვით პროცესისა და მონაწილეთა უდიდესი ნაწილისთვის. როდესაც მხარე იგებს იმის შესახებ, რომ მედიაცია შეიძლება გამოყენებული იქნას მოსატყუებლად, მისი წარმოდგენა პროცესის შესახებ ზარალდება. იმისათვის, რომ მედიაცია კვლავ წარმოადგენდეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას მხარეთა დაკმაყოფილების ფარგლებში, მიღებული უნდა იქნას ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს პროცესით მანიპულირება.

თავად მედიაციის პროცესი, მედიაციის ტიპის ან გამოყენებული სტილის მიუხედავად, აღარ იქნება სიცოცხლისუნარიანი ან არ მოიტანს არანაირ სარგებელს, თუკი დაშვებული იქნება იმ ქმედებების შემონების გარეშე განხორციელება, რომლებიც მიუთითებს პროცესის ბოროტად გამოყენებაზე. მედიატორის ფასილიტატორული მცდელობა განსაზღვროს მხარეთა ინტერესები და იპოვოს ინოვაციური გადაწყვეტები, რომლებიც დააკმაყოფილებს ყველა მხარეს შეუძლებელი იქნება, თუ მხარეები მზად არ არიან წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მათ ამოცანებსა და მიზნებს. მხოლოდ საკმარისი ინფორმაციის პირობებში შეიძლება მედიატორი დახმარება გაუწიოს მხარეებს იმ გადაწყვეტის მიღწევაში, რომელიც შესაძლოა ორმხრივად სასარგებლო იყოს. და იმ „მედიატორების“ შემთხვევაში, რომლებიც საქმის დადებითი მხარეების შეფასების საფუძველზე იძლევიან მითითებას მოლაპარაკებული შეთანხმების დადებაზე,<sup>144</sup> მნიშვნელოვანია, რომ სწორი ინფორმაცია იქნას მიწოდებული ღირებული შეფასების გა-

<sup>140</sup> დაზარალებულმა მხარემ მეორე დღესვე მიმართა სასამართლოს და მოიპოვა სანქციები.

<sup>141</sup> *Alfini*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 48, 47 (*Albie Davis*-ის სიტყვები); იხ. *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 16, 1-3. მოცემულ ავტორს და მის რამდენიმე კოლეგას მსგავსი შეხედულებები გააჩნია.

<sup>142</sup> რამდენიმე, თუმცა მცირე რაოდენობის, კომენტარი იქნა გაკეთებული ჩემი სტუდენტების მიერ – რამდენად უყვარს ადვოკატს ან ფირმას, რომელთანაც ისინი მუშაობენ, მედიაცია იმის გამო, რომ სიმართლის თქმა საჭირო არ არის.

<sup>143</sup> იხ. *Hartwell*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 125, 185.

<sup>144</sup> *Cf. Kovach & Love*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 44, 45-62 (განიხილავს შეფასებითი მედიაციის ნაკლოვანებებს). ზოგადი ინფორმაციისათვის იხილეთ: *Riskin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 43 (განიხილავს მედიაციის სხვადასხვა ფორმებს, შეფასებითი მედიაციის ჩათვლით).

საკეთებლად.<sup>145</sup> სხვა შემთხვევაში განხორციელებული პროცესი უნაყოფო აღმოჩნდება.

თუკი სახეზე არ გვაქვს კეთილსინდისიერი მონაწილეობა, მაშინ გვრჩება მხოლოდ მედიაციის პროფორმა, კიდევ ერთი პროცედურული ამოცანა პროცედურების იმ გრძელ სიაში, რომელთა გავლა არის საჭირო სასამართლო პროცესამდე. რეალობაში, ტერმინი „პროფორმა მედიაცია“ გამოიყენება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მხარეები ან უფრო ხშირად ადვოკატები მედიაციის პროცესზე გამოცხადდებიან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სასამართლომ დაადგინა ამგვარად. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ არ გააჩნიათ პრობლემის გადაჭრის არანაირი განზრახვა და რეალურად არ მონაწილეობენ პროცესში. ამ ტიპის მედიაციები ჩვეულებრივ დროის ფუჭი ხარჯვაა ადვოკატებისთვის, თუკი ეს პროცესი არ იქნება გამოყენებული ახალი გარემოებების აღმოჩენისა და სასამართლო პროცესისათვის მოსამზადებლად, ხოლო მხარეებისათვის ეს ფუჭად გაწეული დანახარჯებია. ზოგიერთი იურისტი შეიძლება მხარს უჭერდეს სასამართლოს დადგენილების შესრულების ასეთ პროფორმულ გზას „სასამართლო პროცესამდე“ მისაღწევად,<sup>146</sup> მაგრამ ბევრი მხარე არ არის საკმარისად ინფორმირებული, შესაბამისად, არ იცინან, რას უნდა ელოდონ მედიაციისგან. მხარის განათლების ერთი მეთოდია მათი კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა. შესაძლოა, კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის კიდევ ერთი გზაა მხარეებისგან მედიაციის პროცესის უკეთ გაცნობის, შესწავლის მოთხოვნა. განათლება და გამოცდილება გვერდიგვერდ დგანან.<sup>147</sup> თუმცა თუ მხარეებს საშუალებას მივცემთ გამოცხადდნენ პროცესზე უფლებამოსილების გარეშე, მომზადების გარეშე და იმის სურვილის ან უნარის გარეშე, განიხილონ ვარიანტები და ალტერნატივები, უსუსურს გავხდით მედიაციის პროცესს. უფრო მეტიც, მხარეებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ გამოიყენონ მედიაცია მეორე მხარის მოსატყუებლად ან სტრატეგიული უპირატესობის მისაღწევად, ხელყოფს მედიაციის ძირეულ მიზანს.

## V. თხოვნა კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებით

### ა. ვის მიერ და ვის მიმართ

მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის ერთი ალტერნატივაა მხარეების ნახალისება ხელი შეუწყონ მეორე მხარის მიერ კეთილსინდისიერებაზე ვალდებულების აღებას. ეს ვარიანტი შეიძლება ეხებოდეს იმ პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით პროცესში „წესების“ გამონერისგან იკავებენ თავს ან არ მოსწონთ, რომ სასამართლოები ან სხვა ინსტიტუტები ზედამხედველობენ მედიაციას. ჩვეულებრივ, მედიატორი კეთილსინდისიერი მონაწილეობასთან დაკავშირებული თხოვნით მიმართავს ყველა მონაწილეს მედიატორის შესავალ სიტყვაში. თუ მხარეებს სჭირდებათ იმის დასტური, რომ მეორე მხარე მოქმედებს კეთილსინდისიერად, თხოვნა შეიძლება გააუღერებელი იქნას მედიაციის სხდომის წინ ან მედიაციის ჩატარების წინა დღეს. კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებული თხოვნა დღეს გვხვდება მედიაციის შესახებ შეთანხმებებში, რომელთა ინიციატორი არის მედიატორი და რომელიც იდება მედიაციის პროცესის წინ. ანალოგიურად, მხარემ შეიძლება მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული თხოვნით მიმართოს მეორე მხარეს.

თეორიულად, თხოვნა კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე დადებითი პრაქტიკაა. და თუ ყველა მხარე თანახმაა, მედიატორმა შეიძლება შეახსენოს მხარეებს მათ მიერ ადრე აღებული ვალდებულების შესახებ, რომელიც უკავშირდება მთელ პროცესს. მაგრამ მას არ შეუძლია

<sup>145</sup> ზოგადი ინფორმაციისათვის იხ. Aaron M. C., The Value of Decision Analysis in Mediation Practice, Negotiation J., 1995, 123 (განიხილავს მედიაციაში შეფასების პროცედურებს).

<sup>146</sup> მაინტერესებს, რამდენი საქმე აღწევს რეალურად სასამართლო პროცესამდე. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საქმეების უმრავლესობა მორიგებით სრულდება. ბევრის მომცემი იქნებოდა სტატისტიკური ინფორმაცია იმის შესახებ, ხდება თუ არა საქმეების შემდგომი გადანყვეტა.

<sup>147</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.E.4 (განიხილავს მედიაციის პროცესისთვის განათლების მნიშვნელობას).



არაფრის გაკეთება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე გადაწყვეტს უგულვებლყოფას ადებულ ვალდებულება ან შეცვალოს თავისი პოზიცია. უფრო მეტიც, კეთილსინდისიერების ახსნის ან განმარტების გარეშე, თითოეულ მხარეს შეიძლება განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეს ამ ცნებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს ნათლად ესმოდათ ტერმინის მნიშვნელობა. ზოგიერთი მედიატორი უხსნის მხარეებს, თუ რას ნიშნავს ცნება მათთვის. ამასთან არ უნდა უგულვებლყოფით მონაწილის მხრიდან ფსიქოლოგიური ვალდებულების ღირებულება. მხარის მიერ კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე ვალდებულების აღების შემდეგ, არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ მხარე, სულ მცირე, მინიმალურ ძალისხმევას გამოავლენს. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, მხარე შეიძლება დათანხმდეს მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე რეალურად ამ შეთანხმების მეორე მხარის წინააღმდეგ გამოყენების მიზნით.

მედიაციის პროცესზე დადგენილების მიღებისას სასამართლოსაც შეუძლია თხოვნით მიმართოს მხარეებს, კეთილსინდისიერი მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში. ამ შემთხვევაში ასევე სასარგებლო იქნებოდა სასამართლოს მიენოებინა მხარეებისათვის ტერმინის დეტალური ახსნა. თუმცა მხარეები ჩვეულებრივ ასრულებენ სასამართლოს დირექტივებს, უფრო კონკრეტული დირექტივა ქცევასთან დაკავშირებით ხელს შეუწყობდა პროცესს.<sup>148</sup>

## **ბ. სურვილის ნაკლებობა**

კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებულ თხოვნას ერთი უარყოფითი მხარე გააჩნია, მხარეებმა ამგვარი თხოვნა შესაძლოა სისუსტედ აღიქვან. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ერთ ან ორივე მხარეს შეიძლება სურდეს მედიაციის კონტექსტში კეთილსინდისიერი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მაგრამ თითოეული მხარეს ამგვარი თხოვნის დაფიქსირების ნაკლები სურვილი ექნება. მოცემული პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა იქნებოდა მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობის გულისხმობა. ზოგიერთ კულტურაში, მოლაპარაკებებში კეთილსინდისიერი მონაწილეობა ნაგულისხმევია.<sup>149</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობის გულისხმობით, არცერთ მხარეს არ დასჭირდება იმის თხოვნა, რომ მოცემული პრინციპი გამოცხადდეს მედიაციის ძირითად წესად. ზოგიერთ მხარეს შეიძლება ასევე ნაკლებად სურდეს კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე დათანხმება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან ამ ტერმინის მნიშვნელობაში ან მათგან მოთხოვნილი ქცევის შინაარსში დარწმუნებულნი. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ თხოვნა კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე, იქნება ეს ნაგულისხმევი ან გამოხატული მხარის ან მედიატორის მიერ, არ შეიძლება აღსრულდეს. ამიტომ თუმცა აზრს მოკლებული არ არის, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით – რეალურად მოახდენს თუ არა გავლენას კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებული თხოვნა მხარეების ქცევაზე?

## **VI. რეკომენდაცია**

### **ა. თხოვნაზე მეტი**

თუმცა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებმა მედიაციაში კეთილსინდისიერად მიიღონ მონაწილეობა, თხოვნაზე მეტია, ალბათ, მაინც, ასეთი რეკომენდაცია სასამართლოდან უნდა მოდიოდეს. ამგვარი რეკომენდაციის გასაკეთებლად, სასამართლოში უნდა არსებობდეს წესები კეთილსინდისიერი მონაწილეობის მნიშვნელობის განმარტებასა და კეთილსინდისიერი მონაწილეობის დამტკიცების დროისა და გზის შესახებ; სხვა შემთხვევაში შედეგად მხოლოდ კარგი ჟღერადობის რიტორიკას მივიღებთ.

<sup>148</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.D (განსაზღვრავს რამდენიმე ქცევას, და გამოხატავს ვარაუდს, რომ ეს ქცევები არის კეთილსინდისიერი მონაწილეობის ელემენტები).

<sup>149</sup> იხ. Palmieri, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 131, 72.

სასამართლოს ან მედიატორის რეკომენდაცია უფრო ფორმალური და ძლიერი ხასიათისაა მხარეებს შორის გაჟღერებულ თხოვნასთან შედარებით. რეკომენდაცია შეიძლება წარმოადგინოს მოსამართლემ ღია სასამართლოზე ყველა მხარის გასაგონად, თუმცა, ხშირად, მხარეები არ ესწრებიან სასამართლო სხდომებს. სასამართლო რეკომენდაციას შემდეგი ლოგიკა უდევს საფუძვლად – თუმცა ეს მხოლოდ რეკომენდაციაა, მხარეები უფრო მიდრეკილნი იქნებიან შეასრულონ რჩევა მარტივი მიზეზის გამო – რეკომენდაციის გამცემი სასამართლოა. უფრო მეტიც, სიტყვა „რეკომენდაცია“-ს „მოთხოვნასთან“ შედარებით ნაკლებად მძიმე მნიშვნელობა გააჩნია. ამ შემთხვევაში თითქოს ნაგულისხმევია, რომ სასამართლოს სწამს, რომ მხარეები შეასრულებენ სასამართლოს რჩევას და ეს საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ მოთხოვნაზე დამოკიდებულებას, რომელიც შეიძლება იურიდიულად იქნას ამოქმედებული.<sup>150</sup> რეკომენდაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სასამართლოს მიერ მედიაციისთვის განსაზღვრულ ამოცანებსა და მიზნებთან ერთად. შესაძლოა, კეთილსინდისიერ მონაწილეობასთან დაკავშირებულმა რეკომენდაციამ შედეგად მოგვცეს უფრო მეტი მედიაცია, რომელიც ხორციელდება კეთილსინდისიერი მონაწილეობით.

კეთილსინდისიერ მონაწილეობაზე რეკომენდაცია ასევე შეიძლება წარმოადგინოს მედიატორმა წინასწარ ან მედიაციის პროცესის დასაწყისში. რეკომენდაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხარეებთან როგორც მედიაციის ნაგულისხმევი ნაწილი, ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პროცესი ნაკლებად სასარგებლო იქნება კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის პირობებში.

## ბ. არის თუ არა ეს სასარგებლო?

თუკი ყველა მხარე გულისყურით მოეპყრობა რეკომენდაციას, მაშინ რეკომენდაცია ეფექტურია. ამ ტიპის რეკომენდაცია სტრატეგიულადაც შეიძლება იქნას გამოყენებული; თუმცა რეკომენდაცია, ტექნიკური თვალსაზრისით, არ არის აღსრულებადი, ძლიერი რეკომენდაცია ხელს შეუწყობს მხარეების მიერ მედიაციის პროცესში ჩართვისას კეთილსინდისიერი მონაწილეობის გათვალისწინებას. ამასთან, ძლიერი რეკომენდაცია შეიძლება ასევე აღქმულ იქნეს როგორც დირექტივა. ერთ-ერთი სააპელაციო სასამართლო მიუთითებს კიდევ, რომ თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია მედიაციის პროცესში მხარეების კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესახებ, მაშინ, შესაძლებელია, გონივრული იყოს სანქციების დაწესება ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში.<sup>151</sup>

მეორე მხრივ, რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეები მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერ მონაწილეობას უნდა იღებდნენ, შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს. ის გარემოება, რომ რეკომენდაცია ვერ აღსრულდება, შესაძლოა, იწვევდეს რეკომენდაციის ღირებულების შემცირებას. ეს ზოგიერთს და, შესაძლოა, ბევრ მხარეს უბიძგებს იმისკენ, რომ უგულებელყონ რეკომენდაცია იმის ცოდნის პირობებში, რომ სასამართლო არ დაანებს სანქციებს. რეკომენდაციის მიმართ ასეთმა უპატივისცემულობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს იმ სხვა მხარეების გაღიზიანება, რომლებიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის რეკომენდაციას.

ნაკლოვანებების მიუხედავად, კეთილსინდისიერი მონაწილეობაზე რეკომენდაცია, შესაძლოა, სასამართლოებისათვის სასარგებლო საშუალება იყოს. ამ ტიპის რეკომენდაციამ შეიძლება წარმართოს მხარეები კეთილსინდისიერი მონაწილეობისკენ, როცა ამას სხვა შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა. შედეგად, მივიღებთ პროცესისადმი ვალდებულებით დამოკიდებულებას. ანალოგიურად, მედიატორმა შეიძლება ხაზი გაუსვას, კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არ არსებობის პირობებში, რომ მედიაციის პროცესი დამოკიდებულია მხარეების მიერ პროცესში მონაწილეობისას გამოვლენილ განზრახვაზე პროცესში ჩაერთონ კეთილ-

<sup>150</sup> ეს ეჭვს ქვეშ აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს. მაგრამ იხ. *McPheeters*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 88, 380-84 (განიხილავს სასამართლოს უნარს და უფლებამოსილებას გააკონტროლოს მხარეების ქცევა ADR-ის პროცესში).

<sup>151</sup> იხ. *Gleason v. Lawson*, 850 S.W.2d 714, 718 (Tex. App. \_ Corpus Christi 1993, no writ).

სინდისიერად. მედიატორმა, შესაძლოა, შემდეგ გამოიყენოს ამგვარი დაპირება მხარეების გამოსაყვანად შექმნილი ჩიხიდან ან ადრე აღწერილი პროცესის ხელისშემშლელი ტაქტიკების თავიდან ასაცილებელი ქმედებისას.

## VII. კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები

### ა. განსაზღვრებითი

კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაზღვრა პრობლემურია მთელ რიგ სხვა სიტუაციაში, როდესაც ეს მოთხოვნა არანებაყოფლობით არის დადგენილი; თუმცა ამ ტიპის განსაზღვრებითი ხასიათის სირთულეები არ იყო საკმარისი მის აღმოსაფხვრელად ან ამ მოთხოვნის შესაცვლელად. თუმცა სასამართლოები განსაკუთრებით სირთულეებს აწყდებიან კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაზღვრისას,<sup>152</sup> მაგრამ ეს თავისებურება ხშირად ახასიათებს იურიდიულ ცნებებს,<sup>153</sup> ფაქტობრივად, სწორედ იმ სხვა შემთხვევების გამოყენებით, სადაც კეთილსინდისიერი მონაწილეობა მოთხოვნას წარმოადგენს და მისი განსაზღვრება სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ განსაზღვრებითი ხასიათის კვლევა. მედიაციის პროცესისადმი მიძღვნილი სხვა სახელმძღვანელო მითითებები პრობლემატურ ტერმინოლოგიას შეიცავს.<sup>154</sup> თუმცა შემოთავაზებული იყო კეთილსინდისიერი მონაწილეობის ერთი ალტერნატივა – მინიმალური გააზრებული მონაწილეობა<sup>155</sup> ან, უბრალოდ, მონაწილეობა,<sup>156</sup> ამ ალტერნატივების ზუსტი განსაზღვრაც რთული აღმოჩნდა.<sup>157</sup>

თავად მედიაცია განსაზღვრებითი ხასიათის დილემაა.<sup>158</sup> თუმცა არავინ არის ამ სირთულეების გამო პროცესის გაუქმების მომხრე. რეალურად, კეთილსინდისიერი მონაწილეობის ზუსტი განსაზღვრების დაფინებულმა მცდელობამ, შესაძლოა, შედეგად გამოიწვიოს მედიაციისა და მისი გამოყენების უფრო დეტალური აღწერა, განსაკუთრებით ამ პროცესის ლეგალიზებული დავების შემთხვევაში გამოყენებისას.

განსაზღვრებითი ხასიათის სირთულე, ნაწილობრივ, დაკავშირებულია პრეცედენტული საქმეების ნაკლებობასთან, რაც, შესაძლოა, შესაბამისი პოლიტიკის საფუძველად გამოყენებულიყო.<sup>159</sup> მიუხედავად ამისა, თუ პრეცედენტულ საქმეებს დაველოდებით სიახლის სახელმძღვანელოდ, მაშინ ასეთი პრეცედენტები არასდროს არ გვექნება სახეზე. ეს, რა თქმა უნდა, ყველასათვის ცნობილ პრობლემას წააგავს – რა არის პირველი – ქათამი თუ კვერცხი? ყველა შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მონაწილეობის შემოტანისა და მისი ამოქმედების მცდელობის პროცესში სასამართლოს მიერ დადგენილი ან, შესაძლოა, თვით ნებაყოფლობითი მედიაციის შემთხვევებში, შეიქმნება შესაბამისი პრეცედენტები.

კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესწავლა სხვა კონტექსტში გვაძლევს ამ ცნების განსაზღვრებისთვის საჭირო საწყის მასალას. მაგრამ, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, ეს უხამს ქცევას წააგავს – შენ იცი მის შესახებ, როცა მას აწყდები.<sup>160</sup>

<sup>152</sup> იხ. ზემოთ მითითებული ნაწილი III; იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.C.

<sup>153</sup> იხ. მაგ., *Jacobellis v. Ohio*, 378 U.S. 184, 197, 1964 (*Stewart J.*, თანმხვედრი) (უხამსობის დადგენა).

<sup>154</sup> მაგალითად, დავუშვათ, რომ „ნეიტრალიზება“ და „სამართლიანობა“ მედიაციაში შეიძლება აღმოჩნდეს პრობლემატური და, ამასთან, დებატების წყარო. იხილეთ: *Rogers N. H., Salem R. A., A Student's Guide to Mediation and the Law*, Times Mirror Books ed., 1987, §§ 6.01-6.05 (განიხილავს დაძაბულობას მედიატორის მოვალეობას იყოს სამართლიანი და მოვალეობას იყოს ნეიტრალური შორის).

<sup>155</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2096.

<sup>156</sup> იხ. *Iowa Code Ann. § 654A.11(3)(b)*, West 1995; *Graham v. Baker*, 447 N.W.2d 397, 400, Iowa 1989.

<sup>157</sup> იხ. *Winston*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40, 193-205.

<sup>158</sup> იხ. e.g., *Kovach*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 20, 5; *Riskin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 43, 8.

<sup>159</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2089.

<sup>160</sup> იხ. *Jacobellis v. Ohio*, 378 U.S. 184, 197 (1964) (*Stewart J.*, თანმხვედრი).

## ბ. მედიატორის როლის კომპრომისი

თუმცა კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაღვრება, შესაძლოა, რაღაც ხარისხით სუბიექტური დარჩეს, რაც მედიატორის სატარებელი ტვირთია, ასეთი ტვირთი იმაზე მძიმე არ არის, რასაც მედიატორი ეზიდება მხარეების მიერ პროცესის დარღვევისას.<sup>161</sup> დღევანდელ დღეს, მედიატორს შეუძლია მხოლოდ გაამჟღავნოს, რომ მხარე არ გამოცხადდა მედიაციასზე.<sup>162</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესახებ არ არსებობს შეტყობინება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ვალდებულებულება სასამართლოსთვის მხარეების მიერ მედიაციის წესების დაცვაზე შეტყობინების მიწოდების შესახებ.<sup>163</sup> ზოგიერთმა ინსტიტუტმა, მაგალითად, ტეხასის შტატის ადვოკატთა ასოციაციის, ADR-ის განყოფილებამ დაადგინა მედიატორის ვალდებულება, წახალისოს მხარეების მიერ ინფორმაციის გაზიარება და გაცვლა და არა ინფორმაციის დაფარვა.<sup>164</sup> თუმცა ეს, შესაძლოა, ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც ძალზე დირექტიული ქმედება მედიაციის პროცესის კონტექსტში, რომელიც ეწინააღმდეგება მედიატორის არადირექტიულ როლს, მოცემული ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც ქმედება, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლას, რაც შეესაბამება მედიაციის პროცესს.<sup>165</sup>

მიუხედავად მედიატორის, როგორც ფასილიტატორის და არა შემფასებლის როლის განსაზღვრისას კონკრეტული დავის კონტექსტში, მე ასევე მწამს, რომ მედიატორს გააჩნია პროფესიონალური მოვალეობა დაანესოს პარამეტრები და გააკონტროლოს პროცესი.<sup>166</sup> შეფასებისას ან მხარეების კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაზღვრისას მედიატორმა ამ როლის ფარგლებში უნდა იმოქმედოს. მედიატორს დახმარებას გაუწევდა კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები ან მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ამ შემთხვევაში მისი ამოცანა შემოიფარგლებოდა იმის დადგენით, ასრულებს თუ არა მხარე კონკრეტულ პროცედურებს, ამ შემთხვევაში შეფასება უფრო ობიექტური ხასიათისა იქნებოდა. თუმცა, დადგენის შემდეგ, სხვებისათვის, სასამართლოს ჩათვლით, ინფორმაციის მიწოდება ასევე პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს მედიატორისთვის.

## გ. კონფიდენციალობა

მრავალი თეორეტიკოსის და პრაქტიკოსის პოზიცია ურყევეა მედიაციის პროცესის კონფიდენციალური ხასიათის შესახებ;<sup>167</sup> თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც არ ავლენენ

<sup>161</sup> იხ. ზემოთ მითითებული ნაწილი III.

<sup>162</sup> მრავალი სასამართლო მოთხოვნა, რომ მედიატორმა წარმოადგინოს ანგარიში მხარეების გამოცხადების შესახებ. მკაცრი კონფიდენციალობის პუნქტების არსებობის შემთხვევაშიც, დასწრების დადასტურება არ არღვევს კონფიდენციალობის მოთხოვნებს. იხ. Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. §§ 154.053, 154.073, Vernon Supp. 1997.

<sup>163</sup> სასამართლოს განკარგულების შესრულება კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის მხოლოდ ერთი ელემენტია. იხილეთ ქვემოთ ნაწილი VIII.

<sup>164</sup> იხ. მედიატორების ეთიკის სახელმძღვანელო მითითებები, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 22, მითითება 10.

<sup>165</sup> განსხვავებული, მედიაციის სტილების დიქტომიასთან დაკავშირებული მიდგომებია — პირდაპირი და არაპირდაპირი მიდგომები, რომელიც ეხება მედიატორის მიერ გამოყენებული ზენოლისა და ძალდატანების ხარისხს. ზოგიერთი კომენტატორი არჩევს ამ მიდგომას. იხ. Lande, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 7, at 30. სხვები იყენებენ ფასილატიტურ ან შეფასებით მიდგომას. იხ. Kovach & Love, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 44, 31; Riskin, Mediation and Lawyers, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 29, 45-62. მაგრამ მე ორ მიდგომას ანალოგიურად ვერ აღვიქვამ, იმ გაგებით, რომ ფასილიტატორი მედიატორი მაინც შეიძლება იყოს საკმაოდ დირექტიული და შეფასებითი მედიატორი შეიძლება იყოს არადირექტიული, მაგრამ მაინც წარმოადგინოს შეფასება.

<sup>166</sup> იხ. Moore, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 119, 17-18; Kovach, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 117, 29 (ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მედიატორი აკონტროლებს პროცესს მიუხედავად იმისა, რომ მხარეები აკონტროლებენ მედიაციის შინაარსს).

<sup>167</sup> მედიაციის კონფიდენციალობის დეტალური განხილვისთვის, იხილეთ: Sherman E. F., Confidentiality in ADR Proceedings: Policy Issues Arising from the Texas Experience, S. Tex. L. Rev., Vol. 38, 539, 544-71. ასევე,

ასეთ ენთუზიაზმს.<sup>168</sup> მიუხედავად ამისა, გარკვეული გამონაკლისების არსებობის შემთხვევაშიც კი, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ მედიაციის კერძო/პიროვნულ ხასიათს; ეს, ეჭვგარეშეა, მედიაციის ძირითადი ატრიბუტია. მაგრამ ცხოვრებაში უმეტესი საკითხის მსგავსად, არაფერია აბსოლუტური. ხშირად, მივდივართ დაბალანსების ტესტამდე. კონფიდენციალობის დებულებებს ვპოულობთ ეთიკურ სტანდარტებში<sup>169</sup> და ეს პრინციპი იურიდიულ მოთხოვნებშიც არის განსაზღვრული.<sup>170</sup> როდესაც ტეხასში პირველად მოხდა მედიაციის საკანონმდებლო აქტის ამოქმედება, გაკეთდა ფართო ყოვლისმომცველი განცხადება პროცესის კონფიდენციალური ხასიათის შესახებ.<sup>171</sup> თუმცა საკანონმდებლო აქტის უფრო ღრმა შესწავლა გარკვეულ დაბნეულობას იწვევს.<sup>172</sup> მედიაციის ფარგლებში ყველა განცხადება არ არის კონფიდენციალური – თუ განცხადებაში მოცემული ფაქტების სხვა გზით აღმოჩენა არის შესაძლებელი.<sup>173</sup> სწორედ ამიტომ, ბევრი რამე მედიაციაში არ არის პირადული. უფრო მეტიც, თუმცა მედიატორმა უნდა დაიცვას მხარეთა პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა, არსებობს სიტუაციები, როდესაც უფრო მაღალ ინტერესს, როგორცაა, მაგალითად, ინდივიდის სიცოცხლე ან უსაფრთხოება, ენიჭება უპირატესობა.<sup>174</sup> საკანონმდებლო აქტის უფრო თანამედროვე ვარიანტი აღიარებს ბალანსის აუცილებლობას; მაგალითად, მედიატორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესისას მედიაციის დეტალებთან დაკავშირებული ჩვენების აუცილებლობის შემთხვევაში.<sup>175</sup>

დადგენილია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არსებობისას, უნდა არსებობდეს შესაბამისი გამონაკლისი კონფიდენციალობის წესიდან, რადგან მედიაციის პროცესში კომუნიკაცია წარმოადგენს მოლაპარაკებებში კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის არსებით მტკიცებულებას.<sup>176</sup> მტკიცებულების დადგენილი აუცილებლობის პირობებში, ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს მედიატორის უფლებამოსილებას გამონაკლისი დაუშვას კონფიდენციალობის წესიდან. მაგრამ თუმცა დაშვებული იქნება კომუნიკაცია მედიაციის შესახებ, მითითებულია, რომ ამგვარი კომუნიკაციის წყარო არ უნდა იყოს მედიატორი.<sup>177</sup>

ზემოთ მოცემული გარკვეულ პრობლემას ქმნის: თუკი გაკეთდა განცხადება არაკეთილსინდისიერ მონაწილეობაზე, ცხადია, რომ ერთი მხარე აკეთებს ამ განცხადებას, მაგრამ მეორე მხარე უარყოფს მას. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში, როცა სწორედ ეს საკითხია დავის საგანი? უფრო სასარგებლო იქნებოდა ინფორმაციის ნეიტრალური მხარისგან მიღება, ამ შემთხვევაში, ასეთ მხარეს მედიატორი წარმოადგენს. სავარაუდოდ, მედიატორები არ იქნებიან კონფიდენციალობის წესთან დაკავშირებული გამონაკლისის მომხრენი, ასევე, მათ

---

იხ. *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, §§ 9:01-9:11; *Irene*-ის კომენტარი, *The Mediator's Dilemma: The Legal Requirements Exception to Confidentiality under the Texas ADR Statute*, S. Tex. L. Rev., Vol. 36, 1995, 579, 590-608 (განმარტავს კონფიდენციალობის დებულებების ორაზროვნებასა და წინააღმდეგობრივ ხასიათს).

<sup>168</sup> ავტორი ერთ-ერთი მათგანია. იხ., ასევე, *Kirtley A.*, *The Mediation Privilege's Transition From Theory to Implementation: Designing A Mediation Privilege Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest*, J. Disp. Resol., 1995, 1, 50 (განიხილავს შემთხვევებს, როდესაც კონფიდენციალობა შეიძლება იყოს ან არ იყოს მისაღები); შესაბამისად, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 167, 590-608 (განიხილავს გამონაკლისებს კონფიდენციალობის მოთხოვნის კონტექსტში).

<sup>169</sup> იხ. *Feerick*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 59, 95; ეთიკური მითითებები მედიატორებისათვის, იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 22, მითითება 8.

<sup>170</sup> ტეხასის გარდა სხვა შტატების საკანონმდებლო აქტები მოიცავს შემდეგს: Fla. Stat. Ann. §§ 44.102, 44.201, West 1996; Kan. Stat. Ann. §§ 23-605, 23-606, 1995; Minn. Stat. Ann. § 518.167, West 1996; Wash. Rev. Code Ann. §§ 7.75.050, 26.09.015(3), West 1996.

<sup>171</sup> იხ. მაგ., Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. §§ 154.053, 154.073, Vernon Supp. 1997.

<sup>172</sup> იხილეთ ზემოთ მითითებული წყარო 167, 599-600.

<sup>173</sup> იხ. Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154.073(c), Vernon Supp. 1997.

<sup>174</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 167, 563.

<sup>175</sup> იხ. Okla. Stat. Ann. tit. 12, § 1805(F), West, 1996; Wash. Rev. Code Ann. § 5.60.070(1)(g), West, 1996.

<sup>176</sup> იხ. *Kirtley*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 167, 50; *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 168, შენიშვნა 313-8 და თანხმლები ტექსტი.

<sup>177</sup> იხ. იქვე, 50-51.

დიდ სიამოვნებას არ უნდა ანიჭებდეთ სასამართლოში წარდგენა მედიაციასთან დაკავშირებით ჩვენებების მისაცემად. ერთ-ერთი გამოსავალია, მოვთხოვოთ მედიატორს „დაადასტუროს“ კეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობა/არარსებობა ან წარმოადგინოს მხარეთა ქცევასთან დაკავშირებული საკონტროლო ჩამონათვალი. ანგარიშის ერთი ტიპი წარმოდგენილია მინესოტას საკანონმდებლო აქტში, სადაც მედიატორი ახდენს აფიდავიტის საკითხის წამოყენებას.<sup>178</sup> მაგრამ ეს მედიატორს ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების ფუნქციას. სხვა ალტერნატივაა, მედიატორმა ანგარიში წარუდგინოს მომხდარის (ან არ მომხდარის) შესახებ და სასამართლოს მიანდოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, შეიცავდა თუ არა ქცევა არაკეთილსინდისიერებას. ორივე შემთხვევაში სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სანქციების დანესების შესახებ, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

მედიატორის მიერ ჩვენების მიცემის შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება განცხადების შესახებ, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს, შესაბამისად, შესაძლებელი იქნება კონფიდენციალობის წესიდან გამონაკლისი შემთხვევების ზუსტი განსაზღვრა. ძალზე კონკრეტული, ვიწრო და შეზღუდული ხასიათის გამონაკლისების შემუშავებისას შექმნილი სიძნელეების დაბალანსება მოხდება ამგვარი ვალდებულების შესაბამისი სარგებელით.

## დ. სატელიტური საქმის წარმოების პრობლემა

სასამართლოებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა საქმეების ADR-ზე გადაცემა;<sup>179</sup> ზოგიერთი ამას ასაბუთებს ADR-ის არანებაყოფლობითი ხასიათით<sup>180</sup> და სხვები კი ADR-ზე გადაცემის წინააღმდეგნი არიან პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გამო. სასამართლოებს გააჩნიათ საქმის მედიაციაზე გადაცემის უფლებამოსილება; და მხოლოდ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა არ ზრდის ხარჯს. რეალობაში, თანხები უკეთესად იხარჯება, თუკი არსებობს დავის მოგვარების მცდელობა, ამ შემთხვევაში ხომ პროცესი აღარ იქნება დროის უაზრო ხარჯვა.

ზოგიერთი შიშობს, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დადგენა მედიაციაში გამოიწვევს სატელიტურ საქმის წარმოებას თავად წესთან დაკავშირებით. ნამდვილად პარადოქსული იქნება, თუ პროცესი, რომლის ამოცანაა საქმის წარმოების შემცირება და სამართლის წარმოების გაადვილება, თავისი საკუთარი ბრენდის ქვეშ ახალ დაბრკოლებებსა და პროცესის გახანგრძლივებას გამოიწვევს. ყველაზე საშინელი ფორმით, იმით უკმაყოფილო ადვოკატები, რომ ვერ მიაღწიეს მორიგებას, კვლავ სასამართლოს მიმართავენ საჩივრით ოპოზიციის არაჯეროვანი ქცევის შესახებ მედიაციის პროცესში. პოსტ-მედიაციური ტიპის პროცესები შეიძლება მოიცავდეს „მან ასე თქვა – იმან ისე თქვა“ ტიპის არგუმენტებს, რაც არაფრით არ განსხვავდება წინასწარი მოსმენის ბრძოლებისაგან, რომელსაც ათწლეულების მანძილზე გაგებით ეკიდებიან სასამართლოები სამოქალაქო საქმის წარმოების მიზნებისათვის.

ადვოკატებმა შეიძლება მოლაპარაკებების არსი გამოიყენონ არაკეთილსინდისიერ მონაწილეობაზე საჩივრის შეტანისას. აქ შეიძლება მოვისმინოთ შემდეგი ტიპის განცხადებები – „მეორე მხარის შემოთავაზება არ იყო საკმარისი“ ან „საკმარისად არ დაუკლო“. მიუხედავად ამისა, არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის ბრალდება არ უნდა ემყარებოდეს მოლაპარაკების შინაარსს. კეთილსინდისიერმა მონაწილეობამ არ უნდა აიძულოს მხარეები მოახდინონ დავაზე მორიგება რაღაც კონკრეტულ ეკონომიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით. ამის საპირისპიროდ, კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა არსებითად ხელს უწყობს მხარეებსა და მათ იურისტებს ძალა არ დაიშურონ პროცესის განხორციელებისას. მედიაციიდან გამომდინარე, სატელიტური საქმის წარმოების თავიდან ასაცილებლად კანონმდებლებმა, სასამართლო-

<sup>178</sup> იხ. Minn. Stat. Ann. § 583.27, West, 1996.

<sup>179</sup> იხ. Rogers & McEwen, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 7:06.

<sup>180</sup> იხ. Katz, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, 45-51.

ებმა და სხვა მარეგულირებელმა ორგანოებმა, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გაუსვან ხაზი იმ ფაქტს, რომ მხარეები არ არიან ვალდებული გადანყვიტონ დავა. მოლაპარაკებების ეკონომიკურმა ასპექტებმა, როგორცაა შეთავაზებები, პასუხი შეთავაზებაზე, არ უნდა განაპირობონ არაკეთილსინდისიერი მონაწილეობაზე საჩივრების წარმოქმნა. კეთილსინდისიერი მონაწილეობა ეხება მონაწილეობის ფორმას და არა მონაწილეობის შინაარსს.

პოტენციური საქმის წარმოების თავიდან აცილების კიდევ ერთი გზაა რაციონალური ხასიათის სანქციების დანერგვა კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის არშესრულებაზე. მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი მონაწილეობაზე დანერგული სანქციები არ უნდა იყოს უაზრო ხასიათის. რაციონალური ხასიათის სანქციად შეიძლება განვიხილოთ მედიაციის ხარჯის დაფარვა; განკარგულება, რომელიც ავალდებულებს მხარეს განახორციელოს კეთილსინდისიერი მონაწილეობა შემდეგ მედიაციაში შემდგომი გართულებებით, როგორცაა ადვოკატის საზღაურს პლუს მეორე მედიაციის ხარჯის დაფარვა; ან მოლაპარაკებებისა და მედიაციის საკითხზე მიძღვნილ ტრენინგებზე დასწრება. ამ ტიპის სანქციები არ არის არა-ზომიერად მკაცრი და ხელს უშლის არაკეთილსინდისიერი მონაწილეობას. თუმცა სატელიტური საქმის წარმოების სრული პრევენცია შეუძლებელია, მედიაციაში გადასული საქმეების შემთხვევაში კეთილსინდისიერი მონაწილეობით მიღებული სარგებლები აბალანსებს ნებისმიერი პოტენციური სატელიტური საქმის წარმოების მიერ მოტანილ ზიანს.

## ე. კონფლიქტები ჩამოყალიბებულ ეთიკურ მოვალეობებთან

მთელ რიგ შემთხვევებში, ადვოკატები აღნიშნავენ, რომ ოპონენტთან შეხვედრა და საქმის განხილვა, თავი რომ დავანებოთ ერთად მუშაობას ორმხრივად დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მისაღწევად, არის ანტიეთიკური კლიენტის წარმომადგენლობის კონტექსტში. „მეორე მხარესთან“ დაჯდომა და პრობლემის ერთობლივად გადაჭრა „სისუსტედ“ აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება მრავალ შემთხვევაში კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.<sup>181</sup> იურიდიული განათლების უკვე სანყის ეტაპზე სტუდენტები სწავლობენ კლიენტის მგზნებარე წარმოდგენის წესებს, რაც ხშირად ამართლებს რემბოს ტიპის ტაქტიკებს. შესაბამისად, ადვოკატები ეჭვის თვალთ უყურებენ სხვებთან თანამშრომლობას შემოქმედებითი ხასიათის პრობლემის გადაჭრის პროცესში.

სწორედ ამიტომ, გვესაჭიროება ახალი ეთიკური ვალდებულებების ჩამოყალიბება. მოლაპარაკებებში კეთილსინდისიერი მონაწილეობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პრობლემის გადაჭრის შეჯიბრებით მოდელს.<sup>182</sup> სამწუხაროდ, შეჯიბრებითობის მოდელი თავისი ეთიკით ADR-ის სფეროზე მალა დგას.<sup>183</sup> ძალისხმევისა და არაშეჯიბრებითი ტიპის მოდელის შემოტანის მიუხედავად, იურიდიული კულტურა ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ამ პროცესს.<sup>184</sup> ამიტომ, აუცილებელია კონკრეტული წესები, რაც სავალდებულოს გახდის შეჯიბრებითობის მოდელიდან გასვლას. შემდეგ საუკუნეს ვუახლოვდებით სამართლოს წარმოების ახალი პრაქტიკითა და ადვოკატობის ალტერნატიული გზებით, სადაც დავის გადანყვიტის პარადიგმას არ წარმოადგენს სასამართლო პროცესი ან სასამართლო დარბაზი, შესაბამისად, უნდა მოვახდინოთ ეთიკის თანამედროვე წესების ამოქმედებაც.

<sup>181</sup> მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ კლიენტის ამოცანებზე და მიზნებზე სასამართლო საქმის წარმოებასა და მორიგებაში. იხ. *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 27, at 2672-73. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ კლიენტის ამოცანებზე და მიზნებზე სასამართლო საქმის წარმოებასა და მორიგებაში. იხ. *Sander & Golberg*, იხ. ზემოთ მითითებული 39, at 50.

<sup>182</sup> იხ. *Condlin R. J.*, Bargaining in the Dark: The Normative Incoherence of Lawyer Dispute Bargaining Role, *Md. L. Rev.*, Vol. 51, 1992, 1, 3 ; *Hyman J. H.*, Trial Advocacy and Methods of Negotiation: Can Good Trial Advocates Be Wise Negotiators?, *UCLA L. Rev.*, Vol. 34, 1987, 863, 863-65 .

<sup>183</sup> იხ. *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 38, 37.

<sup>184</sup> იხ. *Dzienkowski*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 135, 53.

### ვ. სასამართლო საქმის წარმოების სისტემის ღირებულებებთან შეუსაბამობა

წინა სტატიაში პროფესორმა შერმანმა წარმოადგინა ჩვენი სამოქალაქო სასამართლო საქმის წარმოების ღირებულებები, ამასთან სტატია შეიცავდა იმის მტკიცებას, რომ იგივე ღირებულებები უნდა ახასიათებდეს სისტემის ფარგლებში ალტერნატიულ პროცესებს.<sup>185</sup> ზემოთ აღნიშნული ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ADR-ის ძირითადი მიზანია დაუსრულებელ სასამართლო პროცესებში მორიგების მიღწევა და, შესაბამისად, ნებისმიერი მორიგება უნდა შეესაბამებოდეს მის კონტექსტს, სასამართლოს.<sup>186</sup> ეს ღირებულებები მოიცავს იძულების თავიდან აცილებას, სამართლიან საქმის წარმოებას, საქმის წარმოებას, რომელიც გათვლილია მისი მიზნის მიღწევაზე და სასამართლო პროცესის მხარის ავტონომიის პატივისცემას.<sup>187</sup> მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს მიზანი პოზიტიური ხასიათისაა, განსაკუთრებით იურიდიული სისტემის ფარგლებში, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მიზნები შეესაბამება ალტერნატივების კონტექსტს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მათმა გათვალისწინებამ შეიძლება შეცვალოს ან გაანადგუროს კიდევ ალტერნატივა. მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა შეესაბამება პრინციპებს ან სხვა სიტყვებით, მედიაციის წარმოება კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარეშე არღვევს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს, თუმცა მედიაციას გააჩნია სასამართლო საქმის წარმოებისგან განსხვავებული ფოკუსი.<sup>188</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ხაზი ესმება მხარის ავტონომიურობას, როგორც უმაღლეს ღირებულებას სასამართლო საქმის წარმოებაში, მითითებები ამასთან დაკავშირებით მხოლოდ პროცედურული წესების მიზნებისთვის არის შექმნილი. მედიაციაში მონაწილეობის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები ზემოთ ხსენებულის მსგავსად უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას. ADR და განსაკუთრებით მედიაცია დიდად აფასებს თვითგამორკვევას ან მხარეების ავტონომიას,<sup>189</sup> თუმცა ბალანსის არსებობა აუცილებელია. ეს მოიცავს ქცევასთან დაკავშირებულ გარკვეულ შეზღუდვებს ზოგიერთი მონაწილისათვის, რათა მონაწილეთა უმრავლესობას ჰქონდეს პოზიტიური, აზრიანი გამოცდილებისა და შედეგების მიღების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, თუ მხარე მედიაციაში მონაწილეობს მეორე მხარის მოტყუების განზრახვით, პროცესი არ არის შექმნილი პროცესის მიზნის მიღწევის გათვლით, ამასთან ამგვარი პროცესი ვერ განიხილება, როგორც სამართლიანი საქმის წარმოება სასამართლოში სხდომის ეკვივალენტურად.

## VIII. კეთილსინდისიერი მონაწილეობა: მოთხოვნა და ხელახალი განსაზღვრა

### ა. მედიაციის პროცესის შესწავლა

პროცესში ახალი ელემენტის დასამატებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოხდეს პროცესის შესწავლა ამგვარი საჭიროების დადებითი მხარეებისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით.

<sup>185</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2082.

<sup>186</sup> იქვე, 2081-82.

<sup>187</sup> იქვე, 2084-89, 2094.

<sup>188</sup> *Cf. Nolan-Haley*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 134, 51 (ამტკიცებს, რომ მედიაციურმა ხელშეკრულებებმა უნდა განსაზღვროს მხარეების იურიდიული უფლებები). ზოგადი ინფორმაციისთვის იხილეთ: *Bush R. A., Folger J. P., The Promise of Mediation: Responding to Conflict through Empowerment and Recognition*, 1994 (განმარტავს მედიაციის როლს მორალურ განვითარებაში იმით, რომ მხარის უჭერს ადამიანების მიერ რთულ და ხშირად მტკივნეულ შედეგებზე ძლიერი და თანაგრძნობით აღსავსე რეაგირების დემონსტრირებაში).

<sup>189</sup> იხ. *Feerick*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 59, 101.



## 1. ისტორიული პერსპექტივა

მედიაციის ევოლუციის მოკლე განხილვა ნათელს მოჰფენს პროცესის ამოცანებსა და მიზნებს. მედიაციის გამოყენება, აქ განხილული ფორმით, დაიწყო 1976 წელს ფაუნდ კონფერენციის (the Pound Conference) შემდეგ.<sup>190</sup> ალტერნატივების გამოყენების საჭიროების საკითხი დადგა სასამართლოების მიერ მათთვის წარდგენილი ყველა დავის ეფექტიანად გადაჭრის უუნარობის გამო. საწყის ეტაპზე მედიაცია გამოიყენებოდა საზოგადოებრივი დავების გადასაწყვეტად იმ ეტაპამდე, როცა კონფლიქტი ესკალირდებოდა იმ სიტუაციამდე, როცა აუცილებელი იყო სასამართლო სისტემის ჩართვა.<sup>191</sup> საქმეების განხილვას ახორციელებდნენ მოხალისე მედიატორები სამეზობლო ან საზოგადოებრივი ცენტრების საშუალებით. სამოცდაათიანი წლების ბოლოდან შუა ოთხმოციანი წლებამდე, მედიაციის გამოყენება დაუსრულებელი სასამართლო საქმეებისათვის მინიმალურ ხასიათს ატარებდა, თუმცა გარკვეულ მცდელობებს ჰქონდა ადგილი საოჯახო სამართლის სფეროშიც.<sup>192</sup> ამასთან, საზოგადოებრივი ცენტრები ცდილობდნენ ამ მეთოდის გამოყენებას მცირე საჩივრების სასამართლოების სფეროში.<sup>193</sup> ძალიან იშვიათ შემთხვევებში, დაუსრულებელი სამოქალაქო საქმის გადამისამართება ხდებოდა მედიაციაზე. მხოლოდ ოთხმოციანი წლების ბოლოს გაიზარდა მედიაციასთან დაკავშირებული აქტივობა სასამართლოებში. ტეხასში, საკანონმდებლო ორგანომ სამოქალაქო პრაქტიკისა და საშუალებების კოდექსის (Civil Practice & Remedies Code) თავი 154 მიიღო<sup>194</sup> 1987 წელს, რომელიც სასამართლოებს ანიჭებდა საქმეების ADR-ზე გადაცემის უფლებმოსილებას. 1989 წელს დალასის ოლქის ადვოკატებმა მოუწოდეს სამოქალაქო მოსამართლეებს, გადაეცათ საქმეები მედიაციისთვის და ამგვარი პრაქტიკა დაინერგა მთელი შტატის სხვა ქალაქების სასამართლოებშიც. მედიაციის განვითარება სხვა მრავალ შტატშიც მსგავსად მიმდინარეობდა, აქაც აქტივობა პირველად საზოგადოებრივი ინსტიტუტების (არალეგალიზებული დავებისთვის) დონეზე დაიწყო, რასაც სასამართლოებში მეთოდის გამოყენება მოჰყვა.<sup>195</sup> დაუსრულებელი სასამართლო საქმეებისათვის მედიაციის გამოყენების მაჩვენებლის გაზრდასთან ერთად, სასამართლოების წინაშე წამოიჭრა იურიდიული საკითხები, როგორცაა მხარის მონაწილეობა, კეთილსინდისიერი მონაწილეობის ჩათვლით. სხვა საკითხები მოიცავს ხელშეკრულებების აღსრულებადობას, კონფიდენციალობას და მედიატორის ვალდებულებებს. მედიაციის განვითარების საწყის ეტაპზე, დავების მოგვარება არ წარმოადგენდა ერთადერთ ამოცანას. მედიაციის ამოცანას წარმოადგენდა მხარეების მხარდაჭერა საერთო გაგების მიღწევაში, რაც საშუალებას მისცემდა მათ გადაეჭრათ საკუთარი პრობლემები. თუმცა სასამართლოები მედიაციას მაინც განიხილავენ როგორც დავის გადაწყვეტის მეთოდს.<sup>196</sup>

## 2. ამოცანა: მედიაციის ღირებულება

ახალი პროცესის შემოტანა ჩვეულებრივ წამოჭრის კითხვას – რატომ? სხვა სიტყვებით, რა ღირებულებას მოუტანს მედიაცია მოლაპარაკებას?<sup>197</sup> პროცესის ღირსება მის იმ მიზნებში

<sup>190</sup> იხ. *Goldberg et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 3, 7; *Nolan-Haley J. M.*, Court Mediation and the Search for Justice Through Law, Wash. U. L.Q., Vol. 74, 1996, 47, 57-58; *Woo K.-T.*, A Comparison of Court-Connected Mediation in Florida and Korea, Brook. J. Int'l L., Vol. 22, 1997, 605-606 .

<sup>191</sup> იხ. *Duffey*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 70, 26-32. რეფერალების ნაწილი მიღებული იქნა პოლიციიდან და პროკურატურიდან. იხ. *Primm*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 70, 1067-68.

<sup>192</sup> იხ. *Goldberg et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 3, 299-300, 308-14; ABA ოჯახური დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები 3-173 (1982); დავების გადაწყვეტის ცენტრი, სახელმწიფო სასამართლოების ადმინისტრირების სამსახური, ფლორიდის უზენაესი სასამართლო; ფლორიდის მედიაციის/არბიტრაჟის პროგრამები: კონსპექტი 61-62 (1996).

<sup>193</sup> იხ. *Goldberg et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 3, 300; *Woo*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 190, 607.

<sup>194</sup> იხ. *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154*, Vernon Supp. 1997.

<sup>195</sup> იხ. *Florida Compendium*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 192, 262-68.

<sup>196</sup> ეს წარმოადგენს მედიაციის ეფექტიანობის მოდელს. იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო.

<sup>197</sup> იხ. *Bush R. A. B.*, What Do We Need a Mediator For?: Mediation's "Value-Added" For Negotiators, Ohio St. J. on

ძევს, რომელთა მიღწევაც ძალუძს პროცესს. მედიაციის პროცესის ამოცანები სხვადასხვაგვარია. მხარეების მიზნები შეიძლება განსხვავდებოდეს მედიატორის მიზნებისგან და შეიძლება არცერთი მათგანი არ ემთხვეოდეს სასამართლოს მიზნებს. მიუხედავად ამისა, ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია კეთილსინდისიერი მონაწილეობა.<sup>198</sup>

ზოგიერთი შეხედულებით, დავის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა სხვათა თვალსაზრისით გადაწყვეტა უკანა რიგის ამოცანაა, ყურადღება მახვილდება მხარეთათვის უფლებამოსილების მინიჭებასა და აღიარებაზე.<sup>199</sup> მედიაციის მიზნებისა და სარგებლების კუთხით იურიდიული განათლების არმქონე მონაწილეებისათვის – ეს არის პროცესით დაკმაყოფილება. აქცენტი კეთდებოდა პროცესით დაკმაყოფილებაზე, რაც პროცედურული ხასიათის დაკმაყოფილებაა და არა არსებითი დაკმაყოფილება.<sup>200</sup> მხარეებს აკმაყოფილებთ მედიაცია მაშინაც კი, როცა შეთანხმება არ არის მიღწეული, მრავალ შემთხვევაში მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ეძლევათ საშუალება განიხილონ საკითხი სხვა პირთან. მაგალითად, ტეხასის ADR-ის საკანონმდებლო აქტი ხაზს უსვამს მედიატორის როლს, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის ურთიერთგაგებას.<sup>201</sup> თუ ამ მიზნების მიღწევა უნდა მოხდეს, მაშინ სულ მცირე უნდა განხორციელდეს პირდაპირი კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა მონაწილეთა შორის. თითოეულმა მონაწილემ მედიაციის პროცესში თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს და ნდობის ელემენტი უნდა არსებობდეს. იმის შიში, რომ სხვა მხარეები არ მონაწილეობენ პროცესში კეთილსინდისიერად გამოიწვევს მხარეთა ეჭვს პროცესის მიმართ და, შესაბამისად, მათ პროცესში მონაწილეობის ნაკლები სურვილი გაუჩნდებათ. თუ მხარეებს უფლება აქვთ არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა მიიღონ მედიაციის პროცესში, ანუ მონაწილეობა მიიღონ იმ განზრახვით, რომ მოატყუონ მეორე მხარე ან პროცესი საკუთარი სარგებლისთვის გამოიყენონ,<sup>202</sup> მაშინ მედიაციის პროცესით კმაყოფილების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

მედიაციის კიდევ ერთი მისიაა ფორუმის უზრუნველყოფა, რომლის საშუალებით და სადაც ინდივიდები აღიჭურვებიან უფლებამოსილებით და მოხდება მათი აღიარება.<sup>203</sup> მედიაციის პროცესში ინდივიდებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება ამ მიზნებისთვის კრიტიკულია<sup>204</sup> მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მედიაციის პროცესზე ყველა მონაწილე გამოცხადდება პროცესში აქტიური ჩართვის განზრახვით, იარსებებს იმის შესაძლებლობა, რომ ამოცანების შესრულება რეალობად იქცეს.

მედიატორის პოზიციიდან, მედიატორთა უმრავლესობა მედიაციაში ერთვება გულწრფელი განზრახვით, დაეხმაროს მხარეებს მათი პრობლემების აზრიანი, შემოქმედებითი გზით გადაჭრაში. ეს საშუალებას აძლევს ყველა მხარეს დატოვონ პროცესი პროცესითა და შედეგებით კმაყოფილებმა. თუმცა აქცენტი დავის გადაწყვეტაზე არსებობს, განსაკუთრებით სასამართლო საქმეებში, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა დამატებითი სარგებელი მიიღონ პროცესიდან. და როგორც ამას ხაზს უსვამს ზოგიერთი მედიატორი – „მოდით პროცესი ნუ გამოიწვევს ზიანს“. მედიატორებმა არ უნდა დაუშვან ქცევა, რომელმაც შეიძლება ზიანი გამოიწვიოს.

დავის გადაწყვეტაზე კონცეტრირების კონტექსტში მედიაცია დახმარებას უწევს მხარეებს გადაწყვეტის წინაშე არსებული ბარიერების შემცირებაში ან მოშორებაში.<sup>205</sup> ასევე, სასა-

---

Disp. Resol., Vol. 12, 1996, 1, 1.

<sup>198</sup> იხ. ზემოთ მითითებული ნაწილი IV (განიხილავს, თუ როგორ დააზარალებს კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობა პროცესის უმეტეს ამოცანებს).

<sup>199</sup> იხ. *Bush & Folger*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 188, 2.

<sup>200</sup> იხ. *Bush*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 197, 19-20.

<sup>201</sup> იხ. *Tex Civ. Prac. & Rem. Code Ann. §154.053(a)*, Vernon Supp. 1997.

<sup>202</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი VIII.B. (წარმოადგენს იმის დამატებით მაგალითებს, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს პროცესში არაკეთილსინდისიერმა მონაწილეობამ).

<sup>203</sup> იხ. *Bush & Folger*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 188, 3; ასევე, იხ. *Bush*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 197, 29-31 (განიხილავს უფლებამოსილების მინიჭებისა და აღიარების ცნებებს, როგორც მედიაციის პროცესში მისაღწევ ღირებულ პროდუქტებს).

<sup>204</sup> იხ. *Bush*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 197, 28-29.

<sup>205</sup> იხ. *Bush*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 197, 12-13; ასევე, იხ. *Mnookin R. H.*, Why Negotiations Fail: An Exploration of Barriers to the Resolution of Conflict, *Ohio St. J. on Disp. Resol.*, Vol. 8, 1993, 235, 248-49.

მართლოები სულ უფრო მეტად ემყარებიან მხარეთა შორის შეთანხმებას. სასამართლოების აზრით, ADR-ის გზით მხარეები რიგდებიან და მორიგება წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ჩამნაცვლებელს.<sup>206</sup> ამიტომ, პროცესი მაქსიმალურად სამართლიანი უნდა იყოს. მედიაცია განიხილება როგორც გარიგება კანონის ჩრდილქვეშ;<sup>207</sup> კანონი თავისთავად მოითხოვს პატიოსნებას და ინფორმაციის საჭიროებას, განსაკუთრებით ადვოკატებისათვის.<sup>208</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობა გარკვეულ პერსპექტივას სძენს დავების გადაწყვეტას, კანონი სხვა მრავალ გასათვალისწინებელ საკითხთა შორის ერთ-ერთია. საჯარო პოლიტიკა და სოციალური ურთიერთობები წარმოადგენს იმ რამდენიმე სხვა ასპექტს, რომლის ჩრდილქვეშაც უნდა ვიდგეთ და მოვრიგდეთ. მედიაციის პროცესი არა მხოლოდ განვითარდება, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდება. შესაძლებელია, მიღწეულ იქნას დროისა და თანხების დაზოგვის სარგებელი, მაგრამ პროცესით შეიძლება მიღწეული იქნას უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიც, რომლებიც ეხება ინდივიდი მონაწილეების სიცოცხლეს. ამ კონტექსტში აშკარაა, რომ მედიაციის ცნება მოიცავს კეთილსინდისიერ მონაწილეობას. იმისათვის, რომ მოხდეს მიზნების მიღწევა, აუცილებელია ყველა მონაწილე მხარე სიმართლის პოზიციით მიუდგეს პროცესს.

### 3. მიღებული გაკვეთილი: გამოცდილების მნიშვნელობა

კონცეპტუალურად, მხარეების უფლებამოსილებით აღჭურვა მოიცავს შემდეგ ამოცანას – მედიაციის გამოცდის გზით მხარეები ისწავლიან პროცესის პრინციპებს მომავალი დავებისათვის. რა თქმა უნდა, მედიაციის კონცეფციები, როგორცაა „ყველა მოგებულია“ ან „მოგებული-მოგებული“ პარადიგმები ახალია მრავალი ადამიანისთვის. მედიაციასთან დაკავშირებული განათლების გაფართოების მიუხედავად, რაც მოიცავს სასამართლოებში თუ საბავშვო ბალებში განათლებას,<sup>209</sup> და „კი“-ს მიღწევის პოპულარობის მიუხედავად,<sup>210</sup> მსოფლიოს დიდი ნაწილი კონფლიქტებს წყვეტს მოგებული-ნაგებულის და უფრო მაღალი ავტორიტეტის კონტექსტში,<sup>211</sup> განსხვავებული პარადიგმის გამოყენება საჭიროებს ახალი ტიპის ქცევის ათვისებას. შესაძლოა, თავდაპირველად ყველა მხარის მონაწილეობა მედიაციაში უცნაურად გამოიყურებოდეს ყველა მხარისთვის, განსაკუთრებით ადვოკატებისათვის, რადგან ეს განსხვავდება ადრინდელი სწავლებისა და გამოცდილებისაგან, მაგრამ ზრდასრული ადამიანები გამოცდილების გზით სწავლობენ.<sup>212</sup> მედიაციის შესახებ ინფორმაციის წაკითხვა, საუბარი მედიაციაზე და შემდგომი განათლების პროგრამებში მონაწილეობის მიღება, საგანმანათლებლო სარგებლის მიუხედავად, ადამიანს ტოვებს პროცესის რეალურად გაცნობის გარეშე. სწავლას ადგილი აქვს გამოცდილების მიღების პროცესში. შედეგად, სანამ ადვოკატები თავად არ გამოცდიან კოლაბორაციულ პროცესს, მანამდე ეს ცოდნა არ შეემატება მათ უნარებს.

მედიაცია და ნაკლები ხარისხით ADR-ის პროცესები არ უნდა შეიცვალოს იმის გამო, რომ ზოგიერთ მონაწილეს არ აქვს ნასწავლი ამ პროცესებში მოქცევის წესები. უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ადვოკატებს მიეღოთ განათლება და აეთვისებინათ ის უნარები, რომლებიც აუცილებელია პროცესიდან საუკეთესო შედეგების მისაღებად. მედიაციის შემთხვევაში ეს უნარები განსხვავდება დღევანდელ დღეს მათ მიერ პრაქტიკაში გამოყენებული უნარებისგან.

<sup>206</sup> იხ. *Resnik*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 2, 243-44.

<sup>207</sup> იხ. ზოგადად, *Mnookin R. H., Kornhauser L.*, *Bargaining in the Shadow of the Law: The Case of Divorce*, Yale L.J., Vol. 88, 1979, 950, 996. (ამტკიცებს, რომ „კერძო განკარგულება“ სასამართლო დარბაზის გარეთ არის „მორიგება კანონის ჩრდილის ქვეშ“ და შეიძლება ხელი შეუწყოს დავის გადაწყვეტას).

<sup>208</sup> იხ. *Bush*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 197, 22-23.

<sup>209</sup> მედიაციის პროგრამები ანვითარებენ მედიაციის უნარებს მოსწავლეებში თვით საბავშვო ბალებშიც კი.

<sup>210</sup> *Fisher R., Ury W.*, *Getting To Yes: Negotiating Agreement Without Giving In*, 2<sup>nd</sup> ed., 1991.

<sup>211</sup> იხ. *Slaikeu K. A.*, *When Push Comes to Shove: A Practical Guide to Mediating Disputes*, 1996, 4-10.

<sup>212</sup> იხ. *Knowles M. S.*, *The Modern Practice of Adult Education: from Pedagogy to Androgogy* 45-58; *Bloch F. S.*, *The Andragogical Basis of Clinical Legal Education*, *Vand. L. Rev.*, Vol. 35, 1982, 321, 329.

თუმცა მარტივია იმის თქმა, რომ მრავალი ადვოკატი ამას „უბრალოდ გააკეთებს“ – სა-უბარია კეთილსინდისიერების დემონსტრირებაზე – რადგან ეს აუცილებელია მედიაციის პროცესზე კლიენტის ჯეროვანი წარმოდგენისთვის, გამოცდილება სხვა რეალობაზე მიგვიბრუნებს. სხვა კონტექსტში, ადვოკატები თავის ქცევაში ხელმძღვანელობენ წესებით;<sup>213</sup> შედეგად, უნდა ავამოქმედოთ წესები მედიაციაში ქცევის სამართავადაც.<sup>214</sup> მომავალში, გამოცდილები-სა და, შესაბამისად, ცოდნის მიღების შემდეგ, მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა შეიძლება გადაიქცეს ადვოკატის ქცევის განუყოფელ ნაწილად.

მაგრამ მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა მხოლოდ ადვოკატებს არ ეხებათ. მონაწილეებს, და მრავალი მათგანი ძირითადად ოფიციალური წარმომადგენლები არიან, ასევე უნდა მოეთხოვებოდეთ კეთილსინდისიერი მონაწილეობის დემონსტრირება. მრავალ მონაწილეს – ძირითადად ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს – ეს უკვე ათვისებული აქვთ.<sup>215</sup> ტრანზაქციული მოლაპარაკებისას, როგორცაა კონტრაქტები ან ფრანჩიზული ხელშეკრულებები, მხარეები პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. გასაკვირი არ არის, რომ ზოგ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კეთილსინდისიერ მონაწილეობას, მაგრამ მოლაპარაკებებისათვის ეს ნაკლებად არის დამახიათებელი, რადგან მხარეები არ არიან ჩართულნი დავაში. დავის დამაკმაყოფილებლად გადასაწყვეტად კეთილსინდისიერი მონაწილეობა აუცილებელია.

## ბ. რა არ არის კეთილსინდისიერი მონაწილეობა

მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა არ ნიშნავს შეთანხმების მიღწევას, ანუ მე არ ვგულისხმობ, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის გამოსავლენად მხარეებმა უნდა მოაგვარონ წინააღმდეგობა<sup>216</sup> ან, რომ სავალდებულო კეთილსინდისიერი მონაწილეობის შემთხვევაში, შეთანხმება უფრო დიდი ალბათობით მიიღწევა. მე საკმაოდ დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს მრავალი შემთხვევა, სადაც არცერთ მხარეს არ გაუკეთებია კეთილსინდისიერი მონაწილეობის დემონსტრირება პროცესში, მაგრამ მხარეებმა შეძლეს შეთანხმების მიღწევა. მაგრამ მორიგება არ არის და არ უნდა იყოს მედიაციის აბსოლიტური მიზანი და ამოცანა. მედიაცია შეიძლება ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდეს მაშინაც კი, როცა შეთანხმება ვერ მიიღწევა.<sup>217</sup>

კეთილსინდისიერი მონაწილეობა არ ავალდებულებს მხარეებს გულწრფელად სურდეთ გადაჭრან პრობლემა<sup>218</sup> გახსნილობა, რა თქმა უნდა, სასარგებლოა მედიაციის პროცესისთვის, მაგრამ მხარის სულიერი მდგომარეობის შეფასება ძალზედ რთული და სუბიექტურია.<sup>219</sup>

კეთილსინდისიერი მონაწილეობა არ ნიშნავს ვალდებულებას გაუმხილო სხვა მონაწილეს ან თავად მედიატორს ყველაფერი საქმის შესახებ. სასამართლო საქმის მწარმოებლები გამოხატავენ შიშს მედიაციაციის მიმართ, რადგან ეს მათთვის ნიშნავს სასამართლო პროცესამდე „მა-

<sup>213</sup> მთელი რიგი წესები, რომლებიც მართავენ და წარმართავენ კანონის განხორციელებას, პროცედურების, მტკიცებულებების და ეთიკის წესების ჩათვლით.

<sup>214</sup> ზოგიერთნი უკვე სექტიკურად განიხილავენ ეთიკის წესების ცვლილების შემოქმედებას ადვოკატთა ქცევაზე. იხ. *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 38, 38-40.

<sup>215</sup> იხ. *Palmieri*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 131, 201-13 (მიუთითებს კეთილსინდისიერი მონაწილეობის ვალდებულებაზე გერმანულ და იტალიურ წინასაკონტრაქტო მოლაპარაკებებში).

<sup>216</sup> იხ. *Ind. Code Ann.*, tit. 34, Appendix on ADR, Rule 2.1, West 1996 (გარკვევით აცხადებს, რომ მხარეებს „მოეთხოვებათ მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ ისინი ვალდებულნი არ არიან მიაღწიონ შეთანხმებას“).

<sup>217</sup> იხ. ზემოთ ნაწილი Part VIII.A.2.; ასევე, იხ. *Bush & Folger*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 188, 2-4 (განიხილავს მედიაციის ძალას, გარდაქმნას ადამიანები უფლებამოსილების მინიჭებისა და აღიარების გზით).

<sup>218</sup> იხ. *Cox*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 74, at 1414 (განიხილავს სასამართლოს დადგენილებებს იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა მოიცავდა საქმის გადაწყვეტის არსებული სურვილის დემონსტრირებას).

<sup>219</sup> იქვე.

თი კარტების გახსნას“. მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლოდ იმის შენახვა, რაც შესაძლოა არც არის საიდუმლო<sup>220</sup> საეჭვო საკითხია, განსაკუთრებით თუ ინფორმაციის მიწოდებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კლიენტის მიზნების მიღწევას, თუკი მხარეები უარს აცხადებენ კონკრეტული ინფორმაციის გაზიარებაზე, არ უნდა ვაიძულოთ ისინი. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს რაღაც ინფორმაციის გაცვლა, რაც წარმოადგენს შემოთავაზებული მორიგების ან ასეთის შეუძლებლობის ახსნას ან საფუძველს. სხვა სიტყვებით, რადგან მედიაციის მთავარი აქცენტი, მორიგების ან უფლებამოსილების მინიჭების კონტექსტში, არის გაზრდილი გაგება და კომუნიკაცია, ინფორმაციის გახსნა აუცილებელია. თუმცა გაზიარებული ინფორმაციის მასშტაბები მხარეების კომპეტენციის სფეროა.

უბრალოდ, „კეთილგანწყობილი ქცევა“ ასევე არ წარმოადგენს კეთილსინდისიერი მონაწილეობის ელემენტს. ადამიანი შეიძლება იყოს კეთილი და კოოპერატიული, მაგრამ არაფერი არ გააკეთოს საქმის წინ წასაწევად, ანუ მორიგების მისაღწევად. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში „კეთილგანწყობილი“ ქცევა გამოიყენება როგორც მეორე დაუეჭვებელი მხარის შეცდომაში შესაყვანი ტაქტიკა, მაგალითად, როგორც მათი და ჯეფის, ან „კარგი პოლიციელი – ცუდი პოლიციელი“-ის ტაქტიკები.<sup>221</sup> მხოლოდ ჯდომა და ღიმილი არ ქმნის კეთილსინდისიერ მონაწილეობას. გამოვლენილი უნდა იქნას გარკვეული მომზადება და აზრიანი მონაწილეობის ძალისხმევა.

### გ. წინარე განსაზღვრებები

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის ტერმინის წინარე გამოყენება გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი თავისთავად არ უნდა ქმნიდეს მედიაციაში ამგვარი მოთხოვნის შექმნისა და განხორციელების შემაფერხებელ გარემოებას. ტერმინი კეთილსინდისიერი მონაწილეობა მრავალ სხვა კონტექსტში ყოფილა გამოყენებული, ტრანზაქციული პრაქტიკიდან დაწყებული და სასამართლო საქმის წარმოებით დამთავრებული. შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს წინარე განსაზღვრებების მიმოხილვა. თუმცა არ არსებობს მოლაპარაკებების ან მედიაციის კონტექსტში კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაზღვრება, შრომითი სფეროს საქმეები შეიძლება მაინც გამოიყენოთ სახელმძღვანელოდ. მრავალი სასამართლო თანხმდება, რომ მოლაპარაკებებში კეთილსინდისიერი მონაწილეობის ვალდებულების დადგენა არ გულისხმობს, რომ მხარეებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას. კეთილსინდისიერი მონაწილეობა უბრალოდ მოითხოვს, რომ მხარეებმა გულწრფელად გადადგან ნაბიჯები გადაწყვეტისკენ.<sup>222</sup>

თუმცა ზოგიერთი სასამართლო უფრო შორს წავიდა და ითხოვს არა მხოლოდ შეთანხმების მიღწევის სურვილს, არამედ საერთო საფუძვლების / გაგების მიღწევისათვის განუყოფელი გულწრფელი ძალისხმევის დემონსტრირებას.<sup>223</sup> ერთ-ერთ საქმეში აღნიშნული იყო, რომ კონკრეტულმა მოსამართლეებმა თავიანთი გამოცდილება უნდა გამოიყენონ იმის განსაზღვრად, თუ რას წარმოადგენს მოლაპარაკების გონივრული საფეხურები და საქმეში წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელო პრინციპები, როგორიცაა უსამართლო მოულოდნელობების არარსებობა, შეხვედრები, ერთმანეთს შორის კამათის მოსმენა და პოზიციების განმარტების

<sup>220</sup> დამატებითი გარემოებების აღმოჩენისა და თანაბარი განხილვის პირობებში, სავარაუდოდ, ინფორმაციის დიდ ნაწილს ნათელი მოეფინება სასამართლო მოსმენამდე. რეალობაში ეს თითქოს უმნიშვნელო ხასიათის პრობლემას უნდა წარმოადგენდეს, რადგან საქმეების დიდი ნაწილი საერთოდ ვერ აღწევს სასამართლომდე.

<sup>221</sup> იხ. *Craver*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 77, 189-90, 194-201 (განიხილავს სხვადასხვა მოლაპარაკების თამაშს და ტექნიკას, რომელიც მოიცავს დაუფარავ თანამშრომლობას ან კეთილგანწყობილ ქცევას, მაგრამ რომელთა გამოყენება შეჯიბრის მიზნებით ხორციელდება).

<sup>222</sup> იხ. *Swerdlow S.*, *Freedom of Contract in Labor Law*: Burns, H.K. Porter, and Section 8(d), *Tex. L. Rev.*, Vol. 51, 1972, 1, 29-32.

<sup>223</sup> იხ. *Cox*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 74, 1414 (ციტ.: *NLRB v. Montgomery Ward & Co.*, 133 F.2d 676, 686 (9th Cir. 1943)).

ნათლად და პატიოსნად წარმოდგენა.<sup>224</sup> სხვა საქმეში, კეთილსინდისიერი მონაწილეობის ინტერპრეტაციისას სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია მხარის არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის დადგენა მხოლოდ იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა თავისი პოზიციის შეცვლაზე, ამასთან საქმეში მითითებულია, რომ სწორედ მისი თავდაპირველი პოზიცია შეიძლება ყოფილიყო მართებული.<sup>225</sup>

ზოგიერთი მეცნიერი და სასამართლო მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის განსაზღვრების საუკეთესო გზაა იმის განცხადება, თუ რა არ არის კეთილსინდისიერი მონაწილეობა, ან ამის საწინააღმდეგოდ იმის განსაზღვრება, თუ რა არის არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა. მხარის არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის ნიშნებია: კორესპონდენციაზე მოულოდნელად დაგვიანებული პასუხი; შეხვედრების გადადება; მომლაპარაკებლების გაგზავნა მორიგების უფლებამოსილების მინიჭების გარეშე; უარყოფითი ტიპის ვალდებულებების აღება მორიგების პროცესში; პოზიციების შეცვლა; ახალი მოთხოვნების წარმოდგენა; მოლაპარაკებების სიტყვა-სიტყვითი ჩანაწერების მოთხოვნა; წერილობით შეთანხმებაზე ხელის მოწერაზე უარის განცხადება; ცალმხრივი ქმედებები; და ღირებული ინფორმაციის დაფარვა.<sup>226</sup>

კიდევ ერთმა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის დასადგენად აუცილებელია იმ ფაქტების დადგენა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მხარე იწყებს და აგრძელებს მორიგების პროცესს სურვილითა და განზრახვით არანაირ შეთანხმებას არ მიაღწიოს“.<sup>227</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობის არარსებობის დადგენა პრობლემის გადაჭრის განზრახვის არარსებობით შესაძლოა შესატყვისი იყოს შრომითი ურთიერთობების კონტექსტში, მაგრამ შესაძლოა ძალზედ ძლიერი იყოს ზოგადად მედიაციის მიზნებისათვის.<sup>228</sup>

არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა, ასევე, განმარტებულია სადაზღვევო კონტრაქტებთან მიმართებაში, როგორც დამზღვევის მიერ მისი დაზღვეულის მოთხოვნაზე/სადაზღვევო ანაზღაურებაზე დაუსაბუთებელი უარის განცხადება.<sup>229</sup> რა თქმა უნდა, მედიაციის პროცესს არ ახასიათებს სადაზღვევო ხელშეკრულების მსგავსი ფიდუციური ვალდებულება, მაგრამ განსაზღვრებითი ხასიათის განხილვა მაინც სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. ტეხასში კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და სამართლიანი ქმედების პრინციპების დარღვევად განიხილება სადაზღვევო სარჩელზე უარის განცხადება დასაბუთებული მიზეზის გარეშე ან დამზღვევის უუნარობა წარმოადგინოს სადაზღვევო სარჩელზე უარის განცხადების საფუძველი.<sup>230</sup> თუმცა სარჩელზე უარის განცხადება ყოველთვის არ ნიშნავს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, სადაზღვევო კომპანიის მიერ უსამართლო ქმედების განხორციელების ნიშნები შემდეგს მოიცავს: სარჩელზე უარის შემცველი განცხადება იურიდიულ და ფაქტობრივ აზრს არის მოკლებული; სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზებია წარმოდგენილი; უარის თქმა მოხდა სარჩელის ძირეული შესწავლის გარეშე; სარჩელი შესწავლილი იქნა, მაგრამ შესწავლის

<sup>224</sup> იხ. *Rutland Ry. Corp. v. Brotherhood of Locomotive Eng'rs*, 307 F.2d 21, 40-41 (2d Cir. 1962).

<sup>225</sup> იხ. *Chicago and N. W. Ry. Co. v. United Transp. Union*, 336 F. Supp. 1149, 1166 (N.D. Ill. 1971), rev'd on other grounds, 417 F.2d 366 (1972).

<sup>226</sup> იხ. *Cox*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 74, 1418-25.

<sup>227</sup> იხ. *American Airlines v. Air Line Pilots Ass'n, Int'l*, 169 F. Supp. 777, 794 (S.D.N.Y. 1958); ასევე იხ. *NLRB v. Reed & Prince Mfg. Co.*, 205 F.2d 131, 134 (1st Cir. 1953) (ნებისმიერი აზრიანი დათმობებისგან თავის შეკავება შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის ნიშანი).

<sup>228</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2091 (ამტკიცებს, თუ რატომ არ არის კეთილსინდისიერი მონაწილეობის ძლიერი თხოვნა ისევე იმპერატიული ხასიათისა, როგორც ეს კოლექტიურ მორიგებებს ახასიათებს).

<sup>229</sup> იხ. *Gergen M.*, A Cautionary Tale About Contractual Good Faith in Texas, *Tex. L. Rev.*, Vol. 72, 1994, 1235, 1236-44; *Thomas J. E.*, A Case Study of Bad Faith Refusal to Settle: A Doctrinal, Normative, and Practical Analysis of Missouri Law, *UMKC L. Rev.*, Vol. 64, 1996, 695, 697-99. ზოგადი ინფორმაციისთვის იხ. *Richmond D. R.*, An Overview of Insurance Bad Faith Law and Litigation, *Seton Hall L. Rev.*, Vol. 25, 1994, 74, 74-80. (განიხილავს არაკეთილსინდისიერ მონაწილეობას სადაზღვევო სასამართლო საქმის წარმოებაში).

<sup>230</sup> იხ. *Arnold v. National County Mut. Fire Ins. Co.*, 725 S.W.2d 165, 167 (Tex. 1987).

მიზანი იყო უარის თქმის დასაბუთება და არა სარჩელის საფუძვლიანობის განსაზღვრა.<sup>231</sup> უფრო მეტიც, სადაზღვევო კომპანიის უუნარობა კომუნიკაცია ანარმოს დაზღვეულთან ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამზღვევლის მხრიდან გამოვლენილი არაკეთილსინდისიერი ქმედების დადგენის საფუძველი.<sup>232</sup> ამ შემთხვევაშიც, როგორც მრავალ სხვა სიტუაციაში, საფუძველს წარმოადგენს ინფორმაციის არ/ვერ მიწოდება.

რადგან მედიაცია მოლაპარაკებების პროცესის ხელშეწყობაა, კონტრაქტებზე მოლაპარაკებები და ბიზნეს ურთიერთობები ასევე გვაძლევს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის სხვა კუთხით დანახვის საშუალებას. კონტრაქტების შემთხვევაში ადგილი აქვს დიდი რაოდენობით ინსტრუქციული ხასიათის დისკუსიებს, როგორცაა კეთილსინდისიერი მონაწილეობის ვალდებულება და შესრულებისას სამართლიანი ურთიერთქმედება,<sup>233</sup> ასევე, წინასაკონტრაქტო მოლაპარაკებებში კეთილსინდისიერი მონაწილეობის აუცილებლობა.<sup>234</sup> ასევე, სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს საკონტრაქტო ურთიერთობებში გამოყენებული ენა და ცნებები. ეს გასაგებია, რადგან ბევრი თუ არა ყველა მედიაციის შეთანხმება არის კონტრაქტი.<sup>235</sup> უფრო მეტიც, ტრანზაქციული ტიპის მოლაპარაკებების დანყებისას, კონტრაქტს წინ უძღვის მხარეებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბება.<sup>236</sup> მედიაციაში ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მხარეები არა თუ ქმნიან საკონტრაქტო ტიპის ურთიერთობას, არამედ ასეთი ურთიერთობა შეიძლება უკვე არსებობს კიდევ .სამწუხაროდ, დავა იქმნება იმის გამო, რომ მხარეები ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან.

მრავალ შემთხვევაში მხარეებს შორის წინა ურთიერთობა კონტრაქტული ხასიათისაა; შესაბამისად, არ უნდა მოვიტხოვოთ ის, რაც თავიდანვე მოთხოვნას წარმოადგენდა? თუ დავუშვებთ გარკვეულ კავშირს საკონტრაქტო თეორიასთან, ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ექტრაპოლაციას და მოვიტხოვოთ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დაკონკრეტება. მაგალითად, უნიფორმული კომერციული კოდექსის (Uniform Commercial Code), შესაბამისად, „კეთილსინდისიერი მონაწილეობა“ შემდეგი ელემენტებისგან შედგება: „ფაქტობრივი პატიოსნება და ვაჭრობაში სამართლიანი გარიგების გონივრული კომერციული სტანდარტების შესრულება“.<sup>237</sup> თუმცა ეს განსაზღვრება ბიზნესის რეალობაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის განმარტებისას სპეკულაციის საშუალებას იძლევა და ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა ნიშნავს, რომ მხარეები არ მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად,<sup>238</sup> სხვა კომენტატორები მიუთითებენ, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა ტრანზაქციებში მხოლოდ ყველა შემთხვევისთვის ცალკე შეიძლება განისაზღვროს.<sup>239</sup> უნ-

<sup>231</sup> იხ. *Chester R.*, First Party Bad Faith: How to Spot It and What to Do With It, in Seminar for Nationwide Insurance Company, 1994, 3-5 (ინახება ავტორის მასალებში).

<sup>232</sup> იხ. *Fidelity & Cas. Co. v. Underwood*, 791 S.W.2d 635, 647 (Tex. App. \_ Dallas 1990, no writ).

<sup>233</sup> იხ. Restatement (Second) of Contracts § 205, 1992; *Speidel R.*, The “Duty” of Good Faith in Contract Performance and Enforcement, J. Legal Ed., Vol. 46, 1996, 537 (ასახელებს კეთილსინდისიერი მონაწილეობის იმ ათ მთავარ ელემენტს, რომლის შესახებაც ცოდნა უნდა გაგვაჩნდეს კონტრაქტებში).

<sup>234</sup> იხ. *Shell G. R.*, Opportunism and Trust in the Negotiation of Commercial Contracts: Toward A New Cause of Action, Vand. L. Rev., Vol. 44, 1991, 221, 222-25; *Palmieri*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 131, 72.

<sup>235</sup> მრავალი შტატის საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია, რომ მედიაციური შეთანხმება არ განსხვავდება სხვა კონტრაქტისგან მისი აღსრულების თვალსაზრისით. იხ. *Tex. Civ. Prac. & Rem. Code Ann. § 154.071 (Vernon 1995)*; *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 11.01.

<sup>236</sup> იხ. Center for the Study of Foreign Affairs, National Negotiating Styles, Hans Binnendijk ed., 1987, 56-58 (discussing the negotiating styles in China, the Soviet Union, Japan, France, Egypt, and Mexico); *Shell*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 234, 225-26, 252-55; ასევე, იხ. *Macneil I. R.*, Contracts: Adjustment of Long-Term Economic Relations Under Classical, Neoclassical, and Relational Contract Law, Nw. U. L. Rev., Vol. 72, 1977, 854 (განხილავს ურთიერთობას კლასიკურ და ნეო-კლასიკურ საკონტრაქტო სამართალს შორის). ეს განსაკუთრებით მართებულია სხვა კულტურებში, სადაც თუკი თავდაპირველად არ არსებობს ურთიერთობა, არ იარსებებს არანაირი კონტრაქტი ან ბიზნეს გარიგება.

<sup>237</sup> იხ. U.C.C. § 2-103(a)(2) (1996).

<sup>238</sup> იხ. *Palmieri*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 131, 79.

<sup>239</sup> იხ. იქვე.

და მოხდეს თუ არა ამგვარი ქცევის შეფასება გონივრული, სამართლიანი ან კარგად ჩამოყალიბებული სტანდარტების გამოყენებით თუ საზოგადოებრივი სტანდარტებით, ეს კითხვა სხვა განხილვის საგანია.<sup>240</sup> შესაძლოა ყველაზე სწორხაზოვან პასუხს გვაძლევს ლორდი მანსფილდი თავისი განცხადებით: „კეთილსინდისიერი მონაწილეობა უკრძალავს მხარეებს დამალონ ინფორმაცია, რომელსაც პირადად ფლობენ, რამაც შეიძლება განაპირობოს მეორე მხარის ჩათრევა მორიგებაში და კრძალავს მხარის მიერ ამ ფაქტის იგნორირებას“.<sup>241</sup> ცნება, რომ მოლაპარაკება არ უნდა იყოს დაბინძურებული მონაწილეთა არაკეთილსინდისიერი მონაწილეობით მედიაციასაც ეხება.

## დ. ახალი განსაზღვრებები და პერსპექტივები

კეთილსინდისიერი მონაწილეობა შეიძლება მრავალ ზემოთ მოცემულს აღნიშნავდეს. მაგრამ, უფრო კონკრეტული განსაზღვრება დაეხმარება მედიაციის მონაწილეებს იმის გააზრებაში, თუ როგორ უნდა იმოქმედონ; დაეხმარება მედიატორს, თუკი ან როცა საჭიროა, გადაწყვეტილების მიღებაში; და დაეხმარება სასამართლოს აღსრულების აუცილებლობის დადგომისას. ინდივიდთა დიდი ნაწილისთვის ცნობილია ტერმინების კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება ზოგადი მნიშვნელობა. ზოგადი მნიშვნელობა მოიცავს პატიოსნებას, სიმართლეს და, ასევე, არაკეთილსინდისიერების არ არსებობას. მაგრამ ეს ელემენტები ძირითადად გამოიყენება იმ ქმედებისას, რომელიც თავს იჩენს მოლაპარაკებების ურთიერთგაცვლის ნაწილში,<sup>242</sup> მაგრამ მედიაციის პროცესი უფრო ადრე იწყება.<sup>243</sup> მომზადება და მედიაციაზე გამოცხადება ის საფეხურებია, რომლებიც ასევე უნდა გაითვალისწინოს კარგმა მედიატორმა.<sup>244</sup> ამასთან, სასამართლოებს შეუძლიათ და შესაბამისად გასცემენ განკარგულებას დასწრებასა და ინფორმაციის გაცვლაზე.

ეს მნიშვნელოვანია იმ წესის შესაქმნელად, რომელიც უშუალოდ მედიაციას ეხება. კეთილსინდისიერი მონაწილეობის ადრე განხილული კრიტიკა განპირობებულია ობიექტური სტანდარტების ნაკლებობით;<sup>245</sup> და იმით, რომ კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის დემონსტრირება დამოკიდებულია ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე.<sup>246</sup> ამდენად აუცილებელია ობიექტური სტანდარტები, რომლებიც არ ემყარება წინადადებების შინაარსს.

ქვემოთ წარმოდგენილია ის ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას კეთილსინდისიერი მონაწილეობის უზრუნველმყოფელ წესში ან საკანონმდებლო აქტში:<sup>247</sup> მედიაციის პროცესზე მომზადებული და საქმის გაცნობის შემდეგ გამოცხადება, რაც მოიცავს როგორც საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს, ისე შესაძლო გადაწყვეტის გზებს; მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება; მედიაციაზე ყველა საჭირო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის ფიზიკური და არა ტელეფონის საშუალებით დასწრება; საქმესთან/პრობლემასთან დაკავშირებულ ღია და გულწრფელ დისკუსიებში ჩართვა იმგვარად, რომ მოხდეს მხარის პოზიციის დემონსტრირება და მეორე მხარის მიერ ამ პოზიციის უკეთ გაგება და გააზრება; კონკრეტულ და პირდაპირ კითხვებზე ტყუილით არ პასუხი; სხვა მხარის შეცდომაში არ შეყვანა; სხვა მხარის მოსმენის სურვილის დემონსტრირება და იმის დემონსტრირე-

<sup>240</sup> იხ. იქვე.

<sup>241</sup> იხ. იქვე. 83.

<sup>242</sup> მოლაპარაკების სხვადასხვა ეტაპებისათვის, იხ. *Gifford D. G., Legal Negotiation: Theory and Applications, 1989, 8.*

<sup>243</sup> იხ. *Kovach*, შენიშვნა 117, 24.

<sup>244</sup> იხ. იქვე, 70-77.

<sup>245</sup> იხ. *Sherman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 2093.

<sup>246</sup> იხ. *Swerdlow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 222, 30-36.

<sup>247</sup> ამ სტატიის ბოლოს წარმოდგენილია საკანონმდებლო აქტის მაგალითის მონახაზი და წესები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მოთხოვნის დასაწესებლად.



ბა, რომ მხარე ცდილობს გაიგოს მეორე მხარის პოზიცია და ინტერესები; არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის პრობლემებზე და ინტერესებზე დისკუსიების წარმართვის მზაობა, არამედ ყველა სხვა მონაწილის პრობლემებისა და ინტერესების შესახებ განცხადებების მოსმენისთვის მზადყოფნა; საკუთარი პოზიციის დეტალური განხილვის სურვილი და იმის დასაბუთებული ახსნა, თუ რატომ არის კონკრეტული წინადადება მაქსიმალური შეთავაზება ან რატომ აცხადებს პირი უარს კონკრეტულ წინადადებაზე.

ხშირად „კარგმა“ მომლაპარაკებელმა არც კი იცის, თუ რა დგას მისი საუბრის უკან ან რა უდევს საფუძვლად მის მიერ მყარად დაჭერილ პოზიციას. ჯიუტობა – ეს, უბრალოდ, კარგად ათვისებული ტექნიკაა.<sup>248</sup> კეთილსინდისიერი მონაწილეობა გულისხმობს მედიაციაზე გახსნილი გონებითა და არა აუცილებლად პოზიციის შეცვლის პირობით გამოცხადებას; რაც ნიშნავს სულ რვილს სხვების მიმართ იყო გახსნილი. შესაძლოა ძალიან ვიწრო ზღვარი არსებობს პოზიციის შეცვლის არმოთხოვნასა და სხვათა თხოვნების გათვალისწინებას შორის, ფოკუსი აქ ინფორმაციაზე კეთდება. არ არის აუცილებელი, რომ ერთი მხარე დაეთანხმოს მეორეს, აუცილებელია ერთი მხარე, სულ ცოტა, ეცადოს გაუგოს მეორე მხარეს და მაშინვე არ უარყოს მეორე მხარის ნათქვამი მისი გათვალისწინების, გააზრების გარეშე.

ადვოკატის პეპრსპექტივიდან, შესაძლოა გამოყენებული იქნას დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, მაგალითად, კლიენტისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ პირდაპირ მეორე მხარესთან და მედიატორთან განიხილოს საკითხი. კიდევ ერთხელ უნდა ავლენონოთ, რომ პროცესის ამოცანაა მოდავე მხარეებს შორის ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის ხელშეწყობა, რაც მედიაციის პროცესისთვის აუცილებელი კომუნიკაციისა და მონაწილეობის დამახასიათებელი ნიშანია.

## ე. მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობა

### 1. ყოვლისმომცველი მოთხოვნის მნიშვნელობა

ყოვლისმომცველი გულისხმობს, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობა უნდა არსებობდეს თითოეულ და ყველა მედიაციაში, ყველა კონტექსტში. თუმცა ზოგიერთი აცხადებს, რომ მედიაცია ძალიან ბევრ სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება და, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ისეთი საკითხები, როგორცაა კვალიფიკაცია შინაარსის შესაბამისად იყოს განსაზღვრული,<sup>249</sup> მედიაციის პროცესს ასევე ახასიათებს მრავალი მსგავსი ელემენტი სხვადასხვა კონტექსტის მიუხედავად. მონაწილეთა კეთილსინდისიერი მონაწილეობა ერთ-ერთ ამგვარ ელემენტად უნდა იქცეს.

კეთილსინდისიერი მონაწილეობა ხშირად აღქმულია, როგორც მედიაციის ნაწილი, თუ მედიაცია სავალდებულო ხასიათისაა და შეთანხმებას ან საკონტრაქტო დებულებებს ეხება. ამჟამად მრავალი მედიაცია სასამართლოს მიერ არის დადგენილი, ამ შემთხვევაში მედიაციას ადვოკატები ესწრებიან. მაგრამ რადგან უფრო და უფრო ხშირია მისი გამოყენება შეთანხმებებისა და ADR-ის დებულებების შემცველი კონტრაქტების შემთხვევაში, უფრო მეტი საქმე გადავა მედიაციაში სასამართლო საქმის წამოწყებამდე.<sup>250</sup> გარკვეული მიზეზების გამო, მედიაცია ერთი და იგივე პროცესს უნდა წარმოადგენდეს;<sup>251</sup> სხვა შემთხვევაში არ გვეცოდინება რა-

<sup>248</sup> იხ. *Craver*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 77, 109-10.

<sup>249</sup> იხ. *Rogers & McEwen*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 11, § 11.02; SPIDR Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 24, 9.

<sup>250</sup> სავარაუდოდ მედიაცია უზრუნველყოფს დამატებითი დროისა და თანხების დაზოგვას. იხ. მაგ., *Ready J. A.*, National Pre-Suit Mediation Program, ABA Sect. on Litig. & Conflict Management, 1997, 7 (განიხილავს ბუნებრივ პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს სადაზღვევო სარჩელების სასამართლოს წინა გადაწყვეტებს).

<sup>251</sup> იხ. *Kovach & Love*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 44, 31-32; ასევე, იხ. *Love L. P.*, The Top Ten Reasons That Mediators Should Not Evaluate, Fla. St. U. L. Rev., Vol. 24, 1997, 937 (მიუთითებს, რომ როდესაც

ზე ვსაუბრობთ, როდესაც ვიყენებთ სიტყვას მედიაცია, და მედიატორებს არ ეცოდინებათ, რას აკეთებენ.<sup>252</sup> ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა პროცესის ნაწილის სახით იყოს განხორციელებული მიუხედავად იმისა, მხარეები მედიაციას სასამართლოს დადგენილებით, კონტრაქტის პირობის შესაბამისად თუ თავიანთი გადაწყვეტილებით იწყებენ. სხვა შემთხვევაში, შედეგად მივიღებთ ორმაგ სტანდარტებს, სადაც მედიაცია ერთი ტიპის იქნება ერთ შემთხვევაში და აბსოლუტურად განსხვავებული პროცესი სხვა შემთხვევაში. და თვით იმ პირობისათვის, რომელთაც მედიაციასთან დაკავშირებით პლურალისტული შეხედულება გააჩნიათ,<sup>253</sup> პროცესის სარგებლიანობისათვის, თვითშეფასების ფორმის გამოყენებისას,<sup>254</sup> მაინც უნდა არსებობდეს კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარკვეული ელემენტები; სულ მცირე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ მონაწილეობას. მედიაციის მიზნების განხორციელებაში წარმატების მისაღწევად, მონაწილეები „პროცესში კეთილსინდისიერად და გონივრული სახით უნდა ჩაერთონ“.<sup>255</sup>

იმის განცხადების მიუხედავად, რომ ყველა მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობა ძალზედ მნიშვნელოვანია, უფრო სავარაუდოა, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა, პირველ რიგში, სასამართლოს მიერ დადგენილ მედიაციებში ამოქმედდება. ამ შემთხვევაში, მხარეებსა და პროცესზე უფრო მეტი კონტროლი არსებობს. ამ ელემენტის შემოტანის შემდეგ, კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა ყველა მონაწილეზე უნდა ვრცელდებოდეს, და არა მხოლოდ ადვოკატებზე. რეალობიდან გამომდინარე, უნდა ვალია-როთ, რომ ადვოკატის ქცევის შეცვლის ალბათობა უფრო მაღალია მონაწილეთა ქცევის შეცვლის ალბათობასთან შედარებით.

## 2. პროცედურული საკითხები

დღევანდელი პრაქტიკით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა, ზოგადად, მიღებულია, რომ მედიატორი თავის მისასაღწევად, შესავალ სიტყვაში<sup>256</sup> არკვევს მონაწილეთა პასუხისმგებლობით მიდგომას კეთილსინდისიერი მონაწილეობის მიმართ. მედიატორები, ზოგადად, ასეთი თხოვნით მიმართავენ ყველა მონაწილეს, დავის მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ან მოლაპარაკებებში მონაწილე აგენტების ჩათვლით, რომლებიც, ჩვეულებრივ, იურისტები არიან.<sup>257</sup> ზოგადად, მიღებულია მედიაციის განხორციელებაზე ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც შეიცავს დებულებას კეთილსინდისიერი მონაწილეობაზე.

---

იურისტები განუმარტავენ კლიენტებს მედიაციის უპირატესობებს, და როდესაც სასამართლოები ქმნიან მედიაციის პროგრამებს, მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ თუ რას იღებენ ამ პროცესიდან). ზოგადი ინფორმაციისთვის, იხ. *Burr*, Building Reform From the Bottom Up: Formulating Local Rules for Bankruptcy Court-Annexed Mediation, Ohio St. J. on Disp. Resol., Vol. 12, 1997, 311, 348 (მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკროტობის სასამართლოს მიერ დადგენილი მედიაციის წესები ხელს შეუწყობდა ერთგვაროვნებას); *McEwen C. A. et al.*, Bring in the Lawyers: Challenging the Dominant Approaches to Ensuring Fairness in Divorce Mediation, Minn. L. Rev., Vol. 79, 1995, 1317, 1362 (განიხილავს, როგორ განსხვავდება პროგრამები ფართოდ და მნიშვნელოვნად, რაც პრობლემებს უქმნის რეგულაციის მომხრეებს, რომლებიც ერთგვაროვნებას ხედავენ მედიაციაში)

<sup>252</sup> იხ. *Love*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 251.

<sup>253</sup> იხ., მაგ., *Lande*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 7, 855.

<sup>254</sup> ზოგადი ინფორმაციისთვის იხ. *Riskin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო, 43.

<sup>255</sup> იხ. *Hutchinson C. C.*, The Case for Mandatory Mediation, 42 Loy. L. Rev., Vol. 42, 1996, 85, 93 .

<sup>256</sup> იხ. *Kovach*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 117, 82-85 (განიხილავს მედიატორის შესავალი სიტყვის შინაარსს); ასევე, იხ. *Galton*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 30, § 4.1 26-27 (განიხილავს მედიატორების შესავალ სიტყვებს); *Robbins D. E.*, Securities Mediation: An Expeditious Alternative to Arbitration, Practising Law Institute, Securities Arbitration, 1996, § 16.02 (გვანვდის მედიატორის შესავალი სიტყვის მაგალითს).

<sup>257</sup> ზოგადი ინფორმაციისთვის იხ. *Rubin J. Z., Sander F. E. A.*, When Should We Use Agents? Direct vs. Representative Negotiation, Negotiation J., Vol. 4, 1988, 395 („განიხილავს რამდენიმე ძირითად განსხვავებას პირდაპირ და წარმომადგენლობით მოლაპარაკებებს შორის“).

პროცედურულად მედიატორს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ადასრულოს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა, თუ საქმე არ ეხება დაუსრულებელ სასამართლო პროცესს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თითოეული მედიატორის გადასაწყვეტია, თუ როგორ მოახდენს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის შესრულებას. მედიატორმა, სულ მცირე, უნდა შეწყვიტოს მედიაციის სხდომა, თუ იგი დაადგენს, რომ პროცესი ზიანის მომტანია. სხვა, დაუსრულებელი სასამართლო პროცესის შემთხვევებში, სასამართლო დაადგენს შესაბამის ზომებს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, არის თუ არა კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა დაცული, მედიატორმა უბრალოდ კონკრეტული ინფორმაცია უნდა მიანდოს სასამართლოს. მედიატორმა შეიძლება სასამართლოს გადაუზავნოს ინფორმაციის საკონტროლო ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ობიექტურ კრიტერიუმებს.<sup>258</sup>

ამოქმედების შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მონაწილეობის წესი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სასამართლო ან იურიდიული წესი, აღსრულებას უნდა ექვემდებარებოდეს. კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში დაწესებული სანქციები დამოკიდებული იქნება იმაზე, არიან თუ არა მხარეები სასამართლო პროცესის მონაწილეები, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო ისურვებს პროცესში ჩართვას. თუ ზემოთ ხსენებული დადასტურდა, სავარაუდოდ, ჩვეულებრივ გამოყენებული იურიდიული სანქციები იქნება დაწესებული.<sup>259</sup> არაკეთილსინდისიერი მონაწილეობის საპასუხოდ მედიატორის ქცევის მაგალითები მოიცავს შემდეგს: მედიაციის შეწყვეტა, ხარჯების გადანაწილება, მედიაციის თავიდან დაწყება ან სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. თუმცა არცერთი მედიატორი არ იქნება სანქციების დაწესების ან ამოქმედების მსურველი, თუ საქმე სასამართლოს მიერ არ არის გადაცემული მედიაციაზე, მხარეები სწორედ მედიატორზე იქნებიან დამოკიდებულნი. სხვა ვარიანტს წარმოადგენს ავტომატური სანქციების ამოქმედება, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს მედიაციის ხელშეკრულებაში ლიკვიდირებული ზარალის დებულებაში.

### 3. ახალი ეთიკა: შემოთავაზება

მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა კანონმდებლობით, სასამართლო განკარგულებით, ადვოკატთა ქცევის კოდექსით ან მედიაციაში პრაქტიკის წესებით შეიძლება განისაზღვროს.<sup>260</sup> მნიშვნელოვანია, რომ კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მონაწილეებს მედიაციის დაწყებამდე მიეწოდოს. ამიტომ ქცევა, რომელიც ითვალისწინებს კეთილსინდისიერ მონაწილეობას უნდა წარმოადგენდეს მედიაციის პროცესის აღწერისა და განსაზღვრების განუყოფელ ნაწილს. საზოგადოების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ეთიკური დამორალური საკითხების გადახედვის კონტექსტში,<sup>261</sup> პრობლემის კოლაბორატიული ტიპის გადაწყვეტა ამ მიზნებს შეესაბამება.

ადვოკატის შემთხვევაში, ავტონომიური და თვითრეგულირებადი პროფესიონალების უმრავლესობის მსგავსად, ქცევას ეთიკის წესები განსაზღვრავს.<sup>262</sup> ეთიკის წესები ამოქმედდა

<sup>258</sup> კონფიდენციალობის მიზნებისათვის, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 169-80 და თანხმლები ტექსტი.

<sup>259</sup> იხ. *National Hockey League v. Metropolitan Hockey Club, Inc.*, 427 U.S. 639, 643 (1976) (მიუთითებს, რომ სანქციები ასევე ასრულებს შეფერხების ფუნქციას).

<sup>260</sup> არსებობს ტენდენცია იმისა, რომ სრული შტატის მასშტაბით ინტერდისციპლინურმა სააგენტოებმა ზედამხედველობა გაუწიონ ADR-ის ან მედიაციის პრაქტიკას, როგორც ამას ახორციელებს ოჰაიოს დავების გადაწყვეტისა და კონფლიქტების მართვის კომისია და ახლახანს შექმნილი ჩრდილოეთ კაროლინის დავების გადაწყვეტის კომისია. თუმცა აქამდე ამ ჯგუფებს საგანმანათლებლო ამოცანები გააჩნდათ, რეგულაციაში ჩართვის შემდეგ, მედიაციის ზედამხედველობა გასათვალისწინებელი შესაძლებლობაა.

<sup>261</sup> ზოგადი ინფორმაციისთვის იხ. *Merida K., Vobejda B., Promoting Return to 'Civil Society'; Diverse Group of Crusaders Looks for New Solutions to Social Problems*, Wash. Post, Dec. 15, 1996, at A01 (განიხილავს ზოგად ტენდენციებს სოციალური პრობლემების ცივილური გადაჭრის მიმართულებით).

<sup>262</sup> იხ. *Dzienkowski J. S., Professional Responsibility Standards, Rules and Statutes*, 1995, 961; ასევე, იხ. *Schein E. H., Professional Education: Some New Direction*, 1972, 8-9.

პრაქტიკაში მომუშავე ვეკილებისათვის და მან დროთა განმავლობაში განვითარება განიცადა.<sup>263</sup> მოდელის კოდექსი<sup>264</sup> გაკრიტიკებული იქნა, როგორც დოკუმენტი, რომელიც ზედმეტ აქცენტს აკეთებდა სასამართლო საქმის წარმოებაზე და 1983 წელსამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ აამოქმედა პროფესიული ქცევის მოდელის წესები,<sup>265</sup> სადაც ყურადღება საზოგადოებაში ადვოკატის როლზე მახვილდება,<sup>266</sup> მაგრამ სადავო არ არის, რომ წესები და ქცევის კოდექსები დადგენილია იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც მუშაობენ მოგებულ-ნაგებულის დიქტომიის კონტექსტში. ის, რომ პირი ადვოკატის როლშია, არ ნიშნავს, რომ იგი ვერ იმოქმედებს კეთილსინდისიერად,<sup>267</sup> თუმცა ზოგიერთებს განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ.<sup>268</sup> პირის ქცევა ადვოკატის როლში განსაზღვრავს მის მიერ ნებისმიერი სტანდარტის დაცვას.<sup>269</sup> მაგრამ, სავარაუდოდ, მხოლოდ ეთიკის წესები ვერ მოახდენენ გავლენას ქცევის ცვლილებაზე შეჯიბრებით სისტემაში.<sup>270</sup> შესაძლოა მედიაციაში, როგორც დავის გადაწყვეტის ქეშმარიტად განსხვავებულ პარადიგმაში, ქცევის მიმართულების შეცვლამ ხელი შეუწყოს ადვოკატის როლის ხელახალ განსაზღვრას.<sup>271</sup>

#### 4. ძირული ელემენტი: განათლება

მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მისაღწევად განათლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც მედიაციის მონაწილეები, მოდავე მხარეები ან მათი წარმომადგენლები არ იცნობენ პროცესს – მის თეორიას, ამოცანებსა და მიზნებს – მათი მოლოდინები ან არ არსებობს საუკეთესო შემთხვევაში ან მოლოდინები ურთიერთსაინანაღმდეგო ან არარეალისტურია. მედიატორმა საწყის ეტაპზე ძალისხმევის დიდი ნაწილი უნდა მიმართოს განათლებაზე. ამას ხშირად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მონაწილეებისთვის პროცედურა ახალია. ზოგიერთ შემთხვევაში პროცესი უფრო რთულია, რადგან მონაწილეები მედიაციაზე ცხადდებიან არაპრაქტიკული მოლოდინებით მედიტორის როლის ან შესაძლო შედეგების მიმართ. პირის მოლაპარაკებისა და მედიაციისკენ წარმართვა მედიაციის როგორც ხელშეწყობილი მოლაპარაკების განსაზღვრების გამოყენებით, სასამართლოების პრაქტიკის მსგავსად და სხვა დამატებითი შეთავაზების გარეშე ხშირად არაეფექტურია.

ქცევის შეცვლის პირველი საფეხური განათლებაა. ინდივიდების მიერ ახალი ქცევების გაცნობის, შესწავლის გარეშე ძველი პარადიგმები უცვლელი დარჩება. აღიარებულია ის ფაქტი, რომ დავების გადაწყვეტის სისტემებში შეჯიბრებითობის მიდგომის გამოყენების შეწყვეტა, ცვლილება იურიდიული განათლებით უნდა დაიწყოს<sup>272</sup> და ძალისხმევა უნდა გასცდეს სამართლის სკოლებს. ანალოგიურად, ADR-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაიწყეს განათლების სხვა სფეროებშიც, როგორცაა სკოლები და საჯარო ინსტიტუტები. მონაწილეები სრულად უნდა იცნობდნენ მედიაციის პროცესს, მაგრამ საზოგადოებას ვერ ექნება ამ ტიპის ცოდნა სატელევიზიო პროგრამებში ან სხვა მედია საშუალებებში საკითხის გაშუქების გარეშე. იმ მომენტამდე, სანამ მინეაპოლისის მედიაცია (“Minneapolis Mediation”) კონკურენციას უწევს

<sup>263</sup> ზოგადი ინფორმაციისთვის იხ. *Moliterno J. E., Levy J. M., Ethics of the Lawyer's Work*, 1993, 52-61 (ითვალისწინებს იურიდიული ეთიკის წესების განვითარებას).

<sup>264</sup> *Model Code of Professional Responsibility*, 1969 (გვანჯდის ადვოკატების ეთიკური ქცევის ჩარჩომონახავს, რომელიც მიღებული უნდა იქნას აშშ-ის იურისდიქციაში).

<sup>265</sup> იხ. *Dzienkowski*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 261, 3.

<sup>266</sup> იხ. *Moliterno & Levy*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 262, 60.

<sup>267</sup> იხ. *Menkel-Meadow C.*, *Is Altruism Possible In Lawyering*, *Ga. St. U. L. Rev.*, Vol. 8, 1992, 385, 386-88 (განიხილავს ადვოკატის სხვადასხვა როლებს, ზრუნვის ჩათვლით).

<sup>268</sup> იხ. *Condlin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 182, 78-80; *Hyman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 182, 863-64.

<sup>269</sup> იხ. *Hyman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 182, 864.

<sup>270</sup> იხ. *Menkel-Meadow*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 38, 40.

<sup>271</sup> იხ. იქვე, 10-12.

<sup>272</sup> იხ. *Dzienkowski*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 135, 58-59 (განიხილავს იურიდიული განათლების როლს შეჯიბრებითობის უკუგდების პროცესში).

“L.A. Law“-ს წარსულ ეპიზოდებს, საგანმანათლებლო ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს. ზოგადი საგანმანათლებლო ძალისხმევა უნდა გაიზარდოს, ამასთან თითოეული კონკრეტული მედიაციის წინ უნდა მოხდეს მხარეების კონკრეტული განათლება მედიაციის საკითხებში.

## IX. დასკვნა

ფუნოდებთ ამას კეთილსინდისიერ მონაწილეობას, „გააზრებულ/აზრიან მონაწილეობას“, თუ რაიმე სხვა ტერმინს, მედიაციის პროცესში უნდა განისაზღვროს კონკრეტული ტიპის ქცევის მოთხოვნა. ამ ტიპის ვალდებულება უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს დაუყოვნებლივ სასამართლოს წესების, კანონმდებლობის ან ეთიკის ნორმების საშუალებით.

ნაკლები ძალისხმევაა საჭირო ადვოკატთა საზოგადოების დასარეგულირებლად და რადგან ადვოკატთა ქცევა ზეგავლენას ახდენს მედიაციაზე, ცვლილების პროცესი სწორედ ამ სფეროში უნდა დაიწყოს. ადვოკატებმა უკვე მოახდინეს წესებით ან სტანდარტებით მართვის აუცილებლობისა და ჩვევების არსებობის დემონსტრირება. მაგრამ მოქმედი წესები არ შეესაბამება დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ზოგიერთ ფორმას და განსაკუთრებით მედიაციას.<sup>273</sup> თუ უნდა შევინარჩუნოთ მედიაცია როგორც მნიშვნელოვანი, უნიკალური პროცესი თავისი მახასიათებლებით, რომლებიც განაპირობებენ მხარეთა დაკმაყოფილებას, მაშინ უნდა შეიცვალოს პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ადვოკატთა ქცევას მედიაციის პროცესში. კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნა ერთ-ერთი წინადადება და ნაბიჯია სწორი მიმართულებით. გასავლელი გზა არ იქნება მარტივი, მაგრამ გზას, რომელსაც დასაწყისში ცოტა თუ გამოიყენებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეუძლია მოიტანოს.<sup>274</sup>

ქვემოთ წარმოდგენილია უბრალო წინადადებები (შემოთავაზებები), რომელთა განხილვა და მათ შესახებ დებატები ჯერ არ განხორციელებულა. ისინი წარმოდგენილია დისკუსიის პროცესის ინიცირების მიზნით.

მოდელური წესი ადვოკატებისთვის, რომელიც მოითხოვს კეთილსინდისიერ მონაწილეობას მედიაციის პროცესში:

წესი 1.7. კეთილსინდისიერი მონაწილეობა მედიაციაში

ადვოკატმა, რომელიც კლიენტის წარმომადგენელია, კეთილსინდისიერი მონაწილეობა უნდა მიიღოს მედიაციაში.

(ა) მედიაციის წინ, ადვოკატი უნდა მოემზადოს, თავად გაეცნოს საკითხს და განიხილოს საკითხი კლიენტთან.

(ბ) მედიაციის პროცესში, ადვოკატმა უნდა დაიცვას სასამართლოს ან საკანონმდებლო აქტის ყველა წესი, რომელიც არეგულირებს მედიაციის პროცესს, ამასთან ადვოკატმა უნდა ურჩიოს თავის კლიენტს მოიქცეს ანალოგიურად.

(ც) მედიაციის პროცესში, ადვოკატმა მედიატორს ან სხვა მონაწილეს არ უნდა გაუზიაროს ინფორმაცია, რომელიც განზრახ არასწორი მიმართულების მიმცემი ან მცდარია.

კეთილსინდისიერი მონაწილეობის საკანონმდებლო საფუძვლები

მედიაციის კოდექსი 001. ყველა მხარემ და მათმა იურისტმა მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა უნდა მიიღოს.

„კეთილსინდისიერი მონაწილეობა“ მოიცავს შემდეგს:

a. [საკანონმდებლო აქტის ან სხვა წესის დასახელება, რომელიც მედიაციის შექმნის საფუძველია; მაგალითად, ტეხასის Civil Practice and Remedies Code § 154.001]-ის პირობებისა და დებულებების დაცვა;

b. მედიაციის საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოცემული კონკრეტული განკარგულების შესრულება;

c. სასამართლოს ყველა განკარგულების პირობებისა და დებულებებისა და სასამართლოს ნებისმიერი ადგილობრივი წესების დაცვა;

<sup>273</sup> იხ. იქვე, 57-58.

<sup>274</sup> ბოდიშს ვუხდის Robert Frost-ს.

d. ყველა მხარიდან იმ პირების პერსონალური დასწრება მედიაციის სხდომაზე, ვისაც გააჩნია დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება; ამასთან ეს არ გულისხმობს ტელეფონით დასწრებას;

e. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მედიაციისთვის მომზადება, რაც გულისხმობს ნებისმიერი დოკუმენტის ურთიერთგაცვლას მოთხოვნის შემთხვევაში ან თუკი ეს განსაზღვრულია წესში, განკარგულებაში, ან მედიატორის თხოვნაში;

f. მედიაციის პროცესში მედიატორთან და ყველა სხვა მონაწილესთან აზრიან დისკუსიებში მონაწილეობა;

g. მედიაციასთან დაკავშირებული ყველა საკონტრაქტო პირობის დაცვა, რაზეც მხარეები შესაძლოა მედიაციის დაწყებამდე შეთანხმდნენ;

h. პროცესის შესავალ ნაწილში მედიატორის მიერ განსაზღვრული წესების დაცვა;

i. მედიაციაზე დარჩენა იმ დრომდე, სანამ მედიატორი განსაზღვრავს, რომ პროცესი დასრულდა და უფლებას მისცემს მხარეებს დატოვონ პროცესი;

j. მხარეებს შორის დავის საკითხთან დაკავშირებით, მედიატორის მიერ ხელშეწყობილ პირდაპირ კომუნიკაციებსა და დისკუსიებში ჩართვა;

k. მედიაციის პროცესში სხვა მხარის ან მედიატორის მიმართ არასწორი განცხადებების არგაკეთება; და

l. დაუსრულებელი სასამართლო პროცესის შემთხვევაში, მედიაციის დასრულებამდე დამატებითი ქმედებების განხორციელებისგან თავის შეკავება;

002. „კეთილსინდისიერი მონაწილეობა“ არ მოითხოვს მხარეების მიერ დავის გადაწყვეტას. მედიაციის პროცესში გაკეთებული ფულადი ან სხვა ტიპის შეთავაზებები არ განსაზღვრავს კეთილსინდისიერი მონაწილეობის არსებობას ან მის არარსებობას.

003. კეთილსინდისიერი მონაწილეობის დადგენა:

a. სასამართლოს დადგენილებით გადაცემულ საქმეებში, სასამართლომ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, ადგილი ჰქონდა თუ არა კეთილსინდისიერ მონაწილეობას მედიაციაში.

b. სასამართლო პროცესის არარსებობის შემთხვევაში, მედიატორის ვალდებულებაა, დაადგინოს კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი; მან უნდა გამოიყენოს ამ საკანონმდებლო აქტის ელემენტები და მხარეებს შორის დადებული კონტრაქტების კონტექსტი, როგორც განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

004. კეთილსინდისიერი მონაწილეობის გარეშე მედიაციის შედეგები:

თუ დადგენილია, რომ მხარე ან მხარის წარმომადგენელი არ იცავს მედიაციაში კეთილსინდისიერი მონაწილეობის მოთხოვნას, სასამართლოს ან მედიატორის გადაწყვეტილებით, შემდეგი ზომები შეიძლება იქნას განხორციელებული:

a. ინდივიდმა უნდა გადაიხადოს ყველა სახდელი, ხარჯი და სხვა მონაწილეების მიერ გაწეული გონივრული დანახარჯები.

b. ინდივიდი დაფარავს შემდეგი მედიაციის ხარჯს.

c. ინდივიდს დაეკისრება 5000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა.

d. ინდივიდი, თავისი ხარჯით, დაესწრება მედიაციის საკითხებზე გამართულ სემინარს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამას, ხანგრძლივობით – მინიმუმ რვა (8) საათი.

## **ADR (Mediation) in Japan and in the United States**

### **1. Introduction**

The Japanese society has been characterized by dispute avoidance and amicable settlement of disputes, while the United States has been recognized as a country of confrontation and litigation. It is easy to understand this difference on the basis of their different historical and cultural backgrounds. Japan as an isolated island country kept its independence for centuries on the cultural basis built on Buddhism and Confucianism brought from China and Korea in the 10<sup>th</sup> century. Japan's isolation lasted until the mid 19<sup>th</sup> century, when Japan officially joined the world community and started its modernization. Such homogeneity and isolation of the Japanese society fostered a unique dispute resolution culture in which conciliation is a rule and litigation is an exception.

The history of the United States is relatively short, and its people are highly diverse in terms of their ethnic origin and cultural background. Such a society tends to give rise to a lot of disputes and lawsuits which requires many lawyers. Litigation looks like an inevitable means of social control. It was believed inside and outside of the United States that litigation was the standard and conciliation was the exception. It was in the United States, however, that the so-called ADR movement was started in the 1970s and within a couple of decades the ADR practice of varied forms became the standard throughout the country. Its influence is now felt in other parts of the world, in Europe and also in Japan.

Thus, a comparison between the two countries will present us an interesting perspective. In the following article a brief survey of the history and the present situation in Japan will be presented. After having briefly reviewed the development in the United States, some comparative observation will be made.

### **2. Japanese Tradition**


როგორც თხრობის დასაწყისში რამდენიმეჯერ აღინიშნა, იაპონური მედიაციისათვის დადგენილი წესი ე.წ. “Choeti”-ს, ფაქტობრივად, მონოპოლიზირებული იყო სასამართლო სისტემების, როგორებიცაა: შემაჯამებელი სასამართლო (საერთო სამოქალაქო დავებისათვის) და საოჯახო სასამართლო (ყველა სახის ოჯახური დავებისათვის) მიერ. გასული საუკუნის მიწურულს, იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა სამოქალაქო სასამართლო სისტემის ფართო რეფორმა მომავალი 21-ე საუკუნისათვის. 2001 წელს, სასამართლო სისტემის რეფორმის საბოლოო ვარიანტი პრემიერ მინისტრს წარედგინა. აღნიშნულ დოკუმენტში ერთ-ერთი რეკომენდაცია კერძო სექტორში მედიაციის სამსახურის შექმნას ეხებოდა, რაც “Choeti”-ზე ერთგვარი დანამატი იქნებოდა. რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2004 წელს ე.წ. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) შესახებ კანონი ძალაში შევიდა და მასზე დაყრდნობით კერძო სექტორში 100-მდე მედიაციის სამსახური ჩამოყალიბდა.<sup>8</sup>

კერძო სექტორში მედიაციის სამსახურის შექმნას ოპტიმისტურად აფასებდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრეცედენტის შექმნამ ჯერჯერობით დიდი პოპულარობა ვერ მოიხვეჭა. ამ სამსახურებში წარმოდგენილი ქეისები, სასამართლოში განსახილველ დავებთან შედარებით, უმნიშვნელოა.<sup>9</sup> საქმე იმაშია, რომ ახლად შექმნილი მედიაციის სამსახურები ე.წ. “Choeti”-ს კონკურენციას მაინც ვერ უწევს. ასევე, მათ შორის არის დიდი სხვაობაც. “Choeti”-ში მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოს შემდეგ ინსტანციაში მაშინ, როდესაც მედიაციის სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იგივე ძალა არ აქვს მინიჭებული. თუკი მხარეებს სურთ საქმეს გასაჩივრების საშუალება მიეცეს, მაშინ იგი “Choeti”-ში უნდა შეიტანონ.<sup>10</sup> საინტერესოა, რამდენად მჭიდრო კავშირი იყო სასამართლო სისტემის რეფორმის შემუშავებელ საბჭოსა და მედიაციის კანონპროექტის შემდგენლებს შორის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სათანადოდ სერიოზულად განხილვის საგანი არ იყო. იაპონიაში ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილები, რომ თუკი ქვეყანაში კერძო სექტორისათვის მედიაციის სამსახური ჩამოყალიბდებოდა, იგი ისევე კარგად იმუშავებდა, როგორც ამერიკაში. ამერიკაში ამ სფეროში მოვლენები ამ მიმართულებით თავისთავად განვითარდა და “Choeti”-თან კავშირი ამ ყველაფერს ნაკლებად ჰქონდა. ხოლო იაპონიის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო, რადგან “Choeti”-ი იქ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქედან გამომ-

<sup>8</sup> ADR-ის ძირითადი კანონის მიხედვით, დავების მოგვარების კერძო დაწესებულებების შექმნა, გარდა იუსტიციის სამინისტროს დასტურისა, საჭიროებს მთლიანი სასამართლო შემადგენლობის პროცესში ჩართვას. ადრე არსებულმა ზოგიერთმა დაწესებულებამ, როგორიცაა იაპონიის სავაჭრო საარბიტრაჟო ასოციაცია, მთავრობის დასტურის საფუძველზე შეძლო მედიაციის სამსახურის შექმნა, რომელიც კომერციული დავების მოგვარებისაკენ იყო მიმართული.

<sup>9</sup> გამონაკლისის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა ამ სამსახურის მიერ წარმატებული იყო.

<sup>10</sup> Code of Civil Procedure makes it possible for the parties who successfully settled privately a dispute to resort to the court for having their agreement dressed up in the official court record (CCP art. 275). Such court record has the same effect as a judgment and is enforceable through the execution proceedings (Civil Execution Law art. 22vii).

დინარე, ფიქრი იმაზე, რომ საქმეების რაოდენობის მიხედვით ახლად ჩამოყალიბებული კერძო სექტორის მედიაციის სამსახურები, "Choeti"-ის პოპულარობას კონკურენციას გაუწევდა დაგვიანებული იყო. ჩემი დაკვირვებით, აღნიშნული ინიციატივის მარცხი თავად მის ჩანაფიქრში მდგომარეობდა. ამჟამად მედიაციის კანონი გადახედვის პროცესშია. თუმცა, სამწუხაროდ, მედიაციის კანონსა და "Choeti"-ის შორის კავშირი სერიოზულად გამოკვლეული არ არის.

#### 4. შედარებითი დაკვირვებები

ამერიკაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) დასამკვიდრებლად მოძრაობა ე.წ. „დავების აფეთქების“ საპასუხოდ დაიწყო, იმ პერიოდში, როდესაც დავების ალტერნატივად მხოლოდ არბიტრაჟი ითვლებოდა. მანამ სანამ, არბიტრაჟი მორიგ სადავო მეთოდად ჩამოყალიბდებოდა, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ADR) მედიაციისა და მომრიგებლობის სინონიმად იქცა. იაპონიაში, ისტორიულად, მედიაცია და მომრიგებლობა იყო სტანდარტი, ხოლო დავა – გამონაკლისი. მას შემდეგ რაც მე-19 საუკუნეში, ევროპული მოდელის მიხედვით, იაპონიაში სასამართლო სისტემა (დავის) ჩამოყალიბდა, ე.წ. „დავის აფეთქებას“ ადგილი არ ჰქონია. "Choeti"-ის სისტემის, როგორც სასამართლო ხელისუფლების ნაწილის, შექმნის შემდეგ დიდი რაოდენობის დავების განხილვა სწორედ ამ სისტემის მიხედვით ხდებოდა. მაშინაც კი, როდესაც დავა შედიოდა სამართლოში განსახილველად, მოსამართლეები მის მოგვარებაში პირადად აქტიურად იყვნენ ჩართულები. როდესაც განაჩენის გამოტანამდე მიდიოდა საქმე, მოსამართლეები მის გადასაწყვეტად საუკეთესო ვარიანტის ძიებით იყვნენ დაკავებულნი (რასაკვირველია, კანონის ჩარჩოების შესაბამისად).

იაპონიაში, მედიაციისა და მომრიგებლობის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება იმით იყო განპირობებული, რომ ქვეყანაში ღრმად სწამდათ, დავის მოგვარებისათვის საუკეთესო გამოსავალი თავად მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა იყო, მესამე მხარის ჩარევის გარეშე. შოციალური რეალობა კანონმდებლის წარმოსახვის მიღმა იყო. მაშასადამე, საუკეთესო გამოსავლის მოძიება სწორედ სხვადასხვა საქმეების მაგალითზე დაყრდნობით ხდებოდა შესაძლებელი. თითოეული საქმისადმი ინდივიდუალური მიდგომა გაცილებით ამართლებდა, ვიდრე სტერეოტიპული. არსებითად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) ხიბლი, დისპუტებისადმი ინდივიდუალურ მიდგომაში მდგომარეობს, როდესაც დავის მოგვარება მხარეებს შორის გაცილებით მარტივია, ფორმალურ მომრიგებლობასთან შედარებით.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) პოპულარობამ ამერიკაში დამაფიქრა თუ რამდენად ფასეული იყო ამ მეთოდის ასპექტები. ამის შესახებ გამოვიკითხე ამ სფეროს ამერიკელი ექსპერტები, მათ შორის, ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორი – ფრანკ სანდერი, რომელიც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ამერიკაში. მათი პასუხები თითქმის ერთფეროვანი იყო: მათთვის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ADR) ფასეული იყო იმდენად, რამდენადაც ამ მეთოდის გამოყენებით დროისა და თანხის დაზოგვა უნდა მომხდარიყო. ამ მეთოდის უპირატესობას სხვაში ვერაფერში ხედავდნენ, გარდა დრო და ფულისა. როგორც ჩანს, ამერიკელებისათვის დროისა და ფულის დაზოგვის ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ისინი მეთოდის სხვა პრივილეგიებით არც კი ინტერესდებოდნენ. მართალია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ADR) დავის სასამართლო პროცესის ალტერნატივა იყო. ასე რომ, მედიაცია და მომრიგებლობა გახდა დავის სასამართლო პროცესის ალტერნატიული მეთოდი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ADR) ფასეულია მხოლოდ დროის ფაქტორისა და დაბალი დანახარჯების გამო (სასამართლო პროცესთან შედარებით).

საკითხისადმი იაპონური მიდგომა კი სრულიად განსხვავებულია. ტრადიციულად, მედიაცია და მომრიგებლობა იაპონიისათვის სტანდარტად ითვლებოდა. თანამედროვე დავების სისტემა ქვეყანაში მე-19 საუკუნიდან შემოვიდა. ხალხი დავების მოსაგვარებლად სასამართლოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა, მაშინ თუ მედიაცია უძლური იყო. იაპონიის

მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო მედიაციის და მომრიგებლობის ალტერნატივა იყო. ინტერესს ინვესტს ის ფაქტიც, რომ რამდენიმე სტატია გავრცელდა იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ ღირებულია მედიაციის მეთოდის არსებობა (ADR). მეთოდის გავრცელებამ შეერთებულ შტატებში ე.წ. „მიუკერძოებლობის“ აღდგენის ელფერი მიიღო. როდესაც მეფის სასამართლოს მიერ ე.წ. „*stare decisis*“-ს პრინციპებზე დაყრდნობით „საჯარო კანონმდებლობა“ გავრცელდა, ის საკმაოდ ცვალებადი საზოგადოებისაგან წამოჭრილი საჩივრების განხილვას ვერ უმკლავდებოდა, სწორედ ამ დროს საქმეში სამართლიანობის სასამართლოს კანცლერი ჩაება და კანონების ახალი ნაკრები სახელწოდებით „მოუკერძოებლობის სამართალი“ შექმნა. აღნიშნული კანონი ინგლისსა და მის კოლონიებშიც გავრცელდა, მათ შორის, შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში, მე-19 საუკუნიდან დღემდე კანონმა სახეცვლილება განიცადა მისი გავლენა მაინც იგრძნობა ყოველდღიურობაში.<sup>11</sup>

ზოგიერთი ამერიკელი თეორიტიკოსი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდში (ADR) სწორედ „სამართლიანობის სამართლის“ ჩანასახებს ხედავს. 2004 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ერთ-ერთი ავტორი წერს:<sup>12</sup>

„მოუკერძოებლობის მსგავსად, მედიაცია გაგებულ იქნა, როგორც სამართლიანობა კანონის გარეშე. მედიაცია სამართლის ინდივიდუალიზაციის საშუალებას იძლევა, რომელიც შესაძლოა მკაცრ შეუსაბამობაში მოვიდეს კანონიერებასთან. როგორც მიუკერძოებლობის კანონმა, სასამართლო პროცესში შემწყნარებლობისა და ფასეულობების შერწყმით, მთლიანად საჯარო კანონმდებლობის სიმკაცრე შეასუსტა, ისე მედიაცია სასამართლო გადაწყვეტილების ალტერნატიულ, მომრიგებლურ გზებს გვთავაზობს. ის დავების მოგვარების პროცესს მთლიანად მხარეთა შეთანხმებასა და საკუთარ ფასეულობათა შეფასებაზე აგებს.“

2005 წელს, სხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ:<sup>13</sup>

„როდესაც ოფიციალური სასამართლო განაჩენი აუტანელი ხდებოდა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) შემოღებამ დავების გადაწყვეტის უფრო მოქნილი მექანიზმი შესთავაზა საზოგადოებას. დავებიდან გამოსავლის ძიება კი ამ მეთოდით გაცილებით დაბალ-ბიუჯეტისანიც იყო და უფრო შემწყნარებლურიც.“

ოფიციალური სამართლებრივი სისტემისა და თანამედროვე არაოფიციალური სისტემის შედარება იგივე პრინციპით ხდებოდა იაპონიაშიც. თუცა ფუნდამენტური განსხვავება მაინც არსებობს: იაპონიაში დავების გადაწყვეტის საფუძველი, ტრადიციულად, „ძალდაუტანებლობაში“ მდგომარეობს. შეერთებულ შტატებში კი ამგვარი საფუძველი მაინც კანონის უზენაესობაა. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდის ამოსავალი წერტილი მიუკერძოებლობაა. იაპონიაში ამ მეთოდის საფუძველი მაინც ქაოტური იყო და ოფიციალური სარჩელების დიდი ნაწილი თანდათანობით მაინც ტრადიციული მეთოდებით წყდებოდა. ამჟამინდელი მოდელი თითქოს უწინდელს ჰგავს, თუმცა განსხვავებები მაინც შეიმჩნევა.

## 5. დასკვნა

რა ხდება შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში საკითხთან მიმართებაში. ორივე ქვეყანაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ADR), იგივე მედიაცია და მომრიგებლობა პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანში ისტორიული წარსული სხვადასხვა შინაარსისაა ის, რაც მედიაციის მიმართულებით გაკეთდა მაინც ერთმანეთის მსგავსია. მეთოდის განვითარების პირველ ეტაპზე, ჰარვარდის სამართლის სკოლის პრო-

<sup>11</sup> მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიურის უფლებამოსილებას შეერთებული შტატების კონსტიტუცია იმ შემთხვევაში ანიჭებს თუ საქმე ტრადიციული საჯარო კანონმდებლობის განხილვის საგანია. ხოლო სხვა შემთხვევაში – არა.

<sup>12</sup> Nolan-Haley J. M., *The Merger of Law and Mediation: Lessons from Equity Jurisprudence and Roscoe Pound*, Cardozo J. Conflict Resol., Vol. 6, Fall, 2004, 57, at 5, 6.

<sup>13</sup> *Main Th. O.*, ADR: The New Equity, U. Cin. L. Rev., Vol. 74, Winter, 2005, 329, at 398, 400.

ფესორმა – ლონ ფულერმა, რომელიც ასევე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) მოძრაობის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფის წევრიც იყო საინტერესო სტატია გამოაქვეყნა:<sup>14</sup> მან დისპუტები ორ ჯგუფად დაყო: მულტიცენტრული და მონოცენტრული დავები. პირველის შემთხვევაში, ეს არის ოჯახური დავები, როდესაც მარტივი სამართლებრივი კანონები უძლურია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბიზნეს/კომერციული კონტრაქტების შედეგად წარმოშობილი დისპუტები.

როდესაც სტატია წავიკითხე, ვიფიქრე, რომ როგორც ჩანს სახელშეკრულებო დისპუტიცი კი ვერ იქნება მულტიცენტრული იაპონიაში. თუმცა ზემოხსენებული ამერიკელი პროფესორების დასკვნების მიხედვით, შემოძლია ვთქვა, რომ ამერიკაში სახელშეკრულებო დისპუტები შეიძლება მულტიცენტრულად ჩაითვალოს. საზოგადოებრივი დავა კი ადვილი საქმე არ არის, ის სოციოლოგებისა და ანთროპოლოგებისათვის შესწავლის სერიოზულ საგანს წარმოადგენს. რა შინაარსისაა არ უნდა იყოს დავა, მის მოსაგვარებლად მედიაციის მეთოდის გამოყენება საკმაოდ სასარგებლოა. მედიაციის თეორიის ამერიკელმა სპეციალისტებმა მრავალი თეორია შეიმუშავეს მეთოდთან დაკავშირებით, პრაქტიკოსებმა კი ახალი მეთოდოლოგიები დანერგეს. მგვარი მიღწევები კი საყოველთაოდ სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად: მედიაციის ამერიკული თეორიები – ე.წ. „დახურული შეხვედრები“, რაც მოდავე მხარეებთან ცალ-ცალკე შეხვედრას გულისხმობს და „შემამსუბუქებელი შეხვედრები“ „შემფასებლური შეხვედრების“ პირისპირ იქნა შესწავლილი და პრაქტიკაში გამოყენებული როდესაც დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდი ინერგებოდა.

დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ამერიკაში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის (ADR) პროგრესულობა და პრაქტიკაში გამოყენება შექების ღირსია. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ეს მაგალითი გადმოიღოს და თავის ქვეყანაში დანერგოს, თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ ყველა ქვეყანამ თეორია საკუთარ წესებს უნდა მოარგოს.

---

<sup>14</sup> Fuller L., Mediation: Its Form and its Functions, S. Cal. L. Rev., Vol. 44, 1971, 305.

## ADR – Appropriate Disaster Recovery \*

The legal system may be as old as society itself. Since the dawn of civilization, man has incorporated law and judgment as primary tools to help regulate both civil and criminal aspects of social life. Both ancient and modern societies are often historically evaluated by the structure and quality of their legislative and judicial systems. People seem to have been caught in dispute ever since they began living together and effective dispute resolution was necessary for fundamental social structure and order.

Throughout history, and up until very recently, dispute resolution was primarily handled by the sovereign legal system, be it local, municipal, regional, national, federal or international; or by non-sovereign third parties, private agents that were either turned to by the parties in dispute or appointed by groups of interest to which the parties were subordinate or otherwise affiliated. Inherent in these various dispute resolution mechanisms is the externalization of decision by the parties. The parties waive their power to agree and mutually decide on the subject of dispute and subordinate themselves to the select tribunal, which in turn acquires authority and responsibility over the parties and the situation in which they have placed themselves. Indeed, when before a tribunal, parties are exempt from the need to directly communicate and spend the necessary intellectual and emotional resources on the personal interaction required for an internalized decision process, but it is their subordination that ultimately weakens them towards themselves and each other. This weakening of the parties can be tolerated so long as the tribunal supplies an outcome that is acceptable, leading to the preference of externalized decision for dispute resolution over that of internalized decision. In layman's terms, this could be considered "trusting the system."

When resolving a dispute, it is only natural and expected that the ruled-against party/parties are unhappy with the outcome and this should not, in itself, hinder the status of externalized decision as a preferred dispute resolution mechanism. But what if the tribunal's outcome leaves the party in whose favor the ruling was made unhappy as well? This would constitute a breach of trust between the tribunal and all parties, undermining their justification for externalized decision. Should this occur repeatedly on a large scale, the social basis for externalized decision would be jeopardized, giving rise to alternative mechanisms for dispute resolution. Apparently, such a large scale breach of trust between modern western societies and their legal systems has indeed occurred during the past few decades, inevitably leading to the birth of various forms of Alternative Dispute Resolution (ADR).

The impetus behind the rising of ADR is the failure of the legal system to fulfill its function as an efficient and effective dispute resolution mechanism in the growing and ever-developing modern world. Primarily, the legal system became much more accessible, causing a great increase in the number of disputes and volume of proceedings. However, the system itself grew at too slow a rate to keep up with this increase and thus lost its ability to adequately handle and resolve these disputes in a timely and reasonable manner. The resulting lengthy proceedings and lateness in the resolution of disputes led parties to search for a more efficient mechanism. As for the proceedings themselves, many people became alienated by them since they allowed people no opportunity to express themselves, let alone facilitate the emotional aspect of

---

\* Michael Tsur, Founder and director of the Mediation and Conflict Resolution Institute, Jerusalem. Adjunct Professor of Mediation and Negotiation, Business school and Law faculty at the Hebrew University of Jerusalem. Director in Consensus: Negotiation Conflict Resolution N.Y. Conflict Procesesing and Crisis Negotiation Specialist. This article was written with the assistance of Mr. Shai Melcer, advocate and mediator. This article is written in connection with the Cardozo Journal of Conflict Resolution's 2007 Symposium, ADR in the Aftermath: Post-Disaster Strategies.

their dispute, which is in many cases the main aspect. By focusing on cold hard facts alone and excluding emotions, regardless of how meaningful they may have been to the parties, the legal proceeding ends up lacking emotional closure and leaves the parties with an inability to move on, let alone reconcile. This is true for almost all parties, regardless of their subjective views on the practical outcome.

This personal/emotional limitation of legal proceedings was further characterized by their general tendency to be retrospective without properly considering future implications of a resolved dispute. This kept the parties “stuck” in the past, dwelling over negative aspects of a dispute, unable to look into positive future prospects and plan ahead. It might be said that the legal proceeding posed a pathological approach to dispute resolution while parties were yearning for a constructive approach, a healing rather than a dissection. This problem became acute enough that the legal system itself began over-developing the pretrial stage of the civil claim, allowing the tribunal itself to attempt an informal constructive approach to resolve the dispute before entering the rigid frame of civil procedure. Still, ironically, it is common enough for a judge to send the parties out of the room so that they may “talk it out” and settle the dispute by direct interaction, which is deemed inappropriate for a court of law. Such dynamics deepened the breach of trust with the legal system.

Understanding this background, it is naturally perceived how current ADR principles, mainly implemented in the mediation process, took shape. Consider the classic seven-stage mediation model: (i) opening statements; (ii) dispute presentation; (iii) intermediate summary; (iv) identification of subjects and interests; (v) creation of options; (vi) option evaluation; and (vii) drafting of agreement. This is a distinctively prospective process, which focuses mostly on how the parties themselves perceive their part in the dispute at hand and how they envision the future in light of its desired resolution. Rather than focusing on the precise, seemingly objective, retrospective ruling on facts as a base for external decision on fault and its consequences, this model gives priority to subjective perception, thought, belief and emotion as a base for prospective creativity of the parties themselves towards a desired productive internal decision, taking into consideration each one of the involved parties’ interests and goals.

ADR, by being attentive to parties’ subjective positions and validating their emotions, both elements considered integral to the factual basis of the dispute, offers the parties an empowering experience. It should be reiterated that emotions are indeed factual in a process where trust is substantial. Also, as simple as it may seem, the importance of attention, as an empowering agent, cannot be over-emphasized. This empowerment allows the parties to critically grasp the dispute from a balanced point of view and thus places each of them in a position from which they can take responsibility for the situation they are in and returns control over the outcome of the dispute into their hands, should they choose to take it.

A crucial element of ADR is the lack of authority of the process director, i.e. the mediator, over the parties. One of the first things clarified during the opening statements is that the parties’ volition, and that alone, keeps them in the process and can bring them to finalize an agreement and commit to its execution. Not only is there no chance to force a decision upon a party, but also parties are not even obliged to remain in the process any longer than they wish to, and so the parties are not intimidated by the mediator or the process. This extreme level of freedom induces a much needed peace of mind for the parties, ultimately leading them to trust the mediator and the process and hopefully be in a position to eventually trust each other. This comfort zone also helps the parties step out of their offensive/defensive positions and ease into a lucid and reflective mode that is necessary for the recognition of their own responsibility over the situation and the ultimate understanding that it is not only in their interest but also in their hands to resolve it.

In the context of gaining the parties’ trust and maintaining it throughout the process, it should be stressed that ADR, when properly conducted, should not be suggestive, i.e. the mediator should refrain from presenting the parties with possible resolutions to their dispute. It is very important that the parties place themselves in a position of responsibility and create their own solutions, thus maximizing the probability of their long-term success, since no one can really comprehend what is best for the parties better than the parties themselves. Furthermore, the slightest insensitivity or carelessness on the mediator’s part in presenting an optional resolution could result in a breach of trust with some or all of the parties.



Considering all the above, one might mistake the mediator for a therapist or a social worker, or just a “good-listener”. It should be stressed that ADR is first and foremost an efficient and effective dispute resolution mechanism, not a therapeutic process. Based on the phrase “it’s not what you say, it’s how you say it,” ADR supplies a very practical method for the parties to find the best solutions for them under their given specific circumstances, all within a controlled and reasonable timeframe.

It may be said that ADR does not actually resolve the dispute for the parties but rather hosts a nurturing process in which the parties themselves are given tools, first and foremost the regaining of balance, to achieve resolution on their own and enjoy a wide variety of positive side effects that will heighten the probability of long-term success of the resolution. ADR simply supplies the proper conditions in which the parties can supply the best resolution for their disputes.

### **ADR – Appropriate Disaster Recovery**

The human dynamics common to most disputes, their emergence and resolution, are brought to extremes in times of disaster and require special consideration.

Humans are struck by disasters of various natures: natural and man-made; personal, local, national and international; foreseen and surprising; damaging to property and life-threatening; economical, medical, political and humane, etc. To a certain extent, all disasters are distinct in that they rob the inflicted persons of their control over basic aspects in their life. Disaster related loss of control has a profound effect on human behavior, throwing people off balance and into severe mental states such as “shock” or “survival mode” where all they can manage, if anything, is to deal with their basic needs, as directed and motivated by their primary instincts. When inflicted by disaster, a people show a strong tendency to deal with immediate concerns that are “here and now” and commit little, if any, resources towards future prospects. Furthermore, some disasters are so colossal and detrimental to human life or property, that the inflicted persons lose the ability to grasp the disaster itself or comprehend its scale. This is sometimes known as the “survivor effect.”

Being in this acute state, the survivor has low levels of emotional resources required to deal with aspects of his life that are not essential for survival and so, for instance, has little or no capacity for constructive dispute resolution, the need for which tends to arise following a true disaster. Such disputes might take form between the survivors and their state or a foreign state, an airline or maritime company, an industrial or construction firm, or an insurance company of any of the above, and more. These disputes will often revolve around the various kinds of damage caused to the survivor, the liability of others for this damage and subsequently what would constitute adequate compensation, should the survivor be entitled to it.

The extremity of dispute resolution in disastrous situations has at least two inherent aspects. First, the sheer number of disputes requiring resolution poses a practical challenge to the system that hinders the quality of the process and might even render it virtually impractical. Second, being one of many in a similar situation, each survivor rightfully feels he is a part of a group and relates to his “disaster peers” and considers their specific resolutions as a reference point for his own, commonly doing so regardless of the special circumstances of his own personal case and thus obstructing the ability to properly create and assess his own resolution options.

Considering the limitations that the legal system, with its current tools and resources, suffers from when dealing with its current case log, it seems obvious that any attempt to settle disaster-related disputes would be far from adequate, if not totally futile. Apart from the fact that the legal system could never complete the incredible volume of proceedings within a reasonable time span required for the rehabilitation of survivors, it lacks the basic tools required to deal with the plaintiffs’ debilitating state, let alone to contain the large-scale emotional trauma caused to the group of survivors. Ultimately, litigation does not have the prospective ability to help the survivors regain balance and recreate their future.

ADR can be the mechanism needed to deal with this situation, first and foremost because it has the tools required to deal with the survivors in their special situation. As described above, giving the survivors attention and expressing empathy towards their situation can increase their emotional resources and help

rebalance them so that they may function despite the disaster and regain their prospective abilities, necessary to plan ahead and ultimately recuperate. This is a crucial point, since when in “survival mode,” survivors tend to lose capacity to take the required responsibility over the future course of their lives and make the proper decisions arising from the synthesis between logic and emotion, between heart and mind, the basis for consent as opposed to fear or confusion.

In order to appropriately recover from disaster, ADR requires several adjustments, both in principle and in practice. The fundamental element in ADR of having the parties take responsibility over the situation they are in, including how they reached that situation, must be carefully considered in light of an inevitable, true disaster, and the bona fide feelings of survivors that the sky simply “fell on them.” Such feelings, apart from requiring large amounts of empathy, call for a shift from the aspiration to assume responsibility over the situation to an attempt to simply face the new reality upon which the future should be considered. Such a personal reality check of the present allows the survivors to eventually retake responsibility over their future, “get back in the driver’s seat” and rebalance their lives.

Once he acknowledges reality and is able to come to terms with it, the survivor can state to relate to the ADR agent who must be presented and perceived as a neutral element, and who, although sent by “the system,” is not its representative but rather an independent agent who bears essentials required for the survivor to make a fresh start.

This independent identity of the mediator is especially important in light of the great difficulty the survivors have to identify, locate and confront who is liable for their disaster. In such a case, the survivors are required to deal with “the system,” represented by the state, social security elements, insurance companies, et cetera, and the mediator must position himself between these two very distinct entities and attempt to understand the survivors’ needs and requirements for rehabilitation.

Having defined the survivors’ needs, it is now the mediator’s job to bring them to abandon deliberations of past events such as damage assessment and turn their attention and focus towards the future and the required measures to be taken in their best interest, all in a realistic timeframe.

On the practical level, it is important that ADR agents perform strict reality checks for the proposed resolutions and lay out detailed plans for an efficient follow up on the execution thereof. This is due to the dangers of over-empathizing with the survivors, what might lead to careless and unrealistic resolutions that harbor the risk of not being upheld; ultimately causing a breach of trust with the worst possible implications, considering the delicate state of survivors.

### **The Gaza Eviction Disaster Recovery**

Having decided to physically and politically disengage from the Gaza strip, the Israeli government issued a general eviction notice to all 8700 Israeli citizens settled in several points throughout the designated area of disengagement, doing so approximately one year in advance. For the Gaza residents, this eviction notice was a disaster on a personal level, people were about to be forced to leave the home of many years; politically, idealists felt deeply betrayed by the government (that most of them voted for) of the country that sent them to this area many years ago with a mission to guard the homeland; economically, successful businesses were destined for liquidation.

While the eviction notice resounded throughout the country, causing a fierce political stir, it was the Gaza strip residents that were faced with its immediate consequences.

For them, it was a disaster about to happen, literally. Appointed to face the settlers was an ad hoc panel lead by Yonatan Basi, which succeeded in convincing seventy percent of the residents to leave the Gaza strip in return for monetary compensation and various statements of obligation to relocate and resettle whole families and even whole settlements. The strategy utilized by Basi and his team was to focus on “the day after” the eviction and the future to come, trying to get the settlers past the emotional resistance and into practical cooperation and consent.

The Gaza disengagement failed as an ADR attempt for two main reasons.

First, Yonatan Basi, the ADR agent in this case was never deemed trustworthy by the settlers and was constantly perceived as a messenger of the traitorous government. Basi failed to form an independent identity for himself as a true mediator and thus hindered his ability to shift the attention and focus of the survivors-to-be from dealing with the disaster itself to considering future prospects. This ruled out any chance for a trust-based process and there is evidence that interaction with the settlers was largely based on fear and suspicion.

Second, seemingly in an attempt to “smooth the process,” promises were made and obligations were obtained that were obviously not realistic and were greatly not upheld, inevitably leading to a severe breach of trust and acute suspicion and disbelief. A much more strict evaluation of options could have prevented this but it seems that this failure can be viewed as a direct result of the ADR agent himself.

Added to this was a very fluid, almost non-existent follow up mechanism which ultimately left many people unattended, causing yet more suspicion and mistrust. The negative effects of this quasi-ADR failure are far from diminishing and it seems that this breach of trust might have gone beyond repair for many of the disputing settlers.

### **Prospects and Suggestions**

Beginning to understand the challenges of dealing with disaster recovery and the requirements from the mediators involved, we now can modify the ADR processes accordingly. Considering that, when properly implemented, ADR in general and mediation in particular is a practical, efficient and effective process, the method and its tools should be compatible to large-scale post-traumatic situations. For instance, who are we dealing with? What is the smallest surviving organic unit in need? Is it a person, family, building, neighborhood, community, et cetera? How do we decide which ADR process, if any, is appropriate for this given surviving unit? How do we identify the appropriate representative to deal with? Locating the person who has the mandate required to reach the best possible solution for the largest amount of survivors can help maximize the efficiency of the process as well as its effectiveness. During the process, how do we check whether the representative has the ongoing ability to maintain the required responsibility or whether there is a need to involve additional persons? How do we create interim agreements as trust-building steps in the process and identify opportunities for shifting to positive, future-oriented thinking?

In order to minimize possible disappointments and breach of trust – how do we accommodate the survivors’ needs within the given Zone Of Possible Agreement (ZOPA), maintaining the mediator’s neutrality while keeping in touch with the relevant authority?

Deliberating these questions, and probably many more, will promote, construct and hopefully provide the best suited Appropriate Disaster Recovery method. Seeing the world today, what it has become and where it is going, should clearly urge us to confront and deal with the challenge of developing those tools and methods.

### **Author's Note**

This article is based on the author’s personal knowledge and experience as a mediator and crisis negotiator, dealing with various disaster-management situations. Some of the terms in this article are taken from the field of therapy and should be perceived literally and not in their original professional context.

## ღავის ალტერნატიული გადანყვება – კატასტროფის შედეგების სათანადო ლიკვიდაცია

სამართლებრივი სისტემა, ალბათ, ისეთივე ხანდაზმულია, როგორც თავად საზოგადოება. ცივილიზაციის დასაბამიდანვე ადამიანმა კანონი და განაჩენი (მსჯავრი) საზოგადოებრივი ცხოვრების ორივე, სამოქალაქო თუ სისხლისსამართლებრივი ასპექტის რეგულირების ხელშემწყობ უპირველეს ინსტრუმენტად მიიღო. როგორც ძველი, ასევე თანამედროვე საზოგადოებები ისტორიულად ხშირად მათი საკანონმდებლო და სასამართლო სისტემების სტრუქტურის და ხარისხის მიხედვით ფასდება. როგორც ჩანს, ადამიანები დავაში ჩაბმულები მას შემდეგ იყვნენ, რაც მათ ერთად ცხოვრება დაიწყეს და ფუნდამენტური სოციალური სტრუქტურისა და წესრიგისთვის ღავის ეფექტური გადანყვება აუცილებელი იყო.

ისტორიულ და ახლო წარსულშიც ღავის გადანყვება უმთავრესად ადგილობრივი, მუნიციპალური, რეგიონალური, ეროვნული, ფედერალური თუ საერთაშორისო სუვერენული სამართლებრივი სისტემებით წარიმართებოდა; ან არა-სუვერენული მესამე მხარეების, კერძო აგენტების მიერ, რომლებსაც ან დავაში მონაწილე მხარეების მიმართავდნენ, ან ის ინტერესთა ჯგუფები ნიშნავდნენ (ავალებდნენ), რომელთა მიმართაც მხარეები დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში ან სხვაგვარ კავშირში იმყოფებოდნენ. ღავის გადანყვეტის ამ სხვადასხვა მექანიზმში ნიშანდობლივია მხარეების მიერ გადანყვეტილებების ექსტერნალიზაცია. მხარეები უარს ამბობენ შეთანხმების მიღწევის საკუთარ შესაძლებლობაზე, ერთობლივად ირჩევენ ღავის საგანს და გადადიან შერჩეული ტრიბუნალის დაქვემდებარებაში, რომელიც, თავის მხრივ, იძენს უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას მხარეებსა და იმ ვითარებაზე, რომელშიც მათ თავი ჩაიყენეს. რა თქმა უნდა, უკვე ტრიბუნალის წინაშე წარმდგარი მხარეები თავისუფლები არიან საჭიროებისგან, რომ უშუალო კომუნიკაცია იქონიონ და ინტერნალიზებული გადანყვეტის პროცესისთვის აუცილებელი პირადი ურთიერთმოქმედებისთვის საჭირო ინტელექტუალური და ემოციური რესურსები დახარჯონ, მაგრამ ის, რაც საბოლოოდ მათ აქტივობას საკუთარი თავის და ერთმანეთის მიმართ ასუსტებს, არის მათი დაქვემდებარებული მდგომარეობა. მხარეების ეს დასუსტება შესაძლებელია დაიშვას იმ დრომდე, ვიდრე ტრიბუნალი უზრუნველყოფს შედეგს, რომელიც მისაღებია, მიჰყავს რა პროცესი ღავის ინტერნალიზებული გადანყვეტის მიმართ ექსტერნალიზებული გადანყვეტის უპირატესობისკენ. არაპროფესიონალის ენაზე, ეს შეიძლება „სისტემისადმი მინდობად“ იქნეს მიჩნეული.

ღავის გადანყვეტისას სავსებით ბუნებრივი და მოსალოდნელია, რომ საწინააღმდეგო გადანყვეტის შემთხვევაში მხარე/მხარეები შედეგით უკმაყოფილონი იყვნენ, და ამან, თავის მხრივ, არ უნდა შეასუსტოს ექსტერნალური გადანყვეტის, როგორც ღავის გადანყვეტის უპირატესი მექანიზმის სტატუსი. მაგრამ რა, თუკი ტრიბუნალის შედეგი უკმაყოფილოს ამასთანავე იმ მხარესაც ტოვებს, რომლის სასარგებლო გადანყვეტაც იქნა მიღებული? სავარაუდოდ, ეს ტრიბუნალსა და ყველა მხარეს შორის ნდობის რღვევას უდებს საფუძველს, რაც, თავის მხრივ, ექსტერნალური გადანყვეტის მათეულ დასაბუთებას ამსხვრევს. თუ ეს არაერთგზის

\* მაიკლ ცური, მედიაციის და კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი, იერუსალიმი. მედიაციის და მოლაპარაკების წარმოების ადიუნქტ-პროფესორი, ბიზნესის სკოლა და იერუსალიმის ჰებრეუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წარმმართველი კონსენსუსის მიმდევარი: მოლაპარაკება კონფლიქტების მოგვარება. ნიუ-იორკში კონფლიქტების მართვის და კრიზისულ ვითარებებში მოლაპარაკების წარმოების სპეციალისტი. წინამდებარე სტატია დაინერა ბ-ნი შაი მელკერის, ადვოკატი და მედიატორი, დახმარებით. წინამდებარე სტატია დაინერა ქარდოზო(ს) კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის 2007 წლის სიმპოზიუმისთვის, ADR-ის შედეგად: კატასტროფის შემდგომი სტრატეგიები.

და ფართო მასშტაბით მოხდება, სოციალური საფუძველი ექსტერნალიზებული გადაწყვეტის-თვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება, რაც დასაბამს მისცემს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების წარმოშობას. როგორც ჩანს, გასული რამდენიმე ათწლეულის მანძილზე თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებს და მათ სამართლებრივ სისტემებს შორის ნდობის ასეთ ფართომასშტაბიან დარღვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რამაც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) სხვადასხვა ფორმის წარმოშობა გარდაუვლად განაპირობა.

ADR-ის გაჩენის ბიძგს წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის წარუმატებლობა თავისი ფუნქციის – როგორც მზარდ და მუდმივად განვითარებად თანამედროვე მსოფლიოში დავის გადაწყვეტის ეფექტიანი და ეფექტური მექანიზმის – შესრულებაში. თავდაპირველად სამართლებრივი სისტემა ადამიანთა დიდი მასისათვის გახდა ხელმისაწვდომი, რამაც დავების რაოდენობის და სამართალწარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. თუმცა, თავად სისტემა ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა საიმისოდ, რომ აღნიშნული ზრდის შესაბამისი ყოფილიყო და, ამრიგად, მან აღნიშნული დავების დროული და გონივრული წესით მართვის და გადაწყვეტის უნარი დაკარგა. შედეგად მიღებულმა ხანგრძლივმა სასამართლო განხილვებმა და დავების გადაწყვეტაში არსებულმა შეფერხებამ მხარეები უფრო ეფექტიანი მექანიზმების ძიებამდე მიიყვანა. თავად სამართალწარმოების პროცესს რაც შეეხება, მის მიმართ მრავალი ადამიანი გაუცხოვდა, რადგან ის არ აძლევდა ადამიანებს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი დავის ემოციური ასპექტის შემსუბუქებაზე, რაც ბევრ შემთხვევაში მთავარ ასპექტს წარმოადგენს. ყურადღების მხოლოდ ცივ, უდავო ფაქტებზე გამახვილებით და ემოციების გამორიცხვით მიუხედავად იმისა, თუ ეს ემოციები მხარეებისთვის რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, სამართალწარმოება ემოციური განმუხტვის დეფიციტით სრულდება და შერიგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხარეებს წინსვლის შესაძლებლობის გარეშე ტოვებს. ეს მართლაც ასეა თითქმის ყველა მხარისთვის პრაქტიკული შედეგისადმი მათი სუბიექტური შეხედულებების მიუხედავად.

სამართალწარმოების პროცესების ეს პიროვნულ/ემოციური შეზღუდულობა შემდგომში გამოიხატებოდა მათი ზოგად ტენდენციაში – ყოფილიყვნენ რეტროსპექტულნი გადაწყვეტილი დავის შემდგომი შედეგების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე. ეს მხარეებს წარსულში „ჩაფლობილებს“ ტოვებდა, აჩერებდა რა მათ დავის ნეგატიურ ასპექტებზე, არ შეეძლო სამომავლო დადებითი პერსპექტივების განჭვრეტა და წინასწარ დაგეგმვა. შესაძლებელია ითქვას, რომ სამართალწარმოების პროცესი დავის გადაწყვეტისადმი პათოლოგიურ მიდგომას წარმოადგენდა მაშინ, როდესაც მხარეები მიისწრაფოდნენ კონსტრუქციული მიდგომისკენ, ურთიერთობების აღდგენისკენ, განკურნებისკენ და არა გაკვეთისკენ. ეს პრობლემა იმდენად გამწვავდა, რომ თავად სამართლებრივმა სისტემამ დაიწყო სამოქალაქო სარჩელის წინასასამართლო ეტაპის მეტად განვითარება, აძლევდა რა ტრიბუნალს საშუალებას, რომ სამოქალაქო პროცესის ხისტ ჩარჩოში მოქცევამდე, დავის გადასაწყვეტად არაფორმალური კონსტრუქციული მიდგომის გამოყენება ეცადა. ახლაც (ჯერაც), ბედის ირონიით, საკმაოდ გავრცელებულია მოსამართლის მიერ მხარეების დარბაზიდან გაშვება იმისათვის, რომ მათ „გარჩევა“ და დავის მოგვარება უშუალო ურთიერთობის გზით შეძლონ, რაც სასამართლოსთვის შეუფერებლად მიიჩნევა. ასეთი დინამიკა სასამართლო სისტემისადმი დარღვეულ ნდობას კიდევ უფრო აღრმავებს.

ამ წინაპირობების გათვალისწინებით, ადვილად გასაგებია, თუ როგორ იკვეთება თანამედროვე, ძირითადად, მედიაციის პროცესში გამოყენებული ADR-ის პრინციპები. განვიხილოთ კლასიკური შვიდსაფეხურიანი მედიაციის მოდელი: (i) შესავალი განცხადებები; (ii) დავის წარმოდგენა (პრეზენტაცია); (iii) შუალედური შეჯამება; (iv) თემების და ინტერესების განსაზღვრა; (v) ვარიანტების შექმნა; (vi) ვარიანტების შეფასება; და (vii) შეთანხმების შედგენა. ეს არის გამორჩეულად პერსპექტიული პროცესი, რომელიც უმთავრესად იმაზე ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ აღიქვამენ არსებულ დავაში საკუთარ როლს თავად მხარეები და დავის სასურველი გადაწყვეტის ფონზე როგორ წარმოუდგენიათ მომავალი. არასწორი ექსტერნალური გადაწყვეტის და მისი შედეგების საფუძველად ზუსტ, გარეგნულად ობიექტურ,

ფაქტებზე დამყარებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე ფოკუსირების ნაცვლად, ეს მოდელი ითვალისწინებს რა თითოეული მონაწილე მხარის ინტერესებსა და მიზნებს, სასურველი ნაყოფიერი ინტერნალური დარეგულირების მიმართულებით თავად მხარეების მომავალი კრეატიულობისთვის უპირატესობას სუბიექტურ აღქმას, აზრს, რწმენას და ემოციას ანიჭებს.

აქვს რა მხარეების სუბიექტური პოზიციებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება და ცნობს რა მათ ემოციებს, ეს ორივე ელემენტი დავის ფაქტობრივი საფუძვლისგან განუყოფლად განიხილება, ADR მხარეებს უფლებამოსილების მინიჭების გამოცდილებას სთავაზობს. გამეორებული უნდა იქნეს, რომ პროცესში, რომელშიც ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ემოციები, რა თქმა უნდა, ნამდვილია. ასევე, გულისხმიერების, როგორც უფლებამოსილების აღების მინიჭების ფაქტორის მნიშვნელობა, არ შეიძლება იქნეს ზედმეტად ხაზგასმული. ეს უფლებამოსილების მინიჭება მხარეებს საშუალებას აძლევს განონასწორებული თვალთახედვიდან კრიტიკულად გაერკვნენ დავაში და, შესაბამისად, ყოველ მათგანს იმ პოზიციაში აყენებს, რომლიდანაც მათ შეუძლიათ არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება და თუ კი ისინი ამას ისურვებენ, დავის შედეგზე კონტროლს მათ ხელში აბრუნებს.

ADR-ის უმნიშვნელოვანეს ელემენტს მხარეებზე რეჟიოსორის, ე.ი შუამავლის ძალაუფლების ნაკლებობა (არარსებობა) წარმოადგენს. ერთ-ერთი პირველი, რაც შესავალ განცხადებებშია განმარტებული არის ის, რომ მხარეების ნება, და მხოლოდ ის არის, რაც მათ პროცესში აჩერებს და რასაც შეუძლია მათი შეთანხმების დადებამდე და მისი შესრულების ვალდებულების აღებამდე მიყვანა. არა მხოლოდ არ არსებობს მხარისთვის გადაწყვეტილების თავს მოხვევის (იძულების) შანსი, არამედ მხარეები არც კი არიან ვალდებული რომ დარჩნენ პროცესში უფრო დიდხანს, ვიდრე ეს მათ სურთ, ასე რომ, მხარეები შუამავლის მიერ ან პროცესით დაშინებულები არ არიან. ეს უკიდურესი თავისუფლების ხარისხი მხარეებისთვის ასე საჭირო სულის სიმშვიდეს იწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, შუამავლის და პროცესისადმი მათ ნდობას განაპირობებს, და იმედი ვიქონიოთ, რომ იქნებიან პოზიციაში, რათა საბოლოოდ ერთმანეთს ენდონ. ეს კომფორტის ზონა, ასევე, ეხმარება მხარეებს, რომ გამოვიდნენ მათი თავდასხმა/თავდაცვის პოზიციებიდან და გაცნობიერებულ და გონივრულ რეჟიმში გადავიდნენ, რაც აუცილებელია არსებულ ვითარებაზე მათი საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებისთვის და საბოლოოდ იმის გაგებისთვის, რომ გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ მათ ინტერესში, არამედ, მათ ხელშია.

მხარეების ნდობის მოპოვების და მთელი პროცესის განმავლობაში მისი შენარჩუნების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ADR-ის სათანადოდ გაძლოლის შემთხვევაში, არ უნდა იყოს დამაფიქრებელი, ანუ, შუამავალმა თავი უნდა შეიკავოს მხარეებისთვის მათი დავის შესაძლო გადაწყვეტების წარდგენისგან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა თავი პასუხისმგებლობის აღების პოზიციაში ჩაიყენონ და თავიანთი საკუთარი გადაწყვეტილებები შექმნან, რომ ამით საკუთარი გრძელვადიანი წარმატების ალბათობა მაქსიმალურად გაზარდონ, ვინაიდან არავის შეუძლია რეალურად გააცნობიეროს, თუ რა არის მხარეებისთვის უკეთესი, ვიდრე ეს თავად მათ ხელენიფებათ. გარდა ამისა, პირობითი გადაწყვეტის წარმოდგენისას შუამავლის მხრიდან გამოვლენილმა სულ უმნიშვნელო უგრძობლობამ (უტაქტობამ) ან გაუფრთხილებლობამ შესაძლებელია, რომ შედეგად რამოდენიმე ან ყველა მხარესთან ნდობის დარღვევა გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვინმეს შესაძლოა შუამავალი შეცდომით თერაპევტი (მკურნალი) ან სოციალური მუშაკი, ან უბრალოდ „კარგი მსემენელი“ ეგონოს. უნდა აღინიშნოს, რომ ADR, უპირველეს ყოვლისა, არის დავის გადაწყვეტის ეფექტიანი და ეფექტური მექანიზმი, და არა თერაპიული პროცესი. „ეს არა არის რასაც თქვენ ამბობთ, ეს არის თუ როგორ ამბობთ“ – ამ ფრაზაზე დაყრდნობით, ADR მხარეებისთვის მეტად პრაქტიკულ მეთოდს იძლევა, რომ კონტროლირებად და გონივრულ ვადებში მიაგნონ მათთვის საუკეთესო გადაწყვეტილებებს იმ სპეციფიკურ გარემოებებში, რომელშიც იმყოფებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მხარეებისთვის ADR ფაქტობრივად არ ნყვეტს დავას, არამედ უფრო უძღვება სწავლების პროცესს, რომელშიც მხარეები თავად არიან მოცემული ინსტრუმენტები, უპირველეს ყოვლისა, წონასწორობის აღმდგენი, გადაწყვეტის დამოუკიდებლად მისაღწევად და დადებითი გვერდითი ეფექტების დიდი არჩევნის გამოსაყენებლად, რომელიც

გადაწყვეტის გრძელვადიანი წარმატების ალბათობას გააძლიერებს. ADR უბრალოდ სათანადოდ პირობებს უზრუნველყოფს, რომელშიც მხარეებს მათი დავებისთვის საუკეთესო გადაწყვეტის მიწოდება შეუძლიათ.

## 1. ADR – კატასტროფის შედეგების სათანადოდ ლიკვიდაცია

ადამიანის დინამიკა (მამოძრავებელი ძალები), რომელიც საერთოა დავათა უმეტესობისთვის, მისი აღძვრა და გადაწყვეტა კატასტროფების დროს უკიდურესობამდეა მიყვანილი და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ადამიანები დარტყმას იღებენ სახვადასხვა ხასიათის კატასტროფებისგან: ბუნებრივი და ხელოვნური; პირადი, ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო; მოსალოდნელი (პროგნოზირებადი) და მოულოდნელი; ქონების დამაზიანებელი და სიცოცხლისთვის საშიში; ეკონომიკური, სამედიცინო, პოლიტიკური და ადამიანური (ჰუმანური) და ა.შ. გარკვეულწილად ყველა კატასტროფა განსაზღვრულია იმით, რომ ის დარტყმის ქვეშ მყოფ ადამიანებს საკუთარი ცხოვრების ძირითად ასპექტებზე კონტროლის გარეშე ტოვებს. კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებული კატასტროფა ადამიანის ქცევაზე ღრმა ზემოქმედებას ახდენს, აკარგვინებს რა ადამიანებს წონასწორობას აგდებს მათ მიმე ფსიქიკურ მდგომარეობებში – „შოკში“ ან „გადარჩენის რეჟიმში“, რომლებშიც თუ კი საერთოდ რამის მართვა შეუძლიათ, ეს მათი პირველადი ინსტინქტების მიერ მართული და მოტივირებული ძირითადი საჭიროებების გამკლავებაა. კატასტროფით გამოწვეული დარტყმის შედეგად ადამიანი „აქ და ახლა“ არსებული მომენტალური საზრუნავების გამკლავების ძლიერ ტენდენციას ავლენს, ხოლო სამომავლო პერსპექტივების მიმართულებით მცირე, თუ კი საერთოდ რაიმე, რესურსებს გამოყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი კარასტროფა იმდენად კოლოსალურია და ადამიანის სიცოცხლისთვის ან ქონებისთვის იმდენად საზიანო, რომ დარტყმის ქვეშ მყოფი პირები თავად კატასტროფის წვდომის და მისი მაშტაბების აღქმის უნარს კარგავენ. აღნიშნული ზოგჯერ „გადარჩენილის ეფექტის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ონლაინ დავების გადაწყვეტა (ODR) მოიცავს ინტერნეტ სივრცეში დავების გადაწყვეტის ტექნიკების გამოყენებას.<sup>5</sup> თუმცა, ონლაინ დავების გადაწყვეტა უფრო მეტად აგვარებს ელექტრონული კომერციის საკითხებს ან სხვა, ინტერნეტთან დაკავშირებულ, დავებს,<sup>6</sup> ის ასევე წყვეტს ე.წ. „ოფ-ლაინ“ დავებსაც.<sup>7</sup> ონლაინ დავების გადაწყვეტა მოიცავს ფორმალურ სასამართლო პროცესებს, ასევე არბიტრაჟს, მედიაციას და მოლაპარაკებას იმ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც ინტერნეტში წარმოიშვა.<sup>8</sup> ონლაინ მედიაცია განსაკუთრებით მოიცავს

<sup>5</sup> იხ. *Ponte L. M., Cavenagh Th. D., Cyberjustice: Online Dispute Resolution (ODR) for E-Commerce, 2005, 18; Katsh E., Rifkin J., Online Dispute Resolution: Resolving Conflicts in Cyberspace, 2001, 10; Katsh E., Rifkin J., Online Dispute Resolution: Resolving Conflicts in Cyberspace, 2001, 10* (აღსანიშნავია, რომ ინტერნეტი „გვეხმარება, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, სად შეგვიძლია გავაკეთოთ ეს და როდის შეგვიძლია გავაკეთოთ ეს“); A.B.A. Task Force on Elec. Commerce & Alternative Dispute Resolution, *Addressing Disputes in Electronic Commerce: Final Recommendations and Report, Bus. Law., Vol. 58, 2002, 415, 434* [შემდგომში A.B.A. Task Force] (განსაზღვრა ODR როგორც „ინტერნეტისა და სხვა ვებგვერდების, ასევე, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ჩათვლით, ADR“ ხელშეწყობისათვის); *Teitz L. E., Providing Legal Services for the Middle Class in Cyberspace: The Promise and Challenge of On-line Dispute Resolution, Fordham L. Rev., vol. 70, 2001, 985, 986* („ინტერნეტმა უბრალოდ დააჩქარა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მიღება, გახდა რა ის ხელმისაწვდომი მასებისათვის ....“).

<sup>6</sup> იხ. *Ambrogi R. J., Virtual Justice: Resolving Disputes Online, Bench & B. of Minn., Feb. 2005, 13* (აღსანიშნავია, რომ ონლაინ დავების მოცულობა დიდია რეალურ სამყაროში). იხ. ზოგადად, *Colin Rule, Online Dispute Resolution for Business: B2B, E-Commerce, Consumer, Employment, Insurance, and Other Commercial Conflicts, 2002*. „ელ-კომერცია“ ან „ელექტრონული კომერცია“ განსაზღვრული იქნა, როგორც „მომსახურებების გაყიდვა ან შესყიდვა, ბიზნესებს, ოჯახებს, ინდივიდუალურ პირებს და მთავრობებს, ასევე, სხვა სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებს შორის, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული ქსელების შუამავლობით.“ ... თასკ ორცე, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, at 425.

<sup>7</sup> *Lodder A. R., Zeleznikow J., Developing an Online Dispute Resolution Environment: Dialogue Tools and Negotiation Support Systems in a Three-Step Model, Harv. Negot. L. Rev., Vol. 10, 2005, 287, 300* („არ არსებობს რაიმე მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება გადაწყდეს ე.წ. „ოფ-ლაინ“ დავები ონლაინ რეჟიმში.“); A.B.A. Task Force, *შენიშვნა 10, 434; Teitz, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, 991; Shah A., Using ADR to Resolve Online Disputes, Rich. J.L. & Tech., Vol. 10, 2004, 25, 32-33* (საბუთდება, რომ მედიაცია ყველაზე უკეთ ერგება ძირითადი შეთანხმების დავებს, ელექტრონული კომერციის დავებს, დომეინის დასახელების დავებს, და ინტელექტუალური საკუთრების დავებს); *Goodman J. W., The Pros and Cons of Online Dispute Resolution: An Assessment of Cyber-Mediation Websites, Duke L. & Tech. Rev., 2003, 4, 1* („ონლაინ დავების გადაწყვეტას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი ან მთლიანად, ან ნაწილობრივ, ონლაინ რეჟიმში; საქმე ეხება ორი ტიპის დავას: ისინი, რომლებიც წარმოიქმნებიან კიბერ სივრცეში, და ისინი, რომლებიც წარმოიქმნებიან კავშირს გარეთ, ე.წ. „ოფ-ლაინ“.). აგრამ იხ. *Martin M. Sh., Note, Keep It Online: The Hague Convention and the Need for Online Alternative Dispute Resolution in International Business-to-Consumer E-Commerce, B.U. Int'l L.J., Vol. 20, 2002, 125, 150, 153* (საბუთდება, რომ ონლაინ დავების გადაწყვეტა ყველაზე ეფექტურია, როდესაც ხდება მისი გამოყენება ონლაინ ელექტრონული კომერციის დავების გადაწყვეტისას).

<sup>8</sup> იხ. ზოგადად, *Ponte & Cavenagh, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10. იხ., ასევე, Magnus R., The Confluence of Law and Policy in Leveraging Technology: Singapore's Judiciary's Experience, Wm. & Mary Bill Rts. J., Vol. 12, 2004, 661* (სინგაპურის სასამართლო პროცესების ტექნოლოგიის გამოყენების განხილვა, ვირტუალური სასამართლოს შექმნის ჩათვლით); *Chauhan J., Online Dispute Resolution Systems: Exploring E-Commerce and E-Securities, Windsor R. Legal & Soc. Issues, Vol. 15, 2003, 99, 103-08* (ბრმად ვაჭრობის, მედიაციის, და შუამავლობით და საარბიტრაჟო პროგრამების შედარება ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას); *Ponte L. M., The Michigan Cyber Court: A Bold Experiment in the Development of the First Public Virtual Courthouse, N.C. J.L. & Tech., Vol. 4, 2002, 51* (მიჩიგანის გეგმის განხილვა ვირტუალური სასამართლო შენობის შექმნასთან დაკავშირებით); *Teitz, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, at 998-1009* (არბიტრაჟის, მედიაციისა და სრულიად ავტომატიზირებული სისტემების განხილვა, სადაც კომპიუტერული პროგრამა ედრება საკითხის მოგვარების წინადადებებს); *Witt N., Online International Arbitration: Nine Issues Crucial to Its Success, Am. Rev. Int'l Arb., Vol. 12, 2001, 441.*

ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემა არის მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ კორპორაციის [ICANN] უნიფიცირებული დავების გადაწყვე-

ტის პროცესი, რომელმაც შექმნა ონლაინ სისტემა დომეინ სახელებთან დაკავშირებული დავების გადანყვეტის მიზნით. Krause W., Do You Want to Step Outside? An Overview of Online Alternative Dispute Resolution, J. Marshall J. Computer & Info. L., Vol. 19, 2001, 457, 465. პროცესი გავს არავალდებულებით არბიტრაჟს, რადგანაც გადანყვეტილებები არ ხდება ვალდებულებითი, სანამ სასამართლო პროცესი არ შევა ფედერალური სასამართლოების რეესტრში. და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო პროცესი შედის რეესტრში, სასამართლოები არ ავალდებულებენ წინა გადანყვეტილებასთან დაკავშირებით. იხ. Meyers K., Domain Name Dispute Resolution in U.S. Courts: Should ICANN Be Given Deference?, B.C. L. Rev., Vol. 43, 2002, 1177, 1193. თუმცა, სახელებისა და ნომრების ინტერნეტ კორპორაციამ (ICANN) წარმატებით გადანყვეტა დავების დიდი ნაწილი, და ეს ძალიან მკაცრადაც გაკრიტიკდა. იხილეთ Lodder & Zeleznikow, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 12, at 299 (უნდა აღინიშნოს, რომ სისრულეში მოყვანილ იქნა 6000 დავა, ხუთი წლის განმავლობაში); Efroni Z., The Anticybersquatting Consumer Protection Act and the Uniform Dispute Resolution Policy: New Opportunities for International Forum Shopping?, Colum.J.L. & Arts, Vol. 26, 2003, 335, 351 (აღსანიშნავია ICANN წარმატებული იყო, თუ მოვახდენთ მის შეფასებას გადანყვეტილი საქმეების რაოდენობის მიხედვით); Fromkin A. M., ICAAN's "Uniform Dispute Resolution Policy" – Causes and (Partial) Cures, Brook.L. Rev., Vol. 67, 2002, 605, 670-711 (UDRP-ს პოლიტიკის კრიტიკის აღწერა და არსებითი რეფორმების შეთავაზება).

ამჟამად, არსებობს მხოლოდ ერთი საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ონლაინ დავების გადანყვეტა წამოიწია, როგორც განსახილველი საკითხი, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც ეხება დომეინ სახელთან დაკავშირებულ დავებს. Stenzel v. Dell, Inc., No.Civ.A.CV-03-323, 2004 WL 1433657 (Me. Super. Mar. 11, 2004). Stenzel-ში, მოსარჩელემ განაცხადა პრეტენზია, რომ მოპასუხის საარბიტრაჟო შეთანხმება არსებითად არაკეთილსინდისიერი იყო, ნაწილობრივ, რადგანაც ის არ პასუხობდა BBBOnline Dispute Resolution Standards.Id. at 5. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებდა: ნებისმიერი სარჩელი, დავა, ან უთანხმოება (ან კონტრაქტი, სამოქალაქო კანონდარღვევა, ან სხვაგვარად, მანამდე არსებული, დღევანდელი ან მომავალი, და სანესდებო სამართლის, საზოგადო სამართლის, საერთაშორისო კანონდარღვევის და სამართლიანი სარჩელების ჩათვლით) DELL-სა და მომხმარებელს, მის აგენტებს, თანამშრომლებს, ხელმძღვანელებს, უფლებამონაცვლეებს, მემკვიდრეებს, შვილობის საწარმოებს შორის (ერთობლივად, წინამდებარე პარაგრაფის 'Dell' მიზნით) წარმოშობილი ამ ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან, მის ინტერპრეტაციასთან, ან დარღვევასთან, შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ასევე, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებთან (სრულად დაშვებული გამოყენებადი სამართლებრივი ნორმის მიერ, შესაძლო მხარეებთან ურთიერთობის გზით, რომლებიც არ არიან ამ ხელშეკრულების ხელმოწერილი), – Dell -ის რეკლამირებასთან ან ნებისმიერ შესამაბის შესყიდვასთან დაკავშირებით, უნდა ექსკლუზიურად და საბოლოოდ გადანყვეტოს ეროვნული საარბიტრაჟო ფორუმის (NAF) მიერ წარმოებულ საავალდებულო არბიტრაჟის გზით, მოქმედი პროცედურული კოდექსის თანახმად, <<http://www.arb-forum.com>> or via telephone at 1-800-474-2371). არბიტრაჟი ერთპიროვნულად შეზღუდული იქნება Dell-სა და მომხმარებელს შორის წარმოქმნილ დავასა და დაპირისპირებაში. არც მომხმარებელი და არც DELL არ არიან უფლებამოსილი გააერთიანონ ან გაამყარონ საჩივრები სხვა მომხმარებლების საშუალებით ან მათ წინააღმდეგ, ან განახორციელოს ნებისმიერი სარჩელის საარბიტრაჟო განხილვა, წარმომადგენლობითი ან ჯგუფური სარჩელის სახით ან კიდევ მინდობილობით აღჭურვილი კერძო პირის მთლიანი შესაძლებლობის საშუალებით. ეს საქმის წარმოება მოიცავს სახელმწიფოთა შორის კომერციას და ეს უნდა მართული იყოს ფედერალური საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად 9 U.S.C. ნაწილი 1-16 (FAA). არბიტრ(ებ)ის ნებისმიერი გადანყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და უნდა ავალდებულებდეს თითოეულ მხარეს, და შეიძლება გატარდეს, როგორც განაჩენი, კომპეტენტური მართლმსაჯულების ნებისმიერ სასამართლოში. Dell პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერი საარბიტრაჟო სარეგისტრაციო გადასახადზე და საქმის მოსმენასთან დაკავშირებულ გადასახადზე, რამდენადაც ესეთი გადასახადები აღემატება სახელმწიფოში, რომელშიც ცხოვრობ, არსებულ საერთო იურიდიული სასამართლოში საქმის აღძვრისათვის საჭირო სარეგისტრაციო შენატანის თანხას. თითოეულმა მხარემ უნდა თვითონვე დაფაროს თავისი ხარჯები და ადვოკატის მომსახურების ჰონორარი, თუ ასეთი არსებობს. თუმცა თუ რომელიმე მხარე დომინირებს კანონიერ პრეტენზიაში, რომელიც აძლევს საქმის მომგებ მხარეს ადვოკატის მომსახურების ჰონორარის გადახდის საშუალებას ან თუ არსებობს განერილი ხელშეკრულება შენატანებთან დაკავშირებით, არბიტრმა შესაძლოა დაანესოს გონივრული შესატანები საქმის მომგები მხარისათვის, კანონის შესაბამისად შენატანის ცვლილების სტანდარტების ფარგლებში.

Dell, კორპორაცია., Dell-ის ონლაინ პოლიტიკები, <<http://www.dell.com/termsandconditions>>, [18.05.2006]. მოსარჩელემ გაასაჩივრა, რომ Dell-ს მოეთხოვებოდა სტანდარტების დაცვა, რადგანაც მან გამოაქვეყნა BBB ონლაინ საიმედოობის აღქმა თავის ვებ გვერდზე. Stenzel, 2004 WL 1433657, at 5. თუმცა სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი, აღმოაჩინა რა, რომ ეს სტანდარტები იყო უფრო სასურველი, ვიდრე ვალდებულებითი.

ტრადიციული მედიაციის ტექნიკების გამოყენებას ონლაინ გარემოში.<sup>9</sup> ტრადიციული მედიაციის მსგავსად, ონლაინ მედიაცია შესაძლოა განხორციელდეს ფასილიტატიური, შემფასებლური ან ტრანსფორმაციული ტექნიკების გამოყენების საშუალებით.<sup>10</sup> თუმცა ტრადიციული მედიაციისაგან განსხვავებით, მედიაციის ჩატარების მიზნით გამოყენებულმა ტექნოლოგიამ შესაძლოა უზარმაზარი ზემოქმედება მოახდინოს დავეების წარმატებით გადაწყვეტაზე.<sup>11</sup> ბევრი მიმართებით, ონლაინ მედიაციის ჩატარებისათვის საჭირო ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობამ, შესაძლოა, მოგვცეს განსხვავება დავების გადაწყვეტის მცდელობასა და იმ ფაქტის გაცნობიერებას შორის, რომ პროცესი მიმდინარეობს არაკორექტულად.<sup>12</sup> 1995 წლამდე, ონლაინ დავების გადაწყვეტა იყო ძალზედ უსარგებლო, რადგანაც სამხედრო და აკადემიური და-

---

რამდენიმე სხვა საქმე არაპირდაპირ მოიცავდა ონლაინ დავების გადაწყვეტას. მაგალითად, *Carmel v. Fleischman*, No. B168437, 2005 WL 2143542, at 7 (Cal. Ct. App. Sept. 7, 2005), მხარეები, უძრავი ქონების ტრანზაქციისას, შეთანხმდნენ, რომ შევჯიბრებით სასამართლო პროცესში მოგებულ მხარეს (არბიტრაჟი იქნება ეს თუ სასამართლო საქმის წარმოება) შეუძლია დაფაროს ადვოკატის მომსახურების ჰონორარი ნაგებული მხარის საშუალებით. თუმცა ეს პირობა შეთანხმებული არ იქნება, თუ მხარეები პირველ რიგში „არ დაეთანხმებიან ამ ხელშეკრულების გარეთ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავის ან სარჩელის შუამდგომლობას, ან ნებისმიერ საბოლოო ტრანზაქციას, არბიტრაჟისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვამდე.“ მედიაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მხარეთაგან ერთ-ერთმა აღძრა სასამართლო პროცესი ონლაინ მედიაციის პროვაიდერთან, SquareTrade-თან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მეორე მხარე არასოდეს გამოეხმაურა პროცესში მონაწილე მეორე მხარის, SquareTrade-ის მიერ გაგზავნილ ელექტრონულ ფოსტას. ხარეები არასოდეს შუამავლობდნენ ონლაინ რეჟიმში, თუმცა მხარეები შეთანხმდნენ, რომ პერსონალურად იშუამდგომლებდნენ მოგვიანებით თარიღზე. იქვე 8-ზე. რადგანაც, არ წარმოიშვა მედიაციის პროცესი, ნაგებულმა მხარემ თავი შეიკავა ადვოკატის მომსახურების ჰონორარის გადახდის შუამდგომლობისაგან. იქვე. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა ადვოკატის მომსახურების ჰონორარი იმის საფუძველზე, რომ ნაგებული მხარე არასოდეს უარყოფდა მედიაციას, არამედ მხოლოდ შეაყოვნებდა საკმაოდ დიდი ხნით, სასამართლო საქმის წარმოების აღძვრისა და დასრულების მიზნით. იხ. იქვე 9. აპელირების თვალსაზრისით, კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა, რომ რაიონულმა სასამართლომ ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ქმედების თავისუფლება. იქვე.

*In Alexander v. U.S. Credit Mgmt. Management, Inc.*, 384 F. Supp. 2d 1003 (N.D. Tex. 2005), სასამართლოს მოეთხოვებოდა განესაზღვრა, იყო თუ არა საარბიტრაჟო ხელშეკრულება მართებული და სახელმწიფო და ფედერალური სამართლის შესატყვისი. იქვე 1006-ში. იძულებით შემთხვევაში, ხელშეკრულება მხარეებისგან მოითხოვს, მიიღონ მონაწილეობა ონლაინ მედიაციაში, სავალდებულო არბიტრაჟის შესაბამისად. იქვე 1004-05-ში. თუმცა, როდესაც სასამართლომ განსაზღვრა, რომ კონტრაქტი არ შესრულდა, მოსარჩელებს მიეცათ საშუალება, შეეტანათ სარჩელი სასამართლოში, და არა მიემართათ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცედურისათვის. იქვე. 1016-ში.

<sup>9</sup> *Ponte & Cavenagh*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, 63; *Ponte L. M.*, *Throwing Bad Money After Bad: Can Online Dispute Resolution (ODR) Really Deliver the Goods for the Unhappy Internet Shopper?*, *Tul. J. Tech. & Intell. Prop.*, Vol. 3, 2001, 55, 75-79 [შემდგომში *Ponte*, *Throwing Bad Money*].

<sup>10</sup> იხ. *Gibbons et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, 32-35 (აღწერა, თუ როგორ შეიძლება მედიაციის თითოეული ფორმა წარმართოს ონლაინ რეჟიმში); *Ponte*, *Throwing Bad Money*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 14, 75-78 (ფასილიტატიური მედიაციის გამოყენების აღწერა).

<sup>11</sup> იხ. *Katsh & Rifkin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, 93-116 (ტექნოლოგიის, როგორც „მეოთხე მხარის“ განხილვა ონლაინ მედიაციაში); *Gibbons et al.*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, 35-ში (აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგია შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგნაირად, „დააშორო მხარეები ფსიქოლოგიურად, შეახვედრო მხარეები, დააჩქარო პროცესი, ან შეანელო პროცესი“); *Katsh*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 8, 285-ზე („თუმცა „მეოთხე მხარის“ მიზანს წარმოადგენს, გახადოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის პროცესინგი და ინფორმაციის მენეჯმენტის წყაროები, ეს არ ამცირებს იმ ნებისმიერი განვითარების მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში, თუ რამდენად ეფექტურად მოძრაობს მონაცემები ონლაინ რეჟიმში ერთი მხარიდან მეორე მხარემდე.“).

<sup>12</sup> შეიძლება განსაკუთრებით რეალობას შეესაბამებოდეს, თუ მხარეები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან დიდი მანძილის დაშორებით. იხ. *Goodman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 12, 14 („ფაქტობრივად, კიბერ მედიაცია შეიძლება იყოს ერთადერთი შესრულებადი ალტერნატივა იმ ინდივიდუალური პირებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ მისცენ თავის თავს დიდი მანძილზე მოგზაურობის უფლება, ან იმათთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ელექტრონული კომერციის დავებში, დოლარის ვალუტაში თანხის მცირე მოცულობით.“).

წესებულებები იყვნენ ინტერნეტის ძირითადი მომხმარებლები.<sup>13</sup> რამდენადაც ინტერნეტმა მოიპოვა პოპულარობა და გახდა კომერციალიზებული, დაიწყო ონლაინ დავების წარმოშობა. შედეგად, დადგა დავების ეფექტურად გადაწყვეტის ფორუმის საჭიროება.<sup>14</sup> პასუხად, მთავრობებმა, უნივერსიტეტებმა და კერძო ორგანიზაციებმა სტიმული მისცეს და მხარი დაუჭირეს ონლაინ დავების გადაწყვეტის განვითარებას.<sup>15</sup>

ონლაინ დავების გადაწყვეტა წარმოიშვა, როგორც მომხმარებლებსა და ცალკეული ქვეყნების ბიზნესებს შორის დაბალი ღირებულების და საზღვრებს გარეთა ელექტრონული კომერციის დავების გადაწყვეტის თეორიული ლიდერი.<sup>16</sup> ელექტრონული კომერციის კონტექსტში, ონლაინ დავების გადაწყვეტა წარმოადგენს მომხმარებლებსა და ბიზნესებს შორის დავების გადაწყვეტას რეალური საშუალებების გამოყენებით, რაც მათ ერთად მიიყვანს თავდაპირველ პრიორიტეტამდე – ინტერნეტამდე. დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ცვალებადობს ფორმალური – არბიტრაჟიდან – არაფორმალურ – მედიაციამდე, მხარეთა შორის პირდაპირ მოლაპარაკებებამდე და ავტომატურ მოლაპარაკებებამდე („ფასის ბრმად შეთავაზება“, ე.წ. “blind-bidding” – Ex. Cyber Settle).<sup>17</sup> დღეისათვის, ონლაინ დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და წარმატებული მაგალითია EBay -ის მიერ შემუშავებული პროგრამა.

### EBay-ის მაგალითი

ონლაინ დავების გადაწყვეტის იდეა წარმოიშვა იმის გაცნობიერების შედეგად, რომ ონლაინ დავების რაოდენობა გაიზრდებოდა ონლაინ აქტივობების გააქტიურების პარალელურად.<sup>18</sup> შესაბამისად, რაც უფრო მეტ ტრანზაქციას და ინტერაქტივობას აქვს ადგილი ონლაინ რეჟიმში, მით მეტ დავას ექნება ადგილი<sup>19</sup>. ამასთან, გასაგები იყო, რომ ინტერნეტს, სანამ ის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა, შეეძლო ინფორმაციაზე დამოკიდებული საქმიანობების მხარდაჭერა, როგორცაა დავების გადაწყვეტა.<sup>20</sup> სხვა სიტყვებით, ინტერნეტი წარმოადგენდა იმ პრობლემის ნაწილს, რომელშიც ხდებოდა დავების წარმოქმნა, მაგრამ

<sup>13</sup> შეიძლება განსაკუთრებით რეალობას შეესაბამებოდეს, თუ მხარეები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან დიდი მანძილის დაშორებით. იხ. *Goodman*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 12, 14 („ფაქტიურად, კიბერ მედიაცია შეიძლება იყოს ერთადერთი შესრულებადი ალტერნატივა იმ ინდივიდუალური პირებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ მისცენ თავის თავს დიდ მანძილზე მოგზაურობის უფლება, ან იმათთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ელექტრონული კომერციის დავებში, დოლარის ვალუტაში თანხის მცირე მოცულობით.“).

<sup>14</sup> იხ. იქვე, 54-57; *Katsh*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 8, 276-77 (განმარტებულია, რომ ერთხელ კომერციულმა საქმიანობებმა დაიწყეს ადგილის დაკავება ინტერნეტში, დავები გაიზარდა და ამ დავების გადაწყვეტისათვის საჭირო გახდა ეფექტური გზების ძიება).

<sup>15</sup> იხ. A.B.A. Task Force, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, 434-35 (აღსანიშნავია, რომ ევრო კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოსცეს ოფიციალური განაცხადები, რომლებიც ავალდებულებდა მათ, გამოეყენებინათ სამართლიანი და ეფექტური ონლაინ დავების გადაწყვეტა, ასევე, გამოეყენებინათ ფედერალური სავაჭრო კომისიის ონლაინ ფორუმი, რათა მომხმარებლებს შეეძლებოდათ ელექტრონული კომერციის ტრანზაქციებთან დაკავშირებული საჩივრების შეტანა); *Katsh & Rifkin*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 10, 58-61; *Katsh*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 8, 277 („ინტერნეტი წარმოადგენდა პრობლემის ნაწილს, სადაც ხდებოდა დავების წარმოშობა, მაგრამ ის ასევე წარმოადგენდა გადაწყვეტის ნაწილსაც, იმ მოცულობით, რამდენადაც შეიძლებოდა ონლაინ-რეჟიმში დავებზე გამომხაურება.“).

<sup>16</sup> *Wahab M.*, Globalisation and ODR: Dynamics of Change in E-Commerce Dispute Settlement, INT’l J. L. & INFO. TECH., Vol. 12, 2004, 123, 152.

<sup>17</sup> *Tyler M. C., Bretherton D.*, Online Alternative Dispute Resolution, Vindobona J. Int’l Com. L. Arb., Vol. 7, 2003, 199, 203.

<sup>18</sup> 49 NYLSLR 271; New York Law School Law Review: Bringing Online dispute Resolution to virtual worlds: creating Processes Through Code, 2004-2005.

<sup>19</sup> იხ. იქვე.

<sup>20</sup> იხ. იქვე.



ასევე ის წარმოადგენდა გადაწყვეტის ნაწილსაც, დავების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი რესურსების მოპოვების თვალსაზრისით.<sup>21</sup>

Ebay წარმოადგენს ონლაინ აუქციონის ვებგვერდს 125 მილიონზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებლით, სადაც ყოველდღიურად გასაყიდად წარმოდგენილია 24 მილიონზე მეტი ნივთი.<sup>22</sup> Ebay გამყიდველებს აძლევს შესაძლებლობას პროდუქტი მიყიდოს მყიდველს, მსოფლიოს ნებისმიერი ნერტილიდან.<sup>23</sup> Ebay თავისთავად არ წარმოადგენს რაიმე გარიგების მხარეს და, ზოგადად, არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას საქონლის მყიდველებსა და გამყიდველებს შორის წარმოქმნილ პრობლემებზე.<sup>24</sup> 1999 წელს, EBay-მ დაადგინა, რომ დავების გადაწყვეტის პროცესი შემდგომში გაზრდიდა ნდობას მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. ამიტომაც, მან დართო ნება მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და დავების გადაწყვეტის ცენტრს,<sup>25</sup> განეხორციელებინა საპილოტო პროექტი, რომელიც შეაფასებდა დავების გადაწყვეტის პროცესის სიცოცხლისუნარიანობას და ღირებულებას, და რაც საშუალებას მისცემდა მხარეებს, რომელთაც არ შეეძლოთ თავისით რიგი პრობლემების გადაჭრა, მიეღოთ ექსპერტი მედიატორის დახმარება. პირველ ეტაპზე ონლაინ დავების გადაწყვეტის გამოყენებით ცენტრში ორასზე მეტი დავის განხილვა მოხდა ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში.<sup>26</sup>

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის საპილოტო პროექტის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, EBay-მ შეარჩია SquareTrade.com, როგორც მისი დავების გადაწყვეტის პროვაიდერი.<sup>27</sup> SquareTrade-ის მიდგომა ონლაინ დავების გადაწყვეტის მიმართ განსხვავებულია მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მიდგომისაგან ორი მიმართებით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენდა მნიშვნელოვან უპირატესობას ონლაინ დავების გადაწყვეტაში.<sup>28</sup> პირველი, ადამიანური რესურსის, როგორც მედიატორის წარმოდგენამდე, SquareTrade-მა ჩართო ტექნოლოგიური მხარდაჭერა მოლაპარაკების პროცესში. მხარეებს შეეძლოთ მიემართათ მცდელობისთვის, თავად გადაეწყვიტათ დავები, მედიატორის მოთხოვნამდე.<sup>29</sup> მეორე, SquareTrade-ი მოდავე მხარეებთან სამუშაოდ და მათთან საკომუნიკაციო საშუალებად უფრო მეტად იყენებს დავებს, ვიდრე ელექტრონული ფოსტას.<sup>30</sup>

გზა, რომლითაც SquareTrade იყენებს ვებ-ს, აჩვენებს, თუ კომუნიკაციაში წარმოქმნილ მცირე ცვლილებებს რამდენად შეუძლიათ დიდი შედეგის მოტანა.<sup>31</sup> იმ პირთა უმრავლესობას, რომლებიც მიმართავენ SquareTrade-ს, უკვე ნაცადი აქვთ საკუთარი ძალებით საკითხის ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოგვარება და დგანან გამოუვალი მდგომარეობის წინაშე.<sup>32</sup> ჩანს, რომ მხარეებს არა მხოლოდ ურჩევნიათ მოლაპარაკებების ვებ-ის საშუალებით წარმოება, ელექტრონული ფოსტის გამოყენებასთან ერთად, არამედ ამ ტიპის მოლაპარაკებები ხშირ შემთხვევაში, უფრო წარმატებულია.<sup>33</sup> SquareTrade-ის მიერ შემუშავებული ვებგვერდი უზრუნველყოფს თამასუქის ეგზემპლარის კომპლექტის უფრო სტრუქტურირებული ნაკრების გაც-

<sup>21</sup> 49 NYLSLR 271; New York Law School Law Review: Bringing Online dispute Resolution to virtual worlds: creating Processes Through Code, 2004-2005.

<sup>22</sup> იხ. იქვე.

<sup>23</sup> იხ. იქვე.

<sup>24</sup> იხ. იქვე.

<sup>25</sup> ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და დავების გადაწყვეტის ცენტრი, <<http://www.umass.edu/dispute>>, [29.08.2004].

<sup>26</sup> *Katsh et al. E., E-Commerce, E-Disputes, and E-Dispute Resolution: In the Shadow of eBay Law*, Ohio St. J. on Disp. Resol., Vol. 15, 2000, 705, 710.

<sup>27</sup> 49 NYLSLR 271; New York Law School Law Review: Bringing Online Dispute Resolution to Virtual Worlds: Creating Processes Through Code, 2004-2005.

<sup>28</sup> იხ. იქვე.

<sup>29</sup> იხ. იქვე.

<sup>30</sup> იხ. იქვე.

<sup>31</sup> იხ. იქვე.

<sup>32</sup> იხ. იქვე.

<sup>33</sup> იხ. იქვე.

ვლას მხარეთა შორის, ვიდრე ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ელექტრონული ფოსტის გამოყენებისას. SquareTrade-ს დადგენილი აქვს, რომ თითქმის ყველა EBay-ს დავა დაახლოებით ათ კატეგორიად შეიძლება დავეყოთ.<sup>34</sup> ეს იძლევა იმ ფორმების შექმნის საშუალებას, რომელსაც ავსებენ მხარეები და ეს ფორმები ნათელყოფს და ხაზს უსვამს ორივე საკითხს: რა ყოფს მხარეებს და რომელი გადანყვეტებია ყველაზე სასურველი მათთვის.<sup>35</sup> სანამ მხარეებს უჩნდებათ თავიანთი ნუხილების თავისივე სიტყვებით გამოხატვის საშუალება, ეს ფორმები და რეზიუმირებული ფორმები, რომელსაც მხარეები აუცილებელი წესით იღებენ, ამცირებს თავისუფალი ტექსტის მოცულობას, რომელშიც აღწერილია ჩივილები და მოთხოვნები; შედეგად, მცირდება გალიზიანება და მტრობა ორ მხარეს შორის.<sup>36</sup>

თავისი განსაზღვრებით, მოლაპარაკება წარმოადგენს ორ მოდავე მხარეს შორის ურთიერთობას, მესამე მხარის დასწრების გარეშე. SquareTrade-ის გზით ვებ-ის გამოყენება ახალ ელემენტს ჰმატებს ტრადიციულ მოლაპარაკებას, როგორცაა მაგალითად, „ვირტუალური დასწრება“.<sup>37</sup> ვებგვერდი, განსაკუთრებით კი გამოყენებული ფორმები, ქმნის წარსულ და მომავალ კომუნიკაციას და ასევე ქმნის გარკვეულ ღირებულებას, რომელიც შესაძლოა სხვაგვარად უზრუნველყოფილი იქნას მედიატორის მიერ.<sup>38</sup> არ არსებობს რაიმე ალგორითმი მუშაობის პროცესში, რომელიც აკეთებს გამომხატურებების ანალიზს და, ამგვარად, ეს არის პირველი ნაბიჯი უფრო რაფინირებული ონლაინ მოლაპარაკებების პროცესისაკენ.<sup>39</sup> ტექნოლოგია კარგად მუშაობს მხარეებთან მოლაპარაკების პროცესში, თუმცა მოლაპარაკებასა და მედიაციას შორის იქმნება უფრო ნაკლებად ნათელი და კლასიკური სხვაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა ონლაინ დავების გადანყვეტის პროტოკოლმა უნდა მოუტანოს სარგებელი ნეიტრალურ მესამე მხარეს (მედიატორს).<sup>40</sup>

როდესაც ვებ-ით წარმოებული მოლაპარაკებები განიცდის წარუმატებლობას, SquareTrade უზრუნველყოფს ადამიანურ რესურსს, მედიატორის სახით, მომსახურებისათვის ოცდოლარიანი გასამრჯელოთი.<sup>41</sup> ვებ-ის ინტერფეისი ისევ გამოყენებაშია, მაგრამ საუბრებს ხელს უწყობს ნეიტრალური მესამე მხარე. ვებ-ის გამოყენება უზრუნველყოფს იმგვარ სტრუქტურასა და ფორმატს, რომელიც მხარეებს აძლევს მონაწილეობის საშუალებას, მათი სურვილის შესაბამისად; ასევე, მედიატორის გამოყენების საშუალებას, რომელიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ ადგილას.<sup>42</sup> EBay-ის მოდელი იძლევა დავების ეფექტურად გადანყვეტის საშუალებას, რომელიც, თავისი განსაზღვრებით, იძლევა მომხმარებლისათვის უფლებამოსილებების მინიჭების შესაძლებლობას.<sup>43</sup>

## ელექტრონული ვაჭრობა

ელექტრონული კომერცია, საზოგადოდ ცნობილი, როგორც ელ-კომერცია, წარმოადგენს ეკონომიკის დარგს, სადაც პროდუქტებისა ან მომსახურებების ყიდვა და გაყიდვა ხორციელდება ელექტრონული სისტემების გამოყენებით, როგორცაა ინტერნეტი და სხვა კომპიუტერული ქსელები.<sup>44</sup> ელექტრონული კომერცია მოიცავს ტექნოლოგიებს, როგორებიცაა მო-

<sup>34</sup> 49 NYLSLR 271; New York Law School Law Review: Bringing Online Dispute Resolution to Virtual Worlds: Creating Processes Through Code, 2004-2005.

<sup>35</sup> იხ. იქვე.

<sup>36</sup> იხ. იქვე.

<sup>37</sup> იხ. იქვე.

<sup>38</sup> იხ. იქვე.

<sup>39</sup> იხ. იქვე.

<sup>40</sup> 49 NYLSLR 271; New York Law School Law Review: Bringing Online Dispute Resolution to Virtual Worlds: Creating Processes Through Code, 2004-2005.

<sup>41</sup> იხ. იქვე.

<sup>42</sup> იხ. იქვე.

<sup>43</sup> იხ. იქვე.

<sup>44</sup> <[http://en.wikipedia.org/wiki/Electronic\\_commerce](http://en.wikipedia.org/wiki/Electronic_commerce)>.

ბილური კომერცია, ფულადი სახსრების ელექტრონული გადარიცხვები, მომარაგების ქსელის მენეჯმენტი, ინტერნეტ მარკეტინგი, ონლაინ ტრანზაქციების პროცესინგი, ელექტრონულ მონაცემთა ურთიერთ გაცვლა (EDI), მარაგების მენეჯმენტის სისტემა და მონაცემთა შეგროვების ავტომატიზირებული სისტემები.<sup>45</sup> თანამედროვე ელექტრონული კომერცია მსოფლიო მასშტაბით მოქმედებს სულ მცირე ერთ მომენტში მაინც იყენებს ტრანზაქციების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, თუმცა მან შესაძლოა მოიცვას ტექნოლოგიების უფრო ფართო სპექტრი, როგორცაა მაგალითად ელექტრონული ფოსტა, მობილური კავშირების სოციალური მედია და ტელეფონები.<sup>46</sup> ელექტრონული კომერცია ძირითადად განიხილება, როგორც ელექტრონული ბიზნესის გაყიდვის ასპექტი.<sup>47</sup> ის ასევე მოიცავს მონაცემთა მიმოცვლასაც, ბიზნეს ტრანზაქციების დაფინანსებისა და გადახდის ასპექტების ხელშეწყობის მიზნით. ელექტრონული კომერცია შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: 1) ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის ბიზნესი ან „ვირტუალური ფასადი“ ვებგვერდებზე, ონლაინ კატალოგებით, რომელიც ზოგჯერ თავს იყრის „ვირტუალურ საფოსტო ყუთში“; 2) დემოგრაფიულ მონაცემთა შეკრება და გამოყენება ვებ-ის კონტაქტების და სოციალური მედიის, ბელექტრონულ მონაცემთა ურთიერთგაცვლის (EDI), „ბიზნესი ბიზნესისათვის“ მონაცემთა გაცვლით, ელექტრონული ფოსტის და ფაქსის საშუალებით, და მათი, როგორც მედიის გამოყენება, პერსპექტიული და ძველი მომხმარებლების ბაზის შექმნისათვის (მაგალითად, ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები).<sup>48</sup> ამ საინფორმაციო ფურცლის ნაწილი ფოკუსირებული იქნება „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ (B2C) კონცეფციაზე.

ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას, არსებობს გარკვეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხები, რომელზე ფოკუსირებაც აუცილებელია ნებისმიერი მთავრობის მიერ რეგულაციების მომზადების პროცესში, დავების გადაწყვეტის მიზნით.<sup>49</sup> ეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხები მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება შემდეგით: 1) „ციფრული უთანასწორობის“ აღმოფხვრა ან ინფორმაციულ ქსელებთან იაფფასიანი და მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 2) ელექტრონული კომერციის ტრანზაქციების სამართლებრივი აღიარება; 3) მომხმარებლების დაცვა თაღლითობისგან; 4) მომხმარებელთა უფლებების დაცვა კონფიდენციალობის თვალსაზრისით; 5) სამართლებრივი დაცვა „უკანონო კომპიუტერული შეღწევისაგან“ ან კომპიუტერულ სისტემებთან არასანქცირებული წვდომისგან; და 6) ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.<sup>50</sup> წარმოდგენილი პოლიტიკის საკითხების რეგულირების მიზნით გასატარებელი ნებისმიერი ღონისძიება უნდა ჯდებოდეს ქვეყნის სამართლებრივ ჩარჩოებში, რომელიც არეგულირებს ელექტრონულ კომერციას.<sup>51</sup> მთავრობებმა უნდა მიიღონ პოლიტიკა, კანონები და ისეთი მასტიმულირებელი ღონისძიებები, რომელიც ფოკუსირებული იქნება ელექტრონული კომერციის მონაწილეებს შორის რწმენასა და ნდობაზე, ასევე რომელიც განავითარებს საერთაშორისო ბაზრების შესაბამის ქვეყნის სტრუქტურას.<sup>52</sup> ეს განხილვები უნდა მოიცავდეს შემდეგს: 1) კონტრაქტის პირობების შესრულება; 2) მომხმარებლის დაცვა; 3) ვალდებულებების გადანაწილება; 4) პირადი ინფორმაციის დაცვა; 5) უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე; და 6) საზღვრებს გარეთ ვაჭრობა.<sup>53</sup>

<sup>45</sup> იხ. იქვე.

<sup>46</sup> იხ. იქვე.

<sup>47</sup> იხ. იქვე.

<sup>48</sup> იხ. იქვე.

<sup>49</sup> <[https://blu172.mail.live.com/default.aspx?id=64855\(2013\)](https://blu172.mail.live.com/default.aspx?id=64855(2013))>.

<sup>50</sup> იხ. იქვე.

<sup>51</sup> იხ. იქვე.

<sup>52</sup> იხ. იქვე.

<sup>53</sup> იხ. იქვე.

## ელექტრონული ვაჭრობის სფეროში არსებული დავების გადაწყვეტის შედარება ამერიკასა და ევროკავშირში

სამწუხაროდ, ბევრმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის (EU) ჩათვლით, წარმატებულად ვერ მოარგეს თავიანთი კანონები ახალ და დამწყებ ელექტრონულ ბაზარს. სწორედ ამან შექმნა ახალი სამართლებრივი წესებისა და საზღვრებს გარეთ (უცხოური) დავების გადაწყვეტის უფრო ეფექტური საშუალებების შექმნის მზარდი საჭიროება, რაც ფართოდ იქნა აღიარებულ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ.<sup>54</sup>

„დღეისათვის არ არსებობს სამართლებრივად ვალდებულების საერთაშორისო პრინციპები, რომელიც მოიცავს პროცედურული უსაფრთხოების ზომებს და რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მართავს ხელმისაწვდომობას, დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობას და ხარჯებს, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) მომსახურების მიზნით „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ (B2C)“<sup>55</sup> შემთხვევებში. ჯერჯერობით, ონლაინ დავების გადაწყვეტის კარგად კონტროლირებადი სისტემის შექმნა და შენარჩუნება, ისევე აღიარებულია ყველა დასავლური ქვეყნების მიერ, როგორც ყველაზე გადამწყვეტი ნაბიჯი ელექტრონულ ბაზარზე მომხმარებელთა ნდობის გაზრდისა და, ამგვარად, ელექტრონული კომერციის საყოველთაო დონის გაზრდაში. მრავალი მცდელობა იქნა მიმართული ნებაყოფლობითი ან „კვაზი-საკანონმდებლო“ პრინციპების გაუმჯობესებისაკენ.<sup>56</sup>

საერთაშორისო დონეზე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) /ელექტრონული კომერციის სახელმძღვანელო/, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციამ (ISO) წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაცია: „ონლაინ დავების გადაწყვეტის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ დავების სამართლიანი, დროული და ეფექტური გადაწყვეტა, მომხმარებელზე ყოველგვარი ნამეტი ან ზედნადები ხარჯების დაკისრების გარეშე“.<sup>57</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ჯგუფს, რომლის წევრები არიან ოცდაათი დემოკრატიული ქვეყანა, უმეტესი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით.<sup>58</sup>

ევროკომისიამ რეგიონალურ დონეზე გამოსცა ორი ანგარიში, რომელთაგანაც ერთი ეხება საზღვრებს გარეთ მომხმარებელთა დავებში არბიტრაჟის გამოყენებას<sup>59</sup>, ხოლო მეორე განიხილავს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დავების გადაწყვეტის ხელშეწყობას<sup>60</sup> (მაგალითად, მედიაციას ავტომატური მოლაპარაკებების გზით, და ა.შ.).<sup>61</sup> ანგარიში, რო-

<sup>54</sup> იხ. მაგალითად, ABA Task Force on Electronic Commerce and Alternative Dispute Resolution, Addressing Disputes in Electronic Commerce, Aug. 2002, <<http://www.abanet.org/dispute/documents/FinalReport102802.pdf>>, (შემდგომში ABA Task Force); Council Regulation (EC) No. 44/2001 of 22 December 2000 on Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Judgments in Civil and Commercial Matters, 2001 O.J. L12/1, (შემდგომში: Brussels Regulation).

<sup>55</sup> OECD Workshop on Consumer Dispute Resolution and Redress in the Global Marketplace, Background Report, 16 (2005), <<http://www.oecd.org/dataoecd/59/21/34699496.pdf>>, [14.10.2008], (შემდგომში OECD Background Report).

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> იხ. იქვე.

<sup>58</sup> OECD Recommendation on Consumer Dispute Resolution and Redress, 2007, 2, <<http://www.oecd.org/dataoecd/43/50/38960101.pdf>>, [13.10.2008]; <<http://www.oecd.org/dataoecd/43/50/38960101.pdf>>, [13.10.2008].

<sup>59</sup> Commission Recommendation of 30 March 1998 (EC) on the Principles Applicable to the Bodies Responsible for Out-of-Court Settlement of Consumer Disputes O.J., L 115, 1998, 32, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:1998:115:0031:0034:EN:PDF>>, [10.10.2008].

<sup>60</sup> Commission Recommendation of 4 April 2001 (EC) on the Principles for Out-of-Court Bodies Involved in the Consensual Resolution of Consumer Disputes, <[http://ec.europa.eu/consumers/redress/out\\_of\\_court/adr/acce\\_just\\_12\\_en.pdf](http://ec.europa.eu/consumers/redress/out_of_court/adr/acce_just_12_en.pdf)>, [10.10.2008], (შემდგომში EC Recommendation Principles).

მელიც არეგულირებს არბიტრაჟის გამოყენებას, მოიცავს შვიდ პრინციპს: „დამოუკიდებლობა; გამჭვირვალობა; შეჯიბრებითი სასამართლო საქმის წარმოება; ეფექტიანობა; თავისუფლება და წარმომადგენლობა.“<sup>62</sup> მეორე ანგარიში, რომელიც არეგულირებს სასამართლოს გარეთ საქმის წარმოებას მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების ხელშეწყობის მიზნით, „მოიცავს ოთხ პრინციპს: მიუკერძოებლობა; გამჭვირვალობა; ეფექტიანობა და პროცედურის სამართლიანობა.“<sup>63</sup>

შვიდი წლის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (FTC) გამოსცა რეკომენდაციები და ყურადღება გაამახვილას სხვადასხვა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების პროცესუალური გარანტიების საჭიროებებზე, ონლაინ დავების გადაწყვეტის (ODR) ჩათვლით.<sup>64</sup> ფედერალური სავაჭრო კომისიის ანგარიში, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ვალდებულებებით დატვირთული და განხორციელებული ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მიერ, გთავაზობს ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემაში პროცესუალური გარანტიების უპირატესი მნიშვნელობის საყოველთაო აღიარებას აშშ-ის მიერ.<sup>65</sup>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ევროკავშირს ელექტრონულ კომერციასა და საზღვრებს გარეთა დავებში გააჩნია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამების ხელშეწყობის ძლიერი პოლიტიკა.<sup>66</sup> 2001 წლის ოქტომბერში, ევრო კომისიამ აამოქმედა მეტად შთამბეჭდავი სისტემა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საზღვრებს გარეთა ელექტრონული კომერციის ტრანზაქციებთან დაკავშირებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის გამოყენებისა და განვითარების ხელშეწყობა – ევროპის სასამართლოს გარეთა ქსელი (EEJ-Net).<sup>67</sup> EEJ-Net-მა მოსთხოვა მონაწილე წევრ ქვეყნებს, უზრუნველყოთ ცენტრალიზებული „საკლირინგო პალატა“, სადაც მომხმარებლები შეძლებდნენ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციისა და მხარდაჭერის მიღებას.<sup>68</sup> 2005 წლის იანვარში, მონაწილე სახელმწიფოების ეს ქსელი შეერწყა „ევროპის მომხმარებელთა ცენტრებს“, სახელად „Euroguichet“, „ევროპის მომხმარებელთა ცენტრების ქსელის“ (EEC-Net) ფორმირების მიზნით, „რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ევროპული მომხმარებლების უზრუნველყოფა მომსახურებების სრული სპექტრით, ინფორმაციული საშუალებებისა და დავების გადაწყვეტის ჩათვლით.“<sup>69</sup> იმისათვის, რომ იყო „ევროპის მომხმარებელთა ცენტრების ქსელის“ ნაწილი, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პროცესუალური გარანტიები, რომელიც გამოკვეთილად აღნიშნული ორ ზემოხსენებულ ევრო კომისიის რეკომენდაციაში დავების გადაწყვეტის თაობაზე.<sup>70</sup>

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მიიღო მსგავსი კამპანია, მიუხედავად ფედერალური სავაჭრო კომისიის რეკომენდაციისა, „ხელი შეეწყოთ ინიციატივისათვის, მომხმარებლების უკეთ ინფორმირების მიზნით“.<sup>71</sup> ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია (ABA), სავარაუდოდ,

<sup>61</sup> იხ. Tyler M. C., Bretherton D., *Seventy-Six and Counting: An Analysis of ODR Sites*, 2003, 6-7, <<http://www.odr.info/unece2003/pdf/Tyler.pdf>>, [10.10.2008] (ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში სხვადასხვა ონლაინ დავების გადაწყვეტის ვებგვერდების მიერ გამოყენებული დავების გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდების ნომენკლატურა).

<sup>62</sup> OECD Background Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, at 16.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> Federal Trade Commission, *Consumer Protection in the Global Electronic Marketplace*, <<http://www.ftc.gov/bcp/icpw/lookingahead/lookingahead.shtm>>, [16.10.2008] [hereinafter FTC Report].

<sup>65</sup> იხ. Savage C. A., *Culture and Mediation: A Red Herring*, Am. U. J. Gender & L. 269, Vol. 5, 1996, 291.

<sup>66</sup> OECD Background Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, at 19-20.

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> იქვე, 20.

<sup>69</sup> იხ. იქვე.

<sup>70</sup> იხ. იქვე, 16.

<sup>71</sup> FTC Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 25.

ყველაზე გულწრფელი კერძო ორგანიზაცია იყო, რომელიც აღიარებდა ელექტრონულ კომერციაში ჩართულ მომხმარებელთა განათლებისა და დაცვის საჭიროებას. 2002 წელს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ გამოსცა რეკომენდაციათა პაკეტი: „ონლაინ დავების გადანყვეტის მომსახურების პროვაიდერების მიერ მომზადებული რეკომენდებული მონინავე პრაქტიკები“, რომელშიც ასოციაცია შეეხო მომხმარებელთათვის და ბიზნესებისათვის მრავალი ინფორმაციული სტრუქტურების ნაკლებობას, რითაც მეტად დასაბუთდა ელექტრონული კომერციისა და ონლაინ დავების გადანყვეტის – როგორც ერთ-ერთი „ყველაზე დიდი პრობლემის“ ელექტრონული კომერციის დავების გადანყვეტაში – ალტერნატივების საჭიროება.<sup>72</sup>

ონლაინ დავების გადანყვეტის სისტემის სარგებლები და ნაკლოვანებები განხილულ იქნა აკადემიური ჟურნალის სტატიებში, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში, როგორცაა, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), და სხვადასხვა მომხმარებელთა დაცვის ჯგუფების კვლევებში, რომელთაგანაც მხოლოდ მცირეოდენის დასახლება შეგვიძლია. ონლაინ დავების გადანყვეტის უპირატესობები მოიცავს ხარჯების შემცირებას და ხელსაყრელ პირობებს, უკეთეს კომუნიკაციასა და კომპლექსური საკანონმდებლო საკითხების თავიდან აცილებას.<sup>73</sup> უპირატესობათაგან, ხარჯების შემცირება და ხელსაყრელი პირობები ყველაზე მეტად ნათელია.<sup>74</sup> ხარჯების დაზოგვის სარგებელი წარმოიშობა ისეთი ფაქტორების საჭიროების ნაკლებობიდან, როგორცაა ოთახის ქირაობა, მოგზაურობა, გადასახადი დამგეგმავი კოორდინატორისათვის ან ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული გადასახადის გადახდა „პირისპირ“ მედიაციისათვის ან სხვა დავების ალტერნატიული გადანყვეტის (ADR) მომსახურებისათვის.<sup>75</sup> მხარეებს, რომელთაც გააჩნიათ კომპიუტერები, თავიანთი სახლის დატოვებაც კი არ ესაჭიროებათ, ხოლო თუ არ გააჩნიათ კომპიუტერი, მაშინ შესაძლებელია კომპიუტერთან წვდომის მიღწევა მცირე გადაადგილების შემდეგ.<sup>76</sup> ასევე, ონლაინ დავების გადანყვეტა პოტენციურად უზრუნველყოფს უკეთეს კომუნიკაციას.<sup>77</sup> ის უზრუნველყოფს მხარეებს თავიანთი კომუნიკაციის რედაქტირების შესაძლებლობით „პირისპირ“ მედიაციაში იმპულსური გამომხაურების საპირისპიროდ.<sup>78</sup> საბოლოო ჯამში, არ არის საჭირო ვიდარდოთ იმის თაობაზე, თუ რომელ სასამართლოს ექნება დავების წარმოების კომპეტენცია.<sup>79</sup> მოდავე მხარეები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებებს შეთანხმების ფარგლებში, შესაბამისად, სამართლებრივი საკითხები თავიდან შეიძლება იქნას აცილებული.<sup>80</sup> საპირისპიროდ, ონლაინ დავების გადანყვეტას ასევე გააჩნია რიგი არგუმენტირებული ნაკლოვანებები.<sup>81</sup> ონლაინ დავების გადანყვეტა საუკეთესოდ ერგება დავების ლიმიტირებულ დიაპაზონს.<sup>82</sup> ეს საკითხები შეზღუდულია ფულად კომპენსაციასთან ან საქონლის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში.<sup>83</sup> ამასთან, მხარეებს არასოდეს არ გააჩნიათ მედიატორთან პირადი კავშირის დამყარების საშუალება და, შესაბამისად, არ უყალიბდებათ ნდობა მედიატორის მიმართ.<sup>84</sup> ზოგიერთ სწავლულს ასევე სწამს, რომ თუ ეს მომსახურებები

<sup>72</sup> ABA Task Force, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 4, 26-27-ზე.

<sup>73</sup> 5 APPALJL 275, Appalachian Journal of Law: FUSSES THAT FIT ONLINE: ONLINE MEDIATION IN NON-COMMERCIAL CONTEXTS, Spring 2006 (292).

<sup>74</sup> იხ. იქვე.

<sup>75</sup> იხ. იქვე.

<sup>76</sup> იხ. იქვე.

<sup>77</sup> იხ. იქვე.

<sup>78</sup> 5 APPALJL 275, Appalachian Journal of Law: Fusses That Fit Online: Online Mediation in Non-commercial Context, Spring, 2006, 292.

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> 27 JMARCIL 81, John Marshall Journal of Computer & Information Law: Virtual Venues: Improving Online Dispute Resolution as an Alternative to Cost Intensive, Fall, 2009, 82.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> იხ. იქვე.

<sup>84</sup> იხ. იქვე.

არ იქნება უფასო, ამგვარი მომსახურებები მიმზიდველი არ იქნება დაკავშირებული ხარჯების გამო.<sup>85</sup> ამასთან ერთად, შესაძლოა უფრო რთული აღმოჩნდეს მონაწილეთა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.<sup>86</sup>

მიუხედავად ცოდნისა და ლიტერატურის უზარმაზარი მოცულობისა, ღირს აღინიშნოს დებატების ორივე მხარის რიგი ცნობილი და დამარწმუნებელი არგუმენტი. ობიექტური იდეების განხილვა სასარგებლოა ამ აშკარა დილემური საკითხის გადაწყვეტის ძიებისას – სახელდობრ, როგორ შეიძლება შეიქმნას ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემა ისე, რომ სარგებლები იყოს აქცენტირებული, ხოლო ნაკლოვანებები დამცირებული, იმავდროულად, იყოს იმდენად უნივერსალური, რომ ორივე – ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი შეთანხმდნენ მის საიმედოობაზე და გამოყენებაზე?<sup>87</sup>

რამდენადაც ონლაინ დავების გადაწყვეტა წარმოადგენს საზღვრებს გარეთ ელექტრონული კომერციის დავებთან მიმართებაში თეორიულ ლიდერს, ადგილი აქვს აკადემიური კვლევების სიმრავლეს, რომელიც ხოტბას ასხამს დავების გადაწყვეტის ამ ახალ ფორმას.

ონლაინ დავების გადაწყვეტა, ზოგადად, განდიდებულია თავისი ეფექტურობის და რენტაბელობის გამო, ასევე, ღარიბი ჯგუფების მიერ სამართლებრივ სისტემასთან ხელმისაწვდომობის გაზრდის უნარის გამო.<sup>88</sup> ონლაინ დავების გადაწყვეტის სარგებელი უფრო ადვილად და გასაგებად განმარტებულია ონლაინ დავების გადაწყვეტის შედარებისას ტრადიციულ სასამართლო საქმის წარმოებასთან. ონლაინ დავების გადაწყვეტა უგულვებლყოფს რიგ დამამძიმებელ სამართლებრივ წესებს, ტრადიციული სასამართლო პროცესის სიხისტესა და დროით ფაქტორებს, სულ მცირე, მედიაციისა და მოლაპარაკებების ნებაყოფლობით ფორმების შემთხვევაში, ასევე, სამართლებრივი ნორმების პრობლემური კონფლიქტის საკითხებთან მიმართებაში.<sup>89</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში, პერსონალური სამართლებრივი საკითხებისთვის დამახასიათებელი ორაზროვნება, როგორცაა „მინიმალური კონტაქტი“ და „გამიზნული სარგებელი“, აღმოფხვრილია ონლაინ დავების გადაწყვეტის საშუალებით.<sup>90</sup> ამის მსგავსად, ევროკავშირის შეშფოთება ბიზნესებსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტული მოლაპარაკებების გამჭვირვალობასა და სამართლიანობასთან დაკავშირებით, ასევე, ვრცელდება დავების გადაწყვეტის პროცესზეც.<sup>91</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო კონფერენცია დამატებით ძალას შეჰმატებს ალტერნატიული დავების ონლაინ გადაწყვეტას, გამონაკლისის გარეშე, ადგილი ექნება რიგი სიგნალების დაკარგვას „პირისპირ“ მეთოდის გამოყენებისას. შემცირებული საკომუნიკაციო სიგნალები ქმნის გაძლიერებულ გაურკვეველ ატმოსფეროს; ხოლო ამ გაზრდილმა გაურკვეველობამ შესაძლოა შედეგად მოგვცეს შეცდომების გაზრდა – სადაც ერთი მხარე არასწორად განუმარტავს მეორე მხარეს და მეორე მხარეს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, რომ მათ გააჩნიათ ბოროტი ზრახვები. სხვა მხრივ, „პირისპირ“ კომუნიკაციის არარსებობას გააჩნია ასევე თავისი უპირატესობებიც. შემცირებული ვიზუალური კომუნიკაციის სიგნალები საშუალებას აძლევს მხარეებს, ფოკუსირება მოახდინონ უფრო არსებით საკითხებზე, რითიც თავიდან აიცილებენ ვიზუალური ან აუდიო კონტაქტით მიღებულ ნეგატიურ ემოციებს და შეამცირებენ ემოციური

<sup>85</sup> იხ. იქვე.

<sup>86</sup> იხ. იქვე.

<sup>87</sup> იხ. იქვე, 31.

<sup>88</sup> იხ. მაგალითად, *Gibbons L. J., Creating a Market for Justice; A Market Incentive Solution to Regulating the Playing Field: Judicial Deference, Judicial Review, Due Process, and Fair Play in Online Consumer Arbitration*, 23 *Nw. J. Int'l L. & Bus.*, Vol. 23, N.: 1, 2002, 4-5; *Alboukrek*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 3, 425.

<sup>89</sup> *Gibbons*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 37, 4.

<sup>90</sup> იხ. მაგალითად, *Shaffer v. Heitner*, 433 U.S. 186, 216, 1977; *Int'l Shoe Co. v. Washington*, 326 U.S. 310, 320, 1945.

<sup>91</sup> იხ. *Ponte L. M., Boosting Consumer Confidence in E-Business: Recommendations for Establishing Fair and Effective Dispute Resolution Programs for B2C Online Transactions*, *Alb. L.J. Sci. & Tech.*, Vol. 12, 441, 456 (მომხმარებლის დაცვის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიდგომების განსხვავებების განხილვა).

სტრესის საერთო დონეს, რაც ასე ნიშანდობლივია კონფლიქტის გადაწყვეტაში. თუმცა, დავე-ბის გადაწყვეტის მეთოდების ფართო სპექტრის ფარგლებში, არ არის ადვილი იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელ მეთოდს გააჩნია „პირისპირ“ კომუნიკაციის ნაკლებობით გამოწვეული ნაკლოვანებების აქცენტუალიზაციის ან შემცირების ტენდენცია. ნებისმიერ შემთხვევაში, ონლაინ დავების გადაწყვეტის სამი სარგებელი – ეფექტურობა, რენტაბელობა და საკანონ-მდებლო სისტემასთან გაზრდილი ხელმისაწვდომობა – და ორი ხელის შემშლელი ფაქტორი – კომპრომენტირებული პროცედურული და არსებითი სავალდებულო სამართლებრივი პროცე-დურები და შემცირებული საკომუნიკაციო სიგნალები – ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთე-ბულ შტატებსა და ევროკავშირს შორის რაციონალურ შეთანხმებას სპეციფიკურ დეტალებ-თან დაკავშირებით. თუმცა, ონლაინ დავების გადაწყვეტის სარგებელი და ნაკლოვანებები თა-ვისთავად სუსტია განსხვავებული წესების, პრაქტიკების და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის მომხმარებელთა დაცვის ზოგადი თეორიის საფუძვლიანი განხილვე-ბისა და ანალიზის მნიშვნელოვნებასთან შედარებით.

ონლაინ დავების გადაწყვეტა, ასევე, უზრუნველყოფს დროის დაზოგვის რიგ პროცედუ-რულ სარგებლებს; მას ასევე გააჩნია სამართლებრივ სისტემასთან გაზრდილი ხელმისაწვდო-მობის გაცხადებული უპირატესობა, ხარჯების მკვეთრად შემცირების გზით. ონლაინ დავების გადაწყვეტის მომსახურების ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მედიაციის საშუალებით ურ-თიერთშეთანხმების მიღწევის მიზნით აბრიტრაჟისათვის დავის გადაცემასთან ან მხარეთათვის ფორუმის უზრუნველყოფასთან, ნამოადგენს ნამდვილად უმნიშვნელო წვრილმანს, ძვირადღი-რებულ სასამართლო საქმის წარმოებასთან შედარებით, განსაკუთრებით საერთაშორისო ფო-რუმში.<sup>92</sup> თუმცა ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ონლაინ დავების გადაწყვეტას არ ახასიათებს პრობლემები, რომელიც მოიცავს შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს, მოდავე მხარეთა დაფინანსებასა და მათ მოზიდვას ონლაინ დავების გადაწყვეტის პროცესზე.

## შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა

ონლაინ დავების გადაწყვეტის მომხმარებლები არიან წარსული ან არარეგულარული მყიდველები, მაშინ, როდესაც ბიზნესები წარმოადგენენ განმეორებით მოთამაშეებს, ურთი-ერთობენ რა მრავალ საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერ მოცემულ დროს.<sup>93</sup> ეს ზრდის დისბა-ლანსს, სადაც ბიზნესები აკეთებენ უფრო საფუძვლიან არჩევანს, ვიდრე მომხმარებლები. ამ მიზეზით, უმჯობესი იქნებოდა, თუ გარეშე ორგანოები დაანესებდნენ სტანდარტებს, რომე-ლიც უზრუნველყოფდა პროცედურულ სამართლიანობას „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ (B2C) პროცესებში.<sup>94</sup> უნდა აღიარებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის უფ-ლებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მომხმარებლებს ესაჭიროებათ იმის შეგრძნება, რომ მათი უფლებებიც აღიარებული და დაფასებულია.<sup>95</sup> აქედან გამომდინარე, შესაბამისი სამარ-თლებრივი პროცედურების მოთხოვნები და ურთიერთბალანსი უზენაესია მაშინ, როდესაც არსებობს ძალათა დისბალანსი მოდავე მხარეებს შორის.<sup>96</sup> ამ მიმართებით, მხედველობაში უნ-და იქნეს მიღებული მთავარი პროცედურული საკითხები: მიუკერძოებლობის საჭიროება, მე-სამე ნეიტრალური მხარის შერჩევა, წარმომადგენლობა ინკვიზიტორ პროცედურებში და ონ-ლაინ დავების გადაწყვეტის პროვაიდერების ზედამხედველობა.<sup>97</sup> სასამართლო მორიგების ან

<sup>92</sup> Gibbons, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 37, 4-5-ზე.

<sup>93</sup> Rule (2002) იგივე წყაროდან 237. დავების გადაწყვეტის პროცესებში აღქმის მნიშვნელობის შესახებ, იხილეთ Fisher R., Ury W., Patton B., Getting to YES: Negotiating Agreement Without Giving In, 2<sup>nd</sup> ed., London, Random House Business Books, 1999, 22-30. ჩამოტვირთულია შემდეგი ბმულიდან: <ijlit.ox-fordjournals.org>, ლეიჩესტერის უნივერსიტეტში, ოქტომბერი 13, 2010.

<sup>94</sup> იხ. იქვე.

<sup>95</sup> იხ. იქვე.

<sup>96</sup> იხ. იქვე.

<sup>97</sup> იქვე.



თვით-ზეგავლენის მექანიზმები ასევე აუცილებელია ონლაინ დავეების გადანყვეტის მომსახურების წარმატებისათვის.<sup>98</sup>

ონლაინ დავეების გადანყვეტის ყველაზე თანმიმდევრული და დამარწმუნებელი კრიტიკა, შესაბამისად, წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების არგუმენტები ამკარად ძალზედ მნიშვნელოვანია ტრადიციული სამართლებრივი სისტემის ნებისმიერი შეთავაზებული მოდიფიკაციებისა ან ალტერნატივების ღირებულებებისა და ნაკლოვანებების შეფასებისას. მოსაზრებები „შესაბამის სამართლებრივ პროცედურებთან“ დაკავშირებით, მხარეთა კონფრონტაციისა და მოწმეების, ასევე, ნაფიც მსაჯულთა მიერ გასამართლების უფლების და მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობის ჩათვლით, ყველა ეს წარმოდგენს ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის მახასიათებლებს, რომელიც შესაძლოა შეიღებოს ონლაინ დავეების გადანყვეტის სისტემის მიერ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, იყენებს ცალკეულ გადანყვეტილების მიმღებებს და უარყოფს დახმარებისათვის მიმართვას ან სამართლებრივ ზედამხედველობას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.<sup>99</sup> შესაძლოა მიმზიდველი იყოს ამ ტიპის გამონკვევების ჩამონერა, მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დროისა და ფულადი სახსრების დაზოგვის სარგებლებისა; მაგრამ, ამ პრინციპის სრულყოფილად უარყოფამ – რომელიც ასე მყარადაა გამჯდარი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წყობილებაში – შესაძლოა ბუნდოვანი გახადოს გადანყვეტის ძიების ძირითადი არსი, რომელსაც, შესაძლოა, ორივე დაეთანხმოს. ევროკავშირში სავალდებულო საარბიტრაჟო დებულების შემცველი კონტრაქტების ავტომატური ანულირების პრაქტიკის პირობებში, არსებობს ონლაინ დავეების გადანყვეტის სისტემის შექმნის საჭიროება, რომელიც არის როგორც კლიენტებისადმი კეთილგანწყობილი, ისე შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ტრადიციული სასამართლო სისტემის პროცესუალურ გარანტიებს. ფაქტობრივად, ევრო კომისიამ ნათელი გახადა, რომ ის არ დაუჭერს მხარსდავეების ალტერნატიული გადანყვეტის სისტემას, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა დავეების ალტერნატიული გადანყვეტის საშუალებები იყოს გამოყენებული, საქმის სასამართლოსთვის გადაცემამდე.<sup>100</sup> გარდა სავალდებულო დავეების გადანყვეტის საკითხებისა და არსებითი სამართლიანობისა ონლაინ დავეების გადანყვეტის პროგრამებში, ონლაინ დავეების გადანყვეტის სხვა შორსმჭვრეტელი და დამაჯერებელი კრიტიკა უკავშირდება ადამიანური ხასიათისა და პოტენციური უთანხმოების ფუნდამენტალურ საკითხებს.<sup>101</sup>

## დაფინანსება

პირველი იდენტიფიცირებული გამონკვევა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ონლაინ დავეების გადანყვეტა „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ (B2C) სფეროში, არის ონლაინ დავეების გადანყვეტის მომსახურების პროვაიდერების შექმნისა და შენარჩუნების დაფინანსების უზრუნველყოფა, მათი მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ჩათვლით. კერძო დაფინანსებამ შესაძლოა უზრუნველყოს საკმარისი შემოსავალი, მაგრამ მას შეუძლია, ასევე, რისკის ქვეშ დააყენოს ონლაინ დავეების გადანყვეტის მომსახურების პროვაიდერების დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით კი “ბიზნესი მომხმარებლისათვის” ტრანზაქციებში, სადაც ცალმხრივი გადასახადების მოდელი, ზოგადად, მიღებული გზაა მომხმარებელთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის.<sup>102</sup> იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მიკერძოებულობის განცდა, Katsh და Rifkin შემო-

<sup>98</sup> იხ. იქვე.

<sup>99</sup> *Martin M. Sh.*, Keep it Online: The Hague Convention and the Need for Online Alternative Dispute Resolution in International Business-to-Consumer E-Commerce, B.U. Int'l L.J., Vol. 20, 2002, 125, 157.

<sup>100</sup> *Thornburg E. G.*, Going Private: Technology, Due Process, and Internet Dispute Resolution, U.C. Davis L. Rev., Vol. 34, 2000, 151, 153.

<sup>101</sup> *Tyler & Bretherton*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 6, 208.

<sup>102</sup> Consumers International (2001) იმავე წყაროდან.

თავაზებით, ონლაინ დავეების გადანყვეტის პროვაიდერმა ნათლად უნდა განაცხადოს ბიზნესიდან რაიმე დაფინანსების შესახებ.<sup>103</sup> გამჭვირვალობა უნდა გაიზარდოს სხვა მექანიზმების გამოყენებითაც, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის, ასეთი მექანიზმებია – საჩივრების მართვის სისტემები პროცედურების დარღვევის შემთხვევებისთვის.<sup>104</sup>

დავეების გადანყვეტის პრაქტიკის ყველაზე მეტად ეთიკური ნესების მიხედვით დავეების გადანყვეტის პროცესთან დაკავშირებული გადასახადი არ უნდა იყოს დამოკიდებული საქმის შედეგზე. მაგალითად, მედიატორის ქმედებებმა შესაძლოა ადვილად განიცადოს ზეგავლენა ასეთი პირობითი კომპენსაციის არსებობისას, რასაც შედეგად მოაქვს უსამართლო გარიგება ან ერთი მხარის მოლოდინების შემცირება სწრაფ დარეგულირებასთან დაკავშირებით.<sup>105</sup> თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მატერიალურმა მასტიმულირებელმა ფაქტორებმა შესაძლოა შექმნას პრობლემა ადამიანის მიერ მართული ონლაინ დავეების გადანყვეტის პროცესის ნეიტრალიტეტისას; იგივე არაობიექტური ფაქტორები ვერ იჩენს თავს ისეთ ონლაინ დავეების გადანყვეტის პროცესში, სადაც ხდება ავტომატური პროცესების გამოყენება, მაგალითად, როგორცაა Cyber Settle.com.<sup>106</sup>

თუ ონლაინ ბიზნესისათვის მიჩნეულია, რომ ონლაინ დავეების გადანყვეტის გამოყენება აუცილებელია პროცესის განვითარებისათვის, შესაბამისად ბიზნესი მოახდენს მის სუბსიდირებას. სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე EBay-ს შემთხვევაში, რომელმაც დააფინანსა შქუარე თრადე თავისი ონლაინ აუქციონებისადმი ნდობის გაზრდის მიზნით. “Consumers International” ამტკიცებს, რომ ონლაინ დავეების გადანყვეტის მომსახურება უნდა მოწოდებული იყოს უფასოდ ან ზომიერი საფასურის სანაცვლოდ. ნესი გვთავაზობს დაბალი გადასახადის დაწესებას, უსაფუძვლო და არასერიოზული საჩივრების თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ ის გვაფრთხილებს, რომ თუ გადასახადი იქნება ძალიან მაღალი, მხარეებმა შესაძლოა არ გამოიყენონ ონლაინ დავეების გადანყვეტა.<sup>107</sup> უსაფუძვლო საჩივრები ასევე შეიძლება იქნეს თავიდან აცილებული ადმინისტრაციული გადასახადის დაწესებით, რომელიც შეიძლება იყოს დაბრუნებადი, თუ მომხმარებელი მთლიანად ან ნაწილობრივ წარმატებას მიაღწევს.

ზოგიერთი წარმატებული ონლაინ დავეების გადანყვეტის პროვაიდერები, როგორცაა ავსტრიული „ინტერნეტ ომბუდსმენი“, სარგებელს იღებს სახელმწიფო დაფინანსებიდან.<sup>108</sup> ამ გზით თავიდან აცილებულია კერძო ფინანსური მხარდაჭერის უარყოფითი გავლენა; ამასთან, შედეგად შეიძლება მივიღოთ მძიმე ტვირთი გადასახადის გადამხდელთათვის.<sup>109</sup> ზოგიერთი სამართლებრივი დავეების გადანყვეტა აღქმულია, როგორც აუცილებელი სახელმწიფო მომსახურება. ამის კარგი მაგალითი არის ესპანეთი, სადაც კანონი კრძალავს დავეების გადანყვეტის მომსახურების ოპერაციების განხორციელებას მოგების მიღების მიზნით.<sup>110</sup> თუმცა, ეს მიდგომა აფერხებს კერძო ონლაინ დავეების გადანყვეტის ინსუსტრიის განვითარებას. შესაძლოა არგუმენტირებულად დავადასტუროთ, რომ მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ონლაინ დავეების გადანყვეტის მომსახურება, როგორც ელექტრონული კომერციის ფორმა, შესაძლოა დაშვებულ იქნას გამჭვირვალე მომსახურების მოწოდების მთელი პერიოდის განმავ-

<sup>103</sup> *Katsh and Rifkin*, 2001, op. cit. 41.

<sup>104</sup> Consumers International, 2001, ციტირებული.

<sup>105</sup> *Rule C.*, Online Dispute Resolution for Businesses, B2B, E-Commerce, Consumer, Employment, Insurance, and Other Commercial Conflicts, San Francisco, Jossey Bass, 2002, 58.

<sup>106</sup> იგივე წყაროდან, <<http://www.cybersettle.com>>.

<sup>107</sup> *Rule*, 2002, ციტირებული 119 და 294. United Nations Conference on Trade and Development, ‘Online Dispute Resolution: E-Commerce and Beyond’ in E-Commerce and Development Report, 2003, 190.

<sup>108</sup> დამატებით ინფორმაციისთვის იხ. *Hörnle*, 2009, ციტირებული 76.

<sup>109</sup> *Hill*, 2008, ციტირებული, 318 და 391.

<sup>110</sup> იხ. Ley 44/2006 of 29 December of Consumer Protection; Ley 7/1998 of 13 April of General Conditions and Clauses for Consumer Contracts, Ley 60/2003 of 23 December of Arbitration, Real Decreto (Royal Decree, RD) 636/1993 of 3 May 1993 of the Consumer Arbitration System, RD 231/2008 of 15 February of the Consumer Arbitration System.

ლობაში, რასაც მეთვალყურეობას გაუნეცს სახელმწიფო ორგანოები. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, როდესაც ონლაინ დავების გადაწყვეტის მომსახურება გამოიყენება მხარეთა შორის დავების გადაწყვეტისათვის, მოლაპარაკების წარმოების არათანაბარი ძალების პირობებში („ბიზნესი მომხმარებლისათვის“ დავები) და იმ შემთხვევაში, თუ დავების გადაწყვეტის ხარჯი (და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა) შემცირებულია რენტაბელური ონლაინ დავების გადაწყვეტის პროცესის მიღების მიზნით.

### მომხმარებელთა მოზიდვა

სხვა ონლაინ დავების გადაწყვეტის ძირითადი იდენტიფიცირებადი გამოწვევა არის მხარეთა დარწმუნება, ენდონ და გამოიყენონ ონლაინ დავების გადაწყვეტის მომსახურება.<sup>111</sup> მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური პირი წარადგენს საჩივარს ონლაინ დავების გადაწყვეტის მომსახურებაზე, რომელიც არ არის კავშირში მეორე მხარესთან, რეალური გამოწვევა არის მხარის დარწმუნება, მიიღონ მონაწილეობა პროცესში.<sup>112</sup> ეს განსაკუთრებით რთულია, როდესაც არსებობს ძალთა დისბალანსი მხარეთა შორის. მონაწილეობა ასევე შესაძლოა ცვალებადობდეს, რაც დამოკიდებულია შერჩეულ ონლაინ დავების გადაწყვეტის პროცედურაზე.<sup>113</sup> არბიტრაჟის შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა ჩართულობის მიღწევა, რადგან მხარეები თანხმდებიან დავის წარმოქმნამდე.

თუმცა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი პრობლემები ევროკავშირის ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება აუცილებელი არბიტრაჟი, ან თუ იქნება სავალდებულო მხოლოდ ბიზნესისათვის და არა მომხმარებლისათვის.<sup>114</sup> მედიაციის შემთხვევაში, ნაკლებად პრობლემატური იქნებოდა მხარეთა მონაწილეობის მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი დისბალანსი მხარეთა შორის, ასევე, სადაც არსებობს ურთიერთობის შენარჩუნების ინტერესი და როდესაც დავა არ არის გადაჭარბებულად კონფრონტაციული. დამატებითი მასტიმულირებელი ფაქტორები შესაძლოა შეიქმნას მხარეთა მონაწილეობის ნახალისების მიზნით. EBay-ში, მაგალითად, მყიდველთა უკუკავშირი სტიმულს აძლევს გამყიდველს, მიიღოს მონაწილეობა, მაშინ, როდესაც გამყიდველს სურს თავიდან აიცილოს ნეგატიური მიმოხილვები. ასევე, შუამავლებს, როგორებიც არიან ადვოკატები, მომხმარებელთა ორგანიზაციებს და სავაჭრო პალატებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ მხარეთა მიერ შერჩეული დავების გადაწყვეტის მექანიზმების ტიპზე.<sup>115</sup>

Katsh და Rifkin-ის თვალსაზრისით ბიზნესებს შესაძლოა ჰქონდეთ არასასურველი განწყობა ონლაინ დავების გადაწყვეტის შეთავაზებისადმი იმ შემთხვევაში, თუ მათი მომხმარებლები განმარტავენ, რომ დავების წარმოშობას ხშირად აქვს ადგილი.<sup>116</sup> ისინი გვთავაზობენ, რომ ონლაინ დავების გადაწყვეტამ შესაძლოა გაზარდოს ნდობა საქმის წარმოებისას, თუ მომხმარებლები იქნებიან კარგად ინფორმირებულები არა მხოლოდ თავიანთ უფლებებზე, არამედ დარწმუნდებიან, რომ მათ ასევე გააჩნიათ ამ უფლებების გაძლიერების მექანიზმები.<sup>117</sup> ნდობის ფაქტორის უზრუნველყოფის მიზნით, ონლაინ დავების გადაწყვეტის პროცესს ესაჭიროება შესაბამისი რეკლამირება. ონლაინ დავების გადაწყვეტა, ხშირ შემთხვევაში, შეთავაზებულია წევრი პროგრამების კონტექსტში – ასე მაგალითად, Trustmark. მოვაჭრეები, ძირითადად,

<sup>111</sup> იხ. Recommendation (1998) ციტირებული, VI principle of liberty. იხ., ასევე, Annex [q] Directive 1993/13/EC.

<sup>112</sup> იხ. იქვე.

<sup>113</sup> იხ. Recommendation (1998) ციტირებული, VI principle of liberty, იხ., ასევე, Annex [q] Directive 1993/13/EC.

<sup>114</sup> იხ. იქვე.

<sup>115</sup> Ramsay I., ‘Consumer Redress and Access to Justice’ in International Perspectives on Consumers’ Access to Justice, Cambridge University Press, New York, 2006, 34.

<sup>116</sup> Katsh და Rifkin, 2001, ციტირებული 87.

<sup>117</sup> იმავე წყაროდ ან იხ. ასევე, Katsh E., ‘Online Dispute Resolution: Designing New Legal Processes for Cyberspace’ Proceedings of the WebSci’ 09: Society On-Line, 18-20 March 2009, Athens, Greece, 3.

ნებაყოფლობით წევრიანდებიან ამ სქემებში, მომხმარებელთა ნდობის გაზრდის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ონლაინ დავების გადაწყვეტის მიზანი არ არის მხოლოდ დავების გადაწყვეტა, არამედ ასევე ელექტრონულ კომერციაში მომხმარებელთა ნდობის გაზრდა.<sup>118</sup>

ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელექტრონულ კომერციას შორის სხვაობა ევროკავშირის მიერ ხასიათდება, როგორც უფრო მომხმარებლის დაცვაზე ორიენტირებული, აშშ-თან შედარებით.<sup>119</sup> მაშინ, როდესაც აშშ განიზრახავს ისეთ საკითხებზე კონცენტრირებას, როგორცაა თაღლითობა და კიბერ დანაშაული,<sup>120</sup> ევროკავშირმა აამოქმედა ბევრი თავისი პოლიტიკის ინიციატივები, ელექტრონულ ბაზარზე მომხმარებელთა ნდობის შექმნის გზით ელექტრონული კომერციის საერთო დონის გაზრდის საბოლოო მიზნის მისაღწევად.<sup>121</sup> სხვა სიტყვებით, აშშ ცდილობს მიიყვანოს კიბერ კრიმინალები სასამართლომდე, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ცდილობს მოიპოვოს მომხმარებელთა ნდობა, ამ მიზნისკენ ნათლად მიმართული პოლიტიკის საშუალებით. ერთი შეხედვით, ვლინდება, რომ აშშ და ევროკავშირი აღწევენ ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილს, მხოლოდ სხვადასხვა გასასვლელების საშუალებით; ორივე იცავს მომხმარებლებს, მაგრამ ერთი ირჩევს ამის გასაკეთებლად შემდეგ გზას, იჭერს „მტაცებელს“, რომელიც თაღლითობს ინტერნეტში არალეგალურად; ხოლო მეორე ასრულებს პროცესს პირდაპირი პოლიტიკის ინიციატივებით. თუმცა, ორი სისტემის მარტივმა შედარებამ გამოავლინა ღრმად გამჯდარი კულტურული სხვაობები ინტერნეტის რეგულაციებთან, კონტრაქტის ფორმირებისა და საიმედოობის პრინციპებთან და, რა თქმა უნდა, ელექტრონული კომერციის პოლიტიკებთან მიმართებაში.

ამერიკის პოლიტიკა, ზოგადად, ელექტრონულ კომერციასთან და მომხმარებელთა დაცვასთან მიმართებაში, საუკეთესოდ შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც პრო-ბიზნესი, თვით რეგულირებული და მინიმალისტური.<sup>122</sup> ევროკავშირისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობს უფრო მეტად ელექტრონული ბიზნესისათვის მასტიმულირებელი ფაქტორების უზრუნველყოფის პროგრამას, დავების გადაწყვეტის პროცედურების შეთავაზების გზით, და არ ახდენს მომხმარებელთა მკაცრად დაცული უფლებების შესახებ საჯარო განცხადებებს. ეს მიდგომა ნარჩუნდება მომხმარებელთა საჩივრების, მომხმარებელთა უფრო მეტი დაცვის საჭიროების შესახებ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის<sup>123</sup> და ფედერალური ვაჭრობის კომისიის საერთაშორისო განცხადებების მიუხედავად.<sup>124</sup> ამერიკის შეერთებული შტატები ისევ თავს იკავებს ელექტრონული კომერციის დავების გადაწყვეტის მეთოდების ფორმალური რეგულირებისაგან. შტატის კანონზე და შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ასევე, ერთიანი კომერციული კოდექსის მსგავს დოკუმენტებზე დაყრდნობით, ფედერალურ მთავრობას მარტივად შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ადგილობრივი წნეხი, შედარებით უფრო მომხმარებლის დამცველი რეჟიმის მიღების მიზნით.

ინტუიციურად, საშულო მომხმარებელი, რომელიც ახორციელებს დაბალი ღირებულების პროდუქტების შესყიდვას ონლაინ რეჟიმში და რომელსაც გააჩნია მკაცრად შეზღუდული საბაზრო ძალაუფლება ელექტრონული ბიზნესების შემთხვევაში, არ გაითვალისწინებს შესაძლებლობას, რომლითაც ფედერალურ მთავრობას შეუძლია მომხმარებელთა უფრო მკაცრად დაცვის უზრუნველყოფა, ან მკაცრ პროტექციონისტულ რეჟიმს, ევროკავშირში – მსოფლიოში

<sup>118</sup> *Nadler J.*, *Electronic Mediated Dispute Resolution and E-Commerce*, *Negotiation Journal*, Vol. 17, 2001, 333.

<sup>119</sup> იხ. მაგალითად, *Aguilar J. R.*, *Over the Rainbow: European and American Consumer Protection Policy and Remedy Conflicts on the Internet and a Possible Solution*, *Int'l J. Comm. L. & Pol'y*, Vol. 4, N.: 1, Winter 1999/2000, 1, <[http://www.ijclp.net/ijclp\\_web-doc\\_4-4-2000.html](http://www.ijclp.net/ijclp_web-doc_4-4-2000.html)>, [24.10.2008]; იხ., ასევე, *Ponte*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40.

<sup>120</sup> *Aguilar*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 49, 37-38.

<sup>121</sup> იქვე, 20-21.

<sup>122</sup> იქვე, 33-34.

<sup>123</sup> იხ. ABA Task Force, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 4.

<sup>124</sup> იხ. FTC Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 25.

მეორე უდიდესი ელექტრონული კომერციის მოთამაშე<sup>125</sup> – არსებული რეჟიმის მსგავსად. მსგავსად ამისა, საშუალო მომხმარებელი შესაძლოა არც ფიქრობდეს, რომ მომხმარებელთა დაცვის ჯგუფებიყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან კანონის ამ ნაწილში ცვლილების შეტანისათვის. ამგვარად, საბაზრო ძალაუფლებაში უთანასწორობის დიდი მოცულობის, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ საშუალო მომხმარებელთა ცოდნის შესაბამისი სიმცირის პირობებში, ამერიკის მთავრობას აშკარად მცირეოდენი მასტიმულირებელი ფაქტორი გააჩნია უფრო მეტად მომხმარებელთა დაცვის რეჟიმის მისაღებად.

ევროკავშირისაგან განსხვავებით, ამერიკის ელექტრონული კომერციის რეგულაციის სისტემა მომხმარებელს აკისრებს ვალდებულებას, კარგად შეისწავლოს დამატებითი ვადები და პირობები, რომელიც მოცემულია წვრილი შრიფტით, მომხმარებელთან დადებული სტანდარტული ფორმის კონტრაქტში.<sup>126</sup> დღემდე აშშ არ ითხოვს ელექტრონული ბიზნესების გამჭვირვალობას და სრულად გამოვლენას იმ მომენტამდე, სანამ საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტი არ ჩაითვლება დასრულებულად.<sup>127</sup> ამ პრო-ბიზნესის პოზიცია, კომერციულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, მოულოდნელი არ არის; უბრალოდ, ეს არის ამერიკის კონტრაქტის კანონის გავრცობა ტრადიციულ პირისპირ საცალო ტრანზაქციებში.<sup>128</sup> რამდენიმე საინტერესო ფედერალური და სახელმწიფო სასამართლოს მოსაზრებები აჩვენებს, თუ რამდენად სურს ამერიკის სასამართლოებს ამ მიმართულებით წასვლა, პრო-ბიზნესის სამართლებრივი წესების სისტემის დადასტურების და გავრცელების მიზნით.

ცხადია, რომ ევროკავშირი უფრო იცავს თავის მომხმარებლებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. მაშინ, როდესაც აშშ სისტემა ყურადღებას ამახვილებს ეფექტურობასა და ხარჯებზე და აკისრებს პასუხისმგებლობას მომხმარებლებს, ცხადი გახადონ ნებისმიერი დამატებითი პირობები, ევროკავშირი ცდილობს ხელი შეუწყოს კომერციულ საქმიანობას, მომხმარებლებსა და ბიზნესებს შორის არსებული სათამაშო მოედნის ბალანსირების საშუალებით, მომხმარებლის მყარად დაცვის კანონებისა და პოლიტიკების გზით.

აშშ-ისაგან განსხვავებით, ევროკავშირი მოითხოვს სრულ გამჭვირვალობას მომხმარებლის კონტრაქტის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით, მთელი საკონტრაქტო პერიოდისა და პროცესის განმავლობაში. ევროკავშირის მიდგომა მოითხოვს ელექტრონული ბიზნესების ვადებისა და პირობების სრულად გამოვლენას, ნებისმიერი ხელშეკრულების მომზადების დასრულებამდე, როგორცაა მაგალითად, წვრილ ფონტში ან საქონელთან ერთად მოწოდებულ მასალებში დაფარული ნებისმიერი პირობები.<sup>129</sup>

შესაძლოა ზემოთ აღნიშნული ემსახურებოდეს სათამაშო მოედნის გაუმჯობესებას, რაც აისახა ევროკავშირში, ელექტრონული კომერციისა და, განსაკუთრებით, ონლაინ დავების გადამწყვეტის დარეგულირების მიზნით, მწარმოებლური პოლიტიკის ინიციატივების მართვის ალების პროცესში. მაშინ, როდესაც აშშ-ის მთავრობა ორჭოფობს ინტერნეტის დარეგულირების საკითხთან დაკავშირებით, ევროკავშირმა არ მისცა ნება ამ ახალ საშუალებას, შეესუსტებინა მისი მარეგულირებელი საქმიანობის დონე. ევროკავშირმა მიიღო პოლიტიკა, რომლითაც ფართოდება მომხმარებლის დაცვის კანონი ტრადიციულ პირისპირ ტრანზაქციებთან მიმართებაში, და მოიცავს ინტერნეტში წარმოშობილ ტრანზაქციებსაც.<sup>130</sup>

ამგვარად, ელექტრონული კომერციის დირექტივით ევროკავშირის ელექტრონული კომერციის სისტემაში შეტანილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი იყო ყველა წევრი

<sup>125</sup> *Ponte*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> იქვე, 456-57.

<sup>128</sup> *Alboukrek*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 3, 425-ზე (საბუთდება, რომ ქვეყნებს მუდმივად არ შეუძლიათ ახალ და დამწყებ ელექტრონულ ბაზარზე ადაპტაცია უფრო ტრადიციული სამართლებრივი წესების „ძველი სამყაროს“ ცნების მიღებით და მცდელობით, მიმართონ ისინი სრულიად ახალ ბაზარზე).

<sup>129</sup> *Ponte*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40, 456-457.

<sup>130</sup> *Aguilar*, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 49, 22.

ქვეყნისათვის კარის გაღება, ევროკავშირის ელექტრონული კომერციის დონის გაზრდის მიზნით. ევროკავშირის ელექტრონული კომერციის დირექტივა მოითხოვს წევრი ქვეყნებისაგან, შექმნან დავების ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურები ელექტრონული კომერციის კონტრაქტებისათვის და ონლაინ დავების გადაწყვეტის რეგულაციის უზრუნველყოფისათვის.<sup>131</sup> მიზანს წარმოადგენს ბიზნესების და მომხმარებლების უზრუნველყოფა სამართლებრივი სიცხადის რაიმე სახის გარანტიით.<sup>132</sup> „შიდა ბაზრის მუხლი“ – მომსახურებები ექვემდებარება იმ წევრი ქვეყნის კანონს, რომელშიც არის შექმნილი მომსახურების მომწოდებელი.<sup>133</sup> დირექტივა მიმართულია წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის გაზრდისა და თვით რეგულირების გაფართოებისკენ.<sup>134</sup> დირექტივის მიერ დაფარული მომსახურებები მოიცავს: 1) ონლაინ პუბლიკაციებს; 2) პროდუქტებისა და სერვისების ონლაინ გაყიდვებს; 3) ონლაინ რეკლამირებას; 4) პროფესიონალურ სერვისებს; 5) ინტერნეტ და გასართობ სერვისებს; და 6) უფასო სერვისებს (გარდა რეკლამისა).<sup>135</sup>

„ონლაინ დავების გადაწყვეტის რეგულაცია“ (ODR რეგულაცია) შემუშავდა ცალკეული ევროკავშირის „ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემის შექმნისათვის.<sup>136</sup> ეს საშუალებას მისცემს ყველა წევრი ქვეყნის ელექტრონული კომერციის მომხმარებლებს, გადაჭრან ყველა დავა ონლაინ რეჟიმში, სასამართლოში წასვლის საჭიროების გარეშე.<sup>137</sup> ონლაინ დავების გადაწყვეტის სისტემა დაკავშირებულია წევრი ქვეყნების დავების ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) ორგანიზაციებთან, რომლებიც იცავენ კომისიის წესებს.<sup>138</sup> მიზანი არის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ინსტრუქციათა ერთიან პაკეტზე.<sup>139</sup> ეს ხდის აუცილებელს, რომ თითოეული წევრი ქვეყნის ონლაინ დავების გადაწყვეტის ფასილიტატორებს ჰქონდეთ გავლილი მსგავსი ტრენინგები და გააჩნდეთ შესაბამისი უნარები.<sup>140</sup> მოთხოვნილია, რომ ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ოცდაათი დღის განმავლობაში.<sup>141</sup> პრობლემა არის ის, რომ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ელექტრონული კომერციის ტრანზაქციებზე დაფუძნებული მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის პროცედურები არის არასრული და ბუნდოვანი.<sup>142</sup>

ისტორიულად, არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სქემების ნაწილი იძლევა საჩივრების ონლაინ რეჟიმში წარმოდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ონლაინ დავების გადაწყვეტის გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს.<sup>143</sup> საკითხის გადაწყვეტამდე დროის მოგების სარგებელი იკარგება და ფერხდება ონლაინ პროცესებში ფასიტილირებული კომუნიკაცია.<sup>144</sup>

ელექტრონული საკონტრაქტო დებულების არსებობის პირობებში, ეს იყო მხოლოდ დროის ფაქტორი, სანამ ევრო კომისია დაიწყებდა საზღვრებს გარეთა ელექტრონული კომერციის დავებიდან წარმოშობილი სამართლებრივი საკითხების დარეგულირებას. ამ ქმედებამ მიიღო ბრიუსელის რეგულაციის სახელით საქვეყნოდ ცნობილი ფორმა.<sup>145</sup>

<sup>131</sup> <[http://ec.europa.eu/internal\\_market/e-commerce/directive/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/internal_market/e-commerce/directive/index_en.htm).

<sup>132</sup> იხ. იქვე.

<sup>133</sup> იხ. იქვე.

<sup>134</sup> იხ. იქვე.

<sup>135</sup> იხ. იქვე.

<sup>136</sup> <[http://ec.europa.eu/consumers/redress/out\\_of\\_court](http://ec.europa.eu/consumers/redress/out_of_court)>.

<sup>137</sup> იხ. იქვე.

<sup>138</sup> იხ. იქვე.

<sup>139</sup> იხ. იქვე.

<sup>140</sup> იხ. იქვე.

<sup>141</sup> იხ. იქვე.

<sup>142</sup> იქვე.

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> იხ. იქვე.

<sup>145</sup> იხ. Brussels Regulation, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 4.

ევროკავშირმა განახორციელა რამოდენიმე პროგრამა და ინიციატივა, დავების გადაწყვეტის პროცესში არსებითი და პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, ხელი შეუწყო მომხმარებელთა შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმების გამოყენებას. ევრო კომისიამ წარმოადგინა რამდენიმე რეკომენდაცია დავების გადაწყვეტის პროცესში პროცესუალურ გარანტიებზე, მათ შორის, „დამოუკიდებლობის; გამჭვირვალობის; შეჯიბრებითი ხასიათის სასამართლო საქმის წარმოების; ეფექტურობის; კანონიერების; თავისუფლებისა და წარმომადგენლობის“ პრინციპებზე, პროცესუალურ ქმედებებში არბიტრაჟამდე.<sup>146</sup>

ევროკავშირმა, ასევე, წარმოადგინა რეკომენდაციები პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც მედიატორები იყენებენ დავების გადაწყვეტისას და რომელიც მოიცავს „ოთხ პრინციპს: მიუკერძოებლობა; გამჭვირვალობა; ეფექტურობა; და პროცედურის სამართლიანობა“.<sup>147</sup> ამის მსგავსად, ევროკავშირმა შექმნა პროგრამა, სახელად EEC-Net, რომელიც ემსახურება მომხმარებლებისათვის დავების გადაწყვეტის ხელმისაწვდომი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას, ასევე, რეალურად უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის მომსახურებას, თითოეულ წევრ ქვეყანაში განთავსებული რიგი „საკლირინგო პალატის“ საშუალებით.<sup>148</sup>

ზემოხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის მომხმარებლის დაცვის განსხვავებული პოლიტიკის მიზნები და თეორიები აშკარად ცხადი გახდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრონული კომერციის რეგულირების სისტემა შესაძლოა აღვწეროთ, როგორც პრო-ბიზნესი, თვით რეგულირებული და მინიმალისტური.<sup>149</sup> მისი უპირატესი განხილვის საგანი უკავშირდება ეფექტურობას და ხარჯების შემცირებას.

ონლაინ დავების გადაწყვეტა წარმოიშვა იმის აღიარებიდან, რომ დავების რაოდენობა გაიზარდა რიგი ონლაინ აქტივობების რაოდენობის გაზრდის პარალელურად.<sup>150</sup> ამიტომაც, ონლაინ დავების გადაწყვეტის წყარო აშკარად მარტივად გასაგებია, სახელდობრ, რაც უფრო მეტი ტრანზაქცია და ინტერაქცია განხორციელდება ონლაინ რეჟიმში, მით მეტი დავის წარმოშობას ექნება ადგილი.<sup>151</sup> ამასთან, გასაგები იყო, რომ ინტერნეტს, სანამ ის წარმოადგენდა ინფორმაციის წყაროს, უნდა შეძლებოდა ინფორმაციაზე დამოკიდებული საქმიანობების მხარდაჭერა, როგორცაა, მაგალითად, დავის გადაწყვეტა.<sup>152</sup> სხვა სიტყვებით, ინტერნეტი წარმოადგენდა პრობლემის ნაწილს, რომელშიც ის ქმნიდა დავებს, მაგრამ ის ასევე იყო გადაწყვეტის ნაწილი, თავისი რესურსით, ონლაინ რეჟიმში გამომხაურებოდა დავებს.<sup>153</sup>

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ევროკავშირის პოლიტიკა შესაძლოა დახასიათდეს, როგორც პრო-მომხმარებლური. მისი უპირატესი განხილვის საგანს წარმოადგენს მომხმარებლებსა და ბიზნესებს შორის არსებული სათამაშო მოედნის განონასწორება და გამჭვირვალობის რეჟიმის ხელშეწყობა, ასევე, ელექტრონული კომერციის არეალში ყველა შესაბამისი საკონტრაქტო პირობის გამოვლენა.<sup>154</sup> უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატები უშვებს სავალდებულო საარბიტრაჟო შეთანხმებებს მომხმარებლებსა და ბიზნესებს შორის, კონტრაქტის ფორმირების პროცესში,<sup>155</sup> მაშინ, როდესაც ევროკავშირი უშვებს მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმებებს, რომელიც ძალაში შედის დავის წარმოშობის შემდეგ.<sup>156</sup>

<sup>146</sup> OECD Background Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13, 16.

<sup>147</sup> იქვე.

<sup>148</sup> იქვე 20.

<sup>149</sup> Aguilar, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 49, 33-34.

<sup>150</sup> 49 NYLSLR 271, New York Law School Law Review: Bringing Online dispute Resolution to Virtual Worlds: Creating Processes Through Code, 2004-2005, 277.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> იქვე.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> Ponte, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40.

<sup>155</sup> იქვე at 456, n. 53.

<sup>156</sup> Brussels Regulation, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 4, art. 17(1).

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელექტრონული კომერციის რეგულაციებს შორის არსებული სხვაობის სააშკარაოზე გამოტანა, იძლევა იმის უფრო ნათელი და ობიექტური ანალიზის საშუალებას, თუ როგორ შეიძლება ორი მხარე მივიდეს შეთანხმებამდე დავების გადაწყვეტის მექანიზმებთან დაკავშირებით, „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ საზღვრის გარეთა ელექტრონული კომერციის დავებში. შეიძლება იმის არგუმენტირება, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის კონსესუსის შექმნისათვის არის ხელშეკრულების გამოყენება.

## ორმხრივი შეთანხმება

შეთანხმების გამოყენების სარგებელი ორ ნაწილად იყოფა. პირველი, შეთანხმება დატვირთულია სამართლებრივი ვალდებულებებით, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს გაცილებით მეტი შედეგის მიღების პოტენციალი, ვიდრე ნებისმიერ მოქმედ ნებაყოფლობით ან „რბილი-კანონის“ პრინციპებს.<sup>157</sup> მეორე, შეთანხმებამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის – ორი უდიდესი მოთამაშე ელექტრონულ კომერციაში, შესაბამისად<sup>158</sup> – შესაძლოა სტიმული მისცეს სხვა ქვეყნებს მიბაძონ ამ მოთამაშეებს. შესაძლოა, შეთანხმება დაინყოს ორმხრივი ფორმით, მაგრამ დასრულდეს, როგორც ელექტრონული კომერციის დავების გადაწყვეტის მულტინაციონალური კონვენცია. ცხადია, ეს ხელს შეუწყობს საკითხის გადაწყვეტას, თუ როგორ შეიძლება შეთანხმებამ შეძლებისდაგვარად გადაწყვიტოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის არსებული მომხმარებელთა დაცვისა და ელექტრონული კომერციის რეგულაციის უკიდურესად განსხვავებული თეორიები? ყველაზე გამარტივებული პასუხი – მრენველობა, რამდენადაც შესაძლებელია, იქნება თვით-რეგულირებული. ელექტრონული ბიზნესების წარმატება დამოკიდებულია მომხმარებლის კმაყოფილებაზე. უდიდესი ელექტრონული ბიზნესების საშუალებით, როგორებიცაა მაგალითად EBay და Amazon, გამყიდველის რეიტინგი, ფაქტობრივად, განთავსებულია გასაყიდი საქონლის შემდეგ. სანამ უცვლელად არსებობს ერთზე მეტი გამყიდველი ნებისმიერ მოცემულ პროდუქტზე, უკვე არსებობს მყარი მასტიმულირებელი ფაქტორი ინდივიდუალური გამყიდველისათვის, მიაღწიოს და შეინარჩუნოს მაღალი რეიტინგი მისი პროდუქციის მომხმარებლებს შორის.

დომინირებად ელექტრონულ ბიზნესებს გააჩნია მასტიმულირებელი ფაქტორი, უზრუნველყოს ონლაინ დავების გადაწყვეტის ფორუმი, მომხმარებლებსა და გამყიდველებს შორის დავების გადაწყვეტის მიზნით, მთავარი ვებგვერდის გამოყენების საშუალებით. შედარებით უფრო მცირე ელექტრონულ ბიზნესები კი იყენებენ სამომხმარებლო ბლოგებს და რეიტინგულ ვებგვერდებს, რომლებიც დომინირებენ ინტერნეტში. ასეა თუ ისე, თუ მომხმარებელი არ არის კმაყოფილი, ისინი მიმართავენ იგივე საშუალებას (მაგალითად, ინტერნეტს), რომელსაც იყენებდნენ პროდუქტის ყიდვისას, რათა გახადონ თავიანთი ჩივილი ცნობილი ყველა სხვა ონლაინ მომხმარებლისათვის.

## შეთანხმების სარგებლები

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის არსებული საზღვრებს გარეთ ელექტრონული კომერციის დავებში დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი ვალდებულებებით დატვირთული ხელშეკრულების სარგებელი ნამდვილად მრავალია. შეთანხმება მიაღწევს ამ სფეროში ეფექტურობისა და პროგრესის ამერიკულ მიზანს, მაშინ, როდესაც პარალელურად, მიღწეული იქნება ევროკავშირის მომხმარებლის ეფექტური დაც-

<sup>157</sup> იხ. მაგალითად, OECD Background Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 13; EC Recommendation, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 21; FTC Report, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 25; ABA Task Force, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 4.

<sup>158</sup> Ponte, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 40, 456.



ვის მიზანი. ეს მისცემს გლობალურ ელექტრონულ ბიზნესებს ერთგვაროვნების შეგრძნებას, რამდენადაც ისინი იმოქმედებენ სამართლებრივი ვალდებულებებით დატვირთული საზოგადო ელექტრონული კომერციის ბიზნესის პრაქტიკების საკითხებთან დაკავშირებული შეთანხმების შესაბამისად. შეთანხმება ასევე მომხმარებლებს შეუქმნის გლობალურ ბაზარზე ნდობის შეგრძნებას, რამდენადაც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის არსებული სამართლებრივი ვალდებულებებით დატვირთული ხელშეკრულების ცოდნა – მსოფლიოში ორი ყველაზე დიდი ელექტრონული კომერციის მოთამაშეები – ხელს შეუწყობს ნდობას დავების გადანყვეტის სტაბილური და ორგანიზებული რეჟიმის პირობებში; ამგვარად, შედეგად მივიღებთ ელექტრონული კომერციის საყოველთაო დონის გაზრდას ორივე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში, და, შესაძლოა, მთელს მსოფლიოში.

### შეთანხმების ნაკლოვანებები

სიმართლე რომ ვთქვათ, არსებობს რიგი ნაკლოვანებები შეთანხმების გამოყენების გზით ამ ხასიათის რეფორმის განხორციელებისათვის; მაგრამ როდესაც ვადარებთ შეთანხმების სარგებლებს რიგ მცდელობებთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) მიერ „რბილი კანონი“-ს შექმნასთან დაკავშირებით, არსებული ნაკლოვანებები კარგავს თავის ნეგატიურობას. შეთანხმების გამოყენების ერთი ყველაზე მთავარი ნაკლოვანება წარმოიშობა ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მისი შემდგომი ინტერპრეტაციიდან. ნებისმიერი სამართლებრივი ვალდებულებებით დატვირთული დოკუმენტი, განსაკუთრებით კი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სუვერენული ქვეყნების ვალდებულებას, ჩვეულებრივ ხასიათდება ბუნდოვანებით. დამახასიათებელი ბუნდოვანება რეალური ელექტრონული ბიზნესის მრეწველობის ნებისმიერ რეგულაციაში, მეტად ნეგატიურია. რამდენადაც ბუნდოვანებას და ორაზროვნებას მივყავართ კონფლიქტამდე, იმდენად მხარეები უბრუნდებიან იმ პოზიციას, სადაც მათ პირველად დაინყეს დაბალი ღირებულების დავით, იყვნენ რა თავისი კონფლიქტის გადაჭრის მიზნით სწრაფი და იაფფასიანი გზის ძიებაში. ამ მიმართებით, ნებისმიერი ასეთი ტიპის შეთანხმებისათვის საჭირო იქნება ამ საკითხის პირდაპირი გზით გადაჭრა, გასარკვევ და ლაკონურ ენაზე ოქმების შედგენით, ინტერპრეტაციული ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით.

### შეთანხმების ალტერნატივები

შეთანხმების ალტერნატივები ნებაყოფლობითია ან „რბილი კანონის“ პრინციპების მატარებელია, რომელიც, როგორც სახელშია ნაგულისხმევი, არ არის დატვირთული სამართლებრივი ვალდებულებებით; ასევე, ალტერნატივად შეიძლება იქნას განხილული, მომხმარებლის საერთაშორისო სამართალი, რომელიც ენათესავება ამერიკის შეერთებული შტატების საერთო სამართალს, მაგრამ საჭიროებს უფრო მეტ დროს ცვლილებისათვის.<sup>159</sup> საბოლოო ჯამში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის არსებული ელექტრონული კომერციის საქმეებში საზღვრებს გარეთ დავების გადანყვეტასთან დაკავშირებული შეთანხმება, საუკეთესო მექანიზმია იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის შექმნისათვის, რომელშიც, იმედია, გათვალისწინებული იქნება მომხმარებელთა დაცვისა და აშშ-სა და ევროკავშირს შორის არსებული ინტერნეტის რეგულაციის ბევრი განსხვავებული თეორიები. სხვა სიტყვებით, შეთანხმების გამოყენების სარგებლებს უფრო მეტი წონა აქვს მის ნაკლოვანებებთან შედარებით.

საბოლოო ჯამში, ონლაინ დავების გადანყვეტა აგვარებს სამართლებრივ საკითხებს, გართულებული კითხვების აღმოფხვრის გზით, მაგალითად, რომელ სასამართლოს და ქვეყან-

<sup>159</sup> Dunoff, Ratner & Wipman, იხ. ზემოთ მითითებული წყარო 109, 36.

ნას მიმართოს მომხმარებელმა შუამდგომლობისათვის და, საბოლოოდ, რომელი ქვეყნის კანონები მართავს დავას. უფრო მეტიც, საერთაშორისო ფორუმში სასამართლო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი შესაძლოა შემცირდეს ინტერნეტით დავების გადანყვეტის მომსახურების უზრუნველყოფის გზით, სადაც მოდავე მხარეები არასოდეს დატოვებენ საკუთარ სახლებს, გარდა იმ ვითარებისა, როდესაც მათ ესაჭიროებათ „საკლირინგო პალატებიდან“ ერთ ან რომელიმე სხვა პალატაში წასვლა, როგორც ეს მიმოხილულია ქვემოთ. მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის არსებული შეთანხმების სარგებლები ნათელია, შეთანხმების პირობების პრაქტიკული განხორციელება ისევ საკითხად რჩება; თუმცა, ეს არ არის შეუძლებელი.

## დასკვნა

ამერიკული და ევროკავშირის ელექტრონული კომერციული დავების გადანყვეტის საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრესი ჯერ კიდევ მისაღწევია ელექტრონული კომერციის საზღვრებს გარეთა დავების გადანყვეტის რეგულაციაში. თუმცა, აშშ-სა და ევროკავშირის გააჩნიათ აშკარად განსხვავებული თეორიები ელექტრონული კომერციის რეგულაციასთან, კონტრაქტის ფორმირებასთან და მომხმარებლის დაცვასთან დაკავშირებით, ორივე მათგანი სრულიად უნარიანია, მივიდნენ შეთანხმებამდე დავების ალტერნატიული გადანყვეტის შესაბამის კურსთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი კურსისათვის საუკეთესო მექანიზმი არის შეთანხმება, საუკეთესო გზა დავების გადანყვეტის მომსახურების უზრუნველყოფისათვის არის ონლაინ დავების გადანყვეტა (ODR). შეთანხმება, რომელიც ამარტივებს რიგ შიშსა და საკითხებს აშშ-სა და ევროკავშირის შემთხვევაში, ოდესმე შეიძლება შესაძლებელიც კი გახდეს; ელექტრონული კომერციის ზრდა აჩვენებს, რომ ორივე მხარემ უნდა მიმართოს მცდელობას, წარმართოს მოლაპარაკებები ამგვარ პირობებზე და განახორციელოს მისი დებულებები. ელექტრონულ ბაზარზე მომხმარებელთა გაზრდილი ნდობა ნიშნავს ელექტრონული კომერციის გაზრდილ დონეს. აშშ-სა და ევროკავშირს, ელექტრონულ კომერციაში მსოფლიოში ამ ორ უდიდეს მოთამაშეს, საკმარისზე მეტი მასტიმულირებელი ფაქტორი გააჩნია, რომ ერთად მოიპოვონ მეტი მომხმარებელი ელექტრონული კომერციის სფეროში. ელექტრონული კომერცია არის „ბიზნესი მომხმარებლისათვის“ ტრანზაქციების მომავალი და მას ესაჭიროება დარეგულირება საერთაშორისო დონეზე.

ტერმინმა „ევროპის გაერთიანებულმა შტატებმა“ ცუდი სახელი გაითქვა, როდესაც ის გამოიყენა ვინსტონ ჩერჩილმა თავის სიტყვაში 1946 წლის 9 სექტემბერს, ციურიხის უნივერსიტეტში, შვეიცარიაში.<sup>160</sup> ამ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ჩერჩილმა დაასკვნა: „ჩვენ უნდა შევექმნათ რაღაც ევროპის გაერთიანებული შტატების მსგავსი. მხოლოდ ამ გზით ასობით მილიონ მუშაკს შეეძლება მარტივი სიხარულისა და იმედების ხელახლა შექმნა, რომელიც ხდის სიცოცხლეს იმდენად ღირებულს ხდის, რომ ადამიანს უჩინდება ცხოვრების სურვილი.“<sup>161</sup> სავარაუდოდ, არ არის შესაძლებელი ელექტრონული კომერციის, როგორც მარტივი კონცეფციის ან მექანიზმის განსაზღვრა, რომელიც ხდის სიცოცხლეს იმდენად ღირებულს, რომ იცხოვრო. თუმცა, ბიზნესისა და მომხმარებლებისათვის ის ხდის ცხოვრებას უფრო მარტივს, მსოფლიოს მუდმივად მზარდი გლობალიზაციის პირობებში. ასი წლის შემდეგ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვები „ევროპის გაერთიანებული შტატები“ მანამდე რამდენჯერმე გამოიყენა ვიქტორ ჰიუგომ, იმ გამოსვლის ჩათვლით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1849 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო მშვიდობის კონგრესზე.<sup>162</sup> ჰიუგო მხარს უჭერდა „უზენაესი, სუვერენული სენატის შექმნას, რაც ევროპის-

<sup>160</sup> უინსტონ ჩერჩილი (1946), აკადემიური ახალგაზრდობის (გამოსვლა) შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა, ციურიხი, შვეიცარია.

<sup>161</sup> იხ. იქვე.

<sup>162</sup> როლში *E. de Jouy ვ. ჰიუგოს* წინააღმდეგ, იხ. *Faul M., Les aventures militaires, littéraires et autres de Etienne de Jouy de l'Académie française*, Editions Segquier, France, 2009.

თვის იქნებოდა იგივე, რაც ინგლისისთვის პარლამენტი“; მან თქვა, „დადგება დღე, როდესაც ჩვენი კონტინენტის ყველა ერი შექმნის ევროპის საძმოს... დადგება დღე, როდესაც ჩვენ უნდა დავინახოთ... ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის გაერთიანებული შტატები პირისპირ, რომელთაც კავშირი ექნებათ ერთმანეთთან ზღვების გადაღმა.“<sup>163</sup> 1849 წელს ელექტრონული კომერცია იყო უცხო კონცეფცია; ახლა კი ის გახდა გამტარი, რომელიც აღწევს საზღვრებს გარეთ და პირისპირ ახვედრებს აშშ-სა და ევროკავშირს მთელი დღის განმავლობაში, ყოველ დღე. ვიქტორ ჰიუგომ დარგო ხე მისი რეზიდენციის მიწაზე, გუერნსეის კუნძულზე; გამონათქვამში აღნიშნული იყო, რომ როდესაც ეს ხე მიაღწევს ზრდასრულობას, უნდა წარმოიშვას ევროპის გაერთიანებული შტატები. ეს ხე დღემდე იზრდება ბედნიერად მეისონ დე ჰოტვილის ბაღებში, წმ. პიტერ პორტში, გუენსეიში – ვიქტორ ჰიუგოს რეზიდენცია მისი საფრანგეთიდან გაძევების პერიოდში. ელექტრონული კომერცია, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის კომერცია, აგრძელებს კონფლიქტებთან დაკავშირებული იმ საკითხების წამოწვევას, რომელთაც მიყვავართ დავებამდე და სასამართლო საქმის წარმოებამდე. უბრალოდ, როგორც ჰიუგოს ხე იზრდება, როგორც ორგანული ჯილდო ევროპის გაერთიანებული შტატების განვითარებისათვის, ასევე ელექტრონული კომერცია ემსახურება კაცობრიობას, როგორც ორგანული მექანიზმი, რომელიც აახლოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს, ასევე, ბიძგს აძლევს შემაკავშირებელ მექანიზმს რეზულტატიური დავების გადანყვეტისათვის. ონლაინ დავების გადანყვეტა უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტურობასა და დროის დაზოგვის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს ამ მექანიზმის საზღვრებს გარეთ გასვლას ელექტრონული კომერციის დავების გადანყვეტის მიზნით და, ამგვარად, ქმნის თანმიმდევრული რეგულაციებისა და მისი აღსრულების საშუალებების შექმნის საჭიროებას.

ონლაინ დავების გადანყვეტა მოიცავს დავების ალტერნატიული გადანყვეტის პროტოკოლის უმრავლეს სახეობას. არსებითად, ეს მექანიზმი შექმნილია სხვადასხვა ქვეყნებიდან და/ან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მომხმარებლებსა და ბიზნესებს შორის წარმოქმნილი დაბალი ღირებულების და უცხოური ელექტრონული კომერციის დავების მოგვარებისათვის. ყველა არსებული პროტოკოლიდან, მედიაცია შეასრულებდა ამ დავების გადანყვეტის ყველაზე გამოსადეგი ონლაინ მექანიზმის როლს. ყველა ელექტრონულ ბიზნესს, რომელიც მოიცავს მომხმარებლის საქმიანობას აშშ-სა და ევროკავშირს შორის, ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფარგლებში, მოეთხოვებათ ონლაინ დავების გადანყვეტის მედიაციის პროგრამის უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება სამომხმარებლო საქონლის გაყიდვის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი დავის გადანყვეტისათვის. ონლაინ დავების გადანყვეტის პროცესის კერძოდ შენარჩუნების პირობებში, ის ისევე რჩება ეფექტური და ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტურ საშუალებად ამ დავების გადანყვეტისათვის. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ადგილი ექნება შემთანხმებულ პროცედურულ და არსებითი სამართლებრივი პროცედურის საკითხებს და შემცირებულ კომუნიკაციას. თუმცა, დავების დიდი მოცულობის გადანყვეტის ეფექტიანობასთან და ეკონომიკურ ეფექტურობასთან შედარებით, არსებობს მყარი არგუმენტი ონლაინ მედიაციისათვის. რამდენადაც ამ სამომხმარებლო შესყიდვების დიდ უმრავლესობას ექნება ნაკლები ხარჯი, ამგვარი დავების არბიტრაჟის ან სასამართლოს გზით გადანყვეტასთან შედარებით, ონლაინ მედიაციის გამოყენებას უფრო არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული ბიზნესების და მომხმარებლების დიდი უმრავლესობისთვის, რომლებიც ყიდულობენ მათ საქონელს.

---

<sup>163</sup> იხ. იქვე.

გამომცემლობის რედაქტორი

გარეკანის დიზაინერი

კორექტორი

დამკაზადონებელი

მაია ეჯიბია

მარიამ ებრალიძე

ლელა ნიკლაური

ნათია დვალი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tshavtchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel 995 (32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

ISSN 1987-9199



9 771987 919005